



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА

ალბერტ მენთეზაშვილი

ახლო აღმოსავლეთის
ქურთების
ისტორიის საკითხები
(X–XX სს.)

~~9 (5)~~

9(=91,57)

~~მ 557~~

ნაშრომი ქრონოლოგიურად მოიცავს X—XX სს. ივი დაწერილია არაბული და ქურთული პირველწყაროების, აგრეთვე რუსულ და ევროპულ ენებზე ქურთების შესახებ არსებული ლიტერატურის დამუშავების საფუძველზე. წიგნში გამოყენებულია საარქივო ფონდებში დაცული მასალებიც.

მონოგრაფია განკუთვნილია ისტორიკოსებისათვის.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978

10605

M _____ 26-78

m 608(06)-78

წინასიტყვაობა

ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებებმა, კერძოდ მათ მიერ უკანასკნელ ხანს ავტონომიური უფლებების მოპოვებამ ერაყში, კიდევ უფრო გაზარდა საბჭოთა მეცნიერთა ინტერესი ახლო აღმოსავლეთის ამ ერთ-ერთი უძველესი ხალხის მდიდარი წარსულის შესწავლისადმი. ქურთები, ქართველების უახლოესი მეზობლები, საუკუნეების მანძილზე მამაცურად ებრძოდნენ სხვადასხვა მხრიდან შემოსეულ დამპყრობთა უთვალავ ურდოებს და ისტორიაში „აღმოსავლეთის რაინდების“ სახელი დაიმკვიდრეს. მრავალწლიანი გმირული ბრძოლის შედეგად ქურთებმა შეინარჩუნეს საკუთარი ენა და თვითმყოფი კულტურა.

მსოფლიო ისტორიამ ცოტა ფაქტი როდი შემოგვინახა იმ ხალხების შესახებ, რომლებსაც ბედმა უმუხთლა და უამთა სიავემ სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის დაანაწილა. მათ რიცხვს ქურთი უმცირესობაც მიეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ ქურთები დანაწილებული არიან ახლო აღმოსავლეთის ოთხ სახელმწიფოს (თურქეთი, ირანი, ერაყი და სირია) შორის, ისინი კვლავ მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლს ასრულებენ მსოფლიოს ამ რეგიონში.

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეხება ქურთი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას, რომელიც წითელი ზოლივით გასდევს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიას. მართალია, ბოლო დროს ქურთების განმათავისუფლებელი მოძრაობა არაერთი საბჭოთა ქურთმცოდნის კვლევის ობიექტი გახდა, მისი ცალკეული ეტაპები მაინც არ არის ჩვენში ჭეროვნად შესწავლილი.

მონოგრაფიაში გამოკვლეულია ქურთების განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზეზები, მამოძრავებელი ძალები და მსვლელობა ახლო აღმოსავლეთში ისტორიის ახალ და უახლეს ხანაში; ნაჩვენებია „ქურთთა საკითხის“ ე. წ. აღმოსავლეთის საკითხის შემადგენელ ნაწილად, ხოლო შემდეგ საერთაშორისო საკითხად გადაქცევის პროცესი; გაშუქებულია ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკა ქურთისტანში; შესწავლილია ქურთ პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობა;

დახასიათებულია თურქეთისა და ირანის მმართველი წრეების დამოკიდებულება ქურთი უმცირესობისადმი უახლეს ხანაში; განხილულია ერაყელი ქურთების ავტონომიისათვის ბრძოლის ცალკეული ეტაპები და მისი შედეგები.

გარკვეული ადგილი ეთმობა ფეოდალურ ხანაში (X—XVIII სს.) ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ სარბიელზე ქურთული ელემენტის როლის განხილვას და ნახევრად ავტონომიური ქურთული სამთავროების ისტორიის ცალკეული საკითხების გაშუქებას.

წიგნში დასმული საკითხების უფრო საფუძვლიანი კვლევის მიზნით სპეციალურად შევისწავლეთ ქურთი საზოგადოების პოლიტიკური განვითარების სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრები, რომლებმაც ასახვა პპოვეს ჩვენს მიერ 1976-77 წწ. გამოცემულ მონოგრაფიებში (41, 43).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის გადაწყვეტილებით ქურთი ხალხის ისტორია წლების მანძილზე სპეცკურსის სახით იკითხება ისტორიის ფაკულტეტზე. წინამდებარე ნაშრომი ამავე კათედრის ინიციატივით ქვეყნდება.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქურთები მსოფლიოს უძველეს ხალხებს მიეკუთვნებიან. ისინი ძველთაგანვე ცხოვრობდნენ ახლო აღმოსავლეთის იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს მათ უკავიათ.

ქურთთა წარმოშობის საკითხი ჯერ კიდევ ბურუსით არის მოცული. ძველი შუმერული წარწერები მოწმობენ, რომ მდ. ტიგროსის შუა დინების იქით მდებარე ტერიტორიაზე — გუდის მთიდან (ბოჰთანის ოლქი) ზაგროსის მთებამდე, ძველთაგანვე მრავალრიცხოვანი ტომები ცხოვრობდნენ. ძველი ასურელები ამ ტომებს გუთეის, ქუთიის ან ქურთიის სახელწოდებით იხსენიებენ.

I ათასწლეულში ჩვ. წ. აღ-მდე მათი მონათესავე კასიტების ტომები ზაგროსის სამხრეთი მთებიდან ბაბილონში (აქადი) დაეშენენ და ქურთთა წინაპრებზე თითქმის ექვს საუკუნეს (1800—1200 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე) ბატონობდნენ. ზოგიერთ ქურთმცოდნეს ეს ტომები ამ მთიანი რაიონების ერთ-ერთ უძველეს ხალხად მიაჩნია.

თავის დროზე ქურთი ტომების წინაპრები შუმერულ დინასტიებს ებრძოდნენ. ხეთების მეფე სუფილულიუმა (მე-15 — მე-14 სს. ჩვ. წ. აღ-მდე) მათ გურდებს უწოდებს და მათ ღმერთს გირს იხსენიებს. ქურთები, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ნაირის კონფედერაციის შემადგენლობაში შედიოდნენ და ყველა ცნობილ ასურელ მეფესთან ბრძოლას აწარმოებდნენ.

ქურთმა ტომებმა ირანში გაბატონებულ აქემინიდებს, კერძოდ ქსერქსესა და კიროსს, დიდი დახმარება გაუწიეს ნინევიისა და ბაბილონის განადგურებაში. უფრო გვიან, სასანელთა სამეფო კარზე ქურთები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, ისინი ირანის მბრძანებელს საბერძნეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდნენ.

ირანის ჯარების შემადგენლობაში ქურთები ქსენოფონტეს რაზმების უკანდახვეის დროსაც იბრძოდნენ. ბერძენთა ეს რაზმები უკან იხევდნენ სამხრეთ ქურთისტანის (თანამედროვე ერაყის ქურთისტანი) ტერიტორიაზე გავლით.

ისლამის გავრცელებამდე კარგა ხნით ადრე არაბები ქურთებს ქარ-

დუს უწოდებდნენ, სომხები — ქურთებს, ხოლო ბერძენი და რომაელი მწერლები კი — კარდუხებსა და ქირთის.

ქურთების წარმოშობის საკითხზე მეცნიერებაში ორი კონცეფცია იყო გაბატონებული. პირველის ავტორია ცნობილი ორიენტალისტი პროფ. ვ. მინორსკი¹, ხოლო მეორესი—გამოჩენილი საბჭოთა ლინგვისტი აკად. ნ. მარი. თანახმად პირველი კონცეფციისა, ქურთები ირანული წარმოშობისა არიან და ჩვ. წ. აღ-მდე VII ს. ურმიის ტბის რაიონიდან ბოჰთანში გადმოსახლდნენ. აკად. ნ. მარის აზრით, ქურთები ავტოხტონური წარმოშობისა არიან. ისინი ახლო აღმოსავლეთის ხალხებს ენათესავებიან, სახელდობრ, ქალდეელებს, ქართველებს, სომხებს. ძველად ისინი მათ ენაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ შემდგომ იგი ირანული წარმოშობის ენით შეცვალეს.

ამ საკითხზე დავა მეცნიერებს შორის დღესაც არ შეწყვეტილა, ცნობილ საბჭოთა ქურთოლოგს კ. ქურდოვეს მიაჩნია, რომ ქსენოფონტეს მიერ „ანაბაზისში“ ნახსენები კარდუხები, როგორც ეთნიკური ნიშნებით, ისე ენობრივადაც, ძველი ქურთისტანის ირანულენოვან მოსახლეობას მიეკუთვნებოდნენ. იგი ქურთებს კარდუხების პირდაპირ შთამომავლებად მიიჩნევს (99, გვ. 184—191). ქურთების იაფეტური წარმოშობის და მათი ენის სტადიალური განვითარების ნ. მარისეულ თეორიაზე დაყრდნობით, მეორე ცნობილი ქურთმცოდნე ო. ვილჩევსკი ამტკიცებდა, რომ ქურთებს თავიანთი წარმოშობით არავითარი ისტორიული და ენობრივი კავშირი არა აქვთ კარდუხებთან (73). იგივე აზრს ავითარებს გ. აკოფოვი, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ თითქოს კარდუხები ლაპარაკობდნენ სომხური ენის მონათესავე ენაზე (61, გვ. 35—36.)

თავიანთი წარმოშობის შესახებ ქურთები² ორ ისტორიას ჰყვებიან. პირველი, რომელიც ირანულ ლეგენდას ემყარება, ასეთი შინაარსისაა: ძველად ირანში ვინმე ზაჰაკმა, რომელსაც ტახტი ეპყრა, თავისი მხრებიდან ორი გველი გაზარდა. თითოეული მათგანი ყოველდღე სადილად ადამიანის ტვინს თხოულობდა. ერთ-ერთ გონებამახვილ ვეზირს აზრი დაებადა — ყოველი ადამიანის ტვინი ხბოს ტვინთან აერია და ასეთი გზით ყოველდღე ერთი ახალგაზრდა კაცის ან ქალის სიცოცხ-

¹ 1917 წლამდე ვ. მინორსკი მეფის რუსეთის დიპლომატიური მოხელე იყო. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იგი ძირითადად ინგლისში ცხოვრობდა. როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ ყოფნისას მან შეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო შრომები მიუძღვნა ქურთების წარმოშობის, ენისა და კულტურის ისტორიის საკითხებს (112; 113).

² დღემდე ცნობილი ქურთი ისტორიკოსების თხზულებებიდან ყველაზე უძველესი XVI საუკუნით არის დათარიღებული. ეს არის შერეფ ხან ბიოლისის — „შერეფ ნამე“ (26).

ლე გადაერჩინა. გადარჩენილები მთებში იხიზნებოდნენ. ასე ჩაეყარა საფუძველი ქურთ ხალხსო (149, გვ. 4).

მეორე ლეგენდა დაკავშირებულია სოლომონ მეფის სახელთან. თანახმად ძველი აღმოსავლური ხალხური გადმოცემისა, სოლომონ მეფე ზებუნებრივ სამყაროს მართავდა. ამ სამყაროს უცნაურ არსებებს ჯინი, იფრიტი, დივი, ფარი ეწოდებოდათ. ერთხელ, — მოგვითხრობენ ქურთები, — სოლომონ მეფემ თავის ერთგულ 500 დივს უბრძანა ევროპაში გაფრენილიყვნენ და იქიდან მისი ჰარამხანისათვის 500 მშვენიერი ქალწული წამოეყვანათ. მაგრამ დაბრუნებისას ამ დივებმა გაიგეს, რომ მათი მბრძანებელი გარდაიცვალა და ის ქალწულები თავისთვის დაიტოვეს. მათი შთამომავლები ქურთების წინაპრები არიანო³.

³ მსგავსი ლეგენდა თავიანთ წარმოშობის შესახებ ლურებსაც აქვთ (149, გვ. 4).

**ქუართული კოლიტიკური ერთეულები
შუა საუკუნეებში**

თ ა ვ ი I. ქუართული ელემენტი ახლო აღმოსავლეთის
ძვეუნიების კოლიტიკურ სარბიელზე X—XII სს.

ქუართების ფეოდალური ხანის ისტორია რამდენიმე პერიოდად იყოფა. პირველი მოიცავს VII—XII სს, ანუ იმ ისტორიულ მონაკეცეს, როდესაც ახლო აღმოსავლეთში ჯერ არაბები, ხოლო შემდეგ თურქ-სელჩუკები ბატონობდნენ. დამოუკიდებელი ქუართული დინასტიები¹ სწორედ ამ დროს აღმოცენდნენ.

990—1085 წწ. დიარბაქრში, აჰლათსა და მალაზგირდში უკვე მარვანიანთა ქუართული დინასტია ბატონობდა (69, გვ. 87)². მანამდე, 870—892 წწ., აბასელთა ხალიფა მუ'თამიდის მმართველობის წლებში დიარბაქრს ისა იბნ აშ-შეიხი აშ-შაიბანი და მისი შთამომავლები მართავდნენ. 899 წ. დიარბაქრის ცენტრი ქ. ამიდი ხალიფა მუ'თადიდმა დაიპყრო. მას შემდეგ, რაც X ს. დასაწყისში ჯეზირესა და სირიაში ჰამდანიანთა დინასტია გაბატონდა, დიარბაქრი და მისი მომიჯნავე რაიონები ამ დინასტიის წარმომადგენლის ჰალების (ალეპოს) ამირა საიფ ად-დავლას ხელქვეით მოექცა (945 წ.). საიფ ად-დავლამ დიარბაქრი დაიპყრო, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ (967 წ.) დიარბაქრი ჰამდანიანთა მოსულის შტოს მეთაურის, აბუ თალიბის ხელში გადავიდა (178, ტ. II, გვ. 344).

მარვანიანთა დინასტიის დამაარსებელი ერთ-ერთი ქუართული ტომის ბელადი ვინმე ბაზი იყო, სომხეთისა და ქუართისტანის საზღვარზე მან ხელთ იგდო რამდენიმე ციხესიმაგრე. 979 წლისათვის ახლანდელი თურქეთის ქუართისტანის დიდი ნაწილი ბუვეიანთა³ ამირას აღუდ აღ-და-

¹ ქუართი ისტორიკოსი ამინ ზაქი ასახელებს 14 ქუართულ დინასტიას, რომლებმაც გარკვეული როლი ითამაშეს ახლო აღმოსავლეთში (226, გვ. 28).

² სტენლი ლენ-პული მარვანიანთა ბატონობას 990—1013 წწ. შემოფარგლავს (129, გვ. 96).

³ ბუვეიანთა დინასტია ირანული წარმოშობისა იყო. ეს დინასტია ბატონობდა ირანსა და ერაყში თურქ-სელჩუკთა შემოსევებამდე.

ულის მფლობელობაში იმყოფებოდა. 983 წ. ადუდ ად-დაულას სიკვდილის შემდეგ ბაზმა ბუვეიანებს დიარბაქრი წაართვა და მცირე ხნით მოსულსაც დაეპატრონა.

ბაზმა ძლიერ ქურთულ სამთავროს ჩაუყარა საფუძველი. 'ზოგჯერ ეს სამთავრო აბასელთა სახალიფოს დედაქალაქს — ბაღდადასაც ემუქრებოდა. ბაზის სიკვდილის შემდეგ ძალაუფლება მისი ძმისშვილის — იბნ მარვანის (ნასრ ად-დაულა აჰმად) ხელში გადადის. მან 80 წელი იცოცხლა და აქედან ნახევარი საუკუნე (1011—1061)⁴ მართავდა მარვანიანთა სამთავროს. მისი მმართველობის დროს მარვანიანთა სამთავრომ თავის ძლიერებასა და აყვავებას მიაღწია⁵. იბნ მარვანი მოხერხებულად იცილებდა თავიდან მოსაზღვრე ძლიერი სახელმწიფოების თავდასხმას და ცდილობდა მათთან კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარებინა.

თავისი მმართველობის დასაწყისშივე იბნ მარვანმა ცნო აბასელთა ხალიფას ალ-კადირის (991—1031) ძალაუფლების უზენაესობა. პასუხად ხალიფამ იბნ მარვანს „ნასრ ად-დაულა“ („გამარჯვება სახელმწიფოსი“) უწოდა. იბნ მარვანი ცდილობდა კარგ ურთიერთობაში ყოფილიყო ჩრდილოეთ სირიაში გაბატონებულ ფატიმიანებთანაც, კერძოდ კი მათ ხალიფა ალ-მუსთანირთან (1036—1094).

მარვანიანებს ხანგრძლივი ბრძოლები ჰქონდათ მოსულსა და ჯეზირათ იბნ უმარაში ახლად გაბატონებულ ერაყელ უკაილელებთან⁶. ამ ბრძოლებში საბოლოოდ უკაილელებმა გაიმარჯვეს, ხოლო მარვანიანები იძულებული შეიქნენ 1030 წ. მათთვის ნიზიბი დაეთმოთ.

XI ს. შუა წლებში მარვანიანთა დინასტია წარმატებით იგერიებდა ოლუზ მომთაბარეთა თავდასხმებს. 1041—1042 წწ. ქურთებმა გააძე-

⁴ იბნ მარვანს შერეუ ხან ბითლისი მარვანელთა დინასტიის ფაქტიურ დამაარსებლად მიიჩნევს. მისი ცნობით იბნ მარვანი პირველი ქურთი იყო, რომელიც დიარბაქრსა და ჯეზირეს მართავდა (26, გვ. 89).

⁵ მის ეეზირებს შორის იყვნენ ფაჰრ ად-დაულა იბნ ჯაჰირი, რომელიც მოგვიანებით აბასელთა ხალიფების ეეზირი გახდა. და აბულ კასიმ მაღრიბი.

⁶ უკაილელები წარმოსდგებოდნენ ბელუჩინთა დიდი ტომობრივი გაერთიანებიდან. უკაილელები ბუვეიანთა ძალაუფლების უზენაესობას აღიარებდნენ და ქურთებით დასახლებულ ტერიტორიას (ჯეზირათ იბნ უმარ, მოსული, ჩრდილოეთ სირია) 990—922 წლიდან 1096 წლამდე განაგებდნენ. XI ს. 30—40-იან წლებში ისინი დაუკავშირდნენ მეორე არაბულ დინასტიას მაზიადიანებს, რომლებიც იმ დროს ჰილას მართავდნენ. ეს კავშირი მიზნად ისახავდა ოლუზთა შემოსევებისაგან მათი სამფლობელოების ერთობლივ დაცვას ერაყისა და დასავლეთ ირანის მხრიდან. უკაილელების სამფლობელოები ამ დროს ბაღდადიდან ალემომდე იყო გადაკეცილი.

მო: ულში უკაილიანთა ავტონომიურ მმართველობას ბოლო მოუღო თურქ-სელჩუკთა სულთანმა თუთუშმა, ხოლო ალ-ჯეზირეში 1096 წელს მათი ადგილი ზანგელეების თურქმანულმა დინასტიამ დაიკავა.

ვეს ოლუზები დიარბაქრიდან, მაგრამ თოთხმეტი წლის შემდეგ (1056 წ.) ოლუზთა სულთანმა რუქნ ად-დინ აბუ თალიბ თორღულ ბეგმა⁷ (1038—1063) მაინც დაიმორჩილა იბნ მარვანი, ვასალი გახადა (26, გვ. 89) და რაც მთავარია, თავის სახელზე ხუტბა წააკითხვინა მეჩეთში (19, გვ. 117).

მარვანიანებმა მეგობრული ურთიერთობა დაამყარეს აგრეთვე ბიზანტიასთან, რომელიც იმ დროს ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ ითვლებოდა. სწორედ იბნ მარვანის (მერვან ოლღუ⁸) შუამავლობის წყალობით ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე X სელჩუკთა სულთან თორღულს ტყვეობიდან გაათავისუფლებინა ცნობილი ქართველი ერისთავი ლიპარიტი⁹. იგი ტყვეობაში 3 წელს იყო (57, გვ. 147).

თურქ სელჩუკთა იმპერიის წარმოშობამ მარვანიანთა წინაშე ახალი პრობლემა დააყენა. დასაწყისში მარვანიანთა გადასვლა სელჩუკთა სულთნების ქვეშევრდომობაში მათი ძალაუფლების ავტორიტეტის ზრდას ხელს უწყობდა, რადგან მაშინ მარვანიანთა სამთავრო ბუფერული სახელმწიფოს როლს ასრულებდა სელჩუკთა იმპერიასა და ბიზანტიას შორის. ამიტომ სელჩუკთა მბრძანებლები ამ ქურთული ვასალური სამთავროს ავტონომიის შენარჩუნებაში დაინტერესებული იყვნენ.

იბნ მარვანს ორი შვილი ჰყავდა. მისი სიკვდილის შემდეგ მთელი სამთავრო იბნ მარვანის შვილებმა ნასრმა (გარდ. 1080 წ) და საიდმა (გარდ. 1073 წ) გაიყვეს. ნასრი მართავდა მაიაფარიკინს, ხოლო საიდი ამიდს. მათი მმართველობის დროს მარვანიანთა სამთავროს ძლიერება თანდათან შესუსტდა. ურთიერთობა მარვანიანებსა და სელჩუკ სულთნებს შორის სულ უფრო დაძაბული გახდა. მალიქ შაჰის ბრძანებით მისი სარდალი ფაჰრ ად-დაულა მარვანიანთა სამფლობელოში შეიჭრა და სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ დაიპყრო იგი. ეს მოხდა 1085 წ. აქედან მოყოლებული მარვანიანთა სამთავრო სელჩუკთა იმპერიის უშუალო შემადგენელი ნაწილი გახდა.

იბნ მარვანის მმართველობის დროს ქქ. ამიდმა, მაიაფარიკინმა, ჰანანქაიფმა განსაკუთრებულ აყვავებასა და მატერიალურ კეთილდღეო-

⁷ შერეფ ხან ბითლისის ცნობით, იბნ მარვანმა თორღულ ბეგს ძვირფასი საჩუქრები მიართვა. მათ შორის იყო ერთი ლალი, რომელშიც იბნ მარვანმა დიდი თანხა გადაუხადა დეილემის სულთანს.

⁸ ასე იხსენიებს მას XII ს. სირიელი ავტორი აბუ ლ-ფარაჯ ბარ ჰეუ სი (1226—1286).

⁹ იმპერატორი კონსტანტინე იბნ მარვანს სწერდა: „ბიზანტიის წარჩინებულთა ტყვეობიდან გასათავისუფლებლად თქვენს დახმარებას ვითხოვ. ვიცი, რომ სულთან თორღულ ბეგი კეთილი გულის პატრონია. თუ თქვენ მას ჩემი სახელით სთხოვთ, ის ამ ტყვეს (ლიპარიტს — ა. მ.) არ დააკავებს“ თორღულ ბეგმა შეიწყნარა იმპერატორ კონსტანტინეს თხოვნა, რომელიც მას იბნ მარვანმა გადასცა, და გაათავისუფლა ლიპარიტი (28ა, გვ. 304—305; 55, გვ. 192—193).

ბას მიაღწიეს. მარვანიანთა სამთავროში ინტენსიურ კულტურულ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ. მიაფარიკინის ადგილობრივი ისტორიკოსა წერდა, რომ იბნ მარვანი თავისი სამთავროს ეკონომიკურ განვითარებაზე ზრუნავდა, მან გადასახადები შეამცირა, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სამუშაოები განახორციელა და საერთოდ ქველმოქმედებას ეწეოდაო (69, გვ. 88).

1092 წ. მალიქ შაჰის გარდაცვალების შემდეგ იბნ მარვანის შთამომავლებს ავტონომიური უფლებები კვლავ დაუბრუნეს, მაგრამ ეს უფლებები უკვე ფართო აღარ იყო.

მომდევნო საუკუნეებში ქურთებით დასახლებული დიარბაქრი თურქმანული დინასტიების ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. ამ დინასტიებს შორის სამი გამოირჩეოდა: ინალიანთა, ართუკიანთა და ისირდისა.

ინალიანთა საგვარეულო ამიდს დაეპატრონა, ისირდის დინასტია არზანს მართავდა, ხოლო ართუკიანებმა მარდინი, ხიში, კაუფა, მიაფარიკინი და ხარფუთი ჩაიგდეს ხელში. ართუკიანთა მმართველობა მარდინსა და მანაფარიკინში 1102 წლიდან 1408 წლამდე გრძელდებოდა.

1260 წ. ართუკიანთა ამირა ყარა-არსლან მუზაფარმა ირანის ახალი მბრძანებლის — ილხანთა დინასტიის დამაარსებლის ჰულაგუ ხანის ძალაუფლების უზენაესობა ცნო და თავი მის ვასალად აღიარა. ართუკიანთა დინასტიის მარდინის შტომ თავისი არსებობა ერთნახევარი საუკუნით გვიან შეწყვიტა, როდესაც თემურ ლენგის ლაშქრობების შემდეგ 1408 წ. ქურთისტანის ყარა-ყონლუს (შავბატკიანები) თურქმანი მომთაბარე ტომები შემოესივნენ და ართუკიანთა უკანასკნელმა წარმომადგენელმა ას-სალიჰმა მარდინი ყარა-ყონლუს მეთაურს — ყარა-იუსუფს ჩააბარა.

ართუკიანთა დინასტიის მეორე შტო დიარბაქრში ბატონობდა. 1232 წ. აიუბიანებმა მათ ამიდი, ჰასანქაიფი და მიაფარიკინი წაართვეს. XIII ს. მცირე ხნით აქაური ართუკიანები რუმის სელჩუკთა და ხორეზმშაჰ ჯელალედინის ვასალები იყვნენ.

ქურთული წარმოშობის სხვა დინასტიებიდან გარკვეული პოლიტიკური წონა ახლო აღმოსავლეთში შადადიანებსა და რავადიანებს ჰქონდათ.

შადადიანთა დინასტიის დამაარსებლად მუჰამედ იბნ შადადს მიიჩნევენ. X ს. შუა წლებში მან დაამარცხა მუსაფირიანები, რომლებიც დვინს ფლობდნენ, და დროებით აქ დამკვიდრდა. მიუხედავად ბიზანტიის იმპერატორის მფარველობისა. მუჰამედ იბნ შადადი მცირე ხნის შემდეგ იძულებული გახდა დვინი დაეთმო თავისი ძველი მეტოქეებისათვის. მაგრამ 971 წელს იბნ შადადის შვილებმა მუსაფირიანები გააძევეს არანიდან¹⁰ და ქ. განჯა შადადიანთა მთავარ რეზიდენციად

¹⁰ აკად. ვ. ბარტოლდი 951—952 წწ. მიუთიებს (66, ტ. III, გვ. 405).

იქცა. შადადიანთა ბატონობა არანში თითქმის ერთ საუკუნეს გაგრძელდა.

მთელი ამ ხნის მანძილზე შადადიანებს ბრძოლები ჰქონდათ ქართველ ბაგრატიონებთან, სომეხ მთავრებთან, ბიზანტიასთან, ალანებთან (ოსები) და კიევის რუსეთის მთავრებთან (დაწვრილებით იხ. 39, გვ. 67—91)

შადადიან მთავართა შორის ყველაზე სახელგანთქმული აბულ ასვარ შავურ I (1049—1067) იყო. როდესაც კავკასიაში სელჩუკები გამოჩნდნენ, შადადიანები დამორჩილდნენ სულთან თორღულბეგს და თავი მის ვასალებად აღიარეს. მაგრამ 1075 წ. სელჩუკთა ამირა საბუქთეგინი არანში¹¹ შეიჭრა და შავურ I-ის შვილიშვილი ფადლუნ III აიძულა უარი ეთქვა თავის სამემკვიდრეო სამფლობელოებზე. ქურთული დინასტიის მმართველობას არანსა და აღმოსავლეთ სომხეთში თანდათან ბოლო მოეღო.

შადადიანთა მეორე შტო გამაგრდა ანისში, რომელიც მანამდე სომეხ ბაგრატიონიანთა მთავარი ქალაქი იყო. 1064 წ. სელჩუკთა სულთანმა ალფ არსლანმა დაიპყრო ანისი, ხოლო 1072 წ. განჯაში გაბატონებულმა შადადიანებმა ანისი სელჩუკებისაგან გამოისყიდეს და XII ს. ბოლომდე ამ დინასტიის გვერდითი შტოს მთავარ ადგილსამყოფელს წარმოადგენდა. შადადიანთა მმართველები თავიანთი ქრისტიანი ქვეშევრდომების მიმართ კეთილსასურველად იყვნენ განწყობილი. ისინი დაუნათესავდნენ სომეხ ბაგრატიონებს. ანისის არამუსლიმი მოსახლეობა მათ განიხილავდა როგორც ადგილობრივ და კანონიერ მბრძანებლებს (66, ტ. III, გვ. 328).

ანისში დამკვიდრებისათვის შადადიანებს დიდი ბრძოლების გადახდა მოუხდათ არა მარტო სომეხ მთავრებთან, არამედ საქართველოს მეფეებთანაც. ქართველმა ბაგრატიონებმა ანისი რამდენჯერმე წაართვეს ქურთ მთავრებს, მაგრამ დიდი ხნით ფეხის მოკიდება აქ მაინც ვერ შეძლეს. მხოლოდ თამარ მეფემ 1199 წ. საბოლოოდ აიღო ანისი და იგი საქართველოს შემოუერთა. ამის შემდეგ ქურთ შადადიანთა დინასტიის მეორე შტომაც შეწყვიტა თავისი არსებობა.

იმ დროს, როდესაც არანსა და სომხეთში შადადიანები გაბატონდნენ, აზერბაიჯანში მეორე ქურთულმა დინასტიამ მოიკიდა ფეხი. ეს დინასტია რავადიანთა სახელით არის ცნობილი¹². ჯერ კიდევ პირველ აბასელ ხალიფების მმართველობის წლებში ამ გვარის წარმომადგენ-

¹¹ არანი მოიცავს მდ. მტკვარსა და მდ. არაქსს შორის მდებარე ტერიტორიას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

¹² ზოგიერთი მკვლევარის აზრით, რავადიანები წარმოშობილი იყვნენ ალ-აზდას (იემენი) არაბულ ტომიდან და მოგვიანებით გაქურთდნენ (69, გვ. 131).

ლები თავრიზს მართავდნენ, ხოლო 984 წლისათვის მთელი აზერბაიჯანი რავადიანთა ხელქვეითი აღმოჩნდა. რავადიანთა ყველაზე გავლენიანი მთავარი ვაჰსუდან იბნ მამლანი იყო. 1025—1059 წწ. აზერბაიჯანს სათავეში იგი ედგა. მის დროს რავადიანთა სამთავროს ოღუზ-თურქმანები შემოესივნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათი პირველი შემოსევები წარმატებით მოიგერიეს, 1054 წ. რავადიანები სულთან თოდრულს დაემორჩილნენ. რავადიანთა ამირები. როგორც სელჩუკთა ვასალები, აზერბაიჯანს მართავდნენ მანამდე, სანამ 1071 წ. სულთანმა ალფ არსლანმა აზერბაიჯანის მმართველის თანამდებობიდან ვაჰსუდანის შვილი მამლანი არ გადააყენა. ამის შემდეგ მარალას რავადიანთა დინასტიის წარმომადგენელი აჰმადილი განაგებს. მისი სახელი შემდგომ მასთან სამსახურში მყოფ თურქ ლულამების ერთ შტოს გადაეცა. ეს შტო აჰმადილიანთა სახელით არის ცნობილი. მარალას ისინი მართავდნენ როგორც ათაბაგები XIII ს. დასაწყისამდე (139, გვ. 70—71).

X—XV სს. დინავერსა და შაჰრიზურში ძალაუფლებას ჰასანვეჰიანთა ქურთული დინასტია ფლობდა. ამ დინასტიის დამაარსებელი ჰასანვეიჰ ჰუსეინ ალ-ბარზიკანი (გარდ. 979 წ.) იყო. ჰასანვეიჰიანთა სამფლობელო დიდ ტერიტორიაზე (დინავერიდან ჰამადანსა და ნეჰავენდამდე) იყო გადაჭიმული. ალ-ბარზიკანის მმართველობის დროს ქურთთა ამ სამთავრომ თავის აყვავებასა და ძლიერებას მიაღწია. 969 წელს ჰუსეინ ალ-ბარზიკანი გადაუდგა ბუვეიანებს და მის წინააღმდეგ რუქნად-დინ აბუ ალი ალ-ჰასან იბნ ბუვეიჰმა (932—976) გააგზავნა დამსჯელი ჯარები თავისი ვეზირის იბნ ალ-ამიდის სარდლობით. მოხერხებულმა ჰუსეინ ალ-ბარზიკანმა ეს კონფლიქტი მშვიდობიანად მოაგვარა (26, გვ. 90).

მისი შვილი ბადრ იბნ ჰასანვეიჰი დიდ ტერიტორიას მართავდა. მისი სამფლობელო დინავერს, აჰვაზს, ხუზისთანს, ბორუჯირს, ასადაბადასა და ნეჰავენდს მოიცავდა. ალ-ბარზიკანის მემკვიდრეები დინავერსა და შაჰრიზურს თითქმის 136 წელს განაგებდნენ.

იმავე პერიოდში ქურთული წარმოშობის მეორე დინასტია, რომელიც ფაზლუილები¹³ სახელით იყო ცნობილი, ლურისტანს მართავდა.

ამ დინასტიის დამაარსებლად მიიჩნევენ აბულ ჰასან ფაზლავის, რომელიც ჯაბალ ას-სამავიდან (სირია) ლურისტანში 110 წ. გადმოსახლებულ 400 ქურთულ ოჯახს მეთაურობდა. ეს გადმოსახლება, შერაფ ხან ბითლისის სიტყვებით, გამოწვეული იყო იმ უთანხმოებით, რომელიც წარმოიშვა ტომის ბელადსა და გამოქცეულებს შორის. ფაზლავი და მისი მომხრეები სამხედრო სამსახურში იმყოფებოდნენ ლურისტანის ვე-

¹³ ფაზლუილები ცნობილი იყვნენ კიდევ „დიდი ლურების“ სახელით. სტენლი ლენ პული მათ ხაზარასბილებს უწოდებს (129, გვ. 147). ხაზარასბი მეოთხე ფაზლუილი მმართველის აბუ თაჰირის შვილი იყო. შემდგომში იგი ლურისტანის დამოუკიდებელი მმართველი (ათაბაგი) გახდა.

ზირის მუჰამედ ხურშილის შვილიშვილთან, ხოლო ფაზლავის შვილიშვილი მუჰამედი ფარსის მმართველთა — სალგურეელთა კარზე დაწინაურდა. მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილი აბუ თაჰირი ფარსის ათაბეგის იბნ სონყურის სამსახურში იმყოფებოდა. 1155—1556 წწ. ფარსის მმართველის მეოხებით მან ლურისტანის დაპყრობა მოახერხა და მისი დამოუკიდებელი მართვა დაიწყო. ფაზლუილი ათაბაგები ლურისტანს 1424 წლამდე მართავდნენ.

ახლო აღმოსავლეთში შუა საუკუნეების ქურთული დინასტიებიდან ყველაზე დიდი სახელი მაინც აიუბიანებმა მოიხვეჭეს.

აიუბიანთა მამამთავრად შადი იბნ მარვანს მიიჩნევენ. წარმოშობით იგი რაევანდის¹⁴ ქურთული ტომიდან იყო. 1138 წ. მოსულის თურქული გარნიზონის უფროსმა ად-დინ ზახგი იბნ აჟ-სონყურმა შადი იბნ მარვანი თავის სამსახურში აიყვანა და თიქრითის ციხესიმაგრის უფროსად დანიშნა. შადის ორი შვილი ჰყავდა: ნაჟმ ად-დინ აიუბი და ასად-დინ შირკუჰი. მამის სიკვდილის შემდეგ ისინი ზანგელთა დინასტიის მეორე წარმომადგენლის ნურ ად-დინ აბდულ ყასიმ მაჰმუდ ზნ ზანგის (მალიქ ადილი)¹⁵ სამსახურში იმყოფებოდნენ. 1169 წ. შირკუჰმა ხელთ იგდო პირველი ვეზირის თანამდებობა ეგვიპტეში, მაგრამ მალე გარდაიცვალა და ჯარმა მის ნაცვლად შირკუჰის ძმის ნაჟმადინ აიუბის¹⁶ შვილი — ალ-მალიქ ან-ნასირ I სალაჰ ად-დინ იუსუფი (1138—1193), რომელიც ევროპაში ცნობილია სალადინის სახელით, აიყვანა ტახტზე. ეგვიპტეში დაემხო ფატიმიანთა დინასტია¹⁷ და მის ნაცვლად აიუბიანთა გვარი გაბატონდა¹⁸. ამრიგად სალადინმა საფუძველი ჩაუყარა ახალი, ქურთული დინასტიის მმართველობას ახლო აღმოსავლეთში¹⁹.

¹⁴ შერეჟ ხან ბითლისის ცნობით ეს ტომი ცხოვრობდა სომხეთში, კერძოდ, ქ. დვინში. მეორე ცნობით აიუბელთა დინასტია წარმოიშვა ზაზბანის ქურთული ტომიდან (69, გვ. 96). თავის დროზე რუსი მკვლევარი ი. კარცევი რაევანდის ტომსა და ახლანდელ რევანდუზის ტომს შორის გარკვეულ კავშირს ვარაუდობდა (94, გვ. 345).

¹⁵ მალიქ ადილი (1146—1174) იყო ალუბოსა და დამასკოს ათაბაგი.

¹⁶ აიუბიანთა ქურთულმა დინასტიამ თავისი სახელწოდება სწორედ მისგან მიიღო.

¹⁷ ფატიმიანთა უკანასკნელი ხალიფა ალ-ადიდი დამხოზილი იქნა 1171 წლის სექტემბერში.

¹⁸ ფატიმიანთა და აიუბიანთა დინასტიები ისლამს აღიარებდნენ, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავებით მის სხვადასხვა მიმდინარეობას მისდევდნენ. ისლამის სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ორი: შიზმი და სუნიზმი. ფატიმელები შიიტები იყვნენ, აიუბელები კი სუნიტები.

¹⁹ აიუბიანები გაბატონდნენ ეგვიპტეში (1169 წ.), სირიაში (1186 წ.), იემენში (1174 წ.) და ჩრდილოეთ ქურთისტანის ერთ ნაწილში, კერძოდ დიარბაქრში (1185 წ.). ამასთან მაიაფარიკინი და ჯებელ სინჯარი აიუბიანებს 1185 წლიდან 1260 წლამდე ემორჩილებოდა, ხოლო ამიდსა და ჰასანქაფიში მათი წარმომადგენლები. 1232 წლიდან თითქმის XV საუკუნის 60-იან წლებამდე ბატონობდნენ.

სალადინის სახელთან დაკავშირებულია მუსლიმანური სამყაროს ბრძოლა ევროპელ ჯვაროსნებთან, რომლებიც ცდილობდნენ დაებრუნებინათ მუსლიმანთა მიერ დაპყრობილი და შერყენილი ქრისტიანთა წმინდა ადგილები ახლო აღმოსავლეთში. არამუსლიმანების, ანუ გიორების წინააღმდეგ საღვთო ომის (ჯიჰადი) წარმოების საბაბით სალაჰ ად-დინმა თავისი დროშის ქვეშ თურქები, ქურთები, არაბები გააერთიანა და გარკვეულ სამხედრო-პოლიტიკურ წარმატებებსაც მიაღწია. 1187 წ. სალადინმა დაიპყრო იერუსალიმი და გააძევა ჯვაროსნები თითქმის ყველა მათი სამფლობელოდან, გარდა ხმელთაშუა ზღვის პირას მდებარე ზოგიერთი ქალაქისა. ორი წლით ადრე (1185 წ.) სალაჰ ად-დინმა დიარბაქრის ოლქი დაიმორჩილა. მისი გარდაცვალების შემდეგ (1193 წ.) კი დიარბაქრში აიუბიანთა ორი შტო გაბატონდა.

აიუბიანთა შემდეგ 1250 წლიდან ეგვიპტესა და სირიას თითქმის საუკუნენახევარს ბაჰრელთა დინასტია მართავდა.

ეთნიკურად ბაჰრელების ძირითადი მასა სამხრეთ რუსეთის ველებიდან გამოსული ყივჩაყების, აგრეთვე მონღოლებისა და ქურთებისაგან შედგებოდა. ბაჰრელთა ძალაუფლებამ 1382 წლამდე იარსება, როდესაც ისინი ბურჯელ მამლუქთა დინასტიამ შეცვალა.

შაღადიანთა, მარვანიანთა, ჰასანვეიჰიანთა, ფაზლუილიანთა და აიუბიანთა ქურთული დინასტიების წარმომადგენლები შერეფ ხან ბითლისის კლასიფიკაციით მიეკუთვნებოდნენ იმათ რიცხვს, ვინც სულთნის ხელისუფლების ყველა პრეროგატივებით სარგებლობდა.

თ ა ვ ი II. ქურთთა ნახევრად დამოუკიდებელი სამთავროები განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში (XIII — XVI სს.)

XIII ს. შუა წლებში ახლო აღმოსავლეთში თურქ-სელჩუკთა უღელი მონღოლთა უღლით შეიცვალა. მონღოლ დამპყრობთა სახით ახლო აღმოსავლეთის ხალხებს ახალი უბედურება დაატყდა თავს. 1258 წ. ჩინგიზ ყაენის ერთ-ერთმა შვილმა ჰულაგუმ აბასელთა სახალიფოს უკანასკნელი მბრძანებლის ალ-მუსთასიმის ჯარები გაანადგურა და მისი დედაქალაქი ბაღდადი აიღო. არაბთა სახალიფომ თავისი არსებობა შეწყვიტა. ირანის, ერაყის, ანატოლიისა და ამიერკავკასიის მბრძანებელი ჰულაგუ გახდა. მან მიიღო ილ-ხანის (დიდი ხანის ხელკვეითის) ტიტული და საფუძველი ჩაუყარა ამავე სახელწოდების მონღოლური დინასტიის მმართველობას ირანში. ილხანთა დინასტია აქ თითქმის 80

წელს ბატონობდა²⁰. XIV ს. შუა წლებიდან დაიწყო ილხანთა იმპერიის დაშლა და მის მაგივრად ჯალაირელთა და ჩუფანიანთა ადგილობრივი წარმოშობის დინასტიები გაბატონდნენ. 1336-დან 1432 წლამდე ქურთისტანსა და ერაყში ხელისუფლებას ჯალაირელები ფლობდნენ. მრავალი ათეული წლების მანძილზე ჯალაირელი მმართველები დიდ ბრძოლებს ეწეოდნენ ჯერ ყარა-ყოინლუს (შავბატკნიანების) თურქმანულ ტომებთან, ხოლო შემდეგ ჩრდილო ირანსა და ერაყში შემოჭრილ თემურ ლენგთან.

თემურ ლენგის შემოსევამ ჯალაირელების ძლიერებას ძირი გამოუთხარა და მათი პოზიციები დაასუსტა. ამით ყარა-ყოინლუს ტომებმა ისარგებლეს და თავიანთი ძალაუფლება აზერბაიჯანსა და აღმოსავლეთ ანატოლიის სასაზღვრო რაიონებზე გაავრცელეს. ყარა-ყოინლუს მმართველი დინასტიის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი ყარა-მუჰამედ თურმუში (1380—1389) ჯალაირელების სულთნის უვეისის სამსახურში იმყოფებოდა. მაგრამ უკვე მისმა შვილმა ყარა-იუსუფმა თავრიზი დაიკავა და თავი დამოუკიდებელ მმართველად გამოაცხადა. თემურ ლენგის შემოსევამ აიძულა ყარა-იუსუფი გახიზნულიყო ეგვიპტეში, სადაც ბურჯელ მამლუქებთან თავს აფარებდა. თემურ ლენგის გარდაცვალების შემდეგ იგი კვლავ თავრიზში დაბრუნდა და 1406 წლიდან ბრძოლა დაიწყო თავის მთავარ მეტოქეებთან აქ-ყოინლუს (თეთრბატკნიანები)²¹ ტომებთან, რომლებიც ამ დროისათვის დიარბაქრში ბატონობდნენ. მათ გარდა ყარა-ყოინლუს მეთაურები პირველობას ეცილებოდნენ საქართველოს მეფეებსა და შირვან შაჰებს კავკასიაში.

თემურ ლენგის შვილის შაჰრუჰის გარდაცვალების შემდეგ (1447 წ.), ყარა-ყოინლუს ერთ-ერთმა უკანასკნელმა მეთაურმა ჯეჰან შაჰმა თავისი ძალაუფლება სამხრეთ ირანსა და ომანზეც გაავრცელა. აღზევებული ჯეჰან შაჰი თავისი ძალაუფლების გავრცელებას ჩრდ. დასავლეთ ქურთისტანზეც ცდილობდა და 1467 წ. თავს დაესხა აქ-ყოინლუს მმართველის უზუნ ჰასანის ლაშქარს დიარბაქრში, მაგრამ ყარა-ყოინლუს ტომები დამარცხდნენ, ხოლო მათი მეთაური ბრძოლაში დაიღუპა. ერთი წლის შემდეგ მოკლეს ჯეჰან შაჰის შვილი ჰასან ალიც. ამრიგად, თუ თა-

²⁰ მონღოლთა შემოსევას ხანაში მცირე აზია ბეილიკებით (ფეოდალური სამთავროებით) იყო მოფენილი. ამ სამთავროებს შორის თანდათან ოსმან ოღლუს (ოსმანის შვილების) ბეილიკი დაწინაურდა. ოსმალთა ურდოები ძირითადად ყაზალბით ცხოვრობდნენ. XIV ს. მეორე ნახევარში ოსმანთა მესამე წარმომადგენლის სულთან მურად I-ს (1360—1389) მმართველობის დროს ოსმან ოღლუს საბეილიკო სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოდ გადაიქცა, ხოლო XVI ს. დასაწყისში ოსმალეთი თავის დაპყრობით ომებს იწყებს სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში. ამ დაპყრობათა ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი ქურთისტანი გახდა.

²¹ აქ-ყოინლუს თურქმანული ტომები XVI საუკუნეში მტკიცედ დამკვიდრდნენ ქურთისტანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში — დიარბაქრში.

ვის დროზე ყარა-ყოინლუს დინასტიის აღზევებამ ბოლო მოუღო ილხანთა ბატონობას ირანში, აქ-ყოინლუს დინასტიის გაძლიერებას ყარა-ყოინლუს მმართველობის დაპიხობა მოჰყვა²².

აქ-ყოინლუს მმართველი დინასტიის ფაქტიურ დამაარსებლად ყარა-იულიუკ ოსმანს მიიჩნევენ. დედით იგი ტრაპიზონის კეისრის შთამომავალი იყო. ყარა-იულიუკ ოსმანი ბიზანტიის იმპერატორის ქალიშვილზე იყო დაქორწინებული.

როდესაც 1402 წ. ანკარასთან გამართულ ბრძოლაში თემურ-ლენგმა ანატოლიაში გაბატონებული ოსმალები და მათი სულთანი ბაიაზეთ I (1389—1402 წწ.) „ილდირიმი“ („ელვა“) დაამარცხა, ყარა-იულიუკ ოსმანი თემურ ლენგის მოკავშირე იყო. ამ დახმარებისათვის თემურ ლენგმა მას დიარბაქრი უბოძა.

აქ-ყოინლუს სულთნებიდან ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი უზუნ ჰასანი (1453—1478) იყო. სწორედ მისი მეთაურობით თებრბატკინიანებმა ბოლო მოუღეს თავიანთ მთავარ მეტოქეების — ყარა-ყოინლუს ბატონობას ირანში. უზუნ ჰასანმა თავისი ძალაუფლება არა მარტო ირანზე გაავრცელა, არამედ ერაყზე და სპარსეთის ყურის სანაპიროებზეც. უზუნ ჰასანის მმართველობის დროს აქ-ყოინლუს სასულთნომ საერთაშორისო მნიშვნელობა მოიპოვა (45, გვ. 224). მაგრამ მიუხედავად ამისა, მან ვერ გაუძლო ოსმალთა მოწოლას დასავლეთიდან; ანატოლიაში გაბნეული თურქულ საამიროების შეერთების წყალობით ოსმალთა სახელმწიფო სწრაფად იზრდებოდა.

რაც უფრო ძლიერდებოდა ოსმალთა იმპერია, მით უფრო სუსტდებოდა აქ-ყოინლუს სასულთნო. 1473 წ. თერჯანესთან ოსმალებმა სასტიკად დაამარცხეს უზუნ ჰასანი. აქედან მოყოლებული დიარბაქრის ტერიტორია აქ-ყოინლუს სასულთნოს ტახტის მადიებელთა შორის ამტყდარმა შინა ომებმა და არეულობამ მოიცვა. პოლიტიკურად დასუსტებული აქ-ყოინლუს სასულთნო ირანში ახლად აღზევებულმა სეფიანების მმართველმა დინასტიამ გაანადგურა, ჯერ იყო 1501 წ. ნახიჩევანთან სეფიანთა ირანის პირველმა მბრძანებელმა შაჰ ისმაილ I-მა (1501—1524) აქ-ყოინლუს სულთანი ალვანდი დაამარცხა, ხოლო ორი წლის შემდეგ (1503 წ.) აქ-ყოინლუს უკანასკნელი სულთანი მურადი ჰამადანთან სასტიკად დაამარცხდა და ერაყში გაიქცა. აქ იგი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ 1508 წ. ისმაილ I-მა ბაღდადი აიღო და აქ-ყოინლუს სახელმწიფოსაც ბოლო მოეღო.

XVI ს. დაწყებული ახლო აღმოსავლეთში ძირითადად ორი ძლიერი ცენტრალიზებული მუსლიმანური სახელმწიფო ოსმალეთი და

²² აკად. ვ. ბარტოლდის სიტყვებით „ყარა-ყოინლუსა და აქ-ყოინლუს დინასტიების სახელმწიფოები ერთადერთი ნამდვილად მნიშვნელოვანი თურქმანული სახელმწიფოები იყო მცირე აზიაში“ (66, ტ. V, გვ. 573).

ირანი გაბატონდა, ქურთისტანი ფაქტიურად მათ გაინაწილეს. მიუხედავად თურქეთის სულთნისა და ირანის შაჰის გამაერთიანებელი პოლიტიკისა, ოსმალეთისა და ირანის სახელმწიფოებში შემავალ ქურთულ ტერიტორიებზე ნახევრად დამოუკიდებელი სამთავროები არსებობას განაგრძობდნენ.

XVI ს. თურქეთში შემდეგი მსხვილი ქურთული სამთავრო და საამირო არსებობდა: ბოჰთანი, ჰაკარი, ბაჰლინანი, სორანი, და ბაბან. რაც შეეხება ირანის ქურთისტანს, აქ ქურთებმა მხოლოდ ერთი სამთავროს (არდელანის) შექმნა მოახერხეს.

XVI საუკუნეს ქურთების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მან ბევრად განსაზღვრა ქურთი ხალხის შემდგომი ბედ-იღბალი.

ამ პერიოდისათვის ქურთისტანი მემკვიდრეობით მიღებული საამიროებისა და სამთავროების მეტად ჭრელ ტერიტორიას წარმოადგენდა. ქურთ ამირებსა და მთავრებს შორის ყველა ერთნაირი ძალაუფლებითა და ავტორიტეტით არ სარგებლობდა. მათ შორის აღსანიშნავი არიან ისინი, ვინც საკუთარ ფულს ჭრიდნენ და ხუტბაშიც²³ იხსენიებოდნენ.

ასეთ მმართველთა რიცხვს პირველ რიგში არდელანის, ჰაკარის, იმადიის, ჯეზირესა და ჰასანქაიფის ამირები მიეკუთვნებოდნენ. ეს ფეოდალები სხვა ქურთ მთავრებისა და მმართველებისაგან თავიანთი პოლიტიკური წონით გამოირჩეოდნენ. მათი პოლიტიკური ზეგავლენა გაპირობებული იყო მათ საკუთრებაში მყოფი მიწებისა და მათგან მიღებული შემოსავლის რაოდენობით, აგრეთვე ვასალებისა (ნუკერების) და შეიარაღებული რაზმების რიცხვით.

XVI ს. ქურთისტანის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი საამირო ჯეზირათ იბნ უმარა (ჯეზირე) იყო. იგი 14 მცირე ოლქს მოიცავდა და გადაჭიმული იყო მდ. ბოჰთან სუს და ტიგროსს შორის მდებარე ტერიტორიაზე.

ჯეზირეს მმართველები სამ შტოდ იყოფოდნენ: აზიზან, გურგილ²⁴ და ფინიკ²⁵. ჯეზირეს პირველი გამგებელი სულეიმან იბნ ხალიდი იყო. იგი თავის შთამომავლობას ომაელთა ხალიფა ხალიდ იბნ ვალიდს უკავშირებდა. ფაქტიურად კი ჯეზირეს მმართველი დინასტიის წარმომადგენლები წარმოშობით ქურთები იყვნენ.

²³ ხუტბა — მმართველის სახელის საზეიმო გამოცხადება პარასკევ დღეს, რომელიც მუსლიმანთა უქმე დღეა.

²⁴ გურგილი ეწოდებოდა აგრეთვე ქურთულ ციხესიმაგრეს. გურგილი ბოჰთის ტომობრივი გაერთიანების ბელადის მთავარ რეზიდენციას წარმოადგენდა (177ა, ტ. 2, გვ. 1199, 1207).

²⁵ ამავე სახელწოდების ციხესიმაგრეც არსებობდა: იგი მდებარეობდა მდ. ტიგროსზე ჯეზირეს ჩრდილოეთით. ამჟამად მისი მხოლოდ ნანგრევები არის დარჩენილი (177ა, ტ. 4, გვ. 921).

როგორც შერეფ ხან ბითლისი გვატყობინებს, სულეიმან იბნ ხალიდის წინაპრები თავდაპირველად ძველ ქურთულ რელიგიას იეზიდღიზმს მისდევდნენ, მაგრამ შემდეგ გამუსლიმდნენ და ისლამის სუნიტური მოძღვრება აღიარეს. ჯეზირეს მმართველი დინასტიაც ბოჰთის ქურთული აშირეთიდან იყო გამოსული. თავის დროზე ბოჰთელა ქურთები თავიანთი მებრძოლი სულითა და სიმამაცით იყვნენ განთქმული. სხვა ქურთებისაგან ბოჰთელები თავიანთი შეიარაღებითაც²⁶ გამოირჩეოდნენ.

ბოჰთის აშირეთში შემდეგი ქურთული ტომები იყვნენ გაერთიანებული: შაჰრივარი, შაჰრილი, გურგილი, ასტური, ბარაჯი, არუჰი, ფირუზ, კარსი, შილდი, ბარასბი, კურშილი, ჭილიკი. მათ გარდა ჯეზირეში იეზიდებიც ცხოვრობდნენ. ისინი სამ ტომად (ნივიკდანი, შურაშ, ჰავილი) იყოფოდნენ. მმართველი დინასტია თავის შემოსავალს აქ მცხოვრებ ასურელებისა და სომხებისაგან ღებულობდა (26, გვ. 177).

1394 წ., როდესაც თემურ ლენგმა ჯეზირე დაიპყრო²⁷, მის ამირას იზზედინს ორი სახის გადასახადი დააკისრა: ხარაჯა (გადასახადი მიწაზე) და თალარ (ნატურალური გადასახადი). ეს გადასახადები თემურის ჯარისათვის სურსათ-სანოვავის მიწოდებას გულისხმობდნენ (26, გვ. 180—181). მას შემდეგ, რაც ქურთისტანის ტერიტორიის ნაწილი აყ-ყოინლუს ბატონობის ქვეშ მოექცა, ჯეზირეს საამიროს დიდი განსაცდელი დაატყდა თავს. ჰასან ბეგ (უზუნ ჰასანი) აყ-ყოინლუმ ჯეზირე დაიპყრო და ბოჰთის მმართველი დინასტია თითქმის ამოჴლიტა. აქედან მოყოლებული დაახლოებით 30 წელს ჯეზირეში აყ-ყოინლუს წარმომადგენელი ჩალაბი ბეგი ბატონობდა. XVI ს. დასასრულს ბოჰთის მმართველი დინასტიის ერთ-ერთმა გადარჩენილმა წარმომადგენელმა ამირა შარაფმა ჯეზირეს ქურთები გააერთიანა და თავისი წინაპრების სამფლობელო კვლავ ხელთ იგდო.

ამირა შარაფი ჯეზირეს დამოუკიდებელი მმართველი იყო სეფიანთა გაბატონებამდე. დასაწყისში ყიზილბაშებმა ბოჰთელებთან წარმატებას ვერ მიაღწიეს. მრავალ ბრძოლებში, რომლებიც მათ შორის გაიმართა, გამარჯვებულები მეტწილად ბოჰთელები გამოდიოდნენ. მაგრამ საბოლოოდ ირანის შაჰმა ისმაილმა ჯეზირეს მმართველი შაჰ ალი ბეგი მოტყუებით თავრიზში მიიწვია და იქ დაატყდა. ჯეზირეში მან თავისი ნაცვალი ულამ ბეგი უსტაჯლუ გააგზავნა.

მაგრამ ვერც ყიზილბაშებმა მოიკიდეს ფეხი დიდი ხნით. ჯეზირეში შაჰ-ალი ბეგი ციხიდან გამოიქცა და ჯეზირე დაიბრუნა. შემდეგ ჯეზი-

²⁶ არაბული ჯიშის ცხენებზე ამხედრებული ბოჰთელი მეომრები ეგვიპტურა ხმლებითა და დამასკოს ხანჯლებით იყვნენ შეიარაღებული.

²⁷ ქურთისტანში თემურის ამ შემოსევისას, ერთ-ერთი ქურთული ციხის ალყის დროს, დაიღუპა მისი შვილი ომარი შეიხი (66, ტ. II, წგ. II, გვ. 40).

რეს მისი შვილი სულეიმან ბეგი მართავდა. მისმა შვილმა ბადრ ბეგმა სპარსეთის შაჰის ქვეშევრდომობას თურქეთის სულთნის ვასალობა არჩია და სულეიმან II კანუნის (1520—1566) მოკავშირე გახდა. იგი 70 წელს მართავდა ჯეზირეს და თურქების მიერ ბაღდადის, ვანისა და თავრიზის დაპყრობაში მონაწილეობდა. მიუხედავად ამისა, შემდგომში სულთანმა მას უნდობლობა გამოუცხადა და ჯეზირე სამართავად მის ძმას ნასირ ბეგს გადასცა. ბადრ ბეგი კი სინჯარში გადასახლდა.

ნასირ ბეგის სიკვდილის შემდეგ ბადრ ბეგი კვლავ დაბრუნდა ჯეზირეში. ამ დროისათვის ბადრ ბეგი ღრმად მოხუცებული იყო და საქმეებს უკვე ფაქტიურად მისი შვილი ამირა მუჰამედი განაგებდა. მუჰამედი განთქმული იყო თავისი სიმდიდრით²⁸.

მამის სიკვდილის შემდეგ (1571 წ.) იგი დამოუკიდებელი მმართველი გახდა.

1578 წ. ზაფხულში იგი ლალა მუსტაფა ფაშას მიერ ამიერკავკასიის ქვეყნების წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში მონაწილეობდა. 9 აგვისტოს ჩილდირის ველზე ირანსა და ოსმალეთის ჯარებს შორის გამართული სისხლისმღვრელი ბრძოლა მეტად ცხარე ხასიათს ატარებდა და ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა²⁹. ამ ბრძოლაში ქურთებმა ოსმალებს დიდი დახმარება აღმოუჩინეს. მრავალი ქურთი დიდებული და მათ შორის ჯეზირეს, ხაზოს, ზრაკის ამირები ბრძოლის ველზე დაეცნენ. შერეფ ხან ბითლისის ცნობით ჩილდირის ბრძოლაში ორივე მხრიდან 3000 კაცი დაიღუპა (26, გვ. 190).

როგორც აღვნიშნეთ, XVI ს. უკანასკნელ მეოთხედში ჯეზირეს მცირე ხნით ამირა მუჰამედი მართავდა, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ (1583 წ.) ნასირ ბეგი. ნასირ ბეგის გარდაცვალების შემდეგ მის შვილს ხან აბდულაჰს თურქეთის სულთანმა არ დაუმტკიცა ჯეზირე როგორც სამემკვიდრეო სამფლობელო. უფრო მეტიც, სულ მალე ადრიანოპოლში იგი სიკვდილით დასაჯეს.

ჰაკარი (ჰაკიარი). ჰაკარის ამირას ხელისუფლება სამხრეთ აღმოსავლეთ თურქეთის მთიან ნაწილზე ვრცელდებოდა. აღმოსავლეთით იგი ირანს ესაზღვრებოდა და დასავლეთით ბითლისის ოლქს, სამხრეთით კი ახლანდელი ერაყის ქურთებით დასახლებულ რაიონს. ჰაკარის მმართველთა გვარი შამბო ქურთ დიდებულთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი იყო ციხესიმაგრე ბაი ამ საგვარეულოს რეზიდენციას წარმო-

²⁸ მას 12 000 ცხვარი ჰყავდა და ამის წყალობით დიდ შემოსავალს იღებდა. გარდა ამისა, მან თავის გლეხებს 100 000 ქათამი დაურიჯა და ყოველწლიურად მათგან კვერცხების დადგენილ რაოდენობას იღებდა. მუჰამედის სიკვდილის შემდეგ მის ხაზინაში ძვირფასი ქვების გარდა აღმოჩნდა 200 ათასი ოქროს მონეტა.

²⁹ ირანის მხარეზე ქართველთა ლაშქარიც იბრძოდა, ხოლო თურქების მოკავშირენი ქურთები იყვნენ.

ადგენდა. იგი მდებარეობდა შამდინანში. შამბოს წარმომადგენლებს თავიანთი წარმოშობა ტრადიციულად აბასელთა ხალიფებისაგან გამოჰყავდათ.

შერეფ ხან ბითლისის მოწმობით, ჰაკიარის მმართველების მიმართ ახლო აღმოსავლეთის მბრძანებლები კეთილად იყვნენ განწყობილი და მათ თავიანთ მფარველობასა და გულუხვობას არ აკლებდნენ. თუ რომელიმე მათგანი მიანც იპყრობდა ჰაკიარის საამიროს, ისევე მალე უბრუნებდა მას შამბოს გვარის წარმომადგენელს მულქის (აბსოლუტური საკუთრება) უფლებით. მაგალითად, 1385—1388 წწ. თემურ-ლენგი ბაიანეთის ციხე-სიმაგრის აღების შემდეგ თავისი ლაშქრით ვანისა და ვოსთანისაკენ გაემართა. ჰაკიარის ამირა იზხედინ შირი ვანის ციხეში ჩაიკეტა და ბრძოლისათვის მოემზადა. თემურ-ლენგმა ვანს ალყა შემოარტყა. როდესაც იზხედინი დარწმუნდა, რომ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, მორჩილების ნიშნად თემურ-ლენგს კარავში ეახლა. მაგრამ ვანის ციხის დამცველთა ერთი ნაწილი არ დაემორჩილა იზხედინს და მრისხანე დამპყრობელს ბრძოლა გაუმართა. თემურ-ლენგმა ვანის ციხე მხოლოდ 27 დღის ბრძოლის შემდეგ აიღო. ციხის მამაცი დამცველები თემურის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს, ხოლო ვანის ციხე ნაწილობრივ დაანგრიეს. ამის შემდეგ თემურ-ლენგი ხოისა და სალმასისაკენ გაემართა.

სალმასის ველს რომ მიაღწია, თემურ-ლენგმა იზხედინს ჰაკიარის მფლობელობაზე სიგელი უბოძა. იზხედინი ჰაკიარს მულქის უფლებით ფლობდა (26, გვ. 154).

ასეთივე სიგელები შამბოს გვარის წარმომადგენლებს 1421 წ. თემურ-ლენგის შვილმა მირზა შაჰრუჰმაყ (1405—1447) უბოძა.

ირანში აქ ყოინლუს დინასტიის გაბატონების შემდეგ მისმა ფაღიშმა შაჰმა უზუნ ჰასანმა თავისი სარდლები სუფი ხალილი და არაბშაჰ-ბეგი ჰაკიარის დასაპყრობად გააგზავნა. ჰაკიარის მაშინდელი მმართველი იზხედინ შირი ბრძოლაში დაამარცხეს და მოკლეს. მის ნაცვლად ჰაკიარის მმართველობა დუმბულის ქურთულ ამირეთს ჩააბარეს. ეს ამირეთი ამ მხარეს აყ-ყოინლუს დინასტიის სახელით მართავდა. ჰაკიარის ყოფილ ამირათა საგვარეულოდან ერთ-ერთმა გადარჩენილმა ასადდინ იბნ გულაბიმ, რომელიც ეგვიპტელ მამლუქების სამსახურში იმყოფებოდა³⁰, ჰაკიარელ ასურელთა დახმარებით ვანის ციხე ხელში ჩაიგდო. ციხის დამცველი დუმბულის ტომის ქურთების დიდი ნაწილი გაჟლიტეს³¹.

³⁰ ასადდინმა თავისი სიმამართა და გულადობით ეგვიპტის მაშინდელი ჩერქეზი სულთნების დიდი ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა. როდესაც ერთ-ერთ ბრძოლაში მან ხელი დაკარგა, ეგვიპტის მმართველის ბრძანებით ასადდინს ოქროსაგან ჩამოსხმული პროტეჯი გაუკეთეს (26, გვ. 155).

³¹ გადმოცემით ეს ამბავი შაბათ დღეს მოხდა. შაბათს კი ადგილობრივი მოსახლეობის ენაზე „შამბო“ ეწოდებოდა. ჰაკიარის მმართველი საგვარეულოს სახელწოდებაც ამ სიტყვას უკავშირდება.

შაჰ ისმაილ I სეფევის მეფობის ხანაში ასადდინის შვილიშვილს ზაჰიდ ბეგს ჰაკიარის ოლქი როგორც მემკვიდრეობითი სამფლობელო კვლავ დაუდასტურეს. ზაჰიდ ბეგი თავის სამთავროს თითქმის 60 წელს მართავდა. მას ორი შვილი ჰყავდა: მალიქ ბეგი და საიდ მუჰამედ ბეგი. პირველის ადგილსამყოფელი ბაის ციხესიმაგრე იყო, მეორისა — ეოს-თანნი. 1585 წლისათვის ჰაკიარს საიდ მუჰამედ ბეგის ვაჟი ზეინალ ბეგი მართავდა, ხოლო XVI ს. დასასრულს (1596 წ.) მისი შვილი ზაჰარია ბეგი.

ჰაკიარის სამთავროს სამხრეთით იმადიის საამირო ესაზღვრებოდა, იგი იმადიის³², დოჰუქის, აკრისა და ზეზარის მთიან რაიონებს მოიცავდა. იმადიის ამირები ბანი აბასის (აბასის შვილები) სახელწოდებით იყვნენ ცნობილი. თავიანთ წარმოშობას ისინი აბასელთა ხალიფებს უკავშირებდნენ. მაგრამ როგორც შერეფ ხან ბითლისი ამტკიცებს, მმართველი საგვარეულო წარმოშობით შამდინანიდან იყო. შამდინანი ვანის სამხრეთ აღმოსავლეთით და ურმიის სამხრეთ დასავლეთით მდებარეობდა. იმადიაში გაბატონებამდე ამ გვარის წარმომადგენლები ტარუნის ციხესიმაგრეს მართავდნენ. ტარუნიდან იმადიაში პირველი ვინმე ბაჰადინი მოვიდა და აქედან მოყოლებული იმადიის მმართველები ქურთისტანის სხვა ამირებს შორის მის შთამომავლებად (ბაჰადინანად) იწოდებოდნენ. ბაჰადინანები შამდინანის ოლქს თითქმის ოთხ საუკუნეს მართავდნენ.

ქურთისტანში იმადიის ციხესიმაგრე სელჩუკთა ბატონობის პერიოდში ააგეს. საამიროს ცენტრში — იმადიაში მეჩეთი და მედრესე (სკოლა) იყო აშენებული. ამ მედრესეში თეოლოგიურ მეცნიერებას წარჩინებულთა შვილები ეუფლებოდნენ. იმადიაში ძირითადად არაბები და ქურთები ცხოვრობდნენ. ქურთულ ამირეთებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი მიზური და ზეზარი იყო. სხვა ამირეთებიდან აღსანიშნავიარადკანი (ქურთულად რეკანი), ბარვარი, მაჰალ, სიაბრავი, ტაილი და ბუჰლი (ქურთულად ნიშნავს „ხეობას“).

იმადიის საამიროს სხვადასხვა ციხესიმაგრეებს (აკრა, დოჰუქი, დაირი, ბეშირი, კალადე, შუში, იმრანი და ბაზირინი) ამირას შვილები, ბიძაშვილები ანდა ქურთთა ცალკეული ტომები მართავდნენ.

ბაჰადინანთა ქურთული დინასტია იმადიაში VII—VIII სს. გაბატონდა. თემურ-ლენგისა და მისი შვილის შაჰრუჰის მმართველობის პერიოდში (XIV—XV სს.) ამ დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი ზაინადინი იმადიის ამირა იყო. თეთრბატკნიანთა ბატონობის დროს მათმა მბრძანებელმა, აკრისა და შუშის ციხეების აღების შემდეგ ვინმე სულეიმან

³² იგი მდებარეობდა ქ. ვანსა და მოსულს შორის. მოსულიდან იგი დაშორებული იყო 80 კმ-ით.

ბეგი ბიყან ოღლი იმადიის დასაპყრობად გააგზავნა. მაგრამ იმადიის მმართველმა ჰასანმა თავისი საამიროს თავდაცვის ორგანიზება შეძლო და შემოსეული მტერი უკუუაგდო. თეთრბატკნიანთა ძალაუფლების მოსპობის შემდეგ ამირა ჰასანი შაჰ ისმაილის ვასალი გახდა. სწორედ ამ დროს მან იეზიდებით დასახლებული დოჰუქის სანჯაყი და ზახო შეუერთა თავის სამემკვიდრეო სამფლობელოს (177ა, ტ. I, გვ. 328, ტ. 2, გვ. 1209).

ჰასანის გარდაცვალების შემდეგ თურქ-ოსმალებმა იმადიანე თავისი გავლენა გააერთიანეს. თურქეთის სულთანმა სულეიმან-ხანმა იმადიის ვალის (მმართველის) თანამდებობა მის უფროს ვაჟს ჰუსეინს დაუმტკიცა.

ჰუსეინი თანამედროვეთა ცნობით განსწავლული და ჰკვიანი კაცია ყოფილა. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქურთისტანის სხვა ამირებსა და მმართველებს შორის (26, გვ. 170). მისი სიკვდილის შემდეგ ოსმალეთის ახალმა სულთანმა სელიმ II-მ მის შვილს ყუბად ბეგს იმადიის ვალის თანამდებობა უბოძა. მაგრამ ყუბად ბეგი მამისაგან განსხვავებით გონებასუსტი და უნებისყოფო მმართველი ყოფილა. ამის გამო ზოგიერთი ტომი განუდგა მას. დროებით (8 თვე) იმადიის ამირა ყუბად ბეგის ბიძაშვილი ბაირამ ბეგი გახდა. მან თავი ირანის შაჰის ქვეშევრდომად აღიარა და ყაზვინში შაჰ ისმაილ II-ის სამსახურში ჩაღვა. 1585 წ. ბაირამ ბეგმა ირანის შაჰის ჯარების მიერ საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა. იმავე წლის დეკემბერში ყუბად ბეგის შვილმა საიდ ხან ბეგმა მამის მკვლელობისათვის შური იძია და ბაირამ ბეგი სიკვდილით დასაჯა. ამირას თანამდებობა ხელთ იგდო საიდ ხან-ბეგმა, რომელიც იმადიის საამიროს XVI ს. ბოლომდე მართავდა.

ა რ დ ე ლ ა ნ ი ს ა მ თ ა ვ რ ო. იგი ცნობილი იყო აგრეთვე როგორც სპარსეთის ქურთისტანი. ჩინგიზიანთა (ჩინგიზ ყაენის შთამომავლები) მმართველობის პერიოდში გურანის ტომიდან გამოსულმა ვინმე ბაბა არდელანმა, რომელიც დიარბაქრის მმართველთა შთამომავალი იყო, შაჰირიზური დაიპყრო და თავი დამოუკიდებელ მმართველად გამოაცხადა. ბაბა არდელანის სიკვდილის შემდეგ მისი შვილი კალული არდელანის მმართველი გახდა. კალულს ჰყავდა 6 ვაჟი, რომელთაც თავი არაფრით გამოუჩენიათ. ბაბა არდელანის სხვა შთამომავლებიდან მამუნ იბნ მუნზირი არის აღსანიშნავი. როგორც დამოუკიდებელი მმართველი, არდელანის საამიროს იგი დიდხანს მართავდა. მამუნის სიკვდილის შემდეგ არდელანის საამიროს სამემკვიდრეო სამფლობელოები მის შვილებს შორის დაიყო. ზალმის, თალსუს, შემირანის³³, ჰავარანის, სიმა-

³³ თალსუსა და შემირანის სახელწოდებით დღეს ერაყის ქუროისტანში (პალაქის ნაპიაში) ორი სოფელი არსებობს (171ა, გვ. 108).

ნის, რავანდის, გულამბარის³⁴ ციხე-სიმაგრეები მათი სანახებით ბილა ბეგს ერგო, ამათვან მთავარი ზალმის ციხე იყო. იგი ბაბა არდელანმა ჯერ კიდევ 1168 წ. ააშენა. ეს ციხესიმაგრე დიდხანს არსებობდა

არდელანის ტერიტორიის დიდ ნაწილს XVI ს. შუა წლებში დაეპატრონა ბილა ბეგის ძმა სურჰაბ-ბეგი, რომელსაც შაჰ თამაზი (1524—1576) ერთგული სამსახურისათვის³⁵ ყოველწლიურად ათას თუმანს აძლევდა. სურჰაბ ბეგი სამოც წელზე მეტ ხანს მართავდა არდელანის საამიროს, მისი მემკვიდრეების (სურჰაბ ბეგს 11 შვილი ჰყავდა) დროს შაჰ-რიზურის ოლქი არდელანს ჩამოშორდა და ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ოსმალეთის ქვეშევრდომობის დროს არდელანის საამიროს სურჰაბ ბეგის შვილები სულთან ალი და ზასათ ბეგი მართავდნენ. 1580 წ. არდელანის მმართველობა სულთან ალის შვილის თემურ ხანის ხელში გადავიდა. მან აღიარა სულთან მურად III-ის (1574—1595) ქვეშევრდომობა³⁶ და მის შვილებს სანჯაყის უფლებით უბოძეს სენე (სენენდექი), ჰასანაბადი, ყიზილჯი-კალე, ყარათაგი, მარიევანი და შარბაქერი³⁷.

თვითონ თემურ ხანმა მირ-მირანობა მიიღო და ფაშად იწოდებოდა. მაგრამ ამის შემდეგაც თემურ ხანი ხშირად ღალატობდა ოსმალთა სულთანს და ყიზილბაშებს ემხრობოდა. საბოლოოდ თემურ ხანი დაიღუპა ყიზილბაშებთან ბრძოლაში 1590 წ. თითქმის XVI ს. ბოლომდე არდელანს მართავდა მისი ძმა ჰალუ-ბეგი, რომელმაც თავი სულთან მურად ხანის ვასალად ცნო. ერთდროულად იგი ცდილობდა კარგ ურთიერთობაში ყოფილიყო ყიზილბაშ მბრძანებლებთანაც. ასეთი პოლიტიკის წყალობით ჰალუ-ბეგი არდელანის დამოუკიდებელი და თვითმპყრობელი მმართველი გახდა (26, გვ. 152).

ქურთისტანში გარკვეული ავტონომიით ჰასანქაიფის სამალიქოც სარგებლობდა, აქაურ ქურთ მალიქებს თავიანთი თავი აიუბიანთა შთამომავლებად მიაჩნდათ³⁸.

³⁴ ეს ციხესიმაგრე XVII ს. დასაწყისში შაჰ აბას I-მა დაანგრევინა. დღეს ამავე სახელწოდების პატარა ქალაქი არის ირან-ერაყის საზღვარზე (177-ა, გვ. 108)

³⁵ შაჰ თამაზს შირვანის გამგებელი, მისი ძმა ალქას-მირზა ტახტს ეცილებოდა. სურჰაბ ბეგს დახმარებით შაჰმა ალქას-მირზა სასახლეში შეიტყუა, დააპატიმრა, ხოლო ერთი წლის შემდეგ (1550 წ.) ციხესიმაგრის კლდიდან გადმოაგდებინა. აი სწორედ ამ სამსახურისათვის დაიახლოვა შაჰ თამაზმა სურჰაბ-ბეგი.

³⁶ სულთანმა მურად ხანმა თემურ ხანს 100 ათასი ოსმალური ახჩა (ვერცხლის მონეტა) შემოსავალი უბოძა შაჰრიზურის სულთნის მამულებიდან.

³⁷ შარბაქერი ამჟამად ერაყის (ერაყის ქურთისტანი) შემადგენლობაშია.

³⁸ აიუბიანები, როგორც აღვნიშნეთ, ბაჟონობდნენ ეგვიპტესა და სირიაში XII საუკუნიდან. ერთ-ერთი ლტოლვილი აიუბიანი ჯერ დასახლდა მარდინში, სადაც ადგილობრივი მმართველის სამსახურში იმყოფებოდა, ხოლო შემდეგ გადავიდა რას ალგულში, რომელიც უფრო გვიან ცნობილი გახდა ჰასანქაიფის სახელით.

ჰასანქაიფის სამალიქო მოიცავდა სიირთის, ბეშირის, არზანის ოლქებს. უკვე XIV საუკუნეში ჰასანქაიფს თავისი დამოუკიდებელი მალიქი ჰყავდა³⁹. ჰასანქაიფის მალიქებს შორის ყველაზე დიდი სახელი მალიქ ხალილმა მოიხვეჭა. იგი მთელ ქურთისტანში სიღიადითა და ფუფუნებით გამოირჩეოდა. თავისი საქმიანობითა და ჩვევებით იგი უფრო ხელმწიფეს ემსგავსებოდა. მალიქ ხალილი დაქორწინებული იყო ირანის შაჰის ისმაილის დაზე. იგი მმართველობდა XVI ს. დასაწყისში, ხოლო XVI ს. ბოლოსათვის ჰასანქაიფის მალიქებმა თავიანთი ძალაუფლება უკვე დაკარგეს (26, გვ. 219).

ღღევანდელი ერბილის მუჰათაზის ტერიტორიას დაახლოებით შეესაბამებოდა მაშინდელი სორანის საამირო. სორანის ამირების ოჯახი არაბული წარმოშობისა იყო. მმართველი გვარის დამაარსებლად მიიჩნევენ ვინმე კალუსს, რომელიც ბაღდადის არაბ ღიღებულების წრეს მიეკუთვნებოდა. XVI ს. დასაწყისში სორანის ამირამ მირ საიდმა ყიზილბაშებს ძალით წაართვა მოსული, ერბილი და კირკუჯი, 1535 წ. სულთან სულეიმან ხანმა მას შემდეგ, რაც ბაღდადი დაიპყრო, ერბილის ტერიტორია უბოძა იეზიდთა ტომის ერთ-ერთ ბელადს ჰუსეინ ბეგ დასნის (იეზიდს).

ერბილის ახალ გამგებელს ჰუსეინ ბეგსა და სორანის მმართველი გვარის შთამომავლის მირ საიდის შვილს საიფ ად-დინს შორის პირველობისათვის ბრძოლა დაიწყო. ეს ბრძოლა საიფ ად-დინის გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ქიშპობა და მტრობა იეზიდებსა და სორანის ამირას შთამომავლებს შორის შემდგომშიც გრძელდებოდა. საბოლოო ჯამში იეზიდების დამორჩილება და სორანის შემოტევიკება საიფად-დინის შთამომავლებმა მხოლოდ XVI ს. ბოლოსათვის შეძლეს. შერეფ ხან ბითლისის მოწმობით, ამ დროისათვის მეზობელი ამირები და მთავრები მორჩილებას გამოხატავდნენ სორანის მმართველებისადმი (26, გვ. 329).

ღღევანდელი ერაყის ქურთისტანის სამხრეთი ტერიტორია, რომელიც თანამედროვე ერბილის ოლქის ნაწილსა და მთლიანად სულეიმანიეს მუჰათაზას (გუბერნია) მოიცავდა XIV—XV სს. ბაბანთა ქურთულ

შერეფ ხანის გაღმოცემით რას ალ-გულის ციხე-სიმაგრის დამაარსებელმა თავის მმართველობის დროს ვინმე არაბი ღიღებული ჰასანი შეიპყრო და ციხეში ჩასვა. ჰასანს სიკვდილთ დასჯა ემუქრებოდა. სიკვდილის წინ ჰასანმა მალიქს ციხის შიგნით თავისი ცხენთ გასეირნების ნება სთხოვა. მალიქმა თხოვნა შეუსრულა. ჰასანმა ამით ისარგებლა და ციხის კედლიდან ცხენიანად პირდაპირ მდინარეში გადაეშვა. ცხენი დაიღუპა, მაგრამ ჰასანი გადარჩა და სამშვიდობოს გავიდა. როდესაც ჰასანი მი-მალა, ხალხს ამოხდა: „ჰასან ქაიფ“ — „როგორი ჰასანია!“ მას შემდეგ ეს ციხე ჰასანქაიფის სახელით არის ცნობილი (26, გვ. 210).

³⁹ ჰასანქაიფის პირველი მმართველი მალიქ ადლი (გარდ. 1380 წ.) იყო.

დინასტიის სამემკვიდრეო სამფლობელოს შეადგენდა. ბაბანთა საგვარეულოს მთავარი რეზიდენცია შარბაყერში მდებარეობდა. ბაბანთა ერთ-ერთმა პირველმა წარმომადგენელმა ფირ ბუდაგმა თავის ხელისუფლებას მეტად დიდი ტერიტორია დაუმორჩილა. ზარზას ქურთულ ტომს მან ლარჯანი წაართვა, სორანის ამირებს სივი და მაშიაგერდი, ხოლო სეფიანთა შაჰს სულდუზი. იგი აშენებდა ახალ ციხესიმაგრეებს და თავისი სახელით საამიროს სხვადასხვა ნაწილში ახალ მმართველებს (მირლიეებს) ნიშნავდა. თავის სამფლობელოს ფირ ბუდაგმა შეუერთა შარბაყერის ტერიტორია, რომელიც მანამდე არდელანის მმართველებს ექვემდებარებოდა. მან დაიმორჩილა მუქრისა და ბანეს გავლენიანი ამირეთები, დაიპყრო კირკუკი, რომელიც მანამდე ბაღდადის მმართველის საგამგებლოს შეადგენდა, და იქ თავისი მულაზიმი (მმართველი) დანიშნა. იმდროინდელი ქურთი პოეტები ფირ ბუდაგის მამაცობასა და სულგრძელობას თავის ლექსებს უძღვნიდნენ.

ფირ ბუდაგის სიკვდილის შემდეგ ბაბანთა საამიროს სათავეში ფირ ნაზარი ჩაუდგა. მან ბაბანთა სამფლობელოს ქიფრი შეუერთა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ბაბანთა სამფლობელო ორად გაიყო. ერთში ვინმე სულეიმანი გაბატონდა, ხოლო მეორეში — მირ იბრაჰიმი. თავის დროზე, ფირ ბუდაგის მმართველობის ხანაში ორივე მმართველი სანჯაყების მეთაურები იყვნენ. შაჰ თამაზ I მეფობის წლებში ბაბანთა მთელ საამიროს მირ იბრაჰიმის შვილი ჰაჯი შეიხი დაეპატრონა. 1535 წ. იგი განუდგა ირანის შაჰს და თურქეთის მაშინდელ სულთანს სულეიმან ლაზის მფლობელობა სთხოვა. აქედან მოყოლებული თითქმის XIX ს. შუა წლებამდე ბაბანი მმართველები ხან ირანის შაჰის ქვეშევრდომები იყვნენ, ხან კიდევ ოსმალეთის სულთნისა.

ჩამოთვლილ ქურთულ საამიროების გარდა შუა საუკუნეებში ქურთებით დასახლებულ ტერიტორიაზე კიდევ ბევრი სხვა სამემკვიდრეო სამფლობელოები არსებობდა.

მათგან შეიძლება დავასახელოთ ხიზანი, ასბაირდი და მოკსი, რომელთა მმართველები სელჩუკთა ბატონობის დროს თავს დამოუკიდებლად გრძნობდნენ. ეს დამოუკიდებლობა მათ დაკარგეს თურქეთის სულთან სულეიმან I-ის (1403—1421) დაპყრობების შემდეგ.

XV ს. ბოლოს ხიზანის სამხრეთით მდ. ბოჰთან სუ-ზე ახალი ქურთული სამთავრო შირვანი წარმოიშვა.

ჯერ კიდევ X—XI სს. რუზაჯის (როყჯის) ძლიერი ქურთული ტომი ბითლისს დაეპატრონა და იგი თავის ლენურ სამფლობელოდ გადააქცია. XVI საუკუნისათვის რუზაკი 24 ქურთულ ამირეთს აერთიანებდა და მძლავრ ქურთულ კონფედერაციას წარმოადგენდა.

XIV ს. ბოლოსათვის თემურ-ლენგის შემოსევის დროს ბითლისის ამირა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მმართველი იყო. ხუთი საუკუნის

მანძილზე ბითლისის ამირებმა თავიანთი ძალაუფლება მხოლოდ ორჯერ დაკარგეს. პირველად ეს 1080 წლამდე მოხდა, როდესაც თურქ-სელჯუკები ახლო აღმოსავლეთში გაბატონდნენ და მეორედ 1466—1494 წწ., როდესაც ისინი იძულებულნი იყვნენ ძალაუფლება აყ-ყონილუს დინასტიისათვის დაეთმოთ. ყარა-ყონილუს პირველი მმართველების პერიოდში ბითლისელი ამირები თავისი სახელით ფულსაც ქრიდნენ და ხუტბაშიც იხსენიებოდნენ.

1508 წ. ბითლისის საამირო შაჰ ისმაილმა დაიპყრო. ირანის შაჰმა ბითლისის ამირა ციხეში ჩასვა, ხოლო ბითლისის მმართველობა ყიზილბაშ ქურდებზე შარაფულ-უსტაჯლუს ჩააბარა.

ირან-თურქეთის 1514 წ. ომის დროს დატუსაღებულმა ამირა შარაფმა ყიზილბაშთა ტყვეობიდან გაქცევა მოახერხა და ბითლისის კვლავ დაეპატრონა. იგი დაუკავშირდა თურქეთის სულთანს სელიმ I „მრისხანეს“ (1512—1520), რომელმაც მას მემკვიდრეობითი უფლებები დაუდასტურა და ნახევრად დამოუკიდებელი მმართველის უფლებები შეუნარჩუნა. 1531 წ. თურქეთის ახალმა სულთანმა სულეიმანმა მისი გადაყენება სცადა. მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ამირა შარაფი სპარსეთის შაჰის მხარეზე გადავიდა. სულთანმა ბითლისის ამირას თანამდებობა სპარსეთიდან გამოქცეულ თექელუს ყიზილბაშური ტომის ბელადს — ულამას უბოძა. მიუხედავად სულთნის სამხედრო დანებებისა, ალყაშემორტყმული ბითლისი ულამამ მაინც ვერ აიღო, შაჰ თამაზ I პირადად დაეხმარა ბითლისის ციხის დამცველებს. ერთდროულად სპარსეთის მბრძანებელმა თავის მოკავშირე ამირა შარაფს ამირთა ამირას წოდება უბოძა და იგი ქურთისტანის ყველა ამირას უფროსად დანიშნა.

მაგრამ ამირა შარაფმა თავისი ძალაუფლება დიდხანს ვერ შეინარჩუნა, 1533 წ. ულამასთან ბრძოლაში იგი დაიღუპა. ბითლისის მმართველობა მის შვილს შამს ად-დინს გადაეცა, შამს ად-დინი „შარაფ ნამეს“ ავტორის შერეფ ხან ბითლისის მამა იყო. ამირას თანამდებობა მან მცირე ხნით შეინარჩუნა. იმავე 1533 წ. სულთან სულეიმან I ახერბაიჯანში შემოიჭრა, ხოლო მომდევნო 1534—1535 წწ. თავრიზი, სულთანიე და ბაღდადი დაიპყრო. სწორედ ამ დროს სულეიმან I-მა შამს ად-დინი თავისი თანამდებობიდან გადააყენა. რადგანაც ბითლისელი ამირა დიდი გავლენით სარგებლობდა, სულთანმა მას ანგარიში გაუწია და ბითლისის ნაცვლად მალათიისა და მარაშის მმართველობა შესთავაზა. მაგრამ შეთავაზებულ წინადადებაზე შამს ად-დინმა უარი უთხრა და დანებებისათვის ირანის მბრძანებელს შაჰ თამაზ I-ს მიმართა. 1536 წ.

⁴⁰ შერეფ ხან იბნ შამსადინ ბითლისი დაიბადა 1543 წ. 25 თებერვალს ყარაპრულში. იგი აღიზარდა შაჰ-თამაზ I-ის კარზე.

შამს ად-დინი უკვე თავრიზში იყო. შაჰმა იგი დიდი პატივით მიიღო: მან ლტოლვილ ქურთ ამირას ხანის ტიტული და სორაბის ოლქი უბოძა. შემდეგ ამ სამფლობელოს ახალი ნაბოძები ტერიტორიაც მიემატა: მარალა, დემავენდი, დარალმარზი, ყარაპრუდი, ჯაპრუდი და ფარაჰანი (26, გვ. 478). 1577 წ. შამს ად-დინი გარდაიცვალა. მას ორი შვილი დარჩა, ერთ მათგანს შემდგომში თურქეთის სულთანმა მურად III-მ მალაშ-კერტისა და მალაზგირდის სანჯაყბეგობა უბოძა, ხოლო მეორემ—შერეფ ხან ბითლისიმ, ცნობილმა ისტორიკოსმა, XVI საუკუნის ბოლოს ქ. ბითლისის ამირას თანამდებობას მიაღწია. ამასთან მან ხანის საპატრიო ტიტულიც მიიღო (51, გვ. 160).

სხვა ქურთული სამემკვიდრეო სამფლობელოები ნაკლებ პოლიტიკურ როლს ასრულებდნენ. მათგან აღსანიშნავია შემდეგი: სასუნი (ხაზო), გენჯი, რომელიც სუფეიდის ქურთული ტომის სამფლობელოს შეადგენდა; ალაშკერტი, არჭემე, ადილჯევაზი, რომლებიც ყარა-ყოინლუს და აყ-ყოინლუს თურქმანული დინასტიების მმართველობის დროს ფაზუკის ქურთული ტომის გამგებლობაში იმყოფებოდნენ; ალილი, ფალუ, ოჩერმიკი, რომლებსაც მირდასის ქურთული ტომის ბელადები მართავდნენ; ჩემიშგეზეკი⁴¹, სადაც ძლიერი ქურთული ტომი მალკიში იყო გაბატონებული. მალკიშთა სამფლობელო, აყ-ყოინლუს დინასტიის ხელისუფლების სათავეში მოსვლის წინ, 32 ციხესიმაგრესა და 16 პატარა ოლქს მოიცავდა.

დანარჩენ ქურთულ ტომებსაც თავიანთი ლენური სამფლობელოები ჰქონდათ. მათ შორის გამოირჩეოდნენ შემდეგი: სულეიმანი, ზერკი, კილისი, მაჰმუდი, დუმბული, ბრადოსტი, რომელიც ფლობდა ურმიას და მრავალი სხვა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ქურთისტანი შუა საუკუნეებში დამოუკიდებელ ან ნახევრად დამოუკიდებელ საამირო-სამთავროებად იყო დაყოფილი. მათი მმართველები თურქეთის სულთნის ან ირანის შაჰის ძალაუფლებას ნომინალურად აღიარებდნენ. მიუხედავად ახლო აღმოსავლეთის ამ ორი მრისხანე მბრძანებლის ყველა ცდისა, ქურთისტანში მათ თავიანთი რეალური ძალაუფლება ვერ დაამყარეს.

იურიდიულად ირანის შაჰი, ისევე როგორც თურქეთის სულთანი, ქურთი მთავრების ან ამირების მემკვიდრეობით დამოუკიდებლობას არ სცნობდა. ყოველი ქურთი მმართველი ირანის შაჰის ან თურქეთის სულთნის ტახტზე ასვლისას ბოძების სიგელისა და ადრე მინიჭებულ უფლებათა დადასტურებას ღებულობდა. ფაქტიურად ეს წესი ადგილობრივი მმართველი დინასტიების აღიარებასა და ცნობას ნიშნავდა.

⁴¹ მალკიშთა ბელადები ჩემიშგეზეკს მართავდნენ ირანის სამეფო ტახტზე უზუნ- (მალალი) ჰასანის გაბატონებამდე. უზუნ ჰასანმა ჩემიშგეზეკის მმართველ დინასტიას მუსრი გაავლო ყარა-ყოინლუს სულთნებთან მეგობრობის გამო.

თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით ქურთულა სამთავროები და საამიროები სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ. ბევრი რამ დამოკიდებული იყო არა მარტო ამირას პიროვნებასა და ძალაუფლებაზე, არამედ საამიროს გეოგრაფიულ მდებარეობაზე და ბუნებრივ პირობებზეც. ზოგიერთი ქურთი მთავარი ან ამირა გარკვეულ მზრუნველობას იჩენდა თავისი ხელქვეითი სამფლობელოს საწარმოო ძალების განვითარებაზე, მფარველობდა კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებს.

თ ა ვ ი III. ირან-ოსმალეთის ომები და კურთები

(XVI—XVIII სს.)

ქურთისტანში არსებული ფეოდალური დაქუცმაცებულობა და შინა ომები ქვეყნის შემდგომ სამეურნეო და კულტურულ განვითარებას აფერხებდნენ.

გარდა ამისა, ქურთისტანი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ირან-ოსმალეთის მბრძანებლებს შორის პირველობისათვის გაჩაღებული ბრძოლების ასპარეზი გახდა; თავის მხრივ, ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას ესეც ამუხრუჭებდა.

მას შემდეგ, რაც ირანში სეფიანთა დინასტია გაბატონდა (1502 წ.), ხოლო თურქეთში კი ოსმალები განმტკიცდნენ, ორივე მხარემ თავისი მზერა ევფრატის აღმოსავლეთით მდებარე ფართო ტერიტორიას მიაპყრო. ქურთისტანი, ისევე როგორც ამიერკავკასია და არაბული ერაყი (ცენტრალური და სამხრეთ ერაყი) თავისი ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობით ოსმალეთისა და ირანის მხრიდან ერთნაირ დაინტერესებას იწვევდა.

1502—1508 წწ. სეფიანთა ყიზილბაშურმა ლაშქარმა სომხეთი და ქურთისტანი დაიპყრო.

ქურთების მიმართ ირანის შაჰი ისმაილი უზუნ ჰასანის პოლიტიკას მიყვებოდა. მან ქურთთა ტომების ზედაფენის გადაყენება დაიწყო. ქურთი მმართველებისა და ამირების თანამდებობაზე ნიშნავდა ყიზილბაშურ ტომების მეთაურებსა და ბელადებს, რომლებიც ამ დროისათვის სეფიანთა დინასტიის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდნენ, შაჰის ნაცვლებმა შემდეგი ქურთული სამფლობელოები მიიღეს: ჯეზირე, ჰასანქაიფი, ჩემიშგეზეკი, ალილი, ფალუ და მრავალი სხვა.

ქურთისტანში შაჰ ისმაილის დაპყრობითი პოლიტიკა ადგილობრივ მოსახლეობის დიდ წინააღმდეგობას ხდებოდა. მაგალითად, ჯეზირეს დაპყრობას სეფიანთა პირველმა მბრძანებელმა რამდენიმე წელი მოანდომა. ქურთი ამირა ციხეში დაამწყვდიეს, ხოლო ჯეზირე სამართავად

უსტაჯლუს ყიზილბაშურ ტომის მეთაურებს უბოძეს. ახალ დამპყრობლებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს აგრეთვე სუვეიდისა და მუქრის ტომის ქურთებმა. ყიზილბაშურმა ტომმა შამლუმ, მიუხედავად მრავალწლიანი ბრძოლისა, მუქრის ქურთებთან წარმატებას მანაც ვერ მიაღწია.

1508 წელს შაჰ ისმაილმა გადაყენებული ქურთი მმართველები თავრიზის ციხეში ჩასვა. დაპატიმრებულ ქურთ დიდებულთა შორის ჰასან-ქაიფის მალიქი ხალილი და ჯეზირეს მმართველი შაჰ ალი ბეგი იყვნენ.

სეფიანთა პირველი შაჰის რეპრესიულ ზომებზე ქურთებმა აჯანყებით უპასუხეს. მაგალითად, ჩემიშგეზეკში მალკიშის ტომის ქურთები აჯანყდნენ.

შაჰ ისმაილს ესმოდა, რომ სეფიანთა ბატონობა ქურთებზე მტკიცე არ იყო. ამიტომ იგი იმ ქურთულ სამთავროების მხარდაჭერის მოსპობას ცდილობდა, რომლებსაც ავტონომია ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ. ავტონომიურ უფლებებით ამ დროს ჰაკიარის, სასუნისა და შირვანის მმართველები სარგებლობდნენ. ისინი ცალკეულ ქურთულ დინასტიებს ეკუთვნოდნენ.

შაჰ ისმაილ I-ის პოლიტიკით ქურთები მეტად უკმაყოფილონი იყვნენ. ოსმალეთის სულთანმა სელიმ I-მა „იავუზმა“ („მრისხანემ“) ამით ისარგებლა და ქურთები თავის მხარეზე გადაიბირა, ირანთან მოსალოდნელ გადამწყვეტ შეჯახებისას ქურთების პოზიციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ შაჰ ისმაილისაგან განსხვავებით, სულთანი სელიმ I ქურთ დიდებულების ნდობისა და მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა. იგი ქურთ ბეგებსა და ამირებს სიგელებს აძლევდა, მათ მემკვიდრეობით მიღებულ სამფლობელოებს უდასტურებდა, ასაჩუქრებდა და სხვა.

სელიმ I ტახტზე ასვლისთანავე ირანის წინააღმდეგ ომის სამზადისს შეუდგა (50, გვ. 45).

მეორე დიდი ბრძოლა ოსმალეთსა და ირანს შორის ქ. ყარსის ახლოს, ჩალდირანის ველზე გაიმართა 1514 წ. 23 აგვისტოს. ამ ბრძოლაში თურქეთის მხარეზე ქურთი ამირებიც მონაწილეობდნენ თავიანთი რაზმებით. ყიზილბაშთა ლაშქარი სასტიკად დამარცხდა; ირანის შაჰმა ისმაილ I-მა მიატოვა ტახტი, ხაზინა, ჰარამხანა და ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ გაიქცა.

ჩალდირანის ველზე დამარცხების შემდეგ ირანის პოზიციები ქურთისტანში მნიშვნელოვნად შეირყა. ირანის შაჰმა სამუდამოდ დაკარგა თავისი გავლენა ზაგროსის იქით მდებარე ქურთულ ოლქებზე (228, გვ. 175).

ირანის გავლენის შესუსტება ხელს უწყობდა თურქ ოსმალთა ავტორიტეტის ზრდას ქურთებით დასახლებულ ტერიტორიაზე. მაგრამ ოს-

მალთა გავლენა ჯერ კიდევ ისე დიდი არ იყო. მიუხედავად დამარცხებისა, ქურთისტანის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ისევ ყიზილბაშებს ეკავათ, გარდა ამისა, ოსმალეთის ქვეშევრდომი ქურთი დიდებულები კვლავინდებურად დამოუკიდებელ მმართველობისაკენ მიისწრაფოდნენ.

ოსმალეთის სულთანმა სელიმ I-მა ბითლისელი ქურთი დიდებული იღრის ჰაქიმში⁴² დაიახლოვა და მისი საშუალებით ქურთ მთავრებსა და ბეგებს იმადლიერებდა, სულთანი უგზავნიდა მათ საჩუქრებს, ბოძების სიგელებს და სხვა. 1515 წ. სელიმ I-სა და ქურთთა 23 ტომს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ქურთი მმართველები დამოუკიდებლობასა და თავიანთ სამფლობელოებზე მემკვიდრეობით უფლებებს ინარჩუნებდნენ.

გარდა ამისა, თუ ქურთთა მიწა-წყალს უცხოელები შემოესეოდნენ, თურქები უნდა დახმარებოდნენ ქურთებს, ხოლო ქურთებს თავის მხრივ, მონაწილეობა უნდა მიეღოთ თურქეთის საგარეო ომებში.

ქურთი მთავრები ვალდებულებას იღებდნენ რეგულარულად შეეტანათ გადასახადები სულთნის ხაზინაში (228, გვ. 182—183).

სელიმ I-მა იღრის ჰაქიმის მეშვეობით ბითლისის ოლქი თურქეთის სახელმწიფოს ადმინისტრაციულ სისტემაში მოაქცია და დიარბაქრის პროვინციაში სანჯაყები შექმნა. ამ პროვინციებში ადმინისტრაციული მმართველობა ქურთი ბეგების ხელთ იყო, გარდა ამისა, ხუთმა ქურთულმა ადმინისტრაციულმა ოლქმა თავისი მემკვიდრეობითი დინასტიური უფლებები შეინარჩუნა.

თურქი ისტორიკოსი ევლია ჩელები აღნიშნავდა, რომ ასეთი სისტემა მთელ ჩრდილოეთ თურქეთის ქურთისტანში (მალათიიდან ბაიაზე-თამდე და შაჰრიზურამდე) იყო გავრცელებული.

1515 წ. ხელშეკრულების დადებიდან თითქმის ერთნახევარი საუკუნის მანძილზე ქურთები პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებებს თურქეთის წინაშე და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ იმ ომებში, რომლებსაც ოსმალეთის სულთნები ამ ხნის განმავლობაში აწარმოებდნენ. ამ ომებმა მრავალი ათასი ქურთის სიცოცხლე შეიწირეს.

1515 წ. დამარცხებულმა შაჰ ისმაილ I-მა თავის ყიზილბაშ სარდალს ყარა-ხანს უბრძანა შური ეძია თურქებზე და უკან დაებრუნებინა დაკარგული ტერიტორია.

ყარა-ხანის ძალების შესახვედრად ოსმალეთის სულთანმა სელიმ

⁴² იღრის ჰაქიმმა ოსმალეთის სულთნების მმართველობას დიდი ისტორიული ნაშრომი — „ხაშთ-ბახიშითი“ უძღვნა. პოლიტიკური კარიერა მან აქ-ყოინლუს სულთნის იაკუბის კარზე დაიწყო და თავისი ნიჭის წყალობით ჯერ ბაიაზეთ II-ის (1481—1512), ხოლო უფრო გვიან სელიმ I-ის ყურადღება მიიქცია და მალე მათ სამსახურში ჩადგა. იღრის ჰაქიმმა დიდი დახმარება გაუწია ოსმალეთს ქურთების დამოუკიდებელი სამთავროების დამორჩილების საქმეში.

I-მა მრისხანემ გააგზავნა დიარბაქრის ბეგლერბეგი ბიიკლ მუჰამედი და იდრის ჰაქიმი თურქებისა და ქურთების გაერთიანებული ლაშქრითურთ.

თურქებმა ქურთი ამირებისა და ბეგების დახმარებით იოლად სძლიეს ყიზილბაშებს და დიარბაქრი და მარდინი აიღეს. გადამწყვეტი ბრძოლა ურფასა და ნიზიბს შორის მდებარე ყოჩ-ხისართან მოხდა 1516 წ. დასაწყისში. ყიზილბაშები კვლავ დამარცხდნენ. მთელი ტერიტორია ხარფუთიდან და ბითლისიდან (ჩრდილოეთში) მოსულამდე (სამხრეთში) თურქებმა დაიკავეს.

ნახევრად ავტონომიურ ქურთულ სამთავროებში სულთნის ხელისუფლების გავლენა გავრცელდა. ის ქურთი ამირები და მთავრები, რომლებიც შაჰ ისმაილის მიერ რეპრესირებული იყვნენ, თავიანთ სამფლობელოებს დაუბრუნდნენ.

ქურთი დიდებულების (ფეოდალები, ტომების ბელადები) თავიანთ უფლებებში აღდგენა ქურთებში სულთნის ძალაუფლების ავტორიტეტის ამძღვრებას იწვევდა. ქურთული ზედა ფენა კმაყოფილი იყო სელიმ I-ის გადაწყვეტილებით. მაგრამ სელიმ I-ის ასეთი პოლიტიკა ქურთებზე ზრუნვით კი არ იყო გამოწვეული, არამედ მისი სურვილით — გადაებირებინა ქურთები თურქეთის მხარეზე. ირანის შაჰ ისმაილის მსგავსად ოსმალეთის მბრძანებელს ქურთების დამორჩილება და დაკაბალება სურდა. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად იგი უფრო მოქნილი მეთოდების გამოყენებას ცდილობდა. ზოგიერთი ქურთი ისტორიკოსი (მაგალითად, ამინ ზაქი) თურქეთის სულთნის პოლიტიკას ისე წარმოგვიდგენს, თითქოს სელიმ I-ის ღონისძიებანი ქურთების ინტერესებს შეესაბამებოდა და მათი მისწრაფებების განხორციელებისაკენ იყო მიმართული (228, გვ. 175), რაც სწორი არ არის, ასევე მცდარია ვასილ ნიკიტინის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს თურქეთის ცენტრალური ხელისუფლების ჩარევა ქურთთა საქმეებში 1683 წელს დაიწყო, ვენასთან თურქების დამარცხების შემდეგ (115, გვ. 279). ფაქტიურად თურქეთის სულთნის ჩარევა ქურთთა მმართველობის საქმეებში XVI ს. დასაწყისიდან იწყება, როდესაც სელიმ I-მა მრისხანემ ქურთებით დასახლებულ რაიონებში ახალი ადმინისტრაციული სისტემის დანერგვა სცადა.

ქურთისტანის სანჯაყებად დაყოფა, სელიმის აზრით ნახევრად დამოუკიდებელ ქურთთა სამთავროებს ძირს გამოუთხრიდა. ავტონომიურ ქურთთა საამიროების არსებობა სელიმ I-ის გეგმებს არ შეესაბამებოდა. სელიმ I-ის მიერ გატარებული ადმინისტრაციული რეფორმები მიზნად ისახავდა ბოლო მოეღო ქურთი მთავრების პარტიკულარიზმისათვის.

ახალი ოსმალური ადმინისტრაციული სისტემის თანახმად, დიარბაქრის ეიალეთი დაყვეს 19 სანჯაყად. აქედან 11 თურქეთის ხელისუფლებას ემორჩილებოდა, ხოლო 8 (კულუბი, მიჰრანი, თერჯელი, ათაკ, ფერ-

ტეჟი, ჩაბაქჩურ, ოჩერმიკ, სოკმან) ქურთ ამირებს. ვანის ეიალეთში 37 სანჯაყი შეიქმნა. ასეთივე სისტემა მერე ურფისა და მოსულის ოლქებზეც გააერთიანეს. სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებისაგან განსხვავებით ქურთებით დასახლებულ სანჯაყებს იურთლუკისა და ოჯაკლიკის⁴³ ტიპის სანჯაყებს უწოდებდნენ. ეს სანჯაყები სახელმწიფო მიწების კატეგორიას ეკუთვნოდნენ და ისინი თიშარებსა⁴⁴ და ზიამეთებსა⁴⁵ მოიცავდნენ. მაგალითად, ჩემიშგეზეკის საამირო გაყოფილ იქნა ორ სანჯაყად, 14 ზიამეთად და თიშარად⁴⁶ (26, გვ. 226).

დიარბაქრის ეიალეთის გარდა იურთლუკისა და ოჯაკლიკის სანჯაყები არსებობდა შაჰრიზურის ეიალეთშიც. დასახლებულ სანჯაყების გარდა თურქეთის ქურთისტანში 400-მდე თავისუფალი გამგებელი („აშარათ რეის“, ან „აშარათ ბეგი“) იყო. ეს აშარათ ბეგები ომში მონაწილეობდნენ სანჯაყ ბეგის მეთაურობით⁴⁷. მშვიდობიან დროს ისინი სანჯაყ ბეგებს არ ემორჩილებოდნენ და დამოუკიდებელი იყვნენ, მაგრამ მათ თავიანთი დროშები და ნალარები არ გააჩნდათ. ასეთი გამგებლები ამირას ტიტულს ატარებდნენ (49, გვ. 102).

სელიმ I-მა ვერ შესძლო ბოლომდე შეესრულებინა თავისი გეგმა. იმ ეიალეთებშიც კი, სადაც ადმინისტრაციული რეფორმა ჩატარდა, ქურთულმა საამიროებმა და სამთავროებმა თავიანთი არსებობა შეინარჩუნეს. მართალია, ეს საამირო-სამთავროები უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ, სულთნის რეალური ხელისუფლება აქ მაინც მოჩვენებითი ხასიათისა იყო.

სელიმ პირველის სიკვდილის შემდეგ ოსმალეთის სულთნის ტახტზე სულეიმან I (1520—1566), მეტსახელად „კანუნ“ („კანონმდებელი“) ავიდა. მის დროს ოსმალთა ხელისუფლება ქურთისტანში კიდევ უფრო განმტკიცდა. ახალმა სულთანმა თავისი მმართველობის დასაწყისშივე დიდი ყურადღება მიაქცია ქურთისტანს, იგი იქითკენ მიისწრაფოდა, რომ უზრუნველყო მტკიცე ზურგი თავის სახელმწიფოსათვის ევროპაში გათვალისწინებული ლაშქრობების დროს.

სულეიმან I დაინტერესებული იყო თავისი ჯარები ქურთ ფეოდალ-

⁴³ იურთლუკისა და ოჯაკლიკის სანჯაყებში შემოსავალი „აშარათ“ მათ პატრონებს ეკუთვნოდათ და მის სანაცვლოდ ისინი ვალდებული იყვნენ სახელმწიფო საზღვრები დაეცვათ (49, გვ. 101).

⁴⁴ თიშარი ისეთი სამხედრო ლენია (მამული), რომლის შემოსავალი წელიწადში 20 ათასამდე ახჩას აღწევდა.

⁴⁵ ზიამეთი—სამხედრო ლენი, რომლისაგან მიღებული შემოსავალი 20 ათას ახჩაზე მეტი იყო.

⁴⁶ სულეიმან I-მა მთელი ეს მიწები ფირ ჰუსეინ ბეგის შვილებსა და შვილიშვილებს მემკვიდრეობითი უფლებით გადასცა.

⁴⁷ სანჯაყის მმართველს სანჯაყ ბეი ეწოდებოდა, ერთდროულად იგი სანჯაყის მთელი ჯარების უფროსიც იყო.

თა შეიარაღებული რაზმებით შეეცსო. იგი მიზნად ისახავდა აგრეთვე ირან-ოსმალეთის საზღვარზე ქურთებისაგან ცოცხალი კედელი შეექმნა. ამ მხრივ საინტერესოა დიალოგი, რომელიც ქურთი ისტორიკოსის მოლა მაჰმუდ ბაიაზეთის ცნობით, სულეიმანსა და მის დედას შორის გაიმართა. სტამბოლში დაბრუნებულ სულეიმან I-ს დედა შეეკითხა: „ქართველები და ყიზილბაშები აღარ მოაწყობენ თავდასხმას შენს ოლქებზე?“ სულეიმან I უპასუხა: „...ოსმალეთის იმპერიასა და ქართველთა სახელმწიფოსა და ირანელებს შორის მე მტკიცე კედელი აღვმართე, მტერი ამიერიდან ვერავითარ ზიანს ვერ მოგვაყენებს“. დედის კითხვაზე — როგორ შეძლო მან ასეთ დიდ სივრცეზე კედლის აშენება, სულეიმანმა უპასუხა: „დედა, მე იგი ხორცისა და სისხლისაგან ავაშენე. მე ეს რაიონები სამართავად ქურთ ტომებს ჩავაბარე, როგორც საველე სიმაგრე საქართველოდან ბაღდადამდე, ბასრამდე და შაჰრიზურამდე. მე ისინი რიგში ჩავაყენე, მტერი მათი ავლით ისლამის სახელმწიფოში შემოღწევას ვერ შეძლებსო“ (18, ფ. 2. ან. I, № 20).

მრავალი ქურთული ტომი ოსმალთა სასაზღვრო ოლქების დაცვის სამსახურში ჩადგა. მათ საზრდოობისათვის საუკეთესო მიწები და საძოვრები გადაეცათ. ამ ტომების ბელადები სანჯაყებისა და ზიამეთების მფლობელები გახდნენ. ომის დროს მათ ლაშქრის გარკვეული რაოდენობა უნდა გამოეყვანათ. თუ სანჯაყის გამგებელი ომის დროს არ გამოცხადდებოდა, მისი საკარგავი ვაჟიშვილს ან ერთ-ერთ ნათესავს გადაეცემოდა. სანჯაყების მფლობელობა მემკვიდრეობითი იყო. ყოველი სანჯაყის გამგებელი თავისი მფლობელობის დასადასტურებლად ოსმალეთის სულთნისაგან სპეციალურ ფირმანს ღებულობდა. ეს ფირმანი ახალი სულთნის ტახტზე ასვლისას უნდა განახლებულიყო (49, გვ. 101).

ქურთი ტომები მრისხანე სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ, მაგრამ თურქეთის სულთნები ყოველთვის ვერ ახერხებდნენ თავიანთ სასარგებლოდ მათ გამოყენებას. უმეტეს შემთხვევაში ქურთები სულთნის მიერ მათზე დამყარებულ იმედებს არ ამართლებდნენ. არც თუ ისე იშვიათად, ქურთ ტომებს სულთნის წინააღმდეგაც აღუმართავთ იარაღი. მაგალითად, სულეიმან I მმართველობის დროს მაიაფარიკინში სულეიმანის ქურთული ტომი აჯანყდა. სულეიმანი ფაქტიურად ქურთი ტომების მძლავრ გაერთიანებას ეწოდებოდა. თავდაპირველად სულეიმანის კონფედერაციაში შემავალი ქურთები სულთან სულეიმან I მაიაფარიკიდან, კულუბიდან და ბათმანიდან ბაიაზეთის ოლქში გადაასახლა. ეს მხარე ყიზილბაშებს წაართვეს და სულეიმანიელებს მისი საზღვრების დაცვა დაავალეს. მალე სულეიმანის ქურთებს შორის დიდმა უკმაყოფილებამ იჩინა თავი. მათ უარი განაცხადეს სულთნის სასარგებლოდ შეწერილი 4 ჰარვარი ოქროს (მაკტუ) გადახდაზე და აჯანყდნენ. აჯანყებას ბაიაზეთის მირლივა შაჰ სუარი მეთაურობდა. აჯანყებული ქურთების დაშოშ-

მინება სულთანმა დიარბაქრის მმართველს დაავალა, ხოლო ამ უკანასკნელმა მათაფარიკინის ამირას ბაჰლულ ბეგს. ბაჰლულ ბეგი მათაფარიკინს განაგებდა იკტა თამლიყის უფლებით. აჯანყებულებმა ბაჰლულ ბეგი დაამარცხეს და მოკლეს. ამ აჯანყებაში რამდენიმე ათასი ქურთი მონაწილეობდა (26, გვ. 320).

ბაჰლულ ბეგის სიკვდილის შემდეგ მათაფარიკინის საამიროს გამგებლობა ჯერ მის უფროს შვილს ამირ ხან ბეგს უბოძეს, ხოლო შემდეგ უმცროსს უმარ ბეგს, მაგრამ ვერც ერთმა თავი ვერ გაართვა შექმნილ ვითარებას. მათ ვერ აკრიფეს ადგილობრივი ქურთი მოსახლეობისაგან სულთნის სასარგებლოდ შეწერილი გადასახადი. ამიტომ სულთანმა მათაფარიკინის ამირას თანამდებობა ბაჰლულ ბეგის ძმის შვილს იბრაჰიმ ბეგ აყსაყს უბოძა. მაგრამ, როდესაც გამდგარი ქურთული ტომი ვერც მან დაიმორჩილა, სულთანმა ბრძანა მთლიანად მოესპოთ აჯანყებულები, რათა მეზობელ ქურთ ტომებზე მათ ზეგავლენა არ მოეხდინათ. სულეიმანის ქურთულ კონფედერაციაში შემავალი ბასიანისა და ბუჯინის ტომის ქურთების დამორჩილება თურქებმა XVI ს. ბოლომდე ვერ შეძლეს.

თურქეთის სულთანს გადასახადების გადახდა ყველა ქურთულ ტომისათვის არ დაუკისრებია. ზოგიერთი ამირა მაგალითად, ხოშაბისა და მაჰმუდის ტომის მეთაური ჰასან ბეგი სულთან სულეიმან I-ის ბრძანებით გადასახადების გადახდისაგან სულ გაანთავისუფლეს (26, გვ. 355).

სულთნის ხელისუფლება დაინტერესებული იყო იმაში, რომ თანდათან ნიადაგი გამოეცალა ქურთ ფეოდალთა ძალაუფლებისათვის. იგი ცდილობდა ქურთი ტომებისა და საამიროების ძველი მემკვიდრე ბელადები და მთავრები ახალი მსახურეული ზედა ფენით შეეცვალა. ამიტომ სულეიმან I მმართველობის ხანაში ქურთ ფეოდალებს ხალისით ურიგებდნენ თავისებურ ბენეფიციებს: სანჯაყებს, თიმარებსა და ზიამეთებს. ქურთ მთავრებისა და ამირების სამფლობელოებს შეგნებულად აწვრილმანებდნენ იმის შიშით, რომ ერთ პიროვნებას დიდი ძალაუფლება არ ჩავარდნოდა ხელში. ამა თუ იმ მმართველის სიკვდილის შემდეგ საუკეთესო მიწების დიდი ნაწილი სულთნის საკუთრებაში გადადიოდა, დანარჩენს კიდეც მემკვიდრეებს უნაწილებდნენ. მაგალითად, ჩემიშგეზეკის ძლიერი ქურთული საამირო, რომელიც 32 ციხესიმაგრესა და 16 მცირე ოლქს მოიცავდა, სულეიმან I-მა ორ სანჯაყად, 14 ზიამეთად და თიმარად დაჰყო. ამასთან ჩემიშგეზეკის ციხე მომიჯნავე სოფლებითურთ სულთნის საკუთრებაში გადავიდა, ხოლო დანარჩენი ტერიტორია კი ჩემიშგეზეკის ამირას ფირ ბუდაგის შვილიშვილებს დაუნაწილეს (26, გვ. 226).

ასეთივე პრინციპით დანაწილებულ იქნა ქურთთა სხვა სამთავროებიც⁴⁸.

ზოგჯერ სულთანნი, სარგებლობდა რა ამა თუ იმ ქურთულ სამთავროში ამტყდარი შინაომებით, მის მმართველს მემკვიდრეობით თანამდებობას სულ ართმევდა. ასე მოექცა სულეიმან I ჰასანქაიფის მმართველის მალიქ ხალილის შვილებს — სულეიმანს, მუჰამედს და ალის, რომელთაც ჩამოართვა ამირას წოდება და ზიამეთის უფლების საფუძველზე მათ შესაბამისად 700, 300 და 200 ახჩას ოდენობის შემოსავალ უბოძა (26, გვ. 218).

ოსმალეთის სულთნების ასეთი მოქმედება მიზნად ისახავდა ქურთულ სამთავროების დასუსტებასა და მოსპობას. ამ მიზნის მისაღწევად ოსმალეთის სულთნები არავითარ საშუალებებს არ ერიდებოდნენ.

ქურთისტანის პოლიტიკური და ეკონომიკური დაკავალებისათვის თურქები თანმიმდევრულად ატარებდნენ „დაჰყავი და იბატონე“-ს ტრადიციულ პოლიტიკას. ისინი შეგნებულად აღვივებდნენ რელიგიურ შუღლს ისლამისა და იეზიდისმის მიმდევარ ქურთებს შორის. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს: სულთან სულეიმან I-მა სორანის მმართველების ძალაუფლების დასუსტების მიზნით, სორანის სამთავრო იეზიდთა მეთაურს ჰუსეინ ბეგს უბოძა, რაც მუსლიმანური კანონმდებლობით დაუშვებელი იყო. ჰუსეინ ბეგს. მრავალი ბრძოლების გადატანა მოუხდა სორანის მმართველთან მირ საიფ ად-დინთან და ბოლოს სულთნის ბრძანებით სიკვდილითაც დასაჯეს. მართალია, სორანის დაპყრობა თურქებმა ვერც ამის შემდეგ შეძლეს, მაგრამ ქურთებისა და იეზიდების ერთმანეთზე წაქეზებით თურქებმა თავიანთი საქმე გააქეთეს — დაასუსტეს ქურთებიც და იეზიდებიც, რამაც თურქები სორანში განამტკიცა.

სეფიანთა ირანის მაშინდელი მმართველების პოლიტიკა თურქეთის სულთნების პოლიტიკისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ისინი მიზნად ისახავდნენ ქურთებით დასახლებულ რაიონებში თავიანთი ძალაუფლება უფრო იარაღის ძალით გაეგრძელებინათ. სეფიანთა შაჰის ისმაილ I-ის ასეთმა პოლიტიკამ, როგორც უკვე დავინახეთ, მარცხი განიცადა. ქურთებმა ირანელებს თურქები ამჯობინეს და მათი სამთავროების უმეტესობა ოსმალეთის პროტექტორატის ქვეშ მოექცა. ამ გარემოებამ ირანსა და თურქეთს შორის ურთიერთობა კვლავ დაძაბა და ომი მათ შორის 1555 წლამდე ე. ი. შაჰ თამაზის მმართველობის ხანაშიც გაგრძელდა.

რეპრესიები ქურთულ ტომების წინააღმდეგ სეფიანთა დინასტიის

⁴⁸ ზიანის საამირო ორ ნაწილად დაყვეს და მისი ყოფილი მმართველის სულთან აჰმედის შვილებს გადასცეს. მოკისის საამირო, მას შემდეგ, რაც მისგან გარგარის ოლქი ციხესიმაგრითურთ გამოყვეს, მოკისის ამირას ძმას მირ აჰმედს გადასცეს და ა. შ.

მეორე ნაშეირის მმართველობის დროსაც არ შეწყვეტილა. ირანიდან დევნილი ზოგიერთი ტომი მაგალითად, ღუმბული, ჩიგინი თურქეთში გადასახლდა. როდესაც ირანის მმართველები დარწმუნდნენ, რომ შიშველი რეპრესიებით ქურთებს ვერ დაიმორჩილებდნენ, მათ უფრო ღმობიერი პოლიტიკის გატარება დაიწყეს. ახლა უკვე ირანის შაჰი ურიგებდა გავლენიან ქურთულ ტომებს მიწებს, ხოლო მათ ბელადებს სხვადასხვა თანამდებობებსა და ტიტულებს სთავაზობდა. 1553 წ. ქურთულ ტომს სიაჰ-მანსურს საზრდოობისათვის გადაეცათ სულთანის, ზენჯანისა და აბჰარის ოლქები. სამაგიეროდ ამ ტომის ქურთები ვალდებულებას იღებდნენ შაჰის ლაშქრისათვის სამი ათასი მხედარი მიეწოდებინათ (26, გვ. 370).

მიუხედავად ასეთი შეთანხმებისა, შაჰის ძალაუფლების გავლენა ქურთებით დასახლებულ რაიონებში მაინც მოჩვენებით ხასიათს ატარებდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ხსენებული ქურთული ტომის სიაჰ-მანსურის ბელადი დაულათ იარ ხანი რამდენიმე წლის შემდეგ, ირანის შაჰის ნებასურვილის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, ხოლო 1578—1588 წწ. ირან-ოსმალეთის ომის დროს სრულიად განუდგა მას და ოსმალეთის ვასალი გახდა. შაჰ მოჰამედ ხოდაბანდემ (1578—1587) გაურჩეული ვასალის დამორჩილება სცადა, მაგრამ სამარცხვინოდ დამარცხდა. მხოლოდ შაჰ აბას I (1587—1629) შეძლო თავგასული ქვეშევრდომის დამორჩილება, ხოლო შემდეგ სიკვდილით დასჯა.

შაჰის ხელისუფლების მიმართ ასეთივე ურჩობას სხვა ქურთული ტომებიც (მაჰმუდი, ღუმბული, მუქრი, ბრადოსტი) გამოხატავდნენ. ზოგიერთი ქურთი დიდებული ოსმალეთის სულთანთან კავშირს ამყარებდა იმ მიზნით, რომ ირანის შაჰი აეძულებინა დათმობაზე წასულიყო. ასე მოიქცა მაგალითად, მაჰმუდის ტომის ბელადი ხან მუჰამედი (26, გვ. 351—352).

ზოგჯერ ირანის შაჰი იარალის ძალით ირანში და ოსმალეთში დასახლებულ ქურთების დაშინებას ცდილობდა. მაგალითად, 1554 წ. ირანის შაჰი თამაზ I ქურთისტანის და სომხეთის იმ ოლქებს შეესია, რომლებიც თურქების მიერ იყო დაკავებული. ამ შემოსევის დროს ისეთი ქალაქები როგორცაა ბითლისი, მუში, ბარგირი, ვანი, ადილჯევაზი მისმა ჯარებმა გაანადგურეს და გაძარცვეს. უფრო ადრე, 1548 წელს მთლიანად დაანგრიეს აპლათი⁴⁹.

მიყენებული ნგრევისა და მატერიალური ზარალის შედეგად ქურთი გლეხობა დამუშავებულ მიწდერებს ტოვებდა და მამა-პაპურ მიწიდან

⁴⁹ ირანელთა ამ შემოსევების შედეგად ადგილობრივ მოსახლეობას ისეთი დიდი უბედურება დაატყდა თავს, რომ ხალხს ჰულაგუ ყაენისა და თემურ-ლენგის მიერ ჩადენილი ბოროტებაც კი დაავიწყდა. (228, გვ. 195).

გარბოდა. მარალიდან, რომელიც XVI ს. 90-იან წლებში ქურთებს საზრ-
დოობისათვის გადასცეს, თითქმის მთელი ადგილობრივი გლეხობა
გაიქცა. იმ წლებში მუქრის ამირას ხაზინაში არც ერთი ფილსი (კაპიკი)
არ შეუტანიათ. მოსახლეობის აუტანელ მდგომარეობას ადგილობრივი
ფეოდალების თვითნებობა და ძალადობა კიდევ უფრო ამძიმებდა. ქურ-
თი ამირები და მთავრები, რომლებიც თავიანთ თანამდებობის მისა-
ღებად სულთანს ან ირანის მბრძანებელს ძვირფას საჩუქრებს უგზავ-
ნიდნენ, ამ დანახარჯის ანაზღაურებას ქურთი და სომეხი მშრომელების
ექსპლოატაციის გაძლიერების ხარჯზე ცდილობდნენ.

ასეთი მდგომარეობა ქალაქისა და სოფლის ღარიბებს შეიარაღებულ
აჯანყებისაკენ უბიძგებდა. ქურთისტანში იგი ხშირად ხდებოდა. მათგან
აღსანიშნავია 1595—1596 წწ. აჯანყება ქ. ხაზოში (სასუნის საამირო).
ამ აჯანყების დროს ქ. ხაზოს სომეხი და ქურთი მცხოვრებლები, რომ-
ლებიც ქალაქის ღარიბობის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ, ერთმანე-
თის მხარდამხარ იბრძოდნენ. ამ აჯანყების ჩასახშობად სულთანმა მო-
სულის ამირა გააგზავნა. თუმცა თურქეთის სულთანი სასუნის საამი-
როს საშინაო საქმეებში ჩაერია, მისი ხელისუფლების ზეგავლენა ამ
ქურთულ სამთავროში მაინც დიდი არ იყო.

ქურთისტანში ბატონობისათვის ირანსა და ოსმალეთს გაუთავებელი
ომები ჰქონდათ. ამ ომებისაგან ყველაზე მეტად ქურთები ზარალდე-
ბოდნენ. ამას ემატებოდა ფეოდალური დაქუცმაცებულობა, რომელსაც
ადგილობრივი ხელისუფლება და ფეოდალური შინაომები კიდევ უფრო
აღრმავებდა. ყველაფერი ეს ქურთისტანის საწარმოო ძალების გაჩანა-
გებას ხელს უწყობდა, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას აუარესებ-
და. მოსახლეობის დიდი ნაწილი მოისპო, ხოლო მრავალი ქალაქი და
ციხესიმაგრე აღიგავა პირისაგან მიწისა.

ამრიგად, XVI ს. დასაწყისში ირანმა და ოსმალეთმა დაიწყეს ქურ-
თისტანის დაყოფა. ქურთისტანის ერთი ნაწილი სეფიანთა შაჰების ზე-
გავლენის ქვეშ მოექცა, ხოლო მეორე — ოსმალთა სულთნების ხელ-
ქვეით. ირან-ოსმალეთის მრავალწლიანი სისხლისმღვრელი ომები ქურ-
თისტანისათვის საბოლოოდ ზოხაბის 1639 წ. საზავო ხელშეკრულებით
დამთავრდა. მის საფუძველზე ახლო აღმოსავლეთის ამ ორმა მუსლიმა-
ნურმა სახელმწიფომ ქურთისტანი ერთმანეთს შორის გაიყვეს. ამ ხელ-
შეკრულებით მათ დაადგინეს თვითეული ქვეყნის სამფლობელოების
საზღვრები ქურთისტანში.

ირან-თურქეთის დაპყრობითი პოლიტიკა ქურთი ხალხის მედგარ-
წინააღმდეგობას წააწყდა. იგი გამოიხატებოდა არა მარტო ცალკეული
ქურთი ფეოდალებისა და მთავრების, არამედ ქურთი ტომებისა და ქა-
ლაქის ღარიბობის ბრძოლაშიც.

XVI ს. ქურთისტანი ოსმალეთისა და ირანის მიერ ჯერ კიდევ საბო-

ლოად დამორჩილებული არ იყო. ქურთისტანის ბევრ რაიონში ადგილობრივი მოსახლეობა თავის სოციალურ-ეკონომიკურ წყობას და პოლიტიკურ ორგანიზაციას ნაწილობრივ ჯერ კიდევ ინარჩუნებდა. მიუხედავად ოსმალთა სულთნების მიერ მიღებული ახალი ადმინისტრაციული ღონისძიებებისა, რომელთა მიზანს ქურთებზე თურქთა რეალური ძალაუფლების დამყარება შეადგენდა, ბევრმა ქურთულმა საამირომ, აგრეთვე ცალკეულმა ტომებმა და ტომობრივმა გაერთიანებამ (კონფედერაცია) ნახევრად დამოუკიდებელი მდგომარეობა და შინაგანი ავტონომია შეინარჩუნეს. ასეთივე შედეგები მოყვა სეფიანთა შაჰების მიერ გატარებულ პოლიტიკას ირანის ქურთისტანში. XVI ს. ბოლოსათვის არდელანის ქურთი სამთავრო, შერეფ ხან ბითლისის ცნობით, დამოუკიდებელ და შეუზღუდველ ძალაუფლებას ინარჩუნებდა.

ჯეზირესა და იმადიის მმართველებმაც თავისი ნახევრად დამოუკიდებელი მდგომარეობა შეინარჩუნეს. რაც შეეხება ადილის, ფალუს, შირვანის, დარზინის, სასუნის ქურთ მმართველებს, ისინი ჯერ კიდევ გარკვეული გავლენით სარგებლობდნენ.

მუქრის, ბრადოსტის, მაჰმუდის, დუმბულის, სიაჰ-მანსურის, ბაბანის ტომის ქურთები, შაჰისა და სულთნის ხელისუფლებისაგან თავს დამოუკიდებლად გრძნობდნენ.

ჩამოთვლილ სამთავროებსა და ტომებს სათავეში ქურთული დინასტიები და ქურთი ბელადები ედგხენ. ერთმანეთის მოქიშპე ირანისა და ოსმალეთის მმართველებს სხვა გზა არა ჰქონდათ, ქურთების ვასალურ დაქვემდებარებას უნდა დასჯერებოდნენ. პოლიტიკური ვითარების მიხედვით ქურთი მთავრების ან ამირების ხელისუფლება, ისევე როგორც მათი ხელქვეითი სამფლობელოების ტერიტორიები, ხან იზრდებოდა, ხან კიდევ ძალზე იკვეცებოდა, მაგრამ ერთი რამ დარჩა უცვლელი — თურქეთის სულთნებმა და ირანის შაჰებმა მიუხედავად მრავალგზის ცდისა, ვერ გატეხეს ქურთების წინააღმდეგობა და საბოლოოდ ვერ დაიმორჩილეს ისინი. ქურთმა მმართველებმა თავიანთი ნახევრად დამოუკიდებელი მდგომარეობა XIX ს. შუა წლებამდე შეინარჩუნეს.

თემურ-ლენგის მიერ სულთან ბაიაზეთ I-ის დამარცხებამ ოსმალთა იმპერიის შემდგომი ზრდა და გაფართოება მხოლოდ დროებით შეაკავა. უკვე ბაიაზეთ I-ის შვილიშვილის შვილის სულთან მუჰამედ II, „დამპყრობის“ (1451—1481)⁵⁰ მმართველობის ხანაში 1453 წ. თურქ-ოსმანებმა ბიზანტიას წაართვეს კონსტანტინოპოლი და თავიანთი იმპერიის დედაქალაქად გადააქციეს. ოსმალთა იმპერიის ტერიტორია მუჰამედ II-მ განავრცო აგრეთვე მცირე აზიაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც

⁵⁰ მუჰამედ II სულთანად პირველად 1444 წ. ეკურთხა. შემდეგ 1446—1451 წწ. სულთნის ტახტი მურად II-ს ეკავა. მუჰამედი ხელშეორედ ტახტზე 1451 წ. ავიდა.

1472 წ. თერჯანესთან ბრძოლაში მან დაამარცხა აქ-ყოინლუს სახელგანთქმული ფადიშაჰი უზუნ ჰასანი.

მუჰამედ II-ის შვილის ბაიაზეთ II-ის (1481—1512) მმართველობის ხანაში სულთანსა და მის ძმას შორის ამტყდარი მრავალწლიანი შინაომის გამო ოსმალთა ექსპანსია აღმოსავლეთისაკენ დროებით შეფერხდა. ამ ამბავმა ოსმალეთს ხელი შეუშალა მონაწილეობა მიეღო უზუნ ჰასანის სამფლობელოების გაყოფაში. ირანის პოლიტიკურ სარბიელზე ახლად დაწინაურებული სეფიანთა დინასტიის წარმომადგენელმა შაჰ ისმაილმა ამით ისარგებლა და აქ-ყოინლუს სახელმწიფოს ნანგრევებზე სპარსეთში უფრო მყარი სახელმწიფო შექმნა. სეფიანთა იმპერია თეთრბატნიან თურქმანთა სახელმწიფოს პირდაპირი მემკვიდრე იყო. ორივე სახელმწიფოში ძირითადად ერთნაირი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობანი, პოლიტიკური ინსტიტუტები და სამხედრო ორგანიზაცია არსებობდა (45, გვ. 236). სეფიანთა სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად ისლამის შიიტური მიმდინარეობა გამოცხადდა. შიიზმის დროშის ქვეშ შესაძლებელი იყო ირანის გაერთიანება. სეფიანთა სახელმწიფო ერთადერთი შიიტური სახელმწიფო გახდა მთელ მახლობელ და შუა აღმოსავლეთში. ამით იგი პირველ რიგში, ოსმალეთს უპირისპირდებოდა, სადაც ისლამის მეორე ძირითად მიმდინარეობას — სუნიზმს აღიარებდნენ.

ოსმალეთის სულთანი ბაიაზეთ II დასაწყისში შიიტ ყიზილბაშებს მხარს უჭერდა და მათ თეთრბატნიანთა საწინააღმდეგო გამოსვლები-სათვის აქეზებდა. მაგრამ სულთნის ვარაუდი, რომ ყიზილბაშები და თეთრბატნიანი თურქმანები ერთმანეთს დაასუსტებდნენ და ამით მხოლოდ ოსმალეები ისარგებლებდნენ, არ გამართლდა. შუა აღმოსავლეთში თურქმანებზე უფრო ძლიერი სახელმწიფო შეიქმნა.

ამიტომ იყო, რომ ოსმალეთის ახალმა სულთანმა ბაიაზეთ II-ის შვილმა სელიმ I-მა, ტახტზე ასვლისთანავე ირანს ომი გამოუცხადა და 1514 წ. ჩალდირანის ველზე ბრძოლის დროს დაამარცხა კიდეც. ირანმა დაკარგა სომხეთი, ქურთისტანის დიდი ნაწილი და ერაყის ჩრდილოეთი მოსულამდე (55, გვ. 314). რაც შეეხება არაბულ ერაყს, მისი დაპყრობა თურქებმა მხოლოდ 1534 წ. სულეიმან I სულთნობის დროს დაიწყეს. ბაღდადის დაპყრობის შემდეგ (1534 წ.), სულეიმან I თურქეთში დაბრუნდა ქურთისტანსა და აზერბაიჯანზე გავლით. XVI ს. მეორე ნახევარში ოსმალეთის იმპერია თავის ძლიერების ზენიტში იმყოფება, ხოლო XVI ს. მიწურულში ოსმალეთში შინაომებისა და აჯანყებების თითქმის ნახევარსაუკუნოვანი პერიოდი იწყება.

პირველმა მძლავრმა აჯანყებამ იფეთქა 1599 წ. ეს აჯანყება ყარაიზიჯის აჯანყების სახელწოდებით არის ცნობილი.

1598 წ. უნგრეთში ლაშქრობის დროს თურქმანი და ქურთი ბეგები

თვითნებურად დაბრუნდნენ თავიანთ სამფლობელოებში. სულთანმა ბრძანება გასცა მათთვის სამხედრო საკარგავეები ჩამოერთვათ და ისინი სიკვდილით დაესაჯათ. ეს აჯანყების მიზეზი გახდა.

ყარა-იაზიჯის აჯანყებას მეორე დიდი აჯანყება მოყვა, რომელმაც ამჯერად არაბულ ერაყში იფეთქა. ამ აჯანყებას ყარა იაზიჯის ძმა დელი ჰასანი ხელმძღვანელობდა. მეორე აჯანყება 1603 წ.-მდე გაგრძელდა. ამ აჯანყებებმა მნიშვნელოვნად შეარყიეს სულთნის ხელისუფლება და ოსმალთა სახელმწიფოს საფუძვლები. ფეოდალურმა შინაომებმა და გლეხთა აჯანყებებმა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი ოსმალეთში კიდევ უფრო გააღრმავეს. ამ დროს სულ უფრო რთულდება ოსმალეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობაც; გამწვავდა სოციალურა წინააღმდეგობანი, კიდევ უფრო დაძაბული გახდა შინაკლასობრივი და კლასობრივი ბრძოლა (129ბ, გვ. 53).

ოსმალეთის ჩამორჩენა ევროპის ქვეყნებთან შედარებით სულ უფრო ნათელი ხდებოდა. იმ დროს, როდესაც ოსმალეთის მთავარი მეტოქე ქვეყნები ძლიერდებოდნენ და ბურჟუაზიული განვითარების გზას ადგებოდნენ, როდესაც ევროპაში ნაციონალური და ცენტრალიზებული სახელმწიფოები ყალიბდებოდა, ოსმალეთი კვლავინდებურად სამხედრო ძალაზე დაყრდნობილ სხვადასხვა ხალხებისა და ქვეყნების კონგლომერატს წარმოადგენდა. ისინი ოსმალთა ოკუპაციას არ შეურიგდნენ და დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად ბრძოლას განაგრძობდნენ. სულთნის მთავრობის ყველა ცდა—ძალით გაეთურქებინა არაბები, ქურთები, ასურელები და ახლო აღმოსავლეთის სხვა ხალხები — მარცხით დამთავრდა.

1555 წელს ქ. ამასიაში ირან-ოსმალეთს შორის ზავი დაიდო და ამ ორ სახელმწიფოს შორის მიმდინარე თითქმის ნახევარსაუკუნოვან ომს (1514—1555) ბოლო მოეღო. ამასიის ზავით დამპყრობლებმა ამიერკავკასიისა და ერაყის გარდა ქურთისტანიც გაიყვეს შუაზე. ეს იყო ქურთების დასახლებული ტერიტორიის პირველი ოფიციალური გაყოფა. ამ ხელშეკრულებით ირანმა და ოსმალეთმა იურიდიულად დააკანონეს ქურთისტანის ფეოდალური დაქუცმაცება.

შაჰ თამაზის (1524—1576) მეფობის დროს სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკური დასუსტება და ეკონომიკური დაქვეითება მკვეთრად გამოვლინდა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მეტისმეტად აღზევებული და გაძლიერებული ყიზილბაში ამირების სეპარატიზმი, თვითნებობა და მუდმივი ტომობრივი შუღლი იყო.

სეფიანთა ირანის სახელმწიფოს წარმოქმნისა და განმტკიცების საქმეში (XV—XVI სს. მიჯნა) ყიზილბაშურმა ტომებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს. ამ ტომების სამხედრო ძალა სეფიანთა დინასტიის მთავარ დასაყრდენი იყო მის საგარეო ომებში. მაგრამ XVI ს. მეორე ნახევრი-

დან დაწყებული, ყიზილბაში ამირები ცენტრალურ ხელისუფლებას სულ უფრო ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ. იმდროინდელმა სეფიანთა შაჰებმა ვერ შეძლეს მათი თვითნებობის ალაგმვა. მხოლოდ შაჰ აბას I-მა (1587—1629) სცადა გაურჩებული ყიზილბაში ამირების დამორჩილება.

ამასთან დაკავშირებით შაჰ აბასმა რეფორმები წამოიწყო. ისინი სეფიანთა ირანის სახელმწიფოს ცენტრალიზებას, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავდნენ მიზნად.

შაჰ აბასის მიერ გატარებული ღონისძიებანი ირანში მოსახლე ქურთულ ტომებსაც შეეხო.

ირანის ქურთისტანში ყოველ ტომს, ანდა მის ცალკე მომთაბარე ნაწილს თავისი მემკვიდრე ბელადი ჰყავდა. მას ირანში „მირი ილ“-ს (ტომის მეთაურს) უწოდებდნენ. ჩვეულებრივ მირს ერთი და იმავე ოჯახიდან ირჩევდნენ, მაგრამ მემკვიდრეობის მკაცრად დადგენილი წესი არ არსებობდა.

ტომის ამირას თანამდებობა ტომის ლაშქრის (ყოშუნ) მეთაურობასთან იყო შეერთებული. საძოვრებისა და ტომის კუთვნილი სხვა მიწების გამგებლობა მასვე ევალებოდა.

ტომის მეთაურების გარდა ტომის დიდკაცობაში კიდევ ტომის უხუცესები — აყსაყალები ანუ რიშეფიდები გამოირჩეოდნენ.

თუ რა როლს ასრულებდნენ ისინი ტომში, კარგად ჩანს ირანელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის მიერ მოყვანილ მაგალითიდან. ქურთული ტომის მაჰმუდის ლენური მფლობელობა (ულკა) მდებარეობდა სამხრეთ აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვართან. XVII ს. დასაწყისში ეს სამფლობელოები ამ ტომის მმართველ დინასტიის 4 წარმომადგენელს შორის დაიყო. ხოშაბის ოლქი აბდულაჰ ბეგს ერგო (ქ. ვანის ახლოს) თავისი ძმის სულეიმან ბეგის სიკვდილის შემდეგ იგი მთელი ტომის ბელადად („მირ-ი აშირათ“) მიიჩნიეს, მისი ბიძაშვილები მუსტაფა ბეგი და ზეინალ ბეგი შესაბამისად ყარა-ხისაროს, მაქუსა და ჩორსის ოლქს ფლობდნენ.

ტომის მეთაურის თანამდებობის გამო ზეინალ ბეგს ცილობა ჰქონდა აბდულაჰ ბეგთან. შაჰ აბასმა 1607 წ. ორივე მეტოქე-შახსეევანს (შაჰის მოყვარულს) მაჰმუდის ტომის ბელადის წოდება დაუმტკიცა. ამის შემდეგ მმართველი დინასტია და ტომის ზედა ფენა ორ მტრულ ბანაკად გაიყო. მალე მათ შორის შინაომი დაიწყო. მაშინ ტომის უხუცესებმა (რიშეფიდებმა) გადაწყვეტილება გამოიტანეს, რომ ბიძაშვილები უნდა შერიგებულიყვნენ, ხოლო ტომის სამფლობელო მათ შორის უნდა გაყოფილიყო⁵¹. ორივე მხარის წარმომადგენლების თანხმობით

⁵¹ შემდგომში ეს ხელშეკრულება მაინც დაარღვიეს და შინაომის შედეგად ხოშაბი ზეინალ ხანის მფლობელობაში (თასარუფ) გადავიდა.

შეადგინეს ხელშეკრულება, რომლის შემდეგ რიშეფიდების გადაწყვეტილება შაჰს წარუდგინეს. შაჰმა ეს ხელშეკრულება⁵² დაამტკიცა და ორივე პრეტენდენტმა ტომის მეთაურის წოდების მინიჭებისა და თავიანთ საუფლისწულოთა მართვის შესახებ შაჰის უმაღლესი ბრძანებულება მიიღო.

ამირას ძალაუფლება ულკისა და ყოშუნის მფლობელობას ეყრდნობოდა. ყოშუნი (ხოშუნი) მონღოლური სიტყვაა და ჩინგიზიანთა სახელმწიფოში მომთაბარეთა ტომობრივ გაერთიანების ლაშქარს (ოტოყ) ნიშნავდა. იგი განსაკუთრებულ სამხედრო ნაწილს შეადგენდა. თემურიანთა დინასტიის⁵³ ბატონობის დროს ტომის ათას კაცისაგან შემდგარ ლაშქარს ხოშუნს უწოდებდნენ. სეფიანთა მმართველობის ხანაში ტერმინ „ყოშუნი“-ს ზუსტად დადგენილი რიცხვის სამხედრო ნაწილის მნიშვნელობა აღარ აქვს. XVI—XVII სს. ყოშუნი ეს ტომის ან მისი განშტოების ისეთ ლაშქარს ეწოდებოდა, რომელიც განსაკუთრებულ სამხედრო ნაწილს შეადგენდა. ტომის ბელადის ამირას სიკვდილის შემდეგ ყოშუნი შეიძლებოდა მემკვიდრეობით გადასულიყო.

ყოველი ამირა, რომელიც შაჰის სამსახურში იმყოფებოდა, როგორც სამხედრო არისტოკრატის წარმომადგენელი, მისგან სამართავად და საზრდოობისათვის განსაზღვრულ ტერიტორიას ღებულობდა. ასეთ ბოძებულ ტერიტორიას თურქული სიტყვით „ულკა“-თი აღნიშნავდნენ. ეს სიტყვა როგორც საზრდოობისათვის და სამართავად გაცემული საუფლისწულოს აღმნიშვნელი ჭერ კიდევ თემურიანთა მმართველობის ხანაში გვხვდება (120, გვ. 102).

სეფიანთა ირანში ულკა ზოგადი ტერმინი იყო. იგი აღნიშნავდა იმ ტერიტორიას, რომელიც სხვადასხვა პირობით იყო გაცემული. მაგალითად, იგი შეიძლებოდა გაცემულიყო როგორც თიული ე. ი. დროებით ან სამუდამო მფლობელობაში, ან სოიურღალი ე. ი. სამემკვიდრეო მფლობელობა, რომელიც სრული საგადასახადო იმუნიტეტით (მუაფი) სარგებლობდა და ბოლოს, ულკა შეიძლებოდა გაცემულიყო მართვის უფლებით, მაგრამ საგადასახადო შეუვალლობის გარეშე. უკანასკნელ შემთხვევაში ულკას მფლობელს ჰაქიმი — ადგილობრივი მმართველი ეწოდებოდა. „ულკა“ ეწოდებოდა აგრეთვე იმ ტერიტორიასაც, რომელიც რომელიმე ამირას ეძლეოდა როგორც ტომის მეთაურს მმართველობისა და საზრდოობისათვის. ამასთან, ამირას იმის უფლებასაც აძლევდნენ, რომ მიწის ფონდი და საძოვრები ტომის ზედა ფენის წარმომადგენლებს შორის გაენაწილებინა. ასეთ შემთხვევაში ულკა ყველაზე ხშირად მემკვიდრეობით გაიცემოდა, მაგრამ შაჰის დასტური ამაზე აუცილებელი იყო (120, გვ. 103).

⁵² მოგვყავს ი. პეტრუშევსკის წიგნიდან (იხ. 120, გვ. 97—98).

⁵³ იგულისხმებიან თემურ ლენგის შთამომავლები.

ტომის ბელადის კუთვნილი სამემკვიდრეო ულკას ტიპიურ მაგალითად დუმბულის მომთაბარე (საპრა ნიშინან) ქურთული ტომის ულკა გამოდგება. ამ ტომმა ჯერ კიდევ ყარა-იუსუფ ყარა-ყოინლუს (1410—1420) მმართველობისას საზრდოობისათვის მიიღო სოკმანაბადი რაგორც ულკა. დუმბულის ტომის ბელადს ჰაჯი ბეგს (ბაჰლიულ ბეგის შვილს) შაჰ თამაზ I-ის დროს სამხედრო სამსახურისათვის სოკმანაბადის გარდა დამატებით სამხრეთ აზერბაიჯანში კიდევ ხოის ოლქიც მისცეს.

ცენტრალური მთავრობის სახელმწიფო აპარატში დუმბულის ბეგებს სხვადასხვა თანამდებობები ეკავათ. ჰაჯი ბეგის ძმისწული სულთან ალი ბეგი გადასახადების ამკრეფად დაინიშნა ისფაჰანში და შაჰის კარზე „სახელმწიფოს დიდი ყორჩის“⁵⁴ კორპუსის შემადგენლობაში ირიცხებოდა. დუმბულის ბელადები ხშირად გადადიოდნენ ოსმალეთის მხარეზე და ამით ირანის შაჰის უკმაყოფილებას იწვევდნენ. ექვიანმა შაჰ თამაზმა დუმბულის ტომის ქურთების ხოცვა-ჟლეტა მოაწყო. სიკვდილს⁵⁵ მხოლოდ ტომის ბელადი გადაურჩა, მალე შაჰ თამაზმა დუმბულის ტომს დალატი აპატია. ამის შემდეგ სულთან ალი ბეგ დუმბულიმ თავისი სამფლობელოები ხოიში ხელახლად მიიღო და დიდი ყორჩიების სიაში კვლავ ჩაირიცხა (26, გვ. 361).

სულთან ალი ბეგის შვილმა, ნაზარ ბეგმა შაჰის დივანიდან დუმბულის ტომის ამირას სიგელი მიიღო. ხოლო როდესაც 1588 წ. თურქებმა სამხრეთ აზერბაიჯანი დაიპყრეს, იგი თურქეთის სულთნის მურად III-ის (1574—1595) სამსახურში გადავიდა. ახალმა მბრძანებელმა ნაზარ ბეგსა და მის ძმას კილიჯ ბეგს სამხრეთ აზერბაიჯანში ხოის გარდა კიდევ ჩალდირანი, სულეიმან სარაი და სოკმანაბადი უბოძა. გარდა ამისა ძმებმა იკტას სახით სამხრეთ სომხეთში სანჯაყი ბარგირი მიიღეს. (26, გვ. 362). მას შემდეგ, რაც XVIII ს. დასაწყისში სამხრეთ აზერბაიჯანი და სომხეთი კვლავ ირანმა დაიბრუნა, დუმბულის ტომმა თავისი სამფლობელოები შეინარჩუნა.

XVII ს-მდე დუმბულის ბელადები სულთნისა და ხანის ტიტულებს არა ფლობდნენ და უფრო მოკრძალებულ ბეგის ტიტულს სჯერდებოდნენ. მაგრამ უკვე 1628 წ. ისქანდერ მუნშის ამირების სიაში ნახსენე-

⁵⁴ ყორჩის ჯარი — ტომობრივი ლაშქარი, წარმოსდგება მონღოლურ სიტყვიდან „მოისარი“ (23, ტ. 1, წიგ. 1, გვ. 158).

თავდაპირველად ყორჩის ჯარი სეფიანთა დინასტიის მთავარი სამხედრო დასაყრდენი იყო. მაგრამ XVI ს. პირველ მეოთხედიდან მოყოლებული იგი იმდენად გაძლიერდა, რომ ფაქტიურად მთელი ძალაუფლება ხელთ იგდო და სახელმწიფოში უდიდესი გავლენა მოიპოვა.

⁵⁵ ამ ხოცვა-ჟლეტის დროს მოკლულ იქნა დუმბულის ტომის სამი ხელმძღვანელი (აჰმედ-ბეგი, ისმაილ-ბეგი და ჯაფარ-ბეგი), 400 ტომის რიგითი წევრი და 120-მდე; შაჰის კარზე მყოფი დიდი ყორჩი (26, გვ. 360).

ბია სალმან-ხან დუმბული — ხოისა და სალმასის ჰაქიმი (მმართველი). ამავე სიაში ნახსენებია ამ დინასტიის მეორე შტოც, რომელიც ბარგუშეთში (ზანგეზურში, სომხეთი) გაბატონდა, აქ მმართველად ბარგუშეთის ჰაქიმი მაცხუდ სულთან დუმბული იყო.

აქედან დაწყებული დუმბულის ტომის მეთაურები მემკვიდრეობით მართავდნენ ხოის და ხანის ტიტულს ატარებდნენ. ნადირ შაჰის მმართველობის ხანაში (1736—1747) დუმბულის ტომს სათავეში ორი ბელადი ედგა: მურთაზა ყული ხან დუმბული — ხოისა და დუმბულის ჰაქიმი და ალი ნაგი ხან დუმბული — ბარგუშეთის ჰაქიმი. XVIII ს. მეორე ნახევარშიც დუმბულის ტომის ორივე ჰაქიმი კვლავ იხსენიება ხანის ტიტულით.

ჰაჯი ბეგის შთამომავლებმა, რომლებიც ცნობილი არიან ხოისა და დუმბულის ჰაქიმების სახელით, ხოი და მისი მომიჯნავე რაიონები XIX ს. დასაწყისამდე შეინარჩუნეს. ამ ჰეროდისათვის ამ დინასტიის წარმომადგენელი ჯაფარ ყული ხან დუმბული მეფის რუსეთის მხარეზე გადავიდა, ჩრდილო აზერბაიჯანში დასახლდა და 1806 წ. ალექსანდრე I-საგან სამართავად შექის სახანო მიიღო.

აღსანიშნავია, რომ ირანის შაჰის მთავრობა დუმბულის ტომის მეთაურებს ოფიციალურად ჰაქიმებად ე. ი. მმართველებად და ულკის მფლობელებად მიიჩნევდა. მაგრამ თვითონ ჰაქიმები ხოისა და სოკმანაბადს როგორც თავიანთი ტომის მემკვიდრეობით სამფლობელოს (ოჯაკ-ი მოურუსი-ი ტაიფე-ი დუმბული) ისე უყურებდნენ (120, გვ. 106).

შერეფ ხან ბითლისს ერთი მაგალითი მოჰყავს იმის შესახებ, თუ აშირეთების ზედა ფენის წარმომადგენლებს როგორი შეხედულება ჰქონდათ თავიანთ მფლობელობით უფლებებზე და როგორ ქედმაღლურად უყურებდნენ ისინი უბრალო ხალხს. ერთხელ, როდესაც დუმბული ტომის დიდებულები ტბილეულობის დუქანში საკმელად შევიდნენ და დანაყრებულებმა იქიდან წასვლა დააპირეს, მედუქნემ მათ ფულის გადახდა მოსთხოვა. ამაზე ტომის დიდებულებმა განაცხადეს: „შაჰმა ჩვენ ქალაქი თავისი ტბილეულებით გვიბოძაო“ (26, გვ. 358—359).

შაჰ აბასმა თავისი სამხედრო რეფორმებით საფუძვლიანად შეარყია მომთაბარე ტომების ძველი ორგანიზაცია, რომელიც ადრე სეფიანთა ირანის მბრძანებლებს ბევრ საზრუნავს უჩენდა. მუდმივი ჯარის კადრებისა და ახალი სამხედრო დიდკაცობის ჩამოყალიბებამ ლულამების⁵⁶, თოფენქჩიებისა⁵⁷ და სხვათაგან, ყიზილბაშებისა და სხვა მომთაბარე ტომების სამხედრო ზედაფენა შეასუსტა. ახლად შექმნილი ჯარი სპარ-

⁵⁶ ლულამები — ცხენოსანი კორპუსი, რომელიც ძირითადად ძალით წაყვანილი ქართველი, სომეხი და ჩერქეზი ახალგაზრდებისაგან შედგებოდა.

⁵⁷ თოფენქჩი — მეთოფეთა 12 ათასიან კორპუსს ეწოდებოდა.

სელებისაგან და კავკასიელებისაგან ყალიბდებოდა. შაჰ-აბასის სამხედრო რეფორმამ წინ წამოსწია კავკასიური ელემენტი ირანში (40, გვ. 65—69).

შირად შაჰი გაურჩებულ ტომის ბელადს მკაცრად უსწორდებოდა. მაგალითისათვის დავასახელებთ მუქრის ტომს. ამ ტომის ბელადები სამხრეთ აზერბაიჯანში მარაღას მემკვიდრე მმართველები (პაქიმები) იყვნენ. როდესაც შაჰ აბას I-მა ეჭვი მიიტანა ამ ტომის ბელადის ყუბად ხან მუქრის ღალატზე, შაჰმა თავისთან მოიწვია ყუბადი და მისი 150 ახლობელი და ყველა დაახოცინა. ამის შემდეგ დაიწყო ნამდვილი ნადირობა მუქრის ქურთებზე. შაჰმა სპეციალური ბრძანებაც კი გამოსცა: დაეპატიმრებინათ ყოველი მუქრი, რომელსაც ხელში ჩაიგდებდნენ და შაჰის სასახლეში მიეყვანათ. მაშინ ბევრი მუქრიელი მოკლეს. ტომის ერთი ნაწილი მაინც გადაურჩა ამ დევნას და რამდენიმე წლის შემდეგ უკვე ირანის ახალი მბრძანებლის შაჰ სეფის (1629—1642) მმართველობის დროს მუქრის ტომმა პატიება და სამემკვიდრო სამფლობელო მიიღო სამხრეთ აზერბაიჯანში. მაგრამ ამჯერად ეს იყო არა მდიდარი მარაღა, არამედ ნაკლებ შემოსავლიანი სოუჯბულადი (120, გვ. 110).

შაჰ აბას I მმართველობის პერიოდში ქურთებით დასახლებულ ტერიტორიაზე შემდეგი მემკვიდრეობითი სამფლობელოები (ულკა, ოლკე) არსებობდა: ურმია, მარაღა, სოუჯბულადი, ხოი, სალმასი, მაქუ, მარანდი და ჩორსი.

ურმია (ურუმია), XVI ს. ამ მხარეში ქურთული მომთაბარე ტომის ბრადოსტის⁵⁸ მეთაურის ლენური სამფლობელო არსებობდა. ეს სამფლობელო, რომელიც ოთხი ნაპისისაგან (თერგივარი, მერგივარი, სომაი და დულ) შედგებოდა, შაჰ ისმაილ პირველმა ბრადოსტის ბელადს ღაზი კირანს უბოძა. ღაზი კირანის შთამომავლებმა კი იგი 1610 წლამდე შეინარჩუნეს, ე. ი. თითქმის ასი წლის მანძილზე ფლობდნენ.

ღაზი კირანის შთამომავლებიდან ამირების⁵⁹ ორი შტო გამოიყო: თერგივარისა და სომაის. ღაზი კირანის შვილიშვილის ისქანდერ ბეგის დროს სომაის ამირა ურმიასაც მართავდა (26, გვ. 347). ღაზი კირანის შთამომავლებმა თავიანთი სამფლობელოები არა მარტო თურქთა ბატონობის დროს შეინარჩუნეს, არამედ მას შემდეგაც, როდესაც ეს მხარე შაჰ აბას I-მა თავის გამგებლობას დაუმორჩილა.

⁵⁸ ამჟამად ეს ტომი ჩრდ. ერაყში, ერაყ-თურქეთის და ერაყ-ირანის საზღვრების გასწვრივ და ირანის აზერბაიჯანში — სომაის ოლქში ცხოვრობს.

⁵⁹ ამირად ის ითვლებოდა, ვინც ხანის ანდა სულთნის ტიტულს ფლობდა. სეფიანთა პირველი შაჰის ისმაილის მმართველობის დროს რაიმე განსხვავება ხანისა და სულთნის ტიტულებს შორის ჯერ კიდევ არ შეიმჩნევა, მაგრამ უკვე შაჰ თამაზ I-ის მეფობის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ხანის ტიტული სულთნისაზე უფრო მდიდარად ღვას.

ისქანდერ მუნშის ცნობით, 1609 წ. ამირ ბეგ ბრადუსტს შაჰ აბას I-მა თავისი საამირო დაუმტკიცა. იგი არა მარტო თერგივარს, არამედ ურმიასა და უშნუსაც მოიცავდა. ამასთან შაჰმა მას ხანის ტიტულიც კა უბოძა, მაგრამ ქურთმა მმართველმა, როგორც ჩანს, უფრო მეტი დამოუკიდებლობა მოინდომა და 1610 წ. ამირ ხანმა თავისი ტომი ააჯანყა. ხანგრძლივი ალყის შემდეგ შაჰის ჯარებმა აიღეს აჯანყებულთა მთავარი ციხესიმაგრე დიმდომი, რომელიც ქ. ურმიის ციტადელს წარმოადგენდა (120, გვ. 127).

აჯანყება სასტიკად იქნა ჩახშობილი. ურმიის ულკეს ერთი ნაწილი — თერგივარი შაჰ აბას I-მა ჯელაღების ყოფილ მეთაურს მუჰამედ ფაშა კალინდრა ოღლუს (თურქ ემიგრანტს) გადასცა. იმ დროს მუჰამედ ფაშა შაჰის სამსახურში იმყოფებოდა. ურმიას კი დროებით აზერბაიჯანის ბეგლარბეგი ფირ ბუდაგ ხანი თურქმანი მართავდა, შემდეგ ურმიას დროებით მარალის ჰაქიმი ალა ხან მუქადამი ფლობდა. 1628 წ. ურმიას ავშართა ყიზილბაშური ტომის ერთ-ერთი დიდებული ქელბ ალი სულთანნი დაეპატრონა. აქედან მოყოლებული ურმია 1868 წლამდე ავშართა ტომის ერთ-ერთი შტოს მემკვიდრეობით ლენურ სამფლობელოს წარმოადგენდა.

XVI ს. ქ. მარაღა უსტაჯლუს ყიზილბაშურ ტომის ჰაქიმის მმართველობაში იმყოფებოდა. XVI ს. 80-იან წლებში, ირან-ოსმალეთის საომარ მოქმედების დროს, ოსმალეთის სულთანმა მურად III მარაღა და მისი მიდამოები მუქრის ქურთულ ტომის ბელადს ამირე ბეგს უბოძა.

მუქრის ტომი, რომელმაც აქ-ყოინლუს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ქურთისტანის ზოგიერთი რაიონები (ბაბან, სულდუზ და სხვ.) დაიპყრო, თითქმის მთელ XVI ს. ან ოსმალეთის და ყიზილბაშურ ირანის ნომინალურ ძალაუფლებას აღიარებდა, ანდა ებრძოდა მათ.

ამირე ბეგმა, რომელმაც თავი ოსმალეთის ვასალად გამოაცხადა და სამაგიეროდ ფაშას ტიტული მიიღო, მარაღიდან მისი ყოფილი ჰაქიმი (მმართველი) ყიზილბაში ბექთაშ ყული-ხან უსტაჯლუ გააძევა. სულთან მურადმა ამირე ბეგს მარაღა, როგორც ცალკე არსებული ოლქი (ვილაიეთი) ისე მისცა, და მას ბეგლარ-ბეგობაც უბოძა. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ სულთანმა მარაღა თავრიზის თურქ ბეგლარ-ბეგს გადასცა.

სამხრეთ აზერბაიჯანში ყიზილბაშთა დასუსტების შემდეგ შაჰ აბას I-ს, რომელიც თურქეთთან ომს აწარმოებდა, ქურთების სახით მოკავშირეები სჭირდებოდა, ამიტომ მან მარაღა ყუბად ხან მუქრის გადასცა, მაგრამ 1610 წ., როდესაც შაჰმა ამ ტომის ქურთების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოაწყო, მარაღა მან მუქადამის⁶⁰ აზერბაიჯანულ ტომის ბელადს ალა სულთანს უბოძა.

⁶⁰ მუქადამის ტომი შედიოდა ოთუზ-იყის (32 ტომის) გაერთიანებაში, რომელიც არსებობდა ყარაბაღში.

აქედან მოყოლებული მარაღა მუკადამის ტომის ბელადის მემკვიდრეობით სამფლობელოდ იქცა⁶¹, ხოლო ნადირ შაჰის მმართველობის დროს კი ამ ტომის ულკას წარმოადგენდა. მუკადამის ტომის ბელადმა მუჰამედ რიზა-ხან მუკადამმა ნადირ შაჰის ლაშქრობებში აქტიური მონაწილეობა მიიღო.

მას შემდეგ, რაც 1610 წ. შაჰ აბას I-მა მუქრის ქურობების ხოცვა-ჟლეტა მოაწყო, ცენტრალური ხელისუფლებისათვის ეს ტომი საშიშროებას აღარ წარმოადგენდა. შაჰ აბასის სიკვდილის შემდეგ ირანის ახალმა მბრძანებელმა მუქრის ბელადს გადასცა სოუჯბულაღი (ქურთული საბლაჰი), როგორც მუქრის ტომის სამემკვიდრეო ულკა. XVIII ს. შუა წლებისათვის სოუჯბულაღი კვლავინდებურად მუქრის ტომს ეკუთვნოდა.

ხოიდასალმასი. ისევე როგორც XVI საუკუნეში, სალმასი და მის გარშემო მდებარე ახლო-მახლო სოფლები დუმბულის ქურთული ტომის მემკვიდრეობით ულკად რჩებოდა. მერე სალმასს ხოის ოლქიც შეუერთდა. იგი 1805 წლამდე დუმბულის ტომის ბელადის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა.

მარანდი. ეს ულკა შაჰ აბასმა დუმბულის ტომის ბეგზადეების ერთ-ერთ შტოს უბოძა. მას ჯემშიდ სულთან დუმბული მეთაურობდა.

XVI ს. ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთიდან ბაქომდე (ჩრდილო-აღმოსავლეთით) გადაჭიმული დიდი ტერიტორია მაჰმუდის ქურთულ ტომს ეკავა. პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, მაჰმუდის ტომის ბელადები ხან ოსმალეთის სულთნის, ხან კი ირანის შაჰის ხელისუფლებას აღიარებდნენ.

შაჰ აბას I-ის მმართველობის დროს მაჰმუდის ტომი ორ შტოდ გაყვეს. თვითულის ტერიტორიაზე ორ-ორი საუფლისწულო სამფლობელო შეიქმნა. ამ ოთხი სამფლობელოდან ირანის შაჰის გამგებლობაში მხოლოდ მაქუ და ჩორსი დარჩა. ორივეს თავიანთი ჰაქიმები ჰყავდა, მაგრამ მათ ჯერ კიდევ ამირას წოდება მინიჭებული არა ჰქონდათ და ისინი მხოლოდ ბეგის ტიტულს ატარებდნენ. სწორედ ამიტომ, — აღნიშნავდა პროფ. ი. პეტრუშევსკი, — მათი სახელი მოხსენიებული არ არის ისქანდერ მუნშის მიერ 1628 წ. შედგენილ ამირების სიაში. მაჰმუდის ტომის სამფლობელოების ასეთი დაყოფა შემდგომშიც შეინარჩუნეს.

XVII ს. 30-იან წლებში, როდესაც 1635 — 1639 წწ. თურქები სამხრეთ აზერბაიჯანში შეიჭრნენ, ირანში მოსახლე მაჰმუდის ტომის ქურთებმა მათ დახმარება აღმოუჩინეს. ამის საპასუხოდ ირანის შაჰმა თურ-

⁶¹ ისინი მარაღას ფლობდნენ XX ს. დასაწყისამდე. მარაღის უკანასკნელი მუკადამელი ჰაქიმი საბად ხანი იყო.

ქების განდევნის შემდეგ მაქუში არსებული მაჰმუდის ტომის კუთვნილი სამფლობელოები ბაიათის ყიზილბაშურ ტომს გადასცა⁶².

მშვიდობა არც ერაყის ქურთისტანში სუფევდა. 1623 წ. ბაღდადში ადგილობრივი ამირა ბაქირი სულთნის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყდა და შაჰ აბას I-ის მხარეზე გადავიდა. შაჰ აბას პირველმა ერაყში დაწყებული არეულობით ისარგებლა და თავისი ჯარებით ბაღდადი-საქენ დაიძრა. ადგილობრივი მოსახლეობის თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად, ბაღდადი აღებულ იქნა. ბაღდადი, კირკუცი და მოსული სპარსელებს ეპყრათ შაჰ აბასის მემკვიდრის შაჰ სეფის (1629—1642) მმართველობის დროსაც. მხოლოდ 1638 წ. ნოემბერში სულთანმა მურად IV-მ (1623—1640), რომელიც პირადად გაუძღვა თურქთა ჯარებს, დაიბრუნა ირანელების მიერ მიტაცებული ბაღდადი და ერაყის ქურთისტანი, მაგრამ მურად IV სიკვდილის შემდეგ ოსმალეთი კვლავ ანარქიამ მოიცვა და მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა მხოლოდ 1656 წლისათვის, როდესაც დიდი ვეზირის თანამდებობა მუჰამედ ქეფრილიუმ დაიკავა.

XVI ს. მეორე ნახევარში სახარბიელო მდგომარეობა ირანშიც არ იყო. ირანი, ისევე როგორც თურქეთი, პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა. დაპყრობილმა ხალხებმა ამით ისარგებლეს და გამათავისუფლებელი მოძრაობა გააჩაღეს.

XVII ს. მეორე ნახევარმა ქურთების, არაბებისა და სხვა დამორჩილებული ხალხების დაუსრულებელ აჯანყებებში ჩაიარა. ქურთი და არაბი ფეოდალები ცდილობდნენ თავიანთი პირადი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ ოსმალური ხელისუფლების საწინააღმდეგო მოძრაობა. ამიტომ დაპყრობილმა მოსახლეობამ შექმნილი ხელსაყრელი ვითარებით ვერ ისარგებლა. ქურთი ბეგები და არაბი შეიხები ფეოდალური შინაომებისა და შუღლის გამო ვერ გაერთიანდნენ. ისინი ვერ დაუპირისპირდნენ მოძალადე თურქ-ოსმალებს.

მდგომარეობა იცვლება მხოლოდ XVIII საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც ბაღდადის ეიალეთის მმართველად სულთანმა წარმოშობით ალბანელი ჰასან ფაშა დანიშნა⁶³. სულთანმა ჰასან ფაშას დაუმორჩილა სამხრეთ ერაყი (ქალაქ ბასრითურთ) და სამხრეთ ქურთისტანი. სამხრეთ ქურთისტანი მაშინ შაჰრიზურის ეიალეთს შეადგენდა. სულთნის ახალი

⁶² უფრო გვიან, მისი ბელადი აჰმედ ხანი ნადირ შაჰის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობდა. აჰმედ ხანის მემკვიდრეები მაქუს 1923 წლამდე მართავდნენ. ამის შემდეგ კი ირანის მთავრობამ ეს სახანო გააუქმა.

⁶³ ჰასან ფაშა ბაღდადში მეორედ იყო დანიშნული. პირველად იგი ბაღდადს მართავდა 1688—1690 წწ., ხოლო მისი მეორე მმართველობა (1702—1723) უფრო ხანგრძლივი გამოდგა.

ნაცვალ ჰასან ფაშა ფაქტიურად მთელი ერაცის დამოუკიდებელი გამგებელი გახდა.

პირველ რიგში ჰასან ფაშა თავისი ხელისუფლებისათვის მტკიცე სამხედრო დასაყრდენის შექმნაზე ზრუნავდა. ოსმალეთის დიდი ვეზირის დასტურის შემდეგ მან ჩამოაყალიბა „ლევენდების“ სპეციალური კორპუსი, ანუ რეგულარული კავალერია, რომელიც მის პირად გვარდიასთან ერთად მეტად მრისხანე ძალად გადაიქცა. ეს სამხედრო ძალა მან იანიჩართა⁶⁴ ჯარებს დაუპირისპირა. იანიჩრებს ამ დროისათვის თავიანთი პირვანდელი სახე დაკარგული ჰქონდათ. ლევენდების კორპუსის ზეგავლენით იანიჩართა ნაწილები ბაღდადის ფაშას დაემორჩილნენ და მის ნება-სურვილს ასრულებდნენ.

მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც ჰასან ფაშამ მის გამგებლობაში მყოფი ერაცის შემოსამტკიცებლად გადადგა, გაურჩებელი არაბული ტომების დამორჩილება იყო. მას შემდეგ, რაც იანიჩართა თვითნებობას ბოლო მოუღო და არაბული ტომები დაიმორჩილა, ჰასან ფაშა თავისი სამფლობელოს ტერიტორიის გაფართოებას შეუდგა. მან სულთანის დაითანხმა ბაღდადის საფაშოს მეზობელი ოლქების შეერთებაზე. მან ჯერ შეიერთა შაჰრიზურის ეიალეთი, ანუ სამხრეთი ქურთისტანი, სამხრეთ ქურთისტანს დამოუკიდებელი სამთულიანი ფაშა განაგებდა, ხოლო შემდეგ მარდინიც აიღო. მარდინს სპეციალური უფროსი მართავდა და ბოლოს ქ. ბასრასაც დაეუფლა. მის სამართავად სულთანი ორთულიან ფაშას ნიშნავდა. ოფიციალურად მეზობელი პროვინციების შემოერთებას ჰასან ფაშა ბაღდადის საფაშოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების აუცილებლობით ამართლებდა, ფაქტიურად კი იგი, ისე როგორც მრავალი სხვა თურქი ფაშა, გამდიდრებისა და განკერძოებისაკენ მიისწრაფოდა.

ასე იყო თუ ისე, სტამბოლის თანხმობით, ქურთისტანი მარდინითურთ ბაღდადის ფაშას დაემორჩილეს.

ბაღდადის ფაშა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ვალი (გუბერნატორი) გახდა ოსმალეთის პროვინციულ ვალებს შორის. მის ხელქვეით მყოფი ტერიტორია თავისი ფართობით ეგვიპტეს არ ჩამოუვარდებოდა და სპარსეთის ყურიდან და სირიის უდაბნოდან ირანის საზღვრებამდე იყო გადაჭიმული (59, გვ. 355).

⁶⁴ „იენი ჩერი“ ახალ ჯარს ნიშნავს. იგი ჯერ კიდევ ოსმალთა პირველ სულთნების მმართველობის ხანაში შეიქმნა. ეს იყო პროფესიული რეგულარული არმია, რომელსაც სპეციალურად შეირჩეული პირებისაგან აკომპლექტებდნენ. დროთა განმავლობაში ამ პრივილეგიებულ არმიაში სამსახური მემკვიდრეობითი გახდა. XVII საუკუნისათვის „იანიჩართა არმიაში დისციპლინა მკვეთრად დაეცა. მან დაკარგა ძველი საბრძოლო ტრადიციები და თავნება, ფუქსავატ. ძალად იქცა, ხოლო ბაღდადის ფაშა მათ ხელში სათამაშო იარაღად გადაიქცა.

ადრე, სანამ ჰასან ფაშა ერაყში გაბატონდებოდა, თურქეთის სულთანი ქურთ მემკვიდრე ბეგებს სანჯაყის გამგებლობას თვითონ უდასტურებდა, ახლა კი ეს მოვალეობა ბაღდადის ფაშას დააკისრეს.

XVIII ს. დასაწყისში შაჰრიზურის ეიალეთის შემადგენლობაში შემდეგი 6 სანჯაყი შედიოდა: კირკუჯის, ერბილის, ქოის, ყარა-ჩოლანის, რევანდუზისა და ჰარირის (138, გვ. 199).

ქურთი ალები და ბეგები, რომლებიც ამა თუ იმ სანჯაყს მეთაურობდნენ, ბაღდადის ფაშების წარდგინებით სულთნისაგან მირმირანის, ანდა ერთულიანი ფაშას ტიტულს ღებულობდნენ. ეს ტიტულები მათ უფლებას ანიჭებდა ომის დროს თავიანთი დროშებითა და ნალარებით გამოსულიყვნენ.

ქურთი მემკვიდრე მმართველები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი იყვნენ. ბაღდადის ფაშები მათი უშუალო გამგებლები გახდნენ. ქურთი ბეგები ვალდებული იყვნენ თავიანთი რაზმებით დახმარება გაეწიათ მათთვის ბრძოლის შემთხვევაში. გარდა ამისა, მათვე ეკისრებოდათ მოემარაგებინათ სურსათ-სანოვავით ბაღდადის ეიალეთის მმართველის ჯარები. სამაგიეროდ ქურთები ყველა სხვა სახელმწიფო გადასახადებისა და ვალდებულებებისაგან გაანთავისუფლეს. ჰასან ფაშას გარდაცვალების შემდეგ მისი შვილი აჰმედ ფაშა (1723—1748) თითქმის მეოთხედ საუკუნეს ერაყს დამოუკიდებლად მართავდა. აჰმედ ფაშას მმართველობის ხანაში 1736 წ. ირანის სამეფო ტახტი ავშართა თურქმანულ ტომის წარმომადგენელმა ნადირ ყული ხანმა (ნადირ შაჰი) დაიკავა. ბაღდადის ფაშამ აჰმედმა თურქეთის სულთნის ზურგს უკან დაამყარა კავშირი ირანის ახალ მბრძანებელთან, წინადადება მისცა მას შემოჭრილიყო ერაყში და დაეპყრო კირკუჯი, მოსული, დიარბაქრი. 1743 წ. ნადირ-შაჰის ჯარები შემოიჭრნენ სამხრეთ ქურთისტანში, ალყა შემოარტყეს მოსულს, მაგრამ ვერ აიღეს იგი. მართალია, 1745 წ. ნადირმა დაამარცხა თურქები ერევანთან, მაგრამ ირანს ოსმალეთთან ომის გაგრძელებისათვის ძალა აღარ შესწევდა და 1746 წ. მათ შორის ზავი დაიდო (დაწვრილებით იხ. 54). საზავო მოლაპარაკებისას ბაღდადის ფაშა აჰმედო შუამავლის როლს ასრულებდა.

ზავის დადებიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ 1747 წ. ნადირ შაჰი მოკლეს და სპარსეთში შინა აშლილობა განახლდა. კიდევ ერთი წლის შემდეგ, კერძოდ 1748 წ., ერთ-ერთი ქურთული ტომის წინააღმდეგ მოწყობილი დამსჯელი ლაშქრობის დროს აჰმედ ფაშაც დაიღუპა. ოსმალეთის ამ ორი შეუურიგებელი მტრის სიკვდილმა სულთანს საშუალება მისცა ბაღდადის ეიალეთში თავისი კაცი დაენიშნა.

სულთანმა გადაწყვიტა ერაყი ცალკეულ შემადგენელ ოლქებად დაეყო ისე, როგორც ეს აჰმედ ფაშას მამის ჰასან ფაშას მმართველობამდე იყო. მაგრამ სულთნის მიერ გაგზავნილ კაცს ბაღდადის მოსახლეობამ

მხარი არ დაუჭირა და საბოლოოდ ბაღდადის მმართველი აჰმედ ფაშას სიძე ბასრის მუთასალიმი (გამგებელი) სულეიმან ალა⁶⁵ („აბუ ლაილი⁶⁶) გახდა.

სულეიმან ფაშას მმართველობის პირველ წლებში სამხრეთ ქურთისტანი ბაღდადის საფაშოს ჩამოსცილდა, ხოლო სამხრეთ ერაყში მუნტაფიკის კონფედერაციაში შემავალი არაბული ტომები აჯანყდნენ და ბაღდადის ახალ გამგებელს დამორჩილებაზე უარი უთხრეს. ამავდროს ქ. ბასრის კაფუდან ფაშა მუსტაფა მუნტაფიკების დახმარებით მუთასალიმის⁶⁷ თანამდებობის ხელში ჩაგდებას ცდილობდა.

სულეიმან ფაშამ მუნტაფიკები დაამარცხა, ხოლო 1751 წ. კი ქურთისტანი დალაშქრა. სულ მალე მან თავის ხელქვეით თითქმის ყველა ის რაიონი და რაიონი მოაქცია, რომელიც ადრე ერაყის სანაცვლოს შემადგენლობაში შედიოდა.

მიუხედავად ამისა, სამხრეთ ქურთისტანისა და მისი მმართველობის მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ ბაღდადის ახალმა ფაშამ ბოლო ვერ მოუღო. 1762 წ. სულეიმან ფაშა აბუ ლაილის გარდაცვალების შემდეგ, ბაღდადის ახალ გამგებელს ალი ფაშა აჯემის კვლავ იარაღის ძალით უხდება ქურთისტანის შემომტკიცება. მან სასტიკად ჩაახშო ქურთი ბეგების ახალი შეიარაღებული გამოსვლა.

XVIII ს. მეორე ნახევარში სხვა ქურთ მეთაურებს შორის დაწინაურებულნი ყარა-ჩოლანის სანჯაყ ბეგები სამხრეთ ქურთისტანში პირველობას ჩემულობდნენ. ისინი გამოსული იყვნენ ბაბას ანუ ბაბანას ძველი ქურთული გვარიდან. XVIII ს. შუა წლებისათვის ყარა-ჩოლანის მმართველმა ბაბანებმა მეზობელი სანჯაყებისა და მათი მომიჯნავე რაიონების დაპყრობის ხარჯზე თავიანთი ხელქვეითი საამიროს ტერიტორია გააფართოვეს. ასე მაგალითად, ბაბანმა ბეგებმა თავიანთ ძალაუფლებას ალთუნ-ქოფრიუ, ერბილი და სხვა ქურთული ქალაქები დაუმორჩილეს.

სამხრეთ ქურთისტანში ბაბანთა საგვარეულოს აღზევების წლები ბაღდადის საფაშოში ქართველი მამლუქების, ანუ ქულემენების (თეთრი მონები) დინასტიის მმართველობის ხანას დაემთხვა. ამ დინასტიის ბატონობას ქართველმა ფაშამ სულეიმან დიდმა (ბუიუქმა) ჩაუყარა საფუძველი.

... აღნიშნულ პერიოდში ბაბანთა გვარის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იბრაჰიმ ფაშა იყო. მან კარგი ურთიერთობა

⁶⁵ წარმოშობით იგი ქართველი იყო.

⁶⁶ „აბუ ლაილი“ არაბულად „ლამის მამა“-ს ნიშნავს. სულეიმანს მისი მამაცობისათვის მეორენაირად კრძევ „ლომ-ფაშასაც“ („ასად ფაშა“) უწოდებდნენ.

⁶⁷ ქართველი არაბისტი ბ. სილაგაძე წერს, რომ მუსტაფა აპირებდა მთელი ერაყის გამგებელი გამხდარიყო (იხ. 128, გვ. 49). ეს შედარებით უფრო გვიან XVIII ს. 80-იან წლებში იყო.

დაამყარა ბუიუქ სულეიმანთან. რომლის მმართველობის წლები (1780—1802) ბაბანთა ბელადის იბრაჰიმ ფაშას (1783—1803) გამგებლობის ხანას თითქმის ემთხვეოდა. ამ ხანაში ბაბანთა ქურთი დიდებულების ერთ ნაწილსა და ქართველ ფაშებს შორის არსებულ კარგ ურთიერთობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იბრაჰიმ ფაშამ 1786 წ. სოფელ მელიქ ჰინდის ადგილას დააარსა ქალაქი, რომელსაც სულეიმან ბუიუქის საპატივცემულოდ სულეიმანიე უწოდა (59, გვ. 388). სულეიმანიე შემდგომში სამხრეთ ქურთისტანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრი გახდა. მაგრამ თუ იბრაჰიმ ფაშა ბალდადის გამგებელთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა, სამაგიეროდ სხვები საწინააღმდეგოდ იქცეოდნენ.

1788 წელს სულეიმანიეს სანჯაყის გამგებელი, დროებით, სანამ იბრაჰიმი განდევნილი იყო, იბრაჰიმის ნათესავი ოსმან ფაშა გახდა. ოსმან ფაშას მმართველობის დროს ქურთი ბეგების ურთიერთობა ბუიუქ სულეიმანთან თანდათან გაუარესდა. ოსმან ფაშამ აქტიური მონაწილეობა მიიღო იმ შეთქმულებაში, რომელიც ბასრის გამგებელმა (მუთასალიმმა) მუსტაფა ბეგმა (წარმოშობით ქურთი) და მუნტაფიკების კონფედერაციის ბელადმა შეიხმა აჰმედმა მოაწყეს. შეთქმულნი მიზნად ისახავდნენ ბუიუქ სულეიმანის გადაყენებას. მაგრამ ბუიუქ სულეიმანმა დაასწრო მათ, დაამარცხა მათი გაერთიანებული ლაშქარი და გადააყენა ისინი დაკავებული თანამდებობებიდან.

ბალდადის ფაშა ქურთ ბეგებთან ურთიერთობაში მარტო რეპრესიებით არ დაკმაყოფილებულა. ის ანგარიშს უწევდა მათ ძალას და ძლიერებას. ამიტომ ქურთთა აჯანყების თავიდან აცილების მიზნით, ქურთისტანის სხვადასხვა რაიონების მმართველებს იგი ხშირად ცვლიდა და მათ ნაცვლად მისდამი უფრო ერთგულებს ნიშნავდა. გარდა ამისა, ახლად დანიშნულ ქურთ ბეგებისაგან იგი მათი ოჯახის წევრებს მძევლებად მოითხოვდა.

ქურთი დიდებულების გამუდმებული პარტიკულარიზმი, მათი დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნიდა ქართველ ქულემენების გამაერთიანებელ პოლიტიკას ერაყში. ქურთების დაუსრულებელმა აჯანყებებმა, სხვა რიგ მიზეზებთან ერთად, თანდათან დაასუსტა მამლუქთა ძალაუფლება ერაყში. თავის მხრივ, ბალდადის ქართველი ფაშების ხშირი დამსჯელი ექსპედიციები სამხრეთ ქურთისტანში ძირს უთხრიდნენ ქვეყნის საწარმოო ძალებს და ნიადაგს აცლიდნენ ქურთი ბეგების პოლიტიკურ ძლიერებას. საბოლოო ჯამში მათმა ურთიერთ მეტოქეობამ თურქეთის მთავრობას საშუალება მისცა დაემარცხებინა როგორც მამლუქი, ისე ქურთი ბეგები და უფრო მტკიცედ მოიკიდა ფეხი როგორც ერაყის ქურთისტანში, ისე ცენტრალურ და სამხრეთ ერაყში.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ქუთთი ბეგები, კერძოდ ბაბანი ამირები გარკვეულ როლს თამაშობდნენ ბაღდადის ფაშას ძალაუფლების განმტკიცების ანდა დასუსტების საქმეში. მათი მხარდაჭერა ხშირად უზრუნველყოფდა ახლად დანიშნულ ფაშების წარმატებას იმ მძიმე დაუნდობელ ბრძოლაში, რომელსაც ისინი აწარმოებდნენ ერაყში გაბატონებისათვის. საკმარისი იყო, ბაბან ამირებს უპირატესობა მიენიჭებინათ ირანის შაჰის ანდა სულთნის ხელისუფლებისათვის, რომ ორივე მეზობელ მუსლიმანურ სახელმწიფოს შორის საომარი მოქმედება გარდუვალა გამხდარიყო.

**ქურთები და ქურთისტანი ისტორიის
ახალ პერიოდში
(1789—1917)**

თ ა ვ ი I. ქურთისტანი XIX ს. პირველ ნახევარში

ქურთები და ქურთისტანი XVIII—XIX სს. მიჯნაზე

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის (1789—1794) გამარჯვებამ ძირფესვიანად შეცვალა იმდროინდელი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა, გახსნა გზა კაპიტალიზმისაკენ და მნიშვნელოვნად დააჩქარა ისტორიული განვითარების მსვლელობა.

ახალი ისტორიის დასაწყისში ბურჟუაზიულმა ერებმა აზიისა და აფრიკის ქვეყნები ევროპის კოლონიური დამონების მსხვერპლად და კაპიტალის პირვანდელი დაგროვების წყაროდ გადააქციეს. ინგლისის ბურჟუაზიულ რევოლუციიდან (1642 წ.) საფრანგეთის რევოლუციამდე პერიოდში ინდოეთი, ინდონეზია და ზოგიერთი სხვა ქვეყანა კოლონიად იქცა.

რაც შეეხება ოსმალეთის იმპერიასა და ირანს, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდა ქურთისტანი, მართალია, ისინი ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას, მაგრამ უკვე XVIII ს. ბოლოს ორივე სახელმწიფო ფაქტიურად დაცემის გზაზე იდგა და სულ უფრო ნათლად შეიმჩნეოდა მათი დამოკიდებულ ქვეყნად გადაქცევის ტენდენცია.

XVIII საუკუნეში ოსმალეთის იმპერიამ ავსტრიასთან და რუსეთთან რამდენიმე მნიშვნელოვანი მარცხი განიცადა. ოდესღაც თავისი სამხედრო ძლიერებით სახელგანთქმული ოსმალეთი თანდათან შეტევიდან თავდაცვაზე გადავიდა, ექსპანსია ტერიტორიულმა დანაკარგებმა შეცვალეს.

მთელმა რიგმა სამხედრო წარუმატებლობამ ქვეყნის შიგნით არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი კიდევ უფრო გაამწვავა. „ბრწყინვალე პორტას“ სამფლობელოებში ფეოდალური ანარქია დაიწყო. გახშირდა დაპყრობილ ხალხთა (სამხ. სლავები, ბერძ-

ნები, არაბები, სომხები და სხვათა) აჯანყებანი, რომლებიც სულ უფრო მძლავრად არყევდნენ ფეოდალიზმის საფუძვლებს ქვეყანაში.

XVIII ს. მეორე ნახევარი მეზობელ ირანისათვისაც არეულობის პერიოდი იყო. თითქმის 15 წელიწადს (1779—1794) აქ გაუთავებელი სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა ერთი მხრივ ზენდებსა, და მეორე მხრივ, ყაჯარ ფეოდალურ არისტოკრატიას შორის (იხ. 52).

ყოველივე ამით ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა ქურთების განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობისათვის.

XVIII ს. მიწურულში ბაბანთა საამიროს ქურთისტანში ფაქტიურად ორი გამგებელი ჰყავდა: ბუიუქ სულეიმანის მიერ დანიშნული იბრაჰიმ ფაშა და ოსმან ფაშას ძმა — აბდ არ-რაჰმან ფაშა. 1803 წ. ქურო იეზიდთა წინააღმდეგ ბაღდადის ახალი გამგებლის ჰაფიზ ალი ფაშას¹ მიერ სინჯარის მთებში მოწყობილი ლაშქრობის დროს იბრაჰიმ ფაშა გარდაიცვალა. იბრაჰიმის სიკვდილის შემდეგ აბდ არ-რაჰმან ფაშა ბაბანთა საამიროს ერთპიროვნული მმართველი გახდა.

დასაწყისში აბდ არ-რაჰმან ფაშა ალი ფაშას მფარველობას ეძებდა და მის მიერ 1804 წ. ვაჰაბიტების წინააღმდეგ წამოწყებულ ომში აქტიური მონაწილეობა მიიღო, მაგრამ შემდგომ განუდგა მას. ამისათვის ჰაფიზ ალი ფაშამ იგი გადააყენა სულეიმანიეს მმართველის თანამდებობიდან. 1805 წ. აბდ არ-რაჰმანი თავის ბატონს აუჯანყდა. მან საკუთარი ხელით განგმირა ქოისანჯაყის გამგებელი მუჰამედ ფაშა, ხოლო სულეიმანიეში მის ნაცვლად დანიშნული ხალედ ფაშა ალთუნ ქოფრიუსთან დაამარცხა. ერთბაშად ქურთმა დიდებულმა თავის ხელქვეით სამხრეთ ქურთისტანის დიდი ნაწილი გააერთიანა და ამით ბაღდადის საფაშოს ძლიერებას წყალი შეუყენა. ჰაფიზ ალი ფაშა იძულებული შეიქნა ვაჰაბიტებთან ბრძოლა შეეწყვიტა და თავისი ჯარის ნაწილებით სამხრეთ ქურთისტანისაკენ დაძრულიყო. ბაღდადის ფაშასათვის, რომელსაც გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი ჯარები ჰყავდა, გაურჩეული ქურთი ამირას ძლევა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. დამარცხებული აბდ არ-რაჰმან ფაშა ბაბანი ჯერ სენენდექში ირანის ქურთისტანის ნაცვალთან გაიქცა, ხოლო შემდეგ თეირანში თვით ირანის შაჰს ეახლა (170ა, ტ. 1, გვ. 384).

ამ დროს ირანის სამეფო ტახტზე ყაჯართა დინასტიის მეორე წარმომადგენელი ფათჰ ალი შაჰი (1797—1834) იჯდა.

XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. მიჯნაზე ყაჯარებმა თავიანთი პოზიცი-

¹ ქართველი ქვლეზნი ალი ფაშა სულეიმან ბუიუქის სიძე იყო. იგი ბაღდადის საფაშოს სათავეში ედგა 1803—1807 წწ. (დაწერილებით მის შესახებ იხ. 48, 1969, № 3, გვ. 48—55).

ები ქვეყნის შიგნით არა მარტო განამტკიცეს, არამედ აქტიურ საგარეო პოლიტიკასაც ატარებდნენ.

XIX ს. დასაწყისში დაიწყო რუსეთ-ირანის ომი (1804—1813). ამ ომში ირანი ცდილობდა შეენარჩუნებინა მის ხელქვეით მყოფი დაღესტანი და ჩრდილოეთ აზერბაიჯანი, რომელთაც რუსეთი დაემუქრა. ფაქტობრივად არა მარტო ირანის იმპერიის ტერიტორიულ მთლიანობას იცავდა, არამედ მის გაზრდასაც ლაშობდა თავის დაუძღვრებულ მეზობლის ოსმალეთის ხარჯზე. კერძოდ იგი ოსმალეთის მიერ მიტაცებულ ქურთისტანის დაბრუნებას აპირებდა.

ამიტომაც ოსმალეთიდან ლტოლვილი ქურთი ფაშა აბდ არ-რაჰმანი შაჰის კარზე დიდი პატივით მიიღეს. მას თავშესაფარი მისცეს და დახმარებასაც შეპირდნენ. ირანის შაჰის თხოვნა გაძევებული ქურთი ფაშას სულეიმანიეს გამგებლის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ოსმალეთის სულთანმა და ბაღდადის ფაშამ უარყვეს.

უერთიერთობა ირანსა და ოსმალეთს შორის მეტად დაიძაბა. ომი მათ შორის ალბათ გარდუვალი შეიქნებოდა, რომ ამ დროს თურქეთი საფრანგეთის დიპლომატიის წყალობით რუსეთთან ომში არ ჩაბმულიყო. რუსეთ-თურქეთის ომის (1806—1812) დაწყებამ ოსმალეთს ირანის წინააღმდეგ გამოსვლის საშუალება არ მისცა. მიუხედავად ამისა, ბაღდადის ფაშამ ირანის საზღვართან (ხანეყინთან ახლოს) ჯარის ნაწილების თავმოყრა დაიწყო. სულთნის მთავრობამ ჰაფიზ ფაშას უბრძანა უკუქვეულიყო ხანეყინიდან. ჰაფიზ ალიმ ეს ბრძანება შეასრულა. ქურთმა ამირამ აბდ არ-რაჰმანმა ისარგებლა ამით და თავისი ლაშქრით სულეიმანიესაკენ გაემართა. ამ ლაშქრობის დროს ირანის შაჰის უფროსი ვაჟი ქერმანშაჰის მმართველი პრინცი მუჰამედ ალი მირზა ქურთ დიდებულს თავისი რაზმებით ეხმარებოდა. ქურთების და ირანელების გაერთიანებული ლაშქარი ჰაფიზ ალის ლაშქართან პირველ შეხვედრის დროს დამარცხდა, მაგრამ შემდეგ ახალი ძალების მოშველიების წყალობით სძლია ბაღდადის ფაშას ჯარს, ხოლო მისი მეთაური სულეიმან ბეგი (სულეიმან ქუჩიუკი) ტყვედ ჩაიგდეს. რამდენიმე თვის შემდეგ ირანის შაჰმა სულეიმან ალა ტყვეობიდან გაათავისუფლა. ბაღდადის ფაშამ ამის საპასუხოდ აბდ არ-რაჰმანი შაჰრის მიერ შემკვიდრე ბეგლარბეგად სცნო. ფაქტიურად ეს ბაღდადის საფაშოსაგან ქურთისტანის ჩამოშორებას ნიშნავდა. ამრიგად, ქურთმა შემკვიდრე ფაშებმა ბაბანთა გვარიდან ირან ოსმალეთს შორის არსებული წინააღმდეგობით ისარგებლეს და სამხრეთ ქურთისტანის დიდი ტერიტორიის გამგებლობაზე ავტონომიური უფლებები მოიპოვეს.

ბრძოლა ბაღდადის ფაშასა და ქურთ ამირებს შორის ჰაფიზ ალის სიკვდილის შემდეგაც გაგრძელდა. 1808 წ. ბაღდადის ახალმა ფაშამ, ტომით ქართველმა სულეიმან ქუჩიუკმა (უმცროსმა) ქურთისტანში აბდ

არ-რაჰმანის წინააღმდეგ მოაწყო ლაშქრობა. ქურთებისა და ბაღდადის ფაშას ლაშქარი ერთმანეთს დერბენდი ბაზიანის ხეობაში შეხვდნენ. ქურთები მიუვალ ციხესიმაგრეში გამაგრდნენ, მაგრამ ქუჩიუკ სულეიმანი ერთ-ერთი ქურთი დიდებულის, ხალედ ფაშას ვაჟიშვილის მძაპრულ ბეგის ღალატის წყალობით დაუცველი ბილიკების გავლით მოულოდნელად აზდ არ-რაჰმანის რაზმებს ზურგში მოექცა და იგი აიძულა ირანში გაქეულებო (170ა, ტ. 1, გვ. 59). ქურთისტანის მმართველად სულეიმან ქუჩიუკმა აზდ არ-რაჰმანის ბიძაშვილი სულეიმან ფაშა (იბრაჰიმ ფაშას ვაჟიშვილი) დასვა.

ბაღდადის ფაშამ კვლავ დაიმორჩილა სამხრეთ ქურთისტანი, მაგრამ დროებით. როგორც კი ქუჩიუკ სულეიმანმა თავისი ჯარები ქურთისტანიდან² გაიყვანა, აზდ არ-რაჰმან ბაბანი 1809 წ. ისევ დაბრუნდა სულეიმანიეში და თავისი ხელისუფლება აღადგინა. ამასობაში სულეიმან ქუჩიუკმა თავისი სამხრეთელი მტრები ვაჰაბიტები დაამარცხა და კვლავ სულეიმანიესაკენ გაილაშქრა (ამჯერად ირანელებთან კავშირში). აზდ არ-რაჰმანი სულეიმანიედან ქოისანჯაყში გაიქცა. აქ მას ირანის ჯარებმა მუჰამედ ალი მირზას მეთაურობით ალყა შემოარტყეს, მაგრამ ალყა დიდხანს არ გაგრძელებულა, ვინაიდან ირანის შაჰმა თავისი დამსჯელი ჯარები ქურთისტანიდან მალე უკან გამოიწვია (170ა, ტ. 1, გვ. 384).

ბაღდადის ფაშა ქუჩიუკ სულეიმანი ქურთების წინაშე მარტო დარჩა. ამ დროს სტამბოლში სულთნის ხელისუფლებამ გადაწყვეტილება მიიღო ქუჩიუკ სულეიმანის თავისი თანამდებობიდან გადაყენების შესახებ და განკერძოებისაკენ მისწრაფებისათვის მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. სულთან მძაპრულ II-ის პირადმა წარმომადგენელმა ხალედ ეფენდიმ ქუჩიუკ სულეიმანის წინააღმდეგ აზდ არ-რაჰმანი და მისი მომხრეები გამოიყვანა. თურქებისა და ქურთების გაერთიანებული ლაშქარი ქ. კირკუჯიდან ბაღდადისაკენ დაიძრა. ბაღდადის მისადგომებთან გადაწყვეტი ბრძოლა გაიმართა. ქუჩიუკ სულეიმანი დამარცხდა და ერთ-ერთ მოკავშირე არაბულ ტომს დეფაის თავი შეაფარა, მაგრამ მისმა ბელადმა იმ მიზნით, რომ ხალედ ეფენდისათვის ესიამოვნებინა ღტოლვილ სულეიმანს თავი მოკვეთა და ბაღდადში გადაზავნა. ამასობაში ქურთთა 20 ათასიანი ლაშქარი ბაღდადში შემოვიდა. შექმნილი ვითარებით ქურთებმა ისარგებლეს და ბაღდადის ახალი გამგებლის დანიშვნაში მონაწილეობა მიიღეს. მათი ზეგავლენით ქუჩიუკ სულეიმანის ყოფილი ხაზინადარი წარმოშობით ქურთი აზდულაჰ ალა თუთუნჯი ბაღდადის საფაშოს მმართველად აირჩიეს. ახალმა ფაშამ აზდ არ-რაჰმანი სულეიმანიეს გამგებლად სცნო. ბაბანთა ამირა კვლავ დამოუკიდებელი მმართველი გახდა.

² ამ დროს ერასყ კვლავ ვაჰაბიტები შემოესივნენ და ქუჩიუკ სულეიმანი თავისი ჯარებით სწორედ მათ წინააღმდეგ გაეშურა.

ირანის შაჰი ბაღდადის ფაშასა და ქურთი ღიღებულების დაახლოებაში დაინტერესებული არ იყო. ამიტომ სულეიმანიეს მმართველის თანამდებობაზე მან თავისი კაცი წამოაყენა. მაგრამ აბდ არ-რაჰმანმა ირანის მთავრობასთან საერთო ენა გამოიხატა. მაშინ აბდ არ-რაჰმანის პროიჩანული კურსის წინააღმდეგ ბაღდადის ფაშა გამოვიდა. გაუჩხებულ ქურთ ამირას წინააღმდეგ მან ღიღი ლაშქარი გააგზავნა. 1813 წლის დასაწყისში აბდ არ-რაჰმანი ქერმანშაჰში გაიქცა და ირანის ტახტის მემკვიდრესთან მუჰამედ ალი მირზასთან კვლავ მფარველობას ეძებდა. მუჰამედ ალი მირზამ იარაღის ძალით აბდ არ-რაჰმან ბაბანი სულეიმანიეში ამირას თანამდებობაზე აღადგინა.

ბაღდადის ფაშასათვის ქურთი ამირას დაბრუნება საბედისწერო აღმოჩნდა. აბდულაჰ ფაშა თუთუნჯის მორიგმა წარუმატებლობამ მისი ავტორიტეტი ქვეშევრდომებს შორის საბოლოოდ შეარყია. მოკავშირე არაბულმა ტომებმა და მათ შორის ყველაზე გავლენიანმა მუნტაფიკებმა მისგან განდგომა დაიწყეს. გაგულისებულმა აბდულაჰმა მუნტაფიკების შეიხის წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ ეს ლაშქრობა მარცხით დამთავრდა. ბრძოლის დროს აბდულაჰი დაიღუპა. ეს ყველაფერი 1813 წელს მოხდა. იმავე წელს აბდ არ-რაჰმან ბაბანიც გარდაიცვალა და სულეიმანიეს ბეგლარბეგად მისი შვილი მაჰმუდ ფაშა დაინიშნა. იგი ბაბანთა საამიროს განაგებდა 1813—1834 წწ. ბაღდადის ახალმა ფაშამ ბუიუქ სულეიმანის შვილმა საიდ ბეგმა მაჰმუდ ფაშა არ სცნო და მას თავისი კაცი დაუპირისპირა. ამან ირანის ჯარების ახალი შემოჭრა გამოიწვია. სტამბოლიდან მოსული ბრძანების თანახმად საიდ ბეგი გადააყენეს. ბაღდადის გამგებელი უქანასკნელი ქართველი ქულემენი დაუდ ეფენდი გახდა.

დაუდ ფაშას (1817—1831) მმართველობის დროს სულეიმანიეს მაჰმუდ ფაშა განაგებდა. მაჰმუდ ფაშა, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ქერმან შაჰის მმართველის კარზე იმყოფებოდა, პროიჩანულად იყო განწყობილი. დაუდ ფაშა ბევრს ეცადა მაჰმუდ ფაშას გადააყენებას, მაგრამ მისი ყველა ცდა მარცხით დამთავრდა. ბაბანთა საამიროს მაჰმუდ ფაშა 1834 წლამდე მართავდა.

სულეიმანიეს მმართველის და ბაღდადის ფაშას კონფლიქტში ირანი სისტემატურად ერეოდა. ირანის შაჰი მიზნად ისახავდა არა მარტო ქურთების გადმობირებას, არამედ მთელი არაბული ერის შეერთებას.

1821 წ. შემოდგომაზე ირანიდან დევნილ ორ ქურთულ ტომს ერზურუმის ვალიმ მფარველობა და დახმარება გაუწია. აზერბაიჯანის მმართველმა პრინცმა აბას მირზამ ეს ფაქტი ხელზე დაიხვია და თავისი ჯარებით ერზურუმის ოლქის ტერიტორიაზე შეიჭრა. სპარსელებმა დაიკავეს თოფრაც ყალასა და აქ-სარაის ციხეები. ერზურუმის ვალიმ ჯეროვანი წი-

ნააღმდეგობა ვერ გაუწია შემოჭრილებს და მალე მტერს დაუთმო აბ-
შეჭრი, დიადინი, ბითლისი, მუში და სხვა რაიონები (59, გვ. 418).

სულთნის ბრძანების თანახმად, ბაღდადის ფაშა ჩაერია ამ კონფ-
ლიქტში. იგი თავისი ჭარებით შეიჭრა ქერმანის ოლქში, მაგრამ იქიდან
ფათხ ალი შაჰის მეორე შვილმა მუჰამედ ალი მირზამ უკუაგდო. ირანე-
ლებმა და მათმა მოკავშირე ქურთებმა შემოჭრილ დაუდ ფაშას ბაღდა-
დამდე სდიეს. ახლა საფრთხე თვით ბაღდადს დაემუქრა, მაგრამ ერაყში
შემოჭრილმა ირანულ-ქურთულმა გაერთიანებულმა ლაშქარმა, მიუხე-
დავად ხელსაყრელი ვითარებისა, ბაღდადი მაინც ვერ აიღო და 1821 წ.
შემოდგომაზე უკუიქცა. უკანდახევის ერთ-ერთი მიზეზი ქოლერის ეპი-
დემია გახდა. იგი გავრცელდა მუჰამედ ალი მირზას ჭარის რიგებში.

1822 წ. გაზაფხულზე საომარი მოქმედება კვლავ განახლდა. ირანის
მრავალრიცხოვანი არმია (40.000 კაცი) მუჰამედ ჰუსეინის მეთაურობით
ისევ გამოიჩნდა ერაყში, მაგრამ ამჯერად დაუდ ფაშა უფრო მომზადე-
ბული შეხვდა მას და ირანელებს დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ომმა
თანდათან პოზიციური ხასიათი მიიღო და 1823 წ. 28 აგვისოს ერზურუმის
ზავით დამთავრდა. ეს ზავი ოსმალეთისათვის უფრო ხელსაყრელი აღ-
მოჩნდა, ვიდრე ირანისათვის. ირანმა ბაღდადის ფაშას 1819 წ. მიტაცე-
ბული მენდელის რაიონი და შაჰრიზურის ნაწილი დაუბრუნა. ორივე
მხარე ვალდებულებას იღებდა ქურთები იმ სახელმწიფოს ქვეშევრდო-
მებად ეცნოთ, რომლის ტერიტორიაზეც ისინი მომთაბარებოდნენ. გარ-
და ამისა, მეომარი მხარეები ერთმანეთს ჰპირდებოდნენ, რომ ამიერი-
დან აღარ ჩაერეოდნენ ერთმანეთის საშინაო საქმეებში და მათ ქვეშევრ-
დომ ქურთებს სხვის ტერიტორიაზე შეჭრისაგან შეაკავებდნენ.

ქურთების დაახლოება რუსეთთან

XIX ს. დასაწყისში რუსეთთან საქართველოს შეერთებამ ამიერკავ-
კასიაში რუსეთი ირანისა და ოსმალეთის უშუალო მოსაზღვრე გახადა.
ამ გარემოებამ, ისევე როგორც ომებმა ირანთან (1804—1813) და
თურქეთთან (1806—1812 წწ.), რუსების ინტერესი ქურთული მოსახ-
ლეობისადმი მეტად გაზარდა.

თავის მხრივ, ირანი და თურქეთი, როგორც რუსეთის, ისე ერთმანე-
თის წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში, ქურთების ცხენოსან რაზმებს
ფართოდ იყენებდნენ. ქურთი ფეოდალები და ტომის ბელადები, რომ-
ლებიც მდიდარი ნადავლის შოვნით იყვნენ დაინტერესებული, ამ ბრძო-
ლებში ხალისით მონაწილეობდნენ. ხშირად ქურთების ერთი ტომა
მეორეს ეომებოდა ირანის ან თურქეთის მმართველი წრეების ანგარე-
ბითი ინტერესებისათვისაც. ქურთი ტომების ხელმძღვანელები მაშინ
ნაკლებად უწეოდნენ ანგარიშს იმას, რომ ძმათა მკვლელი ომები ქურთე-

ბის გაერთიანებას აფერხებდნენ, მათ პოლიტიკურ კონსოლიდაციას ხელს უშლიდნენ და მათ შორის გათიშულობას კიდევ უფრო აღრმავებდნენ, არაფერი რომ არ ვთქვათ იმ ეკონომიურ ზარალზე, რომელსაც ქურთი გლეხები და მწყემსები ამის შედეგად განიცდიდნენ.

ირანთან და თურქეთთან ომების დროს რუსეთის მთავრობა პირველ რიგში ქურთი ტომების ნეიტრალიტეტზე ზრუნავდა. ქურთ ბელადებს იგი სთავაზობდა ნებაყოფლობით გადმოსვლას, ჰპირდებოდა მათ, რომ რუსეთის ქვეშევრდომობაში ყოფნისას შეუნარჩუნებდა ძალაუფლებას მათ ხელქვეით ხალხებზე, ხოლო მათ საქონელს საძოვრებით უზრუნველყოფდა. ასე მაგალითად, 1804 წ. ირანთან საომარი მოქმედების დაწყებასთან დაკავშირებით, რუსეთის ჯარების მთავარსარდალმა საქართველოში გენერალმა ციციანოვმა ერევნის სახანოს ტერიტორიაზე მომთაბარე ქურთი ტომის ბელადს ჰუსეინ აღას რუსეთის მხარეზე გადმოსვლა და მისი ქვეშევრდომობის მიღება შესთავაზა. ამის სანაცვლოდ იგი ჰპირდებოდა მას, რომ შეუნარჩუნებდა ყველა უფლებებსა და პრივილეგიებს (17, ტ. II, გვ. 617).

ციციანოვის ეს წინადადება ქურთებმა უარყვეს. ამის შემდეგ რუსეთი მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ არ გაეღიზიანებინა ქურთები თავისი სამხედრო მოქმედებებით. ამავე დროს, იმ ქურთებს, რომლებიც რუსეთის ფარგლებში იჭრებოდნენ მკაცრად სჯიდნენ.

გულისტანის ზავით (1813 წ.) ირანის შაჰმა მეფის რუსეთს ყარაბაღის სახანო დაუთმო. ყარაბაღში სხვა ხალხებთან ერთად ქურთებიც ცხოვრობდნენ. ყარაბაღის სახანოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ყარაბაღელი ქურთებიც რუსეთის ქვეშევრდომობაში აღმოჩნდნენ. ასე გაჩნდა ქურთების პირველი კომპაქტური დასახლება რუსეთის იმპერიაში.

რუსეთ-ირანის მეორე ომის (1826—1828 წ.) შემდეგ ქურთი მოსახლეობის რიცხვი რუსეთში კიდევ უფრო გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ მეორე ომში ქურთებმა გაცილებით უფრო მეტი აქტივობა გამოიჩინეს და მათმა ცხენოსანმა რაზმებმა მონაწილეობა მიიღეს რუსეთის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. ქურთების მონაწილეობა ამ ომში იმით იყო გაპირობებული, რომ რუსეთის ჯარები სულ უფრო მიუახლოვდნენ ქურთებით დასახლებულ რაიონებს (ამ დროს ერევნის სახანოში მრავალი ქურთული ტომი ცხოვრობდა). თურქმანჩაის ხელშეკრულების (1828) თანახმად, რუსეთს ერევნის სახანოც გადაეცა.

რუსეთ-თურქეთის 1828—1829 წწ. საომარი ასპარეზიდან დაშორებულ სამხრეთ ქურთისტანის (დღევანდელი ერაყის და სირიის ქურთისტანი) ტომებს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ, ხოლო აღმოსავლეთ თურქეთის ვასალურმა სამთავროებმა (ბოჰთანი, რევანდუზი, ბაჰ-დინანი, ჰაკიარი და სხვა) ნეიტრალური პოზიცია დაიკავეს (57a, გვ. 20).

რუსეთის ჯარების მაშინდელი მთავარსარდალი კავკასიაში გენერალი პასკევიჩი ერთ-ერთი პირველი მიხვდა ქურთ ტომებთან მეგობრულ ურთიერთობის დამყარების მნიშვნელობას. იგი ყოველმხრივ ცდილობდა გამოეყენებინა ქურთი ტომები თურქების წინააღმდეგ. ამ მიზნით ის დაუკავშირდა ბაიაზეთის ქურთ ფაშას ბალიულს. თავის მხრივ, ბალიულმა რუსებს თავისი ერთგულება და სამსახური შესთავაზა, 1828 წ. ზაფხულის ბოლოს, როდესაც გენერალი ალ. ჭავჭავაძე ერევნის რაზმით ბაიაზეთს მიაღწა, მისმა გამგებელმა ბალიულმა უბრძოლველად ჩააბარა მას ქალაქი. ამან ალ. ჭავჭავაძეს თოფრაკ ყალას დაკავება და მუშის საფაშოს დალაშქვრა გაუადვილა. ამ სამხედრო წარმატებების წყალობით რუსეთის ჯარებმა სრული კონტროლი დააწესეს ბაიაზეთისა და ალაშქერტის სანჯაყების მთელ ტერიტორიაზე.

ერთი წლის შემდეგ (1829 წ. ივლისი) რუსეთის ჯარებმა დაიპყრეს ერზურუმი, ხოლო შემდეგ ხნისის ციხეც. ამ სამხედრო ოპერაციების წინ მუშის მმართველმა ქურთმა ემინ ფაშამ, ზილანლისა და სიპკის გავლენიანი ტომების ბელადებმა ჰუსეინ აღამ და სულეიმან აღამ მოლაპარაკება დაიწყეს პასკევიჩის წარმომადგენლებთან³ რუსეთის მხარეზე მათი გადასვლის შესახებ, მაგრამ საბოლოო შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ქურთებს არა სურდათ თურქეთის სულთნის ინტერესებისათვის ებრძოლათ, მაგრამ რუსეთის სიძლიერეშიც ბოლომდე დარწმუნებული არ იყვნენ. ქურთებს ეშინოდათ, რომ რუსების მიერ დაკავებული ტერიტორია მომავალში კვლავ თურქთა ბატონობის ქვეშ მოექცეოდა და შემდეგ თურქები მათზე შურს იძიებდნენ.

ქურთთა მოძრაობა 30—40-იან წლებში

პოლიტიკურმა კრიზისმა, რომელმაც თავი იჩინა ოსმალეთის იმპერიაში XIX ს. პირველ მესამედის ბოლოს (წარუმატებლობა საბერძნეთში და რუსეთთან ომში), თურქეთის სულთნის ხელისუფლება ძლიერ დაასუსტა. ამ ორი მძიმე მარცხის შედეგად, — წერდა კ. მარქსი, — ოსმალეთმა დაკარგა პრესტიჟი თავის საკუთარ ქვეშევრდომთა თვალში და მაშინ, — როგორც ეს ჩვეულებრივად ხდებოდა აღმოსავლეთ იმპერიაში, როდესაც უმაღლესი ხელისუფლება სუსტდებოდა, ფაშების წარმატებითი აჯანყებები იწყებოდა (2, გვ. 388). ასე მოხდა ამჯერად ოსმალეთის იმპერიაში. უკვე 1831 წ. ოქტომბერში სულთანსა და მის ხელქვეით ეგვიპტის ფაშას მუჰამედ ალის შორის დაიწყო კონფლიქტი. რამდენიმე ბრძოლებში სულთნის ჯარი სამარცხ-

³ პასკევიჩის სახელით ქურთ ფეოდალებთან მოლაპარაკებას კაპიტანი ვაჩნაძე და კაპიტანი ყორღანოვი აწარმოებდნენ (14, საქ. 8, ფ. 143—144).

ქინოდ დამარცხებულ იქნა (104, გვ. 94). მხოლოდ რუსეთის ჩარევამ იხსნა ოსმალეთი სრული კაპიტულაციისაგან. 1833 წ. 4 მაისს კიუტაჰიაში მეომარმა მხარეებმა ხელი მოაწერეს დაზავებას, ხოლო თურქეთსა და რუსეთს შორის სამხედრო კავშირი⁴ დაიდო.

სწორედ ამ დროს, ისე როგორც ოსმალეთის იმპერიის სხვა პროვინციებში, ქურთისტანშიც, რომელიც ჩრდილოეთიდან ბაღდადის საფაშოს ემიჯნებოდა, დიდი აჯანყება დაიწყო. ქურთების ახალი აჯანყების ცენტრი რევანდუზის მთიანი მხარე იყო. რევანდუზელი ქურთების აჯანყებას სალაჰ-ედ-დინის ერთ-ერთი შთამომავალი შირ მუჰამედ ფაშა ჩაუდგა სათავეში. აჯანყების მთავარი მიზეზი თურქების მიერ ქურთი ხალხის ფართო მასების უმოწყალო ექსპლოატაცია იყო. მუჰამედ ფაშამ თურქეთის სულთნის ძალაუფლების შესუსტებით ისარგებლა და დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნა განიზრახა. ეგვიპტის ახალი მმართველის მუჰამედ ალი ფაშას წარმატებებმა, განსაკუთრებით მის მიერ სირიისა და პალესტინის დაპყრობამ, ქურთ ფეოდალებზე დიდი ზეგავლენა მოახდინეს. სირია ბაღდადის საფაშოსა და ქურთისტანს უშუალოდ ესაზღვრებოდა. მუჰამედ ალისა და მისი შვილის იბრაჰიმ ფაშას ემისრები ფართო ანტი-თურქულ აგიტაციას ეწეოდნენ. ამ აგიტაციამ თავისი ნაყოფი გამოიღო — სულთნის ხელისუფლების წინააღმდეგ რევანდუზის სხვა გავლენიანი ქურთი ბელადებიც (ველედ ხან ბეგი, საიდ ბეგი და ისმაილ ბეგი) აღდგნენ (59, გვ. 432). ისინი აშკარად აცხადებდნენ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ მისწრაფოდნენ.

რევანდუზელი ქურთების მოძრაობა მიმართული იყო, ერთი მხრივ, ოსმალეთის სულთნის ხელისუფლების, ხოლო მეორე მხრივ, ირანის შაჰის ხელისუფლების წინააღმდეგ, აჯანყებულმა ქურთმა ფეოდალებმა თავიანთი ძალაუფლება მნიშვნელოვან ტერიტორიაზე გაავრცელეს. იგი გადაჭიმული იყო მდ. ტიგროსის სანაპიროდან ირანის აზერბაიჯანამდე. მუჰამედ ფაშამ დაიმორჩილა ამადიისა და ზახოს რაიონების გავლენიანი ქურთი ფეოდალები. მუჰამედ ფაშას გამაერთიანებელ პოლიტიკას წინააღმდეგობას უწევდნენ ძველი ფეოდალური გვარების (ბაბანები და ბადრხანები) შთამომავლები (173, გვ. 52).

აჯანყებული რევანდუზელი ქურთების წინააღმდეგ თურქეთის მთავრობამ 20 ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარი დამსჯელი ექსპედიცია გააგზავნა. მას სივასის ოლქის გუბერნატორი მუჰამედ რეშიდ ფაშა მეთაურობდა (97, გვ. 74). თურქეთის ჯარებმა აჯანყებულთა რაზმები

⁴ იგი დაიდო უნკიარ-ისკელესში, სადაც დაბანაკებული იყო რუსეთის ჯარი და ცნობილია უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულების სახელით.

შეავიწროვეს და ისინი მთებისაკენ გარეკეს. მაგრამ რეშიდ ფაშა ამით არ დაკმაყოფილდა. სულთნის ბრძანებით მან განაგრძო შეტევა ქურთისტანის შუაგულისაკენ. ერთდროულად სულთანმა მის დასახმარებლად ბაღდადის საფაშოს ახალი მმართველი ალი-რიზა ფაშა და მოსულის მმართველი მუჰამედ ფაშა გაგზავნა. 1834 წ. ზაფხულში რეშიდ ფაშამ, რომლის განკარგულებაშიც 40 ათასმა მეომარმა მოიყარა თავი, თავისი ჯარები ქურთისტანის მთიანი რაიონებისაკენ სამი მხრიდან დასძრა. აჯანყებულთა რაზმები შედარებით მცირერიცხოვანი იყვნენ და ბრძოლას პარტიზანული მეთოდებით აწარმოებდნენ. ქურთების თვითეული გამაგრებული და მიუვალი ციხეების აღებას თურქები, —გერმანელი მარშლის ჰელჰუტ ფონ მოლტკეს მოწმობით, — 30—40 დღეს ანდომებდნენ (164, გვ. 243). თურქების შეტევას ბევრად აფერხებდა ის გარემოება, რომ ისინი სურსათ-სანოვაგითა და სამხედრო საჭურველით მომარაგების მხრივ გარკვეულ სიძნელეებს განიცდიდნენ. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ჯარში ცუდი სანიტარული პირობები არსებობდა.

მუჰამედ ფაშა რევეანდუხელმა თურქების დამსჯელი ჯარების შეფერხებით ისარგებლა და თავისი ცხენოსანი რაზმებით 1835 წ. ოქტომბერში მეზობელ ირანის ტერიტორიაზე შეიჭრა. ქურთებმა დაიპყრეს კოტურის სასაზღვრო რაიონი. ირანის შაჰმა მათ წინააღმდეგ ქ. ხოიდან ჯარების დიდი შენაერთები გააგზავნა, მაგრამ ქურთებმა ისინი სასტიკად დაამარცხეს. აჯანყებული ქურთები მარტო კოტურის დაპყრობით არ შემოიფარგლნენ. მათ დალაშქრეს აგრეთვე სულდუზისა და ურმიის ახლო-მახლო მდებარე სოფლები (14, საქ. 431, ფურ. 3). ადგილობრივი ქურთები, რომლებიც შაჰის მთავრობის მოხელეების მიერ დაკისრებული გადასახადებით მეტად შევიწროვებული იყვნენ, მუჰამედ ფაშას და მის რაზმებს სიხარულით ხვდებოდნენ და ყოველმხრივ ეხმარებოდნენ (14, ან. 1, საქ. 308, ფურ. 23—24). თურქეთიდან გადმოსული ქურთების მოძრაობის ჩახშობა შაჰმა დაავალა ირანის აზერბაიჯანის მმართველს მუჰამედ თაყი ხანს, რომელმაც სამხედრო დახმარებისათვის რუსეთს მიმართა; რუსეთის მთავრობამ მისი თხოვნა დააკმაყოფილა (14, საქ. 548, ფურ. 10—11).

1836 წ. ზაფხულისათვის მუჰამედ თაყი ხანმა 10 ათასიანი ლაშქარი შეკრიბა და ირანში შემოჭრილი ქურთების წინააღმდეგ⁵ შეტევისათვის მზადება დაიწყო. ერთდროულად აჯანყებული ქურთების წინააღმდეგ თავიანთი შეტევა მუჰამედ რეშიდ ფაშას ჯარებ-

⁵ ქურთების დამარცხების შემდეგ, მათი დასუსტების მიზნით ირანის მთავრობამ დაიწყო მათი ერთი ნაწილის გადასახლება ხორასანში, ხოლო ირანის ქურთისტანში და აზერბაიჯანში თურქული წარმოშობის ტომები ჩამოასახლა (97, გვ. 74).

მაც განაახლეს. რევანდუზელ ქურთებს ორ ფრონტზე ბრძოლა მოელოდათ. ამიტომ მუჰამედ ფაშამ სცადა დაეწყო მოლაპარაკება თავი ხანთან. იგი თანახმა იყო მიეღო ირანის ქვეშევრდომობა და გადასახადებიც გადაეხადა (14, საქ. 458, ფურ. 8). მაგრამ ირანელმა ხანმა ქურთების წინადადება უარყო და თურქებთან ერთად ქურთების წინააღმდეგ გამოსვლა გადაწყვიტა. ამასობაში მუჰამედ რეშიდ ფაშამ თავისი ლაშქრით ალყა შემოარტყა რევანდუზს და აიძულა მუჰამედ ფაშა დანებებოდა. აჯანყების მეთაურები სტამბოლში გადაასახლეს (166).

მიუხედავად მარცხისა, ქურთების 1835—1837 წწ. აჯანყებას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. მან გამოაწრთო ქურთები, შესძინა გამოცდილება, რომელიც მათ შემდგომში გამოიყენეს თურქ და ირანელ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

რევანდუზელი ქურთების აჯანყების ჩახშობის შემდეგ ქურთ ფეოდალთა და ტომის ბელადების პარტიკულარიზმმა კიდევ უფრო იმატა. ინგლისელი ტროტერი, რომელმაც XIX ს. 60-იანი წლების ბოლოს თურქეთის ქურთისტანში იმოგზაურა, აღნიშნავდა, რომ თურქთა დამსჯელმა ექსპედიციამ მართალია, „მნიშვნელოვნად შეამცირა ქურთების ყაჩაღობა და მათ მიერ სხვების ძარცვა, მაგრამ ვერც თურქეთისა და ვერც ირანის მთავრობამ სავსებით მაინც ვერ დაიმორჩილა ქურთებიო“ (131, გვ. 74). ეგვიპტის დამოუკიდებელი მმართველის მუჰამედ ალის სამხედრო წარმატებებმა ოსმალეთის იმპერიას ახალი საგარეო პოლიტიკური გართულებების წინაშე დააყენეს. თავის მხრივ, ამ გართულებებმა ხელი შეუწყეს ქურთების სეპარატისტული განწყობილების ზრდას.

40-იანი წლების დასაწყისში ურთიერთობა ოსმალეთსა და ირანს შორის თანდათან დაიძაბა. ახალი ომი ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო (14, საქ. 13, ფურ. 2).

1842 წ. ირანის ჯარები ორჯერ შემოიჭრნენ თურქეთის ქურთისტანში. პირველად მათ ხელთ იგდეს ქ. ქერბელა და ააოხრეს ქ. სულეიმანიე, ხოლო მეორედ დალაშქრეს ბაიაზეთის მიდამოები. ირანელთა მეორე ლაშქრობა მარცხიანი აღმოჩნდა. ჰაფიზ ფაშას მეთაურობით თურქეთის ჯარებმა სძლიეს ირანის ჯარებს და უკუაგდეს ისინი. ამ სამხედრო ოპერაციებმა ორივე ქვეყანა ომის ზღურბლამდე მიიყვანა. მაგრამ ომი მათ შორის მაინც არ გაჩაღდა, რადგანაც ირან-თურქეთის დავაში ინგლისი და რუსეთი ჩაერივნენ. კონფლიქტის მოწესრიგების მიზნით თურქეთის, ირანის, რუსეთისა და ინგლისის წარმომადგენლებისაგან 1843 წ. შეიქმნა შერეული კომისია. ეს კომისია მუშაობდა ერზურუმში დაახლოებით 4 წელს.

სანამ თურქეთისა და ირანის მთავრობები, რუსეთისა და ინგლი-

სის მეშვეობით, თავიანთ სადავო საკითხებს აგვარებდნენ, ქურთის-ტანში, კერძოდ კი ჯეზირეში, აჯანყება დაიწყო. ამჯერად ქურთების ახალ დიდ აჯანყებას ბადრხან ბეგი ხელმძღვანელობდა. ეს მისი მეორე გამოსვლა იყო თურქთა ბატონობის წინააღმდეგ. წარმოშობით ბადრხანი ცნობილ ფეოდალურ გვარს მიეკუთვნებოდა. სხვა ქურთი ფეოდალებისაგან განსხვავებით მას კარგად ჰქონდა შეგნებული ის ზიანი, რომელიც გვაროვნულ-ტომობრივ შულს მოჰქონდა ქურთი ზალხის გაერთიანებისათვის და ქურთებს მოუწოდებდა შეკავშირებულიყვნენ გარეშე მტრებთან საბრძოლველად. იგი თავის დროისათვის ჰკვივანი პოლიტიკოსი და დიპლომატი იყო.

ბადრხან ბეგმა, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქურთულ ფეოდალურ ზედა ფენაში, და ამავე დროს, მეტად პოპულარულიც იყო მთელ ქურთისტანში, თურქთა ბატონობით გამოწვეული საერთო უკმაყოფილება კარგად გამოიყენა და მრავალრიცხოვანი და კარგად ორგანიზებული ლაშქარი შექმნა. მოკლე დროში აჯანყებულ ქურთთა ტერიტორიაზე, რომელზეც მრავალი ქურთი გადმოსახლდა ქურთისტანის სხვადასხვა რაიონიდან, — თანამედროვეთა მოწმობით, — ბადრხანმა უშიშროება, სიმშვიდე და წესრიგი დაამყარა (84, გვ. 205).

ბუნებრივია, თურქეთის მთავრობა ამ თვითნება ქურთი ფეოდალის სეპარატიულ ტენდენციებს ხანგრძლივი დროით ვერ შეურიგდებოდა და როგორც კი მობრუნდა საგარეო-პოლიტიკური გართულებებისაგან, მაშინვე მზადება დაიწყო „ბადრხანის სახელმწიფოს“ მოსპობისათვის. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1844 წ. სულთნის მთავრობამ ოსმან ფაშას მეთაურობით განსაკუთრებული არმია გამოყო. შემდგომში ოსმან ფაშას არმია მეზობელი საფაშოებიდან (ხარფუთი, ურფა, დიარბაქრი და ერზურუმი) გამოგზავნილი ჯარის ნაწილებით გააძლიერეს. მალე მას ბაღდადის ფაშაც შეუერთდა თავისი ლაშქრით. თურქმა სარდალმა თავისი არმია ორ ნაწილად გაყო. ერთი ვანისაკენ გაგზავნა, ხოლო მეორე დიარბაქრის მიმართულებით. სამხედრო ოპერაციების უკეთ ხელმძღვანელობისათვის, ოსმან ფაშამ თავისი არმიის შტაბ-ბინა ერზურუმიდან დიარბაქრში გადმოიტანა. ამასთან ერთად, იმ მიზნით, რომ ქურთისტანის ქრისტიან მოსახლეობას მხარი არ დაუჭირა აჯანყებული ქურთებისათვის, ოსმან ფაშამ თურქების ნაცად ზერხს მიმართა — აჯანყებულთა ძალები გათიშა და მოაწყო ქურთების პროვოკაციული შეტაკებები ასურელ-ქალდეველებთან (94, გვ. 17).

მიუხედავად იმისა, რომ თურქთა დამსჯელი ჯარი რიცხობრივად ქურთებისას გაცილებით აღემატებოდა და მათზე უკეთესადაც იყო შეიარაღებული, ოსმან ფაშას აჯანყებულ ქურთებთან ბრძოლა მეტად

გაუქირდა. ქურთები ადგილობრივ მთიან მხარესთან უკეთ იყვნენ შეგუებულნი და ბრძოლის პარტიზანული ტაქტიკით თურქებს ხანგრძლივ წინააღმდეგობას უწევდნენ. როდესაც აჯანყებულთა დაშოშმინება მეტად გაჭიანურდა, თურქთა სარდალმა გადაწყვიტა აჯანყებულთა წინააღმდეგობა შიგნიდან გაეტეხა. მან გადმოიბირა ბადრხანის ძმისშვილი იეზდენშირი თავისი რაზმებით და ბიძამისს დაუპირისპირა. ახლა აჯანყებულ ქურთებს თურქებთან ერთად მათი გუშინდელი მოკავშირე თანატომელებიც ებრძოდნენ.

ქურთ ფეოდალთა ერთი ნაწილის ლალატის შემდეგ თურქებს აჯანყების ჩახშობა უფრო გაუადვილდათ.

სულ მალე მათ მოახერხეს, რომ ბადრხანი და მისი მომხრეები ალყაში მოემწყვდიათ. მცირე წინააღმდეგობის შემდეგ ალყაში მოქცეულები მათ ტყვედ იგდეს. ამის შემდეგ აჯანყება სასტიკად ჩაახშეს, ხოლო მისი მეთაურები ქურთისტანიდან გადაასახლეს. ბადრხანი ჯერ კუნძულ კრეტაზე გადაასახლეს, ხოლო შემდეგ ქ. დამასკოში (სირია), სადაც გარდაიცვალა 1868 წ. (173, გვ. 60; 115, გვ. 288).

მართალია, თურქებმა სასტიკი რეპრესიული ზომებით ქურთისტანი დროებით დააშოშმინეს და მისი მმართველობის საქმეები ქურთი ფეოდალების ნაცვლად თურქ მოხელეებს ჩააბარეს, მაინც ქურთების მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ მათ ვერ მოსპეს, მათი საბოლოო დამორჩილება თურქეთის მთავრობამ ვერ მოახერხა. ისინი მხოლოდ დროებით დაწყნარდნენ და ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდნენ, რომ თურქების მძიმე უღელი გადაეგდოთ.

თ ა ვ ი II. ქურთული ტომები XIX ს. მეორე ნახევარში

„აღმოსავლეთის ომი“ და ქურთთა აჯანყება იეზდენშირის მეთაურობით (1858—1855)

აღმოსავლეთის ანუ ყირიმის ომმა, რომელმაც თურქეთის ხაზინის ახალი ხარჯები გამოიწვია, ქურთების მტრული დამოკიდებულება სულთნის ხელისუფლებისადმი კიდევ უფრო გაზარდა, საომარი მოქმედების პერიოდში ქურთებმა კიდევ ერთხელ აგრძნობინეს რუსებს, რომ მათ არა სურთ იბრძოლონ ოსმალეთის მმართველი ხროვის ინტერესებისათვის. ომის დროს თურქეთის მთავრობის წინაშე წარმოშობილი სიძნელები ქურთებს უნდოდათ თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ამიტომაც XIX ს. მეორე ნახევრის დასაწყისიდან სულ უფრო საგრძნობი ხდება ანტითურქული გამოსვლები თურქეთის

ქურთისტანში და ქურთ ფეოდალთა დაახლოვება რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებთან.

1853—1856 წწ. ომის დროს ყარსის, ბაიაზეთის და ვანის საფაშოს ტერიტორიაზე განლაგებული ქურთი ტომების უმრავლესობა რუსეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში მონაწილეობას არ იღებდა (117, გვ. 512). მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მაშინ უკლებლივ ყველა ქურთი ანტითურქულად განეწყო და რუსეთთან დაახლოების მომხრე იყო. ქურთი ტომების გარკვეული ნაწილი თავიანთი ბელადების ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობდა თურქეთის მხარეზე რუსეთის წინააღმდეგ დაწყებულ ომში. მაგალითად, რუსეთის წინააღმდეგ გამოვიდნენ თურქეთის ქურთისტანის დასავლეთ ნაწილში მცხოვრები ქურთები, რომლებიც ძალზე ხშირად თავს ესხმოდნენ ამიერკავკასიის სამხრეთ მაზრებს, კერძოდ კი სურმალინის, ახალქალაქისა და სხვა.

მიუხედავად ამისა, ქურთი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მაინც თავი შეიკავა რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლებისაგან და მის მიმართ კეთილგანწყობის ნეიტრალიტეტი დაიცვა. უფრო მეტიც, თანდათან აღდგობრივმა ქურთებმა სავაჭრო კონტაქტიც კი დაამყარეს რუსეთის სარდლობასთან და ამარაგებდნენ რუსეთის ჯარებს სურსათითა და სანოვაგით, რომლის მწვეავე ნაკლებობასაც ისინი ამ დროს განიცდიდნენ. ქურთები გზებს უჩვენებდნენ, გამცილებლების როლს ასრულებდნენ. თავის მხრივ, რუსეთის სარდლობის წარმომადგენლები მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მშვიდობიანი გზით აწესრიგებდნენ ქურთების ცალკეულ ტომებს შორის ამტყდარ დავას და ა. შ. (85, გვ. 36). საბოლოო ჯამში ამან ბევრად გააადვილა რუსეთის ჯარების წინსვლა ოსმალეთის იმპერიის ჩრდ. აღმოსავლეთ ნაწილში. რუსეთის სამხედრო წარმატებებმა ბიძგი მისცეს ქურთების ახალი აჯანყების დაწყებას თურქეთში.

ქურთების მორიგმა ანტითურქულმა აჯანყებამ კვლავ იფეთქა პაკიარსა და ბოჰთანში. მისი წინამძღოლის სახელის მიხედვით მან მიიღო „იეზდენშირის აჯანყების“ სახელწოდება.

1854 წ. დეკემბერში ქურთებმა იეზდენშირის ხელმძღვანელობით აჯანყების დროშა ააფრიალეს (117, გვ. 512). დასაწყისში აჯანყებულთა რიგებში სულ 2 ათასი კაცი იმყოფებოდა, მაგრამ ეს პატარა ლაშქარიც კი საკმარისი აღმოჩნდა აჯანყებულთა დიდი წარმატებებისათვის. მათ დაიკავეს ბითლისი, მოსპეს იქაური ადმინისტრაცია, ხოლო შემდეგ მოსულიც აიღეს. აქ აჯანყებულებმა ხელთ იგდეს სამხედრო ქარხნები და ზარბაზნებით შეიარაღდნენ. (16, საქ. 473, ფ. 2). შათმა რიცხვმა 30 ათასს მიაღწია. ასეთი დიდი ლაშქრით იეზდენშირმა დაამარცხა ბაღდადის ფამასა და ქ. სიირთის გარნიზონის გაერ-

თიანებული ძალები და აიღო ქ. სიირთი. ქურთთა აჯანყების ალი სულ უფრო იზრდებოდა, მან მოიცვა დიდი ტერიტორია ვანიდან ბაღდადამდე, ხოლო აჯანყებულთა საერთო რაოდენობამ სულ მალე 60 ათასს გადააჭარბა. კავკასიის ფრონტის თურქეთის მთავარსარდლობა იძულებული შეიქნა გადმოესროლა მაშველი ძალები ბაიაზეთიდან, ერზურუმიდან და ყარსიდანაც კი.

იეზიდენშირის აჯანყებამ თურქეთის ზურგში მთავრობის ჯარების გარკვეული ნაწილი მიიზიდა. მან მნიშვნელოვნად დაასუსტა თურქების წინააღმდეგობის უნარი და შექმნა ხელსაყრელი პირობები რუსეთის შემდგომი სამხედრო წარმატებებისათვის თურქეთის აზიურ ნაწილში.

ამრიგად, ქურთთა აჯანყებამ ერთი მხრივ, შექმნა მეტად ხელსაყრელი ვითარება რუსებისა და ქურთების ერთობლივი მოქმედებისათვის თურქეთის ჯარების წინააღმდეგ ერზურუმის მიმართულებით, ხოლო მეორე მხრივ, ქურთთა მოძრაობის შემდგომი გაფართოებისათვის. მაგრამ რუსეთის სარდლობამ ამ შემთხვევით ვერ ისარგებლა და თურქეთის მთავრობას საშუალება მიეცა თავი მოეყარა დიდძალი ჯარებისათვის აჯანყებულთა წინააღმდეგ. თუ რუსეთმა ვერ ისარგებლა შექმნილი მომენტი, სამაგიეროდ ინგლისის დიპლომატიამ იგი კარგად გამოიყენა. მისმა წარმომადგენლებმა აღმოსავლეთ თურქეთში იეზიდენშირთან მოლაპარაკება დაიწყეს და მას წინადადება მისცეს შეეწყვიტა ანტითურქული გამოსვლები. ზოგიერთი ცნობით მოსულში ინგლისის საკონსულოს აგენტმა ნიმრუდ რასამმა ქურთების აჯანყების ხელმძღვანელი იეზიდენშირი ფულით მოისყიდა, ხოლო შემდეგ დაითანხმა იგი სულთნის რწმუნებულებს შეხვედროდა. ერთ-ერთი შეხვედრის დროს თურქებმა დაატყვევეს იეზიდენშირი და სტამბოლში წაიყვანეს. ამის შემდეგ აჯანყების ჩახშობა დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა და მისმა მონაწილეებმა წინააღმდეგობა მალე შეწყვიტეს.

იეზიდენშირი, ისევე როგორც აზდ არ-რაჰმან ფაშა ბებე, ეროვნულ გმირად იქცა. ქურთთა ხალხმა იგი უკვდავყო და თავისი მოგონებანი მის შესახებ მრავალრიცხოვან სიმღერაში შემოინახა (145, გვ. 680).

აღმოსავლეთის ომში რუსეთმა მწარე მარცხი იწვნია. სევასტოპოლის დაკარგვა და ბალკანეთში წარუმატებლობა ყარსის აღებით ვერ იქნებოდა ანაზღაურებული. პარიზის საზავო მოლაპარაკების დროს დასავლეთის ქვეყნების დიპლომატებმა თავიანთი კალმით ხაზი გადაუსვეს რუსეთის სამხედრო წარმატებებს აღმოსავლეთ თურქეთში.

ყირიმის ომით ე. წ. აღმოსავლეთის საკითხის განვითარებაში მეორე პერიოდი დაიწყო. ოსმალეთის სულთნის ხელისუფლების საშინაო პოლიტიკით გამოწვეული ქურთების სულ უფრო მზარდი უკმაყოფი-

ლება მათი ანტითურქული გამოსვლები და მოძრაობა რუსეთის დაინტერესებას ქურთთა საკითხით თანდათან ზრდიდა. რუსეთის დაახლოებას ქურთებთან კიდევ ერთი გარემოება აჩქარებდა. 30-იანი წლების დასაწყისიდან რუსეთის ჯარები ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში მძიმე ბრძოლებს აწარმოებდნენ შამილის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი იმამატის წინააღმდეგ. რუსების წინააღმდეგ ომში შამილი თავის ერთგულ მოკავშირეებს ქურთისტანშიც ეძებდა. ის დაუკავშირდა გავლენიან ქურთ ფეოდალებს, რომლებიც დაღესტნელებივით სუნიტების შაფიტურ სექტას მიეკუთვნებოდნენ. ქურთი დიდებულებიდან შეიხმა სეიდ თაჰამ და ქერიმ ხან რევანდღუზელმა შამილთან ურთიერთობა დაამყარეს. შამილის ურთიერთობა ქურთებთან მეფის მთავრობას მხედველობიდან არ გამოპარვია. ქურთებს რომ მხარი დაეჭირათ შამილის მოძრაობისათვის, ეს ბევრად შეაფერხებდა რუსეთის წინსვლას ქურთისტანში თურქეთთან მოსალოდნელ ომში. ამიტომ რუსეთის მთავრობამ ყოველი ღონე იხმარა იმისათვის, რომ ჩაეშალა შამილის მოლაპარაკება ქურთ ფეოდალებთან და ისინი თავის მხარეზე გადაებირებინა.

• ყირიმის ომამდე რუსეთ-ქურთების ურთიერთობას უფრო ეპიზოდური და შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. XIX ს. პირველ მესამედში თურქეთთან და ირანთან ომების დროს რუსეთი ქურთთა ტომების მხოლოდ ნეიტრალიზებით იყო დაინტერესებული. მაგრამ იეზიდენშირის აჯანყების შემდეგ ქურთების ნეიტრალიტეტი რუსეთს უკვე აღარ აკმაყოფილებდა და იგი ცდილობს გამოიყენოს ქურთები უკვე როგორც მოკავშირეები თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ნებით თუ უნებლიეთ „ქურთთა საკითხი“ „აღმოსავლეთის საკითხის“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ხდებოდა. რაც უფრო წინ მიიწევდა რუსეთი ახლო აღმოსავლეთში, მით უფრო იზრდებოდა ინგლისელთა დაინტერესებაც ქურთთა საკითხით. თუ ადრე ქურთისტანი ოსმალეთსა და ირანს შორის „განხეთქილების ვაშლს“ წარმოადგენდა, ახლა იგი თანდათან რუსეთ-ინგლისის ინტერესების დაპირისპირების ასპარეზი და მათი ცილობის საგანი ხდება. ამასთან რუსეთი ცდილობს ქურთების მოძრაობა ოსმალეთის იმპერიის, ანუ როგორც მას უწოდებდნენ — ევროპის, „ავადმყოფი კაცის“ დასასუსტებლად გამოიყენოს, ხოლო ინგლისი რუსეთის საპირისპიროდ ცდილობს ქურთების ანტითურქულ გამოსვლებს ლაგამი ამოსდოს და იგი მისთვის სასურველი კალაპოტით წარმართოს. ასეთი იყო ორივე ევროპული სახელმწიფოს აღნიშნული პოლიტიკის ლეიტმოტივი ქურთთა საკითხში XIX ს. მეორე ნახევარში. სუბიექტურად მეფის რუსეთის პოლიტიკა თურქეთისა და ირანის მიმართ დაპყრობითი იყო და იგი ამ ორივე სახელმწიფოს ასუსტებდა, ხოლო ობიექტურად რუსეთის წინსვლა

ქმნიდა პირობებს ახლო აღმოსავლეთში ქურთების განმათავსებელი მოძრაობის ახალი აღმავლობისათვის. ასე იყო რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ომების დროს XIX ს. პირველ ნახევარში და ასევე მოხდა რუსეთ-თურქეთის ომების დროს XIX ს. მეორე ნახევარშიც¹.

ქურთისტანის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. მეორე ნახევარში

XIX ს. მეორე ნახევარში ოსმალეთის იმპერიისა და ირანის ეკონომიკური დაქვეითება კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა. ეკონომიკური ცხოვრების გაუარესება ეროვნულ უმცირესობებზე ყველაზე მწვავე ზემოქმედებას ახდენდა. ეკონომიკის მთავარი და წამყვანი დარგის — სოფლის მეურნეობის დეგრადაცია პირველ რიგში საწარმოო ძალების განვითარების დაბალი დონით და ფეოდალური წარმოების წესებით იყო გაპირობებული. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, როგორც ირანში, ისე თურქეთში მეტად პრიმიტიული იყო.

ხშირად ესა თუ ის ქურთული ტომი ირანისა და თურქეთის მმართველი წრეების ერთდროული ექსპლოატაციის ობიექტი ხდებოდა. მაგალითად, ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომი ქურთი ტომების ერთი ნაწილი — შივერზური, ფირესანი, რევანდუზი, სიურჩი, ჰერკი კურე, ზესარი და სხვ. საზაფხულო საძოვრებისათვის ირანში გადადიოდა და გადასახადებს ორივე ქვეყნის ხელისუფლებას უხდიდა: თურქეთისას — მეთედს, ხოლო ირანის ხელისუფლებას საძოვრებით სარგებლობისათვის. თუ ჩამოთვლილი ქურთები გამოსაზამთრებლად ირანის მოხნულ მიწებზე რჩებოდნენ, მაშინ მომთაბარე ქურთები და დამატებით კიდევ თვითუკლ კომლზე ხარჯი ხანეს იხდიდნენ. ამ გადასახადის სიდიდეს თვითონ ირანის ხელისუფლება განსაზღვრავდა (138, გვ. 249—250).

ირანის ტერიტორიაზე მოსახლე ტომები ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მაგალითად, ურმიის ტბის მახლობლად მერგივარის სასაზღვრო ოლქში მცხოვრები ქურთები გადასახადებს თურქეთში მცხოვრებ თავიანთ შეიხებს უხდიდნენ². მაგრამ, ამავე დროს, შაჰის სახელით ურმიისა და ზოის გუბერნატორი მოითხოვდა, რომ მათ

¹ იგულისხმება 1853—1855 წწ. და 1877—1887 წწ. ომები.

² ჯერ კიდევ ირანის მბრძანებელმა მუჰამედ შაჰ ყაჰარმა მერგივარის სასაზღვრო ოლქი ლენურ მფლობელობაში გადასცა ქურთთა დერეიშული ორდენის ნაყმბანდის მეთაურს შეიხ თაჰას, რომელსაც თავისი წარმოშობა ალაჰის მოციქულის მუჰამედის ბიძაშვილის — ხალილისაგან გამოჰყავდა და ქურთებს შორის წმინდანის რეპუტაციით სარგებლობდა. შეიხ თაჰას სიყვილის შემდეგ წმინდანობის ეს მანტია მისი ვაჟიშვილის შეიხ ობეიდულას ხელში გადავიდა და მერგივარის ქურთებს გადასახადებს უკვე მას უხდიდნენ.

გადასახადები შეეტანათ ირანის ხაზინაშიც. იმ შემთხვევაში, თუ ქურთები გუბერნატორის ბრძანებას არ ასრულებდნენ, მაშინ შაჰის მოხელეები გადასახადებს იძულებით კრებდნენ. ასეთ შემთხვევაში ადგილობრივი მოხელეები თითქმის მთლიანად ძარცვავდნენ ქურთულ მოსახლეობას. გადასახადების სიმძიმით შეწუხებული ქურთები ხშირად იარაღით ხელში გამოდიოდნენ ადმინისტრაციის წინააღმდეგ. ქურთების მღელვარებას ირანში ოსმალეთის მმართველი წრეები იცინებდნენ როგორც საბაბს ირანის საშინაო საქმეებში ჩასაჩუქვად და მასზე ზეგავლენის მოხდენისათვის³.

ქურთისტანში ამ დროს ორი ურთიერთ საპირისპირო პროცესი მიმდინარეობდა. ერთი მხრივ, მომთაბარე ტომები ოსმალეთისა და ირანის სამოხელეო აპარატის ჩაგვრისა და მათი გამოძალის შედეგად იძულებული იყვნენ ბინადარ ცხოვრებაზე გადასულიყვნენ, ხოლო მეორე მხრივ, მომთაბარე ტომების განუწყვეტელი თავდასხმები ბინადარ მოსახლეობაზე, მათ მიერ ქურთ მიწათმოქმედთა მუდმივი ძარცვა აიძულებდა ზოგიერთ ბინადარი ტომის ქურთებს მომთაბარე ცხოვრება დაეწყოთ. იყო შემთხვევა, როდესაც ზოგიერთი მათგანი საერთოდ უგზო-უკვლოდ იკარგებოდა. მაგალითად, ხურშიდ ეფენდის ცნობით, ერთ დროს აყვავებული დასახლებული ადგილი აბაგი (ვანის სანჯაყი) ნახევრად მომთაბარე ტომების მუდმივი თადასხმის შედეგად მთლიანად გაუკაცრიელდა და საძოვრებად გადაიქცა, აქ მცხოვრები ქურთი—იეზიდები სხვადასხვა მხარეში გაიფანტნენ (138, გვ. 256), ამიტომ იმის მიხედვით, თუ როგორი მდგომარეობა იქმნებოდა, ქურთი ტომები ხან ბინადარიდან მომთაბარე ცხოვრებაზე გადადიოდნენ, ხან კი პირიქით, ბინადარ ცხოვრებას გაურბოდნენ (123, გვ. 168). მომთაბარე ქურთები შეწუხებული იყვნენ იმ ნატურალური ბეგარით, რომლის შესრულებასაც მათგან თურქეთის ადმინისტრაცია მოითხოვდა. ბეგარის ყველაზე მძიმე სახე გზების მშენებლობაში მონაწილეობა იყო. ქურთები ხედავდნენ, რომ ის გზები, რომლებიც გაყავდათ მათ ეკონომიკურ მდგომარეობას კი არ უმსუბუქებდა, არამედ ხელს უწყობდა მთავრობის ჯა-

³ მაგალითად, 1873 წ. დასაწყისში რუსეთის გენერალური კონსული თავარიზში რუსეთის საქმეთა რწმუნებულს თეირანში აცხობინებდა, რომ ურმიის გუბერნატორი ჰაჯი იუსუფ ხან ამირა თემანი თავისი დამსჯელი ჯარებით თავს დაესხა მერგევიარის ოლქის ქურთთა სოფლებს, გადასწვა ეს სოფლები და წაასხა მათი საქონელი. აოხრებულ ქურთებს თავისი რაზმებით შეიხ ობეიდულა გამოეხარხლა. ქურთთა შეიხის რაზმებსა და ურმიის გუბერნატორის ლაშქარს შორის შეტაკება მოხდა. ამ შეტაკების დროს ორივე მხარე დაზარალდა. შეიხ ობეიდულამ თურქეთის ხელისუფლების საშუალებით ირანის მთავრობას მერგევიარის ქურთებისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება მოსთხოვა (15, საქ. 2, ფურ. 42—43).

რებს ჩაეხშოთ ქურთთა განმათავისუფლებელი მოძრაობა. ასევე დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ქურთების გაწვევა რეგულარულ ჯარში იურქთა დაპყრობით ომებში მონაწილეობის მისაღებად.

ქურთების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში XIX ს. მეორე ნახევარი იმითაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ ამ პერიოდიდან ქურთ ფეოდალთა კერძო საკუთრებაში მქონე მიწების გამსხვილების პროცესი საგრძნობლად გაძლიერდა. მამულები იზრდებოდა მემკვიდრე ლენების გაფართოების, სახელმწიფო მიწების შესყიდვის, მეზობელი სომეხი და ასურელი ხალხების აყრა-გადასახლებისა და წვრილ მიწათმფლობელთა შევიწროებისა და მათი საკუთრების ძალით ხელში ჩაგდების გზით.

იურიდიულად უმიწო გლეხები ფეოდალისაგან დამოუკიდებელი იყვნენ. მაგრამ ეკონომიკურად ისინი მთლიანად მასზე დამოკიდებული იყვნენ. უმიწო გლეხს ფეოდალი იჯარით მიწას აძლევდა (ირთეკჩილაკი). აღმოსავლეთ თურქეთში ფართოდ იყო ცნობილი მოწილეობითი იჯარის ნაირსახეობა „მარაბა“. მიწათსარგებლობის ასეთი წესი ახლოს იყო მოწილეობის იმ ფორმასთან, რომლის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა:

იჯარის ეს ფორმა ყველაზე მძიმე იყო გლეხისათვის. მის დროს ფეოდალი ამარაგებდა გლეხს ყველაფრით: შრომის იარაღებით, მიწითა და თესლეულით. ასეთ პირობებში მოსავლის 2/3 ფეოდალის წილს შეადგენდა (6).

ფეოდალი, რომელიც დაინტერესებული იყო გლეხების რაც შეიძლება მეტი ექსპლოატაციით, ცდილობდა გლეხის მეურნეობა გააწვევი ძალისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღის გარეშე დაეტოებინა. შემდეგ სრულიად გაღარიბებულ გლეხს ფეოდალი მოვევლინებოდა როგორც „კეთილმყოფელი“, რომელიც მას დროებით სარგებლობისათვის აძლევდა ძროხას და ასესხებდა ცოტა ხორბლეულს. მიწათმფლობელისაგან აღებული ვალი მოიჯარე გლეხს ფეოდალთან მუდმივ ეკონომიკურ დამოკიდებულებაში აყენებდა.

ქურთების ჩაგვრა მარტო თურქული ან ირანული ადმინისტრაციის ექსპლოატაციით არ ამოიწურებოდა. ქურთი გლეხები და ტომების რიგითი წევრები ვალდებული იყვნენ აგრეთვე შეესრულებინათ საბეგარო სამუშაოები თავიანთი ფეოდალების სასარგებლოდ და მათთვის ნატურალური გადასახადები გადაეხადათ, ასე მაგალითად, ერთერთი ქურთული სოფლის ხოსანის გლეხები თავიანთი ფეოდალის მუჰამედ აღას სასარგებლოდ ასრულებდნენ შემდეგ სამუშაოს: 30 კაცს 2 დღის განმავლობაში გადაჰქონდა მისი კუთვნილი ფქვილი, 500 კაცი მკიდა მოსავალს; 50 გზის შეკეთებით იყო დაკავებული; 450 კაცს ხორბალი შეჰქონდა მის საწყობებში; 150 — აშენებდა მისთვის

სახლს. გარდა ამისა სოფლის მცხოვრებნი ამარაგებდნენ მას მაუდიო, საშენი მასალით და ა. შ. (116, გვ. 61). ქურთი გლეხები XIX ს. მეორე ნახევარში საცხოვრებლად ისეთივე გამოუსადეგარ ბინებში ცხოვრობდნენ, როგორც წინათ. ელიზე რეკლიუს სიტყვებით, ეს ბინები მიწურებს უფრო წააგავდა. ასეთ მიწურებში ცხოვრობდა ქურთი და სომეხი გლეხობა. სამაგიეროდ ქურთი ფეოდალები და შეიხები ცხოვრობდნენ ქვის სახლებში, სადაც მათ მარმარილოს ბუხრებიც კი ჰქონდათ გამოყვანილი (123, გვ. 305).

ოსმალეთის იმპერიის საშინაო ბაზარზე ევროპის სამრეწველო საქონლის მოზღვავებამ ქურთი ფეოდალების, ბეგებისა და აღების მისწრაფება ფუფუნებისადმი კიდევ უფრო გაზარდა. ფუფუნების საგნების შესაძენად სულ უფრო მეტი ფული იყო საჭირო. ბევრი მემამულე მასზე დამოკიდებული გლეხებისაგან ნატურალური გადასახადების ნაცვლად უკვე მოითხოვდა გადასახადებს ფულადი სახით.

საეკპრო-ფულადი ურთიერთობის განვითარებამ კიდევ უფრო გააუარესა გლეხთა მდგომარეობა. გლეხი ხშირად მოკლებული იყო იმის შესაძლებლობას, რომ თავისი მოსავალი ბაზარზე გასაყიდად გაეტანა. გლეხის გაჭირვებით სარგებლობდნენ მსხვილი მევახშეები, რომლებიც თავიანთ „დახმარებას“ და სამსახურს სთავაზობდნენ გლეხს.

ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ რაც უფრო უარესდებოდა ოსმალეთისა და ირანის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, მით უფრო მძიმდებოდა საგადასახადო უღელი, იზრდებოდა გადასახადების რიცხვი და მათი ოდენობა. თურქეთის ქურთისტანში ძირითადი გადასახადი „მეათედი“ („უშრო“ ან „აშარ“) იყო. მას ახდევინებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან კერძოდ, ხორბლეულის, თივის, ბოსტნეულისა და ხილის მოსავლიდან 10%-ის ოდენობით, მაგრამ სინამდვილეში იგი 15%-საც კი აღწევდა (107, გვ. 28).

აშარს თურქული ადმინისტრაცია კი არა კრეფდა, არამედ გადასახადების შემსყიდველები (მულთეზიმები), რომლებიც შესაბამის დროს ზაფთიების (ცხენოსანი პოლიცია) თანხლებით ჩამოუვლიდნენ სოფლებს გადასახადის ასაღებად. მანამდე, სანამ მოსავლის დადგენილ ნაწილს მულთეზიმები არ აიღებდნენ, მეპატრონეს უფლება არა ჰქონდა მოსავლისათვის ხელი ეხლო. თუ მულთეზიმი შეისყიდდა აშარის აკრეფის უფლებას რამდენიმე ყაზაში (მაზრაში), მაშინ გადამხდელეები დიდ ხანს ელოდნენ თავიანთ რიგს. ამ ხნის განმავლობაში შეიძლებოდა ამინდი შეცვლილიყო და დაეზიანებინა ყანა, ბალი, ან ბოსტანი (122, გვ. 58—59).

თანამედროვენი აღნიშნავენ, რომ „აშარის“ ბოროტება გამოიხა-

ტებოდა არა იმდენად მის ფორმაში, რამდენადაც მისი აკრეფის დამკვიდრებულ წესში (105, გვ. 289).

აშარის შემსყიდველებს ჰყავდათ თავიანთი აგენტი (უშურჯი), რომელიც მას ეხმარებოდა ამ გადასახადის აკრეფაში. აშარს იღებდნენ ნატურით ანდა ფულით. ნატურით აღების დროს გადამხდელი ვალდებული იყო პროდუქტები მიეტანა უახლოეს სახელმწიფო საწყობში ანდა მულთეზიმის მიერ მითითებულ პუნქტში. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ გადასახადის აკრეფის დროს მულთეზიმისა და უშურჯიც სოფლის მოსახლეობის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. მულთეზიმისა და უშურჯის შემოვლის შემდეგ სოფელი კალიების შემოსევით განადგურებულ მინდორს წააგავდა. ბევრი მკვლევარის აზრით აშარი და მისი შესყიდვის წესი გლეხის გადატანების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო. აშარის სისტემისაგან ზარალდებოდა არა მარტო მოსახლეობა, არამედ სახელმწიფო ხაზინაც.

ქურთი გლეხი იხდიდა კიდევ გადასახადს წვრილფეხა საქონელზე — აღნამს (ხამჩურს), მიწის რენტას — ვერგს, საგზაო გადასახადს, რომელსაც ხშირად საგზაო ბეგართ ცვლიდნენ, გადასახადს მარილზე, თამბაქოზე, თევზის ქერაზე, სპირტიან სასმელებზე და სხვა. ინგლისელი კონსულის პალგრევის გამოანგარიშებით, ქურთ გლეხს ყველა საოჯახო ხარჯების გასტუმრების შემდეგ წლის ბოლოს რჩებოდა 120 პიასტრი⁴ მაშინ, როდესაც გადასახადები, რომელიც მას უნდა გადაეხადა ორჯერ აღემატებოდა ამ თანხას (118, გვ. 35).

გარდა ამისა ქურთისტანში გლეხები იხდიდნენ გადასახადს ქონებაზე, რომელიც სხვადასხვა ნაწილში განსხვავებული ოდენობისა იყო. გადასახადების აკრეფის დროს, როგორც წესი, მცხოვრებთა რიცხვის შემცირება სოფლად ან ამა თუ იმ ქონების მდგომარეობა მხედველობაში არ მიიღებოდა. ამიტომაც გლეხები ხშირად თავიანთი ოჯახებით სხვა სოფლებში გადადიოდნენ ან ქალაქში მიილტვოდნენ, რომ გარდაცვლილ ან დიდი ხნის წინ წასულ თანასოფლელებზე შეწერილი გადასახადები არ გადაეხადათ (82, გვ. 21).

საქონელზე არსებული გადასახადების (აღნამის ანუ ხამჩურის) აკრეფის უფლებაც შეიძლებოდა, რომ შეესყიდათ. დასაწყისში ამ გადასახადს ნატურით (ათ სულ პირუტყვზე ერთი) იხდიდნენ, ხოლო XIX ს. უკანასკნელ მეოთხედში მას ფულადი სახითაც ღებულობდნენ⁵. ეს კიდევ უფრო აუარესებდა ქურთი მესაქონლის ისედაც გაჭირვებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

⁴ 1 პიასტრი — 8,4 კაპ. ერთ ლირაში კი 100 პიასტრი იყო.

⁵ 70-იან წლებში აღნამის ოდენობა განისაზღვრებოდა 10 კაპიკით ერთ სულ ცხვარზე (ან სხვა წვრილფეხა საქონელზე), ხოლო 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში იგი გაიზარდა 3,5 პიასტრამდე ანუ 28 კაპიკამდე (122, გვ. 59).

ამრიგად, ქურთისტანის გლეხოზა გმინაჲდა მძიმე საგადასახადო უღლის ქვეშ. თუ XIX ს. პირველ ნახევარში იგი ორმაგ ჩაგვრას განიცდიდა: ერთი მხრივ, საკუთარი ბეგებისა და ალებისაგან, ხოლო მეორე მხრივ, თურქეთის მთავრობის მოხელეებისაგან, ესლა ევროპის დიდი კაპიტალისტური ქვეყნების სახით (ძირთადად ინგლისი, საფრანგეთი) მას მესამე მჩაგვრელი დამატა.

როგორც თურქეთის, ისე ირანის ადმინისტრაცია არავითარ ზომებს არ ლეზულობდა ბინადარი ქურთების სიცოცხლისა და უშიშროების დასაცავად. ხოლო თუ ადგილობრივი მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა, მაშინ თურქი ან ირანელი მოხელეები დამსჯელი ჯარების საშუალებით სასტიკად უსწორდებოდნენ მას. თურქი და ირანელი მოხელეების თვითნებობასა და სიმკაცრეს საზღვარი არა ჰქონდა. ინგლისელი ვ. რამსეი, რომელიც 12 წელს მოგზაურობდა თურქეთში, აღნიშნავდა, რომ ერთ-ერთი თურქი კაიმაკამი, რომელსაც უფლება არა ჰქონდა ჩამოეხრჩო, მისი ხელქვეითი ქურთების „დაწყნარებას“ ცემით ცდილობდა. ხშირად სასჯელის ეს სახე მისჯილის სიკვდილით მთავრდებოდა (169, გვ. 135).

თურქი მოხელეების თვითნებობა ქურთების კანონიერ უკმაყოფილებას იწვევდა და ეს უკმაყოფილება, არც თუ ისე იშვიათად, მასობრივი მღელვარებების სახეს ლეზულობდა. ქურთთა გამოსვლები განსაკუთრებით განხორდა რუსეთ-თურქეთის ახალი ომის წინ. ქურთთა ამ გამოსვლების დროს ღარიბთა მასები და რიგითი თანატომელები ანგარიშს უსწორებდნენ არა მარტო თურქეთის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, არამედ მათ ბელადებსა და ფეოდალებს, რომლებიც სულთნის ხელისუფლების აგენტურის როლში გამოდიოდნენ. ასე მოხდა 1875 წ. აჯანყების დროს დერსიმში⁶, როდესაც ქურთებმა მოკლეს ადგილობრივი ქურთი კაიმაკამი გიულიაბი-ბეი, რომელიც თურქ ფაშას მიემხრო და ფაქტიურად მის აგენტს წარმოადგენდა. ამასთან მოკლეს არა მარტო იგი, არამედ მთელი მისი ნათესაობაც (დაახლოებით 30 კაცი).

მართალია, ყირიმის ომი თურქეთის გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ ეს გამარჯვება მისთვის „პიროსის გამარჯვება“ იყო. ყირიმის

⁶ დერსიმი, — რუსი ოფიცრის პოლკოვნიკ პუტიატას სიტყვებით, არა მარტო ამ ხანაში, არამედ უფრო გვიანაც ფორმალურად ხარფუთის ვილაიეთში შემავალ საჩაყს წარმოადგენდა. იგი თურქებს ნაკლებად ჰქონდათ დამორჩილებული. როგორც აღნიშნული იყო, აქ ძირითადად ყიზილბაშები ცხოვრობდნენ. აქაური მიუვალი მთები თურქულ ადმინისტრაციას ეფექტური კონტროლის დამყარებას უძნელებდა. XIX ს. ბოლო მეოთხედში დერსიმის საჩაყის ყოველი ყაზის ცენტრში თურქეთის ერთი ბატალიონი იდგა, მაგრამ მათი მდგომარეობა მეტად არა მტკიცე იყო (122, გვ. 70).

ომის დამთავრების შემდეგ ოსმალეთის იმპერიის ისედაც დაშლისა და დაცემის გზაზე მდგარი ეკონომიკა მთლიანად მოიშალა. ამ ომის დროს შეიქმნა თურქეთის ნახევარკოლონიალად გადაქცევის ყველაზე ხელსაყრელი წინამძღვრები. სწორედ ამ დროიდან დაიწყო მისი მოქცევა ევროპის ქვეყნების ფინანსურ მარწუხებში. თუმცა პარიზის კონგრესზე, სადაც 1856 წ. შეიმუშავეს საზავო პირობები ყირიმის ომში მონაწილე ქვეყნებს შორის, თურქეთი ევროპულმა ქვეყნებმა თავიანთ წრეში „მიიღეს“, იგი ახლა უფრო დასუსტებული იყო, ვიდრე ოდესმე.

იმპერიის ეკონომიკურმა მოშლილობამ და ქვეყნის შიგნით არამყარმა პოლიტიკურმა ვითარებამ თურქეთის მმართველი წრეები ახალი რეფორმების ჩატარების აუცილებლობის წინაშე დააყენა.

სახელმწიფო რეფორმები, რომელიც 1856 წ. დაიწყო თურქეთში, ფაქტიურად ადრე დაწყებული რეფორმების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა⁷. XIX ს. შუა წლებში (40-იანი — 60-იანი წლები) ოსმალეთის იმპერიაში ცნობილია როგორც გარდაქმნების ანუ თანზიმათის ხანა. რეფორმების პირველ პერიოდში, რომელიც 1839 — 1853 წწ. მოიცავს, ოსმალეთში დასახული იყო სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავება, რომელიც დაადასტურებდა პიროვნებისა და საკუთრების ხელშეუხებლობას, უნდა შექმნილიყო აგრეთვე რეგულარული არმია, ჩატარებულიყო ფულის რეფორმა, მოხელეებისათვის უნდა დაენიშნათ მტკიცე ხელფასი, ეიალეთების ნაცვლად იმპერია დაჰყვეს ვილაიეთებად, რომლებსაც ფაშები კი არ მართავდნენ, არამედ გუბერნატორები (ვალიები) და სხვ.

1839 წ. საზეიმო დაპირებანი განუხორციელებელი დარჩა. ამიტომ 17 წლის შემდეგ იგი კვლავ გაიმეორეს ახალ კანონში, რომელიც ცნობილია ხათი ხუმაიუნის სახელით.

1856 წ. თებერვალში სულთნის ახალი რესკრიპტის გამოქვეყნებით ოსმალეთის იმპერიაში რეფორმების მეორე პერიოდი დაიწყო. მისი მთავარი მიზანი თურქეთის „გაევროპილება“, მის წინაშე მდგარი რელიგიური და ეროვნული საკითხების გადაჭრა იყო. ხათი ხუმაიუნით გათვალისწინებული შეღავათები პირველ ყოვლისა ვრცელდებოდა არამუსლიმ მოსახლეობაზე. იგი გარკვეულ შეღავათებსა და პრვილეგიებს ითვალისწინებდა ევროპელი და ადგილობრივი ქრისტიანი (ბერძნები, სომხები) ვაჭარ-მოსაქმეებისათვის. გარდა ამისა, მიიღეს

⁷ ჯერ კიდევ 1839 წ. 3 ნოემბერს სულთანმა აბდულ მეჩიდმა (1839—1861) თავის სასახლის ბაღში საზეიმო ვითარებაში რეფორმების შესახებ რესკრიპტი გამოაქვეყნა. ეს რესკრიპტი გუილჰანეს აქტით ანუ ხათიშერიფის სახელით არის ცნობილი და ოსმალეთის იმპერიის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის რეშიდ ფაშას სახელთან არის დაკავშირებული.

სამიწათმოქმედო და სისხლის სამართლის კოდექსი, სამოქალაქო კოდექსი, კანონი იმპერიის ქვეშევრდომობის შესახებ და სხვ.

აღნიშნული გარდაქმნები ზედაპირული ხასიათისა აღმოჩნდა. რეფორმების მეორე პერიოდში, ისევე როგორც მის პირველ პერიოდში. თურქეთის წინაშე მდგარი არც ერთი საჭირობოროტო საკითხი არ ყოფილა ბოლომდე გადაჭრილი. თურქეთის მთავრობამ ვერ გადაწყვიტა ეროვნული და რელიგიური საკითხები. ოსმალეთის იმპერიაში შემავალი არა თურქი მოსახლეობა, იქნებოდა ეს ქრისტიანი (ბერძნები, სომხები, ასურელები), მუსლიმი (არაბები, ქურთები), თუ იუდეველი (ებრაელები), კვლავინდებურად ჩაგრულ ეროვნულ უმცირესობად დარჩა, სომხურ-ბერძნულ-ებრაულ მდიდარ ვაჭართა მცირერიცხოვანი ფენის გამოკლებით.

ამრიგად ამ ე. წ. რეფორმებმა ვერ იხსნეს ოსმალეთი ევროპული ქვეყნების ჩარევისგან. პირიქით, რეფორმებმა უფრო გაწმინდა გზა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური შეღწევისათვის. მეორე მხრივ, თანზიმათმა ვერ შეამსუბუქა არათურქი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მათი ეროვნული ჩაგვრა და ვერ აღმოფხვრა მათი გამათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი ზრდისა და განვითარების ხელშემწყობი პირობები.

ინგლისისა და რუსეთის ჩარევა თურქეთისა და ირანის საშინაო საქმეებში, მათი კაპიტალის შეღწევა ახლო აღმოსავლეთის ამ ორივე სახელმწიფოს ეკონომიკაში ქურთ ხალხთა მასების აუტანელ ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა. ინგლისისა და რუსეთის ეკონომიკური ექსპანსია სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა XIX ს. მეორე ნახევარში, ხოლო მის ბოლო მეოთხედში განსაკუთრებით გაძლიერდა.

რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წწ. ომი და ქურთთა აჯანყება

შეიხ ობეიდულას მეთაურობით

დაიწყო თუ არა რუსეთ-თურქეთის ახალი ომი, სულთანის მთავრობამ ქურთ დიდებულებსა და რელიგიურ ხელმძღვანელებს მიმართა მოწოდებით, მხარი დაეჭირათ თურქეთისათვის. სულთანმა აბდულ ჰამიდ II-მ რუსეთის წინააღმდეგ ჯიჰადი (საღვთო ომი) გამოაცხადა.

ჰაკიარის გავლენიანმა ქურთმა ფეოდალებმა შეიხ ობეიდულას მეთაურობით თურქებს მხარი დაუჭირეს. სულთანმა მიიღო თანხმობა ჰაკიარის მეზობელ სანჯაყებში მცხოვრებ ქურთთა ფეოდალებისაგანაც. ამ ქურთ ფეოდალებს თავიანთი შერყეული ეკონომიკური მდგომარეობა ომში მონაწილეობის და სამხედრო ნადავლის შოვნის

ხარჯზე სურდათ გამოესწორებინათ. ამასთან ინგლისის აგენტებმა არანაკლები როლი ითამაშეს ქურთი ფეოდალების მიერ ერთი ნაწილის მოსყიდვის საქმეში.

რაც შეეხება ქურთ ფეოდალთა მეორე ჯგუფს, მან რუსეთის მთავრობას თავისი სამსახური შესთავაზა და რუსებს აღუთქვა, რომ არაფერს არ მოიმოქმედებდა მათ საწინააღმდეგოდ⁸.

თურქი მოხელეები ყოველმხრივ ცდილობდნენ ქურთებს შორის რელიგიური ფანატიზმი გაეღვივებინათ. ისინი განსაკუთრებით აქტიურ აგიტაციას ეწეოდნენ რუსეთის მოსაზღვრე ვანისა და ბაიაზეთის ოლქებში.

თურქეთის ჯარების მთავარსარდალი კავკასიის ფრონტზე აჰმედ მუჰთარ ფაშა ვანისა და ბაიაზეთის ლაშქრის მეთაურს ფაიკ ფაშას დაპირდა, რომ ქურთებისაგან 15 ათასიან ცხენოსან რაზმს შეუგროვებდა (21, გვ. 10; 20, გვ. 52), მაგრამ ეს მხოლოდ დაპირებად დარჩა. ქურთებზე ზემოქმედება ვერ მოახდინა მათი რელიგიური ბელადის შეიხ ობეიდულას დაყენებითა აგიტაციამაც. ფაქტიურად ფაიკ ფაშას ბანაკში მხოლოდ 2700 ქურთი მებრძოლი გამოცხადდა. აქედან 1443-ს შეიხ ობეიდულა მეთაურობდა, 800-ს შეიხ ჯელალედინ ეფენდი, 450-ს — ჰამზა ეფენდი.

ომის დაწყებიდან ბევრი დრო არ იყო გასული, რომ 1877 წ. 6 მაისს რუსეთის ჯარებმა აიღეს არდაგანი, ხოლო ერთი თვის შემდეგ ალყა შემოარტყეს ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთ მსხვილ დასაყრდენ პუნქტს მცირე აზიაში — ყარსის ციხეს. ყარსი რუსეთის ჯარებმა აიღეს 1877 წ. 18 ნოემბერს.

რუსეთის სამხედრო წარმატებებმა მცირე აზიისა და ბალკანეთის ფრონტებზე ინგლისის მთავრობის შეშფოთება გამოიწვია. ამ ომში ინგლისი ოფიციალურად ნეიტრალიტეტს იცავდა, მაგრამ ეს ნეიტრალიტეტი ფიქტიური იყო. ინგლისი არა მარტო ამარგებდა თურქეთის ჯარს საჭირო იარაღითა და საჭურველით, არამედ თავისი ოფიცრების საშუალებით აქტიურ მონაწილეობასაც კი იღებდა მის მხარეზე. მაგალითად, ბაღდადიდან ერზურუმში მდგომი თურქეთის ჯარებისათვის ინსპექციის გასაწევად სპეციალურად ჩამოვიდა ინგლისელი დიპლომატი, გენერალი კემპბელი (15, საქ. 4, ფურც. 25). შემდგომში იგი აქ დარჩა როგორც მუჰთარ ფაშას ოფიციალური მრჩეველი.

თურქების სამხედრო წარუმატებლობამ ქურთთა საბრძოლო სულისკვეთების დემობილიზაცია გამოიწვია. ქურთებს შორის დისციპ-

⁸ მაგალითად, ყარსში დაბანაკებული ქურთული ტომების ბელადებმა ჯავარ აღამ და მირზა აღამ რუსებს დახმარება აღუთქვეს (108, გვ. 131). ასევე მოიქცა დერსიმელი ქურთების ზოგიერთი წინამძღოლი (57ა, გვ. 161).

ლინა ისედაც სუსტი იყო, თურქების მარცხმა კი სრულიად დასცა იგი (98, გვ. 40—41; გვ. 56—57). მალე ქურთების ომში მონაწილეობამ ყაჩაღობის ხასიათი უფრო მიიღო (16. საქ. 588, ფ. 45—46, საქ. 488, ფ. 20—25). ქურთების შეიარაღებული თავდასხმებით განსაკუთრებით დაზარალდა ქ. ბაიაზეთის ქრისტიანული მოსახლეობა. მოიერიშე ქურთთა რაზმების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა და ტერორი სამ დღე-ღამეს გრძელდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ, 11 ივნისს თურქმა მუნებ ფაშამ შეძლო ნაწილობრივ წესრიგის დამყარება. ეს, ერთი მხრივ, იმიტაც იყო გამოწვეული, რომ თურქეთის საინტენდანტო სამსახური ქურთთა რაზმების მომარაგებაზე სრულებით არ ზრუნავდა. შეიბ ობეიდულა ფაიკ ფაშას სახელზე 1877 წ. 12 ივნისს გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ჩიოდა იმაზე, რომ ქურთების ზოგიერთი რაზმები თითქმის მთელი კვირის მანძილზე სურსათითა და სანოვაგით მომარაგებას სრულიად მოკლებული იყვნენ (74, გვ. 455). ამიტომაც ქურთები დიდ გულგრილობას იჩენდნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. სულ მალე მათმა დიდმა ნაწილმა დეზერტირობა დაიწყო. ფაიკ ფაშამ 14 ივნისს თურქეთის ჯარების მთავარსარდალს აჰმედ მუჰთარ ფაშას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც იტყობინებოდა ქურთთა რაზმების სრული დემორალიზების შესახებ. მარტო შეიბ ობეიდულას მიერ მოყვანილ ქურთთა რაზმიდან სულ ცოტა 1000 მეზობლი გაიქცა.

მას შემდეგ, რაც რუსეთის არმიამ აიღო ყარსი და თურქების ჯარები ერზურუმთან და ბაიაზეთთან დაამარცხა, ოსმალეთის არმიის სამხედრო-მორალური მდგომარეობა კრიტიკული შეიქნა. თურქეთის არმიის რიგებში დეზერტირობა დაიწყო. ბრძოლის ველი პირველმა ქურთებმა მიატოვეს. 1878 წ. დასაწყისში რუსეთის არმიამ საომარი მოქმედება უშუალოდ ქურთისტანში გადაიტანა. თურქები ცდილობდნენ, რომ ქურთებით დასახლებული რაიონები რუსების წინააღმდეგ აემხედრებინათ, მაგრამ უშედეგოდ (21, გვ. 125). ქურთებმა არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიეს რუსეთის ჯარების წინსვლას. ამასობაში ერზურუმმა ვეღარ გაუძლო რუსების ალყას და დანებდა მათ. ბალკანეთის ფრონტზეც ომი წარმატებით მიმდინარეობდა. მალე თურქეთი იძულებული შეიქნა ზავი ეთხოვა. 1878 წ. 3 მარტს დაბა სან-სტეფანოში ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულებით ქქ. ბათუმი, არდაგანი, ყარსი, ბაიაზეთი და აგრეთვე ალაშქერტის ველი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. 1878 წლის ივნის-ივლისში ინგლისისა და ევროპის სხვა ქვეყნების ჩარევის შედეგად ბერლინის კონგრესზე სან-სტეფანოს ხელშეკრულება გადასინჯულ იქნა. ქ. ბაიაზეთი და ალაშქერტის ველი ოსმალეთს დაუბრუნეს. სამაგიეროდ რუსეთმა

მოსთხოვა ოსმალეთს, რომ მას კოტურის ოლქი ირანისათვის დაებრუნებინა.

მართალია, ქურთთა საკითხი სან-სტეფანოში და ბერლინის კონგრესზე დღის წესრიგში არა მდგარა და იგი ცალკე მსჯელობის საგანი არა ყოფილა, მაინც ამ ომმა ხელი შეუწყო იმას, რომ ქურთების საკითხს თანდათან სულ უფრო დიდი ადგილი დაეკავებინა როგორც ოსმალეთისა და ირანის, ისე ინგლისისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკაში.

1877—1878 წწ. ომში სამხედრო დამარცხებამ ოსმალეთის იმპერიის ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა და უცხოური კაპიტალის ბატონობის განმტკიცებას თურქეთში ხელი შეუწყო. ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია) მიიღეს განსაკუთრებული პრივილეგიები თურქეთში და იგი თავიანთ ფინანსურ მარწუხებში მოაქციეს. ევროპული ქვეყნებისადმი ოსმალეთის იმპერიის დავალიანების ზრდასთან ერთად იზრდებოდა გადასახადებიც. საომარი მოქმედების წარმოების დროს მოსახლეობამ დიდძალი საქონელი დაკარგა. მიუხედავად ამისა, გადასახადის ამკრეფი მოხელეები გადასახადს საქონელზე (აღნამი) კრეფდნენ ძველი სიების მიხედვით. თურქმა მოხელეებმა ესეც არ იკმარეს და ბევრგან თვითნებურად გაზარდეს აღნამი, რამოდენიმეჯერ გაადიდეს გადასახადი მიწაზე და სხვა (82, გვ. 40). ომის დამთავრების შემდეგ თურქეთში მოსახლე ეროვნული უმცირესობანი (ქურთები, სომხები), განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. გალატაკებამდე მისული მრავალი ქურთი გლეხი თავის მშობლიურ სოფელს ტოვებდა და საშოვარზე ამიერკავკასიის ქალაქებში (თბილისი, ბაქო, ერევანი) მიდიოდა. თურქეთის ადმინისტრაციის თვითნებობა, დამნაშავეობა და საყოველთაოდ გავრცელებული მექრთამეობა მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა.

ომის დამთავრების შემდეგ თურქეთის მთავრობა აღმოსავლეთის ვილაიეტების მოსახლეობას შეჰპირდა ზოგიერთი რეფორმის ჩატარებას. აქ მოსახლე ქურთები, სომხები და არაბები დიდ იმედებს ამყარებდნენ ამ რეფორმებზე. მაგრამ ყოველივე ეს დაპირებად დარჩა, მდგომარეობა კი ძველებურად მძიმე.

ბინადარი ქურთებით დასახლებული რაიონები შიმშილმა მოიცვა. ბაშკალეს რაიონში 10 ათასი კაცი გარდაიცვალა, ბაიანეთისა და ალაშკერტის მიდამოებში 2—3 ათასი, ამდენივე მედიადის, ბოჭთანისა და ჯეზირეს რაიონებში (22 ა, გვ. 75).

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა აგრეთვე მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მოსახლეობა. ბევრმა ქურთმა მესაქონლემ დაკარგა რა თავისი საქონელი, იძულებული გახდა მიეტოვებინა მთები და ქა-

ლაქს წასულიყო. მრავალი მათგანი თავს სეზონური სამუშაოთი (მწყემსად დგებოდა ადგილობრივ ფეოდალებთან) ირჩენდა. ანარქია და შიმშილი ქურთებს აიძულებდა დასმარებისათვის უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისათვის მიემართათ. მაგალითად, დიარბაქრში მყოფ რუსეთის ვიცე-კონსულს იაკიმანსკის ათი ათასმა ქურთმა მფარველობა და რუსეთში გადასახლების ნებართვა სთხოვა (82, გვ. 45).

ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობა იყო ირანის ქურთებით დასახლებულ რაიონებშიც. 1877—1880 წწ. ირანის ქურთისტანის რაიონები (ხოი, სოუჯბულადი, ურმია, სენე და სხვა) შიმშილმა მოიცვა, აქ ხშირად შეხვდებოდით თურქეთიდან გადმოსულ მრავალ მშიერ ქურთ ლტოლვილსაც.

თავრიზში ინგლისის გენერალური კონსულის აბოტის მოწმობით შიმშილის შედეგად ქურთებისა და ირანელების სოფლების ერთ ნაწილში მოსახლეობა მთლად მოისპო, ხოლო მეორე ნაწილში მხოლოდ ქალები და ბავშვები დარჩნენ. იმ ხანად ირანის მთელ რიგ რაიონებში ბავშვებით ვაჭრობამ დიდი გავრცელება ჰპოვა. სწორედ ამ დროს ქ. დილმანი მონათვაჭრობის ცენტრად გადაიქცა. მის მოედანზე ქურთები ძალიან იაფად ჰყიდდნენ თავიანთ შვილებს.

ირანელ მიწათმფლობელებსა და მოხელეებს ძალზე ეშინოდათ დამშეული და მაწანწალა ქურთების, რომლებიც იმუქრებოდნენ, რომ გაძარცვავდნენ ქალაქში არსებულ პურის საწყობებს. სულ მალე ქურთები მუქარიდან საქმეზე გადავიდნენ. ისინი აღარ აქცევდნენ ყურადღებას არავითარ კანონებს, გაძლიერებულ დაცვას და თავს ესხმოდნენ სურსათისა და სანოვაგის საწყობებს, ძარცვავდნენ მათ. ასე დაიწყო დამშეული ქურთების მღელვარებანი ირანსა და თურქეთში, რომელიც შემდეგ დიდ აჯანყებად გადაიზარდა.

ქურთების ახალი აჯანყების მომზადება მკიდროდ იყო დაკავშირებული ნაყშბანდის დერვიშულ ორდენტან, რომელიც თურქეთის მმართველ წრეებთან მუდმივ პოლიტიკურ ოპოზიციას იმყოფებოდა (161, გვ. 403). ამ დროს ნაყშბანდის დერვიშულ ორდენს სათავეში ცნობილი ქურთი შეიხი ობეიდულა ელგა.

შემდინანელი შეიხი ობეიდულა (დაიბადა დაახლოებით 1830 წ.) იყო ნაყშბანდის ორდენის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სუფიშეიხი. მისი ოჯახის ზეგავლენა განსაკუთრებით გაიზარდა მამამისის შეიხ თაჰას სიცოცხლეში. თავის დროს შეიხ თაჰა რელიგიურ ძალაუფლებას ანხორციელებდა ბარზანელი შეიხების მეშვეობით. ირანის შაჰმა და ოსმალეთის სულთანმა მას რამდენიმე სოფელი უბოძა. შეიხ ობეიდულამ კი თავისი ხელქვეითი სოფლების რიცხვი 200-მდე აიყვანა. XIX ს. მეორე ნახევარში იგი ქურთისტანის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ

ფეოდალს წარმოადგენდა. მის ხელში თავმოყრილი იყო ჰაკიარის რაიონის მთელი თამბაქოს პლანტაციები.

ობეიდულა, როგორც ქურთების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ფეოდალი და რელიგიური ხელმძღვანელი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ ქურთისტანში.

ობეიდულა იმედოვნებდა, რომ ინგლისის ან რუსეთის მეშვეობით გააერთიანებდა ყველა ქურთულ ტომს თავისი ძალაუფლების ქვეშე, ამ გეგმის წარმატების შემთხვევაში რუსეთ-ირან-თურქეთის საზღვრებთან განლაგებული დიდი ტერიტორიის მზრძანებელი იგი გახდებოდა. წინასწარი ვარაუდით ქურთების მომავალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დედაქალაქი ქ. მოსული უნდა გამხდარიყო (82, გვ. 53).

ქურთების 1880 წ. აჯანყება შეიხ ობეიდულას მეთაურობით გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, ქურთი ხალხის ფართო მასების მისწრაფებით თავი დაეღწიათ მძიმე ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან, ხოლო მეორე მხრივ, ქურთი ფეოდალების სულ უფრო მზარდი სურვილით დაემყარებინათ თავიანთი ბატონობა მთელს ქურთისტანში.

რადგანაც იმ დროს რუსეთმა უარი თქვა მხარი დაეჭირა ქურთების ანტითურქული გამოსვლისათვის, ხოლო ინგლისელებმა კი აშკარად აგრძნობინეს ქურთებს, რომ დაინტერესებული არ არიან ახლად დამარცხებული თურქეთის დასუსტებაში, შეიხ ობეიდულამ გადაწყვიტა ქურთების მოძრაობა ანტიირანული კალაპოტით წარემართა, იქაური ქურთები აემხედრებინა და ირანის მთავრობისათვის აზერბაიჯანი წაერთმია (93, გვ. 35). ქურთების ამ ანტიირანულ აჯანყებას მხარი დაუჭირა ინგლისმა, რომელმაც მოამარაგა აჯანყებულები ფულითა და იარაღით (15, საქ. 10, ფურ. 52). დასაწყისში აჯანყებულებს მხარს უჭერდა აგრეთვე თურქეთის მთავრობაც, რომელიც იმედოვნებდა, რომ დაისაკუთრებდა ყველაფერს იმას, რასაც ობეიდულა წაართმევდა ირანს.

1880 წ. ზაფხულში შეიხ ობეიდულამ აქტიური მზადება დაიწყო ირანის ქურთისტანში შექრისათვის. სულთან აბდულ ჰამიდ II-ის აღიუტანტის პოლკოვნიკ ბაპრი ბეის (ბადრ-ხანის შვილი) და ანატოლიის IV კორპუსის ყოფილი მეთაურის სამიჰ ფაშას შემწეობით მან ბოლო მოუღო მამაშის, მანგურის და ფირანის ტომის ქურთებს შორის არსებულ ქიშპობასა და მტრობას, შეადგინა მათგან სამხედრო რაზმი და ინგლისური იარაღით შეაიარაღა. ამავე დროს შეიხმა თავისი მრავალრიცხოვანი მომხრეების საშუალებით მთავრობის საწინააღმდეგო ფართო პროპაგანდა გაშალა ირანის ქურთისტანში. აქ საამისონიადაგი დიდი ხნის მომზადებული იყო. რუსეთის გენერალური კონსული თავრიზში იტყობინებოდა, რომ სპარსული ადმინისტრაციის მიერ გაწამებული ქურთები დიდ მტრობას იჩენდნენ ადგილობრივი ხე-

ლისუფლებებისადმი და სიხარულით შეხედებიან მათ გამათავისუფლებელ შეინსო.

ქურთთა აჯანყებას რომ წარმატებისათვის მიეღწია, შეიხ ობეიდულამ გადაწყვიტა აღმოსავლეთ თურქეთის სხვა დაჩაგრული ხალხებიც (სომხები და ასურელები) მიემხრო.

აჯანყებისათვის თითქმის ყველაფერი მზად იყო. 1880 წ. ივლისის ბოლოს შამდინანის ერთ-ერთ სოფელში — ნერიში შეიკრიბნენ ქურთი ტომების ბელადები და შეიხები იმ მიზნით, რომ შეექმნათ „ქურთული ტომების ლიგა“. ნერიის ყრილობა ფაქტიურად ქურთული ტომების პოლიტიკური კავშირის შექმნის პირველი ცდა იყო. ქურთების ამ ყრილობას 5 შეიხი, 21 ხალიფა, 42 მირზა, 68 ბეგი ესწრებოდა (57a, გვ. 228; 93, გვ. 38).

თურქეთის მთავრობამ სცადა ქურთების ეს თავყრილობა სომხებისა და სხვა ქრისტიანული მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის მოსაწყობად გამოეყენებინა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ობეიდულა გადაჭრით გამოვიდა იმ ქურთი ბელადების წინააღმდეგ, რომლებიც ამას ქადაგებდნენ. ჩვენ რომ სომხები გავანადგუროთ, ქურთები დაკარგავენ თავიანთ მნიშვნელობას თურქეთის მთავრობის თვალში, რაც დამლუპველი იქნებოდა ქურთებისათვის. გარდა ამისა, ანტისომხური მოქმედება, — შეიხ-ობეიდულას აზრით, — ევროპის ქვეყნებს აამხედრებდა ქურთების წინააღმდეგ. ამასთან ერთად ზმ ყრილობაზე აშკარა გახდა, რომ ბევრი გავლენიანი ქურთი ტომის ბელადი თურქეთის მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლის მომხრე არ იყო. ამიტომ შეიხ ობეიდულამ გადაწყვიტა აჯანყების გეგმა შეეცვალა და ბრძოლა დაეწყოთ არა თურქული, არამედ სპარსული ადმინისტრაციის წინააღმდეგ. /

1880 წ. აგვისტოში ნერიში ქურთი გვაროვნულ-ტომობრივი დიდკაცობა (დაახლოებით 200-მდე დიდებული) ხელმეორედ შეიკრიბა. შეიხ ობეიდულამ შეკრებილთ მოუწოდა შეექმნათ დამოუკიდებელი ქურთისტანი, დაეწყოთ ენერგიული ბრძოლა თურქ და სპარსელ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. თურქეთისა და სპარსეთის მთავრობები ეს ორი წურბელაა, რომელიც აფერხებს ჩვენს განვითარებას — ამბობდა შეიხ ობეიდულა (57a, გვ. 229). მაგრამ შექმნილმა ვითარებამ ქურთებს არ მისცა იმის საშუალება, რომ მათ ერთდროულად ორივე მთავრობის წინააღმდეგ გაემართათ ბრძოლა. რადგანაც ამ დროს ეკონომიკურად და პოლიტიკურად ირანი უფრო დასუსტებული იყო, ქურთთა ხელმძღვანელმა გადაწყვიტა ჯერ ირანში შექრილიყო. ქურთების გამოსვლას ირანის მთავრობის წინააღმდეგ ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ირანი საომარ მოქმედებას აწარმოებდა თურქმა-

ეების წინააღმდეგ⁹. რაც შეეხებოდა დანარჩენ (თურქების ბატონობის ქვეშ მყოფი) ქურთების განთავისუფლებას, იგი, — შეიხ ობეიდულას აზრით, — ქურთთა მოძრაობის მეორე ეტაპზე უნდა გადაჭრილიყო, ე. ი. მას შემდეგ, როდესაც ქურთები ირანის მთავრობას წაართმევდნენ ისეთ მდიდარ პროვინციას, როგორიც აზერბაიჯანი იყო. აზერბაიჯანის დაპყრობა ობეიდულას აზრით ეკონომიკურად მოაღონიერებდა ქურთებს.

აჯანყების გეგმის შემუშავების შემდეგ დაიწყო მზადება ქურთების გამოსვლისათვის. შეიხ ობეიდულამ თავისი სანდო პირები გააგზავნა ქურთების მნიშვნელოვან ცენტრებში. ასე მაგალითად, სეიდ აბდ-არ-რაჰმანი ხოიში წავიდა, სეიდ სადიკი — სალმასში, ხოლო სეიდ ბადინი — ურმიასში (93, გვ. 39).

ამრიგად, „ქურთთა ტომების ლიგამ“ გადაწყვიტა დაეწყოთ ბრძოლა ჯერ ირანელი ქურთების განთავისუფლებისათვის. შეიხ ობეიდულამ ამ გადაწყვეტილებას იმიტაც ასაბუთებდა, რომ ქურთებისათვის ირანის ჯარების დამარცხება შედარებით იოლი იყო, ვიდრე თურქეთისა. მას შემდეგ, რაც ქურთები გაანთავისუფლებდნენ ირანის ქურთისტანს და ხელთ იგდებდნენ ისეთ მდიდარ რაიონს, როგორცაა აზერბაიჯანი, ქურთებს ექნებოდათ უკეთესი შესაძლებლობა ბრძოლა დაეწყოთ თავიანთი მეორე მტრის — ოსმალეთის წინააღმდეგ. შეიხ ობეიდულამ ჩამოაყალიბა 20 ათასიანი ლაშქარი, რომელსაც შემდეგ ირანში მცხოვრები მანგურის ტომის ქურთები (ჰამზა აღას მეთაურობით) შეუერთდნენ (145, გვ. 680).

1880 წ. 15 სექტემბერს შეიხ ობეიდულამ ირანის გუბერნატორს ურმიასში იკბალ-ად-დოულეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ატყობინებდა ირანში შემოსვლის მიზეზს. შეიხ ობეიდულამ თავისი შეიარაღებული რაზმებით ირანში იმიტომ შემოვიდა, რომ დაეცვა ქურთები ადგილობრივი ადმინისტრაციის შევიწროვებისაგან. ქურთ ბელადებს, — ნათქვამი იყო წერილში, — სურთ შექმნან ქურთისტანი გაერთიანებისა და დამოუკიდებლობის პრინციპებზე. მეორე წერილში, რომელიც გაეგზავნა ინგლისის კონსულს ურმიასში, ობეიდულამ ხაზს უსვამდა იმას, რომ „ქურთი ხალხი — დამოუკიდებელი ერია“ (27, გვ. 16; 148, გვ. 67).

ირანში შეჭრილმა აჯანყებულმა ქურთებმა ირანის ჯარის სასაზღვრო ნაწილების წინააღმდეგობა მალე გატეხეს და სექტემბრის შუარიცხვებში ირანის ქურთისტანის მთავარი ქალაქი — სოუჯბულაღი

⁹ ირანს მაშინ შეეძლო გამოეყვანა 100 ათასი ჯარისკაცი. აქედან თითქმის ნახევარს ადგილობრივი ქურთები შეადგენდნენ. ასე, რომ ირანის მთავრობა თურქმანების წინააღმდეგ ბრძოლაშიც რომ არ ყოფილიყო გართული, მას მაინც გაუჭირდებოდა თურქეთიდან შემოსეული ქურთების უკუგდება.

დაიკავეს. ოქტომბერში შეიხ ობეიდულას მომხრეებმა თავიანთი ძალუფლება მთელ მიანდობის ოლქზე გაავრცელეს და თავრიზს მიადგნენ.

სამხრეთ აზერბაიჯანის დედაქალაქი თავდაცვისათვის მომზადებული არ იყო და ქალაქი პანიკამ მოიცვა. აქ ერთდროულად მრავალია ლტოლვილმა მოიყარა თავი. დაიწყო შიმშილი. ქალაქის დაცემას არაფერი უკლდა. მაგრამ, უდისციპლინო და ცუდად გაწვრთნილმა ქურთთა რაზმებმა ჰამზა ალას მეთაურობით თავრიზზე შეტევის ნაცვლად მეზობელი სოფლების ძარცვა და რბევა დაიწყეს. ამის შემდეგ გამდიდრებული ქურთების ერთი ნაწილი სახლებში დაბრუნდა.

ირანის მთავრობა კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა ქურთისტანში მომხდარი ამბები განსაკუთრებით დიდ შეშფოთებას იწვევდა თეირანში. ქურთებს რომ თავრიზი აეღოთ, მაშინ გზა ირანის დედაქალაქისაკენ გახსნილი იქნებოდა. ამიტომ ირანის მთავრობამ სასწრაფოდ დაიწყო ერთგული ჯარების შეგროვება, მაგრამ ირანის მაშინდელ მთავრობას საკმარისი ძალები არ აღმოაჩნდა იმისათვის, რომ მხოლოდ თვითონ გამკლავებოდა ქურთებსა და მან დახმარებისათვის რუსეთს მიმართა. ირანის მთავრობა თხოვდა რუსეთის მეფეს, რომ მას ზეგავლენა მოეხდინა თურქეთის სულთანზე.

თურქეთის მმართველი წრეები ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს ირანში მიმდინარე ქურთთა მოძრაობას. თურქეთი თავისი „ლოიალობით“ ხელს უწყობდა ქურთების მიერ აჯანყების მოწყობას და იმედოვნებდა, რომ იგი ირანის წინააღმდეგ წარიმართებოდა. ერთდროულად ქურთების წარმატება მათში გარკვეულ შეშფოთებასაც იწვევდა.

რუსეთისა და ინგლისის მთავრობის ზეგავლენით თურქეთმა 1880 წ. ნოემბერში თავი მოუყარა მსხვილ სამხედრო შენაერთებს აჯანყებული ქურთების ზურგში თურქეთმა ირანის საზღვართან გადაისროლა არტილერიით შეიარაღებული ქვეითი ჯარების 12 ბატალიონი მუსა ფაშა კუნდუხოვის მეთაურობით. ამ მანევრმა ხელი შეუშალა ოსმალეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქურთებს მხარი დაეჭირათ შეიხ ობეიდულას მოძრაობისათვის. ამასთან ერთად სტამბოლიდან მასთან გაგზავნეს გავლენიანი თურქი მოხელეები. ისინი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ შეიხ ობეიდულა, შეეწყვიტა საომარი მოქმედება ირანში და თავისი მომხრეებით ოსმალეთის ტერიტორიაზე დაეხია.

ამასობაში ირანის მთავრობამ ძალები მოიკრიბა და ყარადაღელებისა და შახსევანელებისაგან 20 ათასიანი ლაშქარი შეკრიბა (64, გვ.

75—79). ამ ლაშქარს ავსტრიელი ოფიცრები¹⁰ მეთაურობდნენ. მალე ურმიასთან მაქუს სახანოს მმართველი თემურ ხანიც მოვიდა დიდი რაზმით (5.000 კაცი). თემურ ხანის რაზმში ძირითადად ჯელალის, მილანისა და ჰაიდარანლუს ტომის ქურთები შედიოდნენ. მან დაამარცხა შეიხ ობეიდულას 2 ათასიანი ლაშქარი ურმიის მისადგომებთან და აიძულა აჯანყებულები უკან დაეხიათ. შეიხ ობეიდულა გამოვიდა თურქეთის ტერიტორიაზე და თავის რეზიდენციაში ნოუჩეში (შამდინანის ახლოს) დაბრუნდა. 1880 წლის ბოლოსათვის ქურთების მოძრაობა ძირითადად ჩაახშეს.

შეიხ ობეიდულასთან ერთად ირანიდან თურქეთში ქურთთა დიდკაცობის ერთი ნაწილიც გამოიქცა და ახალი აჯანყებისათვის მზადება დაიწყო. შეიხ ობეიდულას და მისი მომხრეების წასვლის შემდეგ ირანის ქურთისტანში მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქნა.

რუსეთის ვიცე-კონსულის კ. კამსარაკანის მოწმობით, შეიხ ობეიდულამ და მისმა რაზმებმა ირანში ლაშქრობის დროს გაძარცვეს 600-მდე სოფელი (93, გვ. 44).

დასავლეთ ირანის ქურთი მოსახლეობა, რომელმაც აჯანყების დროს დიდი მსხვერპლი გაიღო, მისმა ფეოდალურმა ბელადებმა ბედის ანაბარა მიატოვეს და ირანის ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა მას. 200-მდე ქურთული სოფელი დაწვეს, რამდენიმე ათას ქურთს სასტიკად სცემეს. განსაკუთრებით დაზარალდა სოუჯბულადის რაიონი, სადაც მოსპობილ იქნა ქურთი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგრამ ირანის ხელისუფლებამ ქურთებს ესეც არ აკმარა და გაძარცვეულ მხარეში გადასახადების აკრეფა დაიწყო.

ამრიგად, ირანის მთავრობამ, იმის ნაცვლად, რომ ცოტათი მაინც შეემსუბუქებინა ქურთი მოსახლეობის მდგომარეობა, რათა მას მომავალში თავი შეეკავებინა ახალი აჯანყებისაგან, ქურთების ახალი გადასახადებით დაბეგვრა დაიწყო. ამიტომ ის მიზეზები, რომლებმაც თავის დროზე ქურთებს აჯანყებისაკენ უბიძგეს, კვლავინდებურად ძალში დარჩა.

რაკი ქურთების ეკონომიკური მდგომარეობა არ შეამსუბუქეს, მათ დაიწყეს მზადება ახალი აჯანყებისათვის. შეიხ ობეიდულამ დანებარებისათვის კვლავ რუსეთს მიმართა, მაგრამ რუსეთის ვიცე-კონსულმა ვანში კვლავ უარყოფითი პასუხით გაისტუმრა მისი წარმომადგენელი. თურქებს ეშინოდათ იმისა, რომ ქურთების ახალი აჯანყება ამჯერად მათ წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული და თავის

¹⁰ ავსტრიის სამხედრო მისია ირანში გაიხსნა ჯერ კიდევ XIX ს. პირველი ნახევრის ბოლოს, როდესაც მირზა თაყი ხანმა ირანის ჭარბის გაწვრთნისათვის ქვეყანაში მოიწვია ავსტრიელი ოფიცრები (97, გვ. 43).

დაზღვევის მიზნით შეიხ ობეიდულა სტამბოლში გაიწვიეს, სადაც იგი სულთანმა აბდულ ჰამიდ II-მ დიდი პატივით მიიღო. მაგრამ სულთნის სასახლეში ქურთების ცნობილი შეიხი ფაქტიურად საპატიო ტყვეობაში იმყოფებოდა. 1882 წ. ივლისში იგი სტამბოლიდან ფოთში გაიქცა, ხოლო იქიდან ქურთისტანში.

ჰაკიარში შეიხის დაბრუნებამ ირანის მთავრობის სერიოზული შიშში გამოიწვია. ირანის შაჰმა სასწრაფოდ დაიწყო ირან-თურქეთის სასაზღვრო ზოლის გამაგრება. არც თურქები ისხდნენ გულხელდაკრეფილი. ერზურუმიდან და ერზინჯანიდან ვანში დამატებითი მამული ძალები გაგზავნეს. მაგრამ ამ ზომებმა ირანის მთავრობა ვერ დაამშვიდეს. ირანის ელჩმა სტამბოლში შაჰის სახელით თურქეთის მთავრობას მოსთხოვა, რომ ქურთების შეურიგებელი შეიხი ირანის საზღვრებიდან რაც შეიძლება შორს გადაესახლებინა. 1882 წ. ნოემბერში თურქებმა იგი ჯერ მოსულში წაიყვანეს, ხოლო იქიდან გადასახლეს ქალაქ მექაში, სადაც იგი მალე გარდაიცვალა (82, გვ. 93).

ამრიგად, ირანსა და თურქეთში XIX ს. 80-იანი წლების დასაწყისში გაჩაღებული ქურთების დიდი გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა ქურთთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, მარცხით დამთავრდა.)

ქურთების ამ მოძრაობის დამარცხება განაპირობეს ისეთმა მიზეზებმა, როგორცაა — სტიქიურობა, არაორგანიზებულობა, ცუდი შეიარაღება, არაერთგვაროვანი სოციალური შემადგენლობა, გვაროვნულ-ტომობრივი ქიშპობა, ნათელი პროგრამისა და მიზნების უქონლობა; ქურთების აჯანყების ხელმძღვანელმა შეიხ ობეიდულამ ვერ მოახერხა შეექმნა თურქეთის მიერ დამონებული ხალხების (არაბების, ქურთების, ასურელებისა და სომხების) ერთიანი ფრონტი.

გარკვეული როლი შეასრულა ქურთების მოძრაობის დამარცხებაში რუსეთის და ინგლისის მთავრობათა მტრულმა პოლიტიკამ, ირანისა და თურქეთის მთავრობისადმი მათ მიერ გაწეულმა დახმარებამ. ამასთან ერთად, თურქეთის მთავრობის მიერ რელიგიური შუღლის გაღვივებამ ერთი მხრივ, მუსლიმან ქურთებსა და მეორე მხრივ, ქრისტიან სომხებსა და ასურელებს შორის, აგრეთვე ხელი შეუწყო ქურთების მოძრაობის წარუმატებლობას.

80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში თურქეთის მმართველი წრეების პოლიტიკაში ქურთების მიმართ გარკვეული ცვლილებები ხდებოდა. ეს ცვლილებები იმაში გამოიხატება, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ, თურქეთის მთავრობის მითითებით, დაიწყო დაახლოება ქურთ ფეოდალურ და გვაროვნულ-ტომობრივ ზედა ფენასთან და „მოფერებითა და ყურადღებით“ ცდილობდა მის გადმობირებას თავის მხარეზე.

„ჰამიდიეს“ შექმნა

რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წწ. ომმა თურქეთის სულთანს დაანახა, რომ მის რეჟიმს ქურთებში თანდათან დასაყრდენი ეცლებოდა. თავისი შერყეული მდგომარეობის განმტკიცების მიზნით, თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა შეეცვალა პოლიტიკა ქურთი დიდებულების მიმართ. გავლენიანი ქურთი ფეოდალების, ტომის ბელადებისა და შეიხების დენისა და მათი ძალაუფლების შეზღუდვის ნაცვლად სულთანი აბდულ ჰამიდ II მათთან დაახლოებასა და ლაციცს იწყებს.

ქურთთა ტომების ბელადებსა და შეიხებს უხვად ურიგებდნენ ფულს, სხვადასხვა თანამდებობებსა და ჩინ-მედლებს (79, გვ. 16—25). იმ მიზნით, რომ ახალგაზრდა ქურთი დიდებულები არსებული რეჟიმისადმი ლოიალური და ერთგული აღზრდილიყვნენ, სტამბოლსა და ბაღდადში 1892 წ. მათთვის სპეციალური სამხედრო სასწავლებლები — „ტომების სკოლები“ („აშირეთ მექთებლერი“) გახსნეს.

ამავე დროს თურქეთის მთავრობამ ქურთებისაგან მსუბუქი რეგულარული ცხენოსანი ლაშქრების ჩამოყალიბება დაიწყო. ახლად ჩამოყალიბებული ქურთული კავალერია „ჰამიდიე“-ს სახელს (აბდულ ჰამიდ II-ის საპატივცემულოდ) ატარებდა, ჰამიდიეს პირველი შენაერთები ქურთისტანში ჩამოყალიბდა 1891 წ. ასეთ რაზმებს უმთავრესად რუსეთის საზღვრების ახლო მდებარე რაიონებში (ერზურუმის, ვანის, ბითლისის ვილაიეთები) აყალიბებდნენ.

„ჰამიდიეს“ ჩამოყალიბების იდეა მუშირ (მარშალი) ზეჟი ფაშას¹ და თურქეთის ყოფილ ელჩს რუსეთში შაჟირ ფაშას ეკუთვნის. ქურთების სამხედრო სამსახურში ჩაბმით ოსმალეთის მთავრობა რამდენიმე მიზანს ისახავდა. პირველ რიგში, სულთანი დაინტერესებული იყო ქურთები თურქეთის ადმინისტრაციის მკაცრი კონტროლისათვის დაემორჩილებინა და დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ მათი სწრაფვისათვის ბოლო მოეღო. მეორე მიზანი, რომელსაც სულთანი ისახავდა, ეს ქურთების თანდათანობითი ასიმილაცია იყო.

გარდა ამისა, თურქეთის მცაურობა ვარაუდობდა, რომ ქურთებს გამოიყენებდა ქვეყნის საგარეო ომებში. დაბოლოს, თურქეთის მმართველ წრეებს სურდათ ქურთების ცხენოსანი რაზმების საშუალებით ჩაეხშოთ არათურქული (არაბები, სომხები) მოსახლეობის მოსალოდნელი გამოსვლები.

¹ ზეჟი ფაშა წარმოშობით ჩერქეზი იყო. XIX ს-ის 80-იან წლებში იგი სარდლობდა ანატოლიის აღმოსავლეთ ვილაიეთებში განლაგებულ მე-4 კორპუსს.

თურქეთის მთავრობა განსაკუთრებით დაინტერესებული იყო „სომხეთის საკითხის“ საბოლოო გადაჭრით, რაც სომეხი ხალხის ფიზიკურ მოსპობას ნიშნავდა. ამ გეგმების განხორციელებაში ჰამიდიეს ერთ-ერთი მთავარი როლი ეკისრებოდა. რუსეთის სამხედრო წარმატებებმა 1877—1878 წწ. ომში და ბერლინის კონგრესის გადაწყვეტვლებმა, რომლებიც მოითხოვდნენ რეფორმების ჩატარებას სომხებით დასახლებულ ტერიტორიაზე, სომეხი მოსახლეობის გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობა გამოიწვიეს და აი, ჰამიდიეს შენაერთები სწორედ მის წინააღმდეგ სურდათ გამოეყენებინათ. ამრიგად, ჰამიდიე ერთი მხრივ, მიზნად ისახავდა „ქურთების საკითხის“, ხოლო მეორე მხრივ, „სომხების საკითხის“ გადაჭრას.

ჰამიდიე ტომებში ანუ აშირეთებში ყალიბდებოდა. ყოველი კომლი ვალდებული იყო ახალი შენაერთისათვის ერთი მხედარი (ცხენათურთ), ხოლო თუ ცხენი არა ჰყავდა, მაშინ ქვეითი მეომარი მიეწოდებინა. ჰამიდიე პოლკებად იყო დაყოფილი. თვითეული პოლკი 512 მხედრისაგან შედგებოდა. ამ შენაერთებს იარაღით მთავრობა ამარაგებდა. წლის გარკვეულ დროს ჰამიდიეს პოლკები თურქი ცხენოსანი ოფიცრების მეთაურობით სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას გადიოდნენ. ომის შემთხვევაში ჰამიდიეს პოლკები უნდა შეკრებილიყვნენ სულთნის პირველ მოწოდებისთანავე.

ასეთი იყო თურქეთის მთავრობის გეგმები ჰამიდიეს შექმნასთან დაკავშირებით. მაგრამ ის იმედები, რომლებსაც აბდულ ჰამიდ II და მის გარშემო შეკრებილი თურქი რეაქციონერები ჰამიდიეზე ამყარებდნენ, არ გამართლდა. თურქეთის მთავრობის ყველა ცდა, დაემორჩილებინა ქურთები თავისი კონტროლისათვის, ჩაიშალა. ტომებში გაერთიანებული ქურთების დიდმა ნაწილმა ჰამიდიეში შესვლაზე უარი განაცხადა. თურქეთში მოსახლე ზოგიერთი ქურთული ტომების ბელადი მეზობელ ირანში გადასახლდა იმ მიზნით, რომ თავიდან აეცლინა ჰამიდიეში შესვლა. ასეთივე მდგომარეობა იყო ერაყის ქურთისტანშიც.

მას შემდეგ, რაც ტომებში გაერთიანებული ქურთებისაგან ჰამიდიეები ჩამოაყალიბეს, ქურთებიდან აღებული გადასახადების ოდენობა საგრძნობლად შემცირდა. აღმოსავლეთ თურქეთის ზოგიერთ ვილაიეთში, — რუსი ოფიცრის პ. ავერიანოვის მოწმობით, — ადგილობრივ ჰამიდიესაგან ხაზინაში არც ერთი კაპიკი არ შემოსულა (57ა, გვ. 276). ჰამიდიეს ფორმირებამ ზოგიერთ შემთხვევაში ხელი შეუწყო ქურთ გვაროვნულ-ტომობრივი დიდკაცობის აღზევებას იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მიიღეს სამხედრო ხელისუფლების ფუნქციები თავიანთ ქვეშევრდომებზე. რაც უფრო იზრდებოდა ტომის ბელადე-

ბის ძალაუფლება და გავლენა, მით უფრო სწრაფად მიმდინარეობდა ადგილობრივი თურქული ადმინისტრაციის ავტორიტეტის დაკნინება.

ამ ვარემოებამ კიდევ უფრო გააუარესა ტომების რიგითი წევრების ეკონომიკური მდგომარეობა. რიგითი მომთაბარეები თავიანთი აღებისა და ბეგებისაგან კიდევ უფრო დამოკიდებული შეიქნენ. ასევე გაძლიერდა შიდა ტომობრივი შუღლი და მტრობა. ხშირად ტომებს შორის უთანხმოებას თურქები შეგნებულად აღვივებდნენ გარედან. ისინი ერთმანეთს უსეედნენ გაურჩებულ ქურთულ ტომებს.

ირან-თურქეთის საზღვრის გასწვრივ და აგრეთვე სულეიმანიის და რეყანდუზის გარშემო დასახლებული ქურთული ტომები: დაუდიე, დიზაი, შექაქ და გულფერიხი თურქული რეჟიმისადმი ყველაზე უფრო მტრულად იყვნენ განწყობილი.

ჰამიდიეს ჩამოყალიბებამ ქურთისტანში ქურთების ბრძოლა თურქთა უღლის წინააღმდეგ არ შეანელა. XIX ს. 90-იანი წლები აღსავსეა ქურთების შეიარაღებული გამოსვლების შემთხვევებით. ასე მაგალითად, 1891 წ. ოქტომბერში დერსიმში ქურთების დიდმა აჯანყებამ იფეთქა. ეს აჯანყება თურქ ხელისუფალთა საგადასახადო პოლიტიკით აყო გამოწვეული. აჯანყებულმა ქურთებმა მათ დასაშოშმინებლად გაგზავნილი თურქთა დამსჯელი ჯარები დაამარცხეს. მსგავსი აჯანყება ხშირად ეწყობოდა ქურთისტანის სხვადასხვა კუთხეში.

ჰამიდიელთა სამხედრო სწავლებას უშუალო კონტროლს გერმანული მისია უწევდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქურთების სამხედრო წვრთნა არადადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. სასწავლო შეკრება იშვიათად ტარდებოდა. თურქი ოფიცრები, რომლებიც ჰამიდიელთა წვრთნასა და სწავლებას ხელმძღვანელობდნენ, ქურთებს შორის არაერთარი ავტორიტეტით არ სარგებლობდნენ. ხშირად მათ შორის შეხლა-შემოხლასაც კი ჰქონდა ადგილი. თავისუფლების მოყვარე ქურთები ვერ იტანდნენ მათთვის საქულველ თურქ ოფიცერთა მბრძანებლობას.

ჰამიდიელებმა, როგორც სამხედრო შენაერთებმა, აბდულ ჰამიდ II-ის იმედები ვერ გაამართლეს. თითქმის არცერთი პოლკი სრულად არ იყო დაკომპლექტებული, გარდა ამისა, მათი ბრძოლისუნარიანობა მაღალი არ იყო. ჰამიდიე ეს იყო მცირერიცხოვანი, ცუდად გაწვრთნილი და უდისციპლინო სამხედრო შენაერთი, რომელსაც ვერ იყენებდნენ საომარი მსვლელობის დროს. მართლაც, ყველა იმ სამხედრო კონფლიქტებში, რომლებშიც თურქეთი XX ს. დასაწყისში აღმოჩნდა ჩათრეული, ჰამიდიემ როგორც სამხედრო შენაერთმა, მასზე დამყარებული იმედები ვერ გაამართლა.

ჰამიდიეზე დაყრდნობა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, როდესაც წარმატება თურქეთის მხარეზე იყო, ანდა დამსჯელი ექსპედიციების

მოწყობის დროს. ასეთ ექსპედიციებს კი თურქეთის მთავრობა ხშირად აწყობდა არათურქული მოსახლეობის წინააღმდეგ.

ჰამიდის ჩამოყალიბების შემდეგ ქურთისტანში სომეხი და ასურელი ქრისტიანი მოსახლეობის მიმართ თვითნებობამ და ძალადობამ კიდევ უფრო იმატა. ქურთი ბელადები თავიანთი ცხენოსანი რაზმებით თავს ესხმოდნენ მშვიდობიან სომეხებსა და ასურელებს, ძარცვავდნენ ვაჭრებს. თურქეთის მთავრობა მოძალადე ჰამიდელების საქციელზე შეგნებულად თვალს ხუჭავდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქნა მას შემდეგ, როდესაც მთავრობამ ქურთ ფეოდალებს ქურთისტანში მოსახლე ქრისტიანული მოსახლეობისაგან გადასახადების აკრეფის უფლება მიანიჭა.

ჰამიდელთა თვითნებობა ზარალს აყენებდა არა მარტო ქრისტიან მოსახლეობას, არამედ მუსლიმანურსაც (167, გვ. 161). მას შემდეგ, რაც ჰამიდელებმა ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის შევიწროება და ტერორიზება დაიწყეს, თურქეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ქურთთა მხედრობისათვის ცეცხლის სასროლი იარაღი ჩამოერთმია და ისინი სამოქალაქო სასამართლოსათვის დაემორჩილებინა. მაგრამ ჰამიდელებმა დამორჩილებაზე უარი თქვეს და თურქ ხელისუფალთ შეიარაღებული წინააღმდეგობაც კი გაუწიეს.

ყველაფერი ეს ქურთისტანში შინა პოლიტიკური ვითარების გამწვავებას უწყობდა ხელს. ჰამიდელთა თავდასხმები მას შემდეგაც არ შეწყვეტილა, როდესაც 1892 და 1894 წწ. თურქეთის მთავრობამ ქურთისტანსა და თურქეთის სომხეთში ორი კომისია გააგზავნა. უფრო გვიან ცნობილი გახდა, რომ ამ კომისიებს დავალებული ჰქონდათ არა ჰამიდელთა აღვირახსნილი მოქმედების შეწყვეტა, არამედ სომეხთა გამოსვლების გამოწვევა იმ მიზნით, რომ მათი მასობრივი ხოცვა-ჟლეტა დაეწყათ. ასეც მოხდა, 1894 წ. უეიდურეს მდგომარეობამდე მიყვანილმა სომეხებმა სასუნის რაიონში აჯანყება დაიწყეს და მათ წინააღმდეგ თურქულ რეგულარულ ჯარებთან ერთად ჰამიდის პოლკებიც გაგზავნეს.

დამსჯელ ექსპედიციას სასუნში მუშირი ზეჟი-ფაშა მეთაურობდა. თურქეთის მთავრობამ ქურთები სომხების წინააღმდეგ სპეციალურად აამხედრა, იგი მათში მუსლიმურ ფანატიზმს აღვივებდა, მათ სრული დაუსჯელობის რწმენას შთააგონებდა. თურქეთის ხელისუფლება სომეხ-ქურთების ურთიერთობის გაუარესებით იყო დაინტერესებული. იყო შემთხვევები, როდესაც მოძალადე თურქი ჯარისკაცები ქურთულ ტანსაცმელში იყვნენ გადაცმული (75, გვ. 82). სომეხთა ხოცვა-ჟლეტა გრძელდებოდა 1894—1896 წწ.

ის ქურთები, რომლებიც ჰამიდეში გაერთიანებული არ იყვნენ, სომხების ხოცვა-ჟლეტაში მონაწილეობას არ ღებულობდნენ.

თანამედროვეთა მოწმობით, ზოგიერთი ქურთი დიდებული თავისი ქვეშევრდომებით სომხების მხარეზე იბრძოდა, ხოლო ზოგიერთი მათ გადაარჩენაში ეხმარებოდა. მაგრამ ეს იყო ცალკეული შემთხვევები და ამ დადებითმა მომენტებმა მაშინ სათანადო გავრცელება ვერ პოვეს. აბდულ ჰამიდმა და მისმა ხელქვეითმა თურქეთის რეაქციონერებმა, ისარგებლეს რა მუსლიმური რელიგიის ცრუ რწმენებით, შეძლეს ქურთების დიდი ნაწილის ამხედრება სომხების წინააღმდეგ და ჰამიდის საშუალებით მათ გამათავისუფლებელ მოძრაობას მძიმე დარტყმა მიაყენეს. მაგრამ სომხებსა და ქურთებს შორის შუღლის გაღვივებამ არა მარტო ვერ გადაჭრა „სომხების საკითხი“, არამედ კიდევ უფრო დაძაბა მდგომარეობა აღმოსავლეთ ანატოლიაში, შექმნა აქ სამიში კერა მომავალი საშინაო და საგარეო კონფლიქტებისათვის. საბოლოო ჯამში ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ოსმალეთის იმპერიის სულ უფრო მზარდ დასუსტებას და აბდულ ჰამიდ II-ის რეჟიმის დაცემას.

თურქების მიერ სომხების ხოცვა-ჟლეტის მოწყობამ ევროპის იმპერიალისტურ ქვეყნებს კარგი საბაზი მისცა ოსმალეთის იმპერიის საშინაო საქმეებში ჩასარევად. ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი და გერმანია თურქეთში თავიანთი ანგარებითი მიზნების მიღწევას, კონკურენტების პოზიციების შესუსტებას და საკუთარი გავლენის განმტკიცებას ცდილობდნენ.

ქურთული ცხენოსანი რაზმების (ჰამიდიე) აქტიურმა მონაწილეობამ სომხების წინააღმდეგ თურქების მიერ მოწყობილ დამსჯელ ექსპედიციებში ხელი შეუწყო ქურთთა საკითხის გადაქცევას საერთაშორისო პრობლემად, რომელიც ახლა უკვე მრავალი ქვეყნის ინტერესებს ეხებოდა (101, გვ. 69).

ასეთი იყო თურქეთის მთავრობის მიერ ჰამიდიეს შექმნის პოლიტიკური სიბეცის შედეგები.

ჰამიდიეში შემავალი ქურთები, მას შემდეგ რაც მათ მიიღეს იარაღი და სამხედრო ორგანიზაცია, გადაიქცნენ მრისხანე ძალად, რომელიც მეტად საშიში გახდა ოსმალეთის იმპერიისათვის, ხოლო ევროპის ქვეყნებმა ისარგებლეს შექმნილი მდგომარეობით და თავიანთი ჩარევა თურქეთის საშინაო საქმეებში კიდევ უფრო გააძლიერეს.

ევროპის იმპერიალისტური ქვეყნების შეღწევის გაძლიერება ქურთისტანში

XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში კაპიტალიზმი თავისი განვითარების უმაღლეს სტადიაში — იმპერიალიზმში გადავიდა. დიდ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობა სულ უფრო გამწვავდა. ამ გარემოებას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის და მათ შორის ქურთის-

ტანისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია. ქურთისტანი ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების გაძლიერებული ექსპანსიის ობიექტი გახდა. ამ ექსპანსიის გაძლიერებას ხელი შეუწყო ერთი მხრივ, ინგლისის, რუსეთის, გერმანიის და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების სულ უფრო მზარდმა მისწრაფებამ, ხელთ ეგდოთ ახალი ბაზრები საქონლისა და განსაკუთრებით კაპიტალის გასატანად, ხოლო მეორე მხრივ, ოსმალეთის იმპერიისა და ირანის დასუსტებამ.

ინგლისელი, რუსი, გერმანელი და სხვა ევროპელი მოგზაურები, მისიონერები თუ მზვერავები ქურთების ნდობის მოპოვების მიზნით მათ შორის ფარულად ანტითურქულ და ანტიირანულ აგიტაციას ეწეოდნენ. ეს აგიტაცია ობიექტურად ხელს უწყობდა ქურთთა შორის ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას. ამ აგიტაციამ თურქებისა და არანელების ბატონობას ქურთისტანში თანდათან წყალი შეუყენა.

კაპიტალიზმის იმპერიალიზმში გადასვლას ქურთებისათვის სხვა მხრივაც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. თუ მანამდე ქურთთა საკითხი თურქეთის ან ირანის შინაგან საქმეს წარმოადგენდა, ახლა იგი თანდათან საერთაშორისო პრობლემად გადაიქცა.

ახლო აღმოსავლეთის სხვა ხალხებთან ერთად იმპერიალისტები სულ უფრო დიდ ინტერესს იჩენდნენ ქურთებისადმი. XX ს. დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში გერმანია ინგლისის ერთ-ერთი მთავარი პეტოქე ხდებდა. თურქეთსა და ირანში გერმანიის მზარდი შეღწევა ინგლისის მმართველი წრეების შეშფოთებას იწვევს. გერმანიის ეკონომიკური და პოლიტიკური დაახლოება თურქეთთან სულ უფრო აძლიერებდა მუქარას მის მხრიდან.

გერმანელებმა შესამჩნევი ზეგავლენა მოიპოვეს თურქეთის სულთანზე. მინისტრებსა და განსაკუთრებით გენერალიტეტზე. ბაღდადის რკინიგზის მშენებლობაზე გერმანელების მიერ კონცესიის მიღებამ ცხადყო, რომ ისინი ემზადებოდნენ გადამწყვეტი შეტევისათვის ინგლისის კოლონიალური სამფლობელოების წინააღმდეგ აზიაში.

ინგლისის გარდა ახლო აღმოსავლეთში საფრანგეთსაც დიდი კაპიტალი ჰქონდა დაბანდებული. ამიტომ ორივე სახელმწიფომ გადაწყვიტა ხელი აეღო ოსმალეთის იმპერიის მთლიანობის შენარჩუნების ტრადიციულ დოქტრინაზე და დაიწყეს გამალებული მზადება მისი სრული და საბოლოო განაწილებისათვის, რათა გერმანიისათვის საშუალება არ მიეცათ, რომ მთელი ოსმალეთის იმპერია ხელში ჩაეგდო.

რაც შეეხება რუსეთის მთავრობას, იაპონიასთან ომში დამარცხების და 1905-07 წლის რევოლუციის შემდეგ იგი გაცილებით დამთმობი გახდა. 1907 წლის აგვისტოს ბოლოს რუსეთმა და ინგლისმა ხელი მოაწერეს კონვენციას, რომელიც ორივე სახელმწიფოს შორის ირანის გავლენის სფეროებად გაყოფას ითვალისწინებდა.

XX ს. დასაწყისში რუსეთი სამხედრო-ეკონომიკური თვალსაზრისით ბევრად ჩამორჩებოდა ევროპის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. მაშინ მას ძალა არ შესწევდა ხელში ჩაეგდო ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები. ამიტომ იგი „მოკრძალებულ“ მიზნებს ისახავდა, მას სურდა მიეღწია იმ უფლებისათვის, რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სამხედრო გემები თავისუფლად გასულიყვნენ ამ სრუტეებში. გარდა ამისა, იგი სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ქურთთა პრობლემას, რადგანაც ქურთებით დასახლებული ტერიტორია უშუალოდ ესაზღვრებოდა რუსეთის იმპერიის საზღვრებს.

ქურთების საკითხით ინგლისელებიც დაინტერესდნენ. ინგლისელებს სურდათ ქურთები ერაცსა და ირანში თავიანთი ექსპანსიონისტური გეგმების განხორციელებისათვის გამოეყენებინათ.) ქურთებისადმი ასეთივე დაინტერესებას გერმანიაც იჩენდა. მან დაიწყო ბაღდადის რკინიგზის მშენებლობა და მისი საშუალებით ცდილობდა შეეღწია აღმოსავლეთ ანატოლიაში, ერაცსა და ჩრდილოეთ სირიაში. გერმანელები ვარაუდობდნენ აგრეთვე ქურთების გამოყენებას ირანში შეღწევისათვის.

(ქურთისტანისადმი გაძლიერებულ ინტერესს. არც ამერიკელები მალავენ.) ჯერ კიდევ 1895 წ. მათ გახსნეს თავიანთი საკონსულო ერზურუმში და თურქეთის მთავრობას სთხოვეს, რომ ნება დაერთო ამერიკელებისათვის გაეხსნათ ასეთივე საკონსულო ხარფუთშიაც. მაშინ თურქეთის მთავრობამ მათ უარი განუცხადა, რადგანაც ხარფუთი და დერსიმი ჩრდილოეთ ქურთისტანში ყველაზე შფოთიანი ადგილები იყო. (თურქეთის მთავრობის უარის მიუხედავად, შეერთებულმა შტატებმა მაინც გახსნეს თავიანთი საკონსულო ხარფუთში და აქ კონსულად დანიშნეს პროფესორი ნორტონი. როდესაც თურქეთის მთავრობამ ეკზევატურის მიცემაზე ნორტონს უარი განუცხადა, ამერიკის კრეისერი „კენტუკი“ იზმირის ნავსადგურს მიადგა. თურქეთი დათმობაზე წავიდა.

ქურთებით დასახლებულ ადგილებთან ყველაზე ახლოს ტერიტორიულად რუსეთი იმყოფებოდა. რუსეთი გარკვეული ვავლენით სარგებლობდა ანატოლიელ და ირანელ ქურთებს შორის. თურქეთი ყოველ ღონეს ხმარობდა (მას ამაში ინგლისი და გერმანიაც ეხმარებოდა), რომ რუსეთის გავლენა ქურთებზე შეესუსტებინა. მაგრამ ანტირუსულმა აგიტაციამ ქურთებში XX ს. დამდეგს დადებითი შედეგი ვერ გამოიღო. დაძაბულობა, რომელიც შეიმჩნეოდა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში XIX—XX ს. მიჯნაზე, რუსეთ-იაპონიის ომის დამთავრების შემდეგ თანდათან განიმუხტა. დაძაბულობის განმუხტვას ხელი შეუწყო ამ პერიოდში მთელ მსოფლიოში ძალთა განაწილებაში მომხ-

დარმა ძირფესვიანმა ცვლილებებმა და თვით ოსმალეთის იმპერიაში ნომხდარმა პოლიტიკურმა მოვლენებმა.

მას შემდეგ, რაც გერმანიამ გააძლიერა თავისი აგრესიული ტენდენციები აღმოსავლეთში, ევროპაში თანდათან ანტიგერმანული კავშირის ჩამოყალიბება დაიწყო.

1904 წ. დაიღო ხელშეკრულება ინგლისსა და საფრანგეთს შორის, ხოლო უფრო ადრე XIX ს. ბოლოს რუსეთმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს „გულითად“ შეთანხმებას; საქმე მიდიოდა ინგლის-რუსეთის დაახლოებისაკენ. 1907 წ. 31 აგვისტოს, — როგორც უკვე აღვნიშნეთ, — რუსეთმა დადო ხელშეკრულება ინგლისთან ირანში გავლენის სფეროების განაწილების თაობაზე. ასე ჩაეყარა საფუძველი ანტანტას. ანტანტის ჩამოყალიბება კარგს არაფერს უქადდა ოსმალეთის იმპერია-სა და ირანს, რადგანაც ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის დაახლოება ერთმანეთთან ოსმალეთის იმპერიის და ირანის დაყოფას მი-ასწავებდა.

ინგლისთან დაახლოებამ რუსეთს ხელ-ფეხი გაუხსნა ახლო აღმოსავლეთში. შორეულ აღმოსავლეთში დაკარგული ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციების (იპსონიასთან ომი) სანაცვლოდ ქედის რუსეთი კდილობდა ცხანმტკიცებინა თავისი პოზიციები ახლო აღმოსავლეთში. ამიტომ XX ს. დასაწყისში რუსეთის ინტერესი ქურთთა პრობლემისადმი კიდევ უფრო გაძლიერდა. ამ პერიოდში რუსეთი მიზნად ისახავდა თავის მხარეზე გადაებირებინა ჩრდილოეთ ქურთის-ტანში მცხოვრები ქურთები და აეჩანეებინა სამხრეთ ქურთისტანის ტომები თურქეთის მმართველობის წინააღმდეგ რუსეთის კონსულები მუდმივ მეთვალყურეობას უწევდნენ თურქეთის მთავრობის ურთიერთობას ქურთებთან და თვით ქურთი ტომების ურთიერთობის ერთმანეთთან. თავის მხრივ, თურქეთის ადმინისტრაციაც აქეზებს ქურთებს, მოაწყონ თავდასხმები რუსეთის საზღვრისპირა რაიონებზე. მხოლოდ რუსეთის ზემოქმედებისა და ოსმალეთის იმპერიის საშინაო მდგომარეობის გაუარესების შემდეგ სულთან აბდულ ჰამიდ II-მ ხელი აიღო ანტირუსული პროვოკაციების მოწყობაზე.

მიუხედავად 1907 წ. შეთანხმებისა, ინგლისი განაგრძობდა რუსეთის საწინააღმდეგო პოლიტიკას ქურთისტანში. ამ პერიოდში ინგლისელი დიპლომატები აწყობდნენ თავიანთ მოგზაურობას ქურთისტანში, აფართოვებდნენ სადაზვერვო-პოლიტიკურ საქმიანობას, ეცნობოდნენ ქურთების ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, მათ ბრძოლას თურქებთან, ცალკეული შეიხების ზეგავლენას, შიდატომობრივ ურთიერთობას და ა. შ.

ინგლისის მზვერავეები სისტემატურად ეწეოდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას რუსეთის წინააღმდეგ და დიდ ზიანს აყენებდნენ მის

ინტერესებს ახლო აღმოსავლეთში. ინგლისის ელჩი სტამბოლში ფარულად ატყობინებდა სულთანს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებსაც ლებულობდა რუსეთი თავისი საზღვრების გასამაგრებლად. ეს ცნობები სტამბოლში მოდიოდა ამიერკავკასიაში მყოფი ინგლისელი კონსულებისაგან. ისინი მოუწოდებდნენ თურქებს გაეზარდათ თავიანთი ძალები რუსეთის საზღვართან. ამრიგად ინგლისის პოლიტიკა ქურთისტანში, მიუხედავად ინგლის-რუსეთის 1907 წ. სამოკავშირეო ხელშეკრულების არსებობისა, ანტირუსული იყო.

ახალგაზრდა, მაგრამ მტაცებელი გერმანია არანაკლებ ყურადღებას იჩენდა ქურთისტანისადმი. რუსეთის წინააღმდეგ მომავალ ომში აღმოსავლეთი თურქეთი და დასავლეთი ირანი გერმანელებისათვის მარჯვე პლაცდარმს წარმოადგენდა, თავიანთი მიზნების მისაღწევად გერმანელები იყენებდნენ არა მარტო დიპლომატებს და მზვერავეებს, არამედ მისიონერებსა და სამეცნიერო ექსპედიციებსაც კი.

ბითლისის ვილაიეთში გერმანელი მისიონერები, სხვებისაგან განსხვავებით, თურქეთის მთავრობის მხრიდან დიდი მხარდაჭერით სარგებლობდნენ.

გერმანელი მზვერავეები მოქმედებდნენ აგრეთვე ირანის ქურთისტანშიც. 1907 წ. ნოემბერში ქერმანშაჰის რაიონში ცნობილი გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე გუგო გროტე ჩამოვიდა. მანამდე კი მან მოინახულა ის ტერიტორია, რომელზეც ბაღდადის რკინიგზა უნდა გასულიყო, იგი ცხოვრობდა მოსულში.

გერმანელი მზვერავი, კონსული მოსულში ანდერსი სადაზვერვო-პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა ქურთებს შორის. რუსეთში მრავალჯერ ნამყოფი ანდერსი კარგად იცნობდა თურქესტანსა და ამიერკავკასიას. ანდერსი სპეციალურად სწავლობდა ქურთისტანს როგორც რუსეთის საწინააღმდეგო პლაცდარმს.

გერმანელები, ინგლისელების მსგავსად, ურჩევდნენ სულთანსა და მის მთავრობას გაეძლიერებინა ჰამიდის პოლკები აღმოსავლეთ ვილაიეთებში. ქურთისტანში შეღწევისას გერმანელებს თავიანთ მთავარ მეტოქედ რუსეთი მიაჩნდათ. რატომ რუსეთი? იმიტომ, რომ გეოგრაფიულად იგი ყველაზე უფრო ახლოს იყო ქურთისტანთან და ჰქონდა ყველაზე უფრო კარგი შესაძლებლობა აქ ზეგავლენის მოპოვებისათვის.)

მართალია, გერმანელთა წარმატებები ქურთისტანში დიდი არ იყო, მათ გარკვეულად მაინც მოამზადეს პირობები მომავალი წინსვლისათვის.

ამრიგად, XX ს. დასაწყისში ევროპის მთავარი კაპიტალისტური ქვეყნები და პირველ რიგში ინგლისი, რუსეთი და გერმანია ყველაფერს აკეთებდნენ ქურთისტანში შესაღწევად. მათი ინტენსიური პო-

ლიტიკური შედწევა ქურთებით დასახლებულ რაიონებში მათ შორის მეტოქეობას კიდევ უფრო აძლიერებდა. XX ს. დასაწყისში ამ ქვეყნებს შორის არსებულმა წინააღმდეგობამ და მათმა აგრესიულმა ზრახვებმა შიდა პოლიტიკური ვითარება ოსმალეთის იმპერიასა და ირანში კიდევ უფრო დაძაბეს.

„აზიის გამოღვიძება“ და ქურთები

იმპერიალისტური ქვეყნების ექსპანსიამ და ადგილობრივი ადმინისტრაციის (თურქული, ირანული) ავტორიტეტის დაცემამ ხელსაყრელი ნიადაგი მოამზადა ქურთულ ნაციონალიზმის ჩასახვისათვის. რუსეთის 1905—1907 წწ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ მის აღმოცენებას გარკვეული ბიძგი მისცა. აღმოსავლეთის ხალხების ეროვნულ თვითშეგნების ზრდას და გამათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებას ამ რევოლუციამ გარკვეული დალი დააჩნია. „მსოფლიოს კაპიტალიზმმა და რუსეთის 1905 წლის მოძრაობამ — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი — საბოლოოდ გამოაღვიძეს აზია. შუასაუკუნეობრივი ჩამორჩენილობით დაბეჩავებულმა მოსახლეობამ გამოიღვიძა ახალი ცხოვრებისათვის და ადამიანის საანბანო უფლებათათვის, დემოკრატიისათვის საბრძოლველად (11, გვ. 80).

რუსეთსა და მეზობელ ირანში მიმდინარე რევოლუციური ამბების ზეგავლენით თურქეთში დაიწყო აბდულ ჰამიდ II ძირმომპალი რეჟიმის საწინააღმდეგო გამოსვლები. სულთნის ტირანიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ არა მარტო ჩაგრული ეროვნული უმცირესობანი, არამედ თვით თურქებიც. სხვებთან ერთად ქურთმა ტომებმაც დაიწყეს მოძრაობა.

ერთ-ერთი პირველთაგანი დერსიმელი ქურთები აღელდნენ. მათ ბაიანეთისა და სხვა რაიონების ქურთები გამოეხმაურნენ.

1906 წ. დასაწყისში ქურთთა მღელვარებებმა ერზურუმისა და ბითლისის ვილაიეთები მოიცვეს, მაგრამ განსაკუთრებით დიდი გაქანება ბეშარ ჩატოს მეთაურობით დაწყებულმა ფენჯარის ქურთული ტომის აჯანყებამ მიიღო. ეს აჯანყება თითქმის 6 თვეს გაგრძელდა და თურქეთის დამსჯელმა ჯარებმა დიდი გაჭირვებით ჩააქრეს იგი.

1908 წ. დერსიმში კვლავ ქურთთა ახალმა აჯანყებამ იფეთქა. სამხრეთ ქურთისტანში ქურთები არაბებთან კავშირში გამოდიოდნენ.

XX ს. დასაწყისში ყარა ჯალიდაღში თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგ კვლავ მილის ტომის ქურთები გამოვიდნენ, მათ იბრაჰიმ ფაშა მეთაურობდა. იბრაჰიმ ფაშა ერთ-ერთი გავლენიანი და ძალაუფლების მოყვარული ქურთი ფეოდალი იყო. მაშინ მას „ქურთისტანის უგვირგვინო მეფეს“ უწოდებდნენ. იგი დიარბაქრის, ალეპოს,

ურფის და მარდინის ფაქტიური მმართველი გახლდათ. ქურთების გარდა მის რაზმებში შედიოდნენ არაბები, თურქები, სომხები. ამ რაზმებით იგი განუწყვეტლივ თავდასხმებს აწყობდა მშვიდობიან მოსახლეობაზე, აწიოკებდა და ძარცვავდა მათ (176, გვ. 42—44). თურქეთის მთავრობა არავითარ ზომებს არა ღებულობდა მის წინააღმდეგ. თუქცა მილის ქურთების მოძრაობა იბრაჰიმ ფაშას მეთაურობით თავისი შინაარსითა და ფორმით რეაქციული იყო, მაინც იგი საფუძველს უთხრიდა სულთნის თვითმპყრობელობას.

1905 წ. იემენში ანტითურქულმა აჯანყებამ იფეთქა. სულთანმა მის დასაწყენარებლად დიდძალი დამსჯელი ჯარები გააგზავნა. ამ დამსჯელ ძალებში ქურთი-ჰამიდიელებიც ერივნენ. ისინი უხალისოდ მიდიოდნენ ამ ექსპედიციაში. მათ არ სურდათ დაეღვარათ სისხლი მათთვის სრულიად უცხო საქმისათვის. ჰამიდიელთა გამოყენება თურქეთის განაპირა პროვინციების მოსახლეობის გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად, სულ უფრო არა პოპულარულს ხდიდა ქურთების სამსახურს ჰამიდიეში.

ჰამიდიეში შემავალი ქურთები, რომლებიც სხვადასხვა ტომებს მიეკუთვნებოდნენ, ხშირად ერთმანეთისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი.

1905 წ. შემდეგ ქურთებსა და სომხებს შორის დაახლოების ტენდენცია შეინიშნებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც ქურთები და სომხები ერთობლივად ებრძოდნენ თურქ მჩავერელებს. მაგრამ მეორე მხრივ, ჰამიდიეს არსებობა და ზოგიერთი ქურთული ტომის მიერ მოწყობილი თავდასხმები მშვიდობიან სომეხ მოსახლეობაზე ბევრად აფერხებდა ამ კარგი ტენდენციის შემდგომ განვითარებას.

სულთნის მთავრობის იმედები — ჰამიდიელთა საშუალებით განემტკიცებინა თავისი პოზიციები ქურთებს შორის — საბოლოოდ არ გამართლდა. ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის წინ აღმოსავლეთ ანატოლიაში თურქეთის სულთნის რეჟიმისათვის მეტად არამყარი მდგომარეობა შეიქმნა.

ანალოგიური ვითარება სუფევდა ირანის ქურთისტანშიც. 1905 წ. დეკემბერში ირანში დაიწყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. ირანის თითქმის მთელ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ბრძოლა მემამულეთა და შაჰის ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ შეიარაღებულ რაზმებსა და რევოლუციონერებს შორის. ამ პოლიტიკურ მოვლენებში ქურთებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ.

რევოლუციის დაწყებისთანავე ქურთმა ლიდერებმა ირანის შაჰს წაუყენეს თავიანთი მოთხოვნები, რომლებმაც მიიღეს „ქურთული კონსტიტუციის“ სახელწოდება. შაჰმა ეს მოთხოვნები უპასუხოდ დატოვა (115, გვ. 10). ამან ქურთი ლიდერების უკმაყოფილება გა-

მოიწვია. ქურთები გამოვიდნენ შაჰის ადმინისტრაციის წინააღმდეგ. ურმიანში ქურთებმა მხარი დაუჭირეს სახალხო მოძრაობას და რევოლუციურ ენჯემენს. 1907 წ. გაზაფხულზე მაქუს სახანოში ქურთების აჯანყებამ იფეთქა. იგი მიმართული იყო ადგილობრივი მმართველს მურთაზა ყული-ხან ებალ ოს-სალთანეს წინააღმდეგ. მხოლოდ მეორე წლის ზაფხულისათვის შეძლო მურთაზა ყული-ხანმა ამ აჯანყების ჩახშობა.

ამ პერიოდში მომხდარ ქურთთა გამოსვლებს სტიქიური ხასიათი ჰქონდა. მათ მეთაურებს არ წამოუყენებიათ ნათელი მოთხოვნები. მაგრამ მიუხედავად ამისა, უკვე მაშინ ზოგიერთი ქურთი ფეოდალი იწყებს გამოსვლას ავტონომიის ლოზუნგით. ეს ავტონომია ქურთი ფეოდალებისათვის ნიშნავდა ადმინისტრაციის ჩაურევლობას ქურთი ტომების საშინაო საქმეებში. ქურთი ბელადების ერთი ნაწილი ამ დროს გეზს იღებდა რუსეთზე და იმედოვნებდა, რომ იგი გაუწევდა სამხედრო-პოლიტიკურ დახმარებას, ხოლო მეორე ნაწილი პროინგლისური ორიენტაციისა გახდა. ქურთი დიდებულებისა და ტომის ბელადების უმრავლესობა თავისი სოციალური ბუნებით ფეოდალურ-კლერიკალური წრეების ინტერესებს გამოხატავდა და ქურთი ხალხის ინტერესებისაგან მეტად შორს იდგა. ისინი დიდ იმედებს ამყარებდნენ გარედან მიღებულ დახმარებაზე და არ სურდათ დაყრდნობოდნენ ქურთ მშრომელებს.

აბდულ ჰამიდ II-ის მმართველობის ბოლო წლები ახალი აგრესიული აქტით აღინიშნა. ოსმალეთის იმპერიის ექსპანსიონისტური ზრახვების მსხვერპლი გახდა მეზობელი ირანი.

1905 წ. ზაფხულში თურქეთის რეგულარულ ჯარის ნაწილები შეიჭრნენ მეზობელ ირანის ტერიტორიაზე და დაიკავეს ქურთებით დასახლებული ტერიტორია — სოუჯბულაღის ოლქი (101, გვ. 123). აბდულ ჰამიდი მეზობელი ირანის ტერიტორიის მიტაცებით თავისი შერყეული მდგომარეობის განმტკიცებას ფიქრობდა, ერთდროულად იგი ქურთთა საკითხის რადიკალურად გადაჭრას ლამობდა. ქურთების წაქეზებით ირანის ხელისუფლების წინააღმდეგ თურქებს სურდათ ჩამოეშორებინათ მათი ყურადღება თურქეთის მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლისაგან.

გარდა ამისა, თურქეთის მთავრობას სურდა ხელთ ეგდო ქურთებით დასახლებული მთელი ტერიტორია და გამოეყენებინა იგი როგორც პლაცდარმი რუსეთთან მომავალ ომში. ქურთისტანზე — ამ მთიან ქვეყანაზე—გადიოდა ძირითადი კომუნიკაციები, რომლებიც აკავშირებდა თურქეთს, ირანსა და ერაყს რუსეთის ამიერკავკასიასთან. ეს ტერიტორია ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენდა. ქურთი ტომები ჰამიდიეს შენაერთებთან და თურქეთის რეგულარულ ჯარებთან ერთად

მრისხანე ძალად გადაიქცეოდნენ მეზობელი ქვეყნების სასაზღვრო რაიონებისათვის. ირანის საწინააღმდეგო აგრესიის დროს ქურთისტანის ორივე ნაწილში მოსახლე ქურთი ტომების გამოყენებას ვარაუდობდნენ. ირანის მოსაზღვრე რაიონები თურქებმა სრული ანარქიის ზონად გადააქციეს, აღვივებდნენ რელიგიურ და ეროვნულ შუღლს რუსეთში და სხვა.

1907—1908 წწ. რუსეთის საერთაშორისო და შინაგანი მდგომარეობა თანდათან სტაბილური და მტკიცე შეიქნა. ინგლისთან 1907 წ. აგვისტოში ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ ცარიზმის პოზიციები ახლო აღმოსავლეთში კიდევ უფრო განამტკიცა. ორივე სახელმწიფომ ქმედითი ღონისძიებები მიიღო თურქეთის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის. თურქეთი იძულებულ შეიქნა ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო. 1908 წ. იანვარში სულთანმა გამოაქვეყნა დეკლარაცია სადავო რაიონში სტატუს კვოს შენარჩუნების შესახებ.

„ახალგაზრდა ქურთები“ და მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა

რუსეთის პირველმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გამოაღვიძა თურქეთი და ირანი, მისი უშუალო ზეგავლენით ამ ქვეყნებშიც რევოლუცია დაიწყო². თურქეთის 1908-09 წწ. რევოლუცია ცნობილია „ახალგაზრდა“ თურქთა რევოლუციის სახელით, ხოლო ირანში 1905 წ. დაწყებული რევოლუცია 1911 წლამდე გაგრძელდა. ამ რევოლუციებმა თავის მხრივ, ირანისა და ოსმალეთის იმპერიის დამონებული ხალხები ამოძრავეს. ახლად ჩამოყალიბებული ქურთული ინტელიგენციის უმრავლესობა ფეოდალური წრეებიდან და სასულიერო წოდებიდან იყო გამოსული. ქურთი ინტელიგენციის ერთი ნაწილი სამხედრო ოფიცრობას წარმოადგენდა ქურთ ოფიცრებს სულეიმანიეს ან ბაღდადის სამხედრო სასწავლებელი ჰქონდათ დამთავრებული, ხოლო ზოგიერთ მათგანს სტამბოლის სამხედრო აკადემიაც. ქურთებს შორის ეროვნული თვითშეგნებისა და პატრიოტული გრძნობების გაღვივება დაიწყო.

ქურთი ინტელიგენტები დიდი გულისტკივილით აღიქვამდნენ არსებულ ეროვნულ ჩაგვრას და ააქტივებდნენ ქურთების ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. ისინი მის იდეოლოგებად გამოდიოდნენ.

ირანსა და თურქეთში ბურჟუაზიული რევოლუციების დაწყებამდე ქურთი ინტელიგენციის გავლენიანი ნაწილი საზღვარგარეთ

² იმდროინდელი თურქული გაზეთების დიდი ნაწილი თურქ ხალხს მოუწოდებდა მიებასა რუსული რევოლუციისათვის (87, გვ. 41).

ცხოვრობდა. ქურთული ნაციონალისტური მოძრაობის ფუძემდებლები მათ მიერ ეგვიპტეში 1898 წ. დაარსებული პირველი ქურთული გაზეთის „ქურდისტანი“-ს იგრვლივ შემოიკრიბნენ, ეს გაზეთი გამოდიოდა თურქულ და ქურთულ ენაზე ჯერ კაიროში, ხოლო შემდეგ ეჟენევაში. ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის შემდეგ მას გამოსცემდნენ სტამბოლში, ხოლო პირველი მსოფლიო ომის წლებში კი ისევ კაიროში (90, გვ. 64). ამ გაზეთს ცნობილი ქურთი ფეოდალის ბადრხანის ოჯახის წევრები (მიღვაძი, აბდარ-რაჰმანი და სურეია) რიგრიგობით რედაქტორობდნენ (227, გვ. 261).

ქურთთა პირველი გაზეთის დაარსებამ ქურთი ინტელიგენციის ლიტერატურული და საგანმანათლებლო მოღვაწეობა გამოაცოცხლა.

მაგრამ მალე ახალგაზრდა ქურთულ ინტელიგენციაში განხეთქილება მოხდა: ბადრხანებს მეორე ცნობილი ქურთი ფეოდალის, შეიხობეიდულას შთამომავლები დაუპირისპირდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, შემდეგში თურქეთის სენატორმა, შეიხ კადირმა 1908 წ. თურქეთში მეორე ქურთული გაზეთის „ჰეტავი ქურდის“ („ქურთული მზე“) გამოცემა დაიწყო. ეს გაზეთი „ქურთთა ურთიერთ დახმარებისა და პროგრესის საზოგადოების“ ორგანო იყო. ამავე სახელწოდებით თურქულ ენაზე — „ქიურთ თეაეიუნ ჯე თერაკი გაზეთესი“ გამოდიოდა, მას ემინ ბადრ-ხანის მიერ დაარსებული ქურთული კლუბი უშვებდა (100, გვ. 150). ამით ქიშპობა და მტრობა ჩამოეარდა, ხოლო გაზეთი დროებით დახურეს.

ქურთ ნაციონალისტებს შორის არსებული უთანხმოება ქურთების მოძრაობის შემდგომ განვითარებას ზიანს აყენებდა და აფერხებდა მას. ირანში მცხოვრები აბდ არ-რეზაკ ბადრ-ხანი ჯერ რუსეთში მიდის რუსეთის მთავრობის პოზიციის გასაგებად, ხოლო შემდეგ პარიზში გადადის. მისი ნათესავები ეგვიპტეში გაემართნენ, ხოლო შეიხ აბდულ კადირის მომხრეები ბითლისში იწყებენ აჯანყებას, რომელაც მალე სასტიკად იქნა ჩახშობილი.

1909 წ. ახალგაზრდა თურქთა მთავრობამ დახურა ქურთული კლუბები და სკოლა ჩენბერლიში. მიუხედავად ამისა, ქურთებს შორის ნაციონალური ერთიანობის სულსკვეთება სულ უფრო იზრდებოდა. მათში თანდათან ეროვნული თვითშეგნება ისახებოდა (66, გვ. 38). ამაში გარკვეული როლი ახალმა ქურთულმა საზოგადოებებმა შეასრულეს. ისინი თავიანთ მოღვაწეობაში მარტო კულტურული საქმიანობით არ შემოიფარგლენ და ყურადღებას პოლიტიკურ საკითხებსაც უთმობდნენ.

პირველი ასეთი საზოგადოება „ჰივა ქურდი“ („ქურთთა იმედი“) ქურთთა სტუდენტებმა და იურისტებმა შექმნეს სტამბოლში 1910 წ.

უფრო გვიან ამ საზოგადოებამ დაიწყო ყოველთვიური „ეურხალის“ „როკა ქურდის“ („ქურთთა მზე“) გამოცემა (72, გვ. 159; 129ა; გვ. 75).

ქურთთა ახალ ეურხალში იბეჭდებოდა ადგილობრივი ნაციონალისტების წერილები, რომლებშიც ქურთები ერთიანობის და თვითგამორკვევის იდეებს ქადაგებდნენ. ისინი მოუწოდებდნენ მოსახლეობას გაერთიანებულ იყვნენ დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად.

ეურხალის ფურცლებზე ერთიანობის სასარგებლოდ გაშლილი აგიტაცია და მის მიერ აღძრული ეროვნული საკითხები ქურთი მოსახლეობის ყველა ფენაში დიდ ინტერესს იწვევდა (112, გვ. 18), მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ქურთული ნაციონალიზმის მიღწეები ჯერ კიდევ დიდი არ იყო, ქურთთა ლიდერები, რომლებიც ქურთული საზოგადოების განათლებულ მცირერიცხოვან ზედა ფენას წარმოადგენდნენ, ქურთთა საზოგადოების ძირითად კლასებთან მჭიდროდ დაკავშირებული არ იყვნენ. ისინი ძალზე შორს იდგნენ ხალხთა მასებისაგან და ამიტომაც მათმა პოლიტიკურმა და ნაციონალისტურმა ავტაციამ შესამჩნევი ზეგავლენა ვერ მოახდინეს მათზე ³.

ახალგაზრდა თურქთა გაღატაკების შემდეგ ქურთი ნაციონალისტები თავდაპირველად მხარს უჭერდნენ ახალ რეჟიმს, იმედავენდნენ, რომ იგი ქურთი ხალხის ეროვნულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. დასაწყისში თითქოს ქურთებს ეს იმედები გაუმართლდათ კიდევ. ახალგაზრდა თურქები, რომელთა პოზიცია პირველ ხანებში სავსებით მტკიცე არ იყო, ქურთებისა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკურ ორგანიზაციების მხარდაჭერას ეძებდნენ. ქურთებს ერთ-ერთი გავლენიანი ხელმძღვანელი შეიხ აბდულ კადირი თურქეთის სენატის თავმჯდომარედაც კი აირჩიეს. აბდულ კადირი მაშინ ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში ქურთთა ავტონომიის მომხრედ გამოდიოდა. მაგრამ მალე ახალგაზრდა თურქთა პოლიტიკა ოსმალეთის იმპერიის ეროვნულ უმცირესობათა მიმართ საკმაოდ უხემ შოვინიზმში გადაიზარდა. ქურთების პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა „ერთიანობისა და პროგრესის კომიტეტის“ მხარდაჭერა შეწყვიტეს. ქურთთა ლიდერებმა სხვა მოკავშირეების ძებნა დაიწყეს. ისინი სომეხ ნაციონალისტებს — დამნაჯებს დაუახლოვდნენ. ამათ ახალგაზრდა თურქები მეტად შეაშფოთა. 1909 წ. ზაფხულში აღმოსავლეთ ანატოლიაში „ერთიანობა და პროგრესის“ კომიტეტმა გააგზავნა თავისი ემისრები,

³ გაცილებით უფრო ნაყოფიერი გამოდგა ქურთ ნაციონალისტთა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ამის წყალობით ქურთულმა ლიტერატურამ წინ დიდი ნაბიჯი გადადგა — იგი თანდათან შეასაუკუნეობრივი რიტორიკისა და რელიგიურ-სუფისტური სქოლასტიკისაგან განთავისუფლდა. მის ნაცვლად ქურთული ლიტერატურა სოციალური და დემოკრატიული იდეებით გამდიდრდა, ხალხთა მასებისათვის უფრო მახლობელი და გასაგები გახდა.

რომელთაც დავალებული ჰქონდათ ჩამოეგდოთ შუღლი ქურთებსა და სომხებს შორის.

ამავე დროს უთანხმოებამ იჩინა თავი თვით ქურთ ლიდერებს შორისაც: ბოჰთანის ცნობილი ქურთული გვარის წარმომადგენელს ემინ ბადრ-ხანს მეორე გავლენიანი გვარის შამდინანის წარმომადგენელი შეიხ აბდულ კადირი დაუპირისპირდა. ორივე მათგანი პრეტენზიას აცხადებდა ანატოლიელ ქურთების ლიდერობაზე. თვითეული მათგანი ცდილობდა სახელი გაეტეხა მეორისათვის თურქეთის მთავრობის ოვალში. ისინი ერთმანეთს უსაყვედურებდნენ რუსეთთან ფარული მოლაპარაკების წარმოებას. ახალგაზრდა თურქთა მთავრობამ 1914 წ. ქურთული ორგანიზაციები დაითხოვა. ზოგიერთი მათი ხელმძღვანელი დააპატიმრა და ქურთული სკოლები დახურა. აქედან დაწყებული ქურთი ნაციონალისტები არალეგალურ მუშაობაზე გადადიან.

ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის შემდეგ აღმოსავლეთ ანატოლიასა და ირანში ქურთული კლუბები აღმოცენდნენ. ისინი დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში. ასეთი კლუბები გახსნილი იყო ბითლისში, მუშში, ერზურუმში, ბაღდადში, დიარბაქრში (173, გვ. 70). ზოგიერთი მათგანი რამდენიმე ათას კაცს აერთიანებდა. მაგალითად, ბითლისის კლუბში მისი დაარსებიდან ორი თვის შემდეგ 80 ათასი წევრი იმყოფებოდა. ეს ნახევრად სამხედრო ორგანიზაცია იყო, იგი აგზავნიდა თავის კომისრებს ბითლისის ოლქის სხვადასხვა მხარეში. ასეთი კლუბები იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგს, ზრუნავდნენ ქურთების შეიარაღებასა და სამხედრო სწავლებაზე. ამ პერიოდში თითქმის მთელ ბითლისის ვილაიეთში შეწყდა ძარცვა-გლეჯა. ეს კლუბები ფორმალურად „ერთიანობისა და პროგრესის“ კომიტეტის ფილიალებს წარმოადგენდნენ, მაგრამ სინამდვილეში ისინი მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობას ეწეოდნენ⁴.

ამ კლუბების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან დასაბამი მისცა ქურთების მიერ ორგანიზებული ბრძოლის დაწყებას. მიუხედავად ამისა, ქურთთა აჯანყებებს XX ს. დასაწყისში მაინც სტიქიური ხასიათი ჰქონდა და მათ ქურთი ფეოდალები მეთაურობდნენ. ქურთი ფეოდალები და შეიხები თავიანთი ინტერესებით ხალხის ინტერესებისაგან შორს იდგნენ, მათ არ ესმოდათ ხალხის ნამდვილი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი.

ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის დაწყებისთანავე ქურთების გამოსვლებიც დაიწყო. პირველად დერსიმელი ქურთები აღელდნენ.

⁴ როდესაც 1909 წ. აპრილში სტამბოლში კონტრრევოლუციური გადატრიალება მოხდა, ისინი მიესალმნენ მას და მის მხარის დასაქვრად აჯანყებასაც კი ამზადებდნენ, მაგრამ აბდულ ჰამიდ II-ის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ თურქეთის ხელისუფლებამ ქურთული კლუბები დახურა (101, გვ. 147).

1908 წ. სექტემბერში დერსიმის ხოზათის რაიონში ქურთთა მღელვარების ჩასახშობად 20-მდე დამსჯელი ბატალიონი გაიგზავნა. ოქტომბერში ჰამავენდის ტომის ქურთები აჯანყდნენ. ისინი დასახლებული იყვნენ ბალდასა და კირკუეს შორის. 1909 წ. დასაწყისში მღელვარება იწყება სულეიმანიეს ქურთებს შორის. ქურთების დასაშორებლად ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოიძახა შეიარაღებული ძალები მარდინიდან და დიარბაქრიდან. თურქეთის დამსჯელ ჯარებს მუჰამედ თაშა მეთაურობდა. თურქებმა მხოლოდ ძალთა დიდი დამბვის მეოხებით შეძლეს სულეიმანიეს ქურთების დაშორება. მაგრამ, მიუხედავად გამარჯვებისა, თურქები იძულებული იყვნენ წასულიყვნენ ზოგიერთ დათმობაზე აჯანყებულების მიმართ. კერძოდ სულეიმანიეს ნაიბის (ნაცვალის) თანამდებობაზე მათ დანიშნეს შეიხ მაარუფი. რეპრესიებით დევნილი თურქეთ-ირანის საზღვარზე მოსახლე ზოგიერთი ქურთული ტომი ჯვალაი, შექაქი და სხვა ირანში გადასახლდა. ბევრი მათგანი რუსეთის მფარველობას თხოულობდა.

ახალგაზრდა თურქების მთავრობის გადაწყვეტილებამ დაეშალათ ჰამიდის შენაერთები ქურთების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ქურთთა ბეგებმა ეს გადაწყვეტილება ისე მიიღეს, როგორც საკუთარი უფლებებისა და პრივილეგიების შეზღავნება. ურთიერთობა ჰამიდის პოლკებსა და რეგულარულ ჯარებს შორის დაიძაბა. ქურთი ტომები გადაქრით ეწინააღმდეგებოდნენ მთავრობის გადაწყვეტილებას ჩაერიცხათ ისინი ნიზამში (რეგულარული ჯარი). ჰამიდის შენარჩუნების მომხრეები სასაზღვრო ქურთული სამთავროს ოვაჯიკის მმართველის ქორ ჰუსეინ ფაშას გარშემო გაერთიანდნენ. 1909 წ. გაზაფხულზე ჰამიდის შენაერთების ნაწილობრივი განიარაღება დაიწყო. განაიარაღეს ზოგიერთი ყველაზე ურჩი აშირეთები. ქორ ჰუსეინ თაშა და მთელი რიგი სხვა ქურთი ბელადი დააპატიმრეს. მაგრამ ჰამიდის საყსებით გაუქმება ახალგაზრდა თურქებმა ვერ გაბედეს. რადგანაც ქურთების საყოველთაო აჯანყების ეშინოდათ. საბოლოო ჯამში ჰამიდის მხოლოდ სახელი შეუცვალეს და უწოდეს „მომთაბარეების მსუბუქი კავალერიის პოლკები“ — „აშირეთ ჰაფიფი სუვარი ალაიალარი“ (112, გვ. 11; 101, გვ. 152).

ამრიგად, ქურთების აჯანყება ახალგაზრდა თურქთა 1908-09 წწ. რევოლუციის პერიოდში მიმართული იყო თურქეთში გაშლილი ბურჟუაზიული რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. ეს მოძრაობა იმ დროისათვის პროგრესულ ხასიათს ატარებდა. მაგრამ ქურთთა აჯანყებები, რომლებსაც ნაციონალისტურად განწყობილი შეიხები და ბეგები მეთაურობდნენ, ობიექტურად ხელს უწყობდნენ საშინაო და საგარეო რეაქციას, რომელიც თურქეთში მომხდარი პროგრესული გარდაქმნების მოსპობით იყო დაინტერესებული.

1909 წ. აპრილში ახალგაზრდა თურქები უფრო მარჯვნივ გადაიხარნენ და ქვეყნის ფეოდალურ-კლერიკალურ ჯგუფებს კომპრობირებასა და იმპერიალისტებს დაუკავშირდნენ. აქედან მოყოლებული, ქურთთა მოძრაობა უკვე პროგრესულ ხასიათს ატარებდა. ამ პერიოდში ქურთთა აჯანყებანი ხელს უწყობდნენ არა დრომოკმეული რეჟიმის შენარჩუნებას, არამედ ძირმომპალი ოსმალური იმპერიის დაშლას და თურქთა ბატონობისაგან ყველა ჩაგრული ეროვნული უმცირესობის განთავისუფლებას.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ 1910 წ. თურქეთის ქურთისტანში ქურთების აჯანყებამ კვლავ იფეთქა. ამჯერად, შეიხ აბდ ას-სალიამ ბარზანის მეთაურობით ბარზანელი ქურთები გამოვიდნენ (210, გვ. 22). მალე აჯანყების ალმა მთელი ვილაიეთი მოიცვა და თურქებს მეტად გაუჭირდათ მისი ჩაქრობა. ამ პერიოდში გამათავისუფლებელი ბრძოლა ოსმალეთის იმპერიის არაბულ პროვინციებში მიმდინარეობდა. ახალგაზრდა თურქებს არაბებისა და ქურთების გაერთიანების მეტად ეშინოდათ. ქურთთა მთავარი ბელადების გადმობირების მიზნით ახალგაზრდა თურქეთის მთავრობის წევრები მოგზაურობდნენ აღმოსავლეთ ანატოლიაში. ქურთ ფეოდალებს უბრუნებდნენ იმ მიწებს, რომლებიც 1908 წ. რევოლუციის დასაწყისში მათ წაართვეს და სომხებს გადასცეს.

დაბრუნდნენ ის ქურთი ბეგები და აღები, რომლებიც ადრე ირანში გაიქცნენ. ქურთი ბეგები ართმევედნენ სომხებს არა მარტო „თავის“ მიწებს, არამედ იმასაც, რომელიც რევოლუციამდე სომხების მფლობელობაში იყო.

ამასთან ერთად, თურქეთის მმართველი წრეები არ ივარჯებდნენ იმას, რომ ქურთებზე საჭირო იყო მტკიცე კონტროლის დაწესება, ისინი არ ერიდებოდნენ რეპრესიებს იმ ტომების მიმართაც, რომლებიც მთავრობას ემორჩილებოდნენ.

ახალგაზრდა თურქთა მთავრობის პოლიტიკის პროტესტის ნიშნად ვანისა და ბითლისის ვილაიეტებში მოსახლე ბევრი ქურთული ტოპი ირანში გადასახლდა. ასე, რომ ახალგაზრდა თურქებმა ქურთების უკმაყოფილების ვერცერთი მიზეზი ვერ აღმოფხვრეს. ამიტომაც ქურთთა საკითხი, მიუხედავად ახალგაზრდა თურქთა მთავრობის ყოველგვარი ცდისა, თურქეთში კვლავინდებურად გადაუჭრელი დარჩა.

თავი IV. ქურთები პირველი მსოფლიო ომის წლებში

ქურთები ომის წინ

პირველი მსოფლიო ომის წინ პოლიტიკური კრიზისი თურქეთში კიდევ უფრო გამწვავდა. პოლიტიკური ვითარების გამწვავება დაკავ-

შირებული იყო თურქეთის სამხედრო წარუმატებლობასთან აფრიკა-სა და ბალკანეთში.

1911 წ. სექტემბერში თურქეთი იტალიასთან ომში ჩაება. ევროპის იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა თურქეთს ზურგი შეაქციეს და იტალიას მხარი დაუჭირეს. თურქეთი ამ ომისათვის მოუწინაღებელი აღმოჩნდა და დამარცხდა. ამ მარცხის შედეგად თურქეთმა დაკარგა თავისი სამფლობელოები ჩრდილოეთ აფრიკაში — ტრაპოლიტანია და კირენაიკა. თურქეთის ომი ბალკანეთის ქვეყნებთან (ბულგარეთი, საბერძნეთი, სერბია და ჩერნოგორია) ასევე წარუმატებლად მიმდინარეობდა. თურქეთი აქაც სამარცხინოდ დამარცხდა¹. ამ ორმა დიდმა სამხედრო მარცხმა 1912 წ. ივლისში თურქეთში სახელმწიფო გადატრიალება გამოიწვია. ხელისუფლების სათავეში პროგრესულად განწყობილი „თავისუფლება და თანხმობის“ („პიურეთ ვე ითილიაფ“) პარტიის წარმომადგენლები მოვიდნენ. ეს პარტია თავის გარშემო ახალგაზრდა თურქთა რეჟიმით უქმაცოფილო ელემენტებს აერთიანებდა. მაგრამ ამ პარტიის მმართველობა დიდ ხანს არ გაგრძელდა. მისმა მმართველობამ არ შეამსუბუქა ოსმალეთის იმპერიის მიძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობა.

როდესაც 1912 წ. ზაფხულში ახალგაზრდა თურქები დროებით სახელმწიფო მმართველობას ჩამოაშორეს, ქურთი გვაროვნული—ტომობრივი დიდკაცობის ერთი ნაწილი „თავისუფლებისა და თანხმობის“ მმართველ პარტიას მიემხრო. მაგრამ დრმა საშინაო და საგარეო კრიზისი, რომლითაც მოცული იყო ოსმალეთის იმპერია, ახალი რეჟიმის დამყარების შემდგომაც გრძელდებოდა. ეს ყველაფერი გარკვეულ გამოძახილს პოულობდა ქურთებით დასახლებულ ვილაიეთებში. დასაწყისში ითთილიაფისტები შეეცადნენ ქურთებთან კარგი ურთიერთობა დაემყარებინათ და ისინი თავიანთ მხარეზე გადმოებირებინათ. მათ შექმნეს ქურთული ლიგა, რომელშიც 1700 კაცი ვაერთიანდა (174, გვ. 51).

ქურთ ბეგებსა და შეიხებს კაიმაკამებისა და მუღირების თანამდებობის მიცემას პირდებოდნენ, მათ სომხების წინააღმდეგ აქეზებდნენ და ა. შ. მაგრამ ახალი რეჟიმის მესვეურებმა ვერ შეძლეს ქურთების გადაბირება. ქურთთა ლტოლვა თურქთა უღლისაგან განთავისუფლე-

¹ 1911—1912 წწ. თურქეთის დამარცხებას ქურთები სიხარულით შეხვდნენ. ომის მსვლელობაში ქურთებმა არავითარი დახმარება არ აღმოუჩინეს თურქეთის მთავრობას. ქურთებმა არა მარტო ომში მონაწილეობაზე, არამედ შეწირულების შეგროვებაზე უარი განაცხადეს. თურქეთის მთავრობისათვის ქურთების პარტიკულარიზმი სულ უფრო ცხადი ხდებოდა. ქურთებს ამ დროისათვის მუსლიმური პატრიოტიზმის არავითარი ნატამალი არ შერჩათ. ისინი სულ უფრო აძლიერებდნენ ბრძოლას ახალგაზრდა თურქთა რეჟიმის წინააღმდეგ.

ბისაკენ კიდევ უფრო გაიზარდა. გავლენიან ქურთ დიდებულებს შორის სულ უფრო გაძლიერდა პრორუსული ორიენტაცია. ქურთები რუსეთზე სულ უფრო დიდ იმედებს ამყარებენ. რუსეთის დახმარებით² ისინი თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლებას იმედოვნებდნენ.

ამ დროს ბადრ-ხანის შვილები ჰუსეინი და ჰასანი რუსეთისადმი ვასალური ქურთული სამთავროს (ბელიციის) შექმნაზე ოცნებობდნენ. თურქეთში შეიქმნა ფარული კომიტეტი ქურთების საყოველთაო აჯანყების მოსაწყობად. ამ აჯანყებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ერზურუმის, ბითლისის, ბაიაზეთისა და მუშის ოლქებში მცხოვრებ 70 ათას ქურთს. ამ კომიტეტს თავისი ფილიალები ჰქონდა, დიარბაქრში, ურფასა და სხვა ქურთულ ცენტრებში. მაგრამ ამ აჯანყების დაწყება ვერ მოხერხდა. იგი ჩაიშალა ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, რუსეთმა უარი თქვა მხარი დაეჭირა ქურთ დიდებულების მიერ შედგენილი გეგმების განხორციელებისათვის და მეორეც, თვით ქურთ ტომის ბელადებსა და შეიხებს შორის აზრთა ერთიანობა ჯერ კიდევ მიღწეული არ იყო.

მას შემდეგ, რაც ითთილიაფისტებმა თავი ვერ გაართვეს ქვეყანაში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ და რთულ პოლიტიკურ ვითარებას, 1913 წლის 23 იანვარს თურქეთში ახალი სახელმწიფო გადატრიალება მოხდა და ხელისუფლების სათავეში კვლავ ახალგაზრდა თურქები მოექცნენ. ითთიპადისტების დაბრუნებამ საქმე მაინც ვერ გამოასწორა. მორიგმა გადატრიალებამ ქურთების მღვდმარეობა ვერ შეამსუბუქა. ახლად დამყარებულმა ტრიუმვირატის (ენვერ-თალათ—ჯემალ) დიქტატურამ თავის იდეოლოგიად რასისტული პანთურქისტული მოძღვრება გაიხადა და აღვირახსნილი შოვინიზმის პოლიტიკის გატარება დაიწყო არათურქული მოსახლეობის მიმართ. თურქიზმი მიზნად ისახავდა მთლიანად თურქული სახელმწიფოს შექმნას და არათურქი ხალხების ძალით გათურქებას (112, გვ. 11). ამან ქურთი მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ქურთების მისწრაფება ავტონომიისაკენ უფრო გაიზარდა. გავლენიანი ქურთი ლიდერების აბდ არ-რეზაკისა და შეიხ თაჰას მომხრეები ანტითურქულ აგიტაციას ეწეოდნენ მთელ ქურთისტანში. ერთდროულად ისინი სომხებთან კარგი ურთიერთობის დამყარებას ცდილობდნენ.

ქურთ ლიდერებს შორის არსებული ქიშპობა ქურთების გაერთიანებას კვლავინდებურად ხელს უშლიდა. განსაკუთრებით დიდი მე-

² ამ დროს რუსეთის მფარველობას ეძებდნენ არა მარტო ანატოლიაში მცხოვრები ქურთი ბელადები, არამედ ერაყის ქურთისტანში დასახლებული ბარზანელი ქურთებიც. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ითთილიაფისტების ბატონობის დროს მრავალი ქურთი დიდებული რუსეთზე დაყრდნობით აქტიურად ემზადებოდა ანტითურქული აჯანყებისათვის.

ტოქეობა შეინიშნებოდა აბდ არ-რეზაკსა და ჰაიდერანლის აშირეთის მეთაურის ქორ ჰუსეინ ფაშას შორის, აბდურ რეზაკსა და მისი ბიძაშვილის ჰასან ბეის შორის. ერთმანეთთან მტრულად განწყობილი იყვნენ აგრეთვე შეიხ ობეიდულას შვილი აბდულ კადირი და მისა ძმისშვილი შეიხ თაჰა.

თურქეთის ხელისუფლება ცდილობდა ლიდერებს შორის არსებული უთანხმოება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. იგი აქებებდა მათ ერთმანეთის წინააღმდეგ, მაგრამ საწაღელს მაინც ვერ მიაღწია. ანტითურქული განწყობილება ქურთისტანში სულ უფრო იზრდებოდა. მალე ჩრდილოეთ და სამხრეთ ქურთისტანში აშკარა შეიარაღებული გამოსვლები დაიწყო.³

ქურთების განუწყვეტელმა ანტითურქულმა გამოსვლებმა პირველი მსოფლიო ომის წინ საგრძნობლად შეასუსტეს ახალგაზრდა თურქთა ხელისუფლების გავლენა და პოზიციები ქურთებით დასახლებულ ტერიტორიაზე.

მას შემდეგ, რაც მეორე ბალკანეთის ომი დამთავრდა, თურქეთის მთავრობამ ქურთები ახალი გადასახადებით დაბეგრა. გაიზარდა არა მარტო სულადობრივი გადასახადი, არამედ გადასახადი ხორბალზე და საქონელზე. გარდა ამისა ქურთებზე გაავრცელეს კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულებების შესახებ და აიძულეს ისინი ემსახურათ რეგულარულ ჯარებში. ამ გადაწყვეტილებებმა ქურთების უკმაყოფილების ახალი აფეთქება გამოიწვია. 1913 წლის მეორე ნახევარსა და განსაკუთრებით 1914 წ. პირველ თვეებში ქურთისტანი კვლავ ანტითურქულმა აჯანყებებმა მოიცვა.

ქურთების მოძრაობის ახალმა აღმავლობამ ქურთ ნაციონალისტების საქმიანობა გამოაცოცხლა. ბევრ ადგილას ქურთების კლუბები და საზოგადოებები კვლავ აღმოცენდა. მათ შორის ყველაზე დიდი გავლენით „ქურთისტანის საზოგადოება“ („კომალაი ქორდესტან“) სარგებლობდა. ეს საზოგადოება ქურთულ პრესის ფურცლებზე ძირითადად პოლიტიკურ აგიტაციას ეწეოდა.

ქურთი ნაციონალისტები ქურთისტანისათვის მოითხოვდნენ ადმინისტრაციულ ავტონომიას, გადასახადების შემცირებას და მათი აკრფის სისტემის მოწესრიგებას; ქურთული ეროვნული არმიის ჩამოყალიბებას ქურთისტანის საზღვრების დასაცავად; ადგილობრივი ქურთული ადმინისტრაციის შექმნას; ისეთი სკოლების დაარსე-

³ 1913 წ. აპრილში ბადრ-ხანის შთამომავლებმა მოაწყეს აჯანყება ჯენიურეა და მილიათში. ერთი თვით ადრე მოსულის ვილაიეთში მცხოვრები ქურთები აჯანყდნენ. თურქებმა ამ აჯანყებების ჩახშობა მხოლოდ ძალთა დიდი დამბების შედეგად შეძლეს. ქურთ დიდებულებსა და ტომის ბელადებს შორის ერთიანობა რომ ყოფილიყო ეს გამოსვლები ქურთების საყოველთაო აჯანყებაში გადაიზრდებოდა.

ზას. სადაც სწავლა ქურთულ ენაზე იქნებოდა; ქურთების დაწინა-
ურგებას ოფიცრებისა და სამოქალაქო მოხელეების თანამდებობაზე
(184, გვ. 182).

მაგრამ ქურთთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში მა-
ინც შეინიშნებოდა პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაქსაქსულობა,
საერთო და ნათელი მიზნის უქონლობა: ერთი ორიენტაციას იღებ-
დნენ რუსეთზე, მეორენი იმედს ამყარებდნენ ინგლისზე, მესამენი
კი ახალგაზრდა თურქებზე.

ომის წინა თვეები ქურთების მასობრივი შეიარაღებული გამოსვ-
ლებით აღინიშნა. 1914 წ. ბითლისის რაიონის ქურთები აჯანყდნენ.
ამ აჯანყებას აბდ არ-რეზაყი, იუსუფ ქამილი და სხვა ქურთი ლიდე-
რები სამი წლის მანძილზე ამზადებდნენ. მოხდა ისე, რომ აჯანყების
ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი მოლა სელიმი აჯანყების დაწყე-
ბამდე ერთი თვით ადრე დააპატიმრეს. მიუხედავად ამისა ბითლი-
სელმა ქურთებმა მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენეს ადგი-
ლობრივი თურქული ადმინისტრაცია. აჯანყებულებმა დაიკავეს ქ. ბით-
ლისი, მაგრამ მათ ვერ განამტკიცეს წარმატება. 1914 წ. 3 აპრილს
ბითლისს თურქეთის მთავრობის მსხვილი სამხედრო შენაერთები მო-
ადგა და ქურთები აიძულეს დაეტოვებინათ ქალაქი. აჯანყება ჩააქ-
რეს, ხოლო მის მონაწილეებსა და ხელმძღვანელებს სასტიკად გა-
უსწორდნენ. ამ ამბავმა მთელი ჩრდილოეთ ქურთისტანი შესძრა.
ბევრ რაიონში ქურთები აღარ ემორჩილებოდნენ თურქულ ადმინის-
ტრაციას, უარს ამბობდნენ გადასახადების გადახდაზე და ა. შ.

ბითლისელი ქურთების აჯანყებამ დიდი გამოძახილი ჰპოვა აგ-
რეთზეც ერაყის ქურთისტანშიც. აქ ქურთების მოძრაობას შეიხ მაჰმუდ
ბარზინჯა და შეიხ აბდულ სალიამ ბარზანი ედგნენ სათავეში. გადასა-
ხადების 25%-ით გადიდება აჯანყების უშუალო საბაბი გახდა. ამ
აჯანყებამ მთელი მოსულის ვილაიეთი და ბაღდადის ოლქის მნიშე-
ნელოვანი ნაწილი მოიცვა. ბარზანის ტომის ქურთებს მხარი აუბნეს
ჰამაენდის, ჯაფის, დიზაის და სხვა ტომის ქურთებმა. აჯანყებულებმა
დახმარებისათვის რუსეთს მიმართეს, მაგრამ მეფის რუსეთმა უარი
განაცხადა მხარდაჭერაზე. ერაყის ქურთისტანში 1914 წ. მარტში
აჯანყება დაიწყო და 19 ივნისამდე გაგრძელდა. საბოლოოდ ქურთე-
ბის ეს აჯანყებაც თურქებმა სასტიკად ჩაახშეს.

ამ ორმა დიდმა აჯანყებამ ახალგაზრდა თურქთა მთავრობა სერიო-
ზულად ჩააფიქრა. თურქეთის მმართველმა წრეებმა გადაწყვიტეს გა-
მოენახათ საერთო ენა ქურთულ ზედა ფენასთან.

ახალგაზრდა თურქთა მთავრობის კომპრომისი ქურთ ლიდებულთა
თანამდებობაზე დაწინაურებას, დეპუტატებად და სენატორებად მათ
არჩევას, მათთვის სუბსიდიების გაცემას ითვალისწინებდა.

მაგრამ ქურთთა ზედა ფენის მოსყიდვის ამ ახალმა ცდამ, ისევე როგორც აჯანყებულ ქურთებთან სასტიკმა გასწორებამ, სასურველი შედეგები ვერ გამოიღო. თურქეთის მთავრობის რეპრესიებმა კიდევ უფრო გაამძინებარა ქურთი ხალხი, ხოლო დაპირებებსა და საჩუქრებს ქურთი შეიხებისა და ბეგებისათვის უწინდებურად მიმზიდველი ძალა აღარა ჰქონდათ.

1914 წლის ზაფხულის დასაწყისში თურქეთის მსოფლიო ომში ჩაბმამდე ჩრდილოეთ ქურთისტანში ქურთები პარტიზანულ ომს აწარმოებდნენ და თურქეთის მთავრობის ჯარებსა და ადგილობრივ აღმინისტრაციას დიდი ზარალი მიაყენეს. გარზანის ყაზაში ერთ-ერთ ასეთ რაზმს ბეშარ ჩატო მეთაურობდა (101, გვ. 220). ქურთები არა ცნობდნენ ხელისუფლებას, არ იხდიდნენ გადასახადებს, უარს ამბობდნენ დასწრებოდნენ სამხედრო შეკრებებს. ახალგაზრდა თურქთა ერთ-ერთი ლიდერის, თურქეთის მთავრობის მაშინდელი სამხედრო მინისტრის ენვერ ფაშას დავალებით III სამხედრო ოლქის სარდალი იზეთ ფაშა ქურთ ტომის ბელადებსა და ბეგებს ასაჩუქრებდა ფულით, ურიგებდა თანამდებობებსა და ჩინ-მედლებს იმ მიზნით, რომ მათ მოეყვანათ პოლკები ერზურუმში საწვრთნელ მეცადინეობაზე. მაგრამ ამ ზომებმა ვერ გასჭრეს. ქურთები უგულვებელყოფდნენ თურქი სარდლის წინადადებებს.

ომის დაწყებისთანავე 1914 წლის აგვისტოში, ქურთებით დასახლებულ ზოგიერთ ვილაიეთში, მაგალითად, ვანის ვილაიეთში, ქურთული კომიტეტი აღმოცენდა. იგი თვითგამორკვევის იდეების პროპაგანდას ეწეოდა ქურთებს შორის და მოუწოდებდა მათ გამოსულიყვნენ რუსეთის მხარეზე, თუ კი თურქეთი გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ბლოკში აღმოჩნდებოდა.

მსგავსი ვითარება სუფევდა სამხრეთ ქურთისტანშიც. მართალია, ბარზანის აჯანყება ჩაახშეს, მაგრამ ქურთი ბეგებისა და შეიხების ავტორიტეტის შელახვა ვერ მოახერხეს. ერაყის ქურთისტანში დასახლებულ ქურთებში ეროვნული თვითშეგნების პროცესი გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობდა⁴, ვიდრე მის რომელიმე სხვა ნაწილში. ქ. სულეიმანიე თანდათან ქურთული ნაციონალიზმის ცენტრი ხდებოდა.

მსოფლიო ომის დაწყებამ თურქეთსა და ერაყში მცხოვრებ ქურთებს თურქთა უღლისაგან განთავისუფლების იმედი ჩაუსახა.

მსოფლიო ომის დაწყების წინა წლებში ქურთების ეროვნულ-

⁴ ქურთებს შორის თვითგამორკვევის ყველაზე უფრო თვალსაჩინო აგიტაციას ქურნალი „პატავი-ქურდ“-ი ეწეოდა. ეს ქურნალი სტამბოლში გამოდიოდა და მას ბევრი მკითხველი ჰყავდა სულეიმანიეში (112, გვ. 18). ამავე ქალაქში მრავალი ანტი-თურქული პროკლამაცია და ფურცელი იბეჭდებოდა.

გამათავისუფლებელი მოძრაობა უფრო მომწიფებული გამოიყურებოდა, მას ნაციონალური იდეები ასულდგმულებდა.

რუსეთის გავლენა კიდევ უფრო დიდი იყო აღმოსავლეთ ანუ ირანის ქურთისტანში. ირანის ქურთისტანში ოსმალეთის მთავრობასაც თავისი ინტერესები გააჩნდა.

თურქებს სურდათ ქურთებზე დაყრდნობით ჩრდილო-დასავლეთ ირანში ანტირუსული პლაცდარმი შეექმნათ. თურქეთის მთავრობა თავისი აგენტების მეშვეობით ქურთების თვალში რუსეთის დისკრედიტირებას ცდილობდა. ყველაზე აქტიურად თურქი აგენტები მოქმედებდნენ მაქუს რაიონში, რომელიც სტრატეგიული თვალსაზრისით ჩრდილო დასავლეთ ირანის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. თურქი ემისრები პანისლამისტურ იდეებზე დაყრდნობით ცდილობდნენ გაედვიძებინათ მტრობა ქურთებში რუსეთის მიმართ, წაექეზებინათ ქურთი ტომები რუსეთის ჯარების წინააღმდეგ. ზოგიერთი ტომი (ჯელალი, მილიანი), რომელიც წამოეგო თურქულ აგიტაციას, გამოვიდა რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ ირანში მცხოვრები ქურთების უმრავლესობამ მაინც რუსეთის მიმართ ლოიალობა შეინარჩუნა. როდესაც თურქებმა ნახეს, რომ შიშველი აგიტაციით თავიანთ მიზანს ვერ მიადწევდნენ, მათ მიმართეს უკანასკნელ ხერხს — ძალადობას. თურქებმა გადაწყვიტეს ქურთები დაეშინებინათ და აეძულებინათ ისინი თურქეთის ინტერესებისათვის ემსახურათ. ამ მიზნით თურქეთის სარდლობამ ზოგიერთი ურჩი ქურთი ტომის წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიცია მოაწყო ⁵.

ერთდროულად თურქები ცდილობდნენ ადგილობრივ ქურთების თვალში დაეკნინებინათ მათი წინამძღოლები — მაქუს სახანოს სერდარი მურთაზა ყული-ხანი და კოტურის ფაქტიური მმართველი ისმაილ ალა სიმკო, რომლებიც რუსეთთან კარგად იყვნენ განწყობილი. 1912 წ. ზაფხულში თურქებმა შექაქის და სალმასის ქურთები ააწიოკეს. ასეთი დამსჯელი ექსპედიციები ირანელი ქურთების წინააღმდეგ 1912 წ. შემოდგომაზეც მოეწყო. მას შემდეგ, რაც თურქეთი ბალკანეთის პირველ ომში ჩაება, თურქ დამპყრობლებს ძალა აღარ შესწევდათ, რომ მორჩილებაში ჰყოლოდათ ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობა. 1912 წ. ნოემბრის შუა რიცხვებში თურქეთის მთავრობამ ირანის სასაზღვრო რაიონებიდან თავისი ჯარების გაყვანა დაიწყო. უკან დახეულ თურქებს ირანელი ქურთები ხშირად თავს ესხმოდნენ და სამაგიეროს უხდიდნენ. ამრიგად, პირველი მსოფლიო ომის წინ თურქეთის მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმა — გავერთიანე-

⁵ მაგალითად, 1911 და 1912 წწ. თურქები შესაბამისად თავს დაესხნენ მაქუსა და კოტურის სახანოს ქურთულ სოფლებს.

ბინა მთელი ქურთისტანი ოსმალეთის იმპერიის დროშის ქვეშ—ჩაიფუშა. თურქეთის მმართველმა წრეებმა ამ გეგმის განხორციელება მომავლისათვის გადადეს, თუმცა ისინი მაინც განაგრძობდნენ მეზობელი ირანის საქმეებში ჩარევას. ამით თურქეთი ამზადებდა ნიადაგს იმისათვის, რომ განეახლებინა აგრესია ირანის ქურთისტანში.

თურქეთის მოკავშირე მის ექსპანსიონისტურ ზრახვებში გერმანია იყო. გერმანიის მილიტარისტულ წრეებს კარგად ჰქონდათ შეგნებული ქურთისტანის პლაცდარმის სტრატეგიული მნიშვნელობა რუსეთთან ომის შემთხვევაში. ამიტომ ისინი ხალისით უჭერდნენ მხარს იმ პოლიტიკას, რომელსაც თურქეთის მმართველი წრეები ატარებდნენ აღმოსავლეთ ქურთისტანში. მაგრამ გერმანელებს თავიანთი საკუთარი ანგარებითი მიზნებიც ამოძრავებდათ. უკვე დიდი ხანი იყო, რაც გერმანიის იმპერიალიზმი ქურთისტანისაკენ მიისწრაფოდა. გერმანელთა აზრით, ქურთისტანის ხელში ჩაგდება ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიდა მათ ინგლისის კოლონიების დასაპყრობად ცენტრალურ აზიაში.

ამიტომაც გერმანელებმა აქტიური მოღვაწეობა გააჩაღეს ქურთისტანში. ისარგებლეს რა თურქეთის ჯარების ყოფნით აღმოსავლეთ ქურთისტანში, გერმანელებმა გააგზავნეს თავიანთი მხვერავები შექმნილი მდგომარეობის შესასწავლად. გერმანიის გენერალური შტაბის ოფიცრებმა ფონ ვესტარნმა და ერნს ლანგემ 1912 წ. ზაფხულში იმოგზაურეს ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ქურთისტანში. მას შემდეგაც კი, როდესაც თურქებმა ირანის ქურთისტანის ტერიტორია დატოვეს, გერმანელებს თავიანთი აქტივობა ქურთისტანის ამ ნაწილში არ შეუსუსტებიათ, პირიქით, კიდევ უფრო გაზარდეს (15, საქ. 366, ფურ. 114—115).

გერმანელებს სურდათ გაეხსნათ თავიანთი საკონსულო ირანის ქურთისტანშიც. გერმანელი წარმომადგენელი შიუნემანი თავრიზში მყოფ ავსტრიის ვიცე-კონსულთან ერთად ცდილობდა ქურთი დიდებულების გადაბირებას⁶. რაც უფრო ახლოვდებოდა მსოფლიო ომი, გერმანელთა ვიზიტები მით უფრო მატულობდა. 1914 წ. გაზაფხულზე გერმანელმა გენერალური შტაბის ოფიცრებმა მოინახულეს ურმიის რაიონის მრავალი ადგილი და სამხედრო ობიექტების ფოტოგრაფირება მიახდინეს. გერმანელებს განსაკუთრებით აინტერესებდათ რუსეთის სამხედრო-ეკონომიკური პოზიციები ჩრდილო-დასავლეთ ირანში. მეორე პუნქტი, რომლითაც გერმანელები დაინტერესდნენ, უშნუე იყო. გერმანიის გავლენის გავრცელებაში გერმანულ პროტესტანტულ მისიებს გარკვეული წვლილი შეჰქონდათ.

⁶ ისინი დაუკავშირდნენ შეიხ აბდულ კადირის შვილებს — შეიხ აბდულას და შეიხ მუჰამედს, სთავაზობდნენ მათ გერმანიის მფარველობას და ა. შ.

ამრიგად, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ქურთთა საკითხში თურქეთი გერმანიის ერთგულ მოკავშირედ იქცა. გერმანიისა და თურქეთის ძირგამომთხრელმა საქმიანობამ ამ პერიოდში მეტად დიდი გაქანება მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ ქურთისტანში არც ერთ ქვეყანას თავისი სამხედრო ნაწილი არა ჰყავდა, თავიანთი აგენტებისა და მზვერავების მეშვეობით მათ შეძლეს ადგილობრივი ქურთების ერთი ნაწილის გადაბირება და რუსეთის პოზიციების შესუსტება ჩრდ. დასავლეთ ირანში პირველი მსოფლიო ომის წინ.

გერმანიის მისწრაფება, განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა ირანის ქურთისტანში, რომელიც რუსეთის იმპერიის სასიცოცხლო ცენტრებთან ძალზე ახლო იმყოფებოდა, მეფის მთავრობის კანონიერ შემფოთებას იწვევდა.

ქურთების დახმარებით რუსეთი ცდილობდა ირანში თურქეთიდან შემოჭრილი ქურთები გაეძეებინა. რუსეთის მიერ თავისი ჯარების შეყვანამ ხოისა და ურმიაში, გარკვეულად ძირი გამოუთხარა თურქების გავლენას ჩრდილო აღმოსავლეთ ქურთისტანში. თურქებს ისღა დარჩათ, რომ ქურთები რუსების წინააღმდეგ წაექეზებინათ. ისინი მოუწოდებდნენ მათ ბელადებს თავს დასხმოდნენ რუსებს. ასეთი თავდასხმები 1912 წლის ზაფხულში რამდენჯერმე იქნა პროვოცირებული⁷.

თურქი აგენტები განსაკუთრებით აქტივობდნენ აღმოსავლეთ ქურთისტანის ცენტრალურ ნაწილში, სადაც მუქრის ტომის ქურთები ცხოვრობდნენ.

მას შემდეგ, რაც თურქებმა თავიანთი ჯარები ირანიდან გაიყვანეს, რუსეთს ხელ-ფეხი გაეხსნა. რუსეთის წარმომადგენლები შაჰის მთავრობას ეხმარებოდნენ ქურთებს შორის თავისი ხელისუფლების გავლენის აღდგენაში. რუსებს სჯეროდათ, რომ რაც უფრო მტკიცე იქნებოდა ირანის მთავრობის ავტორიტეტი ქურთისტანში, მით უფრო მყარი იქნებოდა რუსეთის პოზიციებიც. მაგრამ ამავე დროს რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლები ირანში, მათ შორის ვ. მინორსკიც, ირანის ქურთისტანში შაჰის ადმინისტრაციის საქმიანობაზე მტკიცე კონტროლის დაწესებას მოითხოვდნენ.

რუსეთის წარმომადგენლებმა უშუალო კონტაქტი დაამყარეს ქურთთა გავლენიან პირებთან იმ მიზნით, რომ მათ ბრმა იარაღის როლი არ ეთამაშათ თურქების პანისლამისტურ პროპაგანდაში.

⁷ თურქების მიერ პროვოცირებული ქურთების თავდასხმები რუსეთის ჯარებზე, გარკვეულ სიძნელეებს უქმნიდნენ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ირანში. მაგრამ რუსეთი მაშინ თავს იკავებდა გადამჭრელი ზომების მიღებისაგან, რადგანაც ერიდებოდა აშკარა კონფლიქტის დაწყებას თურქეთთან.

ისეთი გავლენიანი ქურთი ბელადები, როგორც შეიხ აბდ არ-რე-ზაკი და შეიხ თაჰა იყვნენ, რუსეთის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი ნდობა რუსეთის მთავრობაში კოტურის მმართველმა ისმაილ ალა სიმკომ მოიპოვა⁸. რუსეთის საგარეო საქმე-თა სამინისტროს მესვეურები მის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღე-ბას იჩენდნენ. მათი მოწვევით სიმკო 1912 წ. ბოლოს თბილისში ჩამო-ვიდა. აქ კავკასიის მთავარმართებელმა ვორონცოვ-დაშკოვმა მას დი-დი მიღება მოუწყო. სიმკო რუსეთის ორდენით დააჯილდოვეს და კო-ტურის ქურთულ სასაზღვრო რაზმის მეთაურად დანიშნეს. ეს რაზმი მთლიანად რუსეთის ხაზინის ხარჯზე იმყოფებოდა, იმ დიდმა პატივმა, რომელიც რუსებმა სიმკოს დასდეს, მათ მიმართ ქურთული ტომის ბე-ლადების სიმპათიები გამოიწვია. თურქეთის მთავრობა გაფაციცებით თვალს ადევნებდა რუსეთის მოქმედებას. იგი მეტად უკმაყოფილო იყო იმ მიღებით, რომელიც მოუწყეს სიმკოს თბილისში (101, გვ. 276—277).

1912 წ. მარტში თურქეთსა და ირანს შორის საზღვრების მოწეს-რიგების მიზნით სტამბოლში მუშაობა დაიწყო საზღვრების დამაზუს-ტებელმა კომისიამ, მაგრამ თურქეთის მთავრობა ყოველმხრივ ხელს უშლიდა მის მუშაობას და ცდილობდა გაეჭიანურებინა საკითხის სა-ბოლოო გადაჭრა. ამიტომ სასაზღვრო კომისია ხშირად წყვეტდა თა-ვის საქმიანობას.

1914 წლის იანვარში კომისიამ შეატელ არაბთან მუშაობა განაახლა და ოქტომბერში თავისი საქმიანობა არარატის მთასთან დაამთავრა. საბოლოო ჯამში დემარკირებული იყო 1900 კმ. სიგრძის სასაზღვრო ზოლი, მაგრამ კომისიის მიერ ჩატარებული ეს შრომატევადი სამუშაო მთლიანად წყალში ჩაიყარა, რადგანაც სწორედ ოქტომბრის ბოლოს გერმანია-თურქეთის გაერთიანებული ფლოტი თავს დაესხა რუ-სეთს და ომი დაიწყო.

ასე, რომ ირან-თურქეთის დავა საზღვრების თაობაზე, რომელიც თითქმის ოთხ საუკუნეს გრძელდებოდა, საბოლოოდ ამჟერადაც არ იქნა მოგვარებული

1 საომარი მოქმედება ქურთისტანში

ევროპაში საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ თურქეთში ნა-წილობრივი მობილიზაცია გამოცხადდა. ეს პირველ რიგში ჰამიდიეს

⁸ შემდგომში, როდესაც სასაზღვრო კომისიის მუშაობა დაიწყო და ცხადი შეიქნა, რომ თურქეთის მიერ მიტაცებული ქურთული ტერიტორიები (თერგივარი, დუშთი, მერგივარი) კვლავ ირანის მთავრობის კონტროლს დაუბრუნდებოდა, რუსეთის მთავრობამ ზურგი შეაქცია აბდ არ-რეზაკსაც, შეიხ თაჰასაც და სიმკოსაც.

ეხებოდა. ერზურუმის ვილაიეთში ქურთულ ტომებსა და ჰამიდიეს შენაერთებს რუსეთთან გამავალი საზღვრის დაცვა დაავალეს.

გერმანიის კონსულმა ერზურუმში ანდერსმა ახალგაზრდა თურქთა ემისრების თანხლებით რუსეთის წინააღმდეგ აღმოსავლეთ ანატოლიის ქურთების წაქეზება დაიწყო. იგივე ანდერსი, რომელიც ფარულად გადავიდა საზღვარს, ცდილობდა მეფის მთავრობის წინააღმდეგ ამიერკავკასიელი ქურთებიც აემხედრებინა.

1914 წ. 11 ნოემბერს სულთანმა მეჰმედ V-მ გამოაცხადა ჯიჰადი ანტანტის წინააღმდეგ. კავკასიის ფრონტს თურქეთის მმართველი წრეების სამხედრო გეგმებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. თურქები სწორედ აქ ფიქრობდნენ მიეღწიათ გადამწყვეტი გამარჯვებებისათვის, რომლებიც მათ ამიერკავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიის, ვოლგისპირეთის, ყირიმის და თურქესტანის დასაპყრობად გზას გაუხსნიდნენ.

ამ გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში ქურთებს დიდი როლი ენიჭებოდათ. ქურთების აქტიურ მხარდაჭერაზე ბევრად იყო ღამოკიდებული თურქეთის არმიის ზურგის სიმტკიცე კავკასიის ფრონტზე რუსეთის წინააღმდეგ და მესოპოტამიის ფრონტზე ინგლისის წინააღმდეგ. ამავე დროს თურქები ფიქრობდნენ, რომ ხელსაყრელი მომენტი დადგა იმისათვის, რომ ყველა ქურთი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შეეყვანათ. ეს მიზნები გერმანელი იმპერიალისტების ინტერესებსაც ემთხვეოდა, რადგანაც თურქეთი ამ დროს გერმანიის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, გერმანიის იმპერიალიზმში თურქეთის საშუალებით ახლო აღმოსავლეთში გაბატონებას ცდილობდა.

საომარი მოქმედების დაწყებისთანავე კავკასიის ფრონტზე თურქეთმა რამდენჯერმე მწარე დამარცხება იწვნია.

უკვე 1915 წლისათვის რუსეთის უპირატესობა აქ აშკარა გახდა თურქეთის მმართველი წრეებისა და მათი გერმანელი მფარველების ინტერესებისათვის ქურთებს სისხლის დაღვრა არ სურდათ. დეზერტირობამ ქურთების სამხედრო შენაერთებში მასობრივი ხასიათი მიიღო⁹. თურქეთის სარდლობა სულ უფრო უნდობლობას იჩენდა ქურთების მიმართ და გადახალისების მიზნით დაიწყო თანდათან მათი გაყვანა ფრონტის ხაზიდან. მოკლედ, ჯიჰადის გამოცხადებამ ქურთებში პატრიოტული აღტიენება ვერ გამოიწვია. უფრო მეტიც, იყო შემთხვევები, როდესაც ქურთების მთელი შენაერთი რუსეთის მხარეზე გადადიოდა. ანტითურქული განწყობა დაეუფლა არა მარტო ჰამიდიე-

⁹ უკვე ომის პირველ თვეებში ქურთული აოლკების შემადგენლობა 800-დან 300 კაცამდე შემცირდა.

ში გაერთიანებულებს, არამედ მშვიდობიან ქურთ მოსახლეობასაც. ომის წლებში ქურთისტანის ტერიტორია თურქებისათვის ფაქტიურად მტრის ტერიტორიას წარმოადგენდა. ურთიერთობა თურქებსა და ქურთებს შორის დაკვირვებული შეიქნა (77, ტ. III, გვ. 121). 1915—1916 წწ. ბოჰთანში, მუშის ოლქში, დერსიმში და სხვაგან ქურთების ანტითურქულმა აჯანყებებმა იფეთქა. თურქეთის მთავრობამ დიდი გაჭირვებით ჩაახშო ეს გამოსვლები. მდგომარეობა გაართულა იმ გარემოებაშიც, რომ არც ერთმა ცოტად თუ ბევრად ცნობილმა ქურთმა ლიდერმა თურქეთს მხარი არ დაუჭირა.

თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა რადიკალური ზომები მიეღო ქურთთა პრობლემების გადასაჭრელად მანამდე, სანამ ქურთების აჯანყება უფრო მასობრივ ხასიათს მიიღებდა.

1915—1916 წწ. სულთანმა გამოსცა მთელი რიგი დეკრეტები ქურთების ფრონტისპირა რაიონებიდან დასავლეთ ანატოლიაში გადასახლების შესახებ.

ყოველ 100 თურქთან 10 ქურთი უნდა დაესახლებინათ. თურქეთის მმართველი წრეების აზრით განსახლების ეს ოპერაცია მომავალში ქურთების აჯანყებას გამორიცხავდა. სულ პირველი მსოფლიო ომის დროს დაახლოებით 700 ათასი ქურთი იყო დეპორტირებული (115, გვ. 291).

ამავე დროს იმ მიზნით, რომ ომის დროს სომხების ხოცვა-ჟლეტის მოწყობისათვის პასუხისმგებლობა მოეხსნათ, ახალგაზრდა თურქმა მესვეურებმა ყველაფერი ქურთებს გადააბრალეს. სინამდვილეში კი ამ დროს ქურთებმა სომხებს დიდი დახმარება აღმოუჩინეს. ქურთი ისტორიკოსი ა. იამოლქი წერდა: „ანატოლიაში სომხური მოსახლეობის მცირე ნაწილი მხოლოდ იმიტომ გადაარჩა, რომ ქურთებმა ისინი გადაარჩინეს და გადაამალეს“ (140ა, გვ. 40).

როგორც კი თურქეთი ომში ჩაება, თურქეთის მთავარსარდლობამ დაიწყო საომარი მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ. ამასთან არცერთი მეომარი მხარე ყურადღებას არ აქცევდა ირანის ნეიტრალიტეტს. პირველად საომარი მოქმედება მხოლოდ ქურთებმა დაიწყეს, მაგრამ უკვე ნოემბრის პირველ რიცხვებში ირანის ქურთისტანსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქეთის რეგულარული ჯარებიც შეიჭრნენ.

ომის პირველ დღეებში კეპრიკეისა და სარიკაღიშის ოპერაციების დროს ქურთებ-თურქების გაერთიანებულმა ლაშქარმა ირანის ქურთისტანისა და აზერბაიჯანის ნაწილი დაიკავეს; ქალაქები: ხოი, ურმია, სოუჯბულაღი და სხვა მათ მიერ იყო ოკუპირებული.

მას შემდეგ, რაც თურქებმა სარიკაღიშთან და ირანის აზერბაიჯანში მარცხი განიცადეს, ირანელი ქურთების განწყობილებაში გარდატეხა დაიწყო. ქურთებმა თანდათან რწმენა დაკარგეს თურქების მი-

მართ, მათ გულგატეხილობა დაეტყვოთ. ქურთებმა მთელი რაზმებოთ დეზერტირობა დაიწყეს. ბევრი ქურთი ბელადი თუ დიდებული გამოთქვამდა სურვილს გადასულიყო რუსეთის მხარეზე. დაიწყო შუღლი ირანელ და ანატოლიელ ქურთებს შორის. ირანის მთავრობას სურდა ესარგებლა ამით და ქურთი ტომები თავის ხელისუფლებისადმი დაემორჩილებინა. მაგრამ შაჰის მთავრობის მოქმედებამ მხოლოდ გაამწვავა ვითარება. ასე მაგალითად, ქურთების დაშინების მიზნით ირანის მთავრობამ სიკვდილით დასაჯა მისადმი ლოიალურად განწყობილი ქურთისტანის პროვინციის სერდარი ჰუსეინ ხან მუქრი. ამ უაზრო მკვლევობამ შაჰის ხელისუფლების მხოლოდ დისკრედიტაცია გამოიწვია.

თურქეთის და გერმანიის აგენტურამ ამით ისარგებლა და თავისი წამქეზებლური საქმიანობა ირანის ქურთისტანში განაახლა (192, 28. 2. 1915), მაგრამ მათი ვარაუდი ქურთების მხარდაჭერის შესახებ არ გამართლდა. ამის შესახებ მოწმობს ის ფაქტი, რომ როგორც კი 1915 წ. ზაფხულში თურქები შეიჭრნენ ირანის ტერიტორიაზე ქერმანშაჰის ხელში ჩაგდების მიზნით, ისინი უკუგდებულ იქნენ სენჯაბის ტომის ქურთების მიერ. ამავე დროს ანტანტის ქვეყნებმა მოახდინეს ზემოქმედება ირანის მთავრობაზე, რათა მას მიეღო ქმედითი ზომები დასავლეთ ირანში თურქების შემოჭრის წინააღმდეგ. 1915 წლის ბოლოს ირანში მთავრობა შეიცვალა. ინდოეთსა და ავღანეთში გერმანელთა და თურქთა ჯარების შეჭრის საწინააღმდეგოდ, რუსეთისა და ინგლისის ჯარებისაგან „აღმოსავლეთ სპარსეთის „კორდონი“ შეიქმნა.

1915 წ. 30 ოქტომბერს რუსეთმა ენზელიში გადმოსხა თავის ჯარები გენერალ ბარათოვის მეთაურობით. ამ ჯარებმა სწრაფად გაფანტეს თურქებისა და ქურთების შეერთებული ნაწილები ჰამადანის მიმართულებით. რუსეთის მოკავშირე ინგლისის ჯარები მესოპოტამიის ფრონტზე უტევდნენ თურქებს, მაგრამ მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ. გენერალმა ბარათოვმა ინგლისელთა თხოვნის საპასუხოდ 1915 წლის ბოლოს თავისი რაზმები დააწინაურა და გაიყვანა ქერმანშაჰ-ხანეკინის ხაზზე. რუსეთის სარდლობამ ინგლისელებს ქერმანშაჰზე შეტევის დაწყება შესთავაზა რუსეთის ჯარებთან შეერთება და მოსული-დიაბაქრის მიმართულებით ერთობლივი შეტევის განხორციელების მიზნით, მაგრამ ინგლისელებმა ეს წინადადება უარყვეს. მიუხედავად ამისა, 1915 წლის ბოლოს რუსეთის არმიის დამოუკიდებელი მოქმედების შედეგად თურქულ-გერმანული პლაცდარმი ირანის ქურთისტანში მაინც მოისპო (102a, გვ. 84—85).

მიუხედავად ამისა, მეფის რუსეთის მთავრობას ამიერკავკასიის საზღვრების გასწვრივ შეიარაღებული ქურთული ტომებისა ეშინოდა.

ამიტომ იგი იმ ტომს, რომელიც რუსეთისადმი კეთილგანწყობას იჩენდა, მფარველობას აღუთქვამდა, ხოლო იმის მიმართ, ვინც რუსეთისადმი მტრობას იჩენდა, რეპრესიულ ზომებს მიმართავდა. ^კრაც შეეხება რუსეთის ჯარების საომარი მოქმედების სფეროს გარეთ მყოფ ქურთულ ტომებს, მათ მიმართ მეფის მთავრობა მოსყიდვისა და გადამბირების პოლიტიკას ატარებდა, პირდებოდა ქურთებს ავტონომიური სამთავროების შექმნას, ანტითურქულ აჯანყებების შემთხვევაში ფულითა და იარაღით დახმარებას და ა. შ. მაგრამ რუსეთის აგენტები იმავე დროს ქურთ ბელადებს აგრძნობინებდნენ, რომ მათი ეროვნული მისწრაფებების განხორციელებაზე თვითონ ქურთებმა უნდა იზრუნონ და რომ რუსეთის მხრიდან ფულისა და იარაღის გარდა სხვა რაიმე დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდათ.

ბაიაზეთისა და ალაშკერტის ხეობაში რუსების სამხედრო ოპერაციების წარმატება ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რა პოზიციას დაიკავებდნენ აქაური ქურთები. ომის დასაწყისშივე რუსების მხარეზე გადავიდნენ ის აშირეთული პოლკები, რომლებსაც მუჰამედ ბეგ, რასულ ბეგ და ჰამიდ ბეგ შამშადინოვები მეთაურობდნენ. კავკასიის მე-4 კორპუსის საკომუნიკაციო გზები ამ აშირეთების განლაგების რაიონში გადიოდნენ. ამიტომ მათ გადმოსვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ მალე რუსებმა ზოგიერთი მათგანის მიმართ რეპრესიები დაიწყეს, ხოლო სხვებს აგრძნობინეს, რომ მათ პრივილეგიები მიეცემოდათ იმ შემთხვევაში, თუ თავიანთი პოლკებითურთ რუსეთისადმი ერთგულებას დაამტკიცებდნენ¹⁰.

ალაშკერტის ხეობაში და ვანის მხრისაკენ ერთ-ერთ მოხერხებულ გასასვლელს მაქუს სახანო წარმოადგენდა. მაქუს სახანოს ნეიტრალიზებას რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მას შეეძლო კავკასიის ფრონტის მარცხენა ფრთა დაეცვა ჰაიდერანლის, მილანისა და ჯელალის ქურთთა ტომების თავდასხმებისაგან. ამიტომ კავკასიაში საომარი მოქმედების დაწყებისთანავე მაქოელ ქურთებთან რუსეთის არმიის გენერალი ალი აშრეფ ალა შამშადინოვი და ქურთების მეორე გავლენიანი ლიდერი აბდ არ-რეზაკი გაგზავნეს.

შამშადინოვის სამხედრო მისიამ ამ მიზანს მიიღწია. მაქუს ქურთები მან დროებით დაუმორჩილა რუსეთის ძალაუფლებას. თურქეთში მცხოვრებმა ზილის ტომის ქურთთა წარმომადგენლებმაც დადეს ფიცი რუსეთის ერთგულებაზე, მაგრამ უარი თქვეს განიარაღებაზე (38, გვ. 81).

1916 წლის ზაფხულში თურქეთის ჯარები რევანდუზისაკენ და-

¹⁰ ერთგულების დამტკიცების მიზნით, რუსებმა ქურთ ბელადებს ქველები მოსთხოვეს. ამ მოთხოვნამ ბევრი ქურთის განდგომა გამოიწვია (38, გვ. 79).

იძრენ და ურმიის რაიონში მოქმედ რუსეთის ჯარებს გზის გადაჭრით დაემუქრენ. შექმნილ ვითარებაში ისმაილ ალა სიმკო მეტისმეტად ორჭოფულად იქცეოდა¹¹. იგი ხმებს ავრცელებდა თურქთა ჯარების სიჭარბის შესახებ, არაზუსტ ცნობებს აწვდიდა რუსეთის კონსულს ურშიაში და ა. შ.

ქურთების მეორე ლიდერი აბდ არ-რეზაკი ამ დროს თბილისში იმყოფებოდა. 1916 წლის აპრილის ბოლოს მან კავკასიის მთავარმართებელს წარუდგინა თავისი მოსაზრებანი რუსეთთან ქურთების დაახლოების შესახებ.

რუსეთის სარდლობას იგი უსაყვედურებდა იმას, რომ მან ვერ შეძლო ძალმომრეობის და რეპრესიების ალაგმვა რუსების მიერ ოკუპირებულ ქურთთა ტერიტორიაზე. რაც შეეხება სომეხთა ხოცვა-ჟლეტას, რომელიც ომის პირველ დღეებიდან დაიწყო, იგი — ამბობდა აბდ არ რეზაკი, — დაშნაკების პროვოკაციული მოქმედებით იყო გამოწვეული. დაშნაკებს სურდათ ოსმალეთში მცხოვრებ სომეხების პოლიტიკური მდგომარეობისათვის ევროპის სახელმწიფოთა ყურადღება მიექციათ. ქურთთა ლიდერი ამტკიცებდა, რომ ახალგაზრდა თურქთა შოვინისტური რეჟიმი ქურთებში ისეთივე სიძულვილს იწვევდა, როგორსაც სომეხებშიო. ამიტომ — განაგრძობდა იგი, — მიმდინარე ომში რუსეთის მთავრობამ სომეხთა მოძრაობა უნდა გამოიყენოს და ამავე დროს ქურთებსაც უნდა დაეყრდნოსო. აბდ არ-რეზაკი მოითხოვდა, რომ რუსების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნილიყო ქურთთა ისეთი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ქურთების ანტითურქულ აჯანყებას მოამზადებდა და სათავეში ჩაუდგებოდა.

მაგრამ რუსებმა აბდ არ-რეზაკის წინადადებები არ მიიღეს. ისინი უნდობლად უქცერდნენ მას, ბრალს სდებდნენ თურქეთთან ფარულ კავშირში და ა. შ. ამიტომაც ქურთების გადმობირების ამოცანა რუსებმა საბოლოოდ დააკისრეს არა აბდ არ-რეზაკს, არამედ მის ბიძას, წარსულში ქურთთა ცნობილი ბელადის ბადრ-ხანის უმცროს შვილს ქიამილ ბეის, რომელიც ერთხელ უკვე მეთაურობდა ბოჰთანის ქურთების აჯანყებას (1914 წ. 19 მარტს)¹².

ქიამილ ბეიმ რუსების დავალებით დაიწყო აგიტაცია ბოჰთანის ქურთებს შორის. ქიამილ ბეის გეგმის თანახმად, ანტითურქულად გან-

¹¹ უნდა აღინიშნოს, რომ სიმკო ხშირად იცვლიდა ქვეშევრდომობას. ასე მაგალითად, როდესაც თურქებმა სალმასი აიღეს, სიმკო თავისი მომხრეებით თურქეთის მხარეზე გადავიდა. მართალია ღალატისათვის რუსებმა იგი დააპატიმრეს და თბილისში ჩამოიყვანეს, მაგრამ მალე ისევ გაანთავისუფლეს და კვლავ გამოიყენეს თურქების წინააღმდეგ.

¹² ეს აჯანყება მარცხით დამთავრდა და მას შემდეგ ქიამილ ბეი თბილისში იმყოფებოდა.

წყობილი ქურთები უნდა შეკრებილიყვნენ თავიანთ ყრილობაზე შათახში. ქიამილ ბეიც თავისი 500 კაციანი რაზმით აქვე უნდა მოსულიყო. ეს რაზმი უნდა გადაქცეულიყო იმ ბირთვად, რომლის გარშემოც დანარჩენი ქურთები დაირაზმებოდნენ.

ქიამილ ბეიმ კავშირი დაამყარა თავის ძმასთან ჰასან ბეისთან, რომელიც თურქების ზურგში მოქმედებდა. ქურთების მიერ შემუშავებული გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელი იყო, რომ მათ ხელთ ეგდოთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი პუნქტი თურქების ზურგში. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის შემთხვევაში ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა მოსულისა და დიარბაქრის ვილაიეტების ქურთთა აჯანყებისათვის. ჩრდილო ქურთისტანის აჯანყებას დაუყოვნებლივ გამოეხმებებოდა სამხრეთ ქურთისტანის (კირკუკ-სულეიმანიეს ოლქების) მოსახლეობაც. ამ გეგმის განსახორციელებლად მეფის მთავრობამ სამხედრო ბიუჯეტიდან ქურთებს 100.000 მანეთი გამოუყო.

დასაწყისში თითქოს ყველაფერი რიგზე მიდიოდა. ქიამილ ბეის აგიტაციის შედეგად ბითლის-მუშის რაიონის ქურთებმა თავი აარიდეს სამხედრო სამსახურს და თურქეთის ჯარიდან დეზერტირობა დაიწყეს. ფრონტიდან გაქცეულებს თან მიჰქონდათ იარაღიც, მაგრამ ქიამილ ბეისა და რუსეთის მთავარსარდლობის მიერ შემუშავებული ანტითურქულ აჯანყების მოწყობის გეგმა საბოლოო ჯამში ვერ განხორციელდა იმ მარცხის გამო, რომელიც მეფის რუსეთის ჯარებმა განიცადეს ბითლის-მუშის რაიონში. ამ წარუმატებლობამ და სხვა მიზეზებმა ქურთების ყრილობის მოწვევა შათახში ჩაშალეს (38, გვ. 88).

მოკლედ, რუსეთის მაშინდელმა მთავრობამ ვერ განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება ქურთთა საკითხისადმი თურქეთსა და ირანში, ვერ გამოიზიდავა მტკიცე ხაზი ქურთი ხალხის ეროვნულ მოთხოვნათა მიმართ. მეფის რუსეთს ქურთთა საკითხი მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით აინტერესებდა, ე. ი. იმდენად, რამდენადაც ქურთებს შეეძლოთ შეემსუბუქებინათ ან გაემძნლებინათ რუსეთის ჯარების სამხედრო ოპერაციები მცირე აზიაში. ასეთმა დამოკიდებულებამ რუსეთს საშუალება არ მისცა განემტკიცებინა თავისი გავლენა ქურთებზე მაშინ, როდესაც ეს აუცილებელი შეიქნა.

ომის დასაწყისში ფალუს, ხარფუთის, ჩემიშ-გეზეკისა და ხოზათის ქურთები თურქეთის ჯარს აწვდიდნენ რეკრუტებს და მას სურსათ-სანოვავით ამარაგებდნენ. მაგრამ დერსიმისა და სხვა რაიონების ქურთთა-ყიზილბაშებმა უარი თქვეს მონაწილეობა მიეღოთ თურქთა ავანტიურაში და აჯანყდნენ. დერსიმელ ქურთების წინააღმდეგ თურქეთის მთავრობამ დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნა. როდესაც რუსე-

თის ჯარებმა ერზურუმი და ერზინჯანი აიღეს, დერსიმელებმა თავიანთი გამოსვლები თურქთა წინააღმდეგ კიდევ უფრო გაააქტიურეს. შექმნილი ხელსაყრელი ვითარება რუსეთის მთავრობამ ჯეროვნად ვერ შეაფასა. იმის მაგივრად, რომ აჯანყებულებთან კავშირი დაემყარებინათ, რუსეთის ჯარებმა ხელი მიყვეს ოკუპირებული რაიონების ძარცვა-გლეჯვას, რამაც დერსიმელ ქურთების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. თურქები კი პირიქით მოიქცნენ. მათ დაიწყეს ქურთთა ბეგებისა და ტომის ბელადების მოსყიდვა, ასაჩუქრებდნენ მათ ფულითა და იარაღით. საბოლოო ჯამში დერსიმელი ქურთები რუსებს განუდგნენ. თურქები მათგან ცხენოსან რაზმებს აყალიბებდნენ და ფრონტზე აგზავნიდნენ (38, გვ. 90).

ომის დაწყებისთანავე ანტანტის ქვეყნები ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიის და მათ შორის ქურთისტანის განაწილების თაობაზე მოლაპარაკებას შეუდგნენ. მაშინ ქურთისტანის წიაღისეული ჯერ კიდევ კარგად ცნობილი არ იყო და ამიტომაც მის ბუნებრივ სიმდიდრეებს იმპერიალისტებმა ნაკლები ყურადღება დაუთმეს. მათ ქურთისტანი აინტერესებდათ უფრო როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორია.

პირველი შეთანხმება ტერიტორიების განაწილების შესახებ 1915 წლის მარტში დაიდო. ამ შეთანხმებით რუსეთს უნდა გადასცემოდა სრუტეები და კონსტანტინეპოლი, ხოლო ინგლისს ირანის ქურთისტანის ზოგიერთი სამხრეთი რაიონები. პირველ შეთანხმებას მალე მეორეც მოყვა. მეორე შეთანხმება 1916 წლის თებერვალში დაიდო და ცნობილია საიკს-პიკოს¹³ შეთანხმების სახელით¹⁴. მართალია, მხარეების ყურადღების ცენტრში არაბული მიწების განაწილება იყო, მაგრამ აქ ლაპარაკი იყო აგრეთვე სომხური და ქურთული მიწების განაწილებაზეც. თავდაპირველად რუსეთმა მხარი დაუჭირა ქურთთა ავტონომიურ სახელმწიფოს შექმნას ქურთისტანის ტერიტორიაზე, მაგრამ ეს წინადადება ინგლისმა და საფრანგეთმა უარყვეს.

საიკს-პიკოს შეთანხმების თანახმად, ქურთებით დასახლებული ტერიტორია ძირითადად ინგლისსა და საფრანგეთს უნდა გაეყოთ. მთელ ჩრდილოეთ ერაყს ანუ სამხრეთ ქურთისტანს კირკუკის გამოკლებით საფრანგეთი ღებულობდა. გარდა ამისა, მთელი სამხრეთ აღმოსავლეთი ანატოლია და ირანის მოსაზღვრე რაიონები ურმიის ტბის სამხრეთით მასვე უნდა რგებოდა. ერაყის ქურთისტანის მეორე ნაწილი (კირკუკითურთ) ინგლისის უნდა გამხდარიყო, ხოლო სომხეთისა და თურქეთის ქურთისტანის დარჩენილი ნაწილის მომავალა

¹³ მარკ საიკის ინგლისელი დიპლომატი იყო, ხოლო ეორე პიკო—ფრანგი.

¹⁴ ამ შეთანხმებას იმავე წელს რუსეთიც შეუერთდა.

ბედ-იღბალი რუსეთთან უნდა შეეთანხმებინათ. ინგლისი და საფრანგეთი რუსეთს სთავაზობდნენ, ომის ძლევამოსილად დამთავრების შემთხვევაში შეეერთებინა ერზურუმი, ბითლისი და ვანი ქურთული, ასურული და ლაზური მოსახლეობის შერე ნაწილით. სამხრეთ აღმოსავლეთ ანატოლიის დანარჩენი ნაწილი საფრანგეთისათვის იყო განკუთვნილი. რუსეთის მთავრობამ ეს წინადადება არ მიიღო. მან მოითხოვა ბითლისისა და ვანის ვილაიეთების სამხრეთით მდებარე თურქეთის ტერიტორია, რომელზეც დასახლებული იყო ქურთების, ლაზებისა და ქურთ ყიზილბაშების უმრავლესობა. საბოლოო ჯამში საფრანგეთი დათმობაზე წავიდა და ჩრდილოეთ ქურთისტანში რუსეთის ინტერესები ცნო (22 ბ, გვ. 170—171). ქალაქზე მომხდარი განაწილება ყველაზე უფრო მომგებიანი რუსეთისა და საფრანგეთისათვის იყო. მაგრამ ფაქტიურად ყველაფერს ახლო აღმოსავლეთის ამ რაიონში ანტანტის ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური ძალების შეფარდება წყვეტდა. ამ მხრივ ინგლისის უპირატესობა აშკარა იყო. მას ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი არმია ჰყავდა ახლო აღმოსავლეთში. ამიტომაც ინგლისელები იმედოვნებდნენ, რომ ომის დამთავრების შემდეგ ამ შეთანხმებას იოლად გადასინჯავდნენ.

საიკს-პიკოს შეთანხმება ახლო აღმოსავლეთის ხალხების წინააღმდეგ იყო მიმართული. იგი ხელს უწყობდა ქურთი ხალხის შემდგომ კოლონიალურ დაკაბალებას, ქურთისტანის დაყოფას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის. ომის წლებში ქურთისტანში დიდ სადაზვერვო მუშაობას ეწეოდნენ ინგლისელი აგენტები — მაორები: ე. სონი, ე. ნოელი, სტივენსი, ვაგრანი, ბრისტონი, კაპიტნები: ე. ჰეი, გირლი, აილიფი და „ფორეინ ოფისის“ და „ინტელიჯენს სერვისის“ მრავალი სხვა თანამშრომელი. ბევრი მათგანი ომის შემდეგ სამხრეთ ქურთისტანში სამუშაოდ დარჩა და თავისი სამსახურის შესახებ მოგონებანი დაწერა.

ქურთისტანში საომარი მოქმედების დაწყება გავლენიანმა ქურთმა ბელადებმა და ტომების შეიხებმა სცადეს თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ისინი გამდიდრდნენ უცხოელთა მიერ ბოძებული ოქროთი. რაც შეეხება ქურთ ხალხთა ფართო მასებს, ისინი სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. საომარმა მოქმედებამ ქურთისტანი კიდევ უფრო გააჩანაგა.

ომის ბოლო წლებში მიწათმოქმედება მიტოვებული იყო, ვაჭრობა მინებებული. არ ჰქონდათ სათესი კულტურის თესვები, არ იყო სასოფლო-სამეურნეო იარაღი, არა ჰყავდათ მუშა საქონელი. ქალაქად და სოფლად შიმშილი მძვინვარებდა. მან ასობით ადამიანის სიცოცხლე წაიღო. ომის შედეგად საქონლის რაოდენობაც მკვეთრად შემცირდა (42, გვ. 39).

ქურთისტანის მრავალი ქალაქის ქუჩებში და მიტოვებულ სახლებში ადამიანთა გვამები ეყარა. მოსახლეობას შორის შიმშილი მძვინვარებდა და კაცთკამიობის შემთხვევებსაც კი ჰქონდა ადგილი. შიმშილმა მრავალი ქურთის სიცოცხლე შეიწირა. ქ. სულეიმანიეს ომამდელი მოსახლეობიდან მხოლოდ მესამედი გადარჩა. გარშემო მცხოვრები სოფლის მოსახლეობის 2/3 ან დაიღუპა, ან კიდეც აიყარა და წავიდა. მრავალი ქურთი გვარი და ოჯახი მთლიანად დაიშალა და განადგურდა. ასე მაგალითად, ნავდარის ნახევრად მომთაბარე ტომის ერთ-ერთი გვარი კავილაი (100 ოჯახი) შიმშილის შედეგად მთლიანად მოისპო და გადაშენდა, ხოლო სოფელ ჩვარტის მოსახლეობა 8%-ით შემცირდა (149, გვ. 102—104).

ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ ანტისაომარი განწყობილება ქურთებს შორის კიდეც უფრო გაზარდა. ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებ ქურთებზე თურქთა ბატონობის წინააღმდეგ დაწყებულმა არაბების გამათავისუფლებელმა მოძრაობამ დიდი ზეგავლენა მოახდინა.

ქურთთა გამათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრი ერაყის ქურთისტანი გახდა. ეს შემთხვევითი არ იყო. ერაყში არაბთა გამათავისუფლებელმა მოძრაობამ და ანტანტის ქვეყნების წარმატებებმა კავკასიისა და მესოპოტამიის ფრონტებზე დიდი გავლენა მოახდინეს ადგილობრივ მოსახლეობაზე.

1917 წ. მარტში, მას შემდეგ რაც ინგლისელებმა ქ. ბაღდადი აიღეს ფრონტის სტაბილიზირება დაიწყეს. ინგლისელებმა იგი იმისათვის გამოიყენეს, რომ ქურთისტანში შესაჭრელად მომზადებულები იყვნენ. სანამ ქურთებით დასახლებულ რაიონებში საომარ მოქმედებას დაიწყებდნენ, ინგლისელებმა თავიანთი აგენტურის მეშვეობით ფართო პროპაგანდა გაშალეს მოსულის ვილაიეთის არაბულ და ქურთულ მოსახლეობას შორის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქურთული ტომების გადმობირებას და თურქეთის წინააღმდეგ მათ გამოსვლას.

ინგლისის დაზვერვამ მასზე დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულა. ქურთი ტომების დიდმა უმრავლესობამ თურქებს ზურგი შეაქცია და ინგლისელებისადმი ლოიალურად განწყვო. ზოგიერთი მათგანი ინგლისის ჯარებს დახმარებასაც კი უწყევდა.

1918 წლის შემოდგომაზე ინგლისელებმა დაიწყეს თავიანთი დასკვნითი კამპანია ერაყში. მათი შეტევა თიქრითიდან მოსულის მიმართულებით ვითარდებოდა. ამ შეტევის დროს ინგლისელები ცდილობდნენ დაემორჩილებინათ ქურთები საოკუპაციო ხელისუფლებისადმი და შეეზღუდათ მათი დამოუკიდებლობა და უფლებები. მოკლედ ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისათვის;

რომ ქურთ ტომებს მომავალში არავითარი დაბრკოლებები არ შეეკმნათ ინგლისის მიერ ერაყის დაპყრობის საქმეში.

ომის შედეგები ქურთებისათვის

ჰპირველმა მსოფლიო ომმა კიდევ უფრო დაქსაქსა ქურთთა ნაციონალისტური ძალები, გააღრმავა მათ შორის არსებული წინააღმდეგობა. თურქეთის მთავრობის პანისლამისტურმა მოწოდებამ „ჰაზაეთისაკენ“ („საღეთო ომი“) თურქეთის მმართველ წრეებს საშუალება მისცა ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებ ქურთების მეომარი სული დროებით მათთვის სასურველი მიმართულებით წარემართათ.

მსოფლიო ომში ქურთების ჩაბმით თურქი მმართველი წრეები, ქურთ ხალხში ახლად გაღვივებული ეროვნული თვითშეგნებისა და თვითგამორკვევის გრძნობების საბოლოოდ ჩახშობას ვარაუდობდნენ. თურქეთის მთავრობა, რომელსაც ჯერ კიდევ კარგად ახსოვდა წარსულში მომხდარი ქურთთა აჯანყებები, ქურთებს ნდობით არ ეკიდებოდა, ამიტომ ომის დაწყება მან ქურთების დასაქსაქსავად გამოიყენა. 1914—1917 წწ. რუსეთის ჯარების შემოტევის დროს ევაკუაციის საბაბით თურქეთის ადმინისტრაციამ ქურთების მასობრივი აყრა-გადასახლება დაიწყო. ეს ღონისძიება ქურთებზე ზრუნვით კი არ იყო გამოწვეული, არამედ მათი ასიმილაციის სურვილით.

მართალია, პირველმა მსოფლიო ომმა ქურთთა ნაციონალისტური ძალები გათიშა¹⁵, მაგრამ მან ქურთთა მისწრაფება ერთიანობისაკენ ვერ შეაჩერა. საბოლოო ჯამში ახალგაზრდა თურქთა უხეშმა შოვინიზმმა, მათ მიერ გავლენიანი ქურთული არისტოკრატიის პრივილეგიების გაუქმებამ, განაპირობა ქურთი დიდებულების უკმაყოფილება და მზარდი მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი. ამიტომაც ქურთ ნაციონალისტთა აგიტაცია ერთიანობისა და თვითგამორკვევის შესახებ ცოცხალ გამოძახილს პოულობდა გავლენიან ქურთულ წრეებში როგორც პირველი მსოფლიო ომის წინ, ისე მის მსვლელობის დროს.

ქურთთა ავტონომისტურმა მოძრაობამ მნიშვნელოვანი გასაქანი მიიღო. ერაყელი ქურთების ერთი ნაწილი (მოსული, სულეიმანია) ავტონომიის მიღწევას რუსეთის დახმარებით იმედოვნებდა, ხოლო მეორე ნაწილი (ამადია, დოჰუქი, აკრა, რევანდუზი) ამჟობინებდა ინგლისს დაყრდნობოდა (111, გვ. 75). დიარბაქრში ბადრ-ხანის შვილე-

¹⁵ ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ ქურთი ინტელიგენცია ორ პოლიტიკურ ჯგუფად გაითიშა. ერთი მათგანი, რომელსაც გაზეთი „ჰივა ქურდი“ აერთიანებდა, ანტანტის ქვეყნებს უპერდა მხარს, ხოლო მეორეში პროგერმანული ელემენტები იყვნენ გაერთიანებული. პროგერმანული ორიენტაციის მქონე ქურთთა ახალგაზრდობა გაზეთ „ქურდისტანი“-ს ირგვლივ შემოიკრიბა (72, გვ. 159).

ბი ეწეოდნენ აგიტაციას რუსეთის მფარველობის სასარგებლოდ. უფრო გვიან 1916 წ. ერთ-ერთი მათგანი — ქიამილ ბეი ბოჰთანიდან საეციალურად ჩამოვიდა თბილისში კავკასიის მეფის ნაცვლის დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის სანახავად, რომ გაეცნო მისთვის ქურთი ნაციონალისტების გეგმები. 1917 წ. ბოლოს კი რუსეთის კონსულს ურმიაში (ირანი) ქურთთა საზოგადოების „ისტაჰლას-ე-ქურდესთან“-ის („ქურთისტანის განთავისუფლება“) წარმომადგენელი შეიხ კადირის ძმის შვილი სეიდ თაჰა დაუქავშირდა (115, გვ. 291).

საბოლოო ჯამში ქურთების ანტითურქული და ანტიირანული განწყობილება, მათი მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ ანტანტის ქვეყნებმა, და პირველ რიგში ინგლისმა, თავის სასარგებლოდ გამოიყენეს. 1918 წ. ბაღდადში ინგლისის სამხედრო მთავარსარდლობამ დააარსა ქურთული ყოველკვირეული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჟურნალი „თიქია იაშთი რასთი“ („შენ სწორედ გაიგე“), რომელიც ეწეოდა აშკარა პროინგლისურ პროპაგანდას და ერაყის ქურთულ მოსახლეობაში ანტითურქულ გრძნობებს აღვივებდა. ფაქტიურად მისი გამომცემელი ცნობილი ინგლისელი მზვერავი მაიორი ე. ბ. სონი იყო (72, გვ. 159).

რსმალეთის იმპერიის დამარცხების შემდეგ, მუდროსის დაზავებისთანავე, ამირა სურეიამ კაიროში „დამოუკიდებლობის ქურთული კომიტეტი“ ჩამოაყალიბა, ხოლო სტამბოლში ამირა ემინ ალიმ, კამურან ალი ბეგმა, სენატორმა აბდულ კადირმა და სხვებმა „ქურთისტანის აყვავების საზოგადოება“ („ქურდ თეალი ჯემიეთი“) ¹⁶ შექმნეს. ცოტათი გვიან აღმოცენდა „ქურთული ნაციონალური პარტია“ („ქურდ მილეთ ფირქასი“) და „სოციალურ პრობლემათა საზოგადოება“ („ქურდ თეშვილათი იჩთიმაიე“).

ყველა ამ კომიტეტის მოღვაწეობა შეიძლება შევაფასოთ როგორც ლიბერალურ-რევოლუციური. მათი საშუალებით ქურთულ ფეოდალურ-გვაროვნულ არისტოკრატიას ქურთ ხალხთა მასების მდგომარეობის შემსუბუქება კი არა სურდა, არამედ თავისი დაკარგული პრივილეგიების დაბრუნება. ამიტომაც ქურთთა მშრომელმა მასებმა მათ მხარი არ დაუჭირეს. ამ საზოგადოებებს ხანგრძლივი სიცოცხლე არ ეწერათ. მას შემდეგ, რაც მუსტაფა ქემალმა სტამბოლი დაიკავა, ქე-

¹⁶ იმავე წლებში მეორე ქურთული პოლიტიკური საზოგადოება „მიუჯადალ“ („განახლება“) მოღვაწეობას ეწეოდა თურქეთში.

¹⁷ აღნიშნული საზოგადოება 1918 წლიდან სტამბოლში გამოსცემდა თავის გაზეთს ჯერ „უინი“-ს („სოხურება“), ხოლო 1920 წლიდან „ქურდისტანის“ სახელწოდებით. საზოგადოების ლეგალური არსებობის შეწყვეტის შემდეგ მისი გამოცემა შეწყდა.

მალისტებმა ძალზე იოლად დაშალეს აღნიშნული ორგანიზაციები (115, გვ. 292).

წამრიგად, ქურთი ხალხის ნაციონალური განვითარების ისტორიაში ომამდელი იმპერიალიზმისა და პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ეპოქა მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა. ამ პერიოდში გამათავისუფლებელ მოძრაობათა ბაზაზე ქურთთა საზოგადოებაში ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური და კულტურული ძვრები მოხდა, რამლებმაც ხელი შეუწყეს ქურთული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის აღმოცენებასა და განვითარებას. მათ აგრეთვე შექმნეს ისეთი ობიექტური პირობები, რომლებიც მთელი ქურთი ხალხის ეროვნულ კონსოლიდაციას და ერთიანი ქურთული ერის ჩამოყალიბებას აადვილებდნენ.

ქურთული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის აღმოცენებასა და ქურთებს შორის ეროვნული თვითშეგნებისა და პატრიოტული გრძობების გაღვივებაში დიდი როლი შეასრულეს XIX—XX სს. ქურთმა პოეტებმა მუსტაფა ქურდმა და აბდ არ-რაჰმან სელიმმა, ჰაჯი ყადირ ქომ და შეიხ რეზა ტალაბანიმ (149, გვ. 58). მათი იდეები აიტაცეს პირველმა ქურთულმა კულტურულმა და პოლიტიკურმა საზოგადოებებმა, რომლებიც მათ მიერ დაარსებული ქურთული პერიოდული პრესის საშუალებით, ცდილობდნენ მიეტანათ იგი ქურთი ხალხის ფართო მასებადდე.

მაგრამ იმ დროინდელ თურქეთსა და ირანში არსებულმა პოლიტიკურმა რეჟიმებმა და ქურთთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურმა ჩამორჩენილობამ განაპირობეს ქურთული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგიის მოუმწიფებლობა. ნაციონალისტურმა იდეებმა ჯერ კიდევ ვერ მოიცვეს განთავისუფლებისათვის მებრძოლი ქურო ხალხთა ფართო მასები. სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ 1900—1918 წწ ქურთთა გამათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხების მიზეზები ახლო აღმოსავლეთში.

გარდა ამისა, ქურთთა საზოგადოებაში არსებულმა პატრიარქალურ-ფეოდალურმა გადმონაშთებმა ხელი შეუშალეს ამ საზოგადოებებს შეემუშავებინათ ერთიანი და შეთანხმებული პოლიტიკური კრედო. ქურთების პოლიტიკურ საზოგადოებებს, რომლებსაც ძირითადად ფეოდალური და სასულიერო წრიდან გამოსული ინტელიგენცია ხელმძღვანელობდა, ჯერ კიდევ არა ჰქონდათ გარკვეული პროგრამა, უფრო მეტი, მათ ნათლად არა ჰქონდათ შეგნებული ის იდეებო, რომლებსაც ქადაგებდნენ. ისინი ძალიან შორს იდგნენ ხალხისაგან,

წარმოადგენდნენ არამყარ პოლიტიკურ ორგანიზაციებს და როგორც წესი, ისევე მალე იშლებოდნენ, როგორც იქმნებოდნენ.

მიუხედავად ამისა, ქურთთა პოლიტიკურ ორგანიზაციებს თავიანთი მოღვაწეობა არ შეუწყვეტიათ. უფრო გვიან, როდესაც შეიქმნა ქურთული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მთავარი შტაბი — „პობუნი“¹⁸ დაშლილი ან არალეგალურად მოქმედი ქურთული ორგანიზაციების ნარჩენები მას შეერწყნენ.

¹⁸ „პობუნი“ („დამოუკიდებლობა“) სიტყვა-სიტყვით „თვითმყოფის“ ნიშნავს.

ქურთები და ქურთისტანი უახლეს ხანაში

თ ა ვ ი I. ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი
მოძრაობა მსოფლიო ომებს შორის პერიოდში
(1918—1930 წწ.)

ოქტომბრის რევოლუცია და ქურთთა მოძრაობა ერაყში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ზეგავლენით ქურთთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში მთელი რიგი მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. იდეოლოგიურად, პოლიტიკურად და ორგანიზაციულად იგი უფრო მომწიფდა და განმტკიცდა. ახლა ქურთთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა შედარებით უფრო მეტად ასახავდა ქურთთა ხალხის ნამდვილ ეროვნულ ინტერესებს. მაგრამ ქურთთა ხალხის გაერთიანების გზაზე ახალი უფრო დიდი ზღუდეებიც აღიმართა. ომის შემდეგ ანტანტის ქვეყნებმა ქურთისტანის დაყოფა კიდევ უფრო გააღრმავეს.

ომამდე ქურთისტანი შედიოდა ორი სახელმწიფოს ოსმალეთის იმპერიისა და ირანის შემადგენლობაში, ომის შემდეგ კი მისი ტერიტორია ოთხმა სახელმწიფომ (თურქეთმა, ირანმა, ერაყმა და სირიამ) გაინაწილა. ამასთან ქურთებს ახლა საქმე ჰქონდათ არა ისეთ სუსტ ადმინისტრაციასთან, როგორც ომამდელ ირანში და ოსმალეთის იმპერიაში იყო, არამედ უფრო მყარ პოლიტიკურ ერთეულებთან: რესპუბლიკურ თურქეთთან, ცენტრალიზებულ ირანთან და ახლად შექმნილ ერაყის სამეფოსთან. მათი მმართველი წრეები ქურთთა უმცირესობის ეროვნულ უფლებებს არ ცნობდნენ და გაბატონებული თურქი, ირანელი და არაბი ერების ინტერესების სასარგებლოდ თანმიმდევრულად ატარებდნენ კონსოლიდაციისა და ცენტრალიზაციის პოლიტიკას. მართალია, აღნიშნული ქვეყნების ქურთებს შორის კავშირი სავსებით არ გაწყვეტილა, მაგრამ ამიერიდან ქურთთა საკითხი თანდათან რეგიონალურ ხასიათს ღებულობს.

ქურთისტანის ცალკეულ ნაწილებში, სადაც ქურთთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა მიმდინარეობდა, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და საგარეო-პოლიტიკური პირობები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. ამან, რა თქმა უნდა, გარკვეული დალი დააჩნია ქურთთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებას უახლეს ხანაში და უარყოფითი როლი ითამაშა მათი ეროვნული კონსოლიდაციის საქმეში. ამიერიდან ქურთისტანის ყოველ ნაწილში გამათავისუფლებელი მოძრაობა იზოლირებულად მიემართება¹ და იგი სხვადასხვა შედეგს აღწევს. ბუნებრივია, ქურთთა ნაციონალური ძალების დაქსაქსევამ გაბატონებული ერების მთავრობებს გაუადვილა ბრძოლა ქურთთა აჯანყებებთან, რომლებსაც ისინი, როგორც წესი, სასტიკად ახშობდნენ.

მას შემდეგ რაც ცნობამ თურქეთის დამარცხების შესახებ ერაყსაც მოაღწია, ერაყის ქურთისტანში მაშინვე დაიწყო ანტითურქული გამოსვლები.

ქურთების ანტითურქული აჯანყებას ცენტრს ერაყში ქ. სულეიმანიე წარმოადგენდა. თურქების გავლენის შესუსტებით დაინტერესებული ინგლისელები გარკვეულ დახმარებას უწევდნენ აჯანყებულ ქურთებს. აჯანყებას სათავეში ედგა ბარზინჯას გავლენიანი ტომის ბელადი შეიხ მაჰმუდი², რომელსაც დამოორჩილენ სულეიმანიეს გარშემო მცხოვრები ტომის მეთაურები. 1918 წ. დამლევს ქ. სულეიმანიეს თურქთა გარნიზონი მაჰმუდმა გადასცა ინგლისელებს. თავის მხრივ, ინგლისელებმა სცნეს შეიხ მაჰმუდი სულეიმანიეს ჰუქუმდარად (მმართველად) და დაუნიშნეს მას თვიური ხელფასი 15 000 რუფიის³ ოდენობით (209, გვ. 156).

¹ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თურქეთის, ირანისა და ერაყის აჯანყებული ქურთები ერთმანეთთან არაერთარ კავშირს არ ამყარებდნენ. ასეთი კავშირი არსებობდა. ასე მაგალითად, 1927 წ. სასუნის (თურქეთი) აჯანყებულ ქურთებს (აჯანყების მეთაური ალი იუნუსი იყო) შეუერთდა სირიის ქურთთა ერთი ნაწილი ნ.ზ. ბეის მეთაურობით, ხოლო იგღირ-ბაიზეთის რაიონში მომხდარ აჯანყებას მაქუს (ირანი) ქურთები გამოეხმარნენ, მაგრამ ეს კავშირი მტკიცე და ხანგრძლივი არ იყო.

² შეიხ მაჰმუდი (1882—1956) — ერაყელი ქურთების 20-იანი წლების გამათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი—ბარზინჯას ტომის ერთ-ერთი სეიდის შეიხ კოჯა აჰმედის შვილიშვილი იყო. მას და მის შთამომავლებს წმინდანის რეპუტაცია ჰქონდათ მოპოვებული. მამამისი შეიხ საიდიტ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ ქურთისტანში. იგი მოკლეს თურქებმა სეპარატული მისწრაფებისათვის (217, ტ. 1, გვ. 200).

³ პირველი მსოფლიო ომის ბოლო წლებიდან 1932 წლამდე ერაყში ინდური ფულადი სისტემა იყო მიმოქცევაში.

ამავე დროს შეიხ მაჰმუდს მიუჩინეს ორი ინგლისელი ოფიცერი⁴, რომელთა რჩევითაც მას უნდა ეხელმძღვანელა სამხედრო და სამოქალაქო მმართველობისას.

ინგლისელთა გაბატონებამ ერაყში გააძლიერა ქურთ ხალხთა მასების ექსპლოატაცია ინგლისელ საოკუპაციო ხელისუფალთა მხრიდან. ერაყის ოკუპირების პირველ დღეებიდანვე ინგლისელმა დამპყრობლებმა დაიწყეს გადასახადების აკრეფა ბინადარი და მომთაბარე მოსახლეობისაგან, მასობრივად ართმევდნენ მათ ქონებას და საქონელს (60, გვ. 303).

ინგლისელთა გაბატონების შედეგად ქურთები კვლავ ჩაგრული ეროვნული უმცირესობის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. უფრო მეტიც, თუ თურქთა ბატონობის დროს მათ ჩაგრავენდნენ მხოლოდ თურქი და ქურთი ფეოდალები, ახლა ისინი სამმაგ ჩაგვრას განიცდიდნენ. ამჯერად მათ ჩაგრავენდნენ ინგლისელი იმპერიალისტები, არაბი და ქურთი ფეოდალური ზედა ფენის წარმომადგენლები.

ერაყის ქურთისტანის ფართო მასების ფეოდალური ჩაგვრა, მთავრობის მიერ დაკისრებული მძიმე გადასახადები და ინგლისის იმპერიალიზმის მიერ მათი ყოველმხრივი ექსპლოატაცია, აგრეთვე ქურთების მიწების ექსპროპრიაცია თურქეთიდან ლტოლვილ ასურელთა სასარგებლოდ — ყველაფერი ეს განსაზღვრავდა ქურთი ხალხის ფართო მასების აქტიურ ბრძოლასა და გამოსვლებს, როგორც ეროვნულადა, ისე იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ.

1919 წლის გაზაფხულზე ერაყის ქურთისტანის მთელ ტერიტორიაზე დაიწყო შეიარაღებული გამოსვლები ინგლისელების წინააღმდეგ. ინგლისელთა საოკუპაციო რეჟიმის მძიმე პირობები და ქურთების სულ უფრო მზარდი მისწრაფება შეექმნათ ქურთთა დამოუკიდებელი სახელმწიფო ამ გამოსვლების მთავარი მიზეზი იყო.

ყველაზე მნიშვნელოვანი აჯანყება მოხდა ქ. სულეიმანიაში. აჯანყება დაიწყო 21 მაისს. აჯანყებულთა მეთაურმა შეიხ მაჰმუდმა წამოაყენა ქურთების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ლოზუნგი და ამით ამ აჯანყებას საერთო ეროვნული მნიშვნელობა მისცა, აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა ირანელმა ქურთებმაც მიიღეს⁵.

ერაყის ქურთისტანის განთავისუფლებულ ტერიტორიაზე აჯანყებულებმა თავიანთი კონტროლი დააწესეს. ადგილობრივი მმართველების თანამდებობებზე აჯანყების ბელადმა შეიხ მაჰმუდმა თავისი მომხრეები დანიშნა. აჯანყებულთა შტაბის შენობის თავზე აღიმარ-

⁴ ერთი მათგანი, მაიორი ნოელი სამოქალაქო საქმეების მრჩეველი იყო, ხოლო მეორე — მაიორი დანლისი — სამხედრო საქმეებისა.

⁵ მათგან აღსანიშნავია ირანში მოსახლე ავრომანის ტომის ქურთები, რომელთაც მაჰმუდ ხან დიზლი მეთაურობდა.

თა „დამოუკიდებელი ქურთისტანის“ მწვანე დროშა წითელი ნახევარმთვარით. მაჰმუდი ჭრიდა ფულს თავისი სახელით და ადგილობრივ საფოსტო მარკასაც კი უშვებდა. ადგილობრივი მოსახლეობა ყველგან უარს აცხადებდა დამორჩილებოდა ინგლისურ ადმინისტრაციას.

აჯანყების მსვლელობის დროს ინგლისელებმა დიდი დანაკლისი განიცადეს. აჯანყებულებმა ინგლისელები რამდენჯერმე დაამარცხეს. განსაკუთრებით სასტიკად დამარცხდნენ ისინი ტასლუჯუს ხეობასა და ბაზიანის გასასვლელში. ინგლისელი ოკუპანტების ჯავშნიანი ავტომობილები და სამხედრო ეტლები აჯანყებულმა ქურთებმა კლდეებიდან გადააგდეს და დაამსხვრიეს (221, გვ. 102).

ინგლისელები დიდ გასაჭირში ჩავარდნენ, საოკუპაციო ჯარები განიცდიდნენ სურსათისა და სანოვავის ნაკლებობას. ძლიერი გასაჭირი იგრძნობოდა ფურაჯის მხრივაც. მდგომარეობას ამძიმებდა ის გარემოებაც, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მტრულად იყო განწყობილი ინგლისელი ოკუპანტებისადმი.

აჯანყებული ქურთების წინააღმდეგ დაწყებული დამსჯელი მოქმედება აქ ივნისის ბოლომდე გაგრძელდა. მხოლოდ შუა ზაფხულში ინგლისელები გახდნენ მდგომარეობის ბატონ-პატრონები. მათ აიღეს ჩემჩემალი, ხოლო შემდეგ სოფელი კაკა აჰმედი. ამის შემდეგ ისინი შეიჭრნენ ბაზიანის და დარბანდის გასასვლელებში, სადაც თავმოყრილი იყო აჯანყებულთა ძირითადი რაზმები.

აჯანყებული ქურთები დიდი წინააღმდეგობის გაწევს მიუხედავად, დამარცხდნენ. აჯანყებულთა რაზმები ერთნაირი სიძლიერით არ ებრძოდნენ მტერს⁶. განსაკუთრებით გააფთრებით იბრძოდნენ აჯანყებულთა მარჯვენა ფლანგზე მდგომი ტომები, რომლებსაც უშუალოდ შეიხ მაჰმუდი მეთაურობდა. ბაზიანთან ბრძოლაში ქურთები სასტიკად დამარცხდნენ, ხოლო მათი ბელადი შეიხ მაჰმუდი ტყვედ ჩავარდა. საბოლოოდ ქურთების 1919 წ. აჯანყებამ ერაყში მარცხი განიცადა. აჯანყების ჩახშობის დროს ინგლისელებმა დიდი სიმკაცრე გამოიჩინეს. მათ გადაწვეს აჯანყებულთა სოფლები, ხოლო მისი აქტიური მონაწილენი სიკვდილით დასაჯეს. შეიხ მაჰმუდი თავის უახლოეს თანამებრძოლებთან ერთად ინგლისელებმა გადაასახლეს ინდოეთში (218, ტ. 3, გვ. 266).

სულეიმანიეს ქურთების 1919 წ. აჯანყების წარუმატებლობა გაპირობებული იყო მთელი რიგი მიზეზებით. პირველ რიგში აღსანიშ-

⁶ მარცხენა ფლანგზე მდგომმა ქურთმა რეკრუტებმა დათმეს თავიანთი პოზიციები. როგორც ბრძოლის შემდეგ გამოიჩქვა, მათ არც კი უსერიათ ინგლისელებისათვის (149, გვ. 45).

ნავია მისი ლოკალური ხასიათი. იგი ვერ გასცდა სულეიმანიეს პროვინციის (ლივის) საზღვრებს, მას არ გამოეხმაურნენ მეზობელ ერბილის, კირკუჯისა და მოსულის პროვინციებში მცხოვრები ქურთები. გარდა ამისა, აჯანყება სტიქიურად დაიწყო და იგი ბოლომდე ორგანიზებული ხასიათისა არ იყო. გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ აჯანყებულები ცუდად იყვნენ შეიარაღებული⁷, აჯანყების დამარცხება ქურთ რეკრუტების დალატმაც განაპირობა. მიუხედავად ამისა, მას უკვალოდ არ ჩაუვლია. ქურთებს ამ აჯანყებამ გარკვეული გამოცდილება შესძინა. 1919 წ. აჯანყების ისტორიული მნიშვნელობა უპირველეს ყოვლისა გამოიხატება იმაში, რომ იგი ქურთების მიერ ინგლისელთა კოლონიური უღლის მოშორების პირველი ცდა იყო. მეორეც, მან დასაბამი მისცა ქურთების განმათავისუფლებელ ბრძოლას, რომელიც წითელი ზოლივით გასდევს ერაყის უახლესი ისტორიის მთელ პერიოდს.

ქურთთა 1919 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ სამი წელიც არ იყო გასული, რომ სულეიმანიეს ოლქი 1922 წ. გაზაფხულზე კვლავ აჯანყების ალში გაეხვია⁸. ინგლისელებმა ეს აჯანყებაც მკაცრად ჩაახშეს. რაკი ოკუპანტებმა ქურთებს თავიანთი მმართველობის სისტემა თავს ვერ მოახვედრეს, მათ გადაწყვიტეს სულეიმანიეს ოლქის მმართველობის საქმე რომელიმე სანდო ქურთი დიდებულისათვის ჩაებარებინათ.

რა თქმა უნდა, ინგლისელებს შეეძლოთ ქურთებით დასახლებული ტერიტორია პირდაპირ დაემორჩილებინათ ერაყში ამ დროს შექმნილი ადგილობრივი მთავრობისათვის⁹. მაგრამ კირკუჯისა და სულეიმანიეს უშუალო შეერთება ერაყთან ჯერ-ჯერობით მათ ხელს არ აძლევდათ. ერაყის ასეთი დანაწილება, საშუალებას მისცემდა მათ ყოველთვის, როცა კი მოისურვებდნენ, დაეპირისპირებინათ ერთმანეთისათვის არაბები და ქურთები, გაეღვივებინათ ეროვნული შუღლი, გამოეწვიათ დაძაბულობა და შინა ომი ერაყში. ასეთ შემთხვევაში

⁷ ქურთები შეიარაღებული იყვნენ მუშკეტებითა და თოფებით, რომლებიც მათ იშოვეს მოწინააღმდეგის ჯარების ბანაკში, ხოლო ინგლისელები და ინდოელები მათ წინააღმდეგ იყენებდნენ ჯავშნიან მანქანებს, არტილერიას და ავიაციას. გარდა ამისა, რიცხობრივად დამსჯელი ჯარები სპარობდნენ აჯანყებულებს, მაგალითად, აჯანყებულ ქურთების წინააღმდეგ მოქმედებდნენ არმიის 2 ბრიგადა, 4 ცხენოსანი ესკადრონი, მრავალი მესანგრა, მუკავშირე და მენაღმე.

⁸ ამ აჯანყების შესახებ დაწერილებით იხ. 42. გვ. 57—66.

⁹ 1921 წლის აგვისტოში ერაყი გამოაცხადეს სამფოთლ, რომლის ტახტს ინგლისელთა დახმარებით ქ. მექის შერიფის ჰუსეინის (ჰაშიმელთა დინასტიიდან) შვილი ამირა ფაისალი დაეპატრონა. იმავე წელს ბაღდადში შეიქმნა ე. წ. ნაციონალური მთავრობაც, რომელსაც ადგილობრივი სუნიტების ნაჰიბი (მეთაური) აბდ არ-რაჰმან გაილანი ჩაუდგა სათავეში.

ინგლისი, როგორც მანდატის მფლობელი¹⁰, იკისრებდა შუამავლობას და განამტკიცებდა თავის პოზიციებს ერაყში.

ინგლისელებმა რამდენიმე კანდიდატურა¹¹ განიხილეს და ბოლოს არჩევანი ისევ შეიხ მამქულზე შეაჩერეს. იგი ინდოეთიდან კუვეეტიში გადმოიყვანეს, ხოლო იქიდან კი ბალდაღში ჩამოიყვანეს. მამქულს შესთავაზეს სათავეში ჩადგომოდა სულეიმანიეს ლივის (პროვინციის) ადმინისტრაციას. ინგლისელები იმედოვნებდნენ რომ ამ ღონისძიებით ისინი მოახერხებდნენ ქურთების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობის შეჩერებას და გამოიყენებდნენ მამქულს ერთი მხრივ, ქემალისტური თურქეთის, ხოლო მეორე მხრივ, არაბთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთდროულად ინგლისელები დაპირდნენ მამქულს, რომ დაეხმარებოდნენ მას ქურთების ეროვნული ინტერესების განხორციელებაში. მიიღეს რა მანდატი ერაყზე, ინგლისელები ცდილობდნენ შეექმნათ ამ ავანპოსტის საფარში ჩრდილოეთის მხრიდან ვასალურ-ბუფერული სახელმწიფოს ქურთისტანის სახით, ამიტომაც ისინი პირდებოდნენ ქურთებს, რომ დაეხმარებოდნენ ასეთი სახელმწიფოს შექმნაში. მათ დაპირებებს რეალური სახე რომ ჰქონოდა, ინგლისელებმა ჯერ კიდევ 1920 წ. სევრის ხელშეკრულებაში სპეციალური მუხლიც კი შეიტანეს დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნის შესახებ. ახლა ისინი სწორედ ასეთი სახელმწიფოს მეთაურობას პირდებოდნენ შეიხ მამქულს.

ინგლისელები დარწმუნებული იყვნენ, რომ ასეთი დაპირებებით მიიმხრობდნენ ყველა ქურთს, წარმართავდნენ მათ მოძრაობას ქემალისტურ თურქეთის წინააღმდეგ და თავიანთ სასარგებლოდ გადაჰკრიდნენ

¹⁰ 1920 წ. აპრილში სან-რემოს კონფერენციის გადაწყვეტილების შემდეგ ინგლისი დაუფლა მანდატს ერაყზე. 1922 წ. ოქტომბერში ინგლისელებმა თავიანთ მანდატს მისცეს ინგლის-ერაყის ორმხრივი ხელშეკრულების სახე. ხელშეკრულება მხოლოდ ფორმას უცვლიდა მანდატს, შინაარსი — კოლონიური ბატონობა — ძალაში რჩებოდა. ინგლისის უმაღლესი კომისარი — ქვეყნის ფაქტიური მმართველი — ანგარიშვალდებული იყო ინგლისის მთავრობის წინაშე, ხოლო ინგლისის მთავრობა ყოველ წელს ერაყში თავის საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებდა ერთა ლიგის სამანდატო კომისიას (111, გვ. 106—110).

¹¹ მათ შორის, იყო ბაბანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი (იგი ბალდაღში ცხოვრობდა და ქურთული ენა დაიწვებულიც კი ჰქონდა) და შეიხ ობეიდულას შვილიშვილი — სეიდ თაჰა, რომელიც აშკარა პროინგლისური ორიენტაციის გამო არავითარი ავტორიტეტით არ სარგებლობდა ადგილობრივ ქურთებს შორის.

თურქეთსა და ერაყს შორის სადავოდ ქცეულ მოსულის ოლქის¹² საკითხსაც.

მეორე ნხრივ, თურქებსაც სურდათ შეიხ მაჰმუდის საშუალებით თავის მხარეზე გადაებირებინათ ერაყელი ქურთების დიდი ნაწილი, წაეჭებინათ ისინი ინგლისელებს წინააღმდეგ და მათი საშუალებით კვლავ ხელთ ეგდოთ ინგლისის მიერ ოკუპირებული მოსულის ვილაიეთი. რაც შეეხება ქურთთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის იდეისადმი თურქეთის მაშინდელი ხელმძღვანელობის დამოკიდებულებას, იგი აშკარად უარყოფითი იყო. თურქეთის მთავრობა თავს არიდებდა რაიმე აზრის გამოთქმას ამ საკითხზე.

ქურთი ხალხის უმრავლესობა მხარს უჭერდა შეიხ მაჰმუდის მოთხოვნებს, ქურთი გლეხები და მწყემსები დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნას განიხილავდნენ როგორც ნაბიჯს, გადადგმულს ფეოდალური უღლის მოსასპობად.

რაც შეეხება არაბ მმართველ წრეებს, ისინი უარყოფითად ეკიდებოდნენ ქურთების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის იდეას და სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ იმისა, რომ ქურთებით დასახლებული რაიონები გამოყოფოდა ერაყს.

ინგლისის სამანდატო ხელისუფლების მოლაპარაკება შეიხ მაჰმუდთან საბოლოო ჯამში ჩაიშალა, ინგლისელებმა არ ცნეს ქურთისტანის შინაგანი ავტონომია და მაჰმუდის მიერ ჩამოყალიბებული მთავრობა.

ერაყელი ქურთები დიდ იმედებს ამყარებდნენ ლოზანის საზავო კონფერენციაზე, რომელიც გაიხსნა 1922 წლის ნოემბერში. კონფერენციის მუშაობის დღეებში ქურთმა მმართველმა წრეებმა წარუდგინეს ლოზანის კონფერენციის მონაწილეებს თავიანთი მოთხოვნები. ქურთები აღნიშნავდნენ, რომ ის ტერიტორია, რომელიც დასახლებული იყო ქურთებით, მოიცავდა არა მარტო სულეიმანიეს ლივას, არამედ მოსულის ოლქსაც¹³. ისინი მოითხოვდნენ მოსულის ოლქის შეყვანას „დამოუკიდებელი ქურთისტანის“ — შემადგენლობაში.

მაგრამ ლოზანის კონფერენციის მონაწილეებმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს ქურთების განცხადებას.

ქურთების საკითხი ლოზანის კონფერენციაზე ვერ გადაწვიტეს.

¹² თანახმად სევრის ზავისა, მოსულის ოლქი უნდა შესულიყო ერაყის შემადგენლობაში. მაგრამ თურქეთის მთავრობამ ქემალ ათათურქის მეთაურობით უარი თქვა ეწინო ეს გადაწყვეტილება და მოითხოვა მოსულის ოლქის შეერთება თურქეთთან. მოსულის საკითხი ხანგრძლივი დროის მანძილზე დავის საგანს წარმოადგენდა თურქეთსა და ერაყს შორის. მხოლოდ 1925 წ. ერთა ლიგამ იგი გადაწვიტა ერაყის სასარგებლოდ. დაწერილებით სევრის ზავის შესახებ იხ. ნაპრომის 148.—149 აკ.

¹³ ქურთების მოთხოვნები გამოქვეყნდა გაზ. „როფე ქერდისტან“-ში (ქურთთა ზეე) 1922 წლის 27 დეკემბერს.

„ავტონომიური ქურთისტან“-ის იდეა, როგორც აღნიშნავდნენ ინგლისელები. საბოლოოდ იქნა დასამარებული, ეს იდეა თანდათან გაქრა პოლიტიკური ასპარეზიდან, რადგანაც ქემალისტების განმტკიცების შემდეგ თურქეთში ქურთების სახელმწიფოს შექმნისათვის არავითარი პერსპექტივა უკვე აღარ იყო.

სუერის ზავის თანახმად, თუ ქურთთა ერთიანი სახელმწიფო შეიქმნებოდა, ერაყის ქურთებს ნება ეძლეოდათ გადასულიყვნენ მის ქვეშევრდომობაში. ერაყის ქურთი მოსახლეობა ლოზანის კონფერენციის შედეგებით იმედგაცრუებული დარჩა. ამიტომაც მან განაგრძო ბრძოლა ინგლისელ იმპერიალისტებისა და რეაქციულად განწყობილი არაბი მმართველი წრეების წინააღმდეგ.

ამასობაში შეიხ მაჰმუდის ძალები სულ უფრო იზრდებოდა, ხოლო ქურთების ეროვნული მთავრობის მდგომარეობა სულ უფრო მტკიცე ხდებოდა. ქურთი გლეხები და ვაჭრები გადასახადებს ქურთების ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს უხდიდნენ. ინგლისელმა იმპერიალისტებმა ძლიერ ბევრი ფული დახარჯეს გავლენიანი ქურთი დიდებულების, მათ შორის გავლენიანი ჯაფის ტომის ბელადების (ბეგ-ზადეების) მოსასყიდად. ერაყში ინგლისური ადმინისტრაციის წარმომადგენელი იმასაც კი ჩიოდა, რომ ამის გამო ინგლისელთა ხელისუფლების ხაზინა დაცარიელდა (149, გვ. 304—305).

ინგლისის უმაღლესი კომისრის მოვალეობის შემსრულებელმა ჰენრი დობსმა შეიხ მაჰმუდს გაუგზავნა ულტიმატუმი, რომელშიც მოითხოვდა შეიხ მაჰმუდისა და მისი მთავრობის ყველა წევრის დაუყოვნებლივ ჩამოსვლას ბაღდადში. შეიხ მაჰმუდმა უარყო ინგლისელთა ულტიმატუმი და განაახლა ბრძოლა ინგლის-ერაყის გაერთიანებულ ჯარებთან. შეიხ მაჰმუდმა 1923 წ. იანვარში კავშირი დაამყარა ირანში მცხოვრებ შექაქის ქურთული ტომის ბელადთან ისმაილ ალა სიმოქსთან, რომელიც აჰ დროს ებრძოდა ირანის მთავრობის ჯარებს. მაგრამ ეს კავშირი ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. ინგლისელების ზემოქმედების შედეგად ირანის მთავრობაში შექაქის ტომის ქურთებთან მორიგება¹⁴ დაიწყო და სულეიმანიეში ჩამოსული ისმაილ ალა სიმოქო თავისი რაზმებით კვლავ ირანში გაბრუნდა.

1923 წ. 4 მარტს ინგლისელებმა სულეიმანიეზე ჯერ საჰაერო თავდასხმები ხოლო შემდეგ ფართო შეტევა დაიწყეს. ერთი თვის შემდეგ მათ აიღეს რევანდუზი და განამტკიცეს თავიანთი ხელისუფლება ერაყის ჩრდილო ნაწილში. თურქთა სასაზღვრო რაზმები, რომლებიც აქ იყვნენ შემოჭრილი, იძულებული შეიქნენ თურქეთში დაბრუნებულიყვნენ.

¹⁴ ეს მორიგება ხანმოკლე გამოდგა. შექაქის ტომი შემდგომშიც არა ერთხელ გამოსულა რეზა-შაჰის ადმინისტრაციის წინააღმდეგ.

ნენ. 16 მაისს ინგლისელებმა აიღეს აჯანყებულთა ცენტრი სულეიმანიე, მერე კი სარჩინარი და მაჰმუდის რეზიდენცია ჯაზანა. მაჰმუდი აიძულეს მთებში გახიზნულიყო. მაჰმუდის ყოფილი მოკავშირეები—სურდა-შისა და ყარაზირდის რაიონის გავლენიანი ქურთები ინგლისელთა მხარეზე გადავიდნენ. ამის შემდეგ დაიწყო ერაყ-თურქეთის სასაზღვრო სოფლების „დამშვიდება“. შუა ზაფხულამდე ინგლისელების დამსჯელი ჯარები „აწყნარებდნენ“ აჯანყებულ ქურთებს. შეიხ მაჰმუდი მხოლოდ დრო და დრო ჩამოდრიოდა მთებიდან და თავს ესხმოდა ინგლისელებს სულეიმანიეს რაიონში. ქურთების გამოსვლები განსაკუთრებით გახშირდა 1925 წლის გაზაფხულიდან, როდესაც ერაყში მოსულის ვილაიეთის სადავო საკითხის გადასაჭრელად ერთა ლიგის კომისია ჩამოვიდა. ერაყელი ქურთების აჯანყება ინგლისელებმა საბოლოოდ ჩაახშვეს მხოლოდ 1925 წლის ბოლოს.

მაგრამ ინგლისელებს მაინც ეშინოდათ ქურთების ახალი გამოსვლებისა და იმ მიზნით, რომ თავი დაეზღვიათ ქურთთა ახალი აჯანყებებისაგან, გადაწყვიტეს ისევ გამოენახათ საერთო ენა შეიხ მაჰმუდთან. 1926 წლის ოქტომბერში მათ დაიწყეს მასთან მოლაპარაკება, რომელიც 1927 წ. დამთავრდა მორიგეებით: მაჰმუდი იცხოვრებდა ირანში და არ უნდა ჩარეულიყო ერაყის პოლიტიკურ საქმეებში, სამაგიეროდ იგი მიიღებდა მთელ წლიურ შემოსავალს თავისი კუთვნილი სოფლებიდან, ხოლო მის ვაჟიშვილებს სასწავლებლად ინგლისში გაგზავნიდნენ.

მიუხედავად მარცხისა, ქურთების ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია. ინგლისის და ერაყის მთავრობები იძულებული იყვნენ წასულიყვნენ ზოგიერთ დათმობებზე. ქურთებს შეპირდნენ, რომ მათ წარმომადგენლებს აირჩევდნენ ერაყის საკანონმდებლო კრების (შემდეგ პარლამენტის) შემადგენლობაში, ხოლო დაწყებით სკოლებში მათ ბავშვებს მშობლიურ ენაზე ასწავლიდნენ. მაგრამ ამ მცირე დათმობებმა ვერ დააკმაყოფილა ქურთები. ისინი გამოდიოდნენ მმართველობის არსებული სისტემის წინააღმდეგ (155, გვ. 136).

სევრის ხელშეკრულების 64-ე მუხლი ითვალისწინებდა თურქეთსა და ერაყში მცხოვრებ ქურთების მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. ლოზანის ხელშეკრულება, რომელმაც შეცვალა სევრის ხელშეკრულება ასეთ მუხლს აღარ შეიცავდა. თურქეთის მმართველმა წრეებმა უარყვეს ქურთისტანის გამოცოფის იდეა, მათ ერჩიათ საქმე ჰქონოდათ ქურთებთან თავიანთ სახელმწიფოს შიგნით, ვიდრე მიეღოთ დამოუკიდებელი ქურთისტანის პოტენციური მუქარა ზურგს უკან. შემდგომში ინგლისელებმაც უარი თქვეს თავიანთ განზრახვაზე შეექმნათ ქურთების დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მას შემდეგ, რაც ინგლისის მთავრობამ ნათობით მდიდარი მოსულის ოქჩის სადავო საკითხი გადაჭრა მასზე დამოკიდებული ერაყის სა-

სარგებლოდ და ერაყის მთავრობას ინგლის-ერაყის 1922 წლის ხელშეკრულების მოქმედების ვადა 25 წლით გააგრძელებინა, ლაპარაკი ქურთების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე მას ხელს აღარ აძლევდა. ქურთებით დასახლებული რაიონების გამოყოფა ერაყის მმართველ წრეებსაც არ აინტერესებდათ, ისინი სულ უფრო დაყინებით მოითხოვდნენ ინგლისელებისაგან ერაყის მთლიანობის შენარჩუნებას.

ამრიგად, მიუხედავად ხანგრძლივი და გმირული წინააღმდეგობისა ერაყელი ქურთების 1919—1925 წწ. გამათავისუფლებელი მოძრაობა დამარცხდა. ამ დამარცხების მთავარი მიზეზები შემდეგი იყო: ძალთა უთანასწორობა, დიდი ბრიტანეთის არმიის სამხედრო-ტექნიკური უპირატესობა, ქვეყნის ფეოდალურ-კომპრადორული წრეების მიერ ინგლისის სამანდატო ხელისუფლებისადმი გაწეული დახმარება, მსხვილი ფეოდალებისა და ტომთა ბელადების ერთი ნაწილის კაპიტულაცია და ღალატი, გვაროვნულ-ტომობრივი შუღლი და მტრობა, რომელიც არსებობდა ჯათის, პიედერის, ბარზინჯას, ბარზანის და სხვა გავლენიან ქურთ ტომებს შორის.

ქურთების მოძრაობა შეიხ მაჰმუდის მეთაურობით ერაყში ეს იყო მათი პირველი ცდა მიეღწიათ ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის, შეექმნათ დამოუკიდებელი სახელმწიფო. მიუხედავად შეიხ მაჰმუდის მონარქისტული გეგმებისა, მისმა ლოზუნგებმა ხელი შეუწყვეს ქურთ ხალხთა მასების ჩაბმას ინგლისის იმპერიალისტური უღლის წინააღმდეგ ბრძოლაში. ობიექტურად ეს ბრძოლა ხელს უწყობდა ქურთთა ტომების კარჩაკეტილობისა და პატრიარქალური ცხოვრების რღვევას, იგი ქმნიდა უკეთეს პირობებს ქურთთა უფრო მყარ ნიადაგზე გაერთიანებისათვის. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქურთი ხალხის კლასობრივი შეგნების ზრდისათვის, მან გარკვეული როლი ითამაშა ქურთების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომ განვითარებაში და ქურთ ხალხთა მასების დემოკრატიული ძალების გაერთიანებაში. ამ ბრძოლებში ქურთი ხალხი კიდევ უფრო გამოიწრთო და მიიღო გარკვეული გამოცდილება, რომელიც მან გამოიყენა შემდგომ ანტიიმპერიალისტურ და დემოკრატიულ გამოსვლებში.

1927-29 წწ ერაყის ქურთისტანი ქურთთა მღელვარებებმა მოიცვა, ხოლო 1930 წ. შემოდგომაზე ერაყში ქურთების დიდმა აჯანყებამ კვლავ იფეთქა. ეს აჯანყება გამოწვეული იყო იმ უკმაყოფილებით, რომელიც ქურთებში ინგლის-ერაყის 1930 წ. 30 ივნისს დადებულმა ხელშეკრულებამ გამოიწვია. ახალი ხელშეკრულების ძალით ინგლისის სამანდატო რეჟიმი 1932 წელს უნდა გაუქმებულიყო და ერაყი ფორმალურად დამოუკიდებელი უნდა გამხდარიყო. 1930 წლის ხელშეკრულებამ ფაქტურად გვერდი აუქცია ქურთებს. მასში ქურთების ეროვნული უფლე-

ბები არ იყო გარანტირებული. არცერთ მუხლში არაფერი არ იყო ნათქვამი ქურთთა ავტონომიაზე და მათ ისლა დარჩათ, რომ შეიარაღებული ხელით მოეპოვებინათ იგი.

ჯერ კიდევ აგვისტოს შუა რიცხვებში ქ. სულეიმანიეში მიტინგი გაიმართა. მისმა მონაწილეებმა პეტიციით მიმართეს ერთა ლიგას (163, გვ. 195). ერაყელი ქურთები მოითხოვდნენ დამოუკიდებელი მთავრობის შექმნას ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ. ინგლისელები ფარულად ცდილობდნენ გამოეყენებინათ ქურთების მოძრაობა ერაყის მმართველ წრეებზე ზემოქმედებისათვის. ინგლისის მმართველი წრეები ვარაუდობდნენ, რომ ქურთების ახალი აჯანყება აიძულებდა ერაყის ახალ პარლამენტს, რომელიც 1930 წლის შემოდგომაზე უნდა შეკრებილიყო, უმოკლეს ვადაში მოეხდინა ინგლის-ერაყის ახალი კაბალური ხელშეკრულების რატიფიცირება. ამავე დროს, მათ სურდათ ამ აჯანყებით ეჩვენებინათ ქურთების უნდობლობა ერაყის მაშინდელი მთავრობისადმი და ამით დაესაბუთებინათ ინგლისის სამხედრო ძალების ერთი ნაწილის დატოვების აუცილებლობა ერაყის ტერიტორიაზე, როგორც ეს გათვალისწინებული იყო ახალი ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლით (219, გვ. 222).

მაგრამ ქურთების აჯანყებამ მიიღო იმაზე უფრო ფართო გაქანება. ვიდრე ეს ინგლისელებს სურდათ. იგი გამოვიდა იმ ფარგლებიდან, რომელსაც ინგლისელები ვარაუდობდნენ თავდაპირველად.

ქურთების ამ ახალ აჯანყებას კვლავ შეიხ მაჰმუდი ჩაუდგა სათავეში. მისი ახალი გამოსვლის საბაბი გახდა 1930 წლის სექტემბერში ქურთული ნაციონალიზმის ცენტრში ქ. სულეიმანიეში მომხდარი სისხლისღვრა. 6 სექტემბერს, რომელიც ახალი პარლამენტის არჩევნების დღე იყო, სულეიმანიეში დემონსტრაცია მოეწყო. დემონსტრანტები გამოვიდნენ ლოზუნგებით: „ძირს იმპერიალიზმი“, „თავისუფლება ქურთებს“. ადგილობრივმა პოლიციამ მუთასარიფის მეთაურობით დემონსტრაცია ვერ გარეკა. მოხდა პირიქით, დემონსტრანტებმა უკუაქციეს პოლიციელები და შეიარაღდნენ. მოულოდნელად მშვიდობიანმა საპროტესტო დემონსტრაციამ თანდათან შეიარაღებული აჯანყების ხასიათი მიიღო. აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნეს დამსჯელი ჯარები. მათ შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც მოკლეს რამდენიმე ათეული ქურთი. დიდი ზარალი განიცადეს აგრეთვე მთავრობის ჯარებმა და საპოლიციო ნაწილებმაც. ეს დღე ქურთი ხალხის ისტორიაში შევიდა „როჟა რაშ“-ის („შავი დღე“) სახელწოდებით (95, გვ. 9: 165, გვ. 137).

6 სექტემბრის სისხლისმღვრელმა შეტაკებამ ნიშანი მისცა ქურთების ახალ გამოსვლებს. მთელ ქურთისტანში ქურთმა ნაციონალისტებმა ბრალი დასდეს ინგლისის სამანდატო ხელისუფლებას ამ ხოცვა-ჟლეტის მოწყობაში და ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ იგი მიზნად ისახავ-

და ეროვნული შუღლის გაღვივებას ქურთებსა და არაბებს შორის (152, გვ. 33).

როგორც კი ირანში მყოფმა შეიხ მაჰმუდმა სულეიმანიეში მომხდარი ამბების შესახებ ცნობები მიიღო, სასწრაფოდ შეკრიბა რაზმი თავისი მომხრეებისაგან და ერაყისაკენ გამოემართა. 1930 წ. ოქტომბერში ის უკვე ერაყში იყო. მალე მის გარშემო შემოიკრიბნენ ერაყის მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო ქურთი ოფიცრები და ჯარისკაცები.

შეიხ მაჰმუდმა ინგლისის უმაღლეს კომისარს მოსთხოვა შექმნილიყო ინგლისის კონტროლისადმი დაქვემდებარებული ქურთთა სახელმწიფო¹⁵, ადგილობრივი ქურთული მთავრობით. მაჰმუდი მოითხოვდა ამ ქურთულ სახელმწიფოზე დაწესებულიყო ინგლისის მანდატი. ფაქტიურად მან გაიმეორა 1922 წ. მის მიერ წამოყენებული მოთხოვნები.

შეიხ მაჰმუდს ერაყის მთავრობამ ბრალი დასდო 1927 წ. მიცემული პირობის დარღვევაში და მოსთხოვა მას გასცლოდა ერაყის ტერიტორიას. ამის საპასუხოდ შეიხ მაჰმუდმა მოუწოდა ერაყის ქურთისტანის მოსახლეობას აჯანყებულიყო ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ. 1930 წ. 3 ნოემბერს მაჰმუდის ერთგული რაზმები თავს დაესხნენ ფენჯვინს და დაიკავეს იგი (34, გვ. 296). მოკლე დროში მაჰმუდმა თავისი ხელისუფლება გაავრცელა ერაყის ქურთისტანის დიდ ტერიტორიაზე.

მსხვილი ქურთი ფეოდალები და გავლენიანი ტომების ბელადები ბევრს ცდილობდნენ, რომ დაწყებულ აჯანყებას ანტიინგლისური ხასიათი არ მიეღო. თვითონ აჯანყების ბელადი შეიხ მაჰმუდი ორჭოფულად იქცეოდა. თუ წინათ იგი ინგლისელთა შეუთრგებელი მტერი იყო და აქტიურად გამოდიოდა ინგლისის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად, ახლა მაჰმუდი მიისწრაფოდა შეთანხმებოდა ინგლისელ იმპერიალისტებს და ქურთთა დაწყებული აჯანყებისათვის მიეცა ანტიარაბული ხასიათი. მაჰმუდს თავის ფეოდალური შეზღუდულობის გამო არ ესმოდა, რომ ქურთი ხალხის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და მისი ეროვნული ჩაგვრა პირველ რიგში გამოწვეული იყო ერაყში ინგლისელი იმპერიალისტების ბატონობით. ეს კი ამ ჩაგვრას მიაწერდა მხოლოდ ერაყის რეაქციულ მთავრობას. რაც შეეხება ინგლისელებს, მაჰმუდი მათ სახადა ქურთების მეგობრებად. ეს ყველაფერი თავის დაღს ასვამდა ქურთების მიერ წამოწყებულ აჯანყებას, ანელებდა მას და აფერხებდა აჯანყების შემდგომ გაღრმავებასა და განვითარებას. მაჰმუდის შემრიგებლური და ორჭოფული პოლიტიკა, მისი მერყეობა, ხელს უშლიდა ქურთ ხალხთა მასებს ეცნოთ ინგლისელ იმპერიალისტებში თავიანთი მთავარი მტრები და ნათლად გარკვეულიყვნენ შექმ-

¹⁵ ამ სახელმწიფოს უნდა მოეცვა ტერიტორია, რომელიც გადაჭიმული იყო ზახოდან ხანყინამდე (163, გვ. 194).

ნილ მდგომარეობაში. თუ როგორი იყო ქურთი ფეოდალებისა და ტომების ბელადების დამოკიდებულება ინგლისელებისადმი და ერაყის მთავრობისადმი კარგად ჩანს იმ მიმართვიდან, რომელიც მაჰმუდმა და სხვა ქურთმა დიდებულებმა გაუგზავნეს ერთა ლიგის სამანდატო კომისიას. ამ მიმართვაში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ქურთი ერის წარმომადგენლები ერაყში, გთხოვთ წარუდგინოთ ერთა ლიგას ჩვენი უკანასკნელი განცხადება იმის შესახებ, რომ ჩვენ მეტი აღარ შეგვიძლია ვიცხოვროთ იმ პირობებში, რომლებშიც ჩაგვყენა არაბულმა მთავრობამ. ჩვენ განუწყვეტილად ვანვიცდით უკანონობასა და შევიწროვებას, და უკვე აღარ ძალგვიძს შევაკავოთ ჩვენი ტომები აქტიური მოქმედებისაგან არაბ მჩაგვრელთა წინააღმდეგ“...

„...რადგანაც ბრიტანეთის მთავრობა არ გვიწევს დახმარებას, ჩვენ იძულებული ვართ თვით ვიმოქმედოთ, მაგრამ ჩვენ გვსურს გავაფრთხილოთ ბრიტანეთის მთავრობა, რომ ის ზომები, რომელსაც მიიღებენ ჩვენი ტომების წარმომადგენლები არავითარ შემთხვევაში არ იქნება მიმართული ბრიტანეთის მთავრობის წინააღმდეგ. ჩვენ ყოველთვის მივისწრაფოდით მეგობრულ ურთიერთობის დასამყარებლად ინგლისთან, მაგრამ ვხვდებოდით ცივ უგულებელყოფას. ჰუმანიზმის ინტერესებისათვის ჩვენ უნდა ვუჩვენოთ მთელ მსოფლიოს, რომ ქურთების უძველესი ერი მზადაა, ისე როგორც ერაყის სხვა ჩაგრული ეროვნული უმცირესობანი¹⁶, თავი დაიცივს შემდგომი დამცირებისაგან.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მომავალში დიდი ბრიტანეთი დაიცავს ნეიტრალიტეტს ჩვენს მიმართ და წინ არ აღუდგება ჩვენ სამართლიან მოთხოვნებს“ (200, 15. 1. 1931).

როგორც ვხედავთ ქურთთა ლიდერები ყველა უბედურებას მიაწერდნენ ერაყის მთავრობას. ინგლისელი იმპერიალისტების მიმართ კი კმაყოფილდებოდნენ უმნიშვნელო საყვედურებით: „გულცივი უგულებელყოფისათვის“. აქედან ნათლად ჩანს, რომ ბევრმა ქურთმა ბელადმა და მათ შორის შეიხ მაჰმუდმა დაიჯერა ინგლისელთა დემაგოგიური განცხადებანი ქურთების მიმართ ნეიტრალიტეტის შესახებ და სხვ.

აჯანყების დასაწყისში ინგლისელები ფარულად მხარს უჭერდნენ შეიხ მაჰმუდს და ყოველმხრივ აზვიადებდნენ „ქურთთა საშიშროებას“, რომელიც ვითომდა ემუქრებოდა არაბებს. ინგლისელი აგენტები აწყობდნენ ერაყის არმიის უძღურების თვალსაჩინო დემონსტრაციას. ინგლისელებმა იცოდნენ, რომ დაწყებულ აჯანყებასთან ერაყის მთავრობას არ ძალუძდა საკუთარი ძალებით გამკლავება და უცდიდნენ იმ მომენტს, როცა მთავრობა დახმარებისათვის ინგლისის სამანდატო ხელისუფლებას მიმართავდა. ინგლისელები არ ჩქარობდნენ. ისინი უცდიდნენ ახალი

¹⁶ აქ მაჰმუდი, როგორც ჩანს, ასურელ-ნესტორიანელებს გულისხმობდა.

პარლამენტის არჩევნების შედეგებს. ინგლისის ავიაცია მობილიზებულ მდგომარეობაში იყო და მხოლოდ ნიშანს ელოდა.

მას შემდეგ, რაც ინგლისელთა ზემოქმედებისა და მუქარის წყალობით ერაყის ახლადარჩეულმა პარლამენტმა მოიწონა ინგლის-ერაყის 1930 წლ-ს კაბალური ხელშეკრულება, ინგლისელების დამოკიდებულება შეიხ მაჰმუდისადმი და ქურთთა აჯანყებისადმი საერთოდ მკვეთრად შეიცვალა.

ქურთების აჯანყებამ, მათი აზრით, თავისი როლი შეასრულა, ინგლისელებმა მიაღწიეს თავიანთ მიზანს. აჯანყების შემდგომი გაქანება საშიშროებას უქმნიდა უკვე თვით ინგლისის იმპერიალიზმის ბატონობას ერაყში. ამიტომ ინგლისელებმა სულ მალე ქურთებს ზურგი შეაქციეს, მათთან პოლიტიკური თამაში შეწყვიტეს და აქტიური მონაწილეობა მიიღეს შეიხ მაჰმუდის აჯანყების ჩახშობაში (44, გვ. 39—40).

ერაყის მთავრობამ ფენჯინსა და სურდაშში 1930 წლის დეკემბერში გააგზავნა დამსჯელი ჯარები, რომლებსაც ინგლისის ავიაცია ეხმარებოდა. რვა თვის განმავლობაში მთავრობის დამსჯელი ჯარები და პოლიციის ნაწილები ინგლისელი ოფიცრებისა და ავიაციის თანხლებით აწარმოებდნენ სამხედრო მოქმედებას აჯანყებულ ქურთების წინააღმდეგ. არაბ-ინგლისელთა გაერთიანებულმა ჯარებმა მხოლოდ 1931 წლის ივნისში ჩაახშეს აჯანყება, ხოლო მათი მეთაური შეიხ მაჰმუდი ისევ ტყვედ იგდეს¹⁷.

მაგრამ ქურთთა მოძრაობა ამით არ დამთავრებულა. შეიხ მაჰმუდის აჯანყების ჩახშობიდან ორი თვე არც კი იყო გასული, რომ ერაყის ქურთისტანში კვლავ იფეთქა აჯანყებამ. აჯანყების ალი ამჯერად ბარზანელი ქურთების ტერიტორიას მოედო, აჯანყებას შეიხ აჰმედ ბარზანი მეთაურობდა¹⁸.

შეიხ მაჰმუდისაგან განსხვავებით შეიხ აჰმედი კომპაქტურად დასახლებულ ქურთების ლიდერს წარმოადგენდა. აჯანყებული ბარზანელ ქურთთა ტერიტორია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ძლიერ მიუვალი იყო მთავრობის რეგულარული ჯარებისათვის და ხელს უშლიდა დამსჯელი ექსპედიციების წარმატებით მოქმედებას. მაღალი მთები და ვრცელი, ქვიანი გზები და კლდოვანი მწვერვალები გარკვეულ უპირატე-

¹⁷ მაჰმუდი ჯერ ჩამოყვანეს ბაღდადში, აქ მას ხელი მოაწერიან კაპიტულაციაზე, ხოლო შემდეგ გადაასახლეს ჯერ სამავაში, მერე ნასირიაში (ქვემო ეფერატი) 1941 წ., როდესაც ერაყში ანტიინგლისურმა აჯანყებამ იფეთქა, შეიხ მაჰმუდი გაიქცა სულეიმანიეში. იგი დასახლდა სოფელ დარიეკლში. შეიხ მაჰმუდი გარდაიცვალა ბაღდადში 1956 წ. ოქტომბერში.

¹⁸ იგი იყო ქურთთა დერვიშული ორდენის ნაყშაბანდის ერთ-ერთი მეთაურის თაქ ად-დინის შთამომავალი და როგორც სამხრეთ ქურთისტანის რელოგიური ბელადი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

სობას აძლევდნენ ბარზანელ ქურთებს და მათ თავდაცვას უადვილებდნენ.

ბარზანელთა აჯანყების ჩახშობა ინგლისელებს პირველად არ უხდებოდათ, ბარზანელები თავიანთი ბელადის შეიხ აჰმედის მეთაურობით ერაყში ჯერ კიდევ 1919 წ. აჯანყდნენ¹⁹. მეორე დიდ აჯანყებას ბარზანის მთებში ადგილი ჰქონდა 1927 წ.²⁰ და აი, 1931 წლის ივლისში, ბარზანის მთებში აჰმედმა კვლავ ააფრიალა აჯანყების დროშა. წლის ბოლომდე შეიხ აჰმედი კონტროლს უწევდა ბარზანის რაიონსა და მის მომიჯნავე ტერიტორიას.

ბარზანელთა უკანასკნელი აჯანყება ერთი მხრივ, გამოწვეული იყო ინგლისის სამანდატო ხელისუფლებისა და ერაყის მთავრობის გადაწყვეტილებით—დაესახლებინათ ბარზანელთა კუთვნილ ტერიტორიაზე ასურელი ლტოლვილები, ხოლო მეორე მხრივ, ქურთების ეკონომიკური მდგომარეობის სულ უფრო მზარდი გაუარესებით. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის სუსხი ერაყის ქურთისტანსაც მისწვდა, ლუსიენ რამბოს ცნობით, 1931 წ. თამბაქოს გაყიდვით მიღებული შემოსავალი წინა წლებთან შედარებით 625.000 რუფიიდან 100.000 რუფიამდე შემცირდა (168, გვ. 70). ამან ქურთი გლეხი მეურნეობის სრული გაკოტრება გამოიწვია, ვინაიდან თამბაქო ბარზანელ გლეხთა შემოსავლის მთავარი წყარო იყო. ყველაზე მეტად სწორედ ისინი დაზარალდნენ. გარდა ამისა ინგლისელი იმპერიალისტები და ერაყის მმართველი წრეები სისტემატურად აქეზებდნენ ბარზანელთა წინააღმდეგ მათ მოქიშვე ქურთ ტომებს, აძარაგებდნენ მათ იარაღითა და ფულით. ყოველივე ამან უბიძგა ბარზანელებს დაეწყათ აჯანყება.

ერაყის მთავრობამ აჯანყებულ ბარზანელ ქურთების წინააღმდეგ 1931 წ. დეკემბრის დასაწყისში გააგზავნა დამსჯელი ექსპედიცია. მართალია, მთავრობის ჯარებმა მიაღწიეს აჯანყებულთა სოფლებამდე, მაგრამ აქ აჯანყებულთა ციტადელთან, მათ სასტიკი დამარცხება იგემეს. საექსპედიციო რაზმებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს და თავზარდაცემულებმა უკან დაიხიეს. მათი განადგურება ბარზანელებს არ გაუჭირებოდათ, რომ ინგლისელთა სამხედრო საჰაერო ძალებს დამსჯელი ჯარებისათვის საჭირო დახმარება არ გაეწიათ. ინგლისური ავიაცია აჯანყებულთა სოფლების გრიგალისებურ დაბომბვას ანხორციელებდა. ბარზანელთა რაზმებმა დროებით უკან დაიხიეს და თავი მთებს შეაფარეს.

¹⁹ ამ აჯანყების დროს ბარზანელებმა დახოცეს ინგლისელი ოფიცრები და მათ წინააღმდეგ სამანდატო ხელისუფლებამ გააგზავნა საოკუპაციო ჯარების ექსპედიცია, რომელმაც სასტიკად ჩაახშო ბარზანელთა გამოსვლა.

²⁰ ინგლისელებმა ეს აჯანყებაც დიდი გაქირვებით ჩააქრეს. აქედან დაწყებული შეიხ აჰმედი,—ინგლისელ სამხედრო მოხელის ს. ლონგრივის მოწმობით,—„საშინო ფიგურა გახდა ინგლისელებისათვის“ (163, გვ. 194).

1932 წლის გაზაფხულიდან კი მათ თავიანთი ბრძოლა განაახლეს. ერაყის მთავრობა ცდილობდა დაემალა საზოგადოებრივი აზრისათვის ქურთების აჯანყების ფაქტი. ერაყის მთავარსარდლობა პრესაში აქვეყნებდა ოფიციალურ ცნობებს სათაურით: „შეიხ ბარზანის გადაადგილება“ (234, 2.24. 1933), როგორც ჩანს მთავრობას არ სურდა გაეხმაურებინა როგორც თვით ბარზანელი ქურთების აჯანყების ფაქტი, ისე მის ჩახშობაში ინგლისის ავიაციის აქტიური მონაწილეობაც.

დასაწყისში აჯანყებულებმა იმძლავრეს და მთავრობის ჯარის ნაწილები ერთ-ერთი მთის ვიწრო გასასვლელში მოიპყვედნენ. მიუხედავად ინგლისური ავიაციის დახმარებისა, დამსჯელმა რაზმმა განიცადა დიდი დანაკლისი, დაკარგა დიდძალი სურსათ-სანოვაგე და სამხედრო საჭურველი. მთავრობის დამსჯელი რაზმების მდგომარეობა ერთ მომენტში მეტად კრიტიკული შეიქნა, მაგრამ მას მხსნელებად კვლავ ინგლისელი მფრინავები მოველინენ.

ალყაში მოქცეულ მთავრობის ჯარებს ინგლისელი მფრინავები სურსათ-სანოვაგეს უყრიდნენ და ერთდროულად ინტენსიურად ბომბავდნენ აჯანყებულთა რაიონებს, რითაც დიდ ზარალს აყენებდნენ ბარზანელებს²¹.

1932 წ. შუა ზაფხულში ინგლის-არაბთა გაერთიანებულმა დამსჯელმა ძალებმა შეიხ აჰმედი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენეს. იგი იძულებული შეიქნა თავისი მომხრეებით დაეტოვებინა ერაყის ტერიტორია და გადასულიყო თურქეთში, სადაც თურქ ხელისუფალთ ჩაბარდა.

ამრიგად ქურთების უკანასკნელი დიდი გამოსვლა ერაყში ინგლისის სამანდატო რეჟიმის პერიოდში მარცხით დამთავრდა. ბარზანელი ქურთების დამარცხებამ ქურთთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას მძიმე დარტყმა მიაყენა.

მიუხედავად ქურთთა ხალხის მრავალწლიანი თავდადებული ბრძოლისა, ქურთების ეროვნული მისწრაფება ვერ განხორციელდა. მის განხორციელებას ერაყში ინგლისელები და არაბი რეაქციონერები წინ გადაეღობნენ. ერაყისადმი მინიჭებული ფორმალური დამოუკიდებლობა (1932 წ.) არაბმა მმართველმა წრეებმა გამოიყენეს ქურთების—მათი რაოდენობა უკვე 800 ათასს აღწევდა (156, გვ 91),—ეროვნული ჩაგვრის გასაძლიერებლად. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ შეეზღუდათ ქურთული ენით სარგებლობა. ერაყის ქურთისტანში სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშნეს არა ქურთები, არამედ ქურთული ენის მცოდნე (ხოლო ხშირად არმცოდნე) არაბები. ერაყის მონარქიულ

²¹ აღსანიშნავია, რომ ინგლისური ავიაცია პერიოდს აქონებსაც კი ანადკურებდა (201, 24.9.1932).

მთავრობას განზრახული ჰქონდა ქურთების არაბებთან უფლებებში გა-
თანაბრების საკითხი საბოლოოდ მოეხსნა დღის წესრიგიდან.

ნური ას-საიდმა და სხვა არაბმა რეაქციონერებმა ქურთების კანონიერი მოთხოვნების სრული იგნორირება მოახდინეს. ქურთისტანში ადგილობრივ თანამდებობებზე ქურთების დანიშვნის მოთხოვნა მათ იმ მოტივით უარყვეს, რომ თითქოს იგი ქვეყნის მართვის საერთო ინტერესებს ზიანს მოუტანდა. ფაქტიურად, რეაქციულად განწყობილ არაბ მმართველ წრეებს ეშინოდათ იმისა, რომ ქურთი მოხელეების დანიშვნა ერაყის ქურთისტანში გამოიწვევდა ეროვნული თვითშეგნების შემდგომ გაღრმავებას და გაზრდიდა ქურთთა მისწრაფებას ავტონომიური მმართველობისადმი. ერაყის რეაქციონულ მთავრობას კი სურდა, რომ ეს გრძნობა და მისწრაფება რაც შეიძლება მალე გამქრალიყო (44, გვ. 45).

საბოლოო ჯამში ქურთების მრავალრიცხოვანი თხოვნა დამოუკიდებელი ან ავტონომიური სახელმწიფოს შექმნის შესახებ უპასუხოდ იქნა დატოვებული. ერთა ლიგამ, ინგლისელებმა და ერაყის მმართველმა წრეებმა მოატყუეს ქურთები. ქურთები ერაყში კვლავ ჩაჯრული ეროვნული უმცირესობის მდგომარეობაში დარჩნენ. მათი საკითხი ისევ გადაუჭრელი იყო. ახლო აღმოსავლეთის ოთხ სახელმწიფოს შორის ქურთისტანის დაყოფისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, რომლებმაც თავიანთი მოქმედებით ხელი შეუწყვეს ქურთების ეროვნული ჩაგვრის შემდგომ გაძლიერებას და მათ ფეოდალურ დამონებას.

რაც შეეხება ერაყელ ქურთების აჯანყებათა წარუმატებლობას, იგორამდენიმე მიზეზით იყო გაპირობებული. პირველ რიგში მათი აჯანყებები ლოკალური და სტიქიური ხასიათის იყო. აჯანყებული ქურთები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისაგან გათიშული იყვნენ და ვერ ამყარებდნენ კავშირს ერთმანეთთან. ჯერ კიდევ არ იყო ერთიანი სახელმძღვანელო ცენტრი, რომელიც წარმართავდა ქურთების ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას საერთო კალაპოტით. სუსტი იყო აჯანყებაში გლეხთა მონაწილეობა, ქურთების აჯანყებების დამარცხებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ინგლისელი იმპერიალისტები ერაყის მმართველ წრეებს აქტიურად ეხმარებოდნენ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქურთთა პატრიოტები, გამოდიოდნენ რა ნაციონალიზმის ლოზუნგით, არ ებრძოდნენ უკიდურეს ნაციონალიზტებს, არ ილაშქრებდნენ ნაციონალიზმის მეორე რეაქციული მხარის წინააღმდეგ, რომელიც გამოხატავდა ქურთთა ექსპლოატატორული ზედა ფენების ინტერესებსა და იდეოლოგიას

აჯანყებულ ერაყელ ქურთებს არა ჰქონდათ დაწყობილი მკიდრო კავშირი თურქეთსა და ირანში მოსახლე ქურთებთან, მოძმე არაბ მოსახლეობასთან. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ქურთი მუშათა

კლასი ამ დროს ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა, ხოლო ადგილობრივი ბურჟუაზია კი მეტად სუსტი იყო. ამიტომ ერაყის ქურთისტანის მშრომელებს ხელმძღვანელობდნენ ფეოდალები და შეიხები. მართალია, მათი ხელმძღვანელობით ქურთებმა მიაღწიეს მთელ რიგ წარმატებებს ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში, მაგრამ იგი ყოველთვის თანმიმდევრული არ იყო. რატომ? იმიტომ, რომ ქურთი ფეოდალები, ტომების ბელადები და შეიხები ყოველთვის მზად იყვნენ წასულიყვნენ დათმობაზე და შეთანხმებაზე ინგლისის იმპერიალიზმთან. დაბოლოს, არაბებსა და ქურთებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეგნებული ის ფაქტი, რომ მხოლოდ მათი საერთო ბრძოლა, ფართო ეროვნული ფრონტის შექმნა წარმოადგენდა ერთადერთ გზას, რომელსაც შეეძლო არსებულ პირობებში ერაყის მთელი მოსახლეობა უცხო იმპერიალიზმზე გამარჯვებამდე მიეყვანა. ისინი ამ დასკვნამდე მხოლოდ მეოთხედი საუკუნის შემდეგ მივიდნენ.

ქურთთა მოძრაობა ქემალისტურ თურქეთში

ოსმალეთის იმპერიის დამარცხებამ პირველ მსოფლიო ომში კიდევ უფრო გაზარდა მასში შემავალი ქურთების მისწრაფება თვითგამორკვევისადმი.

დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი კონსტანტინოპოლში ახასიათებდა რა თურქეთში ცხოვრები ქურთების პოლიტიკური ლიდერების პოზიციას, 1919 წ. 18 აპრილს ინგლისის წარმომადგენელს ბალდადში ატყობინებდა, რომ თურქეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, ეროვნებით ქურთმა აბდულ კადირმა გამოიჩინა ინიციატივა და აქ არსებული ქურთთა კომიტეტის სახელით ინგლისის წარმომადგენელს განუცხადა, რომ ქურთებს თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლება და დამოუკიდებლობა სურთ. ბალდადში გამოგზავნილ მეორე დეპეშაში პირდაპირ ნათქვამი იყო, რომ ქურთებმა მოითხოვეს თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა (152, გვ. 21).

ოსმალეთის იმპერიის დაშლამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ქურთების განთავისუფლებისათვის. ომის დამთავრებისთანავე თურქეთში არსებულმა ქურთულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა ინტენსიური პოლიტიკური მუშაობა გააჩაღეს ქურთების დამოუკიდებელი განვითარების სასარგებლოდ. სულ მალე მაშინდელი ქურთი ლიდერები სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. ადგილობრივმა ქურთმა ნაციონალისტებმა შერიფ ფაშას მეთაურობით პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ქურთების დელეგაცია გააგზავნეს. პარიზში ინგლისელებმა გარკვეული მიზნით მხარი დაუჭირეს ქურთ ნაციონალისტების მოთხოვნებს და მათი ზეგავლენით კონფერენციამ დადებითი პასუხი გასცა ქურთების წარმო-

მადგენლებს. ყოველივე ეს სათანადოდ აისახა კიდევ 1920 წ. ხელმოწერილ სევრის საზავო ხელშეკრულებაში.

სევრის საზავო ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო, რომ ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენლები, სევრის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 6 თვის შემდეგ, ქურთებით დასახლებული ტერიტორიისათვის შეადგენდნენ ავტონომიური მმართველობის პროექტს²². ქურთების ამ ავტონომიურ სახელმწიფოს უნდა მოეცვა მდ. ევფრატის აღმოსავლეთით, სომხეთის სამხრეთით და თურქეთ-სირიისა და თურქეთ-მესოპოტამიის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია.

აღნიშნული ტერიტორია უნდა დაეთვალეირებინათ პროექტის შემდგენელი კომისიის წევრებს ქურთებისა და ირანის მთავრობის წარმომადგენლების თანხლებით. თუ მოსალოდნელი იქნებოდა რაიმე ცვლილებები თურქეთ-ირანის საზღვარზე, იგი უნდა მომხდარიყო თურქეთის ტერიტორიის ხარჯზე (25, გვ. 24—25).

სევრის ხელშეკრულების 63-ე მუხლი ხაზს უსვამდა იმას, რომ თურქეთის მთავრობა ვალდებული იყო 3 თვის განმავლობაში შეესრულებინა აღნიშნული კომისიის რეკომენდაციები. თუ სევრის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსახლე ქურთი ხალხი თურქეთიდან გამოყოფასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნას მოითხოვდა, მაშინ ერთა ლიგას უნდა დაექმყოფილებინა ეს მოთხოვნა, ხოლო თურქეთი ვალდებული იყო დათანხმებოდა ერთა ლიგის საბჭოს გადაწყვეტილებას. მოკლედ ეს იმას ნიშნავდა, რომ თურქეთის მთავრობას უარი უნდა ეთქვა ქურთებით დასახლებულ ტერიტორიაზე. ამავე დროს ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ განაცხადეს, რომ მხარს დაუჭერდნენ დამოუკიდებელ ქურთისტანის შემადგენლობაში მოსულის ვილაიეთში მცხოვრებ ქურთების შესვლას (161, გვ. 58).

აღსანიშნავია, რომ სევრის ზავის ავტორებმა ქურთების დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის გამოყვეს ის ტერიტორია, რომელიც ძალიან მკაცრი კლიმატური პირობებით ხასიათდებოდა და რომელიც არ შეიცავდა ნავთობის საბადოებს. ქურთისტანის ის ნაწილი, რომელიც ნავთობით იყო მდიდარი, უნდა დარჩენილიყო ირანისა და ერაყის შემადგენლობაში.

სევრის ხელშეკრულებაში ქურთთა საკითხის შეტანა სევრის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოების „კეთილი“ განზრახვით კი არ იყო

²² ამავე პროექტში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ავტონომიურ ქურთისტანის ტერიტორიაზე მოსახლე ასურელ-ქალდეველების ეროვნულ უფლებათა გარანტია.

ნაკარნახევი (ეს საკითხი კონფერენციაზე დამოუკიდებლად არც დასმულა). არამედ იმ ახალი პოლიტიკური ვითარებით, რომელიც შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ზეგავლენით.

ომში გამარჯვების შემდეგ ანტანტის ქვეყნები ჩქარობდნენ დაპატრონებოდნენ ოსმალეთის იმპერიის იმ ტერიტორიებს, რომლებიც განაწილებული იყო ჯერ კიდევ ომის მსვლელობის დროს (საიკს-პიკოს შეთანხმება). ქურთებით დასახლებული ტერიტორიის გამოყოფა თურქეთიდან ლოგიკურად მისი ტერიტორიის შემცირებას გამოიწვევდა. ასეთივე პოზიციებიდან წყდებოდა ე. წ. მოსულის საკითხი ლოზანის კონფერენციაზე (1923). თვით ქურთი ხალხის წარმომადგენელი არცერთ კონფერენციაზე არ დაუშვიათ (124 ა, გვ. 10).

ასეთი იყო ანტანტის ქვეყნების მიერ შექმნილი ქურთების დამოუკიდებელი სახელმწიფოს პროექტი. მაგრამ მის განხორციელებას ბედი არ ეწერა. პოლიტიკურად მომძლავრებულმა ქემალისტებმა კატეგორიულად უარყვეს სეერის ხელშეკრულება და ქურთების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის გეგმებიც ჩაიშალა. განამტკიცეს რა თავიანთი მდგომარეობა ქვეყნის შიგნით, თურქეთის რესპუბლიკის მაშინდელმა მესვეურებმა აშკარა შოვინისტური პოზიცია დაიკავეს თურქეთში მოსახლე მილიონობით ეროვნულ უმცირესობათა და მათ შორის ქურთების მიმართ.

თავიანთი დამოკიდებულება ეროვნული უმცირესობისადმი ქემალისტებმა ჩამოაყალიბეს ჯერ კიდევ 1920 წ. 28 იანვარს ე. წ. „ეროვნულ ალთქმაში“, რომელშიც ნათქვამი იყო: „ოსმალეთის იმპერიის იმ ნაწილის ბედი, რომელიც არაბებითაა დასახლებული, უნდა გადაწყდეს მოსახლეობის თავისუფალი გამოკითხვით. დანარჩენი ნაწილი, რომელიც დასახლებულია ოსმალურ-მუსლიმური უმრავლესობით, გაერთიანდება რელიგიურ და რასობრივ საფუძველზე... იგი შეადგენს ერთ მთელს და მისი გაყოფა ყოვლად დაუშვებელია“ (161, გვ. 58).

როგორც ვხედავთ ამ დეკლარაციაში ლაპარაკია არა თურქ-მუსლიმთა უმრავლესობაზე, არამედ ოსმალურ-მუსლიმურ უმრავლესობაზე. ქემალისტებმა განგებ არ იხმარეს პირველი სახელწოდება, რადგანაც მაშინ იძულებული იქნებოდნენ ელიარებიანათ ქურთ-მუსლიმთა უმცირესობის არსებობაც, რაც მათთვის არახელსაყრელი იყო. ამიტომაც ისინი ლაპარაკობენ ოსმალურ-მუსლიმურ მოსახლეობაზე, რომლის შემადგენლობაში თურქების გარდა თვითნებურად ქურთებიც შეიყვანეს. ამრიგად, —ახალი თურქეთის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა უკვე მაშინ აშკარად უგულვებელყვეს ის ფაქტი, რომ ქურთები თურქები არ არიან.

ჯერ 1922 წ. სულთანათის, ხოლო შემდეგ 1924 წ. ხალიფათის გაუქმებამ საგრძნობლად შეარყია ქურთი შეიხებისა და აღების პრივილეგი-

რებული მდგომარეობა. თურქეთში შარიათის სასამართლოების გაუქმებამ ნიადაგი გამოაცალა შეიხების შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროს და შეზღუდა მათი პოლიტიკური ხელისუფლება. გარდა ამისა, ადმინისტრაციულ თანამდებობებზე ქურთისტანში ნიშნავდნენ რეაქციულ თურქ მოხელეებს, რომელნიც გამდიდრების წყურვილით იყვნენ შეპყრობილი და ამ მხრივ ხელს უწყობდნენ კორუფციას სახელმწიფო ადმინისტრაციაში (65, გვ. 122).

ახალი ხელისუფლების მიერ გატარებულმა ამ ღონისძიებებმა ქურთი შეიხების, აღებისა და ბეგების უკმაყოფილება გამოიწვიეს. ქემალისტური მთავრობის მიერ მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ქურთი ტომების ბინადარ ცხოვრებაზე გადაყვანის პოლიტიკა ამ უკმაყოფილებას კიდევ უფრო ზრდიდა (100, გვ. 159).

ლოზანის ხელშეკრულების²³ მე-5 მუხლის თანახმად, თურქეთის მთავრობას უნდა ელიარებინა ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი, მაგრამ ხელშეკრულებაში ეს უფლებები დაზუსტებული არ იყო. ამიტომ თურქეთის მაშინდელმა მთავრობამ არა მარტო არ დაიცვა ლოზანის ხელშეკრულების მე-5 მუხლი, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრა. ქურთების ცდამ გამოიყენებინათ ეს მუხლი თავიანთ სასარგებლოდ თურქი მმართველი წრეების ისეთი გაბრაზება გამოიწვია, რომ მათ ქურთების კულტურული ორგანიზაციები დახურეს, ხოლო თურქეთში მოსახლე ქურთთა ხელმძღვანელები დააპატიმრეს.

ქემალისტური მთავრობის შოვინისტური პოლიტიკა და მის მიერ ქურთების ეროვნული მისწრაფებების უგულუბელყოფა იწვევდა ქურთი ხალხის სამართლიან გულისწყრომას, რომელიც ხშირად აჯანყებაში გადადიოდა. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1920 წელს, როცა ქურთებისათვის ქემალის ანტიქურთული პოზიცია ნათელი შეიქნა, დერსიმის ოლქის კოჩ-კირის რაიონში ადგილობრივი ქურთების მღელვარება დაიწყო. მალე იგი აჯანყებაში გადაიზარდა. ქემალის მთავრობამ მსხვილი სამხედრო შენაერთები გააგზავნა აჯანყებული ქურთების წინააღმდეგ. თურქთა დამსჯელმა ექსპედიციამ ნურ ად-დინ ფაშას მეთაურობით სასტიკად ჩაახშო დერსიმის ქურთების ეს აჯანყება (152, გვ. 24).

ამრიგად უკვე 20-იანი წლების დასაწყისში ქურთთა საკითხი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა ქემალისტური მთავრობისათვის. თურქეთის მთავრობა ყველა ზომებს მიმართავდა იმისათვის, რათა იგი თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა.

თურქეთის მთავრობის საშინაო პოლიტიკით გამოწვეული ქურთების

²³ ლოზანის ხელშეკრულებამ, რომელსაც ხელი მოაწერეს 1923 წლის 14 ივლისს, ფაქტიურად შეცვალა სევრის ხელშეკრულება.

უკმაყოფილება ინგლისელებმა მარჯვედ გამოიყენეს და დაიწყეს ქურთების წაქეზება ქემალისტური რეჟიმის წინააღმდეგ. ინგლისის მმართველი წრეების ეს პოლიტიკა გამოწვეული იყო არა ქურთი ხალხის ბედობაზე ზრუნვით, არამედ მოსულის ოლქის სადავო საკითხის მოახლოებული განხილვით. იგი დაკავშირებული იყო ე. წ. მოსულის კრიზისთან. რა თქმა უნდა ინგლისელმა აგენტებმა დიდი როლი შეასრულეს ქურთებისა და თურქების დაპირისპირებაში, მაგრამ არ შეიძლება, რომ თურქეთში დაწყებული ქურთთა აჯანყება მთლიანად იმპერიალისტთა ხრიკებს მივაწეროთ. ეს აჯანყება ძირითადად გაპირობებული იყო თურქეთის შინაგანი განვითარებით და იმ ცვლილებებით, რომელიც მოხდა მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.

ინგლოსელებმა მხოლოდ გააღვივეს ის წინააღმდეგობა, რომელიც უკვე არსებობდა თურქეთის მმართველ ხროვასა და ქურთ გვაროვნულ-ტომობრივ დიდკაცობას შორის, თურქეთის ბურჟუაზიულ-მემამულურ წრეებსა და ქურთ მშრომელ მასებს შორის. რესპუბლიკურ თურქეთში არსებულ ამ სოციალურ წინააღმდეგობას დაემატა თურქთა შოვინისტური პოლიტიკა, მძიმე ეროვნული ჩაგვრა, რომელსაც განიცდიდნენ არა მარტო ქურთი გლეხები, არამედ ქურთული ტომების პრივილეგირებული ფენებიც. ყოველივე ამან განაპირობა ქურთი ხალხის ის დიდი უკმაყოფილება, რომელიც სულ მალე დიდ და მრისხანე აჯანყებაში გადაიზარდა. ქურთთა ეს აჯანყება დაახლოებით 8 თვეს გაგრძელდა. ეს აჯანყება ისტორიაში ცნობილია მისი მეთაურის შეიხ საიდის სახელით. შეიხ საიდი სასულიერო პირი (სეიდი) იყო და, ბუნებრივია, რომ ეს აჯანყება რელიგიურ საბურველში იყო გამოხვეული. შეიხ საიდის აჯანყება ხანგრძლივი დროის მანძილზე მზადდებოდა.

შეიხ საიდის აჯანყების მომზადებაში გარკვეული როლი შეასრულეს 1920-1925 წწ. შექმნილმა ქურთთა კომიტეტებმა. ამ კომიტეტებს ქურთი ინტელიგენტები და ოფიცრები მეთაურობდნენ. ისინი გამოსული იყვნენ სასულიერო და ფეოდალური წრიდან. ოფიციალურად ეს კომიტეტები ატარებდნენ ასეთ სახელწოდებას: „ქურთისტანის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების კომიტეტი“. ქურთთა ეს კომიტეტები არსებობდნენ ალექოში, ერზურუმში, სტამბოლში, ბაღდადში, მოსულსა და კირკუმში. მათგან ყველაზე უფრო დიდი და აქტიური მოქმედი ერზურუმის კომიტეტი იყო.

ერზურუმის კომიტეტი ჯერ კიდევ 1922 წ. შეიქმნა პოლკოვნიკ ხალიდ ბეის ხელმძღვანელობით (65, გვ. 122). ამ კომიტეტმა დაამყარა კავშირი დერსიმის ქურთებთან. თავისი არსებობის პირველ წლებში კომიტეტი ეწეოდა განათლების პროპაგანდას ქურთ მოსახლეობას შორის, იგი ბეჭდავდა და აქვეყნებდა ქურთულ წიგნებს, ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას და სხვ. კომიტეტთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს

ქურთთა სტუდენტებმა, ოფიცრებმა და მოხელეებმა, რომლებიც მსახურობდნენ სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებში. ხალიდ ბეის გარდა ერზურუმის კომიტეტს სათავეში ედგა კიდევ იუსუფ ზია (დებუტატი ბითლისიდან). ერზურუმის კომიტეტს ჰყავდა თავისი ორგანიზაციები ბი:ლისში, დარახანში, ელიაზიგში, დიარბაქრში, ურფასა და სირთში. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ ქურთთა 1925 წ. აჯანყებას თურქეთში აქტიურად ამზადებდა აგრეთვე ადგილობრივი ქურთი ინტელიგენციაც. მაგრამ ამ კომიტეტის მუშაობას, ისევე როგორც მის მსგავს სხვა ქურთული კომიტეტების მოღვაწეობას, მრავალი ნაკლი ახასიათებდა. მთავარი მანც ის იყო, რომ ამ კომიტეტებმა ვერ შესძლეს ქურთი ხალხის შეკავშირება, მათ არა ჰქონდათ მოქმედების ერთიანი გეგმა. აჯანყების დაწყების წინ არ იყო გამომუშავებული გარკვეული სტრატეგია და ტაქტიკა.

ქურთთა აჯანყება დაიწყო 1925 წ. თებერვლის შუა რიცხვებში. აჯანყების მეთაურებმა გამოაცხადეს ლოზუნგები: „ქურთისტანის დამოუკიდებლობა“, „უკან სახალიფოსაკენ“.

აჯანყების მომზადებისათვის კონკრეტული მუშაობა გასწია ერზურუმის კომიტეტმა, რომელმაც მიმართა მოწოდებით ადგილობრივ ქურთ მოსახლეობას. ამ მოწოდებაში ნათქვამი იყო, რომ უქმდებოდა ქურთი გლეხებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გადასახადი „აშარი“ (მეათედი); ამავე დროს ადგილობრივ ქურთებს კომიტეტი თხოვდა მოემარაგებინა აჯანყებულები საჭირო სურსათ-სანოვაგით. ქურთი გლეხობა სიხარულით გამოეხმაურა ამ წინადადებას. ბევრი მათგანი იარაღით ხელში გამოვიდა აჯანყებულთა მხარდასაჭერად.

1925 წ. გაზაფხულზე მთელი ქურთისტანი აჯანყებამ მოიცვა. აჯანყებულებმა პირველად გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. ორი თვის განმავლობაში მათ დაიკავეს ქალაქები: ხარფუთი, არლანი, მალაზგირდი და სხვა. 7 მარტს აჯანყებულმა ქურთებმა დაიკავეს დიარბაქრი, აჯანყების ალი ემუქრებოდა აღმოსავლეთის სხვა პროვინციებსაც.

ქურთთა აჯანყების წარმატებამ თურქეთის მთავრობის კრიზისი გამოიწვია. 1925 წლის 3 მარტს მთავრობის თავმჯდომარე ფათჰი ბეი, რომელსაც ბრალი დადეს იმაში, რომ ენერგიულად არ მოქმედებდა აჯანყებული ქურთების წინააღმდეგ, გადადგა. ახალ მთავრობას ისმეთ ინენიუ ჩაუდგა სათავეში. მთავრობის ახალმა მეთაურმა თურქეთის მეჯლისის მიაღებინა სპეციალური კანონები, რომელთა თანახმად აჯანყებით მოკულ რაიონებში გამოცხადებულ იქნა სამხედრო მდგომარეობა. ერთდროულად დახურეს მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილი გაზეთები, შეიქმნა ახალი სასამართლოები.

1925 წ. 4 მარტს თურქეთის მეჯლისმა მიიღო სპეციალური კანონი წესრიგის დაცვის შესახებ. ამ კანონით თურქმა ადგილობრივმა ხელი-

სუფლებამ განსაკუთრებული უფლებები და რწმუნებები მიიღო. ქემალ ათათურქმა მოიწონა მთავრობის მოქმედების ეს გეგმა. ამავე დროს გამოაცხადეს თურქეთის არმიის მე-5 კორპუსის ნაწილობრივი მობილიზაცია. მობილიზებულმა ნაწილებმა ალყა შემოარტყეს აჯანყებით მოცულ რაიონებს.

გარდა ამისა, თურქეთის მთავრობამ საფრანგეთის სამანდატო ხელისუფლებას სირიაში სთხოვა ნება დაერთო რკინიგზით გაეტარებინა დამსჯელი ჯარები სირიის მხრიდან. საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა სირიაში თურქეთის მთავრობის თხოვნა დააკმაყოფილა (173, გვ. 83). მთავრობის ჯარების წარმატებას ამ გარემოებამაც ხელი შეუწყო.

აჯანყებულებს თავიანთ განკარგულებაში 20 ათასიანი შეიარაღებული ლაშქარი ჰყავდათ, მაშინ როდესაც მათ წინააღმდეგ თურქთა რეგულარული 80 ათასიანი არმია მოქმედებდა (153, გვ. 52). დიდი განსხვავება იყო აგრეთვე შეიარაღებაშიც. აღსანიშნავია, რომ თურქეთის მთავრობამ თვისი ჯარების შეიარაღებაზე დაახლოებით 20 ათასი მილ. თურქული ლირა დახარჯა. მალე კარგად შეიარაღებულმა თურქულმა ჯარებმა შეაეიწროვეს აჯანყებულები, გატეხეს მათი წინააღმდეგობა მუშისა და ხარფუთის რაიონებს შორის, ხოლო აპრილის შუა რიცხვებში დაიკავეს აჯანყების მთავარი რაიონები.

აჯანყების 46 ხელმძღვანელი, მათ შორის შეიხი საიდი და ხალიდ ბეი სიკვდილით დასაჯეს დიარბაქრში (152, გვ. 25).

სასამართლოს საბოლოო სხდომაზე ქურთების აჯანყების ხელმძღვანელებს მისმა თავმჯდომარემ შემდეგი სიტყვებით მიმართა: ზოგ თქვენგანს ეგოიზმი ამოძრავებდა, სხვებს პოლიტიკური პატივმოყვარეობა, მაგრამ ყოველი თქვენგანი გაერთიანდით ერთ საკითხში—დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნის საკითხში—და თქვენ დაიწყეთ. ამიტომაც საბრძოლველად უნდა გამოისყიდოთ დანაშაული (168, გვ. 27; 143, 26).

ასე სასტიკად თურქეთის მთავრობა მართო აჯანყების მეთაურებს როდი გაუსწორდა. მთავრობის მკაცრი რეპრესიების მსხვერპლი აჯანყების რიგითი მონაწილეებიც გახდნენ, მათი სოფლები მთლიანად დაანგრიეს და გააპარტახეს. თურქეთის ქურთისტანის ტერიტორიის დიდი ნაწილი მოკლულ ქურთთა გვამებით იყო მოფენილი. კლავდნენ ქალებსა და ბავშვებსაც, ანადგურებდნენ ნათესებს. ყოველივე ამას თურქები ასრულებდნენ წმინდა სამხედრო ოპერატიულობით. 1925/26 წწ. დანგრეულ იქნა ქურთთა 206 სოფელი, დაწვეს 8758 სახლი, მოკლეს დაახლოებით 15 ათასი მშვიდობიანი მაცხოვრებელი (ქალები, ბავშვები, მოხუცები). აჯანყების ჩახშობა თურქეთის მთავრობას დაუჯდა 20 მილ. გირვანქა სტერლინგი (143, გვ. 26; 162, გვ. 28; 70).

აჯანყების ჩახშობის შემდეგ თურქეთის მთავრობამ დაიწყო ქურთების გადასახლება ქვეყნის შუაგულსაკენ. ამ ღონისძიებით თურქეთის

მმართველ წრეებს სურდათ გაეთიშათ და დაექსაქსათ ქუროები, მოეწყვიტათ მათი ერთი ნაწილი საერთო მასისაგან, მშობლიური მხარისაგან. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მამაკაცებისა და ვაჟების გადმოსახლებას. ვანიდან, ღიარბაქრიდან, ელიაზიგიდან, მუშიდან, ბითლისიდან და სხვა ადგილებიდან თურქეთის შუა ნაწილში გადმოსახლეს ათასობით ბავშვი. გადმოსახლება ისე ცუდად იყო ორგანიზებული, რომ მრავალი მათგანი გზაში დაიღუპა შიმშილის და ავადმყოფობისაგან. ხშირად თვით თურქები ფარულად კლავდნენ ქურო ბავშვებს. თურქმა ხელისუფლებამ სპეციალური ბრძანება გამოსცა იმის შესახებ, რომ ყველივე ეს საიდუმლოდ შეენახათ.

თურქთა დამსჯელი ჭარების სიმკაცრემ და ძალადობამ ყველა მოლოდინს გადააქარბა. 1925 წ. 6 აგვისტოს ასურელთა საზოგადოების მიერ ერთა ლიგის სახელზე გაგზავნილ პეტიციაში თურქთა ძალადობა შემდეგნაირად იყო აღწერილი: „ქუროებსა და ასურელებს არ შეუძლიათ გამოვიდნენ თავიანთი სოფლებიდან, მათი ქონება გაძარცვლია, ჯოგები გარეკეს, ქალები გააუბატიურეს ქმრების თვალწინ“. შემდეგ აღნიშნული იყო, რომ თურქეთის ხელისუფლება არავითარ ანგარიშს არ უწყევს ლაზანის ხელშეკრულების მე-5 მუხლს, რომლითაც გარანტირებული იყო თურქეთში მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა უფლებები (65, გვ. 124).

აჯანყების ჩახშობის შემდეგ თურქეთის მმართველი წრეები ავრცელებდნენ ვერსიას იმის შესახებ, რომ ქუროთა მოძრაობა რეაქციულ ფანატიზმს წარმოადგენდა, რომ იგი უცხო იმპერიალისტური სახელმწიფოების წაქეზებით იყო გამოწვეული. მაგრამ აჯანყებულთა ხელმძღვანელების სასამართლო პროცესმა გვიჩვენა, რომ ეს ვერსია სინამდვილეს არ შეეფერებოდა. აჯანყების ხელმძღვანელებს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს არა რელიგიური ფანატიზმის გამო, არამედ იმისათვის, რომ ისინი მოითხოვდნენ შექმნილიყო „დამოუკიდებელი ქუროთისტანი“. თუმცა არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ინგლისის იმპერიალიზმის პროეოკაციულმა, წამქეზებლურმა ხრიკებმა თავისი როლი შეასრულეს ქუროების აჯანყების ზოგიერთი ხელმძღვანელის რეაქციული იდეოლოგიის გამოუმუშავებაში.

1927 წ. იენის თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ოფიციალურად მიიღო კანონი ქუროების აღმოსავლეთ ვილაიეთებიდან დასავლეთ ვილაიეთებში გადასახლების შესახებ. ამ კანონის საფუძველზე ორი წლის განმავლობაში დასავლეთ ვილაიეთებში გადასახლებულ იქნა მრავალი ათასი ქურო, რომელმაც მონაწილეობა მიიღო 1925 წ. აჯანყებაში. ამრიგად ქუროების დევნა და მათი ფიზიკური მოსპობა თურქეთის მთავრობის სახელმწიფო პოლიტიკად გადაიქცა.

ფირანის ტომის ქუროების აჯანყებას ორი წლის შემდეგ მოყვა აჯ-

რი-დადის ქურთების აჯანყება. ეს აჯანყება უკეთ იყო ორგანიზებული, ვიდრე წინა აჯანყება. აჯანყებულთა სამხედრო რაზმებს იხსან ნური ფაშა²⁴ მეთაურობდა, ხოლო სამოქალაქო ადმინისტრაციას იბრაჰიმ ხასკი განაგებდა (152, გვ. 25).

თურქეთის მთავრობამ ჩაშალა მშვიდობიანი მოლაპარაკება აჯანყების ხელმძღვანელებთან. მან უარი განაცხადა ქურთების ეროვნული უფლებების ცნობაზე, ბრძოლებმა აგრი-დაღში ერთ წელზე მეტ ხანს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში აჯანყებულებსა და მთავრობის რეგულარულ ჯარის ნაწილებს შორის მოხდა რამდენიმე სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომლის დროსაც ქურთებმა დაატყვევეს მრავალი თურქი ოფიცერი და ხელთ იგდეს დიდძალი საომარი საჭურველი. თურქებმა აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოიყენეს ავიაციაც. ქურთებმა შეძლეს რამდენიმე თვითმფრინავის ჩამოგდება (173, გვ. 83), ისინი მხოლოდ მას შემდეგ დანებდნენ, როცა მათი ძალები მთლიანად გამოიფიტა, აჯანყების ხელმძღვანელი იხსან ნური ირანში გადაიხვეწა.

ამ აჯანყების დამარცხება ძვირად დაუჯდა თურქეთში მოსახლე ქურთებს. სულ დაზარალდა 165 სოფელი, დაწვეს 7716 სახლი და დაიღუპა 8644 ქურთი. დაღუპულთა უმრავლესობას ბავშვები, ქალები და მოხუცები შეადგენდნენ. მამაკაცების დიდი ნაწილი ბრძოლებში დაეცა, ნაწილი კი მთებში გაიქცა.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ თურქებმა ხელი მიყვეს ქურთთა თანდათანობით მოსპობისა და თურქებთან მათი ასიმილაციის პოლიტიკას. ქურთული ენა ოფიციალურად აიკრძალა, ადგილობრივ მოსახლეობას ქურთული წიგნები ჩამოართვეს და დაწვეს. სიტყვა „ქურთი“ და „ქურთისტანი“ ამოაგდეს ყველა სახელმძღვანელოდან. ქურთისტანი იზოლირებულ იქნა გარე სამყაროსაგან. უცხოელებს აეკრძალათ იქ მოგზაურობა, ამიერიდან ქურთები მოხსენებელი უნდა ყოფილიყვნენ როგორც „მთის თურქები“.

შეიხ საიდის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ქემალისტური მთავრობის მიერ დევნილმა ქურთმა დიდებულებმა საზღვარგარეთ დაქსაქსული და სპორადულად მოქმედი ქურთული პოლიტიკური ჯგუფები ერთ ორგანიზაციად შეაკავშირეს და მას „ჰოიბუნი“ უწოდეს, „ჰოიბუნის“ დამფუძნებელი კონგრესი შედგა არალეგალურად ლიბანში (ბიჰამდუნში)

²⁴ იხსან ნური ფაშა დაიბადა ბითლისში, სწავლობდა თურქეთის სამხედრო აკადემიაში (სტამბოლში), როგორც თურქეთის არმიის ოფიცერი მონაწილეობდა ბერძენების წინააღმდეგ ომში, იყო სივასის კონგრესის მონაწილე. სამხედრო საქმის კარგი ცოდნისათვის ქურთებმა იგი თავიანთ მთავარსარდლად აირჩიეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იხსან ნური ცხოვრობდა თეირანში, სადაც 1955 წ. გამოსცა წიგნი ქურთების ძველი ისტორიის შესახებ — „თარიჰე რაშიდ ქოორდ“ (142, გვ. 40).

1927 წ.²⁵ ქურთთა ამ ახალ პარტიაში ძირითადად ემიგრანტი ქურთი ფეოდალები, მემამულეები და ინტელიგენტები შედიოდნენ (153, გვ. 53).

პარტია „ჰობუნის“ აშკარა სამხედრო-პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. მისი პროგრამა მოითხოვდა ქურთისტანის ერთიანი პარტიის შექმნას, შეიარაღებული აჯანყების მომზადებას ქემალისტური მთავრობის წინააღმდეგ, მთავარსარდლის არჩევას, ერაყის, სირიისა და ირანის მთავრობებთან კარგი ურთიერთობის დამყარებას. აქვე ნათქვამი იყო, რომ ერაყსა და სირიაში ქურთები კულტურული ავტონომიის მოთხოვნით უნდა შემოფარგლულიყვნენ (145, გვ. 684). ირან-თურქეთს შორის არსებული ტრადიციული, რელიგიური შუღლიდან²⁶ გამომდინარე „ჰობუნის“ ხელმძღვანელები ირანის მაშინდელ მთავრობაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და თავიანთ მოკავშირედ მიიჩნევდნენ.

ქურთული ნაციონალიზმის ახალი შტაბის მეთაურებმა აგრი-დაღში. მდებარე ქურთ აბა ქურთისტანის დროებით დედაქალაქად გამოაცხადეს. „ჰობუნის“-ს პროგრამაში ხაზგასმით ნათქვამი იყო, რომ იგი აღსავსეა სურვილით აწარმოოს დაუცხრომელი ბრძოლა თურქების წინააღმდეგ, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას ქურთი ნაციონალისტები ყოველთვის თანმიმდევრულად არ იცავდნენ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ვერ ხედავდნენ განსხვავებას თურქეთის რეაქციულ წრეებსა და მშრომელ მასებს შორის. ქურთებისადმი მიმართულმა მათმა მოწოდებამ ებრძოლათ ყველა თურქის წინააღმდეგ, უარყოფითად იმოქმედა ქურთთა გამათავისუფლებელი ბრძოლის განვითარებაზე და საბოლოოდ სხვა მიზეზებთან ერთად განაპირობა მისი წარუმატებლობა.

„ჰობუნის“ პარტია მიზნად ისახავდა ყველა ქურთის გაერთიანებას ბურჟუაზიულ-ნაციონალურ სახელმწიფოში. მის წევრებს არ ესმოდათ, რომ ქურთთა საკითხის სამართლიანი გადაჭრა შეიძლებოდა მხოლოდ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთის ყველა ხალხის საერთო ბრძოლის წარმოებით. ჰობუნელებმა უარყვეს კავშირი არაბულ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან. მათ კავშირი დაამყარეს რეაქციულ დაშნაკთა პარტიასთან²⁷. ის ფაქტი, რომ „ჰობუნის“ დაშნაკების ბანაკში აღმოჩნდა, ამ პარტიის სოციალური ბუნებიდან გამომდინარეობდა და საბოლოო ჯამში ამ გარემოებამ ხელი შეუშალა მას

²⁵ საბჭოთა ქურთმცოდნე მ. ლაზარეუს მიაჩნია, რომ ეს კონგრესი შედგა დეტროიტში (აშშ) 1927 წ. გაზაფხულზე (იხ. 100, გვ. 164), მაგრამ ოფიციალურად „ჰობუნის“ დაარსდა 1927 წ. 5 ოქტომბერს ლიბანში.

²⁶ თურქები სუნიტები იყვნენ, ირანელები კი შიიტები.

²⁷ აღსანიშნავია, რომ „ჰობუნის“ დამფუძნებელ კონგრესს ლიბანში ესწრებოდა დაშნაკური პარტიის ლიდერი ვ. პაპაზიანციც (153, გვ. 53).

თანამშრომლობა დაეწყო ახლო აღმოსავლეთის ხალხების დემოკრატიულ მოძრაობასთან.

თავდაპირველად „ჰობზუნის“ მიერ ნაციონალისტური იდეების პროპაგანდას ბევრმა ქურთმა ტომის ბელადმა დაუჭირა მხარი. მათ შორის ისეთმაც, რომელიც წარსულში ცნობილი იყო თავისი ერთგულებით თურქეთის სულთან აბდულ ჰამიდ II-ის რეჟიმისადმი²⁸. ქურთი ბეგები და შეიხები სიამოვნებით გამოეხმაურნენ „ჰობზუნის“ მოწოდებას და ისარგებლეს რა ქურთი ხალხის მასების უკმაყოფილებით. სათავეში ჩაუდგნენ ქურთების ახალ გამათავისუფლებელ მოძრაობას თურქეთში 1927-1930 წწ.²⁹.

„ჰობზუნის“ ხელმძღვანელობაში ყველაზე დიდი ავტორიტეტით გენერალი იხსან ნური ფაშა სარგებლობდა, რომელიც პირველ რიგში ქურთ ოფიცრობასა და ევროპული განათლების მქონე გავლენიანი გვარის წარმომადგენლებს ეყრდნობოდა. სხვებიდან შეიძლება დავასახელოთ ჯალადათ და კამურან ბადრ-ხანები, მამდუჰ სალიმი, კადრი ჯამილ ფაშა და პასან ჰაჯო. ფაქტიურად „ჰობზუნის“ ხელმძღვანელობაში თავი მოიყარეს სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების წარმომადგენლებმა. მათ შორის ყველაზე დიდი გავლენით ბადრ-ხანები (გვაროვნულ-ტომობრივი დიდკაცობიდან) და სტამბოლის სტუდენტთა მოძრაობის მეთაურები (ინტელიგენციიდან³⁰) სარგებლობდნენ.

„ჰობზუნის“ დაარსების შემდეგ მისმა ერთ-ერთმა თვალსაჩინო წევრმა ჯალადათ ბადრ-ხანმა იმოგზაურა ევროპასა და აშშ-ში. იგი ვარაუდობდა, რომ იპოვიდა „დამოუკიდებელი ქურთისტანის“ შექმნის მომხრეებს დიდი კაპიტალისტური ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეთა შორის. ჯალადათ ბადრ ხანი ცდილობდა ამერიკელი კაპიტალისტები ქურთისტანის ბუნებრივი სიმდიდრეებით და კერძოდ, ნავთობით დაეინტე-

²⁸ მათ შორის იყვნენ იბრაჰიმ ფაშა, ქორ ჰუსეინ ფაშა, მუსა ბეგი ქ. მუშიდან და სხვა.

²⁹ ქურთთა აჯანყებებს აღნიშნულ ხანაში მეთაურობდნენ და ხელმძღვანელობდნენ: ალი იუნუსი, შეიხ კადირი, ხასო ბრო ტელო, იხსან ნური ბეი ფაშა, ეიუბ ალა, ალი მირზა შამდინანელი. 1930 წ. ზაფხულში არქეშში აჯანყებული ქურთი ტომების ბელადებმა მოიწვიეს კონფერენცია, რომელმაც ქურთისტანი რესპუბლიკად გამოაცხადა. აირჩიეს დროებითი პარლამენტი და დროებითი პრეზიდენტი. დროებით პრეზიდენტად პარლამენტმა გამოაცხადა ბარო ხასო, ხოლო სამოქალაქო კომისრად დანიშნეს ნადირ ნეჯმეთი, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოსტი დაიკავა იხსან ნური.

³⁰ ჯერ კიდევ 1919 წლიდან ისინი სტამბოლში ჩრდილო ქურთულ დილაქტებუ არაბული შრიფტით გამოსცემდნენ ყოველკვირეულ გაზეთ „უინ“-ს („ცხოვრება“). გაზეთში ქურთი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებს, მის პროგრამას, სტრატეგიას და ტაქტიკას განიხილავდნენ. სულ ამ გაზეთის 32 ნომერი გამოვიდა, ხოლო 1920 წლის იანვარში იგი დახურეს (227, გვ. 271).

რესებინა, მაგრამ უშედეგოდ. მის მიერ დეტროიტში ფორდის ქარხნის ქურთ მუშებს შორის „ჰოიბუნის“ ფილიალების ჩამოყალიბებამაც საქმეს ვერ უშველა. საბოლოო ჯამში იმპერიალისტურ ქვეყნებთან კავშირმა უარყოფითად იმოქმედა „ჰოიბუნის“ ავტორიტეტსა და მის შემდგომ მოღვაწეობაზე. დასავლეთ იმპერიალისტური ქვეყნები ქურთთა განთავისუფლების საქმეს სრულიადაც არ თანაუგრძნობდნენ, ისინი მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ გამოეყენებინათ „ჰოიბუნი“ როგორც ბრმა იარაღი ანტისაბჭოთა პოლიტიკის გასატარებლად და ახლო აღმოსავლეთში თავიანთი აგრესიული გეგმების განსახორციელებლად.

მეორე მხრივ, სსრ კავშირის წინააღმდეგ „ჰოიბუნსა“ და მის წევრებს დაშნაყებიც აქეზებდნენ, ისინი ცდილობდნენ აქტიურად ჩაებათ ქურთები ანტისაბჭოთა გამოსვლებში, რაც ამ ორგანიზაციას სახელს უტეხდა.

გარდა ამისა, „ჰოიბუნი“ თავის საქმიანობაში არ ეყრდნობოდა ქურთ გლეხობას, არ მოუწოდებდა მას თურქ მშრომელ მასებთან კავშირისა-კენ, არ იბრძოდა დერეგებებისა (მსხვილი ფეოდალები) და შეიხების თვითნებობის წინააღმდეგ. საბოლოო ჯამში ყოველივე ამან კიდევ უფრო დააჩქარა მისი ავტორიტეტის დაცემა ქურთ მშრომელ მასებს შორის.

„ჰოიბუნის“ მიერ 1927—1930 წწ. ორგანიზებული ქურთთა აჯანყებები თურქეთში მარცხით დამთავრდა. ქემალისტური მთავრობა სასტიკად გაუსწორდა არა მარტო აჯანყებულ ქურთებს, არამედ მშვიდობიან მოსახლეობასაც³¹. 30-იანი წლების დასაწყისიდან კი იგი ქურთების ფიზიკური განადგურების გზას დაადგა. თურქეთის მთავრობის ასეთმა პოლიტიკამ მსოფლიო საზოგადოებრიობის პროტესტი გამოიწვია³².

ქურთთა სამართლიან მოთხოვნას ავტონომიის შესახებ თურქი მმართველი წრეების ორგანო „ჰაქიმეთ მილიე“ შემდეგნაირად უპასუხებდა: „ისეთი ხალხისათვის, რომლის ლექსიკონი 200 სიტყვას შეიცავს, ისეთი რასისათვის, რომელიც ყოველ დინებას მისდევს, ადმინისტრაც-

³¹ 1930 წ. აჯანყების ჩახშობის შემდეგ თურქეთის მთავრობამ მშვიდობიან ქურთ მოსახლეობასთან ანგარიშის გასწორება დაიწყო. მარტო ჩილანის ველზე თურქებმა 10 ათასი ქურთი განადგურეს, ფათნოსის მიდამოებში მათ არცერთი ქურთული სოფელი არ დატოვეს, არქემის გარშემო 200-მდე სოფელი დაწვეს, ხოლო არარატის მთის მახლობლად 400-მდე სოფლის მოსახლეობა მთლიანად მოსპეს. სულ დანგრეულ იქნა ქურთების 6816 სახლი. თურქთა ამ დამსჯელ ექსპედიციას საღამო ფაშა ხელმძღვანელობდა (201, 20.3.1931 წ.).

³² სწორედ ამით შეიძლება აიხსნას II ინტერნაციონალის აღმასკომის მიერ 1930 წ. აგვისტოში მიღებული რეზოლუცია, რომელშიც იგი თურქეთის მთავრობას პროტესტს უცხადებდა, რეზოლუციაში ხაზგასმული იყო, რომ ტერორისა და მკვლელობის საშუალებით თურქეთის მთავრობა ქურთებს სომეხ ხალხის ხეუდრს უშნადებდა (22, გვ. 18).

ციული ავტონომიისათვის ყველაზე უკეთეს კუთხედ აფრიკის ცენტრი გამოდგება“ (189, წიგ. 29, გვ. 161).

1932 წ. 5 მაისს თურქეთის მთავრობამ ახალი კანონი გამოსცა. ამ კანონის თანახმად, ქურთებით დასახლებული ტერიტორია ოთხ ზონად იყოფოდა. აქედან 3 ზონა თვით ქურთისტანში უნდა შექმნილიყო. ერთ-ერთი მათგანი „წესრიგის დაცვის“ მიზნით მთლიანად უნდა განთავისუფლებულიყო ქურთებისაგან. იგი აკრძალულ ზონად უნდა გამოცხადებულიყო. თურქულ სოფლებში ახლად ჩამოსახლებულ ქურთთა რაოდენობა მთელი მოსახლეობის 5%-ს არ უნდა აღმატებოდა (153, გვ. 57). ქურთებს სწავლა მშობლიურ ენაზე აეკრძალათ, მათ ართმევდნენ უფლებას ჰქონოდათ თავიანთი კულტურული, პოლიტიკური და საგანმანათლებლო დაწესებულებები. ამ კანონმა პირველად უწოდა ქურთებს „მთის თურქები“. ახლად გადმოსახლებულ ქურთ გლეხებს ეროვნულ ტანსაცმელში სიარული ეკრძალებოდათ. მრავალი ქურთი დიდებული (შეიხი, ბეგი) დააპატიმრეს და გადაასახლეს, ხოლო ზოგიერთი მოისყიდეს. ქურთ ტომებს შორის თურქები ხელოვნურად აღვივებდნენ გვაროვნულ შუღლს, ცდილობდნენ გაეთიშათ და ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინათ ისინი.

1934 წ. 21 ივნისს თურქეთის მეჯლისმა კიდევ ერთი ახალი კანონი მიიღო, რომელიც ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს კანონი შინაგან საქმეთა მინისტრს უფლებას ანიჭებდა სხვადასხვა ხალხის საცხოვრებელი ადგილი შეეცვალა იმის მიხედვით, თუ რამდენად „შეეთვისა“ იგი თურქულ კულტურას (65, გვ. 133).

მართალია, მეტად ძნელია იმ ქურთების რიცხვის დადგენა, რომლებიც თავიანთი ადგილებიდან აყარეს და ცენტრალურ რაიონებში გადაასახლეს, მაგრამ ერთი რამე კი ცხადია, რომ ჭოროხის, ერზურუმის, მუშისა და ვანის ვილაიეთების ქურთი მოსახლეობის რიცხვი დაახლოებით 300 ათასი კაცით შემცირდა. საერთოდ კი აღმოსავლეთ ვილაიეთებიდან დასავლეთში დაახლოებით ნახევარი მილიონი ქურთი გადაასახლეს.

1936 წ. თურქეთის მეჯლისის სხდომის გახსნისას ქემალ ათათურქმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში არსებულ საშინაო პრობლემათა შორის ქურთთა პრობლემა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო და მთავრობას მოუწოდა ქურთთა საკითხისათვის, მათი ეროვნული მისწრაფებისათვის ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო (153, გვ. 59).

ამ დროისათვის დერსიმის ოლქი ქურთების ანტითურქული ბრძოლის ცენტრად გადაიქცა. დერსიმი, ანუ ტუნჯელი³³ (სპილენძის ქვეყანა), აღმოსავლეთ თურქეთის ერთ-ერთი ჩამორჩენილი მთიანი მხარე იყო. მისმა ბუნებრივმა პირობებმა ბევრად განსაზღვრეს ამ მხარის ჩამორჩე-

³³ ა.ე უწოდეს დერსიმს ქურთთა 1936 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ.

ნილობა. იგი ფაქტიურად თურქეთის ეკონომიკური ცხოვრების მიღმა იდგა. ვაჭრობა აქ სუსტად იყო განვითარებული. ფაქტიურად სავაჭრო საქმეებს ტომის შეიხები, ალები და მათი აგენტები განაგებდნენ. რაიმე წარმოების არსებობაზე ლაბარაკი საერთოდ ზედმეტი იყო. გაზეთ „სან პოსტას“ რედაქტორი ოსმან მეთე დერსიმის შესახებ შემდეგს წერდა: „... აქ არ არის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, არ არის ექიმი, ხალხმა არც კი იცის სიტყვა „მედიცინის“ მნიშვნელობა. აქ არ არის გზები, რომლებიც სოფლებს ერთმანეთთან დააკავშირებდნენ (151, გვ. 325)³⁴. ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე დერსიმის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 70 ათას კაცს აღწევდა. (207, 7. 1914). აქაური ქურთები, რომლებიც ცნობილი იყვნენ ყიზილბაშების სახელით, მისდევდნენ მესაქონლეობასა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს, განსაკუთრებით მევენახეობას.

დერსიმში 1936 წ. დანიშნულმა ახალმა გუბერნატორმა აბდულა ალფ-ლოჯანმა შეუზღუდველი ძალაუფლება მიიღო. მთელი წლის განმავლობაში თურქები თავს უყრიდნენ ჯარებს. მათ გადაწყვიტეს დერსიმის, ელიაზიგისა და ჩაბაქჩურის რაიონებში მცხოვრები გაურჩეული ქურთებისათვის გადამწყვეტი დარტყმა მიეყენებინათ. ქურთების წინააღმდეგ ბრძოლა 1937 წ. გაზაფხულის დასაწყისში დაიწყო. აჯანყებულ დერსიმელ ქურთებს სათავეში სეიდ რიზა ედგა. მათ წინააღმდეგ თურქეთის მრავალრიცხოვანი რეგულარული ჯარები მოქმედებდნენ. აჯანყებული ქურთების წინააღმდეგ თურქეთის მთავრობამ გამოიყენა არა მარტო ავიაცია, არტილერია და სატანკო ნაწილები, არამედ მომწამლავი გაზებიც. თურქეთის დამსჯელი ჯარები მხეცურად გაუსწორდნენ არა მარტო აჯანყებულებს, არამედ მშვიდობიან ქურთ მოსახლეობასაც. მთავრობამ მხოლოდ ერთი წლის სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ შეძლო აჯანყებულთა დამარცხება. მათი ბელადი სეიდ რიზა სხვა 10 ხელმძღვანელთან ერთად სიკვდილით დასაჯეს. აჯანყებულ ქურთებს მთელი ქონება ჩამოართვეს და სახელმწიფოს გადასცეს. ამიერიდან თურქთა გარნიზონმა დერსიმში მუდმივი ბინა გაიჩინა. რამდენიმე კვირის განმავლობაში დერსიმის დაპყრობას თურქული გაზეთები ქებას ასხამდნენ და წერდნენ: „დერსიმი მეტი აღარ არისო“ (173, გვ. 87). ადგილობრივი მოსახლეობის დაშინების მიზნით აქ დრო და დრო მთავრობის ჯარების სამხედრო მანევრები ეწყობოდა.

1938 წ. ზაფხულში თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯელიალ ბეიმ განაცხადა, რომ თურქეთში ქურთთა პრობლემა აღარ არსებობს (159, გვ. 83). როგორც ვხედავთ, თურქეთის მმართველი წრეების ყველა ღონისძიება მიზნად ისახავდა იმას, რომ ქურთებში ეროვნული ღირსე-

³⁴ ციტირებულია ა. რ. გასემლოს წიგნის მიხედვით (იხ. 153, გვ. 60).

ბის და თვითშეგნების გრძნობა მოესპოთ და თურქებთან მათი ასიმი-
ლირების პროცესი დაეჩქარებინათ.

ქურთების მოძრაობა ირანში, სირიასა და ლიბანში

ქურთთა საკითხში ანალოგიურ კურსს ირანის მმართველი წრეებიც ახორციელებდნენ. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ინგლისის იმპერიალიზმი აქ უფრო აქტიურად ერეოდა ქვეყნის საშინაო საქმეებში, ხოლო ფეოდალურ-სეპარატისტული ტენდენციების ზეგავლენა ირანელ ქურთთა მოძრაობაზე უფრო მკაფიოდ იყო გამოხატული.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ირანელი ქურთების აღიარებული ლიდერი ისმაილ ალა სიმკო (სმიტკო) იყო. იგი წარმოადგენდა ტიპურ ქურთ ფეოდალ ბელადს, რომელსაც არ გააჩნდა არავითარი პოლიტიკური პრინციპები. სიმკო არ ერიდებოდა არავითარ საშუალებებს თავისი მიზნების განსახორციელებლად. ეს, რა თქმა უნდა, ასუსტებდა ირანელი ქურთების გამათავისუფლებელ მოძრაობას, რომელმაც მაშინ ვერ მიიღო ეროვნული ხასიათი და ამით ხელი შეუწყო ირანის მთავრობას გასწორებოდა მას. უკვე 1922 წ. სიმკოს „სამეფო“ დაეცა (189, № 4, გვ. 83).

მას შემდეგ, რაც ირანის ხელისუფლების სათავეში რეზა ხანი მოექცა, ქურთების შევიწროება უფრო გახშირდა. 1925 წელს ქურთისტანში რეზა შაჰის მთავრობამ მოაწყო დიდი ლაშქრობა, რომელიც მიზნად ისახავდა ბოლო მოეღო ქურთთა მოძრაობისათვის. 1926 წელს მთავრობის ჯარებმა დიდი სისასტიკით ჩაახშეს ქურთთა მორიგი აჯანყება, რომელმაც ირანის ქურთისტანის ჩრდილო და სამხრეთი ნაწილი მოიცვა. თანდათან ქურთი მოსახლეობა ხელისუფლებას მტკიცედ დაუმორჩილეს. ამასთან ირანის ახალი შაჰის ხელისუფლება იყენებდა იგივე მეთოდებს, რასაც თურქები: რეპრესიები, აყრა-გადასახლება და სხვა. ეს იყო დიდმპყრობელური, შოვინისტური პოლიტიკა, რომლის მიზანს წარმოადგენდა ქურთი მოსახლეობის სრული ირანიზაცია. 20-იანი წლების ბოლოს ქურთები გამოაცხადეს „კულტურულ ტრადიციებს მოკლებულ ირანელებად“.

30-იან წლებში რეზა შაჰი, რომელიც ქვეყნის შიგნით დიდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიძნელეებს წააწყდა, იძულებული შეიქნა შესუსტებინა რეპრესიები ქურთების მიმართ. ამავე დროს მოახლოებული საშიშროების წინაშე ქურთი ხალხის სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენები თანდათან შემკვიდროვნენ და დაირაზმენ ეროვნული ღრმის ქვეშ. მალე ირანელი ქურთების პოლიტიკური ორგანიზაციებიც აღმოცენდნენ. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს აქ შეიქმნა „ქურ-

თისტანის თავისუფლების პარტია“ („ჰიზბ რიზგარი ქურდისტან“), რომელმაც მეორე მსოფლიო ომის წლებში მიიღო ახალი სახელწოდება „უიიანე ქორდესტან“ („ქურთისტანის აღორძინება“) შემოკლებით უ. კ.³⁵ ამ პარტიას ჰქონდა თავისი ბეჭდვითი ორგანო—ეურნალი „ნიშტიმანი“ („სამშობლო“) (135, გვ. 55).

ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, — როგორც აღვნიშნეთ, — ქურთების ერთი ნაწილი სირიისა და ლიბანის შემადგენლობაში აღმოჩნდა. თურქთა ბატონობისაგან ახლად განთავისუფლებული სირია და ლიბანი საფრანგეთისადმი დაქვემდებარებულ სამანდატო ტერიტორიებად გადააქციეს. ფრანგი კოლონიზატორების მრავალწლიანმა ბატონობამ სირიასა და ლიბანში ქურთების გამათავისუფლებელ მოძრაობას თავისი დალი დააჩნია.

საფრანგეთის სამანდატო ხელისუფლების მიერ სირიელი ხალხის 1925-27 წწ. სახალხო აჯანყების სასტიკად ჩახშობამ³⁶ და მის მიერ მიღებულმა მკაცრმა ზომებმა დიდად შეაფერხეს ქურთების გამათავისუფლებელი ბრძოლის გაქანება სირიასა და ლიბანში. გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ ქურთები სირიასა და ლიბანში ისე მრავალრიცხოვანი არ იყვნენ (სულ 300 ათასი) როგორც მეზობელ თურქეთსა და ერაყში. გარდა ამისა ქურთები და არაბები შეთანხმებულად არ მოქმედებდნენ. ფაქტიურად მათ შორის ერთიანობა ჯერ კიდევ არ არსებობდა. ერთად აღებულმა ყველა ამ მიზეზმა ბევრად განაპირობეს ქურთთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარუმატებლობა სირიასა და ლიბანში.

სირიაში 1925—1927 წწ. საფრანგეთის კოლონიური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული საყოველთაო სახალხო აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ქურთებმა ბრძოლა პოლიტიკური უფლებებისათვის მალე შეწყვიტეს. 30-იანი წლებიდან სირიასა და ლიბანში მიმდინარე ქურთთა მოძრაობა უფრო მათი კულტურული აღორძინებისათვის ბრძოლის ხასიათს ატარებს.

ამ ბრძოლის იდეური ხელმძღვანელები მეზობელ თურქეთიდან და ირანიდან დევნილი ქურთი ინტელიგენტები და განსაკუთრებით ბადრ-ხანიანები³⁷ იყვნენ. მათ მიზნად დაისახეს ქურთების ნაციონალური

³⁵ ეს საზოგადოება 1924 წ. 16 სექტემბერს დააარსეს, თავდაპირველად მასში შედიოდა 13 კაცი. ესენი იყვნენ: რაჰმან ჰალაფი, მუჰამედ ამინ შარაფი, მუჰამედ ნანავაზადე, რაჰმან ზაბიჰი, ჰუსეინ ფურუჰა (ზარგარი), აბდულ რაჰმან ემამი, კასიმ კადერი, მოლა აბდულა დაუდი, კადერ მუდარისი, აჰმედ ჰილმი, აზიზ ზენდი, მუჰამედ იაჰუ, მირ ჰაჯ აჰმედი (148, გვ. 133).

³⁶ დაწერილებით ამის შესახებ იხ. 103.

³⁷ ბადრხანიანთა ერთ-ერთი წარმომადგენელი ქალადათ ბადრ-ხანი ამ დროს დამასკოში ცხოვრობდა. იგი გარდაიცვალა 1951 წ. უბედური შემთხვევის (საავტომობილო

ერთიანობის განმტკიცება. ამ მიზნის მიღწევას ისინი ცდილობდნენ ქურთული ენის განახლების, ლიტერატურის აღორძინებისა და მშობლიურ ენაზე სწავლების დანერგვის საშუალებით.

ბადრხანიანები და მათი თანამებრძოლები შემოიკრიბნენ ქურთულ და ფრანგულ ენებზე გამომავალ ჟურნალ „ჰავარი“-ის („მოწოდება“)³⁸ გარშემო. ზოგიერთი არამარტო სირიიდან, არამედ ერაყიდან და ტრანსიორდანიიდანაც იყო. ამ ჟურნალში აქტიურ მოღვაწეთა შორის შეიძლება დავასახელოთ პროფესორები ხევიანდ სორი და ელი საიდო, ექიმი ეჰმედ ნაფიზი, სახალხო პოეტები ჭეგარხვინე ქურდი, ედვილ ხალიკ უსირი, კადრიჯან მუსტაფა ეჰმედ ბოტი და მრავალი სხვა. აღსანიშნავია, რომ ამ მოძრაობას მიემხრნენ ზოგიერთი გავლენიანი ტომისა და გვარის ბელადებიც³⁹.

მათ სურდათ ადგილობრივ ქურთებს შორის ლათინური ასოებისაგან შედგენილი ქურთული ანბანი გაეგრძელებინათ და მის საფუძველზე ქურმანჯის ქურთული დიალექტის უნიფიცირება მოეხდინათ. ისინი ცდილობდნენ ეს დიალექტი გაემდიდრებინათ და უფრო მოქნილი გაეხადათ. ქურთული ენის განახლების მიზნით ჟურნალმა დაიწყო სახალხო ლიტერატურის აღორძინება. „ჰავარი“ ბეჭდავდა როგორც ქურთი კლასიკოსების, ისე თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებს, მოუწოდებდა ქურთებს მოეთხოვათ სწავლება მშობლიურ ენაზე⁴⁰. მაგრამ ეს კარგი წამოწყება მათ ბოლომდე ვერ განახორციელეს. ამის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ქურთების კულტურული აღორძინებისათვის მებრძოლებს დასახული მიზნების მისაღწევად საჭირო სახსრები არ აღმოაჩნდათ, ხოლო 1935 წ. საფრანგეთის სამანდატო ხელისუფლებამ ქურნალი „ჰავარი“ დახურა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სირიაში მრავალი წლების მანძილზე არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა იყო. ქვეყანაში ხშირად ხდებოდა სამხედრო გადატრიალება და იცვლებოდა მთავრობა. ასეთ პირობებში ქურთების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, მრავალ ქურთ პროგრესულ მოღვაწეს ბრალი დასდეს ანტიარაბიზმსა და კომუნიზმში, დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს.

მდგომარეობა მხოლოდ 1966 წ. 23 თებერვლის გადატრიალების

კატასტროფა) გამო, ხოლო მეორე—კამურან ალი ბადრი-ხანი ბეირუთში იმყოფებოდა. უფრო გვიან 1952 წ. იგი საცხოვრებლად პარიზში გადასახლდა.

³⁸ მისი პირველი ნომერი 1932 წ. 15 მაისს გამოვიდა (115, გვ. 392).

³⁹ მათ შორის იყვნენ: ჰაჯო ალა და მისი შვილი ჭემილ ალა; მუსტაფა შაჰინე და მისი შვილი შაჰინე, ემედ მელიქი და ევდირაჰმან ფაუზი.

⁴⁰ ჟურნალის მესვეურებმა გამოსცეს რამდენიმე გრამატიკის სახელმძღვანელო. ბეირუთში კამურან ალიმ საღამოს კურსებიც კი მოაწყო ქურთი მუშებისათვის.

შემდეგ შეიცვალა, როდესაც ხელისუფლებას სათავეში ახალი მთავრობა ჩაუდგა. მან გეზი აიღო ქვეყნის საშინაო ცხოვრების დემოკრატიზაციისაკენ.

ქურთული პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობა ერაყში 30-იან წლებში

30-იან წლების დასაწყისში ერაყში ანტიიმპერიალისტურმა მოძრაობამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ინგლისის სამანდატო რეჟიმში საბოლოოდ გაუქმდა (1932 წ. ოქტომბერი). ამასთან დაკავშირებით, ქურთების (მათი რიცხვი ერაყში უკვე 800 ათასს აღწევდა) გამათავისუფლებელ მოძრაობაში თანდათან ახალმა ტენდენციებმა იჩინა თავი. სამანდატო რეჟიმის გაუქმებისა და დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ პოლიტიკური მოღვაწეობისათვის ერაყში უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, ვიდრე მეზობელ თურქეთში. ამიტომ ქურთთა გამათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრმა თანდათან თურქეთიდან ისევ ერაყში გადმოინაცვლა.

ქურთთა მოძრაობის აღმავლობაზე ერაყში გარკვეული ზეგავლენა არაბთა მოძრაობის ახალმა გაქანებამ და იქ კომუნისტური პარტიის შექმნამ მოახდინა⁴¹. მუშათა კლასის სულ უფრო შესამჩნევმა რიცხობრივმა ზრდამ, პირველი პროფკავშირებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბებამ (89), ქალაქად და სოფლად კლასობრივი წინააღმდეგობის გამწვავებამ და გამათავისუფლებელი მოძრაობის საერთო აღმავლობამ ხელი შეუწყო კომუნისტური პარტიის დაარსებას ერაყში.

1935—1936 წწ. არაბთა აჯანყების აღმა მუნთაფიკის, ბასრის, დივანიისა და ჰილის პროვინციები მოიცვა (215, გვ. 139—142; 210, გვ. 52). არაბთა მოძრაობამ აშკარა ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური ხასიათი მიიღო. ამ მოძრაობის იდეური ხელმძღვანელები ახლად ჩამოყალიბებული არაბული ნაციონალისტური პარტიები იყვნენ. მათ შორის ყველაზე დიდი გავლენით „აპალი“⁴² სარგებლობდა. მისი ლიდერები⁴³ ქვეყანაში მონარქიული წყობილების მოსპობას,

⁴¹ ერაყის კომუნისტური პარტია შეიქმნა 1934 წ. 31 მარტს. პარტიის პირველ ბეჭდვით ორგანოს ეწოდებოდა „კიფაჰ აშ-შაბა“ („ხალხის ბრძოლა“), რომელიც გამოდიოდა 1935 წ. ივლისიდან (194, 1. 2. 1960).

⁴² „აპალი“ („ხალხი“), აღმოცენდა 1931 წ. იგი შექმნა ლიბერალური იდეებით გამსჭვალულმა რამდენიმე ახალგაზრდა ენთუზიასტმა (158, გვ. 70). „აპალი“ აერთიანებდა ინტელიგენციის, წერილი ბურჟუაზიის და ლიბერალური მემამულეების წარმომადგენლებს. მათ შორის იყვნენ ფსევდოსოციალისტური დოქტრინის თაყვანისმცემლები და კომუნისტური იდეების მომხრენიც.

⁴³ „აპალის“ ლიდერთა შორის იყვნენ მუჰამედ ჰადიდი, აბდალ კადირ ის-მაილი, აბდალ ფათთაჰ იბრაჰიმი, ჯაფარ აბუ ათ-თიმანი და ჰიქმეთ სულეიმანი.

ბურჟუაზიული პარლამენტური რესპუბლიკის დამყარებასა და ხალხისათვის კონსტიტუციური თავისუფლების მინიჭებას შიითხოვდნენ, ამ მემარცხენე წვრილბურჟუაზიული პარტიის სოციალურ დემაგოგიას⁴⁴ მრავალი ერაყელი მშრომელი წამოეგო და მათი მხარდაჭერით აპალისტები 1936 წ. 29 ოქტომბერს ხელისუფლების სათავეშიც კი მოექცნენ. მანამდე არსებული იასინ ალჰაშიმის მთავრობა დაეცა (218, ტ. 3, გვ. 133).

არაბთა გამოსვლების პარალელურად ერაყში ადგილი ჰქონდა ქურთთა აჯანყებებს, რომელსაც ხალილ ხოშავი და დაუდ ად-დაუდი⁴⁵ მეთაურობდნენ.

გამათავისუფლებელი მოძრაობის საერთო აღმავლობამ და განსაკუთრებით ქურთთა ახალმა აჯანყებებმა ერაყში მოწინავე ქურთი ინტელიგენციის მოღვაწეობის აქტივიზაცია გამოიწვიეს.

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ აპალისტები ხელისუფლების სათავეში შოვიდობდნენ, ერაყის გაზეთის ფურცლებზე დაწყებული პოლიტიკური დისკუსიისა და აპალისტების იდეური ზეგავლენით ბაღდადის იურიდიული კოლეჯის ქურთმა სტუდენტებმა თავიანთი პოლიტიკური წრე ჩამოაყალიბეს. მას იბრაჰიმ აჰმედი ხელმძღვანელობდა.

ქურთ სტუდენტთა წრე თავის ყოველთვიური ორგანოს ჟურნალ „დიარი ლავან“⁴⁶-ს („ახალგაზრდობის საჩუქარი“) გამოსცემდა. ამ ჟურნალის გარშემო ძირითადად ანტიფაშისტურად განწყობილი ქურთი ახალგაზრდობა შემოიკრიბა. ჟურნალი ხშირად აქვეყნებდა იმ ანტინაციისტურ წერილებს, რომლებიც ინგლისურ პრესაში იბეჭდებოდა. ამ ჟურნალის მთავარი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველმა გამოხატა ქურთებისა და არაბების ანტიიმპერიალისტური ინტერესების ერთიანობის იდეა.

1937 წ. „დიარი ლავან“-ის რედაქტორმა იბრაჰიმ აჰმედმა გამოაქვეყნა თავისი წიგნი „ქურთები და არაბები“ (იხ. მისი მეორე გამოცემა — 205). ამ დროისათვის ერაყის ხელისუფლების სათავეში უკვე მემარჯვენე ელემენტები მოექცნენ და ქვეყანაში გამათავისუფლებელი მოძრაობის მკვეთრი დაცემა იგრძნობოდა (150, გვ. 100; 215, გვ. 162 — 164). რეაქციულმა მთავრობამ წიგნის ავტორი მაშინვე დააპატიმრა, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა წიგნის გავრცელებას მთელ ქურთისტანში. ამ წიგნის შინაარსმა ცხარე კამათი გამოიწვია ქურთ ნაციონა-

⁴⁴ აპალისტთა მთავარი ლოზუნგი იყო — „სოციალიზმი ყველასათვის“, განურჩევლად იმისა, რომელი კლასის წარმომადგენელი იყო ესა თუ ის პირი ან რომელ სარწმუნოებას აღიარებდა.

⁴⁵ დაუდ-ად-დაუდი მეთაურობდა ქურთ იეზიდთა დიდ აჯანყებას, რომელიც დაიწყო 1935 წ. სექტემბერში (163, გვ. 243; 231, გვ. 112).

⁴⁶ ქურთული „დიარი ლავან“-ი ბაღდადში 1935—1938 წწ. გამოდიოდა.

ლისტა წრეებში. ქურთული გეოგრაფიულ-ტომობრივი დიდკაცობა და შოვინისტურად განწყობილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები არაბებთან კავშირის დამყარების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ამიტომ მათ იბრაჰიმ აჰმედი და მისი თანამებრძოლები „არაბების მიერ მოსყიდულ მოლაღატებად“ გამოაცხადეს (145, გვ. 685).

აღნიშნულ ხანაში ერაყელ ქურთთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში ორი ძირითადი მიმდინარეობა არსებობდა: მემარჯვენე ანუ სეპარატისტული და დემოკრატიული. მართალია, ერაყის ქურთისტანში ახლად ჩამოყალიბებული კომპარტიის ცალკეული ადგილობრივი ორგანიზაციებიც⁴⁷ უკვე მოღვაწეობდნენ, მაგრამ მათი გავლენა ქურთთა მოძრაობაზე ჯერ კიდევ უმნიშვნელო იყო.

ომის წინ ერაყის ქურთისტანში პირველი პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები ყალიბდება — „ბრაიატი“ („ძმობა“) და „ჰივა“ („იმედი“, „ოცნება“)⁴⁸. „ჰივის“ პარტიას⁴⁹ ნათელი პროგრამა და წესდება არა ჰქონდა.

მისი ორგანიზაციული პრინციპები სხვადასხვა ფართული კავშირებისაგან იყო ნასესხები. მრავალი მისი დებულება რელიგიურ-მისტიკურ საბურველში იყო გამოხვეული, ხოლო რეაქციონერ ქურთთა ნაციონალისტური ლოზუნგები პროგერმანულ სიმპათიებთან იყო შეხამებული⁵⁰. მართალია, „ჰივი“-ს პარტია პატრიოტულად განწყობილ ქურთ ოფიცრობასა და ინტელიგენციას აერთიანებდა, მაგრამ მისი ხელმძღვანელობა ქურთი ფეოდალებისა და ბურჟუაზიის ზედა ფენების ხელში იმყოფებოდა. მათთვის კი მშრომელთა ინტერესები უცხო იყო (228, გვ. 24).

1944 წლამდე „ჰივა“ მთელ ერაყის ქურთისტანში ერთ-ერთ ყველაზე უფრო მასობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. მისი ძირითად დასაყრდენს ქალაქისა და სოფლის წვრილბურჟუაზიული ფენები შეადგენდნენ. რაც შეეხება მემარცხენე ელემენტებს, ისინი საგრძნობლად შორს იდგნენ „ჰივი“-საგან.

ქურთისტანის მშრომელი მასების ეროვნული და ნაწილობრივ კლასობრივი თვითშეგნების ამაღლების საქმეში გარკვეული როლი შეასრულა აგრეთვე ქურთულმა ქურნალმა „კალავექმა“ („სირიუს“), რომელსაც იბრაჰიმ აჰმედი გამოსცემდა⁵¹ ბაღდადში 1939 წ. აგვისტომდე.

⁴⁷ ამ ორგანიზაციებს ჰაზა აბდულაჰი და სამათ მუჰამედი ხელმძღვანელობდნენ.

⁴⁸ ეს ორგანიზაციები 1938 წ. დაარსდა.

⁴⁹ მისი ფუძემდებელი რაფიკ ჰილში იყო.

⁵⁰ საერთოდ ამ დროს ფაშისტური გერმანია ცდილობდა ინგლისელთა ბატონობით გამოწვეული ერაყელი ხალხის უკმაყოფილება თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა (დაწერილებით იხ. 29).

⁵¹ სულ გამოვიდა 105 ნომერი (იხ. 135, გვ. 71; 145, გვ. 694; 174, გვ. 124).

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის წინერაყის ქურთისტანში ყალიბდება ანტიიმპერიალისტური და ანტიინგლისური ხასიათის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეოლოგია. აღნიშნულ ხანაში ეროვნული ბურჟუაზია თავის მოღვაწეობაში დიდი ქალაქებით შემოიფარგლებოდა. ქურთთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ მამოძრავებელ ძალად კი კვლავინდებურად ქურთი გლეხობა რჩებოდა, რომელსაც ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები ჯერ კიდევ არ აძლევდნენ საშუალებას შეესრულებინა დამოუკიდებელი როლი ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში და მისთვის ანტიფეოდალური ხასიათი მიეცა.

თ ა ვ ი II. ქურთები მეორე მსოფლიო ომის წლებში

ბარზანელ ქურთთა მოძრაობა ერაყში 1943—1945 წწ.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ პოლიტიკურ ძალთა განლაგება ერაყის ქურთისტანში გარკვეულად შეცვალა. ომის პირველ წლებში ერაყის რეაქციული მთავრობა ინგლისელთა დახმარებით ხალხთა მასების ყოველგვარ პოლიტიკურ გამოსვლას სასტიკად ახშობდა. ამავე დროს ფაშისტურმა გერმანიამ თავისი დაზვერვის საშუალებით ერაყში ფართო ანტიბრიტანული პროპაგანდა დაიწყო და ამით ნაწილობრივ ხელი შეუწყო ახალ ანტიინგლისურ გამოსვლას, რომელიც 1941 წ. მაისში ინგლის-ერაყის 30 დღიან ომში გადაიზარდა. არაბ ნაციონალისტთა მთავრობა, რომელსაც რაშიდ ალ-გაილანი მეთაურობდა, ინგლისელებმა მალე დაამხეს (133, გვ. 32); მათ კვლავ განამტკიცეს თავიანთი პოზიციები ერაყში და გააძლიერეს მის საშინაო საქმეებში ჩარევა (216, გვ. 318), გერმანიამ¹ რაშიდ ალ-გაილანის მთავრობას ქმედითი დახმარება ვერ აღმოუჩინა.

მას შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომში სსრ კავშირი ჩაება, ომმა ანტიფაშისტური და გამათავისუფლებელი ხასიათი მიიღო. ამ გარემოებამ ქურთთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას გარკვეული დადი დააჩნია². ერაყის ქურთისტანში თანდათან იწყება ქურთთა რევოლუციური ძალების კონსოლიდაცია. რევოლუციური ელემენტები ამ დროს ფართულ ორგანიზაციებში გაერთიანდნენ. ეს ორგანიზაციები „პივის“ იდეური ზეგავლენის ქვეშ აღმოცენდნენ. მალე „პი-

¹ ამ დროს გერმანია სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის მზადებით იყო დაკავებული (იხ. 144, გვ. 588; 146, გვ. 234).

² ნაციტურმა პროპაგანდამ ქურთისტანში მარცხი განიცადა (იხ. 92, გვ. 29).

ვი“-ს პარტიის ხელმძღვანელებმა მჭიდრო კავშირი დაამყარეს ირანში ახლად ჩამოყალიბებული პარტიის „უიიანავი ქურდესტანი“-ს წევრებთან. თვით „ჰივას“ კი სათავეში ამ დროს ერაყის არმიის ოფიცერი სირ ჰაჯი აჰმედი ელგა³. ქურთთა დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელთა შორის გამოირჩეოდნენ აგრეთვე მუჰამედ იაჰუ და რაჰმან ზაბიჰი. ჰივას წევრები დაუკავშირდნენ სირიისა და თურქეთის ქურთებს, დაამყარეს კონტაქტი აგრეთვე ქურთი კომუნისტების მაშინდელ ხელმძღვანელთან ჰამზა აბდულაჰთან.

ამ დროს (1943 წ.) ერაყში ბარზანელი ქურთების ახალი აჯანყება დაიწყო⁴. აჯანყებულ ტომებს ქურთულმა დემოკრატიულმა და ნაციონალისტურმა ორგანიზაციებმა დიდი დახმარება გაუწიეს.

ომის წლებში ქურთული პოლიტიკური ორგანიზაციების რიცხვმა კიდევ უფრო იმატა. „ჰივა“-ს გვერდით გაჩნდნენ „რიზგარი“ („თავისუფლება“), „შორიში“ („რევოლუცია“), „ქურთ ოფიცერთა და ახალგაზრდობის ასოციაცია“, „იეკეთი ხაბათ“ („ბრძოლის ერთობა“). ისინი თავიანთ რიგებში ინტელიგენციის, მოსწავლე ახალგაზრდობის, ოფიცრების, ჯალაქის ბურჟუაზიისა და ცალკეული ქურთული ტომების ზედაფენის წარმომადგენლებს აერთიანებდნენ. მრავალი ქურთი მუშა პროფესიულ კავშირებში იყო გაერთიანებული⁵.

ქურთი ინტელიგენციის ყველაზე შეგნებული ნაწილი კომპარტიის⁶ რიგებს ავსებდა. ამ ორგანიზაციების პროპაგანდა და ბრძოლის მე-

³ „ჰივას“ ხელმძღვანელობაში შედიოდნენ: რაფიკ ჰილმი, აბდულ აზიზ შემდინან (საიდ აბდულ აზიზ შამზინი) და მესტათა ხოშნოვი.

⁴ შეიხ აჰმედის 1931—1932 წწ. აჯანყების შემდეგ, ბარზანელები თავიანთი მშობლიური ადგილებიდან აჰყარეს და საცხოვრებლად ქ. სულეიმანიეს გარშემო უეარგის მიწებზე დაასახლეს. აქ ისინი უკიდურეს გაპირვებაში ჩაუარდნენ. 1943 წ. გადმოსახლებულებს თვითუღ სულზე დღეში ეძლეოდათ 30 ფილისი, რაც ნახევრად მშვიერი არსებობისათვისაც კი საკმარისი არ იყო (იხ. 168, გვ. 45). ამ მდგომარეობამ საბოლოო ჯამში ბარზანელებს ახალი აჯანყებისაკენ უბიძგა.

⁵ 1942 წ. მთავრობამ გამოსცა უფლებას აძლევდა იმ პირობით, თუ ისინი პოლიტიკურ საქმიანობას თავს დაანებებდნენ (იხ. 125, გვ. 13).

⁶ ომის წლებში ერაყში ერთიანი კომპარტია არ იყო. იგი რამდენიმე ორგანიზაციისაგან შედგებოდა. ამ ორგანიზაციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომლის ცკ სათავეში 1943 წ. იანვრიდან ფაჰიდი (იუსუფ სალმან იუსუფი) იღვა. 1944 წ. შექმნილი კომპარტიის ქურთული სექცია მისი ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდა. ქურთისტანში კიდევ მეორე კომუნისტური ჯგუფიც იყო. იგი გამოსცემდა თავის გაზეთს „იეკეთი ტეკოშან“-ის („გაერთიანებული ბრძოლა“) სახელწოდებით. იგი თავის თავს ამავე სახელწოდების კომუნისტური ორგანიზაციის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა. ამ კომუნისტურ ორგანიზაციას სათავეში აზიზ შერიფი ედგა.

1945 წ. აზიზ შერიფის ორგანიზაცია დაიშალა და კომპარტიის ქურთულმა სექციამ დამოუკიდებლად დაიწყო მოღვაწეობა ახალი სახელწოდებით — „ქურთისტა-

თოდები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. მაგრამ მათ აკავშირებდა ერთი საერთო მიზანი — მთელი ერის განთავისუფლება უცხოელთა ბატონობისაგან და ქურთებისათვის ნაციონალური ავტონომიის მინიჭება ერის ფარგლებში. ქურთი ხალხის სოციალური და კულტურული განვითარებისათვის აუცილებელი პირობები მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა შექმნილიყო (240, 19. 7. 1960).

ერის კომუნისტური პარტიის ქურთული სექცია გარკვეული გავლენით სარგებლობდა ერის ქურთისტანის მშრომელებში. ქურთების ეროვნულ-განთავისუფლებელი მოძრაობის მემარცხენე ძალები მისი ბეჭდვითი ორგანოს — გაზეთ „აზადი“-ს („თავისუფლება“) გარშემო იკრიბებოდნენ. გაზეთმა „აზადიმ“ მონარქიული რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად ქურთ მშრომელთა დარაზმვაში და ერის მრავალეროვანი მუშათა კლასის შეკავშირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ქურთი კომუნისტები ისეთ პოლიტიკას ახორციელებდნენ, რომელიც მუშათა და გლეხთა ფართო მასების ინტერესებს შეესაბამებოდა.

კომპარტიის ქურთული სექციის პროგრამა ქურთი ხალხის ქარტიად გადაიქცა. იგი არაბებისა და ქურთების ძმობას, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მათ გაერთიანებულ ბრძოლას ქადაგებდა. ამავე დროს იგი თანმიმდევრულად იცავდა ქურთი მუშებისა და გლეხების ინტერესებს ადგილობრივი ფეოდალებისა და კაპიტალისტების მხრივ ხელყოფისაგან⁷.

ქურთების შეიარაღებული ტომებისა და დემოკრატიული ორგანიზაციების ერთობლივმა მოქმედებამ 1943—1945 წწ. ხელი შეუწყვეს იმას, რომ მეორე მსოფლიო ომის დასასრულისათვის ქურთულმა ტომებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა თავიანთ მოქმედებაში შედარებით მეტი თავისუფლება მიიღეს. განათლების და კულტურის საკითხებში მთავრობა ავტონომიურ უფლებებს შეპირდა, ხოლო აჯანყების მონაწილეებს — ამნისტიას (117ა, გვ. 308—309). ქურთების ბრძოლა დროებით შეწყდა. მაგრამ 1945 წ., როდესაც ბაღდადის მთავრობამ ქურთებს უსიტყვო მორჩილება მოსთხოვა, იგი ახალი ძალით გაჩაღდა.

1945 წ. აპრილში მერგაზურის (ერის ქურთისტანი) საპოლიციო პუნქტში მთავრობის მოხელეებმა ქურთებთან პროვოკაციული შეტაკებები გამოიწვიეს. ომი ბარზანელი ქურთების წინააღმდეგ კვლავ გა-

⁷ნის (ერის) კომუნისტური პარტია“. მეორენაირად იგი ცნობილია „შორისის“ სახელით. მისი გენერალური მდივანი სალამ ჰაიდარი იყო (145, გვ. 686).

⁷ მათ შორის მებრძოლი მხოლოდ 3000 კაცი იყო, დანარჩენი კი ბავშვები, ქალები და მოხუცები იყვნენ. ლტოლვილ ბარზანელთა რიცხვი შეადგენდა არა 2 ათას კაცს, როგორც ეს ა. ფედჩენკოს (იხ. 134, გვ. 100) ჰგონია, არამედ ორ ათას კომლს ე. ი. 10.000 კაცს.

ნახლდა. რადგან ქურთისტანის მთებში მთავრობის ჯარებს სამხედრო მოქმედების წარმოება გაუჭირდათ, ერაყის მთავარსარდლობამ აჯანყებულ ბარზანელ ქურთებს ერაყის სხვა ტომის ქურთები დაუპირისპირა. კერძოდ, მან ზიბარის, ოსკის, ბერვარისა და სხვა ტომის ქურთებისაგან სპეციალური დაქირავებული რაზმი შეადგინა. ამ რაზმს სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა არაბი ოფიცერი, შემდგომში ერაყის 1958 წ. 14 ივლისის რევოლუციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, აბდალ ქერიმ ყასემი.

სისხლისმღვრელი ბრძოლები ქურთისტანში 6 თვეს გაგრძელდა და დამთავრდა იმით, რომ მოლა მუსტაფა ბარზანიმ დაახლოებით 10.000 კაცით ჯერ ჩრდ. აღ. სასაზღვრო მთიანი ნაწილისაკენ დაიხია, ხოლო მერე ირანში გადავიდა. მათთან ერთად ირანში „პივის“ პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც წავიდნენ⁸.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის წლებში ერაყელ ქურთთა საზოგადოების სოციალურ ძალთა განლაგებაში ძირეული ცვლილებები მოხდა. ქურთთა ახალგაზრდა მუშათა კლასმა თანდათან შეიგნო თავისი რიგების პოლიტიკური გაერთიანებისა და შემკიდროების აუცილებლობა. ქურთისტანში მომზადდა ერაყის კომუნისტური პარტიის სექციის შექმნის პირობები, განმტკიცდა მუშათა კლასის კავშირი მშრომელ გლეხობასთან და გაიზარდა გლეხობის კლასობრივი და ეროვნული თვითშეგნება. ამასთან ერთად თანდათან შეიქმნა პირობები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ანტიფეოდალურ მოძრაობაში გადაზრდისათვის.

ქურთთა ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა ირანში

ჰიტლერული გერმანიის საბჭოთა კავშირზე მუხანათურად თავდასხმის შემდეგ, ირანის მთავრობამ 1941 წ. 26 ივნისის განცხადებით სსრ კავშირის მთავრობას აღუთქვა „სრული ნეიტრალიტეტი“, მაგრამ სინამდვილეში პროგერმანულად განწყობილი რეზა შაჰის მთავრობა ყოველმხრივ ხელს უწყობდა ირანში ფაშისტური აგენტურის საქმიანობის გაშლას. ამის გამო გერმანიის თავდასხმის საშიშროება ირანის ტერიტორიიდანაც სულ უფრო რეალური ხდებოდა. საბჭოთა მთავრობის სერიოზული გაფრთხილებები ირანის მთავრობამ ყურად არ იღო. ამიტომ სსრ კავშირი იძულებული შეიქნა ჯარები შეეყვანა ირანის ჩრდილო პროვინციებში⁹.

⁸ მათ შორის იყვნენ მირ ჰაქ აჰმედი, ხაირულაჰ აბდულ ქარიმი, მუსტაფა ხოშნოუ. იხეთ აბდულ აზიზი. ნური აჰმედ თაჰა და აბდულ აზიზ შემდინანი.

⁹ ერთდროულად ირანის სამხრეთ პროვინციებში ინგლისმა თავისი ჯარები შეიყვანა.

მრავალეროვანი ირანელი ხალხი რეზა შაჰის რეაქციული დიქტატურის ქვეშ გმინავდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ეროვნული უმცირესობანი (აზერბაიჯანელები, ქურთები და სხვ.) იმყოფებოდნენ. სამხრეთ ირანში, სადაც ადგილობრივი ადმინისტრაცია ინგლისურ საოკუპაციო ხელისუფლებას ემორჩილებოდა, მშრომელთა ყოველგვარი საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობა აკრძალული იყო. ჩრდილო პროვინციებში საბჭოთა არმია არ ერეოდა ირანის საშინაო საქმეებში, ხოლო ირანული ადმინისტრაცია ვერ ბედავდა რეპრესიული ზომების გატარებას ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ. ირანის აზერბაიჯანსა და ქურთისტანში რეაქციამ აშკარად უკან დაიხია და აქაური ქურთების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის მეტად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა.

ირანელი ქურთების ლტოლვა ავტონომიური მმართველობისაკენ ირანის მთავრობის შეშფოთებას იწვევდა.

ქურთებით დასახლებულ პროვინციებში წესრიგის დამყარების საბაბით მთავრობამ პროვოკაციული მიზნით რეზაიეში ქურთთა აჯანყებაც კი გამოიწვია, მაგრამ ქურთების შეიარაღებულმა ძალებმა შესძლეს მთავრობის ჯარების შემოტევის მოგერიება.

ირანის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებში ქურთი მოსახლეობა თანდათან გამოდიოდა ირანული ადმინისტრაციის ზეგავლენისაგან და თავისი სახელმწიფო მმართველობის ფორმის ჩამოყალიბებას იწყებდა. ამავე დროს ქურთები სულ უფრო და უფრო ანვითარებენ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. ირანელი ქურთების ნაციონალურ-დემოკრატიული ძალები პარტია „ჟიიანე ქორდესტანის“¹⁰ გარშემო გაერთიანდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ პარტია „ჟიიანე ქორდესტან“-ის პროგრამა არ იყო თანმიმდევრული და მიზანსწრაფული, ადრე არსებული ქურთული პოლიტიკური პარტიების პროგრამებისაგან იგი მაინც საგრძნობლად განსხვავდებოდა. ეს განსხვავება პირველ რიგში გამოიხატებოდა იმაში, რომ მასში ქურთი ხალხის განთავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლის ლოკალიზების იდეა იყო გატარებული. ამიერიდან ქურთ ხალხს თავისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა უნდა წარემართა იმ სახელმწიფოების ფარგლებში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. აქედან კი გამომდინარეობდა კავშირი ყველა პროგრესულ და დემოკრატიულ ძალებთან, რომლებიც იბრძოდნენ ირანის, თურქეთისა და ერაყის მაშინდელი რეაქციული მთავრობების წინააღმდეგ.

რაც შეეხება ქურთთა საერთო სახელმწიფოს — ქურთისტანის შე-

¹⁰ ამ პარტიის სრული სახელწოდება იყო „კომალაი ჟიიანე ქორდესტან“, რაც „ქურთისტანის აღორძინების კომიტეტს“ ნიშნავს (იხ. 148, გვ. 34).

ქმნას, „უიიანე ქორდესტანის“ პროგრამა მის განხორციელებას ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მეორე ეტაპზე ვარაუდობდა. ე. ი. მას შემდეგ, როდესაც ქურთები ავტონომიას მოიპოვებდნენ თურქეთში, ირანსა და ერაყში. მალე ირანის აზერბაიჯანისა და ერაყის ქურთისტანის პროგრესული, მემარცხენე ძალები პარტია „უიიანე ქორდესტანის“ გარშემო გაერთიანდნენ (145, გვ. 685—686).

გარდა ამისა პარტია „უიიანე ქორდესტან“-ის მოღვაწეობა ირანის ქურთისტანის პროვინციებსა და ქალაქებში მჭიდროდ იყო დაკავშირებული „სახალხო პარტიის“ („თუდე“)¹¹ მოღვაწეობასთან. ამ ორი პარტიის ერთობლივი მოქმედების შედეგად ირანის ქურთისტანის პროვინციებში მასების არნახული პოლიტიკური აქტიურობა დაიწყო.

ახალგაზრდა ქურთულმა პარტიამ სულ მალე დიდი ავტორიტეტი და ზეგავლენა მოიპოვა ქურთ მშრომელ მასებში. ამან ინგლისელები სერიოზულად დააფიქრა და უკვე 1945 წ. ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ „უიიანე ქორდესტანის“ ლიდერები დააპატიმრა. ირანის ქურთისტანის ცენტრალურ ნაწილში აჯანყებული მოსახლეობა ხელმძღვანელობის გარეშე დარჩა. წარმატება მხოლოდ ქურთთა იმ ცალკეულ აჯანყებებს ხვდათ, რომლებსაც „სახალხო პარტია“ მეთაურობდა. იმავე 1945 წ. დაიწყო მერიჯანის ქურთების დიდი აჯანყება, რომელიც ირანის სამხედრო ხროვის ტერორით იყო გამოწვეული. ეს აჯანყება დღითი დღე იზრდებოდა და მის წინააღმდეგ მთავრობის რეგულარული ჯარების მრავალრიცხოვანი ნაწილები გაიგზავნა. მიუხედავად დამსჯელი რაზმების სასტიკი რეპრესიებისა, აჯანყებამ წარმატებას მიაღწია. ქურთებით დასახლებულ პროვინციებში ჩაყენებული ირანის ჯარების გარნიზონების რიცხვი შეკვეცეს და ტერორს ბოლო მოუღეს.

მერიჯანის ქურთების აჯანყების დღეებში ირანის რეაქციის მაშინდელი რუბორი — გაზეთი „ქეიხანი“ წერდა: „ყველაზე უფრო სუფთა ირანელები და ირანის ნამდვილი პატრიოტები ქურთები არიან. შეიძლება ქურთების გაუნათლებელ ნაწილს არც კი ესმის სიტყვა „დამოუკიდებლობის“ მნიშვნელობა, მაგრამ ქურთულმა ინტელიგენციამ საკმაოდ კარგად იცის რა არის „დამოუკიდებლობა“. ჩვენს დროში, როდესაც დიდი და მრავალრიცხოვანი ხალხებიც კი ერთიანობისაკენ მიისწრაფიან და ერთმანეთს მხარს უჭერენ, განა შეიძლება კაცმა დაიჯეროს, რომ წმინდა ირანულ ტომიდან წარმოშობილ ზოგიერთ ხალხს სურს თავის ფუძეს გამოეყოს? სად წავლენ ისინი? თუ ამჟამად 15 მილიონი ირანელი ხალხი უმნიშვნელო როლს ასრულებს მსოფლიოს

¹¹ ჯერ კიდევ მანამდე სანამ შეიქმნებოდა „უიიანე ქორდესტანი“, ქ. მეჰაბადში აღმოცენდა ირანის „სახალხო პარტიის“ უკრედი. სწორედ ამ პარტიის ზეგავლენით, ირანის ქურთისტანის დემოკრატიულ წრეებში გაჩნდა აზრი საერთო ქურთული პროგრესული პარტიის შექმნის შესახებ.

დიდ ხალხთა თვალში, რაღა იქნება მაშინ, თუ იგი ცალკეულ ტომებად დაიყოფა? სად აღმოჩნდა ახლა ხივა და ბუხარა, განჯა და ბითლისი, ქურთისტანის და ინგლისის ბელუჯისტანი, რომლებიც ირანს გამოეყო?" (132, გვ. 127). როგორც ვხედავთ, ირანელმა რეაქციონერებმა ქურთების სამართლიან მოთხოვნას ავტონომიის შესახებ ფაშისტური ყაიდის რასისტული იდეები დაუპირისპირეს, ისინი ხმამაღლა ოცნებობდნენ პანირანულ იმპერიის შექმნაზე. ქურთების დემოკრატიულ მოძრაობაში ირანის მაშინდელი მმართველი წრეები ხედავდნენ იმ მუქარას, რომელიც ვითომდა მიმართული იყო ირანის დამოუკიდებლობისა და მთლიანობის წინააღმდეგ.

სტიქიურობამ, ლოკალურმა ხასიათმა და ცუდმა ხელმძღვანელობამ საბოლოოდ განაპირობეს 1945 წ. ქურთთა აჯანყების მარცხი ირანში და ხელი შეუშალეს მათ იმაში, რომ გადაზრდილიყვნენ რეაქციის წინააღმდეგ მიმართული მშრომელი მასების ფართო მოძრაობაში. მიუხედავად ამისა, ამ აჯანყებებმა ბევრი რამ ასწავლეს მის მონაწილეებს, შესძინეს მათ გარკვეული გამოცდილება რეაქციის წინააღმდეგ მომავალი ბრძოლისათვის. გარდა ამისა, ქურთებისათვის ნათელი შეიქმნა, რომ აუცილებელი იყო ქვეყნის ყველა პროგრესულ ძალებთან გაერთიანება და უფრო ნათელი პროგრამის შემუშავება.

1945 წ. ნოემბერში პარტიამ „ჟიიანე ქორდესტან“-მა აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტიის მაგალითისამებრ სახელი შეიცვალა და მას „ქურთისტანის დემოკრატიული პარტია“ (ქდპ) უწოდეს. თავის პირველ ყრილობაზე, რომელიც გაიმართა 1945 წ. ნოემბერში¹², არჩეულ იქნა ცკ ყაზი მოჰამედის მეთაურობით. აქვე მიიღეს პარტიის პროგრამა და წესდება¹³.

მალე აღნიშნულ პარტიაში ქ. მეჰაბადის ქურთი დიდებულები შევიდნენ. ახლად ჩამოყალიბებული პარტიის ხელმძღვანელობა მსხვილი მემამულეების, გვაროვნულ-ტომობრივი დიდკაცობისა და გავლენიანი გვარის წარმომადგენლების ხელში აღმოჩნდა. ამან რევოლუციური ტენდენციების განვითარება ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიაში გარკვეულად შეაფერხა. ყოველგვარი სოციალური მოთხოვნები პარტიის პროგრამიდან ამოღებულ იქნა. 1946 წ. 22 იანვარს მეჰაბადში ყაზი მოჰამედმა ზაზას, მამაშის, მანგურის ტომების ბელადების თანდასწრებით ქურთთა რესპუბლიკა გამოაცხადა (145, გვ. 686).

¹² საბჭოთა მკვლევარი მ. ლაზარევი ფიქრობს, რომ ყრილობა ჩატარდა ოქტომბერში (იხ. 100, გვ. 165).

¹³ ახლად ჩამოყალიბებული ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ორგანო გაზეთი „ქორდესტან“-ი იყო. იგი გამოდიოდა ქ. მეჰაბადში.

ამ საზეიმო ცერემონიალს მოლა მუსტაფა ბარზანი¹⁴ და მისი მომხრეებიც დაესწრენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ქურთთა მთავრობა შეიქმნა. მის შემადგენლობაში¹⁵ ძირითადად გვაროვნულ-ტომობრივი დიდკაცობისა და მსხვილი ფეოდალების წარმომადგენლები შევიდნენ. მთავრობის ასეთმა შემადგენლობამ განსაზღვრა მისი კონსერვატორული ხასიათი და ხელი შეუწყო მასში გვაროვნულ-ტომობრივი შუღლის გაღვივებას.

მოლა მუსტაფა¹⁶ და მისი მომხრეები ქურთული რესპუბლიკის შეიარაღებულ ნაწილებს შეერწყნენ. მუსტაფა ბარზანისადმი უწუალოდ დაქვემდებარებული 1200 კაციანი რაზმი, რომელიც ძირითადად ბარზანის ტომის ქურთებისაგან იყო შედგენილი, მეჰაბადის რესპუბლიკის არმიის ყველაზე ბრძოლისუნარიან შენაერთს წარმოადგენდა (148, გვ. 78).

ავტონომიური ქურთისტანის ლიდერებმა საჯაროდ გამოაცხადეს. იმის შესახებ, რომ ირანელი ქურთები თავიანთი ეროვნული უფლებებისა და ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზირებისათვის იბრძვიან. ეს ბრძოლა ირანის კონსტიტუციის ფარგლებში უნდა წარმართულიყო.

იმ დეკლარაციაში, რომელიც ქურთისტანის დემოკრატიულმა პარტიამ გამოაქვეყნა თავის ორგანოში, გაზეთ „ქორდესტანში“ (1946 წ. იანვარს) ნათქვამი იყო: „ჩვენ, ქურთები, რომლებიც ირანში ეცხოვრობთ, წლებისა და საუკუნეების მანძილზე ეროვნული უფლებებისა და თავისუფლებისათვის ვიბრძვით. ამ ბრძოლაში ჩვენ დიდი მსხვერპლი გავიღეთ. საუბედუროდ ირანის დესპოტი მმართველები ჩვენს მოთხოვნებს არაფრად აგდებდნენ. მათ იმის საშუალებაც კი არ მოგვცეს, რომ გვესარგებლა იმ უფლებებით, რომელიც კონსტიტუციამ

¹⁴ იმის მტკიცება, რომ თითქოს მოლა მუსტაფა ბარზანი მეჰაბადის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი იყო, სწორი არ არის. ასე ფიქრობენ მაგალითად, ერაყელი ქურთმცოდნე კაუკაუს კაფტანი და მასზე დაყრდნობით მ. ლახარევი (იხ. 95, გვ. 16; 100, გვ. 165). ახალგაზრდა ქურთული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი ყაზი მოჰამედის ძმა ჰოსეინ სეიფ ყაზი იყო. (142, გვ. 85, 148, გვ. 76).

¹⁵ რესპუბლიკის პრეზიდენტად ყაზი მოჰამედი გამოაცხადეს, მთავრობის მეთაური ჰაჯი ბაბა შეიხი გახდა, ეკონომიკის მინისტრი — აჰმედ ილაჰი, შინაგან საქმეთა — მოჰამედ ამინ მონი, კავშირგაბმულობის — ჯარიმ აჰმადიანი, სახელმწიფო მინისტრი (იგი განაგებდა საგარეო საქმეებს) რაჰმან ილხანიზადე, განათლების — მანაფ ჯარიმ, პროპაგანდის — სადეჟ ჰაიდარი, შრომის — ხალილ ხოსროვი, ეკურობის — ჰაჯი მოსტაფა დაუდი, სოფლის მეურნეობის — მაჰმედ ვალხანდე, გზათა — ისმაილ ილხანიზადე, ჯანმრთელობის — საიდ მოჰამედ აიუბიანი, იუსტიციის — მოლა ჰუსეინ მაქლა (იხ. 148, გვ. 85). ყველა მინისტრი ქღპ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდა, მათ გარდა პარტიის ც. კ. წევრები იყვნენ: მეჰამედ რასული (დილშად) — ც მდივანი, მეჰამედ ამინ შარაფი და აბდულ რაჰმან ზაბიჰი (148, გვ. 134).

¹⁶ მას სხვა სამ კაცთან ერთად, გენერლის წოდება უბოძეს (145, გვ. 686).

მიანიჭა ირანის პროვინციულ ოლქებს. ჩვენი სამართლიანი მოთხოვნების პასუხად ყოველთვის იყო ტყვიები, ყუმბარები, გადასახლება, სიკვდილით დასჯა, დაკაბალება. ასე იყო რეზა შაჰის ოცი წლის მმართველობის ხანაში, როდესაც ჩვენ ეროვნული ტანსაცმლის ტარებაც კი აკვირძალეს. ხიშტიისა და ოფიცრების ხელების ძალით, მძარცველების, მოღალატეებისა და ქურდების საშუალებით ანადგურებდნენ და სობდნენ ყველაფერს, რაც კი ჩვენ გაგვაჩნდა, ხოლო ჩვენს პატიოსნებასა და ღირსებას კი აბუჩად იგდებდნენ. ჩვენი ხალხის მოსპობისა და გადაშენებისათვის ისინი არავითარ დამამცირებელ და ველურ საშუალებებს არ ერიდებოდნენ. ჩვენ ხომ ბოლოს და ბოლოს კაცობრიობის ნაწილს შევადგენთ, გვაქვს ჩვენი ისტორია, ენა, ადათ-წესება, რომლებიც ჩვენ გვიყვარს და პატივს ვცემთ. რატომ არ უნდა ვიყოთ ჩვენს სახლში თავისუფალი და დამოუკიდებელი?

რატომ გვიკრძალავენ ვასწავლოთ შვილებს მშობლიურ ქურთულ ენაზე? რატომ არა სურთ დაუშვან, რომ ქურთისტანი ავტონომიურა ოლქი იყოს და მას მართავდეს საოლქო ენჯუმენი, რომელსაც კანონი ითვალისწინებს?

ძვირფასო თანამემამულენო! თქვენ უნდა იცოდეთ, რომ უფლებებს ნებით კი არ იძლევიან, არამედ იგი ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ეროვნული და ადგილობრივი უფლებებისათვის, თავისუფლებისათვის...

გაუმარჯოს ავტონომიურ დემოკრატიულ ქურთისტანს!“ (132, გვ. 131).

ქდპ პროგრამის¹⁷ დაწვრილებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ პარტიის ხელმძღვანელები სოციალურ მოთხოვნებს უგულვებელყოფდნენ. პროგრამაში არსად ნათქვამი არ იყო აგრარული რეფორმის ჩატარებისა და მუშათა კლასის ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქების შესახებ, პროგრამა ასევე გვერდს უვლიდა ქვეყნის ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ პატრიარქალური და ფეოდალური გადმონაშთების მოსპობის აუცილებლობას.

ქურთისტანის დემოკრატიული პარტია პირველ რიგში ეროვნული და პატრიოტული ორგანიზაცია უფრო იყო, ვიდრე კლასობრივი. მან თავის რიგებში ჩრდ. დასავლეთი ირანის ქურთი მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი — სოფლისა და ქალაქის უღარიბესი მასები, ტომის ბელადები და მემამულეები გააერთიანა. მართალია, პარტიამ ამით მასობრივი ბაზა მიიღო, მაგრამ სამაგიეროდ მშრომელი კლასების რევოლუციური თვითმოქმედება შეიზღუდა, მის ბრძოლას სოციალური შინაარსი გამოაცალა. ეროვნული ფრონტის დანა-

¹⁷ დაწვრილებით ამ პროგრამის შესახებ იხ. (132, გვ. 131—133).

გვიანებამ მერყევი ანტიხალხური ელემენტებით, რომლებიც ყოველთვის მზად იყვნენ ელაღათ საერთო სახალხო ინტერესებისათვის და მორიგებოდნენ იმპერიალიზმსა და რეაქციას, საბოლოო ჯამში, სხვა მიზეზებთან ერთად, მეჭაბადის რესპუბლიკის დაღუპვა განაპირობა.

ქურთულმა ავტონომიურმა მმართველობამ ირანში სულ ერთი წელი იარსება. ამ ხნის განმავლობაში ქურთულმა მთავრობამ მთელი რიგი მნიშვნელოვანი პროგრესული ღონისძიებები გაატარა, განსაკუთრებით კულტურისა და განათლების დარგში. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქურთული ენა ოფიციალურ ენად გამოცხადდა. ბრძოლა დაიწყო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. გახსნეს ქურთული სკოლები, თეატრი, დააარსეს ქურთული გაზეთი, მოაწყვეს რადიოგადაცემები ქურთულ ენაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას, სოციალური უზრუნველყოფისა და ქალაქის კეთილმოწყობის საქმეს. კიდევ უფრო ფართო პროგრესული ღონისძიებები განხორციელდა მეზობელ ავტონომიურ ირანის აზერბაიჯანში¹⁸. ორივე ავტონომიურ მთავრობას შორის 1946 წ. 23 აპრილს შეთანხმებაც კი დაიდო მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ (148, გვ. 81—83).

1946 წ. მაისში საბჭოთა კავშირმა, საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე ირანიდან თავისი ჯარები გამოიყვანა.

1946 წ. შემოდგომაზე ყავამ ეს-სოლთანეს რეაქციულმა მთავრობამ მალე ძალები მოიკრიბა და დემოკრატიასთან თამაში შეწყვიტა. მთავრობის პოლიტიკის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ყველა გაზეთი მან დახურა. ყავამ ეს-სოლთანე ემყარებოდა ახლად შექმნილ ირანის დემოკრატიულ პარტიას, პირწაფარდნილ რეაქციონერებს, შავრაზმელებს და აგრეთვე სამხრეთ ირანის ტომებს, რომლებიც მზად იყვნენ პირველ მოწოდებისთანავე ჩაეზმოთ დემოკრატიული მოძრაობა ირანის ქურთისტანსა და აზერბაიჯანში.

ამერიკელმა და ინგლისელმა იმპერიალისტებმა ირანის არმია ტანკებითა და თვითმფრინავებით მოამარაგეს. 1946 წ. 4 დეკემბერს ყავამ ეს-სოლთანეს მთავრობის ჯარები ამერიკელ გენერალ შვარცკოფის მეთაურობით ირანის აზერბაიჯანში შევიდნენ, ხოლო 13 დეკემბერს მათ უკვე თავრიზი დაიკავეს.

ირანის აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემამ და იქ ირანის მთავრობის ჯარების შესვლამ ქურთისტანის დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთ საზღვრებს დიდი საფრთხე შეუქმნა. ყველაზე გავლენიანი შექაქის ტომის ბელადი ომარ ხანი ამერიკის კონსუ-

¹⁸ 1946 წ. 13 ივნისს ირანის მთავრობამ ოფიციალურად ირანის აზერბაიჯანს ავტონომია მიანიჭა (37, გვ. 24).

ლის საშუალებით დაუკავშირდა თეირანის მთავრობას. ამის შემდეგ ქურთთა რესპუბლიკას მეორე საფრთხე დაემუქრა ჩრდილოეთიდან. შექაქის ტომის ბელადის მაგალითს მალე ჰერკის ტომის ბელადმაც მიბაძა და გადავიდა შაჰის მხარეზე. შექმნილმა ვითარებამ მოლა მუსტაფა ბარზანი აიძულა საყუბის დაცვაზე ხელი აეღო და თავისი რაზმით მეჰაბადში მოსულიყო.

1946 წ. 15 დეკემბერს ყაზი მოჰამედი ეწვია ირანის არმიის მთავარსარდლობას მიანდოაბში. ქურთული რესპუბლიკის ხელმძღვანელსა და შაჰის მთავრობის წარმომადგენლებს შორის გაიმართა მოლაპარაკება. მანამდე მუსტაფა ბარზანმა მოუწოდა ყაზი მოჰამედს განეგრძო ბრძოლა და არ დაეჯერებინა შაჰის მთავრობის დაპირებისათვის, მაგრამ მისი მოწოდება უპასუხოდ დარჩა.

ირანის ქურთისტანის ტერიტორიის ოკუპაციის შემდეგ ყაზი მოჰამედი და მისი ორი ძმა სადრი და სეიფი მალე სიკვდილით დასაჯეს (142, გვ. 100). ქურთულ ავტონომიას ირანში ბოლო მოეღო.

მოლა მუსტაფა ბარზანმა და მისმა მომხრეებმა ჩრდილო აღმოსავლეთით დაიხიეს, რათა ირან-ერაყის საზღვრის გასწვრივ დასახლებული თავიანთი ოჯახები დაეცვათ.

ირანის მთავრობის წინადადება იმის შესახებ, რომ ქურთები განიარაღებულიყვნენ და დასახლებულიყვნენ ჩრდილო აღმოსავლეთ ირანში, ბარზანელებმა უარყვეს. ისინი მერკივარისა და ლაჰიჯანის ველებზე გამაგრდნენ. მთავრობის წაქეზებით 1947 წ. 11 მარტს ბარზანელთა წინააღმდეგ მამაშისა და ჰერკის ტომის ქურთების შეტევა დაიწყო. მასში ირანის ავიაციაც მონაწილეობდა. თუმცა ბარზანელებმა ეს შეტევა მოიგერიეს, მათი მდგომარეობა ძალზე მძიმე შეიქნა. მშობლიურ კერისაგან ხანგრძლივი დროით მოწყვეტამ და 2 წლის იძულებითმა მომთაბარულმა ცხოვრებამ ბარზანელთა მორალური სიმტკიცე თანდათან შეარყია. ოფიცერთა უმრავლესობამ, დაუჯერა რა ერაყის მთავრობის დაპირებას ამნისტიის შესახებ, კაპიტულაცია და ერაყში დაბრუნება გადაწყვიტა. მათ გაჰყვა 400 ლტოლვილი. ერაყში დაბრუნებისთანავე ოთხი ქურთი ოფიცერი, მიუხედავად ამნისტიის მიღებისა, ჩამოახრჩვეს¹⁹. ეჭვები, რომელიც მუსტაფა ბარზანმა გამოთქვა ერაყის მთავრობის დაპირებების შესახებ გამართლდა.

1947 წ. 15 მაისს ბარზანელთა საერთო კრებაზე მუსტაფა ბარზანმა განაცხადა, რომ შექმნილი ვითარება აიძულებს მას ემიგრაციაში წავიდეს საბჭოთა კავშირში. მან და მისმა 500-მდე მომხრემ თითქმის ერთ თვეში რამდენიმე ასეული კილომეტრი გაიარეს, სანამ მიაღწევდ-

¹⁹ ეს ოფიცრები იყვნენ: მუსტაფა ხოშნოვი, ხაირულაჰ აბდულ ქარიმი, მუჰამედ მაჰმუდ კულსი და იზეთ აბდულ აზიზი (იხ. 148, გვ. 126).

ნენ სსრ კავშირის საზღვრებს. ირანის მთავრობის ყველა ცდა, ხელი შეეშალა ბარზანელთა გადასვლისათვის, წარუმატებლად დამთავრდა. 1947 წ. 10 ივნისს ბარზანელებმა მიიღეს სსრ კავშირის სახელმწიფოს ქვეშევრდომობა. ისინი ჩვენს ქვეყანაში 1959 წლამდე დარჩნენ²⁰.

მიუხედავად ქურთთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხებისა ირანში, მას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქურთთა ხანმოკლე ავტონომიამ დაამტკიცა, რომ ქურთების დემოკრატიულ ძალებს, თუ მათ მოქმედების თავისუფლება მიეცემოდა, შეუძლიათ გადაჭრან ძირითადი ნაციონალური ამოცანები. ირანელი ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში დაშვებული შეცდომები შემდგომში გაითვალისწინეს მეზობელ ერაყში აჯანყებულმა ქურთებმა. ავტონომიისათვის ბრძოლამ ირანში დაანახა ქურთებს რომ მათი განმათავისუფლებელი ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ირანსა და ერაყში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების საფუძვლიანი დემოკრატიზაცია მოხდებოდა.

როგორც ვხედავთ 1932—1945 წწ. ისტორიულ მონაკვეთს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქურთების განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იგი წარმოადგენდა პირველ მსოფლიო ომის შემდგომ დროინდელი პერიოდის კანონზომიერ გაგრძელებას. ქურთების 1935—1936 წწ. აჯანყებებმა ერაყში გვიჩვენეს, რომ ქურთთა პოლიტიკური მოძრაობის ცენტრის გადმონაცვლება შემთხვევითი ამბავი არ იყო.

ომის წინ შექმნილი ქურთული პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობამ ბევრად განაპირობა ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა როგორც ერაყში, ისე ირანში, ხოლო ბარზანელ ქურთების 1943—1945 წწ. აჯანყებამ და ირანელ ქურთების მიერ ავტონომიური რესპუბლიკის შექმნამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქურთი ხალხის მოძრაობის ახალი აღმავლობისათვის უფრო მტკიცე ნიადაგი მოამზადეს.

თ ა ვ ი III. ქურთი მშრომელების ბრძოლა დემოკრატიული უფლებებისათვის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერაყში

ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის (ქდპ) შექმნა

მეორე მსოფლიო ომის ისტორიულმა შედეგებმა ხელსაყრელი პირობები შექმნეს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ქურთებისა და არაბების

²⁰ სხვა ქურთი ბელადებიდან მთლა მუსტაფა ბარზანთან საბჭოთა კავშირში მოვიდა მხოლოდ მირ ჰაჯი აჰმედი. აზიზ აბდულაჰ შამდინანი (შამშინი) და მურად აზიზაჯერ კიღევ 1946 წ. წავიდნენ სასწავლებლად ლენინგრადში.

ერთობლივი ბრძოლისათვის. ლოზუნგი „დამოუკიდებელი ქურთისტანი“, რომლის განხორციელებას ცდილობდნენ ქურთები პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, შეიცვალა ლოზუნგით — „ავტონომიური ქურთისტანი“.

მას შემდეგ, რაც ბარზანელ ქურთების აჯანყებამ წარუმატებლობა განიცადა, „ჰივი“-ს პარტია დაიშალა, ხოლო მისი თვალსაჩინო წევრები, როგორც აღენიშნეთ, ემიგრაციაში ირანში წავიდნენ. 1945 წ. ზაფხულში „შორიშის“ ინიციატივითა და ქურთული ეროვნული ბურჟუაზიის მხარდაჭერით ერაყის ქურთისტანში ახალი მასობრივი დემოკრატიული პარტია — „რიზგარი ქურდ“-ი („ქურთული თავისუფლება“) შეიქმნა. ირანში მყოფმა ქურთმა ემიგრანტებმა „ჰივი“-ს, „შორიში“-სა და „რიზგარი“-ს პარტიების გადარჩენილი წევრების ბარზანელებთან გაერთიანება სცადეს. ამ მიზნით სპეციალური თათბირიც გაიმართა¹.

1946 წ. ბაღდადში არალეგალურად მოიწვიეს „შორიშისა“ და „რიზგარის“ პარტიების კონგრესი. კონგრესმა გაერთიანების წინადადება მოიწონა. ერაყში არსებული ყველა ქურთული ორგანიზაციის გაერთიანება როგორც იქნა საბოლოოდ გადაწყდა².

ჰამზა აბდულაჰმა გაერთიანებულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მემარჯვენე ელემენტები შეიყვანა³ და ამით ახლად ჩამოყალიბებულ პარტიის ერთიანობას ძირი გამოუთხარა. „შორიში“-ს ხუთმა მთავარმა ხელმძღვანელმა პროტესტის ნიშნად ახლად ჩამოყალიბებულ ორგანიზაციაში შესვლაზე უარი განაცხადა⁴. უფრო გვიან ისინი თავიანთ თანამებრძოლებთან ერთად იმ კომპარტიას მიემხრენ, რომლის გენერალური მდივანი ფაჰედი იყო. რაც შეეხება იბრაჰიმ აჰმედს და მის მომხრეებს, ისინი ახალ ორგანიზაციას შეუერთდნენ. ქურთების მოძრაობის წარმატების მთავარ წინამძღვრად მათ ყველა ქურთული ორგანიზაციის გაერთიანება მიაჩნდათ. ასე ჩამოყალიბდა „ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის“ ერაყის სექცია.

1946 წ. 16 აგვისტოს გაიმართა ახლად ჩამოყალიბებული პარტიის დამფუძნებელი ყრილობა (174, გვ. 119). პარტიის თავმჯდომარედ

¹ ამ თათბირს მოლა მუსტაფა ბარზანის გარდა ჰამზა აბდულაჰი, მირ ჰაჟ აჰმედი და ხოშნოვი ესწრებოდნენ: „შორიში“-ს და „რიზგარი“-ს წევრებთან მოლაპარაკებას მოლა მუსტაფა ჰამზა აბდულაჰის მეშვეობით აწარმოებდა.

² ქურთი ლიტერატურისმცოდნე და ეურნალისტი მარუფ ხაზნადარი ამ ფაქტს მიიჩნევს როგორც ეროვნული ფრონტის შექმნას (იხ. 135, გვ. 59), რაც სწორი არ არის. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ფრონტი ერაყში მხოლოდ 1957 წ. შეიქმნა.

³ ესენი იყვნენ გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენლები: მუჰამედ ზივადი და შეიხ ლატიფი (ქურთთა 20—30-იან წლების მოძრაობის ცნობილი ხელმძღვანელები შეიხ მაჰმუდის უმცროსი ვაჟი).

⁴ მათ შორის ჯამალ და სალამ ჰაიდარი იყვნენ.

(პრეზიდენტი) მოლა მუსტაფა ბარზანი აირჩიეს, მოადგილედ — შეიხ ლატიფი, ხოლო მდივნად — ჰამზა აბდულაჰი⁵.

პარტიის ცკ ბეკედვითი ორგანო გაზეთი „რიზგარი“ („განთავისუფლება“) გახდა. დიდი კამათის შემდეგ გადაწყვიტეს პარტიისათვის „ქურთული დემოკრატიული პარტია“ ეწოდებინათ⁶. ახალი სახელწოდების დაქმევით ხაზი გაესვა ამ პარტიის დამოუკიდებლობას ირანის „ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიისაგან“.

ყრილობამ მიიღო თავისი პროგრამა. მასში აღნიშნული იყო, რომ „ქურთული დემოკრატიული პარტია „მიზნად ისახავს ერაყი ფედერაციულ სახელმწიფოდ გადააქციოს. გარდა ამისა, პროგრამის საგარეო პოლიტიკურ ნაწილში ნათქვამი იყო, რომ პარტიის მიზანს შეადგენს: 1. ერაყის განთავისუფლება იმპერიალიზმის ბატონობისაგან, 2. ინგლისთან დადებული ყველა არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულების გაუქმება, 3. ერაყში დემოკრატიული წყობილების დამყარება, 4. ქურთისტანის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა ერაყის ფარგლებში⁷ და 5. მკიდრო კავშირის დამყარება ანტიფაშისტურ დემოკრატიულ ბანაკთან.

საშინაო პოლიტიკის დარგში პარტიის პროგრამა ითვალისწინებდა შემდეგს: ქურთებისათვის სავალდებულო დაწყებითი განათლების შემოღებას, უნივერსიტეტის დაარსებას, პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების შექმნის თავისუფლებას, სახელმწიფოს მიერ ხელფასის მინიმუმის განსაზღვრას, შრომის პირობების გაუმჯობესებას, მუშათა მოხუცებულობის უზრუნველყოფასა და მონობოლიების აკრძალვას.

საერთოდ ეკონომიკურ საკითხებზე პარტია თავის ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებდა. პარტიის პოლიტიკა ეკონომიკურ დარგში შემდეგი ძირითადი პუნქტებით განისაზღვრებოდა:

1. ქვეყნის წიაღისეულის მოპოვების ნაციონალიზაცია.
2. სახელმწიფოს კონტროლისადმი დაქვემდებარებული მძიმე მრეწველობის შექმნა.
3. ეროვნული ბურჟუაზიის წახალისება მსუბუქი მრეწველობის შემდგომი განვითარების მიზნით.
4. სახელმწიფო მიწების გლეხებისათვის გადაცემა.

⁵ მათ გარდა პოლიტიურაში შევიდნენ ჯაფარ მუჰამედი ქერიმი, რაშიდ აბდულ კადრი, ქერიმ თაუფიკი და ალი აბდულაჰი. ცენტრალურ კომიტეტში კი აირჩიეს: მუჰამედ ზივადი, მირ ჰაქ აჰმედი, სალამ იუსუფი და აუნი იუსუფი.

⁶ ზოგიერთმა დელეგატმა შიში გამოთქვა, რომ პარტიის ახალი სახელწოდება ჩრდ. ერაყის სხვა ეროვნულ უმცირესობებს კარს დაუხშობს პარტიაში შესასვლელად, მაგრამ ჰამზა აბდულაჰის დაყენებით მოთხოვნის შემდეგ სხვა წინადადება უარყვეს.

⁷ ერაყის ქურთისტანის ავტონომიურ რესპუბლიკას თავისი წარმომადგენელი უნდა ჰყოლოდა ირანის აზერბაიჯანის და მეჰაბადის რესპუბლიკაში.

ამრიგად, როგორც ამ პროგრამიდან ჩანს, ახალი პარტია იდგა დემოკრატიულ და ანტიიმპერიალისტურ პოზიციებზე. იგი ქურთების ეროვნული განთავისუფლების ერთიან დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა. მისი კონცეფციები აფრიკის ახალგაზრდა დამოკიდებულ ქვეყნებში (ალჟირი, გვინეა და სხვა) შექმნილ ნაციონალური ერთიანობის პარტიების კონცეფციებს ძალზე წააგავდა. ამიტომაც ერაყის ქურთისტანშიც წარმოიშვა ისეთი პრობლემები, როგორც აღნიშნულ ქვეყნებში. პირველ რიგში, ეს იყო ნაციონალისტური და კომუნისტურა პარტიების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა, რამაც განსაკუთრებული ელფერი და მნიშვნელობა მიიღო ერაყში.

იმ დროს, როდესაც აფრიკის ქვეყნებში ჩამოყალიბებული ასეთი ერთიანი დემოკრატიული პარტიები, როგორც წესი, ამა თუ იმ სახელმწიფოს ხალხის უმრავლესობას წარმოადგენს, ქურთული დემოკრატიული პარტია ეროვნული უმცირესობის პარტიაა და თავის შექმნის პირველ დღეებიდან დაუპირისპირდა ერაყის კომუნისტურ პარტიას, რომელშიც ძირითადად გაერთიანებული იყვნენ ქვეყნის უდიდესი ტერიტორიის — არაბული ერაყის (ქვეყნის სამხრეთი და ცენტრალური ნაწილი) პროლეტარიატისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. ამ პარტიებში არსებულმა ორგანიზაციულმა პრინციპებმა მათ შორის კონფლიქტი წარმოშვეს. იგი ნაწილობრივ დღესაც არაა აღმოფხვრილი.

ეროვნული მოძრაობის ერთიანი დემოკრატიული პარტიები ყალიბდებიან ეროვნულ საფუძველზე მოსახლეობის ფართო ფენების მოძრაობის შედეგად. ერაყის მაგალითზე იგი ქურთული ეროვნული უმცირესობით დასახლებულ ქვეყნის ტერიტორიის 1/3-ს მოიცავს, მაშინ როდესაც კომუნისტური პარტიის ორგანიზაციები როგორც კლასობრივი ორგანიზაციები ყალიბდება სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ეროვნული უმცირესობათათვის რაიმე განსაკუთრებული ორგანიზაციების შექმნის გარეშე. აი ის მთავარი მიზეზი, რომელიც ორივე პარტიას ერთიან ფრონტში გაერთიანებას ხელს უშლიდა.

გარდა ამისა, კიდევ სხვა მიზეზებიც იყო. ქურთი ლიდერები კომპარტიასა და მის ხელმძღვანელებს სექტანტობასა და ნაციონალურ ქედმაღლობაში სდებდნენ ბრალს, ხოლო ერაყელი კომუნისტები ფაქედის მეთაურობით უარყოფდნენ ქურთისტანის ავტონომიის ლოზუნგს. მათი აზრით, იგი ერაყის ერთიანობას საფუძველს უთხრიდა. კომპარტია ქურთული პარტიისაგან მოითხოვდა, რომ მის ლიდერებს პარტიის პროგრამაში სოციალური წინააღმდეგობანი არ მიეჩქმალათ. კომპარტია აკრიტიკებდა აგრეთვე ქურთული დემოკრატიული პარტიის მაშინდელ გენერალურ მდივნის ჰამზა აბდულაჰის ნაციონალისტურ შეხედულებებს რევოლუციის სტიქიურობის შესახებ. ჰამზა აბდულაჰს შეცდომით მიაჩნდა, რომ ერაყის ქურთისტანი რევოლუციის წინაშე

იმყოფება და მისთვის ხელმძღვანელობა ტომების ბელადებს უნდა გაეწიათ.

ამიტომ ქურთების ხელმძღვანელებმა უარი თქვეს მებრძოლი ორგანიზაციის შექმნაზე და სოციალური მოთხოვნები უკანა ხაზზე გადასწიეს. ამრიგად, მიუხედავად ადგილობრივი ქურთული ორგანიზაციების მრავალრიცხოვნობისა, ისინი ნათელ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და იდეოლოგიას მაინც მოკლებული იყვნენ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ თავიანთი მოღვაწეობა გამოაცოცხლეს არაბულმა პარტიებმაც. ამ დროისათვის ერაყში არსებობდა ისეთი წვრილბურჟუაზიული პარტიები როგორც არის „პიზბ აშ-შააბი“ („სახალხო პარტია“⁸) და „პიზბ ალ-ითთიჰადი“⁹ („ნაციონალური ერთიანობის პარტია“), რომლებიც არალეგალურ მუშაობას ეწეოდნენ. მათთან მთელი რიგი ქურთული ორგანიზაციებიც იყვნენ დაკავშირებული. ჯერ კიდევ 1945 წ. დეკემბერს მათი გაერთიანებული ძალებით ერაყის მთავრობის და ინგლისელ კოლონიზატორთა მიერ ერაყის ქურთისტანში მოწყობილი სისხლის ღვრის პასუხად საპროტესტო კამპანია ჩატარდა.

ამ გამოსვლებმა 1945 წ. 27 დეკემბერს რეგენტი აბდულ ილაჰი აიძულეს ზოგიერთ დათმობებზე წასულიყო. მან გააუქმა სამხედრო მდგომარეობა, ბეჰდვითი სიტყვის ცენზურა, ხოლო პოლიტიკურ პარტიებს¹⁰ ლეგალური მოღვაწეობის უფლება მისცა¹¹. გარდა ამისა, ერაყის მთავრობა ხალხს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასაც შეპირდა (236, 28. 12. 1945).

მართალია, ახლად ჩამოყალიბებული პოლიტიკური პარტიები თავისი შემადგენლობით და პროგრამით ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებოდნენ, ყოველი მათგანი ინგლის-ერაყის 1930 წლის ხელშეკრულების გაუქმებას, ინგლისის ჯარების ერაყიდან გაყვანას და ინგლისელთა სამხედრო-საჰაერო ბაზების ლიკვიდაციას მოითხოვდა.

1947 წლიდან მდგომარეობა ერაყში კვლავ დაიძაბა. ნური საიდის რეაქციულმა მთავრობამ გამოაცხადა „ლაშქრობა კომუნიზმის წინა-

⁸ „პიზბ აშ-შააბს“ ერაყის პროგრესული მოღვაწე, შემდგომში ერაყის მშვიდობის მომხრეთა ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე და ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების ლენინური პრემიის ლაურეატი აზიზ შერიფი მეთაურობდა.

⁹ ამ პარტიას კი სათავეში ედგა „ალ-აჰალის“ მემარცხენე ლიდერი აბდ ალ-ფათაჰ იბრაჰიმი.

¹⁰ დასახელებული ორი პარტიის გარდა, 1946 წ. აპრილში ორგანიზაციულად კიდევ გაფორმდნენ შემდეგი პარტიები: „პიზბ ალ-ვატანი ალ-დემოკრატი“ („ნაციონალური დემოკრატიული პარტია“), „პიზბ ალ-აჰარა“ („ლიბერალების პარტია“) და „პიზბ ალ-ისთიკლიალ“ („დამოუკიდებლობის პარტია“).

¹¹ კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ქურთულმა სექციამ ლიცენზია ლეგალური მოღვაწეობისათვის არ მიიღო.

აღმდეგ“ და ამ საბაბით აკრძალა დემოკრატიული და პროგრესული პარტიების საქმიანობა. ერაყში გამძვინვარებულმა ტერორმა კიდევ უფრო დააჩქარა დემოკრატიული პარტიებისა და ქვეყნის მემარცხენე ძალების ერთმანეთთან დაახლოება. მალე მათ ქურთულ დემოკრატიულ პარტიასთან თანამშრომლობა დაიწყეს.

ქურთებისა და არაბების პირველი ერთობლივი ბრძოლის მაგალითს ინგლის-ერაყის ახალი ხელშეკრულების¹² ხელმოწერის წინააღმდეგ მათი გამოსვლა წარმოადგენდა.

1948 წ. იანვარი ხალხმრავალი ანტიიმპერიალისტური დემონსტრაციებით აღინიშნა. თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ მიიღო მონაწილეობა ამ დემონსტრაციებში. ხალხთა მასების ერთსულოვანმა პროტესტმა სალაჰ ჯაბრის მთავრობის გადადგომა გამოიწვია. ახალმა მთავრობამ მუჰამედ ას-სადრის მეთაურობით პირობა დადო, რომ ინგლის-ერაყის 1930 წლის ხელშეკრულების ვადას არ გააგრძელებდა.

იანვრის ბრძოლების მსვლელობის დროს ერაყის პოლიტიკურმა პარტიებმა ნაციონალური ფრონტის შექმნისათვის¹³ პირველი ნაბიჯი გადადგეს, მაგრამ მისი მიზნები მხოლოდ ინგლის-ერაყის ახალი ხელშეკრულების წინააღმდეგ ბრძოლით შეიზღუდა.

ამ დროისათვის, ირანის ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიაში ადრე შემავეალი ერაყის ჯგუფი¹⁴ ერაყის ქურთულ პარტიასთან გაერთიანდა (1947 წ.)¹⁵. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გაერთიანება ერთბაშად არ მომხდარა. ამის შესახებ მოლაპარაკება მრავალ თვეს მიმდინარეობდა.

იბრაჰიმ აჰმედი და მისი მომხრეები პარტიის დემოკრატიზაციას მოითხოვდნენ. ისინი იმის წინააღმდეგ იყვნენ, რომ პარტიის სათავეში გვაროვნულ-ტომობრივი ხელმძღვანელობა მდგარიყო. ირანიდან დაბრუნებული ქურთების ჯგუფი მოითხოვდა, რომ ქურთული დემოკრა-

¹² იმასთან დაკავშირებით, რომ 1930 წ. ხელშეკრულება სულ უფრო დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ერაყის მოსახლეობის ფართო ფენებს შორის, ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა იგი ახალი ხელშეკრულებით შეეცვალა. ამ მიზნით 1948 წ. 15 იანვარს ერაყსა და ინგლისს შორის ინგლისის საზღვაო ქალაქ პორტსმუთში ახალი ხელშეკრულება დაიდო. მაგრამ მისი ცალკეული მუხლები ერაყის დამოკიდებულებას ინგლისისაგან კიდევ უფრო აძლიერებდნენ.

¹³ ამის თაობაზე 6—15 იანვარს სახალხო, ნაციონალ-დემოკრატიულ, კომუნისტურ და ქურთულ დემოკრატიულ პარტიებს შორის სპეციალური მოლაპარაკება მიმდინარეობდა.

¹⁴ მას იბრაჰიმ აჰმედი მეთაურობდა.

¹⁵ როგორც ცნობილია იბრაჰიმ აჰმედი და მისი მომხრეები თავის დროზე მოითხოვდნენ, რომ ქურთული დემოკრატიული პარტია მეჰაბადის რესპუბლიკას მიმხრობოდა. მეჰაბადის რესპუბლიკის დაცემის შემდეგ ეს მოთხოვნა თავისთავად მოიხსნა და ერაყის ყველა ქურთული ორგანიზაციის ერთ პოლიტიკურ პარტიად გაერთიანებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა.

ტიული პარტია დაყრდნობოდა ქურთ მუშებსა და გლეხებს, როგორც ნამდვილ რევოლუციურ ძალებს. გარდა ამისა, ისინი პარტიის პროგრამაში ცვლილებების შეტანის მომხრენი იყვნენ. მათ სურდათ შეეტანათ პროგრამაში პუნქტები მიწის რეფორმის ჩატარების, ნავთობის ნაციონალიზაციისა და ერაყის დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ. ჰამზა აბდულაჰი და მისი თანამებრძოლები მოითხოვდნენ გაერთიანებულიყვნენ ყოველგვარი პირობების გარეშე, ხოლო ხსენებული მოთხოვნები, პარტიის მომავალ ყრილობაზე განეხილათ.

ერაყის მთავრობის მიერ მიღებულმა რეპრესიულმა ზომებმა¹⁶ ქურთული დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობის მოწვევა დაავიანა.

1950 წ. 6 იანვარს ბაღდადში ქურთების არალეგალური პარტიული კონფერენცია მოიწვიეს. მასზე ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია იყო წარმოდგენილი. ამ კონფერენციამ პარტიის II ყრილობის მოწვევის მომზადებისათვის სპეციალური კომიტეტი აირჩია.

ქურთული დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობა 1951 წ. იანვარში გაიხსნა. ყრილობაზე ფრაქციულმა ბრძოლამ იჩინა თავი¹⁷. ყრილობამ პარტიის ახალი ხელმძღვანელობა აირჩია. პარტიის სახელმძღვანელო პოსტები იბრაჰიმ აჰმედის მომხრეებმა მიიღეს. თვით იბრაჰიმ აჰმედმა პარტიის ცკ გენერალური მდივნის თანამდებობა დაიკავა¹⁸.

ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამის პროექტი, რომელიც შემდეგ ადგილობრივ ორგანიზაციებს დაეგზავნა. ახალი პროექტი პარტიის სახელწოდების შეცვლას ითვალისწინებდა. ამიერიდან მისთვის უნდა „ქურთისტანის დემოკრატიული პარტია (ერაყი)“ ეწოდებინათ. როგორც ჩანს, პარტიის ხელმძღვანელობა ვარაუდობდა, რომ ახა-

¹⁶ ამ დროს ერაყის მთავრობის მითითებით ერაყის კომპარტიის ცნობილი მოღვაწენი ფაჰედი, ზაჟი მუჰამედ ბასიმი, ჰუსეინ მუჰამედ აშ-შაბიბი მოკლეს, ხოლო ქურთულ დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელებიდან რამდენიმე კაცი დააპატიმრეს. ესენი იყვნენ: რაჰიმ აბდულ კადირი, ომარ მუსტაფა, იბრაჰიმ აჰმედი, ჯალილ ჰოსიარი, აუნი იუსუფი, სალამ იუსუფი, ჰამზა აბდულაჰი.

¹⁷ ჭერ კიდევ ყრილობის გახსნამდე ჰამზა აბდულაჰის საკითხთან დაკავშირებით პარტია რამდენიმე ფრაქციად დაიშალა. ძირითადი სამი ფრაქცია წარმოიშვა. „მეზარცხელები“, სალამ რუშდის მეთაურობით, ჰამზა აბდულაჰის (ყველასათვის გასაკვირად იგი მთავრობამ პატიმრობიდან გაათავისუფლა და სიკვდილით დასჯის ნაცვლად მას სულეიმანიეში ლეგალურად ცხოვრების უფლება მისცა იმ მიზნით, რომ მის მიმართ პარტიაში უნდობლობა აღძრულიყო) პარტიიდან გარიცხვას მოითხოვდნენ, მემარჯვენენი ჯელალ ატ-ტალაბანის თაოსნობით მას სრულ ნდობას უცხადებდნენ, ხოლო იბრაჰიმ აჰმედი თავისი მომხრეებით მოითხოვდა, რომ ჰამზა აბდულაჰისათვის რეაბილიტაციის საშუალება მიეცათ (145, გვ. 689).

¹⁸ ამ პოსტზე ჯელალ ატ-ტალაბანის კანდიდატურაც იყო, მაგრამ იგი ყრილობაზე გააკრიტიკეს ჰამზა აბდულაჰის მხარდაჭერისათვის და მან შემდეგ თავისი კანდიდატურა მოხსნა.

ლი სახელწოდება ქურთისტანის მოსახლეობის სხვა წარმომადგენლებსაც მისცემდა საშუალებას მიეღო მონაწილეობა პარტიის მუშაობაში. ყრილობამ გადაწყვიტა პარტიისათვის მყარი პოლიტიკური ორგანიზაციის სახე მიეცა და ძირითადი ყურადღება საპროპაგანდო მუშაობაზე გაემახვილებინა.

პარტიის ახალმა შემადგენლობამ პროგრამა მინიმუმი შემდეგი მუხლებით განსაზღვრა:

1. მონარქიის დამხობა და დემოკრატიული რესპუბლიკური რეჟიმის შექმნა ერაყში.

2. ინგლისის ჯარების გაყვანა ერაყიდან.

3. ინგლის-ერაყის 1930 წ. ხელშეკრულებისა და სხვა თავსმოხვეულ შეთანხმებათა გაუქმება.

4. თანამშრომლობა სსრ კავშირთან, სოციალისტურ და განთავისუფლებულ ქვეყნებთან.

5. ქურთისტანის ავტონომიური მთავრობის შექმნა ერაყის ფედერაციის ფარგლებში.

6. აგრარული რეფორმა, ნავთობისა და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეების ნაციონალიზაცია.

7. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოოპერირება.

8. ქურთულ ენაზე სავალდებულო სწავლების შემოღება და ა. შ.

რაც შეეხება პროგრამა მაქსიმუმს, იგი მიზნად ისახავდა ქურთთა სახალხო რესპუბლიკის შექმნას. იგი ქურთისტანის ყველა ნაწილის რევოლუციური ბრძოლის შედეგად უნდა შექმნილიყო.

როგორც ვხედავთ პარტიის ახალმა ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და უარი თქვა ქურთულ სეპარატიზმზე, კერძოდ სამხრეთ ქურთისტანის ცალკე გამოყოფაზე. პარტიის ახალმა ლიდერებმა შეიგნეს ის ფაქტი, რომ ქურთული სეპარატიზმი ერაყში საერთო დემოკრატიული მოძრაობის დაშლას გამოიწვევდა. ამიტომაც ახალი პროგრამის პროექტში ხაზგასმული იყო, რომ ჩრდ. ერაყის ქურთების გამათავისუფლებელი მოძრაობა მთელი ერაყის გამათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილია. ერაყის ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიას საერთო, ერაყის ნაციონალური მოძრაობის ინტერესების შესაბამისად უნდა ემოქმედა.

ახალი პროგრამის პროექტის საყოველთაო განხილვისა და დისკუსიის პროცესში პარტიის რიგები კიდევ უფრო განმტკიცდა. პარტიისაგან ჰამზა აბდულაჰის ჯგუფის ცალკე გამოყოფამ მის შემდგომ დემოკრატიზირებას ხელი შეუწყო. დისკუსიის შედეგები პარტიის III

ყრილობამ შეაჯამა. 1953 წ. 27 იანვარს მან ახალი პროგრამა მიიღო და პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები აირჩია¹⁹.

მესამე ყრილობამ პარტიის ბეჭდვით ორგანობად 3 არალეგალური გაზეთი („რიზგარი“, „რეი ნუვე“ („ახალი გზა“) და „ნირკეი დჯუ-თჯარ“ („ღარიბი გლეხის სუნთქვა“) დაამტკიცა. არაბული მოსახლეობისათვის გამოდიოდა „ალ-ნიდა ქურდისტან“ („ქურთისტანის ძახილი“). ხალხის ფართო მასებთან კავშირის განმტკიცების მიზნით რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია შეიქმნა. მათ შორის „ქურთისტანის სტუდენტთა კავშირი“, „ქურთისტანის დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირი“ და „ქურთისტანის დემოკრატიული ქალთა კავშირი“, რომლებმაც ჩამოყალიბების პირველი დღიდანვე მასებში ფართო საავტოციო მუშაობა გააჩაღეს (145, გვ. 690).

1951 წ. მთავრობამ გამოსცა კანონი „განსაკუთრებული სასამართლოების შექმნის შესახებ“. ამ სასამართლოებში გლეხებს მიწაზე თავიანთი უფლებები უნდა დაემტკიცებინათ. ცნობილია, რომ ერაყის ქურთისტანში გლეხები ტრადიციით იმ მიწებს ფლობდნენ, რომლებიც იურიდიულად მთელი თემის (სოფლის) კუთვნილებას შეადგენდა. მიწაზე კერძო საკუთრების უფლების დამამტკიცებელი რაიმე წერილობითი საბუთი მათ იშვიათად გააჩნდათ. ფაქტიურად ახალი კანონით მთავრობას სურდა გლეხები მათ კუთვნილ მიწებიდან აეყარა და ისინი მსხვილი მიწათმფლობელებისათვის გადაეცა. მიწაზე გლეხთა უფლებების დაცვისათვის ქურთისტანის დემოკრატიულმა პარტიამ „გლეხთა კავშირები“ და „ადვოკატთა ლიგა“ შექმნა.

ადვოკატთა ლიგაში მიწის სამართლის შვიდი სპეციალისტი შევიდა. ადვოკატთა ლიგისა და გლეხთა კავშირების ერთობლივი ბრძოლის შედეგად მთავრობა იძულებული შეიქნა 1954 წ. გაეუქმებინა აღნიშნული კანონი. ბუნებრივია, ამან პარტიის დასაყრდენი ქურთ გლეხობას შორის კიდევ უფრო განამტკიცა. ზოგიერთ პროვინციაში (ერბილი, მერგა, დაშთი ქოი და ხოშნაე) ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების მეშვეობით გლეხებმა მსხვილ ფეოდალებს ყოველმხრივი ბოიკოტი გამოუცხადეს და ისინი აიძულეს ქალაქში წასულიყვნენ.

მაგრამ პარტია მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ ყოველთვის გაბედულად არ იბრძოდა.

მსხვილი ფეოდალებისაგან გლეხთა მასების იზოლაციის პოლიტი-

¹⁹ პარტიულ ხელმძღვანელობაში 11 კაცი შევიდა. ესენი იყვნენ — ნური შავესი, ნური აჰმედ ოაჰ, ბაქრ ისმაილი, ქალილ ჰოშიარი, ალი აბდულაჰი, ქვალ ატ-ტალაბანი, მოლა მუსტაფა ბარზანი, ომარ მუსტაფა, მირ ჰაქ აჰმედი, ჯაფარ მუჰამედი, ქერიმ რაჰმანი და რაშიდ აბდულ კადერი. პარტიის თავმჯდომარედ მუსტაფა ბარზანი აირჩიეს, ხოლო გენერალურ მდივნად — იბრაჰიმ აჰმედი (145, გვ. 690).

კაც ასევე ბოლომდე თანმიმდევრული არ იყო. გლახთა საკითხში ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიას სწორი პოლიტიკის გატარებაში ხელს უშლიდა მისი უთანხმოებანი კომუნისტურ პარტიასთან. ამ დროს ორივე პარტია შეუთანხმებლად და იზოლირებულად მოქმედებდა²⁰.

დაახლოვების მიზნით კომპარტიის მაშინდელი ხელმძღვანელობა დათმობაზე წავიდა, მან სამართლიანად ცნო ქურთების მოთხოვნა ავტონომიის შესახებ ერაყის ფარგლებში. ამის თაობაზე ორივე პარტიის ხელმძღვანელობას შორის სპეციალური შეთანხმებაც დაიდო, მაგრამ უკვე ერთი წლის შემდეგ 1957 წ. ეს შეთანხმება ჩაიშალა. ამის მიზეზი სალაჰ ჰაიდარის მეთაურობით ქურთი კომუნისტების ერთი ჯგუფის კომპარტიისაგან გამოყოფა და იბრაჰიმ აჰმედის პარტიასთან მისი გაერთიანება იყო.

ამრიგად, ქურთისტანის დემოკრატიული პარტია ისევე იზოლირებული აღმოჩნდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ იგი 1957 წ. არაბული პარტიების მიერ დაარსებულ ეროვნულ ფრონტში არ მიიღეს. მხოლოდ 1958 წ. 14 ივლისის რევოლუციის შემდეგ ქურთების პარტია მიღებულ იქნა ეროვნულ ფრონტში, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან თვით ეს ფრონტიც მალე დაიშალა (135, გვ. 236—237).

ქურთი მუშათა კლასის გამოსვლა პოლიტიკურ ასპარეზზე

უნდა აღინიშნოს, რომ ივლისის რევოლუციის შემდეგ ქურთული ეროვნული ბურჟუაზია ორჭოფულად იქცეოდა. გამოდიოდა რა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მომხრედ, იგი ამავე დროს მხარს უჭერდა ყასემის რესპუბლიკურ მთავრობას, რომელიც სულ უფრო ანტიდემოკრატიულ ხასიათს იღებდა და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ილაშქრებდა. მიუხედავად ეროვნული ბურჟუაზიის მერყეობისა, ერაყის კომუნისტურ პარტიას შესაძლებლად მიაჩნდა მასთან ერთად ეწარმოებინა ერთობლივი ბრძოლა უცხოეთის იმპერიალიზმისა და შინაგანი რეაქციული ძალების წინააღმდეგ.

ქურთი მსხვილი ფეოდალები და ბურჟუაზია, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ უცხოეთის კაპიტალთან, ფეოდალიზმის გადმონაშთე-

²⁰ ერთობლივი მოქმედება კომპარტიასთან 1956 წლამდე ფერხდებოდა. სადავო საკითხს კვლავ წარმოადგენდა ერაყის ქურთისტანში არსებული კომუნისტური ორგანიზაციისა და ქურთული პარტიის თანაარსებობა. ამ საკითხის ირგვლივ გამართული დისკუსიის დროს ადგილობრივი კომუნისტური ორგანიზაციების ერთი ნაწილი ვივლიდა კომპარტიიდან და ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიას შეუერთდა. მოლა მუსტაფა ბარზანის მითითებით ჰამზა აბდულაჰი და მისი მომხრეები კვლავ აღადგინეს პარტიაში. 1956 წლიდან პარტიას ეწოდა „ქურთისტანის დემოკრატიული ერთიანი პარტია“.

ბისა და უცხოური კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ ხალხის მასე-
ბის ბრძოლის გაქანებით ძლიერ შეშინებული იყვნენ. ამიტომ ისინი
ამ ბრძოლის დაქსაქსვისა და დასუსტების მიზნით ქურთებსა და არა-
ბებს შორის ჯერ კიდევ თურქთა ბატონობის დროიდან მომდინარე
ეროვნულ შულს ყოველმხრივ აღვივებდნენ.

ერაყის ქურთისტანის ფართო მასების ფეოდალური ჩაგვრა, მთავ-
რობის მიერ დაკისრებული მძიმე გადასახადები და უცხოური იმპერია-
ლიზმის მიერ მათი ყოველმხრივი ექსპლოატაცია საბოლოო ჯამში გა-
ნაპირობებდა ქურთი მშრომელი ხალხის აქტიურ ბრძოლასა და გა-
მოსვლებს როგორც ეროვნული, ისე იმპერიალისტური ჩაგვრის წინა-
აღმდეგ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერაყში ქურთთა ეროვნულ-გამათავი-
სუფლებელ მოძრაობას ის თავისებურებაც ახასიათებდა, რომ ქურთი
ბურჟუაზიული ნაციონალისტები უგულვებელყოფდნენ მშრომელთა
კლასობრივ ინტერესებს, იმას, რომ ქურთი მუშა და გლეხი ეროვნულ
ჩაგვრასთან ერთად განიცდის სოციალურ ჩაგვრას არა მარტო უცხო-
ური მონოპოლიებისა და არაბი კაპიტალისტების მხრივ, არამედ ადგი-
ლობრივი ფეოდალებისა და ბურჟუაზიის მხრივაც. ისინი უარყოფდ-
ნენ ქურთთა საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის
არსებულ წინააღმდეგობას და კლასობრივ პარამონიას ქადაგებდნენ.

ბუნებრივია, ქურთი გლეხებისა და მუშების ბრძოლა ეროვნული
ჩაგვრის წინააღმდეგ კაპიტალისტური და ფეოდალური ჩაგვრის წინა-
აღმდეგ ბრძოლას უნდა შერწყმოდა. მაგრამ შინაკლასობრივი წინააღმ-
დეგობა მაშინ ჯერ კიდევ ისე გამწვავებული არ იყო.

ერაყის კომპარტიის ქურთული სექციის შეუპოვარი იდეოლოგიუ-
რი ბრძოლა ახალგაზრდა ერაყის ქურთისტანის მუშათა კლასს ხელს
უწყობდა თანდათან დამოუკიდებელ ორგანიზაციულ ძალად გადაქცე-
ვლიყო.

მალე კომპარტიამ მიწაზე ფეოდალური საკუთრებისა და ჩაგვრის
ფეოდალური მეთოდების მოსპობის ლოზუნგი წამოაყენა. მუშათა კლას-
მა მისი ხელმძღვანელობით 40-იან წლებში გლეხობის გარკვეული ნა-
წილი მიიზიდა. ამას ერთგვარად ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ
ბურჟუაზიული დაჯგუფებების ზეგავლენა გლეხებს შორის დიდი არ
იყო. მაგრამ გლეხობის დიდ ნაწილს ჯერ კიდევ ნათლად არა ჰქონდა
შეგნებული თავისი კლასობრივი ამოცანები, მას არ შეეძლო შეესრუ-
ლებინა მნიშვნელოვანი როლი ხალხთა მასების ბრძოლაში. ამას სულ
ცოტა ორი მიზეზი ჰქონდა, პირველი — გლეხობა მეტად ჩამორჩენილი
იყო, ხოლო მეორე კი მდგომარეობდა იმაში, რომ კომუნისტებს ჯერ
კიდევ არ ჰყავდათ საკმაო რაოდენობის გამოცდილი კადრები.

ქურთთა მუშათა კლასმა თანდათან სათანადო ადგილი დაიკავა

ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობაში. უკვე 50-იან წლებში ქურთი მუშები თავის არალეგალურ პროფკავშირებს ქმნიან (92, გვ. 32). პროფკავშირების ბრძოლა ამ პერიოდში ძირითადად მიმართული იყო უცხოური კაპიტალის წინააღმდეგ.

კომპარტია ყოველ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ მუშათა კლასის კავშირი მშრომელ გლეხობასთან განემტკიცებინა. ეს კი ხელს უწყობდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ანტიფეოდალურ და გამათავისუფლებელ ბრძოლაში თანდათან გადაზრდას. ომის დამთავრების შემდეგ კომუნისტებმა გლეხების ორგანიზებული ანტიფეოდალური გამოსვლები მოაწყვეს. სოფლად კლასობრივი წინააღმდეგობის გამწვავებამ თავის მხრივ, გლეხების კლასობრივი და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში გარკვეული ძვრები გამოიწვია.

კომუნისტები სათავეში ედგნენ უარმარის გლეხთა აჯანყებას სულეიმანიეს პროვინციაში, დიზაის ტომის გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლას ერბილის რაიონში და ხორო შიხანის გლეხთა მოძრაობას ხანეკინის მიდამოებში. მალე გლეხობას ქურთმა მუშებმაც მხარი აუბეს. 1946 წ. ივნისში კირკუქში ნავთობ-სარეწების მუშები გაიფიცნენ, ხოლო 1948 წ. როდესაც მთელი ერაყელი ხალხი გამოვიდა პორტსმუტის ხელშეკრულების წინააღმდეგ, ერბილელმა რკინიგზელებმა უარი თქვეს მგზავრების გადაყვანასა და ტვირთის გადაზიდვაზე (186, გვ. 55).

უფრო გვიან, როდესაც ერაყის მმართველმა რეაქციულმა ხრავამ ქვეყანა აგრესიულ ბაღდადის პაქტში შეიყვანა, ქურთისტანში (სულეიმანიე, კირკუქი) ისევე, როგორც ერაყის სხვა პროვინციებში, კომუნისტების ხელმძღვანელობით მასობრივი ანტიიმპერიალისტურადემონსტრაციები მოეწყო. ქურთები მათი მოძმე არაბების მხარდამხარ მოითხოვდნენ: „ძირს ნური საიდი“²¹, „ძირს ბაღდადის პაქტი“.

ამრიგად, მუშათა კლასის ავანგარდი მშრომელი ხალხის ბრძოლაში სულ უფრო ხელმძღვანელ როლს ასრულებდა. თუ ომამდე და ომის წლებში მუშები ქალაქელ დემონსტრანტების მხოლოდ ძირითად მასას შეადგენდნენ, ახლა მათი მოწინავე წარმომადგენლები საპროტესტო დემონსტრაციების ორგანიზებასა და ხელმძღვანელობაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ.

მუშებისა და გლეხების მსგავსად რევოლუციურ პროცესში სულ უფრო ფართოდ ებმებოდნენ ხელოსნები და წვრილი ვაჭრები. ქალაქის მოსახლეობის ეს წვრილბურჟუაზიული ფენები თანდათან კარგავდნენ თავიანთ სამეურნეო დამოუკიდებლობას და სოციალურ-ეკონომიკური განთავისუფლების გზებს ეძებდნენ. ამ ფენების ცალკეული ყველაზე

²¹ ნური საიდი ამ დროის ერაყის მთავრობის თავმჯდომარე იყო. იგი გადაღვა 1957 წ. ივნისში.

უფრო შეგნებული წარმომადგენლები მუშათა კლასის მხარეზე გადადიოდნენ და ქალაქის მოსახლეობის ბრძოლაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ.

ომის შემდგომ დროისათვის ქურთი ხალხის ბრძოლაში შესამჩნევად გაიზარდა რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენციის როლიც. მის რიგებს თანდათან ეუფლებოდა მუშათა კლასის იდეოლოგია. ვინ იყვნენ ამ მოწინავე იდეოლოგიის მატარებელი? ისინი იყვნენ ქურთი ინტელიგენციის ყველაზე უფრო რადიკალური ფრთის წარმომადგენლები, გამოსული ქურთული საზოგადოების დაბალი კლასებიდან. მათ რიგებს ახლად ჩამოყალიბებული სოფლის ინტელიგენციაც მიეკუთვნებოდა. იმ ხანად მას დიდი გავლენა ჰქონდა გლეხებზე.

არსებული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენცია ბრძოლას ეწეოდა არალეგალური მეთოდებით. თავის მოღვაწეობაში იგი დიდ ადგილს უთმობდა „ქურთული საკითხის“ პროპაგანდას საზღვარგარეთ წიგნებისა და ბროშურების გამოცემის, სხვადასხვა კომიტეტებისა და საზოგადოებების ჩამოყალიბების საშუალებით (92, გვ. 33).

ამ დროისათვის ძველი თაობის ინტელიგენციას ახალგაზრდა ინტელიგენციისაგან განსხვავებით არ სურდა დაენახა ორგანული კავშირი უცხოური იმპერიალისტების მოძალებასა და ქვეყანაში არსებულ მონარქიულ რეჟიმს შორის. ინტელიგენციის ეს ნაწილი ობიექტურად აფერხებდა ქურთების ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას.

რაც შეეხება ქურთთა მემამულურ-ფეოდალურ ზედა ფენისა და შეძლებული ოჯახებიდან გამოსული ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მონარქიული რეჟიმის არსებობის უკანასკნელ წლებში ისინი საბოლოოდ გადადიან რეაქციის მხარეზე და ხელს უწყობენ ერაყის მონარქიული მთავრობის მიერ ანტიხალხური კურსის გატარებას.

როგორც ვხედავთ 1945—1958 წწ. ქურთების მოძრაობა ერაყში უპირატესად ფართო მასების — პირველყოვლისა გლეხების, მუშების, პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენციისა და წვრილი ბურჟუაზიის პროგრესული, დემოკრატიული ბრძოლის ხასიათს დებულობს. მის სათავეში უპირატესად ვხედავთ 1946 წელს შექმნილ ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიას (ქდპ).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქურთების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შინაარსსა და კლასობრივ ძალთა განლაგებაში მომხდარმა ცვლილებებმა ეს ბრძოლა ერაყში კიდევ უფრო გააღრმავა. ამიერიდან ეს ბრძოლა საბოლოოდ გამოდის იზოლირებული გამოსვლებისა და მღელვარებების ჩარჩოებიდან და შეერწყა ერაყელი ხალხის საერთო რევოლუციურ მოძრაობას.

ამიტომაც ქურთების ბრძოლა აღნიშნულ ხანაში თავისი გაქანებით,

ღრმა შინაარსით, ორგანიზებულობითა და შედეგებით გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე მანამდე არსებული. ქურთთა მოძრაობის ეს პერიოდი გარკვეულ ნიშანსვეტს წარმოადგენს მათ ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში.

ამრიგად, 1945—1958 წწ. ქურთების გამათავისუფლებელი მოძრაობა წინა პერიოდებთან შედარებით ხასიათდება უფრო მეტი ორგანიზებულობითა და შეგნებულობით. ერაყში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მიმდინარე ქურთების ბრძოლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ერთი მხრივ, ისაა, რომ მუშათა კლასი მასში თანდათან დამოუკიდებელ ადგილს იკავებს, ხოლო მეორე მხრივ, — არაბებისა და ქურთების მიერ ერთობლივი ანტიიმპერიალისტური ბრძოლის დაწყებაა. საბოლოო ჯამში ამ ბრძოლამ ერაყში გამოიწვია მონარქიული რეჟიმის დამხობა და რესპუბლიკური წყობილების დამყარება.

1958 წ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ერაყში და ქურთები

1958 წ. 14 ივლისს ერაყელმა ხალხმა რევოლუციის შედეგად ბოლო მოუღო ინგლისელი იმპერიალისტების მიერ 1921 წ. თავს მოხვეულ მაროონეტულ ჰაშიმელთა დინასტიის და მათი დამქუშების ბატონობას. ერაყის მეფე ფაისალ — II²², მემკვიდრე პრინცი აბდულ ილაჰი²³ და ინგლისელთა ერთგული მსახური, ერაყის რეაქციული წრეების სულის ჩამდგმელი ნური ას-საიდა მოკლეს. ერაყში გაიმარჯვა სახალხო რევოლუციამ. თავისი მიზნებით ივლისის რევოლუცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია იყო. ერაყის კომუნისტური პარტიის განსაზღვრებით მან „ბოლო მოუღო ნახევრად კოლონიურ რეჟიმს, დაანგრია მისი ეკონომიკური და იდეოლოგიური საფუძველი“ (233, 10. 1. 1960). მონარქიის წანგრევებზე რევოლუციამ შექმნა დამოუკიდებელი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა.

მონარქიის დამხობის პირველ დღესვე შეიქმნა რევოლუციური

²² ფაისალ II მეფობდა 1937—1958 წწ. იგი ერაყში 1921 წ. გაბატონებულ ჰაშიმელთა სამეფო დინასტიის რიგით მესამე და უკანასკნელი მეფე იყო. 14 ივლისს დილით რევოლუციონერმა ჯარისკაცებმა სასახლის აღების შემდეგ იგი დახვრიტეს სასახლის კიბეებთან.

²³ აბდულ ილაჰი — ფაისალ II-ის ბიძა — ყოფილი რეგენტი იყო. ფაქტიურად უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ქვეყანას იგი განაგებდა. არაბი ავტორის მუსა ჰაბიბის მოწმობით „მისი ბრიტანეთის უდიდებულესობის არაბი“ — აბდულ ილაჰი დახვრიტეს ფაისალ II-თან ერთად 14 ივლისს დილით, ხოლო შემდეგ მისი ცხედარი ფეხებით ჩამოვიდეს თაფლაცვის სამინისტროს შენობის შესასვლელში, სადაც ადრე მისი ბრძანებით სიკვდილით სჯიდნენ ერაყელ პატრიოტებს (იხ. 222, გვ. 113).

მთავრობა გენერალ აბდალ ქერიმ ყასემის²⁴ მეთაურობით, ხოლო რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევამდე — დროებითი სახელმწიფო საბჭო, რომელიც ქვეყნის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა. ეს საბჭო შედგებოდა 3 კაცისაგან. მის თავმჯდომარედ გენერალ-ლეიტენანტი ნაჯიბ არ-რაბი²⁵ დაინიშნა, ხოლო წევრებად — მუჰამედ მაჰდი ალ-კუბა²⁶ და ხალედ ნაყშბანდი²⁷. მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ სხვა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეებიც — ეროვნული გაერთიანების ფრონტის წევრები და მომხრეები.

მონარქიული კონსტიტუცია ძალადაკარგულად გამოაცხადეს. მის ნაცვლად 1958 წ. 26 ივლისს მიიღეს ერაყის რესპუბლიკის ახალი დროებითი კონსტიტუცია, რომელიც შემდგომში მუდმივი კონსტიტუციით უნდა შეცვლილიყო. დროებითმა კონსტიტუციამ ერაყი სუვერენულ და დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა. ქვეყანაში აღადგინეს დემოკრატიული თავისუფლებანი. სამეფო საგვარეულოს მთელ ქონებას კონფისკაცია უყვეს. მთავრობამ გამოსცა სპეციალური დეკრეტი სახელმწიფო აპარატის წმენდის შესახებ. 17 ივლისს კი გამოაცხადეს პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიის შესახებ (127, გვ. 66). რესპუბლიკის ყველა მოქალაქე გათანაბრებულ იქნა თავის უფლებებსა და მოვალეობებში. ეს გადაწყვეტილება ბოლოს უღებდა ქვეყნის შიგნით შიიზებსა და სუნიტებს შორის არსებულ ტრადიციულ რელიგიურ შულს. დროებითი კონსტიტუციის მესამე მუხლში ნათქვამი იყო, რომ ერაყის რესპუბლიკა დაფუძნებულია არაბებისა და ქურთების კავშირზე. ამით კონსტიტუციამ ცნო ქვეყანაში ორი ძირითადი ერის არსებობა: ქვეყნის ორივე ძირითად ერს — არაბებსა და ქურთებს მიენიჭათ თანაბარი უფლებანი. მონარქიის დამხობა და ანტიიმპერიალისტური, ეროვნულ-გამათავისუფლებელი რევოლუციის გამარჯვება ერაყის

²⁴ ივლისის რევოლუციამდე ყასემი მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილი სამხედროების, არალეგალური პატრიოტული ორგანიზაციის — „თავისუფალი ოფიცრები“-ს წევრი იყო. ერაყის არმიაში ეს ორგანიზაცია ჯერ კიდევ 1954 წ. ჩამოყალიბდა და მას არავითარი კავშირი არა ჰქონდა ეგვიპტეში ამ დროს არსებულ ამავე სახელწოდების ორგანიზაციისთან (იხ. 179, გვ. 44). პალესტინის ომის დროს ყასემი მეთაურობდა ბატალიონს, ხოლო 1958 წლისათვის უკვე როგორც გენერალი, მეთაურობდა ერაყის არმიის მე-3 დივიზიის მე-19 ბრიგადას, რომელიც განლაგებული იყო ბაღდადის ჩრდილოეთით.

²⁵ ნაჯიბ არ-რაბი 1941 წ. ანტიინგლისური აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო.

²⁶ მუჰამედ მაჰდი ალ-კუბა რევოლუციამდე თავმჯდომარეობდა პარტია „ისთიკლია“-ს („თავისუფლება“). როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი არა ერთხელ ყოფილა რეპრესირებული ძველი რეჟიმის დროს.

²⁷ ხალედ ნაყშბანდი ქურთი საზოგადო მოღვაწე იყო.

ყველა ხალხების და უპირველეს ყოვლისა არაბებისა და ქურთების ერთობლივი ბრძოლის შედეგი იყო.

ყასემის მთავრობის მიერ თავის არსებობის პირველ თვეებში განხორციელებულმა რევოლუციურმა გარდაქმნებმა და პროგრესულმა ღონისძიებებმა ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრების გამოცოცხლება გამოიწვია.

10 წლის ემიგრაციის შემდეგ სსრ კავშირიდან ერაყში დაბრუნდა 1943-45 წწ. აჯანყების მონაწილეთა ერთი ჯგუფი მუსტაფა ბარზანის მეთაურობით. ამავე დროს ქურთისტანის დემოკრატიულმა პარტიამ პირველად თავის ისტორიაში მიიღო ლეგალური ნოლვაწეობის უფლება. ქურთული პოლიტიკური გაზეთები, კერძოდ „ხაბათ“-ი (ქდპ-ს ოფიციალური ორგანო) და „ქურდისტან“-ი გამოვიდნენ იატაკ-ქვეშეთიდან და ქურთი ხალხის ყოველდღიურ გაზეთებად იქცნენ (180, გვ. 15). ისინი გზას უნათებდნენ ქურთებს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, მოუწოდებდნენ მტკიცე ანტიიმპერიალისტური კავშირი დაემყარებინათ არაბებთან ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით. თითქმის ყოველდღე ქურთისტანის სხვადასხვა ქალაქში — სულეიმანიეში, კირკუქსა და ერბილში ქურთულ ენაზე იბეჭდებოდა ახალი წიგნები ქურთი ხალხის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე. ქურთების ეროვნული მისწრაფებების განსახორციელებლად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა.

თ ა ე ი IV. მ რ ა ა ე ლ ი ქ უ რ თ ე ბ ი ა ვ ტ ო ნ ო მ ი ი ს ა ტ ვ ი ს ბ რ ძ ო ლ ა შ ი (1961—1974 წ წ.)

ა რ ა ბ - ქ უ რ თ ე ბ ი ს ძ მ ა თ ა მ კ ვ ლ ე ლ ი ო მ ი ე რ ა ყ შ ი (1961—1968 წ წ.)

1958 წ. ეროვნული ფრონტის დაშლის შემდეგ ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიაში ფრაქციონულმა ბრძოლამ კვლავ იფეთქა. პარტიის წევრთა ერთმა ნაწილმა ჰამზა აბდულაჰის მეთაურობით დაიჯერა ერაყის რესპუბლიკური მთავრობის მეთაურის აბდალ ქერიმ ყასემის განცხადებები, ხოლო მეორე ნაწილი იბრაჰიმ აჰმედის მეთაურობით ყასემში დემაგოგსა და მომავალ დიქტატორს ხედავდა. ეს ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა პარტიის ცკ იანერის თათბირზე, პოლიტბიუროსა და პარტიის ორგანოს („ხაბათი“) ხელმძღვანელობა ხელთ იგდეს ჰამზა აბდულაჰის მომხრეებმა, ხოლო ცკ უმრავლესობა იბრაჰიმ აჰმედს გაჰყვა.

1959 წ. გაზაფხულზე ქურთულ პროვინციებში რეაქციონერთა მიერ

დაწყებულმა ამბოხებამ¹ და ტერორმა მდგომარეობა კვლავ დაძაბეს. ადგილობრივი ორგანიზაციების მოახოვნის საფუძველზე 1959 წ. 30 ივნისს მოწვეულ იქნა ცკ სხდომა, რომელმაც არსებული პოლიტიურ-როს შემადგენლობა გადააყენა. იმავე დღიდან გაზეთი „ხაბათი“ მათი ზეგავლენისაგან გამოვიდა. მიუხედავად ამისა, პარტიის მორიგ მე-4 ყრილობაზე, რომელიც ჩატარდა 1959 წ. 5—6 ნოემბერს, არაფერი თქმულა ერაყის რესპუბლიკის მაშინდელ პრემიერ-მინისტრის ყასემის პოლიტიკის წინააღმდეგ. ერთი თვით ადრე 7 ოქტომბერს ერაყის ბაასის პარტიის წევრებმა მოაწყეს თავდასხმა ყასემზე და ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ლიდერებს, როგორც ჩანს, ეწინააღმდეგეთ ყასემის კრიტიკა ხალხს ისე არ გაეგო, რომ თითქოს ქდპ ბაასის პარტიას უჭერდა მხარს. მე-4 ყრილობამ პარტიის ახალი ცკ და პოლიტბიურო აირჩია.

ახლად არჩეულ პოლიტბიუროში შევიდნენ მოლა მუსტაფა ბარზანი (თავმჯდომარე) იბრაჰიმ აჰმედი (გენერალური მდივანი), დოქტორი ჰემდინარი, დოქტორი აზიზ მურადი, ნური აჰმედ თაჰა, ომარ მუსტაფა (დაბაბა), ალი აბდულაჰი, სალაჰ იუსეფი, აბდულაჰ ისმაილი, მირ ჰაჟ აჰმედი და აუნი იუსუფი.

1960 წ. 6 იანვარს კანონი „პარტიებისა და ორგანიზაციების ლეგალიზაციის შესახებ“ ძალაში შევიდა. იმავე დღეს ყასემი ხალხს შეპირდა, რომ მალე მუდმივ კონსტიტუციას მიიღებდნენ და პარლამენტში არჩევნებს ჩაატარებდნენ (190, 7. 1. 1960). მაგრამ ეს განცხადება დაპირებად დარჩა. ბურჟუაზიულ პარტიებიდან ლეგალური მოღვაწეობის უფლება მხოლოდ ნაციონალურ-დემოკრატიულმა და ქურთისტანის დემოკრატიულმა პარტიებმა მიიღეს. ლიცენზიის მიცემაზე სხვებს უარი უთხრეს, მათ შორის ერაყის კომუნისტურ პარტიასაც (194, ტ. 1, № 26, გვ. 3).

აქედან ჩანს, რომ კანონი პარტიების შესახებ ყასემს მმართველობის დემოკრატიულ ფორმებზე გადასასვლელად კი არა სურდა გამოეყენებინა, როგორც თვითონ ირწმუნებოდა, არამედ მემარცხენე და მემარჯვენე ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ახალი კანონის საფუძველზე ქდპ მე-5 ყრილობა გაიმართა უკვე ლეგალურ პირობებში 1960 წლის მაისში. ყრილობამ შეიტანა ცვლი-

¹ 1959 წ. მაისში შინაგან რეაქციასთან მკიდროდ დაკავშირებულმა მსხვილმა ქურთმა ფეოდალმა რაშიდ ლოლანმა დაიწყო ამბოხება არსებული რეჟიმისა და მის მიერ დასახული პროგრესული ღონისძიებების გატარების წინააღმდეგ. ეს გამოსვლა ქურთმა პარტიოტებმა სწრაფად ჩაახშეს. მუამბოხეთა დიდი ნაწილი (20 ათასი) ირანში გაიქცა, ხოლო 4 ათასი კი თურქეთში (142, გვ. 131).

² მათ შორის იყვნენ მემარცხენე „რესპუბლიკური პარტია“ და მემარჯვენე „ათ-თაჰირი“ („განთავისუფლება“).

ლებები წესდებაში. წესდების პირველ მუხლში პარტიამ იცნო მშვიდობიანი თანაარსებობის, განიარაღებისა და ატომური იარაღის აკრძალვის პრინციპები, შეუერთდა ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებებს და იმპერიალიზმისაგან ყველა ხალხის განთავისუფლების აუცილებლობა აღიარა.

ახალი წესდების მეორე მუხლში ნათქვამი იყო: „ჩვენი პარტია რევოლუციურ-დემოკრატიული პარტიაა, რომელიც წარმოადგენს ერაყის ქურთისტანის მუშების, გლეხების, მოსამსახურეებისა და რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენციის ინტერესებს“. თავისი სოციალური ბრძოლისა და პოლიტიკურ მოვლენათა ანალიზის დროს პარტია უნდა დაყრდნობოდა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას, — ნათქვამი იყო მესამე მუხლში.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიის ლეგალური მოღვაწეობა ნებადართული იყო, პარტიის ხელმძღვანელობა ყასემის მთავრობის დაპირებებსა და კანონებს მაინც ეჭვის თვალით უყურებდა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პარტიის წევრთა 50% კვლავინდებურად არალეგალურ მდგომარეობაში განაგრძობდა მოღვაწეობას, ხოლო პარტიული ჯგუფების არსებობას არმიამი საიდუმლოდ ინახავდნენ. ეჭვები მალე გამართლდა.

ჯერ კიდევ 1960 წლის დასაწყისისათვის ყასემის რეჟიმმა დაიწყო დემოკრატიულ თავისუფლებათა ჩახშობა ერაყის ქურთისტანში იმ მიზნით, რომ ქვეყნის პოლიტიკური ძალები მიემართა ქურთული დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ, რომელიც ამ დროისათვის კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა.

1961 წ. გაზაფხულზე ყასემის მთავრობის ნახევრად ოფიციალურმა გაზეთმა „ას-სავრამ“ („რევოლუციამ“) გამოაქვეყნა სტატიების მთელი სერია, რომელშიც მოითხოვდა ქურთების ასიმილაციას არაბებთან, გაზეთი აქვე დასძენდა, რომ ეს ასიმილაცია აღრე საჭირო ეფექტით არ ტარდებოდა. ამას სტატიების ავტორი იმით ხსნიდა, რომ თითქოს „ბრიტანეთის იმპერიალიზმი მხარს უჭერდა ქურთებს“ (180, გვ. 16). ამრიგად, არაბი წრეები ცდილობდნენ ერაყის მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება გამოეყენებინათ ქურთების ეროვნული ჩაგვრის გასაძლიერებლად. ბრიტანეთის იმპერიალიზმი ქურთებს მხარს არასოდეს არ უჭერდა. პირიქით, როგორც უკვე ვნახეთ, სწორედ მისი წყალობით ქურთების ერთი ნაწილი 1925 წლიდან 1958 წლამდე ინგლისელთა მარიონეტული ჰაშიმელთა დინასტიის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა.

მოწოდება იმ ხალხის ასიმილაციის შესახებ, რომელმაც 40 წლის მანძილზე თავისი განუწყვეტელი ანტიიმპერიალისტური ბრძოლით ბევრად ხელი შეუწყო ინგლისის იმპერიალიზმის პოზიციების დასუს-

ტებას ერაყში, ნამდვილად უსამართლო იყო. ქურთების მიმართ ყასემის მთავრობის მიერ ასიმილაციის პოლიტიკის გატარება, მაშინ როდესაც მათი ეროვნული სოლიდარობა კიდევ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა, აშკარა პროვოკაციული ნაბიჯი იყო. როგორც ჩანს, მთავრობა განგებ ამწვავებდა ურთიერთობას ქურთებთან იმ მიზნით, რომ დაეწყო საომარი მოქმედება ერაყის ქურთისტანში⁴.

არაბულ პრესაში ფართოდ გაიშალა ანტიქურთული კამპანია. თვითონ პრემიერ-მინისტრიც ერაყის პრესას მხარს უზავდა. ყასემი მთელი თავის გამოსვლებში ამტკიცებდა, რომ „ქურთები თავიანთი წარმოშობით არაბები არიან-ო“ (33, გვ. 6).

1961 წ. მარტში ერთი მეორის მიყოლებით აკრძალეს ქურთული გაზეთები, ხოლო ქურთი პოლიტიკური მოღვაწეები კი დააპატიმრეს. ქურთისტანის დემოკრატიული პარტია იძულებული შეიქნა თავისი ლეგალური საქმიანობა შეეწყვიტა. ზოგიერთი ქურთი ხელმძღვანელი (მათ შორის იბრაჰიმ აჰმედი⁵) იატაკქვეშეთში გადავიდა, მოლა მუსტაფა ბარზანი კი თავის სოფელში დაბრუნდა (30, გვ. 4).

ქურთისტანში დაბრუნებული მოლა მუსტაფა ბარზანი ყასემს გონიერებისაკენ მოუწოდებდა. ქღპ-ს მიმართვები ერაყის მთავრობისადმი შედგენილი იყო ზომიერ და თავდაპირველ ფარგლებში, მათში გამოთქმული იყო სურვილი — დაეცვა ხალხის უფლება ერაყის ერთიანობისა და დემოკრატიის ფარგლებში. მაგრამ ყასემმა ყურად არ იღო ეს მიმართვები და 1961 წ. 9 სექტემბერს მთავრობის ჯარები დასძრა ქურთისტანისაკენ. ასე დაიწყო ძმთა მკვლელი ომი ერაყის ჩრდილო აღმოსავლეთში. განდიდების მანიით შეპყრობილმა ყასემმა⁶ მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ქურთისტანზე თავდასხმით მან თავის რეჟიმს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

ყასემი ცდილობდა ქურთი ხალხის ტერორიზებას საპაერო თავდასხმებითა და მძიმე არტილერიის გამოყენების გზით. იგი იმედოვნებდა, რომ ასე უფრო სწრაფად დააჩოქებდა ქურთებს. ყველაფერი, რაც

⁴ ზაფხულის ბოლოს ერაყის მთავრობამ რეაქციონერად განწყობილი რაშიდ ლოლანის ფეოდალური ჯგუფი წააქეზა ბარზანის წინააღმდეგ. მთავრობის მიერ შეიარაღებული ფეოდალების მოძრაობა ბარზანელების მიერ ჯერ ლოკალიზებულ იქნა, ხოლო შემდეგ — დამარცხებული.

⁵ პარტიის V ყრილობაზე იგი კვლავ გენერალურ მდივნის თანამდებობაზე აირჩიეს (იხ. 174, გვ. 123).

⁶ პირად პატროსნებასა და თავშეკავებასთან ერთად ყასემს, მასთან დაახლოებული პირების მოწმობით, ახსიათებდა უზომო თავმოწონეობა და პატივმოყვარეობა. ყასემის სამუშაო ოთახის კედლები მორთული იყო მისი ორი პორტრეტით, ხოლო საწერ მაგიდაზე მისი რამდენიმე ბიუსტი იდგა. დენისა და შეთქმულებების შიში ყასემის მუდმივ თანამგზავრად გადაიქცა. იგი ცხოვრობდა თავდაცვის სამინისტროს შენობაში.

ამ დროს ერაყის ჩრდილოეთში ხდებოდა, დიდი საიდუმლოებით იყო მოცული. ბალდადის გაზეთებში კანტი-კუნტად ქვეყნდებოდა ცნობები „მეამბოხეთა დამარცხებისა“ და ყასემის ბაქიობის შესახებ. 1961 წ. 23 სექტემბერს ყასემმა განაცხადა, რომ „მეამბოხე ქურთების“ ბელადი მუსტაფა ბარზანი მოკლულია, ხოლო „ამბოხება“ ჩახშობილი. მაგად, ყოველთვის, როდესაც უცხოელი ჟურნალისტები ერაყის ხელისუფლებას სთხოვდნენ ნება დაერთოთ მათთვის მოენახულებინათ ქურთებით დასახლებული რაიონები, პასუხად უარს ღებულობდნენ (81, გვ. 31).

ერაყის მთავრობამ ქურთების დასახლებულ რაიონებში თავი მოუყარა ერაყის არმიის თითქმის ნახევარს, მაგრამ წარუმატებლობას წარუმატებლობა მოსდევდა. 18 თვის საომარი მოქმედების შედეგად დაიღუპა 3 ათასი ქურთი, უპირატესად მშვიდობიანი მცხოვრები, 100 ათასამდე კაცი იძულებული შეიქნა დაეტოვა თავისი მშობლიური ადგილები და მთებში გახიზნულიყო. 150-მდე ქურთული სოფელი და ორი რაიონული ცენტრი ნაცარტუტად აქციეს. მიუხედავად ამისა, მთავრობის ჯარებმა მიწანს ვერ მიაღწიეს — აჯანყებული ქურთების რაზმი არა მარტო ვერ გაანადგურეს, არამედ, პირიქით, — იგი კიდევ უფრო განმტკიცდა და გაიზარდა. ვერ უშველა ყასემს ვერც ბარზანის მოწინააღმდეგე ფეოდალების დახმარებამ⁶.

საომარი მოქმედების დაწყების წინ მოლა მუსტაფა ბარზანის რაზმში 700 მებრძოლი ირიცხებოდა (180, გვ. 16); ქურთ პატრიოტებს არ ყოფნიდათ იარაღი, სურსათი და სანოვაგე, არა ჰქონდათ ფული. ყველაფერი ეს მათ უნდა ბრძოლებში მოეპოვებინათ. აჯანყებული ქურთების რაზმები სულ უფრო იზრდებოდა მათ მხარეზე გადმოსული ქურთი გლეხების ხარჯზე. ქურთმა გლეხობამ, რომელმაც ვერ მიიღო ყასემის მთავრობისაგან ვერც მიწა და ვერც თანასწორუფლებიანობა, აჯანყებულებს შეუერთდა.

ქურთების სიმამაცისა და თავდადების, მაღალი პოლიტიკური შეგნებულობისა და თავგანწირვის შედეგად მთავრობის ჯარების წინსვლა შეჩერებულ იქნა. სულ რამდენიმე თვეში ქურთების დაქსაქსულ პარტიზანულ რაზმებისაგან შეიქმნა ერთიანი არმია, რომელსაც ქურთის-

⁶ მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა მაჰმუდ ხალიფა. იგი ცნობილი იყო როგორც ქურთი ხალხის მოლატე. ჯერ კიდევ 1943-45 წ. აჯანყების დროს იგი მიეყრდა ინგლისელებს, ახლა კი ყასემის მთავრობას. მასსა და ზოგიერთ კიდევ სხვა ქურთული ტომების ბელადებს ყასემმა გადასცა ფული და იარაღი იმ პირობით, რომ ისინი გამოვიდოდნენ ბარზანის წინააღმდეგ. მოლატე ფეოდალები თავიანთი რაზმებით ძარცვავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ეწეოდნენ მის ტერორიზმს. ქურთისტიანის რევოლუციურმა არმიამ მოლატე ქურთი ფეოდალების მოქმედების ლოკალიზება მოახდინა.

ტანის გამათავისუფლებელი არმია ეწოდა. ქურთთა მოძრაობა იზრდებოდა როგორც თოვლის ზვავი, და 1962 წლის გაზაფხულისათვის მან ნამდვილი გამათავისუფლებელი ომის სახე მიიღო.

საომარი მსვლელობის დროს, რაც უფრო დიდი იყო ქურთების გამათავისუფლებელი არმიის წარმატება: მით უფრო მეტი ჯარისკაცი აკლდებოდა მთავრობის დამსჯელ არმიას, რომლის რიცხვი ომის დასაწყისში 30 ათასს აღწევდა (180, გვ. 18). ქურთი ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებიც ამ არმიაში მსახურობდნენ, პირველ შემთხვევისთანავე გარბოდნენ მთებში, მიჰქონდათ თან იარაღი და საომარი საქურველი, ხოლო შემდეგ უერთდებოდნენ ბარზანის არმიას⁷.

ერაყის დიდ ქალაქებში მცხოვრებმა ქურთებმა აჯანყების ხელისშემწყობი არალეგალური კომიტეტები შექმნეს. ასეთი კომიტეტები შეიქმნა არა მარტო ბაღდადში, არამედ ბასრაში, კირკუკში, მოსულშიც. ამ კომიტეტების წევრები სხვა პროგრესულად მოაზროვნე პირების დახმარებით აგროვებდნენ ფულს და თბილ ტანსაცმელს მოსახლეობას შორის, ყიდულობდნენ სურსათს, იარაღს, მედიკამენტებს და ყველაფერი ეს გადაჰქონდათ ქურთისტანის იმ რაიონებში, რომლებსაც ბარზანელები უწევდნენ კონტროლს (81, გვ. 33).

ერაყში მცხოვრები ქურთი მოსახლეობის უფლებათა დასაცავად საზღვარგარეთაც შეიქმნა სხვადასხვა კომიტეტები და ჯგუფები. მაგალითად. უკვე 1961 წ. ოქტომბერში შეიქმნა „ქურთი ხალხის დაცვის კომიტეტი“, რომელშიც წარმოდგენილი იყვნენ არა მარტო ქღბ არამედ სირიის ქურთები და ის ერაყელი ქურთებიც, რომლებიც ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიაში გაერთიანებული არ იყვნენ. მათთან ერთად მოქმედებდა „ქღბ ევროპული ორგანიზაცია“, რომელიც სირიიდან, თურქეთიდან, ირანიდან და ერაყიდან ევროპულ ქვეყნებში საცხოვრებლად ჩამოსულ ქურთების ორგანიზებას ცდილობდა. აქტიურ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა ქურთების მცირერიცხოვანი ჯგუფი — „ქურთული დელეგაცია“, რომელსაც კამურან ბადრ-ხანი ხელმძღვანელობდა.

ქურთ სტუდენტთა მოძრაობას გაცილებით უფრო ფართო ხასიათი ჰქონდა. ამ მოძრაობაში გაერთიანებული იყვნენ როგორც ირანის, ერაყისა და სირიის ქურთული დემოკრატიული პარტიების წევრები, ისე უპარტიო სტუდენტებიც. მათ შექმნეს თავიანთი ორგანიზაცია, რომელსაც ჰქონდა თავისი ფილიალები ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, ხოლო 1962 წლიდან აშშ-შიც. არალეგალური სტუდენტური ორგანიზაციები მოქმედებდნენ თურქეთშიც (145, გვ. 691).

⁷ საბჭოთა ჟურნალისტი ვაზ. „პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტი პ. დემჩენკო პყვება, რომ ერთხელ მთავრობის ჯარების მთელი ასეული, რომელმაც თავისი მეთაური ორი ოფიცერი დააპატიმრა, მთებში პარტიზანებთან გაიქცა (იხ. 81, გვ. 35).

ქურთების წინააღმდეგ გაჩაღებულმა ომმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია თვით არაბთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წრეებშიც. გაჩნდა ორი მიმდინარეობა; ერთი დემოკრატიული — ყასემის რეჟიმის მიმართ მტრულად განწყობილი, მეორე — ნაციონალისტური. |

ნაციონალისტურ-დემოკრატიული პარტია, რომელიც სათავეში ედგა დემოკრატიულ მიმდინარეობას, ისევე როგორც ქდპ, ერაყში დემოკრატიული — პარლამენტარული რეჟიმის დამყარების მომხრე იყო. გარდა ამისა, ამ პარტიის წევრები მორალურად მხარს უჭერდნენ ქურთებს მათ სამართლიან ბრძოლაში ავტონომიისათვის ერაყის რესპუბლიკის ფარგლებში.

მას შემდეგ, რაც საომარმა მოქმედებამ ქურთისტანში გაქიანურებული ხასიათი მიიღო, არაბთა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებმა და პროგრესულმა საზოგადო მოღვაწეებმა კიდევ უფრო აღიმადლეს ხმა ამ უსამართლო ომის შეწყვეტისა და ქურთთა ეროვნული უფლებების მხარდაჭერისათვის. ყასემს გაეგზავნა რამდენიმე პეტიცია, რომელშიც მოუწოდებდნენ გადაეჭრა ქურთების საკითხი მშვიდობიანი გზით. ერთ-ერთი ასეთი პეტიციის ტექსტი, რომელსაც ხელს აწერდა ერაყში ცნობილი 8 ადვოკატი და ჟურნალისტი, გაზეთშიც კი გამოაქვეყნეს. მისი ავტორები სასტიკად დაისაჯენ. ყველა მათგანს მიესაჯა 5 წლით პატიმრობა (134, გვ. 257—258).

| 1962 წ. აპრილში ბაღდადში მოეწყო მუშებისა და ახალგაზრდების დემონსტრაცია. მისი მონაწილენი მოითხოვდნენ საომარი მოქმედების შეწყვეტას ქვეყნის ჩრდილოეთში და ქურთებისათვის იმ უფლებების მინიჭებას, რომელიც დროებითი კონსტიტუციით იყო გათვალისწინებული. ეს დემონსტრაცია პოლიციამ გარეაკა (81, გვ. 35).

რაც შეეხება ერაყის კომუნისტურ პარტიას, მან თავიდანვე მტკიცედ დაუჭირა მხარი ქურთების სამართლიან ეროვნულ მოთხოვნებს და საომარი მოქმედების შეწყვეტისათვის აქტიური პოლიტიკური კამპანია გააჩაღა. კომპარტია ბევრს ცდილობდა, რომ მოეხდინა ყასემის რეჟიმის დემოკრატიზაცია, მაგრამ უშედეგოდ, უპრინციპო და უნებისყოფო ყასემი პარლამენტარულ წყობილების დამყარებას აშკარად დიქტატურობას ამჯობინებდა. იგი სულ უფრო სცილდებოდა იმ დემოკრატიულ პრინციპებს, რომელიც მისმა მთავრობამ რევოლუციის პირველ დღეებში გამოაცხადა. ახლა ნათელი შეიქნა, რომ ყასემის დემოკრატიზმი უფრო დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა. ამიტომ უფსკრული ყასემის მთავრობასა და ქვეყნის დემოკრატიულ ძალებს შორის სულ უფრო ღრმავდებოდა. ერთადერთი რასაც ყასემმა მიაღწია, ეს ქვეყნის ეროვნული ძალების გათიშვა იყო.

ამიტომ ერაყის კომპარტიამ წამოაყენა ლოზუნგი. ეროვნული ფრონტის შექმნის შესახებ. ამ ფრონტში უნდა შესულიყვნენ ქვეყნის ყველა დემოკრატიული ძალები, მათ შორის ქურთისტანის დემოკრატიული პარტიაც. კომუნისტების აზრით, ქურთთა საკითხის გადაჭრა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთელ ერაყში პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციასთან. ისინი ხაზს უსვამდნენ იმას, რომ არსებული დიქტატორული რეჟიმი ჩაგრაეს არა მარტო ქურთებს, არამედ არაბებსაც. ამიტომ აუცილებელი იყო ერაყის ყველა ეროვნებათა ერთობლივი ბრძოლა იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ.

ქურთების განმათავისუფლებელ ბრძოლას უდაოდ დიდი წვლილი შეჰქონდა არსებული რეჟიმის პოზიციების დასუსტების საქმეში.

ყასემი და მისი მთავრობა ღრმად ჩაეფლო ქურთისტანის საქმეებში. შექმნილ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის ძებნაში ყასემი არაფერს არ ერიდებოდა. ჯერ კიდევ 1962 წ. 12 მარტს მან მიმართა ეშმაკობას და გამოაქვეყნა ბრძანებულება აჯანყებულ ქურთების ამნისტიის შესახებ. ყველას, ვინც იარაღს დაყრიდა და დაემორჩილებოდა ხელისუფლებას, შეპირდნენ პირად უშიშროებას, დაბომბვით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას და ა. შ. კირკუკის გარნიზონის სარდლობამ მოლა მუსტაფა ბარზანს მიმართა წინადადებით დაეწყოთ მოლაპარაკება კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგებისათვის (134, გვ. 255—256).

აჯანყებული ქურთების ბელადმა მოლა მუსტაფა ბარზანმა მიიღო ეს წინადადება, მაგრამ, როგორც შემდგომ გამოირკვა, ყასემის წარმომადგენელს მოლაპარაკება სურდა გამოეყენებინა იმისათვის. რომ მოეკლა ბარზანი⁸. კარგი დღე არ დაადგათ იმ ქურთ პარტიზანებსაც, რომლებმაც დაუჭერეს ყასემის განცხადებას ამნისტიის შესახებ და ჩაბარდნენ არაბ ხელისუფალთ. თითქმის ყველა ისინი დაპატიმრებულ იქნენ, ხოლო ზოგიერთი მათგანი დაქირავებულმა მკვლელებმა მოკლეს. ამის შემდეგ ქურთი ხალხი აღარ ენდობოდა ყასემის ხელისუფლებას.)

⁸ აი, რას წერდა ამის შესახებ გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტი პ. დემჩენკო: ბარზანი და არაბი პარლამენტორები უნდა შეხვედრილიყვნენ ერთ-ერთი მღინარის პირას მდებარე პატარა სოფელში. დანიშნულ საათზე აქ შევეუფთვინებთ დაეშვა ორი ერაყელი ოფიცერი. მათ დახედნენ ბარზანელი მზვერავეები, რომლებმაც აცნობეს, რომ მოლა მუსტაფამ გადაწყვიტა შეხვედროდა მათ ორი ცილომეტრით დაშორებულ ადგილას. ოფიცრები დათანხმდნენ იქ წასვლაზე. მაგრამ, მათ ჯერ კიდევ ნახევარი გზა არაა უკონდათ გავლილი, რომ ის სოფელი მთავრობის თვითმფრინავებმა დაბომბვის შედეგად მიწასთან გაასწორეს. ყველასათვის ნათელი შეიქნა, რომ მოლაპარაკების წამოწყება ყასემის მორიგი ფანდი იყო. მას ეს დასჭირდა იმისათვის, რომ მოეკლა ბარზანი. ამასთან როგორც ჩანს ჩანაფიქრის განსახორციელებლად იგი არ მოერიდა თავისი ოფიცრების მსხვერპლად შეწირვას (81, გვ. 34).

1962 წ. დასაწყისისათვის ქურთების მოძრაობამ ერაყში კიდევ უფრო ორგანიზებული და ფართო ხასიათი მიიღო. ფრანგული გაზეთის „მონდ“-ის კორესპონდენტი, რომელმაც მოინახულა აღმოდებული ქურთისტანი, ამ დროს ასე წერდა: „თუ გენერალი ბარზანი აჯანყებულთა მოძრაობის თავია, მაშინ ქურთისტანის დემოკრატიული პარტია ნისი სულია. პარტიზანების 75% ამ პარტიის წევრები არიან, ხოლო დანარჩენი მებრძოლთა უმრავლესობა მას თანაუგრძნობენ. ყველა სამეთაურო თანამდებობა რევოლუციურ არმიასში ქვბ „პროფესიონალურ“ წევრებს უკავიათ. მისი უჯრედების ქსელით დაფარულია მთელი ქვეყანა (81, გვ. 33). ქვბ ხელში თავმოყრილი იყო აჯანყების ფონდები, იგი ანხორციელებდა მასების მობილიზაციას, ამარაგებდა მთავრობის ჯარების მიერ ბლოკირებული რაიონების მოსახლეობას.

აჯანყებული ბარზანელი ქურთები და მათი მომხრეები შემდეგ მიზნებს ისახავდნენ: 1. ბოლო მოეღოთ ყასემის დიქტატურისათვის, 2. ქვეყანაში დაემყარებინათ პარლამენტარული დემოკრატიული სისტემა და 3. მიეღწიათ ერაყის ქურთისტანის ავტონომიისათვის. ამასთან ქურთი ლიდერები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ისინი მოითხოვენ ავტონომიას ერაყის ფარგლებში და მიზნად არ ისახვენ ერაყიდან გამოყოფას⁹. ე. ი. ისინი გამოდიოდნენ არაბებისა და ქურთების საერთო ინტერესებიდან, რომელიც ჩამოყალიბდა ამ ორი ხალხის ისტორიული მეგობრობით.

ქურთების გამათავისუფლებელი მოძრაობა დემოკრატიული იყო არა მარტო თავისი პოლიტიკური მიზნებით, არამედ თავისი სოციალური შინაარსითაც. ქურთი გლეხობა მის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა, ხოლო მისი ხელმძღვანელი ქურთისტანის დემოკრატიული პარტია იყო. ქვბ წარმოადგენდა მუშათა და გლეხთა ფართო მასების, წვრილ ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის პარტიას, რომელმაც შეიმუშავა აგარაული რეფორმის ჩატარებისა და ავტონომიური ქურთისტანის ეკონომიკური განვითარების პროგრამა (180, გვ. 19—20).

ქურთების გამათავისუფლებელ არმიას ძალიან უჭირდა. ერაყის მთავრობამ მოაწყო ქურთისტანის ეკონომიკური ბლოკადა. საზღვრები თურქეთთან და ირანთან დახურეს. ერაყის ქურთისტანი გარე სამყაროსაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა ომის მე-17 თვისათვის ერაყის ქურთისტანის დიდი ნაწილი ქვბ თავის კონტროლს

⁹ როცა 1961 წ. გაზაფხულსა და ზაფხულში ერაყში შოვინისტურად განწყობილმა არაბმა ნაციონალისტებმა ადგილობრივ პრესაში აღვირახსნილი ანტიქურთული ავიტაცია გაშალეს, ისინი ამტკიცებდნენ, რომ თუ ქურთებს მისცემდნენ უფლებას შეექმნათ ხელისუფლების საკუთარი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, მაშინ ისინი გამოვიდოდნენ ერაყის შემადგენლობიდან.

დაუქვემდებარა. რაც შეეხება დიდ ქალაქებსა და მსხვილ საკომუნიკაციო კვანძებს, აქ მთავრობის ჯარებმა თავიანთი კონტროლი დააწესეს. ამ დროისათვის გამათავისუფლებელი არმიის ოდენობა 20 ათას კაცამდე გაიზარდა. ეს იყო თანამედროვე თოფებითა და ავტომატებით შეიარაღებული კარგად გაწვრთნილი სახალხო ლაშქარი. განთავისუფლებული რაიონების დიდ ტერიტორიას მართავდა ქურთებისაგან შემდგარი ის სამხედრო-პოლიტიკური ხელისუფლება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქღბ. იგი განაგებდა სამხედრო, ადმინისტრაციულ და სამეურნეო საქმეებს. მის კომპეტენციაში შედიოდა აგრეთვე ჯარების მომარაგების და გადაადგილების საკითხებიც.

მთავრობის ჯარებს სულ უფრო უჭირდათ აჯანყებულ ქურთებთან ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ ერაყის არმია იყენებდა ჯარების მთელ თანამედროვე სახეობას — ავიაციას, მძიმე არტილერიას, მექანიზებულ ნაწილებს, ქურთების დამარცხება 1962 წელს კიდევ უფრო გაჭირდა. მძიმედ შეიარაღებულ მთავრობის ჯარებს ქურთებთან შედარებით უჭირდათ ძნელად გასასვლელ მთიან რაიონებში მანევრირება. არაბი ჯარისკაცები, რომლებიც უსამართლო, დაპყრობით ომს აწარმოებდნენ მოძმე ქურთების წინააღმდეგ, დემორალიზებული იყვნენ. ქურთი რაზმელები („ფეშ მერგა“)¹⁰ კი თავიანთ ეროვნულ უფლებებისათვის იბრძოდნენ. მათი ომი სამართლიანი ომი იყო. მათ ესმოდათ ამ ბრძოლის მიზნები. ისინი თავიანთ მიწა-წყალს იცავდნენ. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ქურთი მეომრების მორალური სულისკვეთების ამაღლებას¹¹.

1962 წლის საომარი კამპანიის მსვლელობაში ერაყის არმიის სარდლობამ ვერ შეძლო მასში გარდატეხის შეტანა თავის სასარგებლოდ, ქურთების წინააღმდეგობა ვერ გატეხეს ვერც ავიაციამ, ვერც ტანკებმა და რეაქტიულმა არტილერიამ. მცირერიცხოვანი, მაგრამ მოქნილი და მოძრავი, ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს უკეთ შეგუებული ერაყის ქურთისტანის გამათავისუფლებელი არმია კვლავინდებურად ინარჩუნებდა ქურთებით დასახლებულ ტერიტორიის დიდ ნაწილს. რაც უფრო გრძელდებოდა ომი ქურთისტანში, მით უფრო ახლოვდებოდა ყასემის ბონაპარტისტული რეჟიმის დასასრული. მისი დამხობა თანდათან გარდუვალი ხდებოდა.

1962 წ. ბოლოსათვის ერაყში იფეთქა საერთო ნაციონალურმა კრიზისმა. მთავრობის საშინაო პოლიტიკით უკმაყოფილო იყვნენ არა მარ-

¹⁰ ფეშ მერგა სიტყვა-სიტყვით — „ის, ვისაც სიკვდილის არ ეშინია“.

¹¹ ქურთისტანის გამათავისუფლებელი არმიის სარდლობამ მთელი ქვეყანა დაპყრო 3 სამხედრო ზონად: ჩრდილოეთის, სამხრეთისა და ცენტრალური. ჩრდილოეთისას მეთაურობდა ასად ხოშევი, სამხრეთის სარდალი ჯვალალ ატ-ტალაბანი იყო, ხოლო ცენტრალურის — ომარ მუსტაფა.

ტო მშრომელი მასები, არამედ მეწარმეებიცა და მემამულეებიც. ეს უქმყოფილება თანდათან აშკარა ბრძოლის ხასიათს ლეებულობდა. ერაყის ქურთისტანში საომარი მოქმედების გაგრძელების წინააღმდეგ ერაყის არმიის რიგით ჯარისკაცებთან ერთად გამოდიოდა უკვე სარდლობაც. თავისი არათანმიმდევრული საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამო ყასემმა გადაიმტერა ეროვნული ბურჟუაზიაც, რომელიც სულ უფრო გადაჭრით გადადის მემარცხენე ოპოზიციის ბანაკში. ყასემი გამოსავალს რეპრესიული ზომების მიღებაში ხედავდა¹². რეპრესიების გატარება კი საერთო სახალხო უქმყოფილებას მხოლოდ აძლიერებდა.

ქვეყანაში აშკარად ისეთი სიტუაცია შეიქმნა, როდესაც ქვედა ფენებს აღარ სურდათ ძველებური ცხოვრება, ხოლო „ზედა ფენას“ კი აღარ შეეძლო ძველებურად მართვა. ერაყში თანდათან იქმნებოდა რეალური წანამძღვრები მშვიდობიანი გზით ყასემის დიქტატურის მოსპობისათვის და ხელისუფლების ქვეყნის დემოკრატიული ძალების ხელში გადასვლისათვის. მაგრამ სახელმწიფოში არსებული რევოლუციური სიტუაციით მემარცხენე ძალებმა, თავიანთი გათიშულობის გამო, ვერ ისარგებლეს და ხელსაყრელი მომენტი ხელიდან გაუშვეს. ადგილობრივმა რეაქციამ კარგად გამოიყენა შექმნილი ვითარება და დაიწყო სამზადისი კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალებისათვის, რომელიც განახორციელა კიდევ 1963 წლის 8 თებერვალს.

ამრიგად, 1958 წ. ივლისის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება ერაყში პროიმპერიალისტური მონარქიული რეჟიმის წინააღმდეგ ქურთი და არაბი ხალხების ერთობლივი ბრძოლის კანონზომიერი შედეგი იყო. პირველად ისტორიაში ცნეს ერაყელი ქურთების ეროვნული უფლებები. ახლო აღმოსავლეთში იმპერიალიზმის სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციებისათვის ეს მეტად სერიოზული დარტყმა იყო.

ერაყში არსებულმა პროგრესულმა ძალების ერთიანობამ ახალგაზრდა რესპუბლიკისადმი სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების მიერ გაწეულმა დახმარებამ აბდალ ქერიმ ყასემის მთავრობას ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და უცხოური ჩარევის თავიდან აცილების საშუალება მისცა.

¹² 1959 წ. ზაფხულიდან 1961 წლის ივნისამდე ერაყის სამხედრო საველე სასამართლოებმა გამოიტანეს 112 სასიკვდილო განაჩენი. ივლისის რევოლუციის მეორე წლისათვის ერაყში დაპატიმრებულთა რიცხვი 22 ათასს აღწევდა. ეს მაშინ, როდესაც რევოლუციის წინ ერაყში პოლიტიკური მოტივებით სულ 300 კაცი იმყოფებოდა საპატიმროებში. ყასემის მთავრობის პოლიციამ და მისმა აგენტებმა მოაწვეს 7510 ყაჩაღური თავდასხმა პროფკავშირებისა და დემოკრატიული ორგანიზაციების ადგილსამყოფელზე. რეპრესიული ზომების შედეგად 3.424 ოჯახმა მიატოვა სახლ-კარი, პოლიციელთა თავდასხმების შედეგად მოკლული იქნა 270 და დაიჭრა 1572 კაცი (იხ. 186, გვ. 55—56).

რესპუბლიკის მთავრობის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებებიდან უნდა აღინიშნოს ისეთი როგორცაა აგრესიული „ბალდადის პაქტის“ მოსპობა, ინგლისთან და აშშ-თან დადებული ხელშეკრულების გაუქმება, კანონი აგრარული რეფორმის შესახებ და სხვა.

მაგრამ ერაყში შექმნილი პოლიტიკური და ნაციონალური ერთიანობა მალე დაიშალა. საშინაო რეფორმები ზედაპირული ხასიათისა აღმოჩნდა. შეტევა იმპერიალიზმის პოზიციების წინააღმდეგ თანდათან შენედა, ხოლო ქურთების საკითხი კიდევ უფრო გამწვავდა. ქურთების წინააღმდეგ დაიწყო საომარი მოქმედება, რომელმაც გაქიანურებული ხასიათი მიიღო. ამ ომმა სხვა რიგ მიზეზებთან ერთად ქვეყანაში შექმნა რევოლუციური სიტუაცია, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებით დამთავრდა.

1963 წლის 8 თებერვლის გადატრიალება და „დროებითი“ ზავი

/ 1963 წ. 8 თებერვლის სახელმწიფო გადატრიალებას „არაბული აღორძინების სოციალისტური პარტია“ (ბაასი)¹³ ხელმძღვანელობდა: მან თავის გარშემო შემოიკრიბა ანტიკომუნისტურად განწყობილი ქვეყნის თითქმის ყველა მემარჯვენე დაჯგუფება. ყასემის საწინააღმდეგო შეთქმულების ხელმძღვანელობა საბოლოოდ 1962 წ. გაფორმდა. მასში შევიდნენ ბაასის ლიდერები და აგრეთვე ნაციონალისტი „პანარაბისტები“, რომელთაც კიდევ „იუნიონისტებსა“ და „ნასერისტებს“¹⁴ უწოდებდნენ. მათ დაამყარეს კავშირი ყასემის მმართველობით უკმაყოფილო ოფიცრებთან და სახელმწიფო გადატრიალება განხორციელეს./

/ მართალია, ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე გადატრიალების ხელმძღვანელებმა ყასემის პოლიტიკით უკმაყოფილო სამხედროების წარმომადგენელი — პოლკოვნიკი აბდალ სალამ არეფი¹⁵ დანიშნეს,

¹³ „ბაასი“-ს პარტია ძირითადად წერილ-ბურჟუაზიული იყო. მან მიზნად დაისახა თავის ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანებინა ყველა არაბული ქვეყანა „სპარსეთის ყურიდან ატლანტიკურ ოკეანემდე“. პირველად იგი შეიქმნა სირიაში მაშინ, როდესაც მეორე მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა. 50-იან წლების დასაწყისში მან „არაბული აღორძინების სოციალისტური პარტიის“ (შემოკლებით „ბაასი“) სახელწოდება მიიღო. სირიაში არსებული „ბაასი“ ცენტრალურს წარმოადგენდა, ხოლო მეზობელ არაბულ ქვეყნებში (ერაყი, ლიბანი, იორდანია) წარმოიქმნა მისი სექციები დამოუკიდებელი ხელმძღვანელობით.

¹⁴ იუნიონისტების, ანუ ნასერისტების პარტია არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან (დღევანდელი ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა) გაერთიანების მოპხრედ გამოდიოდა.

¹⁵ აბდალ სალამ არეფი, ისევე როგორც თავის დროზე აბდალ ქერიმ ყასემი, ერაყის არბიაში აღმოცენებული „თავისუფალი ოფიცრების“ ჯგუფის ხელმძღვა-

ფაქტიურად მთელი სახელმწიფო ძალაუფლება მემარჯვენე ბაასელთა და მათი მეთაურის¹⁶ საადის ხელში იმყოფებოდა. /

არმიის ზედა ფენა¹⁷ დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, „რევოლუციური სარდლობის ეროვნულ საბჭოსა“ და მთავრობაში თანამდებობათა დიდი ნაწილი საადიმ, შაბიბმა¹⁸ და მათმა დაჯგუფებამ ჩაიგდო ხელში. ბაასის ექსტრემისტმა მეთაურებმა ერაყში დიქტატურის ნაცვლად აღვირახსნილი ტერორი დაამყარეს. მალე სამხედრო ლიდერები მიხვდნენ იმას, რომ ეს არ იყო ისეთი რეჟიმი¹⁹, რომლისკენაც ისინი მისწრაფოდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ერაყის „ბაასის“ პარტიის სოციალურ დასაყრდენს წვრილბურჟუაზიული ელემენტები შეადგენდნენ. მასში გაერთიანებული იყვნენ სახელმწიფო მოხელეები, ვაჭრები, სტუდენტები და მოსწავლეები, ინტელიგენცია, დაბალი და საშუალო ოფიცრობა. პარტიის ექსტრემისტულად განწყობილმა ლიდერებმა სოციალური დემაგოგიის წყალობით შეძლეს მასების მოტყუება და თავიანთი ნამდვილი განზრახვების დაფარვა. ისეთმა ფსევდო-რევოლუციურმა ლოზუნგმა, როგორცაა — „ძირს ფეოდალიზმი, მიწა ხალხს!“, „ბრძოლა სრული თავისუფლებისათვის“, „არაბული ერთიანობისა და სოციალიზმისათვის“

ნელი იყო. კერძოდ, არეფი ამ ორგანიზაციის მემარჯვენე ნაციონალისტური ფრთის ლიდერი იყო. პალესტინის ომის დროს არეფი მეთაურობდა ბატალიონს, ხოლო 1958 წლის 14 ივლისისათვის იგი ერაყის არმიის მე-3 დივიზიის მე-20 ბრიგადას ედგა სათავეში. ერაყის უკანასკნელი მფრის ფაისალ II-ს სასახლის იერიში ყასემის მე-19 ბრიგადის ჯარისკაცების მხარდამხარ არეფის ბრიგადის ჯარისკაცებიც მონაწილეობდნენ. 1958 წლის ივლისის რევოლუციის შემდეგ არეფს პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა, მაგრამ ნოემბერში იგი ყასემის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობდა და მას სიკვდილი მიესაჯა, უფრო გვიან, სასიკვდილო განაჩენი ყასემმა მას შინაპატიმრობით შეუცვალა.

¹⁶ ალი სალამ საადი — ერაყელ ბაასელთა ლიდერი, ერაყის ბაასის პარტიის გენერალური მდივანი, 1959 წ. მარტში ყასემის რეჟიმის წინააღმდეგ მოწყობილი მოსულის ამბოხების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. 1959 წ. ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც ბაასის ხელმძღვანელობის მიერ მოწყობილი თავდასხმა ყასემზე (მაშინ ბაღდადის ცენტრალურ ქუჩაზე ავტომობილით მიმავალი ყასემი დაქრეს) ჩაიშალა, იგი იძულებული შეიქნა საზღვარგარეთ გაქცეულიყო. 1963 წლის თებერვლის გადატრიალების შემდეგ მან დაიკავა პრემიერ-მინისტრის მოადგილის თანამდებობა.

¹⁷ არმიის ზედა ფენაში შედიოდნენ აბდალ სალამ არეფი, თაჰერ იაჰია, ნაჯიტალი, სალამ მახდი ამაში და სხვა გავლენიანი ოფიცრები.

¹⁸ ახალი ხელმძღვანელობაში საადის შემდეგ ყველაზე დიდი ავტორიტეტით შაბიბი სარგებლობდა. ბაასის მთავრობაში მას ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის ადგილი.

¹⁹ შემდგომში საადი იგონებდა, რომ უკვე ახალი მმართველობის მესამე დღეს ბაასის ლიდერებსა და აბდალ სალამ არეფს შორის კონფლიქტი წარმოიშვა.

ვის“, დასაწყისში მათ ბევრი მიმდევარი გაუჩინა, მაგრამ მალე გამოიჩინა, რომ ბაასის ლიდერების პრაქტიკული საქმიანობა დიამეტრულად ეწინააღმდეგებოდა მათ მიერ გამოცხადებულ ლოზუნგებს და ისე განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, როგორც დღე ღამისაგან.

„ბაასის“ 9 თვის მმართველობის ხანა ქვეყნის ისტორიაში აღინიშნა არნახული ტერორით²⁰, ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით და მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომი დაქვეითებით./ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული სამუშაოთა წარმოება თითქმის მთლიანად შეჩერდა. ურთიერთობა სსრ კავშირთან და სხვა. სოციალისტურ ქვეყნებთან გაუარესდა, ხოლო იმპერიალისტური სახელმწიფოების ჩარევა ერაყის საშინაო საქმეებში კიდევ უფრო გაძლიერდა.

ბაასის ხელისუფლების სათავეში მოსვლის პირველ დღეებში ბადადის რადიო მიესალმებოდა „ქურთთა რევოლუციას“. მაგრამ ერაყის ახალ მთავრობას ქურთებისათვის ავტონომიური მმართველობის უფლებების მინიჭების თაობაზე თავისი აზრი არ გამოუთქვამს. მან მხოლოდ ის განაცხადა, რომ მხარს უჭერს ქურთთა საკითხის მშვიდობიანი გზით გადაჭრას. ბაასისტებმა კონტაქტი დაამყარეს მ. ბარზანთან, მისცეს მთელი რიგი დაპირებანი²¹. მაშინ ჯერ კიდევ არაღინ იცოდა, რომ სინამდვილეში ისინი სულ სხვა მიზნებს ისახავდნენ. მაშინ ბაასის მთავრობას საქმარისი ძალები არა ჰქონდა იმისათვის, რომ ეს მეტად არაპოპულარული ომი ქურთისტანში განეგრძო. ახალ მთავრო-

²⁰ ქვეყანაში გამეფებული ტერორის შედეგად დახვრებილ იქნა დაახლოებით 10 ათასი კომუნისტი, ხოლო 100 ათასი ერაყელი პატრიოტი საპრობილეებში ჩაახვეს. სიკვდილით დასჯილთა შორის იყვნენ ერაყის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები: გენერალური მდივანი ჰუსეინ არ-რადი (სალიამ ადილი), ჰუსეინ აბუ ალ-ისსა, ჰასან უვეინი, ჯამილ ალ-ჰაიდარი, მუჰამედ სალამ ალ-აბაჯი. ერაყელ კომუნისტების ხელმძღვანელების წამებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ პრემიერ მინისტრის მოადგილე ექსტრემისტი ბასეღლა ლიდერი ალი სალამ საადი. შინაგან საქმეთა მინისტრი ჰუსეინ ჯაადი და სხვა.

²¹ ეს დაპირებანი ახალი არ იყო. ჯერ კიდევ 1962 წ. ზამთარში როცა ერაყის არმიასი ყასემის მოწინააღმდეგეთა დაჯგუფება ჩამოყალიბდა, პოლკოვნიკმა თაჰერ-იბრაჰიმ ამ ჯგუფის სახელით ქურთ ლიდერებს სთხოვა დახმარება ყასემის რეჟიმის დამხობაში. ქურთთა ხელმძღვანელებმა თავიანთ წერილობით პასუხში (2 აპრილს) მათ თავიანთი თანხმობა აცნობეს. ამასთან ქურთთა მეთაურებმა არმიის ოფიცრობას ორი მთავარი პირობის შესრულება მოსთხოვეს, პირველი: მომავალი ვადატრიანობის შემდეგ ერაყში უნდა დამყარებულიყო დემოკრატიული მმართველობა და მეორე, რომ „თავისუფალ ოფიცრებს“ უნდა ეცნოთ ქურთების ავტონომიური უფლებანი ერაყის ფარგლებში მაშინვე, როგორც კი ყასემის მთავრობას დაამხობდნენ. იმ დროს თაჰერ იბრაჰიმ თავი აარიდა წერილობით ვალდებულებას და დაკმაყოფილდა ზეპირი დაპირებით იმის შესახებ, რომ მომავალ მთავრობაში შეიყვანდნენ ქურთ მინისტრებს, მათ შორის გენერალ ბარზანსაც (იხ. 180, გვ. 21).

ბას უნდოდა ჯარის ის ნაწილები, რომლებიც ამ დროს ქურთისტანში იყვნენ განლაგებული, გამოეყენებინა დემოკრატიული ძალების ჩასახშობად ერაყის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში.

საზოგადოებრივი აზრის თვალის ახვევისა და ქურთთა ლიდერების პოლიტიკური სიფხიზლის მოდუნების მიზნით, ახალ მთავრობაში, სადაც ყველა ძირითადი თანამდებობა ბაასის პარტიის წევრებს ეკავათ, შეიყვანეს ორი ქურთი — ბაბა ალი²² და გენერალი ფუად არეფი²³.

აჯანყებული ქურთების მეთაურებმა კმაყოფილებით მიიღეს ახალი ხელისუფლების ხელმძღვანელთა განცხადება ქურთთა საკითხის მშვიდობიანი გზით გადაჭრის თაობაზე და 9 თებერვალს ერაყის ქურთისტანის ტერიტორიაზე შეწყვიტეს საომარი მოქმედება²⁴. ახალ მთავრობასთან მოლაპარაკების მიზნით 18 თებერვალს ბაღდადში გაიგზავნა ქურთების დელეგაცია²⁵. ამ დელეგაციას ქღპ პოლიტიბიუროს წევრი 30 წლის პოლკოვნიკი ჯელალ ატ-ტალაბანი მეთაურობდა (174. გვ. 113). ქურთებთან წინასწარი შეთანხმების შედეგად მთავრობამ გადაწყვიტა გაეგზავნა დელეგაცია უშუალოდ მოლა მუსტაფა ბარზანთან მოსალაპარაკებლად. შეხვედრის ადგილი წინასწარ შეარჩია მ. ბარზანმა. ქურთების ლიდერი შეხვდა ახალი მთავრობის წარმომადგენლებს 4 მარტს კანი მარანში (გველის წყარო), რომელიც ზაგროსის მთების ფერდობზე ყველაზე უფრო დაცული და უსაფრთხო ადგილი იყო.

მთავრობის დელეგაციას გენერალი თაჰერ იაჰია²⁶ ხელმძღვანელობდა, მან აგრძობინა ქურთ მეთაურებს, რომ ახალი მთავრობა თანაუგრძნობს ქურთების ეროვნულ იდეალებს და მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება მისი განხორციელებისათვის.

²² ბაბა ალი იყო ქურთთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი ხელმძღვანელის შეიხ მაჰმუდ ბარზინჯას შვილი.

²³ მოლა მუსტაფა ბარზანის მეორე მეთავაზებული ექვსი კანდიდატურიდან ბაასისტებმა არჩევანი ამ ორ კაცზე შეაჩერეს.

²⁴ ამავე დროს მთავრობამ მოხსნა ქურთისტანის ეკონომიკური ბლოკადა, გაანთავისუფლა ზოგიერთი ქურთი პოლიტიკური პატიმარი. თავის მხრივ, ქურთებმა გაანთავისუფლეს 600 არაბი ჯარისკაცი. ომის მსვლელობაში ქურთებს ტყვეობაში რამდენიმე ათასი არაბი ჯარისკაცი ჩაუვარდათ. ტყვე არაბებს ქურთები მეტწილად მაშინვე ანთავისუფლებდნენ და სახლში უშვებდნენ ოღონდ პირობას ართმევდნენ, რომ ქურთების წინააღმდეგ ამიერიდან აღარ იომებდნენ.

²⁵ დელეგაცია კირკუქიდან სპეციალური თვითმფრინავით ჩამოვიდა და ბაღდადის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროში გაჩერდა. ბაღდადის გაზეთებმა დაბეჭდეს დელეგაციის წევრების პორტრეტები. მათ საპატივცემულოდ მოეწყო დარბაზობა. ქურთთა დელეგაცია პრეზიდენტმა არეფმა მიიღო

²⁶ თ. იაჰიას გარდა დელეგაციაში ორი ქურთი მინისტრი — ფუად არეფი და ბაბა ალიც შედიოდნენ.

მაგრამ ბაასის პარტიის ლიდერები ქურთებთან მოლაპარაკებას ხელოვნურად აჭიანურებდნენ. მოლა მუსტაფა ბარზანსა და ქურთების სხვა ბელადებს ახალი რეჟიმის წინააღმდეგ ომის დაწყება არა სურდათ. ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ ქურთებსა და არაბებს შორის არსებული კონფლიქტი მშვიდობიანი, მოლაპარაკების გზით გადაეჭრათ. როდესაც ქურთების შეიარაღებული ძალების შტაბში ერაყის მთავრობამ თავიერი იაჰიას მეთაურობით თავისი დელეგაცია მიავლინა, მან მოუბოდიშა ბარზანის ქურთთა ავტონომიის ცნობის დაგვიანებისათვის. ამ დაგვიანებას იაჰია ერთი მხრივ, იმით ხსნიდა, რომ ახალ ხელისუფლებას მარტო „თავისუფალი ოფიცრობა“ არ უდგას სათავეში და, რომ ჭგუფი, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებას ხელმძღვანელობდა, ახლა უფრო გაფართოვდაო. მეორე მხრივ, არაბთა მხარემ განაცხადა, რომ ერაყის მთავრობას არ შეუძლია ცნოს ქურთების ავტონომია არაბული სამყაროს მთავარი ხელმძღვანელების დასტურის გარეშეო (180, გვ. 23).

ამასთან დაკავშირებით ქღვ დელეგაციის მეთაურს ბაღდადში პოლკოვნიკ ატ-ტალაბანის, რომელიც თავის მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებდა ერაყის მთავრობის ხელმძღვანელებთან, 1963 წ. თებერვლის დამლევს უბრძანეს გამგზავრებულიყო კაიროსა და ალჟირში გამალ აბდ ან-ნასერთან და ბენ ბელასთან (ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მაშინდელი პრეზიდენტი) შესახვედრად. არაბული სამყაროს ორივე აღიარებულმა ლიდერმა მაშინ რწმენა გამოთქვა, რომ ქურთთა საკითხი უნდა მოგვარდეს არა ძალის, არამედ მოლაპარაკების გზით. ამასთან არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა გამალ აბდ ან-ნასერმა დასძინა, რომ „ქურთი ეროვნება დღეს ისეთივე რეალობაა, როგორც ის, რომ ეგვიპტეში არის ნილოსი“ (180, გვ. 24).

ამასობაში ბაღდადში დარჩენილი დელეგაცია, რომელსაც ჭვალა ატ-ტალაბანის ნაცვლად ქღვ მეორე წარმომადგენელი — იუსუფი მეთაურობდა, ბაასის მთავრობის წარმომადგენელთან შეწყვეტილი მოლაპარაკების განახლებას ცდილობდა.

„ქურთებსა და მათ ბელადებს / ომის დაწყება არა სურდათ. მათ არაბებთან მშვიდობიანი თანაარსებობა უნდოდათ. / ამას მოწმობს დასავლეთის პრესაც. მაგალითად, ფრანგული გაზეთის „მონდ“-ის კორესპონდენტი ერიკ რულუ 16 აპრილს სტატილაში — „მონადირე, მწყემსი და მგელი“ წერდა: „გენერალ ბარზანის პირველ ყოვლისა სურს აღადგინოს სრული დემოკრატია ერაყში. ქურთისტანის ავტონომია — განაცხადა ბარზანიმ—არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დაუბრუნოს მშვიდობა და თანხმობა ერაყს. განცხადებებისა და დაუსრულებელი სამხედრო გადატრიალებების ეპოქას ჩვენ ბოლო უნდა მოვუღოთ, რათა

გადავკრათ ის სერიოზული პრობლემები, რომლებიც ქვეყანას ღრნი-
ან, მე არაბების მტერი არასოდეს არა ვყოფილვარ და ჩემთვის პირა-
დად მე არავითარი პოლიტიკური მიზანი არა მაქვს. ამიტომ ჩემს თავს
ნებას მივცემ და ვეუბნები ერაყელ ლიდერებს: „თუ თქვენ ხალხი-
სათვის სიკეთე გინდათ თქვენ უნდა გამოაცხადოთ საყოველთაო ამ-
ნისტია, მოღვაწეობის ნება დართოთ ყველა პარტიას, მოაწყოთ თავ-
სუფალი არჩევნები და ჩამოაყალიბოთ ისეთი მთავრობა, რომელიც
ყველა ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა და პოლიტიკურ მიმ-
დინარეობათა ინტერესებს გამოხატავს... ერაყში, რომელიც ხალხთა
მოზაიკას წარმოადგენს, არ არის ნამდვილი დემოკრატია, ამიტომ ის
ისევ ანარქიაში ჩაეფლობა, ხოლო ბაღდადის დღევანდელ ლიდერებს,
აღრე თუ გვიან, ისეთივე გზით განდევნიან რომელიც მათ გამოიყე-
ნეს ხელისუფლების ჩაგდებისათვის“ (196, 16. 4. 1963).

გენერალმა ბარზანმა ეს განაცხადა 4 მარტს, ხოლო ორი დღით
გვიან ბაასის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტალეზ შაბიზ-
მა იმავე გაზეთ მონდის კორესპონდენტს განუცხადა: „ჩვენ წინაშე
არა დგას საკითხი ქურთთა ავტონომიის შესახებ. ჩვენთვის საკმარისია
ისიც, რომ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას იმ ადამიანთან, რომელიც კა-
ნონგარეშეა გამოცხადებული. თუ გენერალი ბარზანი დათმობაზე არ
წავა, ჩვენ ძალიან ცოტა დრო დაგვჭირდება იმისათვის, რომ დავამარ-
ცხოთ (ქურთთა — ა. მ.) აჯანყება ერთხელ და სამუდამოდ (180,
გვ. 25).

ეს დიამეტრულად ეწინააღმდეგებოდა რამდენიმე დღით აღრე
პრემიერ მინისტრის მოადგილის საადის მიერ განცხადებულს: —
„ერაყის რევოლუცია ცნობს ქურთების უფლებას განაგონ თავიანთი
მომავალი“. მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლების ასეთმა
ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებმა კიდევ უფრო შეაშფოთეს
ქურთი ხელმძღვანელები. თანდათან ისინი უკვე ხედებოდნენ ბაასის
პარტიის ლიდერების არა გულწრფელ და ორქოფულ დამოკიდებუ-
ლებას ქურთების მოძრაობისადმი.

9 მარტს ბაღდადში გამოქვეყნდა მთავრობის ოფიციალური კო-
მუნიკე, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ერაყის რევოლუციური სარდ-
ლობის ეროვნული საბჭო ცნობს ქურთი ხალხის უფლებებს დეცენტ-
რალიზაციის საფუძველზე. განცხადებაში სიტყვა ავტონომია სულ არ
იყო ნახსენები. ორი დღის შემდეგ 11 მარტს საადიმ, რომელიც ერთ-
დროულად ერაყის ბაასის პარტიის გენერალური მდივანიც იყო, სი-
რიაში ვიზიტით ჩასვლისას განაცხადა, რომ „ქურთულ პროვინციებს
ყოველ სფეროში თავიანთი საკუთარი ადმინისტრაცია ეყოლებათ.
გარდა საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და ფინანსთა საქმეების. ეს საქ-

მეები კვლავინდებურად ცენტრალურ მთავრობის გამგებლობაში უნდა დარჩენილიყო“.

მიუხედავად დიდი ბუნდოვნებისა, ქურთთა ხელმძღვანელებმა მიიღეს ეს განცხადება. სიტყვა „დეცენტრალიზაციაში“ მათ იგულისხმებს ისეთივე შინაარსი როგორც სიტყვა ავტონომიაში.

18 მარტს ქოი-სანჯაყში ქაღპე ინიციატივით შეიკრიბა სრულიად ქურთისტანის კონგრესი. რომელშიც მონაწილეობდა 165 დელეგატი. დელეგატთა შორის ძირითადად იყვნენ ქაღპეელები, ქურთისტანის გამათავისუფლებელი არმიის ოფიცრები, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის წარგზავნილები, ახალგაზრდული და ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, მასწავლებლები და სტუდენტები. აღსანიშნავია, რომ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ადგილობრივმა თურქმა და ასურულ-ქალდეველურ უმცირესობათა²⁷ დელეგატებმაც. კონგრესის მუშაობას გენერალი მოლა მუსტაფა ბარზანი წარმართავდა. კონგრესი მიზნად ისახავდა გამოემუშაებინა ქურთების ძირითადი მოთხოვნები, განესაზღვრა ბაასის ლიდერებთან მათი მოლაპარაკების საერთო გეზი. კონგრესმა შეიმუშავა მემორანდუმი, რომელშიც დაწვრილებით იყო განმარტებული ქურთთა მოთხოვნები და ამ მოთხოვნების გადასაცემად დელეგაცია აირჩია. მალე ახლად არჩეულმა ქურთთა დელეგაციამ ეს მემორანდუმი წარუდგინა ბაასის მთავრობას. ქურთები ძირითადად მოითხოვდნენ შემდეგს:

1. ქურთთა საკითხის მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და დემოკრატიული გზით გადაჭრა,
2. დროებითი კონსტიტუციის დაცვა,
3. არაბებსა და ქურთებს შორის სრული თანასწორუფლებიანობის დამყარება ერაყის სახელმწიფოს ფარგლებში,
4. ერაყის ქურთისტანში ისეთი ავტონომიური პარლამენტისა და ავტონომიური მთავრობის შექმნა, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა ერაყის ქურთისტანში დასახლებული ყველა ეროვნება,
5. ერაყის ცენტრალური მთავრობის შემადგენლობაში უნდა შეეყვანათ ქურთების რამდენიმე წარმომადგენელი²⁸,
6. ქურთისტანს უნდა გადასცემოდა კულტურული ავტონომიის უფლებები (სწავლება ქურთულ ენაზე, პერიოდულ და სხვა გამოცემათა თავისუფალი გავრცელება და სხვა), ქურთისტანის ტერიტორიაზე მოპოვებული ნავთობისაგან მიღებული შემოსავლის 25%-ის ქურთისტანის ავტონომიურ მთავრობის განკარგულებაში გადაცემა

²⁷ ასურულ-ქალდეველებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქურთთა ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობაში. ახალგაზრდა ქალდეველმა ქალმა მარგარიტ ჯორჯმა თავისი სიმამციტ სახელი გაითქვა ქურთების არმიაში, იგი იბრძოდა ასად ხოშევის მეთაურობით.

²⁸ ამ პუნქტის განხორციელების შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ.

იმ მიზნით, რომ იგი გამოეყენებინათ ქურთებით დასახლებულ რაიონების ეკონომიკის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის (180, გვ. 25). ამრიგად ქურთები მოითხოვდნენ შინაგანი მმართველობის ავტონომიას ერაყის ფარგლებში, ანდა იმ არაბული ქვეყნების (ეგვიპტე, სირია, ერაყი) ფედერაციის ფარგლებში, რომლის შექმნაც ამ დროს განზრახული ჰქონდათ ხსენებულ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს.

როგორ უყურებდნენ ქურთები პან არაბულ კავშირს? ქურთი ლიდერები არაბულ ნაციონალისტურ მოძრაობაში მკაფიოდ ანსხვავებდნენ დემოკრატიულ და რეაქციულ მიმდინარეობას. დემოკრატიულ მიმდინარეობას ამ დროს გამოხატავდა ერაყის ნაციონალურ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც მეთაურობდა ქამილ ჩადერჯი. ამ პარტიის ლიდერები — ბაასის ლიდერებზე ნაკლებ პატრიოტულად როდი იყვნენ განწყობილნი, პირიქით, ქურთებს მიაჩნდათ, რომ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას უფრო მეტი შესაძლებლობა გააჩნდა ცხოვრებაში გაეტარებინა არაბთა პოლიტიკური ერთიანობის პრინციპები, ვიდრე რეაქციულად განწყობილ ბაასის მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლებს.

მიუხედავად ბაასის ექსტრემისტული ფრთის ნაციონალ-სოციალური დემაგოგიისა, მათი სოციალიზმისა და ერთიანობის არავის არა სჯეროდა — არც არაბებს და არც ქურთებს. ქურთ ლიდერებს არა სჯეროდათ ისეთი ერთიანობისა, რომელიც ემყარებოდა არა დემოკრატიულ საფუძველს, არამედ ტერორსა და რეპრესიებს. მათი აზრით, ასეთი ერთიანობა სიცოცხლის უნარიანი არ იქნებოდა იმიტომ, რომ ძალადობაზე დამყარებული ერთიანობის წინააღმდეგ მალე აღდგებოდა თვით არაბი ხალხიც. და ბოლოს რომელიმე არაბულ გაერთიანებაში ერაყის მონაწილეობა მტკიცე არ იქნებოდა მანამდე, სანამ ქვეყნის შიგნით ქურთთა ეროვნული პრობლემა დემოკრატიული გზით არ იქნებოდა გადაწყვეტილი, ე. ი. ისე, თუ ერაყის ფარგლებში ანდა მომავალ პან-არაბულ ფედერაციაში ქურთების ავტონომიურ უფლებებს არ ცნობდნენ.

1963 წ. 8 მარტს სირიის ბაასის პარტიაც ხელისუფლების სათავეში მოექცა. ამის შემდეგ, სირიის, ერაყისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის (აგრ) ხელმძღვანელებმა მიიღეს გადაწყვეტილება განხორციელებინათ არაბული ერთიანობის იდეა. ფედერალური კავშირის შექმნის თაობაზე მალე სამივე ქვეყნის დელეგაციებს შორის სათანადო მოლაპარაკება დაიწყო. ეს მოლაპარაკება დამთავრდა იმიტომ, რომ 1963 წ. 17 აპრილს მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია. დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ სამივე სახელმწიფოს მთავრობებმა გადაწყვიტეს შექმნან ფედერალური კავშირი. დეკლარაცია ძალაში უნდა

შესულიყო მას შემდეგ, რაც ყოველ ქვეყანაში უახლოესი ხუთი თვის მანძილზე სახალხო რეფერენდუმი ჩატარდებოდა.

მოლაპარაკებას არაბთა გაერთიანებული ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის შესახებ ბაასის მთავრობა აწარმოებდა არა იმიტომ, რომ განემტკიცებინა არაბთა ინტერესები, არამედ იმ მიზნით, რომ განემტკიცებინა თავისი პოზიციები. კაიროში მოლაპარაკების დროს გადაწყდა სამივე არაბული სახელმწიფოს საერთო სარღლობა შექმნილიყო. ეს საშუალებას აძლევდა ბაასისტებს არაბთა გაერთიანებული სამხედრო ძალები გამოეყენებინათ არა მარტო საგარეო საფრთხის შემთხვევაში, არამედ ერაყის შიგნით დაწყებულ მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის ჩასახშობადაც. ეს კი რა თქმა უნდა პირდაპირ ქურთების წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული.

ამასობაში ბაღდადში გაგზავნილი ქურთთა დელეგაცია განაგრძობდა მოლაპარაკებას ერაყის მთავრობის წარმომადგენლებთან. 8 აპრილს ჯელალ ატ-ტალაბანიმ კაიროს კონფერენციის მონაწილეებს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ქურთების შეხედულებები პანარაბული გაერთიანების პროექტზე.

ამ წერილში ქურთები პირველ რიგში მოითხოვდნენ შეეყვანათ მათი წარმომადგენელი კაიროს კონფერენციის მონაწილე ერაყის დელეგაციის შემადგენლობაში. ამასთან ქურთები ხაზს უსვამდნენ, რომ არასოდეს არ გამოვიდოდნენ არაბთა ქვეყნების კავშირის შექმნის წინააღმდეგ თუ შესრულებული იქნება მათი შემდეგი მოთხოვნები: 1. თუ ერაყი სრულიად დამოუკიდებელი დარჩება, ქურთი ხალხი მოითხოვს მხოლოდ იმას, რომ მას ეროვნულ ავტონომიურ უფლებებს პატივი სცენ დეცენტრალიზაციის საფუძველზე, რომლის შესახებ ერაყის მთავრობამ განაცხადა. 2. თუ კი ერაყი შეუერთდება არაბულ ფედერაციას, მაშინ აუცილებელია ერაყის ქურთისტანს მიენიჭოს ფართო ავტონომია ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. 3. თუ ერაყი შევიდოდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შემადგენლობაში, მაშინ უნდა შექმნილიყო ქურთისტანის ტერიტორია (ქურთისტანის ადმინისტრაციული ერთეული), რომელიც განსხვავებული იქნებოდა ერაყის ტერიტორიისაგან. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ცენტრალურ მთავრობას ეს ტერიტორია დაემორჩილებოდა სირიისა და ერაყის თანაბარ საფუძველზე, ამასთან შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო ქურთი ხალხის ეროვნული სახე.

ამრიგად, ქურთები პირობას სდებდნენ, რომ არ გამოეყოფოდნენ ცალკე არაბებს არაბული ქვეყნების ფედერაციის ან უფრო ვიწრო კავშირის შექმნის შემთხვევაში, თუ კი ზემოთ ჩამოთვლილი სამი პირობა დაცული იქნებოდა. ქურთთა ბელადები მზად იყვნენ სამხრეთ ქურთისტანის ბედი დაეკავშირებინათ არაბული ქვეყნების ბელთან

მათი თვითგამორკვევის ცნობის საფუძველზე, ე. ი. ისეთი კავშირის საფუძველზე, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა თავისუფალ შეთანხმებაზე, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ არაბ ნაციონალისტებს უარი უნდა ეთქვათ ინგლისელთა მიერ თავსმობხვეულ ძველ თვალსაზრისზე, რომლის თანახმად ერაყის ქურთისტანს განიხილავდნენ როგორც არაბულ ქვეყანას.

მაგრამ კაიროს კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთა ხელმძღვანელებმა ყურად არ იღეს ქურთთა სამართლიანი მოთხოვნები. არაბ-ქურთების მოლაპარაკების ატმოსფერო თანდათან გაუარესდა. მოლაპარაკება ჩაშლის პირას იყო მისული. ბაასის ხელმძღვანელობამ კვლავ განაახლა ქურთისტანის ეკონომიკური ბლოკადა. იმ 300 ქურთ პოლიტიკურ პატიმარს, რომელიც ყასემის რეჟიმის დამხობის შემდეგ არ გაანთავისუფლეს, ახლები მიამატეს. თვით ქურთთა დელეგაციის წევრებიც კი ამ დროს მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. მათ დაკარგეს ხელშეუხებლობის უფლება. უფრო მეტიც, მთავრობამ ფარულად დაიწყო თავისი ერთგული ჯარების თავმოყრა ქურთისტანის დიდ ქალაქებთან, კერძოდ კირკუკთან. ყველაფერი ეს მიუთითებდა იმაზე, რომ ერაყის მთავრობა ქურთებზე ახალი თავდასხმისათვის ემზადებოდა. |

ბალდაღში მყოფმა ქურთების დელეგაციამ 24 აპრილს გამოაქვეყნა თავისი მემორანდუმი, რომელიც იმავე დღეს გადასცეს მთავრობას.

ქურთები მოითხოვდნენ, რომ ერაყის ცენტრალური სამმართველო აპარატის გარდა შექმნილიყო „ეროვნული აპარატი“ ერაყის ფარგლებში არსებულ ქურთისტანის ავტონომიური ტერიტორიის მმართველობისათვის. ამ მმართველობის აპარატი უნდა შესულიყო ქურთების საკანონმდებლო კრება და აღმასრულებელი საბჭო, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ამ კრების წინაშე.

ცენტრალური მთავრობის გამგებლობაში უნდა დარჩენილიყო შემდეგი საკითხები. სახელმწიფოს მეთაურობა, საგარეო საქმეები, ეროვნული თავდაცვა, ფინანსები, ნავთობის მრეწველობა, საბაჟო გადასახადები, ნავსადგურები და საერთაშორისო აეროდრომები, ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, მოქალაქეობის დადგენა, სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავება, რადიო, ტელევიზია და ატომური ენერჯის კონტროლი. რაც შეეხება ქურთების ხელისუფლებას, მას უნდა განეგო ქურთისტანის ტერიტორიაზე კანონი და სასამართლო საქმეები, განათლება, ჯანმრთელობის საქმე, სასოფლო-სამეურნეო წარმოება, პატარა ქალაქის ტიპის დასახლებანი, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის, ეკონომიკური განვითარების და ყველა სხვა საქმეები, რომლებიც დაკისრებული არ ექნებოდა ცენტრალურ მთავრობას. ცენტრალურ მთავრობაში ქურთები წარმოდგენილი უნდა ყოფი-

ლიყვნენ ერაყის მთელ მოსახლეობაში მათი რაოდენობის შესაბამისი პროპორციით.

ქურთების ეროვნული შემოსავალი უნდა შემდგარიყო იმ გადასახადებისა და მოგებისაგან, რომელსაც აიღებდნენ ქურთისტანის რესურსების ექსპლოატაციისა და ნავთობის მოპოვების ხარჯზე, ეროვნული ბანკების საფოსტო, სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზის და რკინიგზების მომსახურებიდან (ცენტრალური მთავრობის სფეროში საჭირო თანხების ჩარიცხვის შემდეგ მორჩენილი თანხიდან). შემდეგ, ქურთისტანისათვის გარკვეულ პროპორციებში უნდა გამოეყოთ უცხოეთიდან მიღებული სესხები და დახმარება, თამბაქოს წლიურ შემოსავლის, ტყისა და საზაფხულო აგარაკებიდან მიღებული შემოსავლის ხარჯზე. ქურთისტანს მონაწილეობა უნდა მიეღო ერაყის იმ პროექტებსა და საწარმოებში, რომელთა განხორციელება და მშენებლობა არაბებისა და ქურთების საერთო ინტერესებს შეადგენდა.

ავტონომიური ქურთისტანის შემადგენლობაში უნდა შესულიყო შემდეგი პროვინციები (ლიევები): სულიმანიე, ერბილი, კირკუკი და გარდა ამისა, მოსულისა და დიალის ლიევებში ქურთთა უმრავლესობით დასახლებული რაიონები და თემები (180, გვ. 27—28).

თანახმად წარდგენილი მემორანდუმისა ერაყის ვიცე პრეზიდენტის და ერაყის არმიის შტაბის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე უნდა ყოფილიყვნენ ქურთები და მათ უნდა ჰქონოდათ სრული უფლებანი. ერაყის მომავალ კონსტიტუციას უნდა უზრუნველყო ქურთისტანის ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა (თურქები, ასურელები, ქალდეელები, სომხები) სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები, მათი დემოკრატიული და სარწმუნოებრივი თავისებურებანი. ისინი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყვნენ ქურთისტანის ავტონომიურ პარლამენტსა და მთავრობაში მათი რაოდენობის შესაბამისად.

ერაყის არმიას უნდა შეენარჩუნებინა თავისი სახელწოდება, მაგრამ ქურთი წვევამდევლები დარჩებოდნენ თავიანთ საკუთარ ნაწილებში და სამხედრო ვალდებულებას მოიხდიდნენ ქურთისტანის ტერიტორიაზე.

ცენტრალური მთავრობა დამატებით ჯარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში გააგზავნიდა, თუ ადგილი ექნებოდა უცხოურ აგრესიას, ანდა აგრესიის მუქარას. ჩვეულებრივ დროს კი ჯარების გადაადგილება ქურთისტანის ტერიტორიაზე უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ ადგილობრივი პარლამენტის და მთავრობის თანხმობით. თუ ერაყის არმიას არ ექნებოდა მათი თანხმობა, მაშინ არ შეიძლებოდა დამსჯელი ექსპედიციების ჩატარება ქურთისტანში.

თუ შეიცვლებოდა ერაყის სახელმწიფო დროშა, მისთვის უნდა დაემატებინათ ქურთული ემბლემა. ასევე თუ შეიცვლებოდა მოქალაქე-

ობა (არაბული თუ გახდებოდა) პასპორტებსა და პირადობის მოწმობებში უნდა დამატებოდა სიტყვა „ქურდისტანი“.

მემორანდუმში შემდეგ ნათქვამი იყო, რომ ქურთი ხალხის ეროვნული, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური და დემოკრატიული უფლებების ყოველი შეზღუდვა ეფექტური არ იქნებოდა და მას ძალა არ ექნებოდა. ერაყის მთავრობაში ერთ-ერთი ქურთი მინისტრისათვის უნდა დაევალებინათ შეექმნა ქურთისტანის დროებითი აღმასრულებელი საბჭო, რომელიც დროებითი მთავრობის ფუნქციებს შეასრულებდა.

ქურთების 24 აპრილის მემორანდუმში აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ ეს მოთხოვნები წარმოადგენდნენ ერაყის მთავრობასთან მოლაპარაკების დაწყების საფუძველს და ამიტომ იგი უნდა განისაზღვროს ორმხრივი შეთანხმებებით (180, გვ. 29).

ბაასის მთავრობა პასუხს სულ უფრო აყოვნებდა. კაიროს კონფერენციის შემდეგ ერაყის მმართველ წრეებში ფარულმა ბრძოლამ იფეთქა. გუშინდელი მოკავშირეები — იუნიონისტა პარტია და ბაასი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ბაასის წარმომადგენლებს არ უნდოდათ, რომ მომავალ ფედერაციაში იუნიონისტებს წამყვანი ადგილი დაეჭირათ. მათ ბრალი დასდეს იუნიონისტებს მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულების მოწყობაში და 1963 წ. მაისის ბოლოს თავიანთი პოლიტიკური მეტოქეები ქვეყნის მმართველობას ჩამოაშორეს. ამასთან ერთად დაპატიმრებულ იქნა ერაყში მოქმედი პარტიების მათ შორის „დამოუკიდებლობის პარტიის“, „არაბული ნაციონალისტური მოძრაობის“, „ნაციონალისტური კავშირის“, „არაბული სოციალისტური კავშირის“ და იუნიონისტების მომხრე სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი. მათმა მეორე ნაწილმა კი საზღვარგარეთ გაქცევა მოახერხა²⁹. პრონასერულ ელემენტებისაგან მთავრობის გაწმენდის შემდეგ ბაასის ლიდერებმა გადაწყვიტეს დაეწყოთ ომი ქურთების წინააღმდეგ.

ბადადში მყოფი ქურთების დელეგაცია ამოდ ცდილობდა ბაასის ხელმძღვანელებთან კონტაქტების დამყარებას. ბაასის მესვეურებს აღარა სურდათ მოლა მუსტაფა ბარზანთან ლაპარაკი. ინგლისური გაზეთის „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტთან საუბარში ქურთთა დელეგაციის მეთაურმა იუსუფმა განაცხადა, რომ ქურთებს მშვიდობიანი მოწესრიგება უნდათ, ხოლო თუ ბრძოლები მიიწვიან განახლდება, მაშინ პასუხს პირველი გასროლისათვის ქურთები აღარ აგებენ. ყველასათვის ნათელი შეიქნა, რომ მოლაპარაკება ქურთებ-

²⁹ ერთდროულად გატარდა კადრების წმენდა, რამდენიმე ასეული ოფიცერი არმიიდან დაითხოვეს, ზოგიერთი მათგანი კი დაპატიმრეს.

თან ბაასმა იმიტომ წამოიწყო, რომ დრო მოეგო, თავი მოეყარა თავისი ჯარის ნაწილებსათვის და მოულოდნელი დარტყმა მიეყენებინა აჯანყებულებისათვის. ამრიგად ბაასელმა ხელმძღვანელებმა თავიანთი მმართველობა კომუნისტების დევნით დაიწყეს და ახლა ქურთთა მოძრაობის ჩახშობას აპირებდნენ.

10 ივნისს ბაასის მთავრობამ გენერალ ბარზანს გაუგზავნა ულტიმატუმი, რომელშიც მოითხოვდა აჯანყებული ქურთების დანებებას 24 საათის განმავლობაში, „ისინი, ვინც არ მოისურვებენ დაუყოვნებლივ ჩაბარებას და უარს იტყვიან მასზე — ნათქვამი იყო მთავრობის ამ ულტიმატუმში — თავის თავზე გამოცდიან მათ მიერ დაკავებულ პოზიციის შედეგებს“ (30, გვ. 25). როგორც მოსალოდნელი იყო ქურთების გამათავისუფლებელი არმიის სარდლობამ ეს ულტიმატუმი უარყო, ხოლო საზღვარგარეთ არსებულმა „ქურთის ხალხის უფლებათა დაცვის კომიტეტმა“, რომელიც აღქურვილი იყო უფლებით გამოსულიყო გენერალ ბარზანის სახელით და დაეცვა ქურთების გამათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესები საზღვარგარეთ, იმავე დღეს გამოაქვეყნა თავისი კომუნიკე, რომლითაც ამცნო საზღვარგარეთის პრესისა და სააგენტოების წარმომადგენლებს ქურთისტანში საომარი მოქმედების განახლების შესახებ. ამავე კომუნიკეში ხაზგასმული იყო, რომ ომის დაწყებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ბაასს. რაც შეეხება ბადადში მყოფ ქურთების დელეგაციას, მისი წევრები მუხანათურად დააპატიმრეს.

ქვეყანაში დემოკრატიული ძალების დართუნვისა და ქურთების წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყების პროტესტის ნიშნად მთავრობის ოთხი მინისტრი გადადგა³⁰.

საომარი მოქმედების განახლება

1963 წლის ზაფხულის დასაწყისში ბაასის მთავრობამ გააჩაღა გამანადგურებელი ომი ქურთების წინააღმდეგ. ერაყის „ჩრდილოეთის“ სამხედრო გუბერნატორი თავის დეკლარაციაში უმკაცრესი ზომებით ემუქრებოდა ერაყის ქურთისტანის ყველა იმ მცხოვრებს, რომელიც დახმარებას აღმოუჩენდა „მეამბოხეებს“, როგორც უწოდებდნენ ერაყის ოფიციალური პირები დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქურთებს (30, გვ. 25).|

ბაასის მთავრობამ ივნისში, უკვე ომის მსვლელობის დროს, გამოაქვეყნა ქურთთა საკითხის მოწესრიგების თავისი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მთელი ერაყის 6 პროვინციად დაყოფას. ამ ექვსიდან

³⁰ მათგან ორი ქურთი იყო. ერთი მათგანი — ბაბა ალი შემდეგში გაანთავისუფლეს, ხოლო მეორე — ფუად არეფი შინაპატიმრობაში აიყვანეს.

ქურთების პროვინცია მხოლოდ ერთი იქნებოდა. ამასთან ქურთების ამ ერთადერთ პროვინციაში უნდა შესულიყო ქურთებით დასახლებული ტერიტორიის მხოლოდ ნახევარი, კერძოდ ქ. სულიმანიე და მის გარშემო მდებარე სოფლები. რაც შეეხება კირკუქს, ხანეყინს და აგრეთვე ერბილის მდიდარ და ნაყოფიერ ველებს, ისინი ამ პროვინციის საზღვრებს გარეთ მოაქციეს. ქურთებს მხოლოდ იმის უფლებას აძლევდნენ, რომ ესწავლათ მშობლიურ ენაზე. ქურთთა პრობლემის მოწესრიგების ასეთი გეგმა, რა თქმა უნდა, ქურთებისათვის მიუღებელი იყო. ფაქტიურად ეს გეგმა მთავრობამ გამოაქვეყნა აგრესიის დაწყების დღეს (180, გვ. 29). ქურთებს მასზე პასუხის გასაცემად მოფიქრების საშუალება კი არ მისცეს.

ეს გეგმა „ჭუმანიური“ იყო შედარებით, იმ ფარულ კაცთმოძულე გეგმასთან, რომელიც მიზნად ისახავდა ქურთული მოსახლეობის მიმართ გენოციდის პოლიტიკის გატარებას.

დასავლეთის იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირეს ერაყის მმართველი წრეების რეაქციულ პოლიტიკას ქურთების მიმართ. სწორედ მათი ინიციატივით სენტოს აგრესიულ ბლოკში შემაჯავალი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა პაკისტანის დედაქალაქ ყარაჩში მოწვეულ სესიაზე სხვა საკითხებს შორის ქურთთა საკითხიც განიხილეს. ყარაჩის სესიის მონაწილე სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს დახმარებოდნენ ერაყის მთავრობას ქურთთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში³¹.

გარდა ამისა ერაყის ბაასის მთავრობას ქურთების წინააღმდეგ ომის მომზადებაში დიდად დაეხმარნენ ინგლისის, აშშ და გფრ მთავრობები³², რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ გაეღვივებინათ ძმათა მკვლეელი ომი ერაყში. ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი მონოპოლისტები, რომელთა ხელშიც თავმოყრილი იყო „ირაკ პეტროლეუმ კომპანი“-ს აქციები, დაინტერესებული იყვნენ თავიანთი ეკო-

³¹ ამ სესიის გადაწყვეტილების შესრულება, როგორც ჩანს, პირველ რიგში ერაყის ორ მოსაზღვრე სახელმწიფოს — ირანსა და თურქეთს დაეკისრა, სადაც შესაბამისად დაახლოებით 3,5 და 5,5 მილ. ქურთი ცხოვრობდა. არც პაკისტანი დარჩა გულგრილი ერაყში მომხდარი პოლიტიკური მოვლენებისადმი. ზოგიერთი ცნობით იგი ფარულად იარაღს აწვდიდა ბაასის მთავრობას.

³² ინგლისის მთავრობამ იარაღი და თვითმფრინავები მიაწოდა ბაასის მთავრობას. ინგლისის მთავრობის ზეგავლენით კუვეიტმა ერაყს სესხად მისცა 30 მლნ გირვანქა სტერლინგი, ხოლო 28 აგვისტოს აშშ ბაასის მთავრობას მიაწოდეს 7 მილიონამდე დოლარი და იარაღი. გფრ—სესხი 15 მილიონ გირვანქა სტერლინგს აღწევდა. საფრანგეთიც კი, რომლის საზოგადოებრივი აზრი ავტონომიისათვის მებრძოლი ქურთებისადმი ეთილად იყო განწყობილი, ცდილობდა დაებრუნებინა თავისი დაკარგული პოზიციები ახლო აღმოსავლეთში ბაასის რეჟიმის მორალური და ეკონომიკური მხარდაჭერის მეშვეობით.

წომიკური პოზიციების შენარჩუნებით ერაყში. ამიტომაც ინგლის-ერაყის ნავთობის კომპანიის მესვეურები გადატრიალების პირველ დღეებიდან კეთილად იყვნენ განწყობილი ბაასის პარტიისადმი, რომელმაც ბოლო მოუღო ყასემის რეჟიმს³³.

ამრიგად, ჯერ კიდევ მაშინ ნათელი იყო, რომ ბაასის მემარჯვენე ფრთის ხელმძღვანელთა განცხადება „ეროვნული ერთიანობის, დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების“ ერთგულების შესახებ დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა და მიზნად ისახავდა ერაყის საზოგადოებრივი აზრის მოტყუებას.

ქურთების წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყების წინ ერაყის ბაასის ლიდერებმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს სირიის ბაასის ლიდერებთან. იენისის დასაწყისში ბაასის პარტიის ლიდერი და „თეორეტიკოსი“ მიშელ აფლიაკი ჩამოვიდა ბაღდადში. მან მხარდაჭერა აღუთქვა ერაყის მთავრობას ქურთთა საკითხის გადაჭრაში. როგორც ჩანს ამანაც გაათამამა ერაყის ბაასის ხელმძღვანელები.

ქურთების წინააღმდეგ დაწყებული საომარი მოქმედება ვითარდებოდა სამი მიმართულებით: 1. ხანყენისა და სულეიმანიის მთიან რაიონებში. 2. კირკუკ-რევანდუზის გზის დასავლეთით და აღმოსავლეთით და 3. ქ. მოსულის ჩრდილოეთით თურქეთის საზღვრის მიმართულებით. სამხედრო ოპერაციებში მთავრობა იყენებდა მოტომექანიზებულ, ქვეით, „ეროვნული გვარდიისა“ და ყანდარმების მობილურ ნაწილებს (81, გვ. 51—52). ერაყის ქურთისტანის დასავლეთ საზღვრებთან მთავრობის ჯარებს გარკვეულ დახმარებას უწევდნენ მოლაღატე ქურთი ფეოდალ-შეიხები.

ერაყის პრეზიდენტი მარშალი აბდალ სალამ არეფი პირადად უწევდა კონტროლს მთავრობის ჯარების სამხედრო მოქმედებას. ერაყის სარდლობამ პირველივე შეტევის დროს გამოიყენა თვითმფრინავები, ტანკები³⁴, და მძიმე არტილერია (180, გვ. 31—32). ომის დაწყების დღეებში ერაყის არაბულ განეთებში ბევრს წერდნენ მთავრობის ჯარების წარმატებათა შესახებ, მაგრამ უკვე რამდენიმე კვირის შემდეგ პრესაში ატეხილი ხმაური თანდათან მიწყნარდა, ხოლო გენერალური შტაბი იძულებული იყო ელიარებინა, რომ ქურთები სულ უფრო გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ დამსჯელ ჯარებს. მთავრობის ჯარები დაბლობ რაიონებში სჯობნიდნენ ქურთების განმათავისუფლებელ

³³ ერაყის ბაასის მთავრობამ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე განაცხადა, რომ „ირაკ პეტროლეუმ კომპანის“ არავითარი ზარალი არ მოულის და რომ იგი გადასინჯავს საკითხს ყასემის მთავრობის მიერ ჩამორთმეული კონცესიების შესახებ.

³⁴ ამ დროისათვის ინგლისმა ერაყს მიყიდა „სარაყინ“-ის ტიპის ჯავშნიანი მანქანები და „პანტერი“-ს ტიპის ავიაგამანადგურებლები (იხ. 193, 19. 6. 1963).

არმიას, ხოლო მთიან მიდამოებში ქურთების უპირატესობა აშკარა იყო. მალე ქურთებმა ძალები მოიკრიფეს და გადავიდნენ კონტრშეტევაზე, მათ დაიკავეს კირკუჯის, მოსულისა და დიალის პროვინციების დიდი ნაწილი.

ქურთების ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურმა მუსტაფა ბარზანმა ქურთი მოსახლეობისადმი მიმართვაში აღნიშნა: „ჩვენ აგრესორები არა ვართ, რადგან ჩვენი ბრძოლა ნამდვილად თავდაცვითი ხასიათისაა, ჩვენ ვიბრძობებთ მანამდის, სანამ ერაყის მთავრობა არ გააუქმებს ეკონომიკურ და სამხედრო ბლოკადას და არ დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ“ (186, გვ. 56).¹

ამასობაში სამხედრო ავიაცია ბომბავდა ქურთების სოფლებს და უმწეო მშვიდობიან მოსახლეობას. იმისათვის, რომ გაემართლებინათ თავიანთი ეს ბოროტება და შეცდომაში შეეყვანათ საზოგადოებრივი აზრი, ბაასის ექსტრემისტები ამტკიცებდნენ, ქურთები ერაყის სახელმწიფოს მთლიანობას ხელყოფენო, სეპარატისტულ მიზნებს ისახევენო. რა თქმა უნდა ყოველივე ეს აშკარა მონაჭორი იყო, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, თავიანთი ეროვნული ინტერესების დასაცავად რომ იბრძოდნენ, ქურთი პატრიოტები ამავე დროს ხაზს უსვამდნენ იმას, რომ მათ სურთ მშვიდობიანად იცხოვრონ ერაყის რესპუბლიკის ფარგლებში.

როგორც თვით ერაყში, ისე სხვა არაბულ ქვეყნებში, დემოკრატიული წრეები მხარს უჭერდნენ ქურთების სამართლიან მოთხოვნებს.

ა 29 ივნისს საზღვარგარეთ გამოქვეყნდა არაბ-ქურთთა ერთობლივი დეკლარაცია, რომელსაც ხელს აწერდნენ არაბული დემოკრატიული ძალების სახელით მუჰამედ მაჰდი ალ-ჯავაჰირი³⁵, ხოლო ქურთების მხრიდან ჯელალ ატ-ტალაბანი და ისმეთ შერიფ ვანლი³⁶. დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ ქურთთა მოძრაობას და ერაყის არაბულ დემოკრატიულ ძალებს საერთო შეხედულებები აქვთ ერაყში არსებულ მდგომარეობაზე. დეკლარაციაში ხაზგასმული იყო, რომ ქურთები მისწრაფოდნენ ავტონომიისაკენ ერაყის რესპუბლიკის ფარგლებში, რომ საჭირო იყო ქურთების და არაბების გაერთიანებული ბრძოლა ბაასის ტერორისტული რეჟიმის წინააღმდეგ. დეკლარაციაში არაბული დემოკრატიული წრეების წარმომადგენლებმა სცნეს ბრძოლის კანონ-

³⁵ მუჰამედ მაჰდი ალ-ჯავაჰირი დემოკრატიული აზრების მქონე თანამედროვე ერაყელი პოეტი იყო.

³⁶ ისმეთ შერიფ ვანლი „ქურთი ხალხის უფლებათა დაცვის კომიტეტის“ გენერალური მდივანი იყო.

ნიერი ხასიათი. ხოლო ქურთების წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ ქურთების რევოლუციური მოძრაობა დაკავშირებულია ერაყის ყველა პარტიისა და ორგანიზაციის მიერ ერაყში პარლამენტური და დემოკრატიული რეჟიმის დამყარებისათვის წარმოებულ ბრძოლასთან (196, 15. 8. 1963; 180, გვ. 36).

4 ივლისს ფრანგ ჟურნალისტთან საუბარში აგრ პრეზიდენტმა გამალ აბდ ან-ნასერმა აღიარა ის ფაქტი, რომ ქურთების მოძრაობა ერაყში გამოიშველი მოძრაობა არაა. რაკი ერაყის მთავრობამ თავიდანვე სცნო ქურთი ერის არსებობა ქვეყანაში, მას უნდა შეესწავლა ამ საკითხის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების ყველა საშუალება. ნასერმა გაკვირვება გამოთქვა ერაყში ქურთების წინააღმდეგ საომარი მოქმედების განახლების გამო (196, 5, 7, 1963; 180, გვ. 36).

მთავრობის ჯარების ძირითადი „წარმატებანი“ გამოიხატებოდა მშვიდობიან მოსახლეობასთან ანგარიშის გასწორებაში. ამ დროისათვის ერაყის ქალაქებში ცხოვრობდა რამდენიმე ასეული ათასი ქურთი. ხელისუფლებამ დაიწყო მათ წინააღმდეგ რეპრესიული ზომების მიღება, მათი დევნა. რაკი ქურთების გამათავისუფლებელ არმიას ვერაფერი დააკლო, მთავრობის ჯარებმა ხელი მიყვეს ქალაქისა და სოფლის მშვიდობიანი მცხოვრებლების დაპატიმრებას, აგზავნიდნენ მათ საკონცენტრაციო ბანაკებში, საპატიმროებსა და დილეგებში. ერაყის ხელისუფლება მათ განიხილავდა როგორც მძევლებს და იმუქრებოდა მათი მოსპობით, თუკი ქურთები თავს დაესხმოდნენ ამ ბანაკებსა და საპატიმროებს.

ქურთების სამხედრო ტაქტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ მაქსიმალურად გაეფანტათ და დაექსაქსათ მთავრობის შეიარაღებული ძალები. ისინი უფრო პარტიზანული მეთოდებით მოქმედებდნენ და თავს არიდებდნენ მსხვილ სამხედრო შენაერთებთან ბრძოლას. კომუნიკაციების გადაჭრით ისინი ოსტატურად ანცალკევებდნენ ერთმანეთისაგან ერაყის არმიის სხვადასხვა ნაწილებს³⁷.

ომი ქურთების წინააღმდეგ მეტდ არაპოპულარული ხდებოდა. უკვე ივლისის დასაწყისში ბაღდადის მახლობლად მდებარე სამხედრო ბანაკში „რამიდში“ დაიწყო სერიოზული მღელვარებანი. მღელვარების მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ აქ განლაგებული ჯარების ერთ

³⁷ ივლისის პირველ რიცხვებში პარიზში ქურთი ხალხის უფლებათა დაცვის კომიტეტმა გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნაქვამი იყო, რომ მარტო იენისის მეორე ნახევარში წარმოებული ბრძოლების შედეგად ბარზანელებმა მოკლეს და დაჭრეს მთავრობის 1340 ჯარისკაცი, ხოლო ტყვედ იგდეს 700 კაცი. გარდა ამისა, აჯანყებულებმა ჩამოაგდეს 20 თვითმფრინავი, ხელთ იგდეს 1.000 შაშხანი და 20 ჭაუშნანი მანქანა. ქურთების დანაკარგი გაცილებით უფრო მცირე იყო: 1342 მოკლული და 237 დაჭრილი.

ნაწილს უბრძანეს ჩრდილოეთ ერაყში წასვლა ქურთების წინააღმდეგ ომში მონაწილეობისათვის. ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს ბრძანების შესრულებაზე. „რაშიდ“-ის ბანაკში პოლიტიკურ პატიმართა ციხეც არსებობდა. მეამბოხე ჯარისკაცებმა განაიარაღეს ბაასის „ეროვნული გვარდიის“ ნაწილები და გაანთავისუფლეს ის პოლიტიკური პატიმრები, რომლებიც აქ იტანჯებოდნენ 1963 წ. 8 თებერვლის გადატრიალების შემდეგ.

ამ ამბებმა დიდად შეაშფოთა მთავრობის წრეები და აქ საჩქაროდ გადმოისროლეს ბაღდადის გარშემო განლაგებული სატანკო ნაწილები. დამსჯელებმა არ დაინდეს ამბოხების მონაწილენი. ტანკებმა ცეცხლი გახსნეს მათ წინააღმდეგ. ამბოხება საბოლოოდ ჩაახშეს. ეს ამბები ბაასის ხელმძღვანელობამ გამოიყენა აქაურ საპატიმროში მყოფ პოლიტიკურ პატიმრებთან ფიზიკური გასწორებისათვის.

მიუხედავად ამისა, ბაღდადის ქუჩების კედლებზე სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა ფურცლები, რომლებიც მოუწოდებდნენ ქურთისტანის ომის შეწყვეტისაკენ, არაბებისა და ქურთების ერთობლივი ბრძოლისაკენ. ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ერაყელი ხალხი, მიუხედავად ქვეყანაში გაბატონებული ტერორისა, ცდილობდა ხმა აღემადლა ქურთისტანში დაწყებული უსამართლო ომის წინააღმდეგ.

ქურთების წინააღმდეგ წარმოებული ომი მეტად არაპოპულარული იყო ფრონტზე მყოფი ჯარის ნაწილებშიც. მათ შორის სულ უფრო ძლიერდებოდა მღელვარება, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ჯარისკაცებს არა სურდათ ეომათ. ადგილი ჰქონდა დეზერტირობასა და ბარზანის პარტიზანული რაზმების მხარეზე გადასვლის შემთხვევებს. მაგალითად, ქოისანჯაყის ჩრდილოეთით მდებარე რაიონის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედების დროს მთავრობის ჯარისკაცთა მთელმა ქვეგანაყოფმა უარი განაცხადა გადასულიყო შეტევაზე. ვერაფერი გააწყვეს ბასისტური მთავრობის „კომისრებმაც“, რომლებსაც დაკისრებული ჰქონდათ ფრონტის ხაზზე წესრიგის დაცვა. ოფიცრებმა სცადეს ქვეითი მსროლელი ჯარისკაცები მუქარით გადაეყვანათ შეტევაზე, მაგრამ ჯარისკაცებმა განაიარაღეს ისინი და გადავიდნენ მოწინააღმდეგის მხარეზე. მათ თან წაიღეს იარაღი და საბრძოლო მასალა. ანალოგიური შემთხვევები მოხდა ჯარის სხვა ნაწილებშიც.

ერაყელი პატრიოტების წამებამ, მშვიდობიანი ქურთი მოსახლეობის მოსპობამ, გადაბუგული მიწის ტაქტიკამ, რასაც ერაყის მთავრობის ჯარები მიმართავდნენ ქურთთა სოფლების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის ხალხთა გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია. „ასეთი პოლიტიკა და ასეთი მოქმედება, — ნათქვამი. იყო საკდესის განცხადებაში, — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეშით გათვლავა, ამავე დროს ეს ლახვარს სცემს ერაყის სახელმწიფოს დამო-

უკიდებლობას, საშუალებას უქმნის იმპერიალისტურ ძალებს კოლონიური ჩაგვრის უღელი დაადგან ერაყს“ (186, გვ. 57).

„ყველა არაბმა უნდა დაგმოს ერაყის მმართველთა მოქმედება, რომლებმაც ქურთთა საკითხის გადასაწყვეტად ძალა გამოიყენეს“ — განაცხადა ლიბანის ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა ანტუან ტაბეტმა. მეორე ცნობილმა არაბმა საზოგადო მოღვაწემ და მწერალმა ქათიბ იასინმა პრესაში ღია წერილი გამოაქვეყნა. ამ წერილში ნათქვამი იყო: „მე მივმართავ ჩემს ალჟირელ ძმებს არაბ ხალხებს, მთელ მსოფლიოს მოწოდებით: დეე, დედამიწის თავისუფლების მოყვარე ადამიანებმა ყველგან თავიანთი ხმა აღიმალღონ ერაყში არსებული ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ, დეე, შეწყდეს მასობრივი ხოცვა-ჟლეტვა, დეე, ქურთისტანმა მიიღოს ავტონომია“.

ქურთისტანში ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ხმა აღიმალღეს არა მარტო სოციალისტურმა ქვეყნებმა და კომუნისტურმა პარტიებმა, არამედ მაროკოს, კამბოჯის, განისა და საფრანგეთის საზოგადოებრიობამაც./

ერაყის მთავრობა მტრულ დამოკიდებულებას იჩენდა ყველა იმ ქვეყნისადმი, რომელიც გმობდა ქურთების დევნის პოლიტიკას. მან დიპლომატიური კავშირი გაწყვიტა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასთან იმის გამო, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ 1963 წ. 2 ივლისს გადაწყვიტა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მომავალ XVIII სესიაზე განსახილველად შეეტანა საკითხი ქურთების მიმართ „გენოციდის პოლიტიკის“ შესახებ (180, გვ. 36)./

9 ივლისს საბჭოთა კავშირის მთავრობამ თურქეთის, ირანის, სირიის მთავრობებს გადასცა განცხადება, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ მას მოეპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ ზოგიერთი სახელმწიფო დაადგა ერაყის ქურთისტანის ამბებში ჩარევის გზას და საომარი ხასიათის ღონისძიებებსაც ანხორციელებს. ჩვენმა მთავრობამ გააფრთხილა აღნიშნული სახელმწიფოების მმართველი წრეები, რომ ასეთი პოლიტიკა გარკვეულ საფრთხეს უქმნის ახლო და შუაღმოსავლეთის რაიონში მშვიდობის შენარჩუნებას.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა არკადიევმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სესიაზე შეიტანა წინადადება გადაჭრით დაეგმოთ ერაყის მთავრობის მოქმედება ქვეყანაში — ქურთი ხალხის გაჟლეტის პოლიტიკა. მაგრამ დასავლეთის იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა, პირველ რიგში ამერი-

კის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა ჩაშალეს ამ წინადადების მიღება³⁸.

რატომ მხარი არ დაუჭირეს დასავლეთის სახელმწიფოებმა ქურთების სამართლიან მოთხოვნებს? იმიტომ, რომ დასავლეთის ქვეყნებს ეშინოდათ არ გაეუარესებინათ ურთიერთობა თურქეთთან და ირანთან. ვაშინგტონს, ლონდონსა და პარიზს რომ მხარი დაეჭირათ ბარზანის მომხრეებისათვის, ეს აიძულებდა ანკარასა და თეირანს გაეწყვიტათ ურთიერთობა დასავლეთის სახელმწიფოებთან. ამრიგად, დასავლეთის სახელმწიფოებმა გააკეთეს არჩევანი თავიანთ იმპერიალისტურ მიზნებსა და ქურთი ხალხის უფლებებს შორის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აშშ საგარეო პოლიტიკის მესვეურებმა უარი უთხრეს ვიზაზე ჯელალ ატ-ტალაბანის³⁹, რომელიც აპირებდა გამოსვლას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ქურთების ინტერესების დასაცავად⁴⁰.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უტანის სახელზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ლიგის თავმჯდომარემ როჯერ ბალდვინმა გაგზავნა საპროტესტო წერილი ბაასის მთავრობის მიერ ქურთების მიმართ გენოციდის პოლიტიკის გატარების გამო და მოითხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარევა ქურთთა საკითხის შესასწავლად.

1963 წ. შემოდგომისათვის ბაასის მთავრობას ისე გაუჭირდა, რომ ჯარში 1939, 1940 და 1941 წწ. დაბადებულთა გაწვევა დაიწყო⁴¹. მაგრამ ვერც ამან უშველა და დახმარებისათვის მიმართა სირიის ბაასის მთავრობას (180, გვ. 45—46; 239, 21. 10. 1963).

სწორედ ამ დროისათვის სირიისა და ერაყის ბაასისტებმა განიზრახეს ბაასის პარტიის დროშის ქვეშ შეექმნათ ერაყ-სირიის კავშირი, რომელსაც შემდეგ იორდანია და ლიბანი უნდა შეერთებოდნენ. ამ

³⁸ კენკისყრის დროს საბჭოთა დელეგატს მხარი დაუჭირა მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა. წინააღმდეგ გამოვიდნენ აშშ, ინგლისის, საფრანგეთის, ინდოეთის, იორდანისა და ეთიოპიის წარმომადგენლები. რაც შეეხება იუგოსლავიის დელეგატს, მან თავი შეიკავა.

³⁹ უფრო გვიან ტალაბანის ებრძანა დაბრუნებულიყო ქურთისტანში. ქურთების უმალესმა სამხედრო სარდლობამ გადაწყვიტა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სხვა ოფიციალური დელეგაცია გაეგზავნა.

⁴⁰ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მესვეურებთან ცალკე დაკავშირებას ცდილობდა ცნობილი ქურთი საზოგადო მოღვაწე ამირა კ. ბადრ-ხანი, რომელიც იმ ხანად პარიზში არსებული „ქურთულ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ დირექტორი იყო. პროფესორი კ. ბადრ-ხანი ერთდროულად ასწავლიდა ქურთულ ენას პარიზის აღმოსავლური ენების ეროვნულ სკოლაში.

⁴¹ ახლად გაწვეულთა უმრავლესობა ემალეობდა სამხედრო ხელისუფალთ, ანდა გაქცევით შეელოდა თავს.

გეგმის განხორციელება დაიწყო ოქტომბერში. 8 ოქტომბერს სირი-
ასა და ერაყს შორის საშხედრო კავშირი დაიდო⁴². სირია-ერაყის ფე-
დერაცია წარმოდგენილ იქნა როგორც „შემობრუნების პუნქტი არა-
ბების მიერ ერთიანობისა და სოციალიზმისათვის წარმოებულ ბრძო-
ლაში“. ბევრს სჯეროდა, რომ ეს საშხედრო კავშირი მოწოდებული
იყო განემტკიცებინა არაბების პოზიციები ისრაელის ჩრდ. საზღვრებ-
თან, მაგრამ სირიის არმიის ნაწილები დაიძრნენ არა ისრაელის საზ-
ღვრებისაკენ, არამედ ერაყის ქურთისტანისაკენ.

სირიისა და ერაყის ბაასის მთავრობათა გადაწყვეტილება, შეექმ-
ნათ არაბული ქვეყნების კავშირი, პროგრესულმა საზოგადოებრიობამ
შეაფასა როგორც იმის ცდა, რომ აღედგინათ „მადლიანი ნახევარ-
მთვარის“ ქვეყნების ფედერაციის შექმნის ინგლისური გეგმა. „სირი-
ელი ხალხი, — ნათქვამი იყო სირიის კომპარტიის ცვ განცხადებაში —
აღსავსეა გადაწყვეტილებით წინააღმდეგობა გაუწიოს თავისი სამ-
შობლოს მოხრჩობას, მის გათქვეფას „მადლიანი ნახევარმთვარის“
დაგეგმილ კავშირში, რომლის უკან დგას საადის შავი ფაშიზმი და
ჯუნგლების კანონი“ (191, № 10, 1963, გვ. 63). კომუნისტები აფრთხი-
ლებდნენ ერაყისა და სირიის ხალხებს, რომ ახალი კავშირის განხორციე-
ლება თავისუფლებას კი არ მოუტანდა მათ, არამედ ხელს შეუწყობდა
ინგლისური და ამერიკული მონოპოლიების გაბატონებას მათ ქვე-
ყანაში.

ერაყელი ქურთების წინააღმდეგ სირიის ჯარების სამხარი მოქმე-
დების შესახებ ოფიციალურად არაფერი არ იყო ნათქვამი, მაგრამ 21
ოქტომბერს მარშალმა არეფმა განაცხადა, რომ იგი ეწვია სირიის ჯა-
რებს, რომლებიც მოქმედებდნენ ქურთების წინააღმდეგ ზახოს რაი-
ონში თურქეთის საზღვართან.

28 ოქტომბერს სირიის დამსჯელი დივიზიის მეთაურმა — პოლ-
კოვნიკმა აშ-შაერმა⁴³ მოსულში განაცხადა, რომ სირიის ჯარის ნაწი-
ლებმა ერაყის ჯარებთან ერთად ქურთი მემამოხეებისაგან გაანთავი-
სუფლეს ფაიშ-ხაბურის და ბიქხარის მიდამოები ერაყის ჩრდილოეთში
(180, გვ. 46).

სირიის ჯარების მონაწილეობამ ქურთების წინააღმდეგ ომში შვე-
ბა ვერ მოუტანა ერაყის მთავრობას, ქურთები მაინც ვერ დაამარცხეს.
მოხდა პირიქით, სირიელთა მოსვლამ ერაყის ჯარისკაცებში გარკვეუ-
ლი უკმაყოფილებაც კი გამოიწვია. ამ ფაქტმა ისინი კიდევ უფრო და-
არწმუნა საკუთარ უძღურებაში. აქამდე თუ ქურთისტანის ფრონტი-

⁴² ერაყის თავდაცვის მინისტრი სალაჰ მაჰდი აშაში დაინიშნა ორივე სახელმ-
წიფოს გავრთიანებული არმიის მთავარსარდალად.

⁴³ პოლკოვნიკი აშ-შაერი იყო „სირიის რევოლუციის ეროვნული საბჭოს“ წევ-
რი და ელ-იარმოუქში (ისრაელის საზღვართან) განლაგებული ჯარების სარდალი.

დან დაქრილი და დახოცილი ერაყელი ჯარისკაცებით დატვირთული მანქანები მოდიოდნენ⁴⁴, ახლა მათ დაქრილი და დახოცილი სირიელი ჯარისკაცები შეემატნენ. ბევრი სირიელი ამ უნაყოფო სამხედრო ექსპედიციის წინააღმდეგი იყო.

მოგვიანებით, სირიის საექსპედიციო დივიზია, რომელმაც მოკლულების, დაქრილების და ტყვეთა სახით რამდენიმე ასეული ჯარისკაცი და დიდძალი იარაღი დაკარგა, გამოყვანილ იქნა ერაყიდან (240, № 473, 1. 1964), მაგრამ გაქვიანებულ ომს ქურთისტანში ბოლო მაინც ვერ მოელო. /

მთავრობის ჯარების მიერ განხორციელებულმა „გადაბუგული მიწის ტაქტიკამ“ ხორბლეული კულტურების ნათესების მკვეთრი შემცირება გამოიწვია, რამაც ერაყში სასურსათო პრობლემა კიდევ უფრო გაართულა (ერაყის მთელი ხორბლეული მოსავლის 60% ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებზე მოდიოდა). 1963 წ. ხორბლის მოსავალი 1962 წ. მოსავლის 50% ძლივს შეადგენდა. მაგრამ სახელმწიფოს ზარალს მარტო ეს როლი შეადგენდა. ქურთების წინააღმდეგ ამ უსამართლო ომის მსვლელობის დროს დაინგრა 500-ზე მეტი სოფელი და დასახლებული პუნქტი, მრავალი მშვიდობიანი მოსახლე მოკლულ იქნა⁴⁵, ხოლო 300 ათასი სახლ-კარის და საარსებო საშუალებათა გარეშე დარჩა⁴⁶. ომმა წარმოშვა სასურსათო სიძნელებებიც: გაიზარდა ფასები პურზე, ხორცზე, ჩაიზე და სხვა პირველ აუცილებელ პროდუქტებზე. იზრდებოდა აგრეთვე უმუშევრობაც. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ფაქტიურად შეჩერდა. ერაყის ეკონომიკური განვითარების ადრე მიღებული გეგმები თითქმის არ შესრულებულა. მაგალითად, იმ 80 მსხვილი სამრეწველო ობიექტებიდან, რომელიც უნდა აშენებულიყო 1963 წ., აშენდა მხოლოდ 8. ასევე შეიკვეცა სადრენაჟო სამუშაოები 1300 ათასიდან 200 ათას ჰექტარამდე. „შექმნილი“

⁴⁴ მეტისმეტად შემცირებული ოფიციალური ცნობებით მთავრობის ჯარებმა დაკარგეს 5 ათასი ჯარისკაცი.

⁴⁵ ერთ-ერთი ინგლისელი კორესპონდენტი, რომელმაც მოახერხა მონახულა ქურთებით დასახლებული რაიონები და თვენახევარი დაჰყო აქ, აღნიშნავდა, რომ 1961 წლიდან მოყოლებული აქ მოკლული იყო დაახლოებით 20 ათასი მშვიდობიანი მოსახლეობა, ძირითადად ბავშვები, ქალები და მოხუცები.

⁴⁶ დაახლოებით 100 ათასიდან 150 ათასამდე ქურთი მოსახლე ლტოლვილად იქცა ერაყის ცენტრალურ რაიონებში, ირანსა და თურქეთში. როგორც იტყობინებოდა ქვბ პოლიტიკური თავის მიმართვაში (ეს მიმართვა გამოქვეყნდა გაზეთ „ნაბათის“ სექტემბრის ნომერში), მარტო ქ. კირკუქში დაანგრიეს რამდენიმე კვარტალი, ხოლო იქ მცხოვრები 40 ათასი კაცი მხოლოდ იმიტომ, რომ ქურთები იყვნენ, ძალით გაფანტეს.

მდგომარეობით ისარგებლეს მემამულეებმა და დაიბრუნეს აგრარულ-რეფორმით ჩამორთმეული ის მიწები, რომელიც ყასემის მთავრობამ გლეხებს დაურიგა. ბაასის მთავრობამ გააუქმა სახელმწიფო მეურნეობები, ხოლო მათი ტექნიკა მემამულეებსა და ფეოდალებს გადასცა.

ბაასის მთავრობის რეაქციონულ საშინაო პოლიტიკას მოყვა იმპერიალისტურ ქვეყნებთან კონტაქტების გაძლიერება. ქურთისტანში სამხედრო აქციების განხორციელება დღეში 500 ათასი დინარი ჯდებოდა (128ბ, გვ. 202). ახალი ფინანსური სახსრების ძებნაში ერაყის მაშინდელი ხელმძღვანელობა დასავლეთის ქვეყნებთან სულ უფრო მჭიდრო კავშირს ამყარებდა: მათგან ერაყი იარაღსა და სესხებს იღებდა. ასე თანდათან აღადგინეს ურთიერთობა სენტოსთან. ერაყი სულ უფრო სცილდებოდა ნეიტრალიზმის კურსს.

ერთდროულად შესუსტდა საქმიანი და კულტურული ურთიერთობა სსრ კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. ერაყის მთავრობამ ნება დართო ადრე აკრძალულ 272 სამშენებლო, სავაჭრო და სხვა უცხოურ კომპანიებს განეახლებინათ თავიანთი საქმიანობა ქვეყანაში, რაც საშიშროებას უქმნიდა ერაყის რესპუბლიკის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ყოველივე ამან ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა.

ბაასის ხელმძღვანელთა მისწრაფებამ — განეხორციელებინათ „მადლიანი ნახევარმთვარის“ კავშირის გეგმა, შეექმნათ დასაყრდენი ქვეყანაში „ეროვნული გვარდიის“ დახმარებით, რომელიც დაუპირისპირდა არმიას — გამოიწვია არმიის მეთაურთა შემადგენლობის უკმაყოფილება. ამით ისარგებლა ერაყის ნაციონალურმა ბურჟუაზიამ, დაუკავშირდა მარშალ აბდალ სალამ არეფის დაჯგუფებას⁴⁷ და დაიწყო მზადება სახელმწიფო გადატრიალებისათვის.

ამასობაში განხეთქილება მოხდა თვით ბაასის ხელმძღვანელობაში. ხელისუფლებისათვის ბრძოლაში აქ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ორი ფრთის „ზომიერისა“ და „უკიდურესის“ ხელმძღვანელები⁴⁸. ბაასის სრულიად არაბული ხელმძღვანელობა იძულებული შეიქნა ჩარეულიყო საქმეში. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ორივე დაჯგუფებათა ლიდერები გაასახლეს ერაყიდან⁴⁹. ამან კი სრული დაბნეულობა შეიტანა ბაასის ხელმძღვანელობასა და მთავრობაში, რომელიც შედგენილი იყო ამ პარტიის წარმომადგენლებისაგან.

⁴⁷ არეფს ზურგს უმაგრებდნენ ბაასის პოლიტიკური მოწინააღმდეგენი — იუნიონისტები.

⁴⁸ „ზომიერების“ მეთაური საგარეო საქმეთა მინისტრი შაბიბი იყო, ხოლო „უკიდურესების“ ბელადი ვიცე პრემიერი საადი.

⁴⁹ მათ ქვეყანა დაატოვებინეს 12 და 14 ნოემბერს.

1. ხელისუფლება გადაეცა ბაასის პარტიის სრულიად არაბულ კომიტეტს, რომელშიც შევიდნენ ერაყის სირიის, ლიბანისა და იორდანის წარმომადგენლები⁵⁰. ეს ნაფთზე ცეცხლის დასხმას ნიშნავდა. სახელმწიფო გადატრიალებისათვის ფრიალ ხელსაყრელი მომენტი დადგა. ამით ისარგებლა არეფის დაჯგუფებამ და 18 ნოემბერს ხელისუფლების სათავეში მოექცა. იმავე დღეს გამოცხადდა, რომ აბდალ სალამ არეფის ხელმძღვანელობით რევოლუციური მეთაურობის ახალი ეროვნული საბჭო ჩამოყალიბდა. „ეროვნული გვარდიის“ ნაწილები რამდენიმე დღეში განაიარაღეს, ხოლო ბაასის პარტიას ერაყში პოლიტიკური საქმიანობა აუკრძალეს (238, 18. 11. 1963). არეფი, რომელიც ახალ საბჭოში გაცილებით უფრო დიდი ძალაუფლებით სარგებლობდა, ისევე პრეზიდენტის პოსტზე დარჩა. პრემიერ მინისტრი კი თაჰერ იაჰია გახდა.

1963 წ. 26 ნოემბერს ახალმა მთავრობამ თავისი ვრცელი პროგრამა გამოაქვეყნა. ერაყში იგი მიზნად ისახავდა „არაბული სოციალიზმის“ მშენებლობას, მოსახლეობას პირდებოდა თავისუფლებას, თანასწორობასა და უშიშროებას, ახალი კონსტიტუციის მიღებას, ეროვნული კრების მოწვევას, 1958 წ. 30 სექტემბრის აგრარული კანონის განხორციელებას, ეკონომიკის გეგმაზომიერ განვითარებას და ა. შ. ამასთან თაჰერ იაჰიას მთავრობამ უარი თქვა, პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობის ლეგალიზებაზე. მან წამოაყენა ერთპარტიული სისტემის იდეა. ერაყში უნდა შექმნილიყო ერთიანი პოლიტიკური ორგანიზაცია — არაბული სოციალისტური კავშირი. საგარეო პოლიტიკის დარგში ახალი ხელისუფლება გამოდიოდა პოზიტიური ნეიტრალიტეტის მომხრედ. ის ხალხს პირდებოდა, რომ იბრძოლებდა კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, არაბთა ერთიანობის განმტკიცებისა და სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის.

ქვეყნის შინაპოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცეცხლის შეწყვეტას ერაყის ქურთისტანში. ქურთების წინააღმდეგ ბაასის მთავრობის მიერ წამოწყებულმა აგრესიამ მარცხი განიცადა. ქურთი ხალხის უფლებათა დაცვის კომიტეტმა თავის დეკლარაციაში, რომელიც 19 ნოემბერს გამოაქვეყნა, განაცხადა: „...უკანასკნელი კვირის მანძილზე ერაყის შეიარაღებულმა ძალებმა განიცადეს სამი გადამწყვეტი დამარცხება კირკუკის, სულეიმანიისა და ჰარირის რაიონში. ჰარირისათვის წარმოებულ ბრძოლებში ქურთისტანის რევოლუციურმა არმიამ მთლიანად მოსპოვა ერა-

⁵⁰ ფაქტურად ხელისუფლება აღმოჩნდა სირიის ბაასის პარტიის უკიდურესთა ხელმძღვანელების — მიშელ აფლიაქისა და ამინ ალ-ჰაფეზის ხელში.

ყის არმიის ერთი პოლკი 2000 კაცის ოდენობით“. აქვე ხაზი ესმებოდა იმას, რომ ბაასის რეჟიმის დამხობა ხელისუფლების სათავეში მისი არსებობის 9 თვის შემდეგ, ისევე როგორც ყსაემის მთავრობის დამხობა, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქურთისტანში მიმდინარე ნახევრად კოლონიურ ომთან. ქურთებისა და ერაყის მთავრობის მომავალი ურთიერთობა — ნათქვამი იყო შემდეგ დეკლარაციაში — დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დამოკიდებულებას გამოიჩენდნენ ერაყის ახალი მმართველები ქურთების პოლიტიკური მიზნების მიმართ⁵¹./ გადატრიალების პირველ დღეებიდანვე ერაყის ახალმა მთავრობამ გაითვალისწინა წარსული რეჟიმის მწარე გაკვეთილები და კონტაქტი დაამყარა ქურთების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებთან./

მაგრამ შეთანხმებას ქურთებთან უცბად ვერ მიაღწიეს. ამაში ბრალი მიუძღოდა ერაყის ახალ მთავრობას. გადატრიალებიდან 10 დღის შემდეგ, 28 ნოემბერს, ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აბდალ სალამ არეფმა „თავის თანამომკმეებს“ ჩრდილოეთში მიმართა რჩევით — დაეყარათ იარაღი და დანებებოდნენ, ვინაიდან „ქურთები და არაბები მუსლიმანები და ძმები არიან“, „მათ საერთო ისტორია აქვთ“. თავის მიმართვაში იგი აჯანყებულ ქურთებს პირდებოდა პატივებს და ჩრდილოეთ რაიონების გარდაქმნას. მაგრამ ამ მიმართვაში არაფერი იყო ნათქვამი ავტონომიისა და დემოკრატიის შესახებ.

მიუხედავად ასეთი ბუნდოვანი განცხადებისა, ქურთებს მოლაპარაკებების დაწყებაზე უარი არ უთქვამთ. რამდენიმე თვის შემდეგ, 1964 წ. 10 თებერვალს, ორივე მხარემ ოფიციალურად ხელი მოაწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მთავრობამ მოხსნა ქურთისტანის ეკონომიკური ბლოკადა. მოლაპარაკებების დროს ქურთებს შეპირდნენ მათი ეროვნული უფლებების ცნობას ერაყის ფარგლებში./ პრეზიდენტმა აბდალ სალამ არეფმა განაცხადა, რომ მალე გამოქვეყნდებოდა დროებითი კონსტიტუცია და მასში ქურთთა უფლებები გარანტირებული იქნებოდა. ერთდროულად გამოაცხადეს ამნისტია რეპრესირებული ქურთებისათვის, დაიწყო მოლაპარაკება ადგილობრივი ადმინისტრაციის აღდგენისათვის. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ერაყის ქურთისტანში გააგზავნეს სურსათი, სანოვაგე და მედიკამენტები. მთავრობის მითითებით სპეციალური კომისიაც კი შეიქმნა. ამ კომისიას დანგრეული რაიონების აღდგენის გეგმები უნდა განეხილა და მიუყენებელი ზარალი უნდა აენაზღაურებინა. ამავე დროს მთავრობის ჯარებმა დაიხიეს იმ პოზიციებზე, რომელიც მათ ეკავათ 1961 წ. სექტემბრისათვის.

⁵¹ ეს დეკლარაცია გამოქვეყნდა ფრანგულ გაზეთ „მონდში“ (იხ. 196, 17. 12. 1963).

11 თებერვალს მუსტაფა ბარზანმა თავის თანამებრძოლებს მიმართა მოწოდებით შეეწყვიტათ ბრძოლა, დაბრუნებულიყვნენ სახლებში, შედგომოდნენ მშვიდობიან სამუშაოს და ამით ჩაეშალათ იმპერიალისტთა ხრიკები. ქურთების ხელმძღვანელებმა თანხმობა განაცხადეს გაეთავისუფლებინათ ბრძოლის დროს დატყვევებული არაბები. გარდაექმნათ ქურთების სამხედრო შენაერთების ერთი ნაწილი საპოლიციო რაზმებად, ხოლო დანარჩენები ქურთებით დასახლებულ რაიონებში სამოქალაქო სამსახურში გადაეყვანათ.

მთელი ერაყელი ხალხი ქურთისტანში საომარი მოქმედების შეწყვეტას დიდი კმაყოფილებით შეხვდა. ქურთისტანის დემოკრატიულმა პარტიამ თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ საომარი მოქმედების შეწყვეტა ნიშნავს იმას, რომ ქურთთა რევოლუცია მისი დემოკრატიული მიზნებისათვის წარმოებული ბრძოლის ახალ ეტაპში შევიდა. ქურთთა ლიდერები დიდ მოთმინებას იჩენდნენ და არეფის ხელისუფლებას საშუალება მისცეს ერაყში მშვიდობის დამყარების საქმეში თავისი კეთილი განზრახვა დაემტკიცებინა.

ერაყის დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ მთავრობას მოუწოდა განეხორციელებინა ქურთი ხალხის მოთხოვნები. არაბულმა გაზეთმა „ას-საურა ალ-არაბია“-მ 1964 წ. აგვისტოში გამოაქვეყნა სტატიების სერია არაბ-ქურთთა კავშირის შესახებ. გაზეთი მიუთითებდა, რომ არაბებსა და ქურთებს შორის მკიდრო კავშირი მხოლოდ მაშინ დამყარდება, თუ მთავრობა და ქვეყნის პატრიოტული ძალები ქურთების ეროვნულ უფლებებს ცნობენო. ეს კავშირი საბოლოოდ დამსხვრევდა სენტოს ოცნებას — არაბებსა და ქურთებს შორის არსებული უთანხმოებანი გამოეყენებინა რევოლუციური ძალების დასუსტებისათვის ერაყში (237, 24. 8. 1964).

მაგრამ მთავრობამ ყურად არ იღო ქვეყნის დემოკრატიული ძალების მოთხოვნები. საბოლოო ჯამში, თებერვლის შეთანხმებებს ყველა მუხლი არ შესრულებულა.

დროებითი კონსტიტუცია⁵², რომელიც არეფის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა 1964 წ. 4 მაისს, 1958 წ. კონსტიტუციასთან შედარებით უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ამ ახალი კონსტიტუციის პირველ მუხლში ნათქვამი იყო, რომ ერაყელები არაბი ერის განუყო-

⁵² მისი მოქმედების ვადა შემოიფარგლა გარდამავალი პერიოდით, რომელიც უნდა გაგრძელებულიყო 3 წელს. 1964 წ. 11 მაისს დამატებით გამოქვეყნდა კანონი რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — რევოლუციური ხელმძღვანელობის ეროვნული საბჭოს — შექმნის შესახებ. მისი შემადგენლობა 20 კაცით განისაზღვრა. მასში შევიდნენ: პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, ერაყის არმიის გენერალური შტაბის უფროსი, ლეიზიათა მეთაურები, სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაური, ერაყის სამხედრო გუბერნატორი და სხვები.

ფელ ნაწილს შეადგენდნენ (124 ა, გვ. 16), თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქურთები სულ სხვა ეროვნებისანი არიან. მე-19 მუხლში განსაზღვრული იყო ქურთების მოვალეობანი რესპუბლიკის წინაშე, მაგრამ ამასთან არაფერი იყო ნათქვამი მათი ნაციონალური უფლებების შესახებ. გარდა ამისა, იაპიას მთავრობამ ერაყის ტერიტორიაზე ლეგალური მოღვაწეობის უფლება მიანიჭა მხოლოდ ერთ პარტიას „არაბულ სოციალისტურ კავშირს“, რომელშიც ქურთები არ შედიოდნენ უფრო მეტიც, მთავრობამ მოითხოვა, დაეშალათ ქღბ.

ქურთების უკმაყოფილებას იწვევდა ის ფაქტიც, რომ არეფის ახალმა მთავრობამ ხელი მოაწერა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან შეთანხმებას „არაბული კავშირის“ შექმნის შესახებ⁵³ ისე, რომ წინასწარ არ მოეთათბირა ქურთი ხალხის წარმომადგენლებს და არ გადაჭრა ქვეყნის შიგნით ქურთთა ავტონომიის საკითხი.

ფაქტიურად მარშალი არეფი და მისი მთავრობა ქურთი ხალხის, როგორც ცალკე ერის არსებობის, იგნორირებას ცდილობდნენ. ისინი არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ ქურთების მრავალწლიან გამათავისუფლებელ ბრძოლას. „ქურთთა საკითხი“ ერაყის მთავრობამ გაუტოლა ჩრდილოეთის რეკონსტრუქციის პრობლემას. მისი აზრით, თუ მოხდებოდა რეკონსტრუქცია ჩრდილოეთში, მაშინ ბოლო მოეღებოდა „ქურთების საკითხსაც“, ე. ი. ქურთების მრავალწლიან ბრძოლას ავტონომიისათვის ისინი განიხილავდნენ არა როგორც პოლიტიკურს, არამედ, როგორც ეკონომიკურ საკითხს. მათი აზრით, ქურთების ბრძოლა გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ჩრდილოეთი პროვინციების ეკონომიკური ჩამორჩენილობით და არა ეროვნული ჩაგვრით. მთავრობის ასეთი განცხადების პასუხად ქურთების გამათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი მუსტაფა ბარზანი წერდა, რომ „ჩრდილოეთის“ რეკონსტრუქცია, რომელსაც ასეთი გულმოდგინებით ატარებს ბაღდადის მთავრობა, სრულებითაც არ ყოფილა ქურთების რევოლუციის მიზანი. ერაყის ჩრდილოეთის რეკონსტრუქცია, ანუ მისი ეკონომიკური განვითარება, ქურთისტანის ავტონომიური ხელისუფლების კომპეტენციას უნდა წარმოადგენდეს, ხოლო ცენტრალურმა მთავრობამ თავისი დახმარებით ხელი უნდა შეუწყოს მას. ბაღდადის მიერ გამოცხადებული რეკონსტრუქცია უფრო ილუზიას

⁵³ აღნიშნულ შეთანხმებებს ხელი მოაწერეს 1964 წ. 26 მაისს. ერაყისა და აგრ ერთიანობის პრაქტიკული განხორციელებისათვის შეიქმნა ორივე ქვეყნის გაერთიანებული საპრეზიდენტო საბჭო 25 კაცის შემადგენლობით. მაგრამ ერთი წლის შემდეგ 1965 წ. 15 სექტემბერს, როდესაც იუნიონისტების ცდა — მოეზღინათ სახელმწიფო გადატრიალება ერაყში—მარცხით დამთავრდა, არეფსა და იუნიონისტებს შორის ურთიერთობა გაუარესდა და ერაყ-აგრ ფედერაციის იდეა ამჟერადაც განხორციელებული დარჩა.

წარმოადგენდა. ფაქტიურად გარდაიქმნა მხოლოდ სამხედრო საგუ-
შაგოები.

არაბთა ტომები განაგრძობდნენ ნავთობსარეწების მახლობლად
მდებარე ქურთული სოფლების ოკუპაციას. ომის მსვლელობაში მთავ-
რობის ჯარებმა აყარეს ერბილის ახლოს მდებარე კანდინაეის სოფლის
გლეხები. მათ გაყარეს კირკუჯის გარეუბნების ათეულ ათასობით ქურ-
თი მოსახლე და მიწასთან გაასწორეს მათი სახლები. ასევე იქცეოდა
ახალი მთავრობაც. შეიარაღებული ძალების გამოყენების მეოხებით
ქურთი გლეხობა გამოაძევეს ქ. კირკუჯის ახლოს მდებარე დოუბსის
რაიონის სოფლებიდან. ქურთთა გადასახლების გეგმას ძალის გამოყე-
ნებით ანხორციელებდნენ აგრეთვე ერბილისა და კირკუჯის
დაბლობ რაიონებშიც. მიუხედავად ყოველივე ამისა, ქურთთა ლიდე-
რები გამოთქვამდნენ თავიანთ მზადყოფნას საკითხის მშვიდობიანად
მოგვარებისათვის, ისინი არ კარგავდნენ იმედს, რომ ახალ ხელისუფ-
ლებასთან საერთო ენას გამოიხატავდნენ.

1964 წ. ივლისში მოიწვიეს ქურთისტანის დემოკრატიული პარ-
ტიის VI ყრილობა. ამ ყრილობას ესწრებოდნენ ქდპ პოლიტიბიუროს
წევრები, პარტიზანული რაზმების მეთაურები, სამხედრო შენაერთე-
ბის ხელმძღვანელები, ქურთული ტომების ბელადები. ყრილობამ დაგ-
მო ქდპ ყოფილი ხელმძღვანელობის (იბრაჰიმ აჰმედისა და ჭელალ ატ-
ტალბანის მეთაურობით) ავანტიურისტული ხაზი (თავის დროზე ეს
ჯგუფი ცეცხლის შეწყვეტის წინააღმდეგ გამოდიოდა და მოითხოვდა
საომარ მოქმედებათა განგრძობას, მათ ომი მიაჩნდათ ქურთების
ეროვნული უფლებების დაცვის ერთადერთ საშუალებად). ეს ჯგუფი
გამოიყვანეს ცკ შემადგენლობიდან (235, 5, 8, 1964).

ყრილობამ ხაზი გაუსვა იმას, რომ ქურთები მოითხოვდნენ ავტო-
ნომიას ერაცის რესპუბლიკის ფარგლებში. 1964 წ. ოქტომბერში ყრი-
ლობამ გადაწყვიტა შექმნილიყო ხელმძღვანელი რევოლუციური საბ-
ჭო (ხ რ ს)⁵⁴. საბჭო შედგებოდა ქურთისტანის დემოკრატიული პარ-
ტიის, პარტიზანული რაზმებისა და ქურთული საზოგადოებრიობის
წარმომადგენლობისაგან. მისი შემადგენლობა განისაზღვრა 43
კაცით.

ამ საბჭოს პირველი სხდომა სულეიმანიეს პროვინციის ერთ-ერთ
სოფელში შედგა. მასზე აირჩიეს აღმასრულებელი ორგანო 11 კაცის
შემადგენლობით (202, 12. 11. 1964) და რამდენიმე კომიტეტი ავტო-
ნომიური ქურთისტანის კონსტიტუციის შემუშავებისათვის, ფინან-
სური და სამხედრო საკითხების განხილვისათვის, სამხედრო ხელის-
უფლების ქურთული სამოქალაქო ადმინისტრაციით შეცვლისათვის
(197, 31. 10. 1965).

⁵⁴ ამ საბჭოს თავმჯდომარე მუსტაფა ბარზანი უნდა ყოფილიყო.

ქურთთა რევოლუციის უმაღლესმა ორგანომ (ხრს) გამოიმუშავა კანონები, რომელთა საფუძველზე ქურთებს უნდა განეგოთ თავიანთი ქვეყანა გამათავისუფლებელი ბრძოლის მთელ მანძილზე, სანამ არ მიაღწევდნენ ავტონომიას. ხრს აირჩია აღმასრულებელი ბიურო, რომელიც უშუალოდ ანხორციელებდა ამ კანონებს განათავისუფლებულ რაიონებში.

1964 წ. 11 ოქტომბერს მუსტაფა ბარზანმა პრეზიდენტ არეფსა და პრემიერ-მინისტრ თაჰერ იაჰიას გაუგზავნა მემორანდუმი, რომელიც რევოლუციის სარდლობის საბჭომ ქღპ VI ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიმუშავა. მემორანდუმი ერაყის მთავრობას აცნობებდა ქურთული ავტონომიური რეჟიმის შექმნის შესახებ. იგი განსაზღვრავდა მომავალი ქურთისტანის პროვინციის ტერიტორიას, მის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციებს, მათ ურთიერთობის პრინციპებს ცენტრალურ ხელისუფლებასთან და სხვა. მემორანდუმი ერაყის მთავრობას წინადადებდა აძლეოდა ქვეყნის დროებით კონსტიტუციაში შეეტანა პუნქტი ქურთებისა და არაბების თანასწორუფლებიანობის შესახებ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ერაყი რომელიმე არაბულ ქვეყანასთან გაერთიანდებოდა, უზრუნველყოთ ასეთ გაერთიანებაში ქურთების თანასწორუფლებიანობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში. ბოლოს ქურთები ბაღდადის მთავრობას მიმართავდნენ წინადადებით დაეწყოთ მოლაპარაკება.

მაგრამ მოლაპარაკება არ შედგა. ქურთების მემორანდუმის პასუხად ერაყის მთავრობამ რამდენჯერმე (27 ნოემბერს, 3, 9 და 11 დეკემბერს) წერილობით მიმართა მუსტაფა ბარზანს. ამ მიმართვებიდან ჩანდა, რომ მარშალი არეფი და გენერალი თაჰერ იაჰია, ქურთებთან სერიოზულ მოლაპარაკების დაწყებას არ აპირებდნენ. ახალმა მთავრობამ იმედი გაუცრუა ქურთებს. არეფმა და მისმა ხელისუფლებამ ქურთებს მოსთხოვა დაეშალათ შეიარაღებული რაზმები, ბოლო მოეღოთ ქღპ მიერ შემოღებულ ადმინისტრაციულ სისტემისათვის და კატიგორიული უარი უთხრა ქურთებს ავტონომიური მმართველობის რაიმე ფორმის ცნობაზე.

თავის პასუხში (13 დეკემბერს) ქღპ განუცხადა⁵⁵ ერაყის მთავრობას, რომ ქურთებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს ავტონომიისათვის ბრძოლაში და ამის საფასურად თხოულობდნენ თვითმმართველობისა და თვითგამორკვევის უფლებას, როგორც ყველაზე მინიმალურ უფ-

⁵⁵ უცხოელი კორესპონდენტებისათვის ეს განცხადება ცნობილი გახდა ბეირუტში 1965 წ. 22 იანვარს. ქურთულიდან იგი თარგმნა და გაავრცელა პარიზში არსებულმა „ქურთი ხალხის უფლებათა დაცვის კომიტეტმა“.

ლებას. „ჩვენი პოზიცია — განაგრძობდა ქდპ — ნათელია და ჩვენ ის სამართლიანად მიგვაჩნია. ჩვენ არ გვინდა ომი. ჩვენ არასოდეს არ დავიწყებთ ომს. მაგრამ ჩვენ განვაგრძობთ ჩვენი ავტონომიის შენებას, ჩვენი საკუთარი ადმინისტრაციის განმტკიცებას“. ქურთები იმედს გამოთქვამდნენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მეგობრულად განწყობილი ქვეყნები თავის დროზე ჩაერეოდნენ იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ ახალი ომი ერაყში და გადაეჭრათ ქურთების ეროვნული პრობლემა მშვიდობიანი გზით ავტონომიის პრინციპების საფუძველზე.

ერაყის მთავრობა დიდ ხანს სდუმდა, ხოლო 1965 წ. 3 აპრილს, თოთხმეტი თვის დაზავების შემდეგ მან განაახლა ომი ქურთების წინააღმდეგ. ქურთების პარტიზანული რაზმების წინააღმდეგ სულ მცირე ერაყის არმიის 3 დივიზია მოქმედებდა. მთავრობის ჯარებმა დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. საომარი მოქმედების დროს ქურთების წინააღმდეგ გამოიყენეს არტილერია და ავიაცია. ორივე მხრიდან ადგილი ჰქონდა დიდ მსხვერპლს.

ზამთრის შესვენება ქურთების მთავარსარდლობამ პარტიზანული რაზმების განმტკიცებისათვის გამოიყენა. ისინი 1965 წ. ივლისში გარდაქმნა რეგულარულ ჯარად. მისი საერთო რაოდენობა დაახლოებით 15 ათასს შეადგენდა; ჯერ კიდევ საომარ მოქმედებათა დაწყებამდე 6 მარტს ქდპ პოლიტიკურად განაცხადა: „ჩვენ პირველნი არ ვაგვხსნით ცეცხლს, მაგრამ თუ დაგვესხნენ, თავს მტკიცედ დავიცავთ. თავდაცვა ყველა ხალხის უფლებაა“ (188, 13. 5. 1965).

ერაყის ქურთისტანში მთავრობის ჯარების მიერ ომის განახლებამ კიდევ უფრო გააღრმავა პოლიტიკური კრიზისი ქვეყანაში, 1965 წ. 4 ივლისს მთავრობის ექვსი მინისტრი — იუნიონისტი გენერალ აბდალ ქერიმ ფარხანის და პოლკოვნიკ სუბჰ აბდალ ჰამიდის მეთაურობით — გადადგა ქურთების წინააღმდეგ ომის განახლების პროტესტის ნიშნად⁵⁵. ქურთისტანში ომის განახლება ხელს აძლევდა იმპერიალისტებს, რომლებიც არაბთა ერთიანობის დარღვევას ცდილობდნენ. ერაყის ქურთისტანში ომის განახლება საზიანო იყო არა მარტო ერაყისათვის, არამედ სხვა არაბულ ქვეყნებისათვისაც.

⁵⁵ თავიანთ გაზეთების ფურცლებზე იუნიონისტები მოითხოვდნენ ქურთების წინააღმდეგ ომის შეწყვეტას, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან დაახლოებას და იმ შეთანხმების გაუქმებას, რომელიც დაიდო ერაყის მთავრობას და „ირაკ პეტროლეუმ კომპანის“ შორის (ამ შეთანხმების თანახმად კომპანიამ მიიღწია კონცესიების ფართობის ორჯერ გაზრდას და მიიღო უფლება კონტროლი გაეწია ერაყის ეროვნული ნავთობის კომპანიის საქმიანობისათვის). ეს შეთანხმება ფაქტურად აუქმებდა 1961 და 1964 წწ. მიღებულ კანონებს „ირაკ პეტროლეუმ კომპანიის“-ს ნავთობის ფართობების ჩამორთმევისა და ეროვნული ნავთობის კომპანიის შექმნის შესახებ (იხ. 199, 21. 9. 1965).

ძმათა მკვლელი ომი ერაყში აღდგებდა არაბული ქვეყნების ყველა ხალხებს. მათ მიაჩნდათ, რომ ერაყის ქურთისტანის 1,5 მილ. მოსახლეობისათვის ეროვნული უმცირესობის უფლების მინიჭება შესაძლებელი იყო და ქურთთა პრობლემა უნდა გადაჭრილიყო მშვიდობიანი გზით. ამის შესახებ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნასერმა კიდევ ერთხელ შეახსენა ერაყის პრემიერ-მინისტრს თაჰერ იაჰიას, რომელიც ხანმოკლე ვიზიტით ჩავიდა კაიროში იმ დღეებში. მაგრამ ბაღდადში ყურად არ იღეს ეგვიპტის მაშინდელი მეთაურის მეგობრული რჩევა.

ქურთთა საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების მომხრეთა რიცხვი ერაყელ მმართველ წრეებში მით უფრო მატულობდა, რაც უფრო წარუმატებელი იყო მთავრობის ჯარების შეტევა ქურთების წინააღმდეგ.

1965 წ. ივლისის კრიზისი ერაყში დამთავრდა 21 სექტემბერს ახალი მთავრობის შექმნით. 1958 წ. შემდეგ ეს პირველი სამოქალაქო მთავრობა იყო. მთავრობის თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრი აბდ არ-რაჰმან ალ-ბაზაზი⁵⁷ ქურთთა საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების მომხრე იყო. მაგრამ არაბმა ექსტრემისტულმა წრეებმა⁵⁸ თავისი მანცა გაიტანეს და 1966 წ. გაზაფხულზე მთავრობა აიძულეს განეახლებინა შეტევა ქურთისტანში, ეს შეტევა დასაწყისში წარმატებით მიმდინარეობდა. მთავრობის ჯარები ქურთისტანის მთების სიღრმეში შეიჭრნენ. შეტევა არ შეჩერებულა ერაყის პრეზიდენტის აბდალ სალამ-არეფის საავიაციო კატასტროფაში დაღუპვის⁵⁹ შემდეგაც.

პრეზიდენტის დაღუპვასთან დაკავშირებით ქურთთა ხელმძღვანელებმა მთავრობას მოუწოდეს შეეწყვიტათ საომარი მოქმედება ერთი თვით, მაგრამ ამის პასუხად 1—2 მაისს მთავრობის ჯარების ახალი შეტევა დაიწყო. მიუხედავად ამისა, 11—12 მაისს ქურთებმა რევანდუნთან გამარჯვება მოიპოვეს. მათ დაამარცხეს მთავრობის ჯარების 5 ათასიანი რაზმი⁶⁰. ეს მეტად შთამბეჭდავი გამარჯვება იყო. ფაქტიურად მან გადამწყვეტი როლი ითამაშა 1966 წ. საგაზაფხულო კამპანია-

⁵⁷ ალ-ბაზაზი ვანათლებით იურისტი იყო. იგი ერთხანს ბაღდადის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანადაც მუშაობდა. შემდეგ იყო დიპლომატიურ სამუშაოზე (ერაყის ელჩი ინგლისში), პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა და ნავთობის მრეწველობის მინისტრი. 1966 წ. 27 ივლისს იმყოფებოდა ოფიციალური ვიზიტით სსრ კავშირში. ალ-ბაზაზი არის რამდენიმე გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი. მათ შორის ერთ-ერთი მიეძღვნა ერაყში ინგლისელთა ბატონობის ხანას (214). უფრო დანწერილებით მის შესახებ იხ. თ. ს. უ. შრომები, ტ. 108. თბ., 1966, გვ. 429—434.

⁵⁸ ამ წრეებს თავდაცვის მაშინდელი მინისტრი აბდ ალ-აზიზ ალ-უეილი მეთაურობდა.

⁵⁹ იგი დაიღუპა 1966 წ. 13 აპრილს ბასრის მახლობლად.

⁶⁰ ამ ბრძოლაში დაღუპულ და დაჭრილ არაბთა რიცხვი 1800 აღწევდა.

ში. ამის შემდეგ, ერაყის მთავრობამ 1966 წ. 15 ივნისს განაცხადა, რომ მოაწესრიგებდა ქურთთა საკითხს მშვიდობიანი გზით.

18 და 21 ივნისს გაიმართა მოლაპარაკება მთავრობის წარმომადგენლებსა და ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის დელეგაციას⁶¹ შორის ჯერ ჩრდ. ერაყში, ხოლო შემდეგ — ბაღდადში. 1966 წ. 29 ივნისს მთავრობამ გამოაქვეყნა ქურთთა საკითხის მოგვარების თავისი პროგრამა და შეწყვიტა სამხედრო მოქმედება ქვეყნის ჩრდილოეთში.

პროგრამაში ნათქვამი იყო, რომ მთავრობა ცნობს ქურთთა თანასწორუფლებიანობას არაბებთან და ამას აუცილებლად ასახავს მომავალ კონსტიტუციაში. გარდა ამისა, ერაყის მომავალ პარლამენტში ქურთები თავიანთი რაოდენობის პროპორციულად უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილი და დაენიშნათ სახელმწიფო თანამდებობებზე ქურთულ პროვინციებში. ჯანმრთელობის, განათლებისა და სამეურნეო საქმეების გამგებლობისათვის აუცილებლად შეიქმნებოდა არჩევითი საბჭოები. ადგილობრივ ადმინისტრაციას ქურთებისაგან დააკომპლექტებდნენ, ქურთთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ყველა მონაწილისათვის ამნისტიას გამოაცხადებდნენ. მათ სამუშაოზე აღადგენდნენ და მიყენებულ მატერიალურ ზარალს აუნაზღაურებდნენ. გათვალისწინებული იყო აგრეთვე ჩრდ. პროვინციების განვითარებისათვის სპეციალური სამინისტროს შექმნა.

მთავრობის პროგრამა შეიცავდა კიდევ სამ პუნქტს, რომელიც საჯაროდ არ იქნა გამოცხადებული. ეს პუნქტები ითვალისწინებდნენ შემდეგს: 1. მოსულის პროვინციაში ქურთული მოსახლეობით დასახლებული ცალკე დოჰუჟის პროვინციის შექმნას, 2. ქურთისტანის დემოკრატიული პარტიისათვის ერაყის სხვა რაიონებში მოღვაწეობის უფლების მინიჭებას და 3. ყველა პოლიტიკური პარტიის თანდათანობით განთავისუფლებას.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის პროგრამაში არსად არ იყო ნახსენები სიტყვა ავტონომია (ავტონომია კი ქურთთა მოძრაობის მთავარი მიზანი იყო), ქურთთა ლიდერებმა მაინც მიიღეს ერაყის მთავრობის მიერ შემოთავაზებული პროგრამა.

აჯანყებულთა ეს გადაწყვეტილება გამოწვეული იყო ერაყის ქურთისტანში შექმნილი მძიმე მდგომარეობით. როგორც ვნახეთ, 1961 წ. სექტემბრიდან მცირე შესვენებებით აქ საომარი მოქმედება წარმოებდა, რამაც ერაყის ამ მდიდარ რაიონს დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა. ნათესი ფართობები მთლიანად განადგურდა, მოსავალი იღუპებოდა

⁶¹ დელეგაციას მეთაურობდა პარტიის ახალი გენერალური მდივანი ჰაბიბ-მუჰამედ ჭერიმი (237, 3, 6, 1966).

ხანძრისაგან, საქონლის დიდი ნაწილი მოისპო. ბუნებრივია, ყველ-
ფერი ეს დიდ სიძნელებებს ქმნიდა მოსახლეობისა და სამხედრო ნაწი-
ლების მომარაგებისათვის.

1966 წ. ნოემბერში მოწვეულ იქნა ქღპ VII ყრილობა⁶², რომელ-
მაც მოიწონა მთავრობის მიერ 29 ივნისის გამოცხადებული პროგრამა
და მოუწოდა ქურთებს ძალ-ღონე არ დაეშურათ ამ პროგრამის ცხოვ-
რებაში განხორციელებისათვის. ყრილობამ ერაყის ყველა პატრიო-
ტულად განწყობილ დემოკრატიულ ძალებს მოუწოდა შეექმნათ ნაც-
ონალური კოალიცია ქვეყანაში ჯანსაღი დემოკრატიული რეჟიმის დამ-
ყარებისათვის (240, 25. 1966). ყრილობის გადაწყვეტილებებში ისიც
აღინიშნა, რომ 29 ივნისის პროგრამა ქურთთა საკითხის მშვიდობიანი
გზით გადაჭრის შესახებ ჭერჭერობით დეკლარაციად რჩებოდა და მას
პრაქტიკული ნაბიჯები არ მოჰყოლია.

1967 წლის მაისში ქურთული გაზეთის „ათ-თაახის“ („ძმობა“) პირველი ნომერი გამოვიდა⁶³, სარედაქციო წერილში ნათქვამი იყო.
რომ ახალი გაზეთი მხარს დაუჭერდა არაბ-ქურთების ძმობას, მთავრო-
ბის მიერ 29 ივნისის გამოცხადებული პროგრამის განხორციელებას,
დემოკრატიული თავისუფლებისათვის, იმპერიალიზმისა და ექსპლოა-
ტაციის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას. იგი მხარს დაუჭერდა აგ-
რეთვე ეროვნული ეკონომიკის შექმნას, მშრომელთა ცხოვრების ღო-
ნის ამაღლებას და უმუშევრობის მოსპობას (190, 3. 5. 1967).

1967 წ. 4 აგვისტოს პრეზიდენტ აბდ არ-რაჰმან მუჰამედ არეფის⁶⁴
წინადადებით ალ-ბაზაზი გადადგა. მთავრობის თავმჯდომარეობა და-
ვეალა გადამდგარ გენერალს ნაჯი ტალებს. 6 აგვისტოს თავის საპ-
როგრამო განცხადებაში მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მისი მთავრობა
შეეცდებოდა ქურთთა საკითხი მოეწესრიგებინა იმ პროგრამის შესა-
ზამისად, რომელიც ალ-ბაზაზის მთავრობამ მიიღო. მაგრამ ნაჯი ტალებ-
ის მთავრობისა და ქურთი ლიდერების მოლაპარაკება 1967 წ. იან-
ვარში ფაქტიურად უშედეგოდ დამთავრდა. იმავე წლის 6 მაისს ნაჯი
ტალების მთავრობა გადადგა.¹

10 ივლისს გენერალმა თაჰერ იაჰიამ შეადგინა რიგით მე-12 რეს-
პუბლიკური მთავრობა. მიუხედავად იმისა, რომ მასში შევიდნენ პროგ-
რესული შეხედულების მქონე მოღვაწეები, ქურთთა საკითხი მაინც
ვადაუჭრელი დარჩა. ამ მთავრობამაც არ შეასრულა თავისი დაპირება—

⁶² ყრილობა მ-მდინარეობდა 5-დან 21 ნოემბრამდე.

⁶³ ეს გაზეთი დახურეს 1957 წ. 3 დეკემბერს, როდესაც გამოიქცა ახალი კანონი
ბეჭდვითი სიტყვის შესახებ.

⁶⁴ ამ პოსტზე იგი აირჩიეს მისი ძმის მარშალ აბდალ სალამ არეფის დალუპ-
ვის შემდეგ. მანამდე მას ეკავა ერაყის არმიის გენერალური შტაბის უფროსის თა-
ნამდებობა.

დაემყარებინა მშვიდობა ჩრდილოეთში, განევიტარებინა ჩრდილოეთის პროვინციები და გაენთავისუფლებინა დაპატიმრებული ქურთი პატრიოტები⁶⁵. ფაქტიურად თავერ იაპია საბოტაჟს უწევდა 29 ივნისის პროგრამის შესრულებას. ამასთან იგი ყოველმხრივ აქეზებდა ჯელალ ატ-ტალაბანის გამთიშველურ ჯგუფს, რომ მას დაეწყო ბარზანის მომხრეების წინააღმდეგ ძირგამომხრელი საქმიანობა და შეიარაღებული გამოსვლები.

ამასობაში არეფისა და იაპიას პოლიტიკა სულ უფრო დიდ უკმაყოფილებას იწვევდა არმიადში, რომელიც მმართველი ხროვის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა. მარტო არმიის შენახვის ხარჯები ნავთობიდან მიღებული შემოსავლის 90% ნთქავდა. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა 1967—1968 წელს სარეკორდო ციფრს — 120 მილ. დოლარს მიაღწია. 1968 წ. გაზაფხულზე ახალგაზრდა ოფიცერთა არაღელურმა ორგანიზაციამ — „არაბულმა რევოლუციურმა მოძრაობამ“⁶⁶ აქტიური მოღვაწეობა გააჩაღა. იგი მიზნად ისახავდა არსებული რეჟიმის დამხობას.

1968 წლის ივლისის გადატრიალება და ქურთთა საკითხის მოწესრიგების დაწყება

1968 წ. 17 ივლისს არმიამ მორიგი სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა. პრეზიდენტი აბდარ-რაჰმან მუჰამედ არეფი და პრემიერ მინისტრი თავერ-იაპია დაკავებული თანამდებობიდან გადააყენეს. პრეზიდენტის პოსტი „ზომიერ“ ბაასისტთა ლიდერმა გენერალმა აჰმედ ჰასან ალ-ბაქრმა დაიკავა. მანვე 31 ივლისს ჩამოაყალიბა ახალი მთავრობა, რომელიც მთლიანად ბაასის წევრებისა და მათდამი ერთგული სამხედროებისაგან შედგებოდა. მთავრობაში მინისტრის ორი პორტფელი ბარზანის მომხრეებს გადაეცათ. მაგრამ მათ ახალ მთავრობაში შესვლაზე უარი თქვეს იმ მოტივით, რომ ჰასან ალ-ბაქრმა მთავრობაში შეიყვანა კიდევ ორი ქურთი, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ჯელალ ატ-ტალაბანის გამთიშველურ ჯგუფთან.

1968 წ. 21 სექტემბერს ახალი ღროებითი კონსტიტუცია მიიღეს, მან შეცვალა 1964 წ. კონსტიტუცია (124ა, გვ. 16). ახალი კონსტიტუ-

⁶⁵ ამ დროისათვის ქღბ ხელმძღვანელობაში უკვე განხეთქილება სუფევდა. როგორც აღვნიშნეთ, იბრაჰიმ აჰმედი, ჯელალ ატ-ტალაბანი და ქღბ პოლიტიბუროსა და ცკ სხვა წევრები, რომლებიც ექსტრემისტულ პოზიციებზე იღვწენ, მოლა მუსტაფა ბარზანსა და მის მომხრეებს დაუპირისპირდნენ. შემდგომში ისინი გარიცხეს პარტიიდან. ზოგიერთი მთავანი მთავრობის მხარეზეც კი გადავიდა.

⁶⁶ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელები იყვნენ პოლკოვნიკი აბდ არ-რაზზაკ ან-ნაიფი და გენერალი აბდ არ-რაჰმან დაუდი. ან-ნაიფი დაზვერვის მე-2 ბიუროს ხელმძღვანელი იყო, ხოლო დაუდი — პრეზიდენტის გვარდიის უფროსი.

ციით აიკრძალა ყველა პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობა (გარდა ბა-
ასისა). მთელმა ძალაუფლებამ თავი მოიყარა რევოლუციური მეთაუ-
რობის საბჭოსა (რმს) და მთავრობის ხელში. ქურთი ხალხის ავტონო-
მიური უფლებების შესახებ კონსტიტუციაში ძალზე ბუნდოვნად იყო.
ნათქვამი, რამაც ქურთების კანონიერი შემფოთება გამოიწვია.

ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობა იძულებული შეიქნა ანგარიში
გაეწია ერაყის დემოკრატიული წრეების სულ უფრო მზარდი მოთ-
ხოვნისათვის — ბოლო მოეღო ძმათა მკვლელი ომისათვის ქურთის-
ტანში და დაეწყო ქურთთა საკითხის მოგვარება მშვიდობიანი გზით.
1969 წ. ივლისში რმს წევრმა გენერალმა საადუნ გეიდანმა ქურთებით
დასახლებულ რაიონებში იმოგზაურა. იგი შეხვდა ქურთ ლიდე-
რებს და ჰქონდა მათთან საუბარი. გეიდანმა ბარზანსა და მის მომხრე-
ებს აღუთქვა, რომ ახალ მთავრობას განზრახული აქვს აუნაზღაუროს
მატერიალური ზარალი ყველა იმას, ვინც ომში დაზარალდა. 11 ავ-
ვისტოს გამოქვეყნდა ახალი კანონპროექტი ადმინისტრაციული დაყო-
ფისა და მმართველობის სისტემის შესახებ. ეს კანონი, მასში ზოგი-
ერთი ცვლილების შეტანის შემდეგ, ძალაში შევიდა 1969 წ. 3 ოქტომ-
ბერს. ამ კანონის თანახმად, ერაყის მთელი ტერიტორია დაიყო 16
საგუბერნატოროდ (მუჰაფაზად), აღრინდელი 14 ლევის (პროვინცია-
ის) ნაცვლად. ქვეყნის ჩრდილოეთში შეიქმნა ახალი ადმინისტრაციული
ერთეული — დოჰუქის ქურთული საგუბერნატორო. ახალი ადმინის-
ტრაციული ერთეულების ხელმძღვანელები (გუბერნატორები) მათდა-
მი დაქვემდებარებულ ტერიტორიის ფარგლებში ფართო ავტონომიუ-
რი უფლებებით აღჭურვეს. ამასთან დაკავშირებით მთავრობის წრეებ-
თან ახლო მდგომი გაზეთი „ჯუმჰურიეთი“ აღნიშნავდა, რომ ახალი კა-
ნონის შემუშავების დროს მთავრობამ გაითვალისწინა ქურთების
კანონიერი მოთხოვნები „ეროვნული ერთიანობის დროშის ქვეშ მყო-
ფი ადგილობრივი ადმინისტრაციის“ მოწყობის თაობაზე.

ამ კანონის გამოქვეყნებამ და მთავრობის მიერ განხორციელებულ-
მა მთელმა რიგმა პოზიტიურმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო არაბებ-
სა და ქურთებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებას.

1970 წ. 11 მარტს ქურთთა ლიდერებმა ერაყის მთავრობასთან ხე-
ლი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ერაყში
მცხოვრები ქურთების⁶⁷ ეროვნული უფლებები ოფიციალურად იქნა
აღიარებული. ახალ კონსტიტუციაში, რომელსაც მალე მიიღებდნენ,
ნათქვამი უნდა ყოფილიყო, რომ „ერაყის რესპუბლიკის მოსახლეობა
შედგება ორი ერისაგან — არაბებისა და ქურთებისაგან, რომლებიც
თანასწორუფლებიანობით სარგებლობენ“. გათვალისწინებული იყო

⁶⁷ მათი რიცხვი ჯერ კიდევ 1963 წლისათვის 1 მლნ 800 ათასი იყო.

საკანონმდებლო უფლებებით აღჭურვილი ეროვნული კრების მოწვევა: ამ კრებაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ბაასის მმართველი პარტიის, ქურთისტანის დემოკრატიული პარტიისა და სახალხო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ერაყის ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე ქურთი უნდა დანიშნულიყო (29ა, გვ. 22). ქურთთა წარმომადგენლები შეიყვანეს მთავრობის შემადგენლობაშიც. ქურთული ენა ოფიციალურ ენად იქნებოდა აღიარებული იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ქურთები წარმოადგენდნენ (29ა, გვ. 15—18). შეთანხმება ითვალისწინებდა აგრეთვე ქურთული სკოლებისა და უნივერსიტეტის გახსნას ქურთულ ენაზე, გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემას, რადიო და ტელეგადაცემების მოწყობას. ქურთულ რაიონებისათვის ფართო ეკონომიკური დახმარება უნდა აღმოეჩინათ და დაეჩქარებინათ იქ აგრარული რეფორმის გატარება (190, 13. 3. 1970: 33, 43—53). ყველაფერმა ამან ლახვარი ჩასცა იმპერიალიზმისა და რეაქციის ხრიკებს.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, 1958 წ. ივლისის ბურჯუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ვერ გაამართლა ხალხის იმედები, რესპუბლიკურმა მთავრობამ ცხოვრებაში თანმიმდევრულად ვერ გაატარა აგრარული კანონი, ვერ შეამსუბუქა მშრომელთა ეკონომიკური მდგომარეობა და, რაც მთავარია, ვერ დააწესა სრული კონტროლი ქვეყნის ბუნებრივ რესურსებზე, კერძოდ კი ნავთობზე. უცხოური კაპიტალი კვლავინდებურად ბატონობდა ერაყის ეკონომიკაში და ბუნებრივია ყოველთვის შეეძლო მოეხდინა გარკვეული ზეგავლენა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

1959 წ. მეორე ნახევრიდან სულ უფრო შესამჩნევი ხდება რესპუბლიკური მთავრობის ანტიდემოკრატიული ტენდენციები. ყასემის ანტიდემოკრატიულმა მთავრობამ და რეაქციონერმა შეიხებმა გააჩაღეს სისხლიანი შეტაკებები ერაყის ქურთისტანის მთელ რიგ რაიონებში, რაც თავის მხრივ მთავრობამ გამოიყენა ქურთების წინააღმდეგ ომის გაჩაღების საბაზად.

ქურთების წინააღმდეგ გაჩაღებულმა ომმა კიდევ უფრო გააღრმავა ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობები და ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. ეს კრიზისი დამთავრდა ხელისუფლების სათავეში ბაასის პარტიის ხელმეორედ მოსვლით.

ამჟერად მთავრობას სათავეში ჩაუდგნენ ბაასის პარტიის მემარჯვენე ფრთის „ზომიერები“, რომლებიც განთავისუფლდნენ წარსულის მძიმე შეცდომებისაგან და დაადგნენ საზოგადოების სხვა პოლიტიკურ ძალებთან თანამშრომლობის გზას. ერაყის ახალი მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული პროგრესული ღონისძიებებიდან უნდა აღინიშნოს შეთანხმება ქურთებთან, მთავრობაში ქაღ

და ეკპ წარმომადგენლების შეყვანა, აგრარული კანონის ცხოვრებაში გატარება, ნავთობის სახელმწიფო ეროვნული კომპანიის შექმნა, „ირაკ პეტროლეუმ კომპანის“ ნაციონალიზაცია (1972 წ. ივნისში) და სხვა.

ქურთებთან საომარი მოქმედების შეწყვეტისა და მათთან სამშვიდობო შეთანხმების დადების შემდეგ 1971 წ. ნოემბერში ერაყის პრეზიდენტმა აჰმედ ჰასან ალ-ბაქრმა⁶⁸ გამოაცხადა ერაყის ნაციონალური ქარტიის პროექტი, რომლის საფუძველზე უნდა მოეწვიათ ეროვნული კრება და მიეღოთ მუდმივი კონსტიტუცია. ახალი კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებდა ერაყის საბოლოო განთავისუფლებას უცხოური დამოკიდებულებისაგან. სახელმწიფო სექტორი უნდა ეროვნული ეკონომიკის საფუძველი გამხდარიყო.

დასკვნის მაგიერ

1974 წ. 11 მარტს ბაღდადში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ერაყის ქურთულ რაიონს ავტონომიური უფლებები ენიჭება. ერაყის ფარგლებში ერაყის ქურთისტანი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად ცნეს. ქურთულ ავტონომიურ რაიონში (იგი მოიცავს სამ პროვინციას ხუთიდან) ოფიციალურ ენად აღიარებულ იქნა ქურთული და არაბული ენები.

1970 წლის მარტის მანიფესტის შემდეგ ერაყის მთავრობის შემადგენლობაში 5 ქურთი მინისტრი შეიყვანეს. ქურთულ პროვინციებში გუბერნატორებად ქურთები დანიშნეს. ქვეყნის საერთო ბიუჯეტიდან გამოყვეს თანხები დანგრეული ქურთული სოფლებისა და ქალაქების აღდგენის მიზნით. გლეხებს გაუწიეს დახმარება სასუქებითა და თესლეულით მომარაგების საქმეში. შეიქმნა ქურთული უნივერსიტეტი სულეიმანიეში, ქურთული ენისა და ლიტერატურის კათედრა ბაღდადის უნივერსიტეტში, ქ. ბაღდადში არის ქურთული მეცნიერებათა აკადემია. ქდპ უფლება მიეცა გაეხსნა თავისი განყოფილება ერაყის მსხვილ ქალაქებში, ხოლო ბაღდადში გამოსელა იწყო ქდპ ცენტრალურმა ორგანომ გაზეთმა „ათ-თახიმ“ („ძმობამ“).

1973 წ. ერაყში შეიქმნა პროგრესული ეროვნული ფრონტი, რომელმაც გააერთიანა მმართველი ბაასის პარტია, კომპარტია, დამოუკი-

⁶⁸ აჰმედ ჰასან ალ-ბაქრი დაიბადა ბაღდადში 1914 წ. მონაწილეობდა 1958 წ. ანტიიმპერიალისტურ და ანტიმონარქიულ რევოლუციაში. 1963 წ. თებერვალ-ნოემბერში ეკავა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, ხოლო 1964 წლის ნოემბრიდან 1965 წ. თებერვლამდე ვიკე პრეზიდენტი იყო. შემდეგ იგი გადადგა, 1968 წ. ივლისიდან მოყოლებული იგი პრეზიდენტიც არის და რევოლუციური მეთაურობის საბჭოს თავმჯდომარეც. 1972 წ. სექტემბერში ალ-ბაქრი ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში.

დებელი დემოკრატები და პროგრესული ნაციონალისტები. უფრო გვიან მას ქდპ-ც შეუერთდა (190, 5 მაისი, 1974).

კანონი ავტონომიის შესახებ დიდი მოწონებით იქნა მიღებული როგორც არაბულ, ისე ქურთულ წრეებში, მაგალითად, ერაყის მშვიდობისა და სოლიდარობის ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა აზიზ შერიფმა კანონს უწოდა „მნიშვნელოვანი ეროვნული მიღწევა“, (190, 14. 5. 1974). ამავე კანონის მხარდასაჭერად გამოვიდა ქდპ პოლიტიბუროს წევრი აზიზ აკრაუი.

ერაყის მთავრობის ანტიიმპერიალისტური საგარეო პოლიტიკა, მის მიერ დასახული მთელი რიგი პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის გარდაქმნები (1970 წ. აგრარული რეფორმა, კანონი შრომის შესახებ, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კურსი, საერთაშორისო ნავთობის კომპანიის ნაციონალიზაცია) ხელს არ აძლევდა ქვეყნის რეაქციულ ანტინაციონალურ ელემენტებს.

რეაქცია, რომელიც თავის ანგარებით მიზნებს ისახავდა, ცდილობდა გამოეყენებინა ის უთანხმოება, რომელმაც თავი იჩინა ავტონომიის შესახებ კანონის მომზადების პერიოდში მთავრობასა და ქურთ ლიდერებს შორის. ეს უთანხმოება გამოწვეული იყო იმით. რომ ქურთმა ხელმძღვანელებმა მოითხოვეს მომავალ ქურთულ ადმინისტრაციულ ოლქში შეეყვანათ ნავთობის საბადოებით მდიდარი კირკუკიცი.

მთავრობამ ეს მოთხოვნა უარყო. უთანხმოება ეხებოდა კანონის სხვა მუხლებსაც, რომელიც უნდა მოგვარებულყო მოლაპარაკების გზით 15 დღეში. მაგრამ ეს მოლაპარაკება არ შედგა და მალე ქურთებსა და მთავრობის ჯარებს შორის ქვეყნის ჩრდილოეთში საომარი მოქმედება კვლავ განახლდა.

ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. 1970 წლის 11 მარტის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ ქურთთა გამათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა რიგებში სულ უფრო ნათელი ხდებოდა სოციალური არაერთგვაროვნება. ქდპ შიგნით თავი იჩინა ფარულმა და აშკარა წინააღმდეგობებმა, პარტიას გამოეყო მემარცხენე ფრთა, რომელიც გამოდიოდა ქვეყნის დემოკრატიულ-პატრიოტულ ძალებთან კავშირის შენარჩუნებისა და ერაყში გატარებული აგრარული რეფორმებისა და სხვა პროგრესული ღონისძიებების ქურთულ რაიონებზე გავრცელების მომხრედ. ამავე დროს ქურთისტანში გააქტიურდნენ მემარჯვენე წრეები — გვაროვნულ-ტომობრივი და ფეოდალური ზედა ფენის წარმომადგენლები, რომლებიც სულ არ იყვნენ დაინტერესებული ქვეყნის პროგრესულ ძალებთან კავშირის განმტკიცებით და მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობით. ეს წრეები მხარდაჭერას ეძებდნენ ადგილობრივ რეაქციონერებთან და იმპერიალისტებთან.

მემარჯვენეების ასეთმა პოზიციამ, ისევე როგორც უცხოელთა ჩა-

რევამ (განსაკუთრებით აშშ მმართველი წრეების) მოახდინა ზეგავლენა ქვბ ხელმძღვანელობაზე. მან უარყო კანონი ავტონომიის შესახებ და განაახლა საომარი მოქმედება ყალბი ლოზუნგით: „დავიცვათ ჩვენი უფლება იარაღით ხელში“. ამ გადაწყვეტილებამ მხარდაქერა ვერ პოვა ქურთების უდიდეს ნაწილში.

მაგალითად, ქვბ განყოფილებამ ერაცის ქურთისტანის მნიშვნელობით მეორე ქალაქ ერბილში მხარი დაუჭირა კანონს ავტონომიის შესახებ. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო გაზეთ „ათ-თაახის“ ახალმა ხელმძღვანელობამ. ქვბ თვალსაჩინო მოღვაწეთა ერთმა ჯგუფმა უარი თქვა დამორჩილებოდა ქვბ ხელმძღვანელობას და დაიწყო აქტიური თანამშრომლობა მთავრობასთან.

ქურთი სეპარატისტები (მუსტაფა ბარზანის მეთაურობით) მოკლე ვადაში იზოლირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და მალე შეწყვიტეს წინააღმდეგობა.

1975 წლის 4 მაისს ირანის გაზეთ „ქეიხან ინტერნეიშნელ“-ისათვის მიცემულ ინტერვიუში ერაცელი ქურთების ლიდერმა მ. ბარზანიმ განაცხადა: „ომი ქურთისტანში დამთავრდა და საომარი მოქმედება იქ აღარ განახლდება. ბრძოლის გაგრძელება ახალ მსხვერპლსა და ტანჯვას მოუტანდა ქურთ ხალხს“. მუსტაფა ბარზანიმ⁶⁹ გამოთქვა იმედი, რომ ერაცის მთავრობა ქურთების მიმართ სამართლიან და კეთილი ნების პოლიტიკას გაატარებს.

1975 წ. 5 ოქტომბერს, ერაცის ქურთული ავტონომიური რაიონის დედაქალაქ ერბილში⁷⁰ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მისი საკანონმდებლო საბჭოს⁷¹ პირველი სესია, რომელშიც 72 დეპუტატი მონაწილეობდა. სესიაზე დაამტკიცეს ქურთული აღმასრულებელი კომიტეტი (მთავრობა)⁷². ქურთული ავტონომიური რაიონის ადმინისტრაციას მინიჭებული აქვს სათანადო რწმუნებები და მის განკარგულებაშია საკუთარი ბიუჯეტი. ერაცის ერთ-ერთი ვიცე პრეზიდენტი მარუფი ეროვნებით ქურთია. რამდენიმე ქურთი მინისტრი შევიდა ერაცის მთავრობის შემადგენლობაშიც.

⁶⁹ 1976 წლის 30 ივლისს მ. ბარზანი ჩავიდა აშშ-ში. სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური განცხადებით, მ. ბარზანის ჩასვლა მიზნად ისახავდა მკურნალობას მაიოს (მინესოტის შტატი) ონკოლოგიურ კლინიკაში (აქ იგი 1975 წლის შემოდგომაზე ჩამოსულა), ფაქტობრივად კი იგი გავლენიან ამერიკელ სენატორებთან (რ. სტოუნი, პ. ჯექსონი, ჯ. მინი) აწარმოებდა მოლაპარაკებას ქურთ ემიგრანტების გადმოსახლების თაობაზე აშშ-ში. გაზეთ „ნიუ იორკ-ტაიმის“ ცნობით, აშშ დათანხმდნენ მიეღოთ 1000 ქურთი ემიგრანტი. იმავე გაზეთის ცნობით, ავვისტოსათვის აშშ-ში 400 ქურთი ემიგრანტი ჩავიდა (202, 1. 8. 1976).

⁷⁰ ერბილი თარგმანში ნიშნავს ოთხი ღმერთის ქალაქს.

⁷¹ საკანონმდებლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ბ. ბიჯდარი.

⁷² მას სათავეში უდგას ჰაშემ აკრაუი.

1976 წლის თებერვლიდან ბაღდადში ქურთული ავტონომიური რაიონის საკანონმდებლო საბჭოს ახალმა პერიოდულმა ორგანომ — ეურნალმა „ალ-ჰუქმ აზ-ზათიმ“ დაიწყო გამოცემა. იგი გამოდის არაბულ და ქურთულ ენებზე. მასში აშუქებენ ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას, აქვეყნებენ მათ მიერ მიღებული ავტონომიური ქურთისტანის რაიონების განვითარების პროექტებსა და გეგმებს.

ამავე დროს ქღპ დააარსა თავისი ორგანო — გაზეთი „ალ-ირაყ“, რომელიც გამოდის ქურთულ ენაზე. ამ გაზეთში (23. 2. 1976) გამოქვეყნდა დებულება ქურთული ავტონომიური ოლქის მმართველი ორგანოების უფლება-მოვალეობის შესახებ. დებულების შესაბამისად, აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე აღჭურვილია უმაღლესი ხელისუფლებით ქურთულ ავტონომიურ მხარეში. მას უფლება აქვს გამოსცეს კანონები და მიიღოს გადაწყვეტილებანი, იგი წარმოადგენს სახელმწიფოს მეთაურს ზეიმებისა და ოფიციალური ცერემონიის დროს, პასუხს აგებს ერაციის რევოლუციური მთავრობის საბჭოს ყველა განკარგულებისა და კანონის შესრულებისათვის, მშვიდობისა და წესრიგის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომებისათვის. საბჭოს თავმჯდომარე ერაციის ცენტრალურ მთავრობას უკავშირდება მინისტრი-კოორდინატორის⁷³ საშუალებით.

ქურთული ავტონომიური რაიონის ცენტრალური საკოორდინაციო კომიტეტის პირველი სხდომა შედგა ქ. ერბილში 1976 წლის 3 მარტს. ამ სხდომაზე მოისმინეს ავტონომიურ რაიონში შემავალი სამივე ქურთული გუბერნიის მეთაურების ინფორმაცია არსებული მდგომარეობის შესახებ.

ჯერ კიდევ 1974 წ. დამლევს ერაციის მთავრობამ ერაციის ქურთისტანის განვითარებისათვის გამოყოფილი 50 მლნ დინარის ზემოთ დამატებით კიდევ გამოყო 40 მლნ დინარი. ქურთისტანში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ცვლილებები ხდება, ხორციელდება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროექტები, შენდება სკოლები და საავადმყოფოები.

1970 წლის მიწის კანონის საფუძველზე 1975 წლის მაისში ქურთისტანში დაიწყეს აგრარული გარდაქმნების გატარება. ერთი წლის მანძილზე მიწა მიიღო 62121 გლეხის ოჯახმა, შეიქმნა 183 ახალი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და მათმა საერთო რიცხვმა 337-ს მიაღწია (242, 25, 5. 1976).

1976 წ. აპრილში რევოლუციური მეთაურობის საბჭომ მიიღო გა-

⁷³ 1976 წლის 10 ივნისს ამ თანამდებობაზე დაინიშნა გ. ა. ჯალილი, რომელსაც განამღე უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო კვლევის მინისტრის თანამდებობა ეკავა.

დაწყვეტილება ქურთული კულტურის ცენტრის შექმნის შესახებ. იგი უნდა დაექვემდებაროს ინფორმაციის სამინისტროს, მაგრამ დამოუკიდებელი იქნება ადმინისტრაციულ და ფინანსიურ საკითხებში.

ამ კულტურული ცენტრის, ანუ როგორც მას უწოდებენ „კულტურის სახლის“ მთავარ დანიშნულებას შეადგენს ქურთი ხალხის კულტურული აღორძინება და განვითარება. იგი ხელს შეუწყობს ქურთულ ენაზე ლიტერატურულ ნაწარმოებთა თარგმანსა და გამოცემას, გასწევს არაბებისა და ქურთების კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას ფართო მასებში, დაეხმარება აგრეთვე ქურთ მწერლებსა და პოეტებს.

